გიორგი იოსელიანი

საღმრთო ისტორია

•

ქართველი წმინდანები

ნესტორ უუბანეიშვილი

ღირსი მამა დავით გარესჯელი

•

გზა ცხოვრებისა

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1991

86. 3 (2Г)
О 724

წიგნის შესავალში მოკლედ არის გაშუქებული ცნობილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი-ნიკოლოზის ძე იოსელიანის ცხოვრების გზა და მისი ღვაწ-ლი საქართველოში სწავლა-განათლების გავრცელების საქ-მეში.

გ. იოსელიანის სახელმძღვანელოები „საღმრთო ისტო-რია" (1911 წ.) და „ქართველი წმინდანები" (1901 წ.) განკუთვნილი იყო საერო და სასულიერო სასწავლებლების და-ბალი საფეხურის მოსწავლეთათვის. ბიბლიის სრული ტექსტის შესწავლამდე წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავ-ლე ახალგაზრდობას. ახალგაზრდობისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება აგრეთვე ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზის ნესტორ ყუბანეიშვილის ნარკვევი წმიდა დავით გარეჯელის შესახებ და მისივე წიგნი „გზა ცხოვრებისა", სადაც აღწერილია ზნეობრივი მაგალითები წმინდანთა ცხოვრებიდან. ნაშრომები გამოდის უცვლელად ძველი გამოცემების მიხედვით.

წიგნი შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო
პროფ. ზურაბ ბოცვაძემ

И $\frac{0403000000-574}{М-602(08)-91}$ ბრძ. — 91

ISBN 5—505—01452—6

© შემდგ. ზ. ბოცვაძე, 1991

შესავალი

ქართული ეროვნული სკოლის განვითარების ისტორია იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა ფასდაუდებელ ღვაწლთან ერთად გვერდს ვერ აუვლის ისეთ სასახელო მამულიშვილს, გამოჩენილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, როგორიც გიორგი ნიკოლოზის ძე იოსელიანი იყო.

გიორგი იოსელიანი დაიბადა 1847 წელს ქუთაისის გუბერნიაში, სოფ. წყალტუბოში. მისმა მამამ — ნიკოლოზმა, რომელიც უბრალო აზნაურად ითვლებოდა, შვილი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. ნიკოლოზმა სასულიერო სასწავლებელში ოთხი წელი გაატარა. მისმა ბიბეჯითემ, სწავლისადმი დაუოკებელმა სწრაფვამ სასწავლებლის ხელმძღვანელობის ყურადღება მიიქცია, რის გამოც იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა საეკლესიო ხარჯით თბილისის სასულიერო სემინარიაში გაგზავნა, რომლის სრული კურსიც 1865 წელს დასრულა. ამის შემდეგ გ. იოსელიანი ნ. ცხვედაძესთან ერთად სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში უმაღლესი ცოდნის მისაღებად.

სასულიერო აკადემიის დასრულების შემდეგ გ. იოსელიანი და ნ. ცხვედაძე თბილისის სასულიერო სემინარიაში დაინიშნენ მასწავლებლებად. ამ დროს სემინარიასთან არსებულ სასწავლებელში ინსპექტორად მუშაობდა იაკობ გოგებაშვილი.

ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სოფრ. მგალობლიშვილი, რომელიც სემინარიაში 1868—1873 წლებში სწავლობდა, თავის „მოგონებებში“ ხაზს უსვამს გ. იოსელიანისა და ნ. ცხვედაძის თავდადებულ მოღვაწეობას, მათს როლს სემინარიაში ქართული სულის განმტკიცებაში:

„თომა ტურიაშვილის შემდეგ გამოაჩნდნენ ჩვენს სემინარიაში მასწავლებლად გიორგი იოსელიანი და ნიკოლოზ ცხვედაძე, რომელნიც დღესაც მოღვაწეობენ... ამათი მოსვლიდან სრულიად ახალი ხანა დაიწყო სემინარიაში, საგნებს ასწავლიდნენ კარგად, შეგირდებს ადამიანურად ეპყრობოდნენ, გვაძლევდნენ საკითხავ წიგნებსა, გვაყვარებდნენ სამშობლო ენას და ლიტერატუ-

რას, მით უპეტეს, რომ ლიტერატურაში ყველა ისინი მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ. განსაკუთრებით დიდი ზნეობითი გავლენა იქონია მოსწავლე ახალგაზრდობაზე იმ გავლენამ, რომ გ. იოსელიანი დანიშნა სემინარიის ინსპექტორის თანამდებობის აღმსრულებლად. რომელსაც იგი თითქმის ერთ წლამდე ასრულებდა ივანე კუვშინსკის დანიშვნამდე. მაშინ სემინარია სრულიად ქართულს სასწავლებელს წარმოადგენდა, ქართული სული ედგა, ქართულად ჰფეთქდა".

„1873 წელს თბილისის საოსტატო ინსტიტუტის დაარსების დღიდანვე გ. იოსელიანი ამ სასწავლებელში გადადის მასწავლებლად, სადაც 1889 წლამდე მუშაობდა.

გ. იოსელიანის ნამოწაფარი, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალ. მირიანაშვილი ასე გვიხასიათებს თავის მასწავლებელს:

„...ხშირად კლასში შემოდიოდენ და სამაგალითო გაკვეთილებს აძლევდნენ თვით ინსტიტუტის მასწავლებლებიც, რომელთა შორის პირველ ადგილზე ჩემი, როგორც ბავშვის, განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ერთმა მათგანმა. ეს იყო პირმრგვალი, შავ წვერულვაში, თმახუჭუჭა, მსხვილ და შავთვალება, მუდამ შავ ევროპიულ ტანისამოსში კოხტად გამოწყობილი, მაღალი და ბრჭყვიალა ცილინდრიანი (მაშინ დიდ ხმარებაში იყო) და ერთობ მოხდენილი და ლამაზი ახალგაზრდა კაცი. როგორც შემდეგში დავრწმუნდი, სახით ეს იყო ტიპიური წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოს მამა-კაცთა. მისი მაღალი შუბლი, მშვენივრად გადატეხილი და უკან საუცხოოდ შემოკვერცხილი გიშრის თმა, მუდამ სერიოზული და დაფიქრებული, წყნარი და აუჩქარებელი — აი, შკრთალი სურათი იმ ადამიანისა, ჩემი მასწავლებლის, გიორგი ნ. იოსელიანისა, რომელიც მაშინდელ ბავშვებზედ სწორედ ჯადოსნურ გავლენას ახდენდა". ალ. მირიანაშვილი თავისი მოძღვარისადმი უსაზღვრო პატივისცემის მიზეზად, სასიამოვნო გარეგნობის გარდა, პირველ რიგში სხვა უფრო მტკიცე საფუძველზე ამახვილებს ყურადღებას:

„გიორგი ნ. იოსელიანი იყო მშვენივრად მომზადებული, დიდი მუყაითი და ბრძენი პედაგოგი. ამას ბოწაფენი ნათლად ხედავდნენ ყოველ მის ნაბიჯში: კლასში, კლას გარედ, გაკვეთილების დროს და კერძო ლაპარაკში... გიორგი ნ. იოსელიანის სპეციალური საგანი იყო რუსული და მსოფლიო ისტორია, ხოლო სხვა-და-სხვა დროს მას ინსტიტუტში უსწავლებია ჩვენთვის რუსული სიტყვიერება,

ლოლიკა, სლავიანური ენა და ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებლებში საღვთო სჯულიც... საკვირველი ის იყო, რომ დისციპლინისთვის გიორგის არასდროს არ სჭირდებოდა არც მრისხანე სახის გამოჩეტყველება, არც ბრძანების კილო, არც, მით უმეტეს, მუქარა და არც სხვა რამ პოლიციური საშუალებანი: იგი მის გაკვეთილზე მყარდებოდა თავისთავად, ძალ-დაუტანებლად, ბუნებრივად და მას კლასში თან შემოსდევდა ფეხის შემოდგმის უმალვე".

ეროვნული იდეალების მატარებელსა და მქადაგებელს ინსტიტუტის პედაგოგიურ საბჭოში არაერთხელ აღუძრავს ქართული ენის სწავლების მდგომარეობის საკითხი, ქართველი მასწავლებლებისათვის აუცილებელ საჭიროებად მიიჩნდა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის ღრმა ცოდნა, მაგრამ ამ სასარგებლო მცდელობას უნაყოფოდ ჩაუვლია, ხელმძღვანელობა ამ საგნების სწავლებისათვის „ნივთიერ საღსარს" ვერ პოულობდა.

1889 წელს გ. იოსელიანი თავს ანებებს თბილისის საოსტატო ინსტიტუტს და პენსიაზე გადის. ამის შემდეგ გ. იოსელიანი ჯერ-ავ აგრძელებს პედაგოგიურ მუშაობას სათავადაზნაურო სასწავლებელში და თბილისის პირველ გიმნაზიაში. მალე იგი მიიწვიეს ხაშურის გიმნაზიის მასწავლებლად, სადაც მან სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა და იქვე გარდაიცვალა 1919 წელს.

გ. იოსელიანი ჩვენი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. პერიოდულ პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა პედაგოგიურ და პუბლიცისტურ წერილებს „წყალტუბელის" ფსევდონიმით.

გ. იოსელიანი ქართველი ერის წინსვლისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა იმას, რომ გარეშე მტრების შემოსევებისაგან მოსვენებული საქართველოს შვილები დაუყოვნებლივ უნდა ცდილიყვნენ განათლების მიღების გზით დაკარგული დროის აღდგენას, „უნდა შესდგომოდნენ თავიანთი შინაგანი ცხოვრების გაუკეთესობას, ესე იგი თავიანთი გონებითი, ზნეობითი და ნივთიერებითი (მატერიალური) მდგომარეობის გაუმჯობესებას", — მაგრამ, — განაგრძობს გ. იოსელიანი, — „სამწუხაროდ ჩვენ სრულებით სხვას ვხედავთ: როცა საწყალი ჩვენი მამული გამოვიდა იმ გაუწყვეტელი ბრძოლისაგან, რომელიც ჰქონდა მას, თითქმის მარად, თავის სიცოცხლეში სხვა-და-სხვა მტრებთან და მიენდო რუსეთის მფარველობას, მაშინ, თითქო დაღლილი და ძალა გამოლეული დიდი ხნის

ბტრებთან ბრძოლისაგან, მიეცა იგი ღრმას და ხანგრძლივს ძილს“.

გ. იოსელიანი ქართველ ერს მოუწოდებდა მოქმედებისაკენ, სიკეთისა და ბედნიერებისადმი ლტოლვისაკენ. მშობლიური ერის დიდ პატრიოტს გულს უკლავდა ის უმოქმედობის სენი, რომელიც კარგს არაფერს უქადდა მშობლიური ქვეყნის მომავალს და ახალგაზრდობას მოუწოდებდა, რათა ღრმად შეეგნოთ თავიანთი უპირველესი ვალი და დანიშნულება — ესმოდეთ თავისი დროის მოთხოვნილება და ღირსეულად ემსახურონ მას. დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ არა მარტო იმას, რომ „დაიცოს ის, რაც მის წინაპრებს შეუძენიათ და გადმოუციათ მისთვის, არამედ თვითონაც უნდა შესძინოს მას რამე ახალი და ისე გადასცეს მომავალ დგმას. მხოლოდ იმ შთამომავლობას, რომელიც ამას ასრულებს, შეუძლია გაბედვით უწოდოს თავის თავს თავისი დროის შვილი და უშფოთველად გამოეთხოვოს ამ სოფელს იმ რწმუნებით, რომ მისმა მყოფობამ და სიცოცხლემ ამაოდ და უკვალოდ არ ჩაიარა, წინაალმდეგ ამისა შთამომავლობა, რომელსაც არ ესმის თავისი დროის მოთხოვნილებანი და არ ცხოვრობს და არ მოქმედებს მის შესაფერად, არ ასრულებს თავის ნაბდვილ ვალს და ამიტომ პასუხის მგებელია, როგორც ღვთის ისე იმ ხალხის წინაშე, რომელსაც ის ეკუთვნის, რადგანაც ის თავისი უმაქნისობით და უმოქმედობით აჩერებს და აგვიანებს მის წარმატებას“.

გ. იოსელიანი ერის მომავალს სახალხო სკოლების მყარ, ეროვნულ ნიადაგზე დამყარებაში ხედავდა, მკაცრად იმაღლებდა ხმას იმ გაქნილი რუსიფიკატორების წინაალმდეგ, რომლებიც სახალხო სკოლებში მშობლიური ენის ამოშანთვას ცდილობდნენ და რუსულ ენაზე უაზროდ გაზეპირებული გაკვეთილებით ულაყებდნენ ტვინს. გ. იოსელიანის აზრით, არც ერთი საგნის სწავლება ჩვენს სკოლებში ისე უკულმართად არ იყო დაყენებული, როგორც სქლმრთო სკოლის, ბიბლიის სწავლება.

ბიბლიის სწავლების კეთილისმყოფელ გავლენაზე ნათლად მეტყველებს ლევ ტოლსტოის შეხედულება. დიდი მწერალი და მოაზროვნე ხაზგასმით წერდა:

„რომელიმე ასაკის ადამიანმა რომ დაიწყოს სწავლა, იმისთვის საჭიროა სწავლა შეიყვაროს. სწავლის შესაყვარებლად კი საჭიროა, რომ მან შეიგნოს ნივთზე თავისი შეხედულობის სიცრუე და ნაკლოვანება, წინდაწინ იგრძნოს ის ახალი სოფლ-მკვრეტელობა, რომელსაც თვალწინ გადუშლის მას სწავლა. ვერც ერთი კაცი და

ბავშვიც ვერ შეიძლებდა სწავლას, თუ მისი სწავლის მომავალი თვალწინ გამოეხატებოდა მხოლოდ წერა-კითხვისა და ანგარიშის შესწავლაში. ვერც ერთი მასწავლებელი ვერ ასწავლიდა სხვას, თუ მისი სოფლ-მკვრეტელობა უმაღლესი არ იქნებოდა იმაზედ, რაც ბავშვებს აქვსთ. მოწაფე რომ სრულიად მიენდოს მასწავლებელს, საჭიროა ახადო ცალი მხარე ივ ფარდისა, რომელიც უჩრდილებდა მას იმ აზრის, ცოდნის და პოეზიის სიმშვენიერეს, რომელშიაც იგი უნდა შეჰყავდეს სწავლას. მხოლოდ მაშინ, როცა მოწაფე მუდმივ მოხიბლულია იმის წინ ბრწყინვალე სხივით, შეუძლია იმას იმუშაოს ისე, როგორც ვითხოვთ მისგან. რა საშუალება გვაქვს, რომ მოწაფის წინ ავხადოთ ამ ფარდის კალთა?.. მეც მეგონა, როგორც ზევრსა ჰგონია, როცა ამ ქვეყნად ვარსებობთ და წინ ვუძღვებით ბავშვებს, ამას ადვილად შევძლებდი და მეც ვასწავლიდი წერა-კითხვას, ვუხსნიდი ბუნების სხვა და სხვა მოვლენას, ვუამბობდი, როგორც ანბანშია, რომ სწავლის ნაყოფი ტკბილიაო, მაგრამ მოწაფეებს არ სჯეროდათ და ყველაფერი ეუცხოვებოდათ. მაშინ მე ვშინჯე ბიბლიის კითხვა და ამით მთლად შევიპყარ ისინი. ფარდის კალთები აწეული იქმნა და ბავშვებიც სრულიად მომენდვნენ. იმათ მეც შემიყვარეს, წიგნიც და სწავლაც. დამრჩა მხოლოდ ხელმძღვანელობა შემდეგში. ძველი აღთქმის შემდეგ მე ვუამბობდი მათ ახალ აღთქმას და იმათაც თანდათან შეეპარათ ჩემი და სწავლის სიყვარული. შემდეგ ვუამბობდი მათ საზოგადოს, რუსეთის და საბუნებისმეტყველო ისტორიას, ბიბლიის შემდეგ ისინი ყველაფერს ყურს უგდებდნენ, ყველაფერი სჯეროდათ. თან და თან თხოულობდნენ და თან და თან ეშლებოდათ მათ თვალწინ აზრის, ცოდნის და პოეზიის პერსპექტივები... მე არ ვიცი სხვა ნაწარმოები, რომელშიაც ისე მოკლედ იყოს ჩამოსხმული პოეტურის ფორმით ყოველი მხარე ადამიანის აზრისა, რასაც შეიცავს ბიბლია...“

1884 წელს ჟურნალ „ნობათის“ პედაგოგიურ დამატებაში გამოქვეყნდა გ. იოსელიანის მეთოდური წერილი — „საღმრთო რჯულის სწავლებაზე ჩვენ პირველ-დაწყებით სკოლებში“.

ავტორი წერილის დასაწყისში ყურადღებას აქცევს იმ სიძნელეებზე, რომელიც საღმრთო რჯულის სწავლების მეთოდებს ახლავს თან. ვინაიდან საღმრთო რჯული, როგორც სასწავლებელი საგანი, ძალზე ვრცელია და მისი სრულად შესწავლა არა თუ სასოფლო სკოლებში, არამედ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებშიაც ძნელდება. ამიტომ ამ საგნის მასწავლებელი უნდა ეცადოს

მარტო ის ადგილები ამოარჩიოს ბიბლიის შინაარსიდან, რისი ცოდნაც უფრო საჭიროა მოსწავლისათვის. მასწავლებელს „უთუოდ უნდა ჰქონდეს გონივრულად შედგენილი სასწავლო წიგნი და გადაჭრილი სამგალითო პროგრამაკ". — წერს გ. იოსელიანი და იქვე სინანულით დასძენს, რომ „ჩვენ, სამწუხაროდ, ესეთი წიგნი ჯერ არ მოგვეძებნა. რომელიც უნდა აიღოთ იმ წიგნების მცირე რიცხვიდან, რომლებიც ჩვენ ენაზე არსებობენ, არც ერთი გამოსადეგი არ არის, რადგან არც ერთი მათგანი ისე არ არის შედგენილი, როგორც ჩვენი საჭიროება მოითხოვს და პედაგოგია გვირჩევს..."

გ. იოსელიანი აქვე გამოთქვამს თავის შეხედულებებს იმ საკითხის შესახებ თუ რა უფრო საჭიროა იცოდნენ ჩვენი გლეხის შვილებმა საღმრთო რჯულიდან და როგორ უნდა იყოს შედგენილი ამ საგნის სახელმძღვანელო.

დღეს ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ცხოვრებაში სხვა მრავალ სასიცოცხლო საკითხებთან ერთად კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს ჩაეყარა საფუძველი. ეს არის სწავლების მესამე საფეხურზე დიფერენცირებული სწავლების შემოღება, სადაც ჰუმანიტარულ ჯგუფებში ბიბლიის სწავლებას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა. ალბათ, სულ მალე დღის წესრიგში დადგება დაწყებით კლასებში ბიბლიის შემოკლებული კურსის სწავლების საკითხიც, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს შემდგომში ამ საგნის საფუძვლიან დაუფლებას. აქედან გამომდინარე დღის წესრიგში დადგება აგრეთვე მარტივი, ადვილად გასაგები ენით დაწერილი შემოკლებული საღვთო ისტორიის სახელმძღვანელოების შექმნა დაბალი საფეხურის კლასებისათვის. ამიტომ ვაქვეყნებთ გ. იოსელიანის ზემოთდასახელებულ წერილს, რომლის გათვალისწინება ასეთი სახელმძღვანელოს შედგენისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

გ. იოსელიანს ყოველი ქრისტიანისათვის აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ქრისტიანული სარწმუნოების არსის გარდა ძირფესვიანად შეითვისონ დღესასწაულების მიზეზები, რისთვისაც ახალი აღთქმის საღმრთო ისტორიიდან შესწავლილი უნდა იქნეს და სასწავლო წიგნებშიც უნდა შევიდეს „მოთხრობები ათ-თორმეტ უმთავრეს დღესასწაულებზე", ქართველ წმინდანებზე. გ. იოსელიანი სასოფლო სკოლების მოსწავლეთათვის საჭიროდ თვლის ძველი აღთქმის საღმრთო ისტორიიდან სახელმძღვანელოში შევიდეს მხოლოდ ისეთი მოთხრობები, რომლებსაც ქრისტიანობასთან აქვთ კავშირი. მაგალითად: მოთხრობა ქვეყნისა და ადამიანის გაჩენის შესახებ, მოთხრობა

პირველი ადამიანების ნეტარებით ცხოვრებაზე, მის შეცოდებაზე, დასჯაზე და ქრისტე მაცხოვარის აღთქმაზე, რომელსაც შეიძლება დაემატოს რომელიმე მოთხრობა დაცემისა და წარღვნის შემდეგ კაცობრიობის მდგომარეობაზე და ა. შ. გ. იოსელიანი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე პედაგოგებს საჭირო რჩევას აძლევს თუ როგორ დაიწყონ საღმრთო რჯულის სწავლება, რათა ამ საქმემ ბოლოს კეთილი ნაყოფი მოიტანოს. გარდა ამისა, იგი პედაგოგებს უხსნის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საგნის სწავლების დროს თვალსაჩინოების მასალებს.

რელიგიურ, ქრისტიანულ მოძღვრებაზე ახალგაზრდობის აღზრდა სულის, ეთერული სხეულის სრულყოფას უწყობს ხელს. დიდი გერმანელი თეოსოფოსი რუდოლფ შტაინერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეთერული სხეულის განწმენდისა და გაკეთილშობილების კარგ საშუალებას რელიგია წარმოადგენს“.

ნ. ბერდიაევი, როცა ფ. ნიცშეს მიერ ქრისტიანული მორალის შებრუნებულ, რელიგიური სიბეცით თავდაყირა დაყენებულ შეხედულებებს აკრიტიკებდა, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქრისტიანობა წარმოადგენს სულით ძლიერთა რელიგიას. ჭეშმარიტი ქრისტიანული რელიგია ღმერთის სულიერ შვილს — ადამიანს მსოფლიო და საკუთარ ბედზე თავისუფალ პასუხისმგებლობას აკისრებს. ქრისტე ჩვენს გარეშე კი არ არის, — წერს ნ. ბერდიაევი, — ის ჩვენს არსებაშია, როგორც სრულყოფილი ადამიანი, ის წარმოადგენს ჩვენს თანაზიარობას წმ. სამებასთან. აქედან გამომდინარე, ქრისტეს რელიგია ადამიანის განუსაზღვრელი ძალ-ღონის რელიგიაა და არა სისუსტისა და უგუნებობის. ქრისტიანობა, უპირველეს ყოვლისა, თითოეულ ჩვენთაგანში აბსოლუტური ადამიანის აღმოჩენის გზა არის.

იაკობ გოგებაშვილი წერილში — „სოფლის მასწავლებელთ კრების ზოგიერთ გარდაწყვეტილებაზედ“ ხაზგასმით აღნიშნავს საღმრთო ისტორიის სწავლების აუცილებლობას და მნიშვნელობას. იგი მკაცრად აკრიტიკებს „უკუღმართად და მოუაზრებლად“ შედგენილ საღმრთო ისტორიის პროგრამას და ამასთან დაკავშირებით გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „თითქმის არავის არ ესმის ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ძველი აღთქმის მოთხრობათ აქვთ ბავშვების აღზრდაში“. იაკობ გოგებაშვილის აზრით, ძველი აღთქმა ზნეობრივი პრინციპებით დაბლა დგას ახალ აღთქმაზე, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „სამაგიეროთ იგი წარმოგვიდგენს ვრცელსა ეპოპეიას მთელი ხალხისასა, რელიგიურ-სამოქალაქო დრამმასა, სადაც მოქმედობს მთელი

ხალხი, სადაც წმინდა სიყვარული ღვთისა და ერისა შეკავშირებულია მჭიდროდ და სადაც ყველა ნაბიჯის წარდგმაზედ მოქმედობს კერძო პირების თავდადებულობა ღვთისა და ერის სადიდებლად. ამასთან ამ ეპოპეიას აქვს იმისთანა მარტივი, პატრიარხალური ხასიათი და ისეთ მიმზიდველ ფორმაში არის განხორციელებული, ჩამოსხმული, რომ საგანგებოთაც ვერ მოიგონებს კაცი ასეთ სრულიად საყმაწვილო ამბებსა. ვის არ ახსოვს თავის ბავშვობის დროიდგან. თუ რა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდნენ და როგორ ხვდებოდნენ გულსა მოთხრობანი, მაგალითად, იოსებისა და მოსესი, რომელთა ცხოვრებაში რელიგიური, ხალხური და პიროვანი სათნოებანი ისე კამკაშობენ, როგორც ზოწმენდილ ცაზედ ვარსკვლავნი".

იაკობ გოგებაშვილი სამღვდელოებას მოუწოდებდა, რათა არ დაევიწყებინათ, რომ ისინი მოციქულთა მემკვიდრეები და „მათი ღვაწლით შემოსილის მოქმედების" გამგრძელებლები არიან, რომ ისინი ვალდებულნი არიან სისტემატურად მოჰფინოს ხალხში სახარების ნათელი, „დაუღალავად ავრცელოს საზოგადოებაში განმაცხოველებელი ჭეშმარიტებანი მაცხოვრის სწავლისა". იაკობ გოგებაშვილის აზრით, ამ წმინდა და მაღალი დანიშნულების ასასრულებლად სამღვდელოებას ოთხი მთავარი საშუალება გააჩნდა — საეკლესიო კათედრა, სკოლა, სასულიერო მწიგნობრობა, სასულიერო ლიტერატურა. „სამწუხარო პასუხს გვაძლევს ცხოვრება ამ კითხვებზედა, — წერს იაკობ გოგებაშვილი. — საეკლესიო კათედრა სრულიად გაუქმებულია, ქადაგება მოსპობილია, მჭერმეტყველობა მთლად დამშრალია. სოფლები დიდი ხანია ნატრულნი შეიქნენ ქადაგებისა. ქალაქებშიაც მთელი წლები გადის და კათედრაზე მრევლი მქადაგებელს ვერ დაინახავს, და თუ დაინახავს და გაიგონებს, ისიც მთავრობისაგან შეკვეთილს და ხელად შეხანხლილს ქადაგებას. რომლისკენაც საზოგადოების ყურადღებას ვერ იზიდავს არც დამახინჯებული ენა, არც მშრალი, უგულო შინაარსი".

სინოდის ოთხმოცწლიანმა ბატონობამ ქართულ ეკლესიაზე ის შედეგი გამოიღო, რომ, როგორც დიდი პედაგოგი აღნიშნავს — „ჩვენი ხალხის თვალწინ სრულდება მხოლოდ უსულო წესები ეკლესიისა. ქრისტიანობის სულს კი, სახარების გამაცხოველებელს შინაარსსა გადაფარებული აქვს ბნელი ზეწარი", რის შედეგადაც ხალხი ქრისტიანობას ივიწყებდა და წარმართობისაკენ იქცევდა პირს. „რაც ჩვენს ხალხს აუარებელმა უსჯულო მტერმა ათასი წლის განმავლობაში ვერ წაართვა, ის ხელიდგან გამოეცალა მას ოთხმოცი

წლის განმავლობაში და ისიც როდის?, — განაგრძობს იაკობ გოგებაშვილი. — როდესაც ხალხი ფიქრობდა, რომ მყუდრო ნავთსადგურს შევეფარე, ერთ-მორწმუნე ხალხს მივეკედლე — და ყოველს ჩემს სასულიერო და საერო საუნჯეს მტკიცე საცავი ვუშოვნეო...“

როგორც აღვნიშნეთ, იაკობ გოგებაშვილი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დიდ მნიშვნელობას აძლევდა საღმრთო ისტორიის სწავლებას. როდესაც გიორგი იოსელიანისაგან შეიტყო, რომ მას დასაბეჭდად მზად ჰქონდა საღმრთო ისტორია, იაკობი თვითონ წაყვა გამომცემელთან და სთხოვა, რათა დროზე გამოეცათ იგი. ამასთან დაკავშირებით იაკობი წერს:

„ერთს დროს ჩვენ ხელი მივყავით საღმრთო ისტორიის შედგენას, რადგანაც კარგად შემუშავებულს საღმრთო მოთხრობებს აღმზრდელი გაელენა აქვთ ყმაწვილებზე. ძველი აღთქმა უკვე გათავებული გვქონდა და გამომცემელთანაც პირობა შეკრული, როცა ბ-ნი იოსელიანისაგან შევიტყვეთ, რომ მას უკვე მზადა აქვს დასაბეჭდად საღმრთო ისტორია. ამის შემდეგ ჩვენის შრომის გათავებაზედ არამც თუ ხელი ავიღეთ, არამედ ბ-ნი იოსელიანი მივიყვანეთ გამომცემელთან და ამ უკანასკნელს ვურჩიეთ დაებეჭდა მისი წიგნი და იმედი აღარა ჰქონდა ჩვენგან ისტორიის გათავებისა“.

გ. იოსელიანის სახელმძღვანელოები, რომლებიც ჩვენ ერთ წიგნად გავაერთიანეთ, ზემოთაღნიშნულ პრინციპებზეა შედგენილი. „საღმრთო ისტორიიდან“ ამოვიღეთ III ნაწილი — დამატება, სადაც წმინდანების ცხოვრება მოკლედ არის გადმოცემული. ამ ნაწილს ავსებს გ. იოსელიანის მიერ 1901 წელს გამოცემული წიგნი „ქართველი წმინდანები“. „საღმრთო ისტორიის“ დამატების ბოლო თავი — „ვლადიმირი და რუსთა მოქცევა“ „ქართველი წმინდანების“ ბოლოს დავურთეთ.

აქვე მკითხველ საზოგადოებას ვთავაზობთ გ. იოსელიანის მეთოდურ წერილებს საღვთო სჯულის სწავლების შესახებ დასაწყის კლასებში.

გ. იოსელიანის ნაშრომებთან ერთად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რათა აქვე დაგვესტამბა დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილის ნაშრომები — „ღირსი მამა დავით გარეჯელი“ და „გზა ცხოვრებისა“.

„გზა ცხოვრებისას“ წინასიტყვაობაში ნესტორ ყუბანეიშვილი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ბოლო დროს როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ხალხში სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლების გავრცელებას ჯეროვანი ყურადღება ექცევა,

იზრდებოდა საეკლესიო-სამრევლო სკოლები, რომელთა უმთავრეს მიზანს წერა-კითხვასთან ერთად საღვთო სჯულის — სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლების გავრცელება წარმოადგენდა. ამ მიზნის მისაღწევად ნესტორ ყუბანეიშვილის აზრით ბავშვებისათვის საკმარისი არ არის მარტო საღვთო სჯულის სახელმძღვანელოების დაზეპირება, „მათთან ერთად საჭიროა, იკითხონ სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის წიგნები“. ვინაიდან ასეთი სახის წიგნები ქართულ ენაზე ძალიან ცოტა მოგვეპოვებოდა, ნესტორ ყუბანეიშვილმა განიზრახა წვლილი შეეტანა ზნეობრივი განათლების საქმეში. „შევადგინე და გამოვეცი ეს პატარა სარწმუნეობრივი და ზნეობრივი შინაარსის წიგნი. რომელიც, იმედი მაქვს, მცირეოდენ სარგებლობას მაინც მოუტანს მკითხველს და, თუ მკითხველი მიბაძავს წიგნში მოყვანილ წმინდანების მაგალითებს და მათ ცხოვრებას, დააყენებს მას ცხოვრების კეთილ გზაზე, რის გამოც წიგნს ვუწოდე სახელად „გზა ცხოვრებისა“, — წერს ნესტორ ყუბანეიშვილი.

წიგნში შესაძლებლობისდამიხედვით შევიტანეთ რიგი სტილური, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შესწორებები.

ზ. ბოცვაძე

საღმრთო ისტორია

საღმრთო რჯულის სწავლებაზე ჩვენს პირველ-დაწყებით სკოლებში

საღმრთო რჯულის სწავლება, ნამეტურ პირველ-დაწყებით სკოლებში, ჰეშმარიტად რომ ერთ უუძნელეს საქმეს შეადგენს. ამიტომ ამ საგანზე დიდი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული: ფრიად საჭიროა გამოკვლევა და ჩვენება მისი, თუ რას უნდა ასწავლიდნენ სახელდობ ამ საგნიდამ სასოფლო სკოლებში და როგორ, რა მეთოდით უნდა გადასცენ და შეასწავლონ ყმაწვილებს ის, რაც საჭიროა.

საღმრთო რჯული, როგორც სასწავლებელი-საგანი, ვიცით, ფრიად ვრცელია. მისი ვრცლად შესწავლა არა თუ სასოფლო სკოლებში, საშუალო და მაღალ სასწავლებლებშიაც კი ძნელდება. ამიტომ ცხადია, რომ სასოფლო სკოლებში მასწავლებელი უნდა სცდილობდეს მარტო ის ამოარჩიოს და ამოიღოს ამ საგნის შინაარსიდამ, რის ცოდნაც უფრო საჭიროა ყოველი კაცისთვის და რაც ადვილად შესაგნებია და შესათვისებელი სასოფლო სკოლების მოსწავლეთათვის.

მაგრამ არ შეიძლება ეს საქმე თვითონ მასწავლებელს მიენდოს: მას უთუოდ უნდა ჰქონდეს გონივრულად შედგენილი სასწავლო წიგნი და გადაჭრილი სამაგალითო პროგრამაც. ჩვენ, სამწუხაროდ, ესეთი წიგნი ჯერ არ მოგვეძებნა. რომელიც უნდა აიღოთ იმ წიგნების მცირე რიცხვიდამ, რომლებიც ჩვენ ენაზე არსებობენ, არც ერთი გამოსადეგი არ არის, რადგან არც ერთი მათგანი ისე არ არის შედგენილი, როგორც ჩვენი საჭიროებაჰ მოითხოვს და პედაგოგია გვირჩევს; არც ერთ მათგანში არ არის ის, რაც ჩვენთვის უფრო საჭიროა, და თვითეულში კიდე ბევრი ისეთი მასალაა მოქცეული, ურომლოთაც ჩვენ სოფლის სკოლებს ადვილად შეუძლიათ თვისი დანიშნულების ასრულება. იმათში, მაგალითად, მოქცეულია თითქმის ყველა ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორიის მოთხრობები და ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ჩვენ ადგილობრივ წმინდანებზე; ასე რომ, შეიძლება, როცა ყმაწვილი კურსს ასრულებს, იცოდეს: ვინ იყვნენ ებრაელების პატრიარქები, მსაჯულები, წინასწარ-მეტყველები, მღვდელთ-მთავრები, მეფეები და სხვა, მაგრამ ჩვენი ხალ-

ხისათვის ისეთი შესანიშნავი წმინდანები, როგორიც არიან, მაგ.: ქართველთ განმანათლებელი წმ. ნინო, წმ. მოწამე დედოფალი ქეთევანი, დავით აღმაშენებელი, რომელმაც იმოდენა ღვაწლი დასდო ჩვენ ეკლესიას, მოწამენი დავით და კონსტანტინე და სხ., სრულიად არაფერი არ იცოდეს მან.

ამას გარდა, ჩვენი სასოფლო სკოლები ისე რიგად არიან ეხლა მოწყობილნი, რომ ყოვლად შეუძლებელია ყმაწვილებმა, სხვა საგნების გარდა, მოასწრონ საღმრთო რჯულის ვრცლად შესწავლა. ჩვენი სასოფლო სკოლები მთელ კურსს სამ წელიწადში ასრულებენ. ამ სამი წლის განმავლობაში იმათ უნდა შეისწავლონ, პროგრამისა და წესდების ძალით: წერა-კითხვა დედა-ენაზე, წერა-კითხვა და ლაპარაკი რუსულ ენაზე, არითმეტიკა, ცოტაოდენი ისტორია, გეოგრაფია, ბუნების მეტყველება, გალობა და ამასთან საღმრთო რჯულიც. დრო კი, როგორც ჰხედავთ, ძლიერ ცოტა აქვსთ: სასოფლო სკოლებში ბევრი-ბევრი წელიწადში ექვსს თვეს თუ გრძელდება სწავლა, რადგან ზოგიერთი მიზეზებისა გამო, ამათი სწავლა გვიან იწყება და ადრე თავდება. ამას გარდა, ყმაწვილებს დღეში ოთხი გაკვეთილი აქვსთ და სკოლის ყველა სამივე განყოფილებას მხოლოდ ერთად-ერთი მასწავლებელი ჰყავს. მაშასადამე, ცხადია, რომ საღმრთო რჯულის მასწავლებელი უნდა სცდილობდეს ის მაინც მოასწროს და შეასწავლოს გლეხების ყმაწვილებს, რაც მათთვის მიუცილებლად საჭიროა. სასწავლებელი წიგნიც ამ საგნისა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ამ მოთხოვნილებას შეესაბამებოდეს და აკმაყოფილებდეს.

ეხლა ის-ღა უნდა ვიკითხოთ: რა უფრო საჭიროა იცოდნენ ჩვენი ვლეხების შვილებმა საღმრთო რჯულისაგან და როგორ უნდა იყოს შედგენილი ამ საგნის სასწავლებელი წიგნი?

ჩვენ ამ ჰაზრისა ვართ: გარდა იმისა, რომ მათთვის როგორც ყოველი ქრისტიანისათვის, მიუცილებლად საჭიროა იცოდნენ და გონივრულად შეგნებული ჰქონდესთ ა რ ს ი ქრისტიანობრივი სარწმუნოებისა, უნდა კარგად ესმოდეთ იმ ბედნიერი დღეების ანუ დღესასწაულების მიზეზები, რომელთაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვსთ. სხვაფრივ რომ ვსთქვათ: ახალი აღთქმის საღმრთო ისტორიიდამ უნდა შესწავლულ იქმნენ, და მაშასადამე, სასწავლებელ წიგნშიდაც უნდა განმარტებულ იქმნენ: მოთხრობები ათ-თორმეტ უმთავრეს დღესასწაულებზე და ადგილობრივ, ესე იგი, ჩვენი ეკლესიის უმთავრესს წმინდანებზე. რაიცა შეეხება ძველი აღთქმის საღმრთო ისტორიის შესწავლას, ჩვენის ჰაზრით, სასოფლო სკოლა იძულებულია 'დაკმა-

ყოფილდეს მხოლოდ რამდენიმე ისეთი მოთხრობებით, რომელთაც ქრისტიანობასთან კავშირი აქვსთ; ესენი არიან, მაგ.: მოთხრობა ქვეყნისა და ადამიანის გაჩენაზე, მოთხრობა პირველი ადამიანების ნეტარებითი ცხოვრებაზე, მისს შეცოდებაზე, დასჯაზე და ქრისტე-მაცხოვრის აღთქმაზე. ამას შეიძლება დაუმატოს ერთ-ერთი მოთხრობა კაცობრიობის მდგომარეობაზე, შემდეგ დაცემისა და წარღვნაზე. შემდეგ შეიძლება მასწავლებელი პირ-და-პირ გადვიდეს მაცხოვრის მოლოდებაზე, იწყოს თხრობა ღვთის-მშობლის დაბადებაზე და ამ გვარად გააცნოს ყმაწვილებს ის ამბები, რომლებიც ათ-თორმეტ უმთავრეს დღესასწაულებს შეეხებიან.

რაკი ყმაწვილებს კარგა ეცოდინებათ, ვინ იყო ქრისტე-მაცხოვარი და რას ასწავლიდა ის, მაშინ საღმრთო რჯულის მასწავლებელმა უნდა მოუთხროს ყმაწვილებს ის, თუ ვინ და როგორ მოაქცია და განანათლა საქართველო ქრისტეს საროწმუნოებით, ვინ არიან საქართველოს ეკლესიის გამოჩენილი და შესანიშნავი წმინდანები და რა ღვაწლი დასდვეს იმათ ჩვენ ეკლესიას. ჩვენი ეკლესიის საკუთარი წმინდანების ცხოვრების გარდა, საჭიროა აგრეთვე ყმაწვილებმა იცოდნენ, ვინ იყვნენ: ილია წინასწარმეტყველი, წმ. გიორგი და დიდი ვასილი ანუ ბასილი, რადგან ამ წმინდანებს ჩვენი ხალხი დიდ პატივსა სცემს.

რასაკვირველია, საჭიროა აგრეთვე საღმრთო რჯულის მასწავლებელმა აღხსნას და გონიერად შეასწავლოს ყმაწვილებს ის საზოგადო სახმარი ლოცვები, რომლების ცოდნაც ყოველი ქრისტიანისთვის საჭირო არის. აგრეთვე მრწამსი და ათი მცნებაც. მხოლოდ ყოველივე ესენი უნდა შეადგენდნენ საღმრთო რჯულის პროგრამას სასოფლო სკოლებისთვის და, თუ კი ეს პროგრამა გონივრულად აღსრულდა, ისიც კარგია და შეიძლება ამითი დაკმაყოფილდეთ.

ეხლა ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვათ კიდევ მასზე, თუ როგორ უნდა შეუდგეს საღმრთო რჯულის მასწავლებელი ამ საგნის სწავლებას, რომ საქმე გაადვილდეს, კეთილი ნაყოფი მოიტანოს და დრო ამაოდ არ დაიკარგოს.

ყოველი სასწავლებელი საგნის გონივრულად შესწავლისთვის უთუოდ საჭიროა და პედაგოგიაც ამას მოითხოვს, რომ მასწავლებელმა პირველად, მინამ თვითონ საგნის ნამდვილ შესწავლას მიჰყოფდეს ხელს, გაიაროს, ესრედ წოდებული პ რ ო პ ო დ ე ვ თ ი კ უ რ ი ანუ მოსამზადებელი კურსი, ე. ი. ისე მოამზადოს ამ საგნისთვის ყმაწვი-

ლები, რომ იმათ იცოდნენ ის ელემენტები, რომლების უცოდნელად შეუძლებელია დაუწყოს მასწავლებელმა თვითონ ნამდვილი საგნის სწავლება.

საღმრთო რჯულისათვის ესეთ ელემენტებს შეადგენენ სხვა და-სხვა სიტყვების ან ტერმინების გარდა, რომლების ხმარება დასჭირდება მასწავლებელსა და მოსწავლეთაც თვით საგნის შესწავლის დროს — ახსნა და განმარტება მისა: თუ რა არის ლოცვა, ვის ვევედრებით ჩვენ ლოცვის დროს; ვის ვეძახით ღმერთს და სად არის იგი, რისთვის ვერა ვხედავთ მას; როგორ ვისახავთ ჩვენ პირჯვარს, რას ვეძახით ჯვარს; სად ვსდგებით, როცა ვლოცულობთ, რა არის ხატი; ვის ვეძახით წმინდანებს, რა არის ეკლესია ანუ საყდარი; რა არის უქმე დღე ან კვირა და დღესასწაული და სხვ. მაგრამ ყველაფერი ესენი, რასაკვირველია, დოღმატურად არ უნდა აუსსნას მასწავლებელმა მოსწავლეებს: ამათ ყველას კაგონილი აქვსთ ეს სიტყვები ანუ სახელები, მინამ სკოლაში შემოდიან, მაგრამ საქმე ის არის, რომ იმათი მნიშვნელობა გარკვევით არ ესმით. ამიტომაც მასწავლებელი უნდა ეგაასოს ყმაწვილებს ადვილად გასაგების ენით და გონიერულ კითხვებით მიიყვანოს ისინი იქნამდის, რომ იმათ თვითონ გამოიცნან და განსაზღვრონ იგინი. როცა ყმაწვილები ამ გვარად საქმის დაწყებით და წაყვანით ცოტად მაინც გამდიდრდებიან საჭირო, ზემოხსენებულ ელემენტების ცოდნით. მხოლოდ მაშინ შეუძლია მასწავლებელს მიჰყოს ხელი საღმრთო რჯულის ნამდვილ ანუ წესიერად შესწავლას.

ყველა ზემოთ ნათქვამს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საღმრთო ისტორიის შესწავლის დროს მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე უსათუოდ უნდა ხმარობდეს სურათებს და სასწავლებელი წიგნიც კარგი სურათებით უნდა იყოს შემკული. საღმრთო ისტორიის მოთხრობების შესწავლაში სურათებს ორი დიდი მნიშვნელობა აქვსთ: ერთი რომ ყმაწვილებს შინაარსს უადვილებენ, რადგან იმას სათვალჩინოდა ჰხდიან, მეორეც, ყმაწვილები გაიცნობენ და შეისწავლიან იმ ხატებს, რომლებსაც ეკლესიაში ხედვენ.

საღმრთო რჯულის სწავლება ჩვენებურ სკოლებში

არც ერთი საგნის სწავლება ჩვენებურ სასწავლებლებში ისე უკულმართად და ცუდათ არ არის დაყენებული, როგორც საღმრთო რჯულის სწავლება. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ უუმთავრესს მიზეზებზე გვინდა მივაპყროთ მკითხველის ყურადღება.

1. პირველი უმთავრესი მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა ის არის, რომ ჩვენს შვილებს საღმრთო რჯულს უცხო ენაზე ასწავლიან. მთელ ქვეყანაზე, ვგონებ მარტო ქართველებს ეწია ასეთი ბედი. ყოველგან, რომელი სახელმწიფოც გინდა აიღოთ, თვითეულ ხალხს, რომელიც კი იმ სახელმწიფოში შედის, სრული უფლება აქვს მინიჭებული საღმრთო რჯული თვისს საკუთარ დედა ენაზე ასწავლოს სკოლაში თავიანთ შვილებს. ჩვენშიც კი ყველა ქრისტიან და არა ქრისტიან ხალხს: სომხებს, ფრანგებს. თათრებს და სხვ. უფლება აქვს კანონით ასწავლონ თავიანთ შვილებს საღმრთო რჯული დედა ენაზე: მთავრობის სასწავლებლებშიაც მათთვის საკუთარი რჯულის მასწავლებელი არის მთავრობისაგან დანიშნული და ჯილდოსაც იღებს. მხოლოდ მარტო ჩვენი შვილები იძულებული არიან ისწავლონ საღმრთო რჯული სხვა — უცხო ხალხის შვილებთან ერთად!

ამ სამწუხარო მოვლენას, რაღა თქმა უნდა, საშინელი ცუდი ვავლენა აქვს მათ გონებრივ და ზნეობრივ აღზრდა-განვითარებაზე. ეს იმიტომ, რომ თითქმის ყველა სახელმძღვანელოები ამ საგნის შესასწავლათ, პატარა ლოცვებიდამ დაწყებული კატეხიზმომდი, ისეთი ენით არიან დაწერილი და სლავიანური ტექსტებით აჭრელებული, რომ გაუგებრობის გარდა, ხშირად სიცილსაც გვრიან მოსწავლეებს. მე თვითონ კარგად მახსოვს იმ დროიდამ, როცა მე ბედმა ასეთ ბდგომარეობაში ჩამაგდო, როგორ ბაიყუშივით ვიმეორებდით სლავიანურ სიტყვებს: „Единъ Бог во Святой Тройцъ"... ან კიდევ: „Камо пойду отъ лица Твоего и отъ Духа Твоего Камо бъгу? Аще взыду на небо, Ты Томо есы"... და სხვ. არა თუ საბრალო ქართველ მოწაფეებს, არამედ თვით რუსების შვილებსაც-კი არ ესმოდათ კარგად ასეთი ძნელი ადგილები საღმრთო წერილიდგან და სამასხაროდ იმეორებდნენ. სიკვდილამდის არ დამავიწყდება საბრალო ერთი ამხანაგის ბედი. სემინარიის ზემო კლასში ვიყავით და ღვთის მეტყველებიდან ეგზამენი უნდა დაგვეჭირა. მყავდა ამხანაგი, გვარით ცხადაძე. გამოცდის წინახანებში საბრალომ იმოდენი იზეპირა სლავი-

ანური ტექსტები, რომ ტვინის ანთება მოუვიდა და ასეთი უკუღმართი სწავლების მსხვერპლი შეიქმნა.

რა ნაირად ასწავლიან ჩვენს შვილებს საღმრთო რჯულს, ამას ადვილად დაინახავთ თვით სათანადო მთავრობის პროგრამიდამ. ეს პროგრამა ვალად სდებს მასწავლებლებს, არა თუ მაღალ კლასებში, არამედ ჭოსამზადებელსა, პირველსა და მეორე კლასშიც კი საღმრთო რჯული შეასწავლონ პატარა მოწაფეებს პირდაპირ სლავიანური ტექსტის დახმარებით. ასე საქმის წარმოების გამო ამ საგნის სწავლება ჩვენს შვილებს გონება-ზნეობრივ განვითარების ნაცვლად, ზიზღსა და სიძულვილს უბადავს გულში ამ საგნისადმი, რადგანაც იგი ნამდვილ ტანჯვა-წვალებას წარმოადგენს. ეს ყველამ კარგად იცის საკუთარი გამოცდილებით, ვისაც-კი უსწავლია პატარობისას ჩვენებურ სკოლაში.

2. მეორე უმთავრესი მიზეზი ზემოთ მოხსენებული სამწუხარო მოვლენისა ის გახლავთ, რომ საღმრთო რჯულის მასწავლებლები ჩვენებურ სკოლებში სრულიად არ არიან მომზადებულნი თავიანთ მძიმე მოვალეობისთვის. როგორც მოგეხსენებათ, როგორც ყველა საგნების მასწავლებლებისთვის, ისრე საღმრთო რჯულის მასწავლებლისთვის მიუცილებლად საჭიროა იცოდნენ, თვით საგნის გარდა, იმ საგნის სწავლების მეთოდი და დიდაქტიკა, რომლის სწავლებაც მათ უკისრიათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენებურ სკოლებში თქვენ იშვიათად შეხვდებით ისეთ საღმრთო რჯულის მასწავლებელს, რომელმაც ამ საგნის სწავლების მეთოდი ზედმიწევნით იცოდეს. ისინი თითქმის ყველანი ერთნაირ შაბლონით ასწავლიან თავიანთ საგანს და მუდამ იმას ცდილობენ, რომ პროგრამა გაიარონ და თავიანთი უფროსების ყურადღება დაიმსახურონ.

3. ჩვენებურ სასწავლებლებში ჩვენს შვილებს თითქმის ყველაფერს ასწავლიან საღმრთო რჯულიდან, გარდა იმისა, რის ცოდნაც მათთვის ყველაზე უფრო საჭიროა: სლავიანურ ლოცვებს, ძველსა და ახალ აღთქმას რუსულსლავიანურად, კატეხიზმოს სლავიანურად, დოგმათიურსა და ზნეობრივ ღვთისმეტყველებას (სახეში გვაქვს სასულიერო სასწავლებლები), საეკლესიო ისტორიას უძველეს დროიდამ, ყველა ყოფილ წვალებათა აღსარებას, რუსეთის ეკლესიის ისტორიას და ყველა მის სეკტანტების სწავლა-მოძღვრებას, კათოლიკეთა და პროტესტანტთა აღორძინების ისტორიას და მათ ახალ მოძღვრებას და სხვ. ხოლო რაც შეეხება ჩვენი ეკლესიის ისტორიის შესწავლას ქრისტიანობის შემოღებიდამ, ხსენებაც-კი არ არის მისი ჩვე-

ნებურ სასწავლებლებში. ამასაც რომ თავი დავანებოთ, უუსაჭიროესს ლოცვებსაც კი არ ასწავლიან ჩვენს შვილებს სკოლებში თავიანთ საკუთარ დედა ენაზე, ასე რომ იშვიათად შეხვდებით მათ შორის ისეთ მოსწავლეს, რომელსაც „მამაო ჩვენო“-ს წაკითხვა შეეძლოს ზეპირად ქართულად, უკეთუ ოჯახში არ უსწავლია!

ეს სწორედ ასე იყო დღემდის, მაგრამ ეხლა, როგორც ვიცით, გარემოება შეიცვალა და ჩვენ უფლება გვეძლევა ვასწავლოთ ჩვენს შვილებს საღმრთო რჯული სკოლებში საკუთარ დედა ენაზე. რასაკვირველია, ეს სასიამოვნო ამბავია, მაგრამ საკითხი ის არის: ვართ ჩვენ თვითონ მომზადებულნი ამ საქმისთვის, თუ არა? — ცხადია, რომ არა ვართ, რადგანაც ჩვენ არც შესაფერი საჭირო წიგნები მოგვეპოება და არც დახელოვნებული საღმრთო რჯულის მასწავლებლები გვყვანან. მაშასადამე, მიუცილებლად საჭიროა სახელმძღვანელოების შედგენა და გამოცემა, ხოლო მეორე მხრით, საღმრთო რჯულის დახელოვნებული მასწავლებლების მომზადება, რა საშუალებითაც კი შეიძლება.

საღმრთო ისტორია

ძველი აღთქმა

ქვეყნის გაჩენა

თავდაპირველად ღმერთმა გააჩინა ანგელოზები. ანგელოზი არის უსხეულო ზეციური არსება ანუ სული. პირველად ისინი ყველა კეთილნი იყვნენ, მაგრამ შემდეგ ერთი უფროსი ანგელოზთაგანი გაამპარტავანდა: იფიქრა, მეც ღმერთის ტოლი ვარო. იმას სხვებმაც მიბაძეს ზოგიერთებმა და გაარისხეს ღმერთი. ღმერთმა ისინი განდევნა ზეციდან და ამგვარად ბოროტ სულებად გახდნენ. ახლა ჩვენ იმათ ეშმაკებს ვეძახით, რადგანაც ისინი ცდილობენ შეაცდინონ ადამიანები.

შემდეგ ანგელოზებისა ღმერთმა გააჩინა ხილული ქვეყანა ექვსი დღის განმავლობაში.

პირველ დღეს ღმერთმა ბრძანა და გაჩნდა ნათელი, ანუ დღე და ღამე.

მეორე დღეს გააჩინა მან ხილული ცა, ანუ სამყარო. მესამე დღეს ღმერთმა გაჰყო წყალი მიწისაგან და უბრძანა დედამიწას მცენარეების აღმოცენება. მეოთხე დღეს შექმნა ღმერთმა მზე, მთვარე და ვარსკვლავები.

მეხუთე დღეს გააჩინა მან წყალში თევზები და ჰაერში ფრინველები.

მეექვსე დღეს პირველად გააჩინა ღმერთმა ყველა ოთხფეხა ცხოველი და ბოლოს ადამიანი.

მეშვიდე დღეს ღმერთმა განისვენა და უბრძანა ადამს და ევას, რომ იმათაც ეუქმათ მეშვიდე დღეს და ედიდებიათ თავისი გამჩენი ღმერთი. ამ დღეს უწოდა ღმერთმა შაბათი, ანუ დღე განსვენებისა.

ადამი და ევა

პირველი ადამიანი ღმერთმა ამგვარად შეჰქმნა: აიღო თიხა და გააკეთა კაცის სხეული; მერე შთაბერა თავისი უკვდავი სული და გააცოცხლა იგი. პირველ კაცს ღმერთმა დაარქვა ადამი. ადამიანს მისცა ღმერთმა ჭკუა-გონება, გრძნობა და თავისუფლება.

შემდეგ ღმერთმა მოგვარა ადამს ღრმა ძილი; ძილის დროს გამოიღო ცალი გვერდი და გააჩინა მისგან პირველი დედაკაცი, რომელსაც უწოდა ევა. ევა ღმერთმა მისცა ადამს ცოლად და უბრძანა გამრავლდითო.

ადამი და ევა ღმერთმა დაასახლა სამოთხეში, ანუ მშვენიერს ბაღში. აქ ისინი სრულ სანატრელ ცხოვრებაში იყვნენ; იყვნენ უკვდავნი, უცოდველნი, არაფერი ნაკლულევანება და საჭიროება არა ჰქონდათ და ღმერთიც ხშირად ეცხადებოდა მათ.

ადამ და ევას შეცოდება და მათი დასჯა

ადამი და ევა რომ ღმერთმა სამოთხეში დააბინავა. მაშინ უბრძანა, ყოველი ხილი სჭამეთო, მხოლოდ ერთი ხე დაუნიშნა, რომელსაც ეწოდა ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა, და უბრძანა, ამ ხის ნაყოფი არ სჭამოთ, თორემ შესცოდებთ და დაიხოცებითო. ამით ღმერთს უნდოდა გამოეცადა ადამიანი, აღასრულებდა მის ბრძანებას თუ არა.

მაგრამ ეშმაკს შეშურდა ადამ და ევას ბედნიერება და მოინდომა მათი შეცდენა. ერთხელ, როცა ევა სამოთხეში დასეირნობდა და აკრძალულ ხეს დაუახლოვდა, ეშმაკი გველისფრად გამოეცხადა ამ ხეზე და ჰკითხა ევას: „მართლა აგიკრძალათ ღმერთმა ამ ხის ნაყოფის ჭამაო?“ ევამ უთხრა, მართლაო. ეშმაკმა მიუგო, მოუტყუებიხართ ღმერთსაო: თქვენ რომ ეს ხილი სჭამოთ, ღმერთებად იქცევითო. ევას ღმერთზე ეჭვი შეუვიდა, ნაყოფი ძლიერ მოეწონა, შესცდა და სჭამა. მერე ადამსაც მისცა და ისიც შესცდა. როგორც კი ადამმა და ევამ შესცოდეს, ნათელი მოშორდათ. შერცხვათ და შეეშინდათ. ადგნენ, ფოთოლი მიიფარეს ტანზე და დაიმალნენ.

შემდეგ ამისა გამოეცხადათ ღმერთი და ადამს მოუწოდა. საბრალო ადამმა ჯერ ხმა არ გასცა, მერე მოახსენა, მრცხვენია, უფალო! ღმერთმა ჰკითხა, რად შესცოდეო? ადამმა ევას დააბრალა და უფალს უპასუხა, შენ რომ ცოლი მომეცი, მან შემაცდინაო. შემდეგ ღმერთმა ევას ჰკითხა: „ეს რა ჰქენი, დედაკაცო?“ ევამაც გველს დააბრალა, უფალმა ყველანი დასაჯა. ადამს უთხრა: „ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსაო“. ევას უთხრა: „წვალებით შობდე შვილსაო“. გველიც დასწყევლა და უთხრა, მუცლით იცოცე მიწაზე და ადამიანი შენი მტერი იქნებაო.

შემდეგ ადამი და ევა სამოთხიდან განდევნა და კარებზე ანგელო-

ხი დააყენა, რომ აღარ შეეშვა ისინი ედემში. მაგრამ, ამასთანავე მოწყალე ღმერთმა შეიბრალა ადამიანი და აღუთქვა, ქრისტე დაიბადება და ის გიხსნით ამ ცოდვისაგანაო.

კაინი და აბელი

მას შემდეგ, რაც ადამი და ევა ღმერთმა სამოთხიდან განდევნა, ისინი ცხოვრობდნენ სამოთხის მახლობლად და ძლიერ ნაღვლობდნენ, რომ შესცოდეს. გავიდა ხანი და მიეცათ ვაჟი, რომელსაც დაარქვეს კაინი. ადამსა და ევას ეგონათ, სწორედ ეგ არის ღვთისაგან აღთქმული მაცხოვარი, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ: კაინი ბოროტი ადამიანი გამოდგა. როცა მეორე ვაჟი ეყოლათ, დაარქვეს აბელი. კაინი მიწის მუშა იყო, აბელი პირუტყვებს უვლიდა. ერთხელ ორივე ძმებმა ღმერთს მსხვერპლი შესწირეს. კაინმა შესწირა მიწის ნაყოფი, აბელმა საუკეთესო ცხვარი. აბელს ღმერთი სწამდა და წმინდა გულით შესწირა თავისი საღმრთო. ამიტომაც ღმერთმა აბელის მსხვერპლი მიიღო, კაინისა — კი არა, რადგანაც მან ბოროტი გულით შესწირა. კაინი შურით აივსო, ძმა შეიძულა და ბოლოს კიდეც მოკლა საბრალო აბელი.

ამის შემდეგ კაინს ღმერთი გამოეცხადა და ჰკითხა: „შენი ძმა აბელი სად არისო?“ ბოროტმა კაინმა მის ნაცვლად, რომ ეღიარებინა ღვთის წინაშე თავისი ცოდვა და მოენანებია, ამაყად უპასუხა უფალს: „მე რა ვიცი! მე ხომ ჩემი ძმის მცველი არა ვარო!“ ამიტომაც ღმერთმა საშინლად დასაჯა პირველი ძმის მკვლელი. მარად შიშსა და ტანჯვაში იქმნები და მოსვენებას ვეღარ ეღირსებიო, უბრძანა ღმერთმა. კაინმა იგრძნო საშინელი თავისი მდგომარეობა და სიკვდილი ირჩია, მაგრამ ღმერთმა ნიშანი დასდო და უთხრა, ვინც შენ მოგკლავს, შვიდჯერ მომეტებულად დავსჯიო. კაინმა, რასაკვირველია, მშობლებთან ვეღარ იცხოვრა, მოშორდა მათ და ცალკე დადგა. ამ ამბავმა ძლიერ შეაწუხა საბრალო ადამი და ევა, მაგრამ ისინი ღმერთმა იმით ანუგეშა, რომ მესამე ვაჟი მისცა, რომელსაც სახელად სეითი დაარქვეს.

ნაღვლა

ადამისა და ევას შემდეგ ხალხი გამრავლდა კაინისა და სეითისაგან. სეითის შთამომავლობა ღვთის მორწმუნე იყო, კაინის შთამომავლობამ კი დაივიწყა ღმერთი. ამიტომ სეითის შთამომავლობას უბრძანა ღმერთმა, არ აირიოთ კაინისაგან წარმომდგარ ხალხთანაო. მაგრამ

ასეთის შთამომავლობამ არ აღასრულა ღვთის ბრძანება და თვითონაც დაიკიწყა ღმერთი. ამიტომ ღმერთმა საშინლად დასაჯა გარყვნილი ხალხი.

იმ დროს ქვეყანაზე ცხოვრობდა ერთი ღვთისმოყვარე კაცი, პატრიარქი (მამამთავარი) ნოე. ნოეს გამოეცხადა ღმერთი და უბრძანა, უქადაგე ხალხს და მოარჯულეო. ნოე ასწავლიდა ხალხს, მაგრამ ვერა შეასმინა-რა. მაშინ ღმერთმა უბრძანა ნოეს, ერთი დიდი კიდობანი ააშენეო. მან აღასრულა ღვთის ბრძანება: ააშენა კიდობანი და გაფისა, რომ წყალი არ შესულიყო. მერე, ღვთის ბრძანებით, შევიდა შიგ თავისი ცოლ-შვილით და თან შვიდ-შვიდი წყვილი წმიდა ცხოველი შეიყვანა და ორ-ორი წყვილიც უწმინდური, ესე ივი, ისეთი ცხოველები, რომლებსაც მსხვერპლად არა ხმარობდნენ.

შემდეგ ამისა დაუშვა საშინელი წვიმა და ორმოცი დღე და ღამე იწვიმა. ისეთი წარღვნა მოვიდა, რომ მთელი დედამიწა წყალმა დაფარა. არავინ გადარჩენილა ცოცხალი მათ გარდა, ვინც კიდობანში იყო. როცა წყალმა იკლო, კიდობანი არარატის მთაზე გაირიყა. ნოემ პირველად ყორანი გამოუშვა კიდობნიდან, მაგრამ ყორანი უკან დაბრუნდა. შემდეგ მტრედი გამოუშვა; მტრედიც უკან მიფრინდა. ერთი კვირის შემდეგ ისევ ყორანი გაუშვა. ყორანი აღარ დაბრუნებულა. მერე გაუშვა მტრედი, რომელმაც ზეთისხილის ყვავილი მოუტანა ნისკარტით. მაშინ ნოე გამოვიდა კიდობნიდან თავის საბლობით და ღმერთს საღმრთო შესწირა გადარჩენისათვის. ღმერთმა საღმრთო მიიღო და აღუთქვა ნოეს, რომ ესეთი წარღვნა არასოდეს აღარ იქნებაო. ნიშნად ცისარტყელა მისცა.

ნოეს შვილები

ნოეს სამი ვაჟი ჰყავდა: სიმი, ქამი და იაფეტი. იმათგან ქამი ბოროტი კაცი გამოდგა. წარღვნის შემდეგ ნოე არარატის მთის მახლობლად დაბინავდა და ვენახი გააშენა. როცა ყურძენი დამწიფდა, ნოემ ტკბილი დააყენა. არ იცოდა თუ ღვინო ადამიანს დაათრობდა და მომეტებული დალია. დასუსტდა და თავის კარავში დაიძინა. ძილის დროს, თურმე, ტანისამოსი გადახდოდა და გატიტვლებულიყო. ამ დროს ქამი მოვიდა, დაინახა ტიტველი მამა და დასცინა. მერე თავის ძმებსაც დაუძახა, მოდით, ნახეთ, მამას რა მოსვლიაო. როცა სიმი და იაფეტი მოვიდნენ, დაცინვის ნაცვლად, თვალები დახუჭეს, ისე მიუახლოვდნენ მძინარე მშობელს და დახურეს. ნოეს რომ გა-

ზოელვიძა. შეიტყო ეს ამბავი, ქამი დასწყევლა და უთხრა, რომ, როცა ხალხი გამრავლდება, მაშინ შენი შთამომავლობა შენი ძმების შთამომავლობის მონებად გახდებიანო. სიმი და იაფეტი კი აკურთხა და აღუთქვა გამრავლება და ბედნიერება. ამას გარდა, სიმს უთხრა, შენი შთამომავლობა ღვთისმოსავი იქნება და ქრისტეც შენგან წარმოსდგებაო.

ბაბილონის გოდოლი

წარღვნის შემდეგ ხალხი კვლავ გამრავლდა ნოეს შვილებისაგან, მაგრამ ეს ხალხი რამდენიც ხანი გადიოდა, სულ თანდათან ივიწყებდა ჭეშმარიტს ღმერთს. ბოლოს სულ ურწმუნო შეიქმნა და კერპებსა სცემდა თაყვანს. მაგრამ ის კი ახსოვდა, როგორ დასაჯა ნოეს დროს ღმერთმა ცოდვილი ხალხი და ამიტომაც ძლიერ ეშინოდა, კიდევ წარღვნა არ მოვიდესო. ამიტომ არჩიეს და გადაწყვიტეს, ავაშენოთ ერთი ისეთი მაღალი კოშკი ანუ გოდოლი, რომ ცას ასწვდესო; თუ კიდევ წარღვნა მოვიდა, შიგ შევაფაროთ თავი. თუ არა-და, სახსოვრად მაინც დაგვრჩებაო. შეუდგნენ კიდეც ესეთი გოდოლის შენებას. მაგრამ ამ განზრახვისათვის აი როგორ დასაჯა ისინი ღმერთმა: აურია იმათ ენა და სხვადასხვა ენაზე დაიწყეს ლაპარაკი, ასე რომ ერთმანეთისა აღარ ესმოდათ-რა. ამიტომ დაწყებული კოშკი ველარ დაასრულეს, დაანებეს თავი, გაიბნენ აქეთ-იქით და ცალკე იწყეს ცხოვრება. ამგვარად წარმოდგნენ სხვადასხვა ხალხები, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. რადგანაც იმ ქალაქს, სადაც ისინი კოშკის აშენებას შეუდგნენ, ბაბილონი ერქვა, ამიტომ კოშკსაც ბაბილონის გოდოლი უწოდეს.

აბრაამი

ბაბილონის გოდოლის შემდეგ ხალხს, რაკი ერთ ადგილს აღარ ცხოვრობდა, სრულიად დაავიწყდა ჭეშმარიტი ღმერთი. მხოლოდ ერთადერთი ღვთისმოყვარე პატრიარქი ცხოვრობდა იმ დროს ქვეყანაზე, რომელსაც აბრაამი ერქვა. ღმერთი გამოეცხადა აბრაამს და უბრძანა, დაანებე თავი შენს სამშობლოს და ქანაანის ქვეყანაში გადასახლდიო. აბრაამმა აღასრულა ღვთის ბრძანება: წაიყვანა თავისი ცოლი სარრა, მამა, ძმისწული ლოტი და თავის ყოფაცხოვრებით გაემგზავრა ქანაანის ქვეყანაში. გზაზე მოხუცი მამა მოუკვდა. როცა დანიშნულ ადგილს მიაღწია, აირჩია ადგილი, დადგა კარვები და და-

ბინავდა. აქ აბრაამს კვლავ გამოეცხადა ღმერთი და აღუთქვა, რომ ამ ადგილს სულ შენ შთამომავლობას დაუმკვიდრებო. გადასახლების შემდეგ აბრაამს ქანაანის ქვეყანაში ერთი საწყენი საქმე შეემთხვა: ლოტი მას ისე ფუყარდა, როგორც საკუთარი შვილი. მაგრამ აბრაამს და ლოტს — ორივეს ჯოგები ჰყავდათ; მათ მწყემსებს საბალახოზე ჩხუბი მოუვიდათ. ლოტი თავის მწყემსებს დაექომაგა. აბრაამს ეს ეწყინა და თავის ძმისწულს უთხრა: ჩხუბსა და უკმაყოფილებას ისა სჯობია, რომ გავიყარნეთო. აირჩიე, სადაც გინდა ადგილი და შენთვის დაბინავდიო. ლოტმაც აირჩია მშვენიერი ადგილი სოდომის ქალაქის მახლობლად და თვითონ სოდომში გადასახლდა. მაგრამ მას იმავე წელიწადს დიდი უბედურება შეემთხვა. სოდომელები აძლევდნენ ხარჯს ელამის მეფეს. იმ წელიწადს, როცა ლოტი სოდომში დასახლდა, უარი უთხრეს. გაჯავრებული მეფე დაეცა თავს სოდომელებს და ტყვედ წაასხა. სხვათა შორის ლოტიც დაატყვევა. ეს ამბავი რომ აბრაამმა გაიგო, შეჰყარა თავისი ყმები, მეზობელი ხალხებიც მოიშველა, გამოუდგა ელამის მეფეს უკან, სძლია და გაათავისუფლა თავისი ძმისწული. ამ გამარჯვებამ დიდი სახელი მოუხვეჭა აბრაამს. წინ მრავალი მეფე მიეგება. სხვათა შორის მიეგება აბრაამს სალემის მეფე მელქისედეკი, პური და ღვინო მიართვა და დალოცა. ეს მეფე იმით იყო შესანიშნავი, რომ მას ჭეშმარიტი ღმერთი სწამდა.

სამი მგზავრის გამოცხადება აბრაამთან

აბრაამი მოხუცდა და ვაჟი არა ჰყავდა, თუმცა მრავალჯერ აღუთქვა ღმერთმა, რომ დიდი შთამომავლობა გეყოლებაო. ერთხელ აბრაამი თავისი კარავის წინ იჯდა დაღონებული. ამ დროს სამი მგზავრი დაინახა. ადგა, მგზავრებს წინ მიეგება, მდაბლად თავი დაუკრა, მიიპატიჟა და გაუმასპინძლდა. პურის ჭამის დროს აბრაამს ერთმა მგზავრმა გამოუცხადა, რომ ერთი წლის შემდეგ ვაჟი გეყოლებაო. ეს ლაპარაკი მოხუცებულმა სარრამ გაიგონა და გაეცინა. მაშინ მგზავრმა უთხრა აბრაამს: „როცა ვაჟი მოგეცემა, ისააკი უნდა დაარქვაო“. ისააკი ნიშნავს სიცილს. აბრაამი მიხვდა, რომ ის მგზავრები უბრალო ადამიანები არ იყვნენ. მართლაც, ერთი მათგანი თურმე ღმერთი იყო და ორი ანგელოზი. მეორე დღეს მგზავრები სოდომისაკენ წავიდნენ.

სოდომისა და გომორის დასჯა

აბრაამმა თავისი სტუმრები გააცილა. ორი მგზავრი დაწინაურდა და უფალი და აბრაამი ერთად დარჩნენ. მაშინ ღმერთმა გამოუცხადა აბრაამს, რომ სოდომელები უნდა დაეღუპოო. აბრაამი შეეეედრა უფალს, მიუტევე, თუ სოდომში ორმოცდაათი ადამიანი მაინც აღმოჩნდეს მართალიო. კაცთმოყვარე ღმერთი დათანხმდა, მაგრამ, არა თუ ორმოცდაათი, ხუთიც არ აღმოჩნდა სოდომში მართალი ადამიანი, ისეთი გარყვნილი იყვნენ სოდომელები. შემდეგ აბრაამი და უფალი გაშორდნენ ერთმანეთს.

ორი მგზავრი, რომლებიც დაწინაურდნენ, საღამოს სოდომს მიუახლოვდნენ. ლოტი იმ დროს ქალაქის კარებთან იყო და როცა უცხო მგზავრები დაინახა, მიეგება წინ, თავი დაუკრა და მიიპატიჟა. სოდომელები, როცა ლოტთან მისული მგზავრები ნახეს, მივიდნენ და ლოტს უთხრეს, მგზავრები უნდა მოგვცეო. ლოტი შეეხვეწა ხალხს, ოღონდ ამათ ხელს ნუ ახლებთ და ჩემი გასათხოვარი ქალები წაიყვანეთო. ხალხი გაჯავრდა, მოინდომა კარების გატეხა და მგზავრების ძალად წაყვანა, მაგრამ ანგელოზებმა დააბრმავეს ისინი.

დილით ანგელოზებმა უბრძანეს ლოტს, წაიყვანე შენი ცოლ-შვილი და ისე საჩქაროდ გადი ქალაქიდან, რომ უკან არ მოიხედოთო. ლოტმა აღასრულა მათი ბრძანება, მაგრამ მისმა ცოლმა ვეღარ მოითმინა და უკან მიიხედა. ის მაშინვე მარილის სვეტად გადაიქცა.

როგორც კი ლოტი ქალაქს მოშორდა, სოდომს ცეცხლის წვიმა დაეცა და სულ ერთიანად ამობუგა. იმ ადგილს, სადაც ქალაქი იყო, დიდი ტბა გაჩნდა.

ისაკის მსხვერპლად შეწირვა

ღვთის ბრძანება აღსრულდა: მოხუცებულ აბრაამს მიეცა ვაჟი, რომელსაც დაარქვა ისაკი. მაგრამ, როცა ისაკი გაიზარდა, ღმერთმა გამოსცადა აბრაამი და უბრძანა მას: „ეგ შენი საყვარელი შვილი მსხვერპლად შემომწირეო“. აბრაამს ძლიერ ებრალებოდა თავისი ვაჟი, მაგრამ მაინც ღვთის ბრძანების ასრულება არჩია. ერთ დილას აკიდა სახედარს შეშა, თან ცეცხლი და დანა წაიღო, ისაკიც წაიყვანა და წავიდა დანიშნულ ბინაზე. როცა ავიდნენ მთაზე, აბრაამმა გააკეთა საკმხვერპლო, დააწყო შეშა, შეუკრა ხელები ისაკს, ამოიღო დანა და უნდოდა დაეკლა. მაგრამ ამ დროს მოესმა ზეციდან ხმა:

„ვიცი, გეშინიან ღვთისა და არ ზოგავ ჩემთვის საყვარელ შვილსათ!“ აბრაამი გაჩერდა. ამგვარად მან აღასრულა ღვთის ბრძანება და ისააკიც ცოცხალი დარჩა. ამ დროს აბრაამმა დაინახა ბუჩქებში ცხვარი, და ის შესწირა ღმერთს.

ისააკის დაქორწინება

როცა აბრაამი მოხუცდა, მოინდომა ისააკის დაქორწინება. მან დაიბარა ერთი თავისი ერთგული მონა, მისცა საჩუქრები სარძლოსთვის და გაგზავნა ქალდეველთა ქვეყანაში, სადაც უწინ იგი ცხოვრობდა და უბრძანა ისააკისათვის საცოლე ამოერჩია. მონამ აღასრულა აბრაამის ბრძანება. ქალდეველთა ქვეყანაში რომ მივიდა, ერთ ჭასთან ჩამოხტა. აქ ის შეევედრა ღმერთს: ღმერთო, ის ქალი მოიყვანე აქ, რომელიც ისააკის საბედო არისო. ამას ისიც დაუმატა, რომ, რომელი ღასათხოვარი ქალიც ეხლა იქ მოვა და მე და ჩემს აქლემს წყალს დაგვალევინებს, ის უნდა იყოს ისააკის საცოლეო. ამ დროს. მართლაც, მოვიდა ჭურჭლით ერთი ახალგაზრდა ქალი და ამოიღო ჭიდან წყალი. აბრაამის მონამ წყალი სთხოვა. ქალმა მიართვა მას წყალი და აქლემსაც დაუსხა. მაშინ მონამ იმ ქალს ვინაობა გამოჰკითხა. ქალმაც უთხრა, ვისი შვილიც იყო. მონამ ჰკითხა: „არ შეიძლება შენი მშობლებისას ღამე გავათიო?“ ქალი შინ გაიქცა და მამას და ძმას შეატყობინა. იმ ქალის ძმა ლაბანი გამოეგება სტუმარს და მიიპატიჟა. აქლემებს ბინა მისცეს და აბრაამის მონაც ვახშმად მიიწვიეს. მაგრამ მონამ არაფერი არა სჭამა, სანამ ყველაფერი არ უამბო ქალის მშობლებს და არა ჰკითხა: „მისცემთ თქვენს ქალს ისააკს თუ არაო?“ მათ უპასუხეს, რადგანაც ეს საქმე ღვთის განგება ყოფილა, ჩვენ უარი როგორ შეგვიძლიაო. მაშინ აბრაამის მონამ ამოიღო საჩუქრები და მიართვა ქალს. რომელსაც რებეკკა ერქვა. მონა იმ ღამეს იქ დარჩა. მეორე დღეს მშობლებმა დალოცეს რებეკკა, დაარიგეს და გამოისტუმრეს. როცა მონა და რებეკკა აბრაამის სახლის კარებს მიუახლოვდნენ, ისააკი საცოლეს წინ მიეგება და მიიღო. შემდეგ დაქორწინდა და ამგვარად რებეკკა მისი ცოლი გახდა.

ისააკის შვილები

ოცი წელიწადი გავიდა მას შემდეგ. რაც ისააკი დაქორწინდა, მაგრამ შვილი არ მისცემია. ბოლოს ეყოლა ერთად ორი ვაჟი: ისავი და იაკობი. თუმცა ისინი ტყუპები იყვნენ, მაგრამ უფროსად მაინც ისავი

ითვლებოდა, რადგანაც პირველად ის დაიბადა. ამიტომ კურთხევაც მას უნდა რგებოდა, მაგრამ პირველობას იგი არ აფასებდა და ამიტომაც დაკარგა. ერთხელ თავისი უფროსობა მან იაკობს უბრალო შეჭამადში გაუცვალა.

ისაავს ძლიერ უყვარდა ნადირობა და მომეტებული ნაწილი გარეთ ცხოვრობდა. ამიტომაც ვერ იყო კარგი ხასიათისა. იაკობი კი შინა კაცი იყო, დედ-მამას არა სცილდებოდა, მორჩილი და ღვთისმოყვარე იყო. დედას იგი ისავზე უფრო უყვარდა.

როცა ისააკი ძლიერ მოხუცდა, თვალს დააკლდა და იგრძნო სიკვდილის მოახლოვება. ერთხელ მან დაუძახა ისავს და უთხრა: „წადი, შვილო, ინადირე, მომიმზადე საჭმელი და გაკურთხებო". ისავი წავიდა სანადიროთ. ეს რომ რებეკამ გაიგო, დაუძახა თავის საყვარელ შვილს იაკობს, დააკვლევინა ციკანი და მოამზადა საჭმელი. მერე მისცა იაკობს და უთხრა, წაუღე მამას, უთხარი, მე ვარ ისავი-თქო და გაკურთხებსო. ხელებზედაც ციკნის ტყავი შემოაკრა, რადგან ისავს ტანი ბალნით ჰქონდა შემოსილი. იაკობმა აღასრულა დედის ბრძანება. ისააკი, მართლაც, მოტყუვდა; მან აკურთხა იაკობი და ამგვარად გადასცა მას პირველობა.

ისავი რომ ნადირობიდან დაბრუნდა და მამასთან შევიდა, შვიტყო, რაც მომხდარიყო, გაჯავრებულმა ძმის მოკვლა განიზრახა, მაგრამ იაკობი, დედის რჩევით, თავის ბიძასთან ლაბანთან გაიქცა მესოპოტამიაში.

იაკობის სიზმარი და ლაბანთან ყოფნა

იაკობი რომ ლაბანთან გაიქცა, გზაზე ძლიერ დაიღალა და, როცა ნაზე ჩავიდა, დაწვა მოსასვენებლად, მაგრამ ძლიერ დაღონებული იყო და ასე ეგონა, ქვეყანაზე პატრონი არ გააჩნდა. როცა დაეძინა, ერთი საკვირველი სიზმარი ნახა: დედამიწიდან ცამდის კიბე იყო აყუდებული, ზედ ანგელოზები ჩამოდიოდნენ და ადიოდნენ, სულ თავში ღმერთი ბრძანდებოდა და ეუბნებოდა იაკობს: „მე ვარ ღმერთი აბრაამისა და მამისა შენისა ისააკისაო, ნუ გეშინიაო, სადაც უნდა წახვიდე, შენი მფარველი ვიქნებიო და მშვიდობით დაგაბრუნებ სამშობლოშიო".

იაკობს შიშით გამოეღვიძა და უწოდა იმ ადგილს სახლი ღვთისა. ბიძამ იაკობი სიხარულით მიიღო. იაკობი ოცი წელიწადი დარჩა მასთან, ცოლად მისი ქალი შეირთო, ბევრი შვილი მიეცა და სიმდიდრეც შეიძინა.

ოცი წლის შემდეგ თავის სამშობლოში დაბრუნდა ცოლ-შვილით და ჯოგით. ამ ხნის განმავლობაში ისავმა მტრობა დაივიწყა და სიყვარულით მიეგება თავის ძმას. მამაც ცოცხალი დახვდა იაკობს და, სანამ არ გარდაიცვალა, ერთად ცხოვრობდნენ.

იოსების გაყიდვა

იაკობს სულ თორმეტი ვაჟი ჰყავდა. ყველაზე უფრო თავისი უმცროსი ვაჟი იოსები უყვარდა. ფერად ტანისამოსს აცმევდა და თავიდან არ იშორებდა. ძმებს ეშინოდათ, მამამ პირველობა მას არ გადასცესო და ამიტომ შურით უყურებდნენ. მაგრამ შემდეგ შური მტრობად გადაექცათ და მოკვლა მოინდომეს, როცა იოსებმა მათ ორი სიზმარი უამბო. ერთხელ იოსებმა უთხრა ძმებს, რომ სიზმარში ვნახე, ვითომც ჩვენ ყველანი ყანაში ვიყავით და კონებსა ვკრავდითო. ჩემი კონა შუაზე იდგა და თქვენი კონები-კი მას თაყვანსა სცემდნენო. მეორედ უამბო, რომ, ვითომც, სიზმარში მზე, მთვარე, და თერთმეტი ვარსკვლავი თაყვანსა მცემდნენო. ძმებმა თქვეს: „ეგ უთუოდ იმას ფიქრობს, რომ ჩვენ ყველანი მაგის თაყვანისმცემლები გავხდეთო". ერთხელ იოსების ძმები ცხვარში იყვნენ და დიდხანს დარჩნენ იქ. მამამ იოსები გაგზავნა ამბავის შესატყობად. როცა ძმებმა იოსები დაინახეს, გადაწყვიტეს მისი მოკვლა. მაგრამ ამ დროს მომავალი ეგვიპტელი ვაჭრები დაინახეს და იმათ მიჰყიდეს. მისი ტანისამოსი სისხლში გასვარეს, მამას წაუღეს და უთხრეს, გზაზე ვიპოვეთო. საბრალო იაკობმა იფიქრა, უთუოდ მხეცს შეუჭამიაო, ბევრი იტირა და იგლოვა, მაგრამ რას უშველიდა.

იოსების ამაღლება ეგვიპტეში

ვაჭრებმა იოსები ეგვიპტეში წაიყვანეს და იქ ერთ დიდ კაცს, პენტეფრის მიჰყიდეს. მან იოსები ერთგულებისათვის მოურავად დააყენა, მაგრამ ცოლი მისი ბოროტი დედაკაცი იყო და ერთხელ იოსები დააბეზღა ქმართან. იოსები საპყრობილეში ჩასვეს. იოსები იქაც კარგად იქცეოდა და ამიტომ ტუსაღების უფროსად დააყენეს.

იმ დროს საპყრობილეში ეგვიპტის ხელმწიფის ფარაონის მეღვინეთა და მეპურეთა უფროსები ისხდნენ. იმათ ერთხელ იოსებს თავიანთი სიზმარი უამბეს. მეღვინეთუფროსმა უამბო, სამი მტევანი ყურძენი მქონდაო, მტევნები დავწურე და აზარფეშით მეფეს ღვინო მივართვიო. იოსებმა უთხრა, შენ მალე გაგათავისუფლებენ და

შენს ადგილს ჩავაბარებენო. მეპურეთუფროსმა უამბო, ვითომც თავზე სამი კალათა ედგა. შიგ პურები ეწყო და ფრინველები კენკავდნენ. იოსებმა უპასუხა, შენ ჩამოგახრჩობენ და შენს სხეულს ფრინველები დაუწყებენ კენკვასაო. იოსების სიტყვა ასრულდა: მეღვინეთუფროსი გაათავისუფლეს, მეპურეთუფროსი ჩამოახრჩეს.

ორი წლის შემდეგ თვით ეგვიპტის მეფემ ორი საკვირველი სიზმარი ნახა. პირველად ნახა სიზმარი. ვითომც. ნილოსის მდინარიდან შვიდი მსუქანი და შვიდიც მჭლე ძროხა გამოვიდა. მჭლე ძროხებმა მსუქნები შეჭამეს და ისევ მჭლედ დარჩნენ. მეორედ ნახა სიზმარში შვიდი თავთავი სავსე. შვიდიც ცარიელი. ცარიელმა თავთავებმა სავსე თავთავები შეჭამეს. მაგრამ ისევ ცარიელი დარჩნენ. მეორე დღეს ფარაონმა დაიბარა თავისი გამოჩენილი ბრძენები და უამბო სიზმრები. მაგრამ ვერავინ ვერ აუხსნა.

იმ დროს მეღვინეთუფროსს მოაგონდა იოსები და მოახსენა მეფეს. რომ საპყრობილეში ერთი ახალგაზრდა ურია ზის და უთუოდ ეკი აგიხსნით თქვენ სიზმრებსაო. იოსები მაშინვე მოიყვანეს. იოსებმა. მართლაც. ასე აუხსნა ფარაონს სიზმრები: შენს სახელმწიფოში შვიდ წელიწადს კარგი მოსავალი იქნებაო, მერე კი შვიდი წლის განმავლობაში არაფერი არ მოვაო. მეფემ დააჯილდოვა იოსები. პირველი ადგილი მისცა და უბრძანა, როცა კარგი მოსავალი იქნება, მოაგროვე პური და შეინახეო.

იოსების სიტყვა გამართლდა: შვიდ წელიწადს კარგი მოსავალი და იაფობა იყო. იოსებმა ბევრი პური შეაგროვა. მერე კი შვიდ წელს არა მოვიდა რა და საშინელი შიმშილი გაჩნდა. იოსებმაც გააღო სახელმწიფო მაღაზიები და დაუწყო პურს ყიდვა. ხალხი მოდიოდა და ყიდულობდა იაფად პურს.

იოსების ძმების მისვლა ეგვიპტეში და იაკობის გადასახლება

როცა შიმშილობის დროს იაკობმა გაიგო, ეგვიპტეში პური იყიდებაო, გაგზავნა თავისი შვილები პურის საყიდლად. იოსებმა ბრძანება გასცა, ვინც კი სხვა ქვეყნიდან პურის საყიდლად მოვიდეს, ჩემთან მოიყვანეთო. ამიტომ, როცა მისი ძმები ეგვიპტეში მივიდნენ, მაა წარუდგინეს. იოსები მეფესავით იყო ჩაცმული და ძმებმა ვერ იცნეს. იოსებმა კი მაშინვე იცნო, მაგრამ, რადგანაც მათი გამოცდა უნდოდა. თარჯიმანის პირით დაუწყო ლაპარაკი. იოსებს უნდოდა გამოეცადა თავისი ძმები. თუ რაოდენად გასწორდნენ ისინი მისი გაყიდვის შემდეგ და დიდხანს არ გაუმბილა. რომ იმათი ძმა იყო: ხან

ქეიუნის. გაჩენა

ადამ და ევას შეცოდება და მათი დასჯა

წარღვნა

აბრაამი

ხმი მეზავრის გამოცხადება აბრაამთან

ოსიბის გაყიდვა

იობი

მოხე წინასწარმეტყველი



ორმოცი წლის მოგზაურობა ებრაელთა



მეფე სოლომონ ბრძენი

ილია წინასწარმეტყველი

იონა წინასწარმეტყველი

სოლომონია და მისი ვაჟები

ღვთის-მშობლობა და ტაძრად მიყვანება



ხარებობა

ქრისტეს შობა

მირქმა ქრისტესი

ნათლის ღება

ფერისცვალება

რა დასწამა და ხან რა. მხოლოდ მაშინ გატყდა, როცა მისი ძმები ხელმეორედ მივიდნენ ეგვიპტეში პურის საყიდლად და იოსების პრიალნებით, თავიანთი უმცროსი ძმაც მოიყვანეს. ძმებს ძლიერ შეეშინდათ. ასე ეგონათ, იოსები მაგიერს გადაგვიხდისო, მაგრამ იოსები სიყვარულით მოეპყრო. შინ გაგზავნა და შეუთვალა მამას, ეგვიპტეში გადმოსახლდიო. მოხუცებულ იაკობს ძლიერ გაეხარდა, როცა შეიტყო თავისი დაკარგული შვილის სიცოცხლე და გაემგზავრა თავისი სახლობით ეგვიპტეში. იოსებმა დიდი ამბით მიიღო მამა და წარუდგინა თვითონ ხელმწიფეს. ფარაონსაც დიდი პატივით ინახულა იაკობი და მშვენიერი აღგილიც აჩუქა სამოსახლოდ. ამგვარად იაკობი გადასახლდა ეგვიპტეში.

შვილების კურთხევა იაკობის მიერ

ეგვიპტეში გადასახლებიდან შემდეგ იაკობმა კიდევ ჩვიდმეტი წელიწადი იცოცხლა. სიკვდილის წინ ხან მოიხმო როგორც თავისი შვილები, ისე იოსების შვილებიც და აკურთხა ყველანი. ყველას უწინასწარმეტყველა. რა ბედიც მოელოდა იმათ შთამომავლობას, პირველობის უფლება გადასცა თავის მეოთხე შვილს იუდას. ამას გარდა, იაკობმა უწინასწარმეტყველა იუდას, რომ შენი შთამომავლობა იმეფებს ებრაელთა შორის იმ დრომდის, სანამ მაცხოვარი არ მოვალ. ბოლოს ანდერძად დაუტოვა შვილებს. იქ დამმარხეთ. სადაც აბრაამი და ისაკი განისვენებენო და გარდაიცვალა. იოსებმა აღასრულა მამის ანდერძი.

მამის სიკვდილის შემდეგ იოსებმა სამოცი წელიწადი იცოცხლა კიდევ და ძლიერაც შეელოდა თავის ძმებს. ვის შემდეგ იაკობის შვილების შთამომავლობა ისე გამრავლდა ეგვიპტეში, რომ დიდ ხალხად გადაიქცა. რადგანაც იაკობს თორმეტი ვაჟი ჰყვდა, ამიტომ ეს ხალხი თორმეტ ნაწილად გაიყო. პირველად ებრაელები ცალკე ცხოვრობენ ეგვიპტეში, თავისი საკუთარი სარწმუნოება და თავისი ზნე-ჩვეულება ჰქონდათ. მაგრამ რაკი ძლიერ გამრავლდნენ, დაუახლოვდნენ ეგვიპტელებს და ცუდი ჩვეულება შემოიღეს. მაშინ ღმერთმა დასჯა ისინი თვით ეგვიპტელების ხელით.

როცა ებრაელები ძლიერ გამრავლდნენ, ეგვიპტელებს შეეშინდათ, ჩვენს ქვეყანას არ დაპატრონდნენო და დაუწყეს მათ ტანჯვა. მაგრამ ებრაელების რიცხვმა არა თუ არ იკლო, კიდევ უფრო იმატა. მაშინ ეგვიპტის ხელმწიფემ ფარაონმა გამოსცა ბრძანება, როცა ებ-

რაელს ვაჟი დაებადოს, მაშინვე წყალში გადააგდეთო. ამ გაჭირვებაში მოაგონდათ ებრაელებს ჭეშმარიტი ღმერთი და შეუდგნენ სინანულს.

იობი

იმ დროს, როცა ებრაელები ეგვიპტეში იმყოფებოდნენ, არაბეთში ერთი შესანიშნავი კაცი, იობი ცხოვრობდა. ის იმითი იყო შესანიშნავი, რომ ჭეშმარიტი ღმერთი სწამდა და განთქმული იყო თავისი ქველმოქმედებით. ამას გარდა, მდიდარი კაცი იყო, შვიდი ვაჟი ჰყავდა და სამი ქალი. მის ვაჟებს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი, ყოველ დღეს იკრიბებოდნენ ხან ერთთან, ხან მეორესთან და ასე ატარებდნენ დროს. ყოველ მეშვიდე დღეს მამა დაიბარებდა ხოლმე შვილებს და შესწირავდა მათთვის უფალს საღმრთოს.

ღმერთმა ინება ეჩვენებინა ხალხისათვის მაგალითი, თუ როგორ მომთმენი და სულგრძელი უნდა იყოს ადამიანი, როცა მას რაიმე უბედურება შეემთხვევა ხოლმე და ამისთვის მიუვლინა იობს საშინელი გამოცდა. მას ერთ დღეს დაეღუპა თავისი საცხოვრებელი და სიმდიდრე და ამგვარად ეს მდიდარი კაცი ერთბაშად გაღარიბდა. მერე ერთ დღეს, როცა ყველა მისი შვილი უფროს ძმასთან იყვნენ შეკრებილნი, ამოვარდა ერთბაშად საშინელი ქარი, დააქცია სახლი და ყველანი ამოწყვიტა. მაგრამ იობს ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს ღვთის საწყენი. მან მადლობა შესწირა უფალს და თქვა: „ტიტველი დაებადებულვარ დედის მუცლიდან და ტიტველი ჩავალ საფლავშიო: ყველაფერი ღვთის წყალობა იყო და მანვე წამართვაო". ყველა ამ უბედურებათა გარდა ერთი საშინელი განსაცდელი შეემთხვა კიდევ იობს. მას შეეყარა ისეთი საშინელი გადამდები სენი, რომ სიცოცხლით დაულპა მთელი სხეული. რადგანაც ეს სნეულება გადამდები იყო, საბრალო იობი წაიყვანეს ქალაქგარეთ და იქ დააწვინეს. ყველამ თავი დაანება. ცოლი კი საყვედურით ეუბნებოდა: „სად არის შენი სარწმუნოება და კეთილი საქმეო? რატომ არა გშველის ღმერთიო? სჯობს ჰგმო იგი, იქნება ბოლო მაინც მოგიღოსო". ყველას ასე ეგონა, იობი დიდი ცოდვილი იყო და მის გამო იტანჯებოდა ასე საშინლად. მაგრამ იობი კი საკვირველი სულგრძელობით ითმენდა ყველაფერს და ერთხელაც არ უგმია ღმერთი.

ამგვარი მოთმინებისათვის ღმერთმა ხელახლად დააჯილდოვა იობი. იგი სრულიად მორჩა და უწინდელზე უფრო გამდიდრდა. გარდა

ამისა, მას კვლავ მიეცა შვიდი ვაჟი და სამი ქალი. შემდეგ ამისა იობმა კიდევ ოცდაათს იცოცხლა და ბედნიერად გარდაიცვალა ღრმა მოხუცებაში.

მოსე წინასწარმეტყველი

იმ დროს, როცა ეგვიპტის მეფემ ფარაონმა ბრძანება გამოსცა, ყველა ახლადშობილი ებრაელთა ვაჟები მდინარეში გადააგდეთო, ერთ ებრაელს დაებადა შესანიშნავი ყმაწვილი. დედამ იგი სამი თვე დამალა, მაგრამ მერე შეეშინდა მთავრობისა და ამიტომ ჩასვა ყმაწვილი გაფისულ კალათაში, მისცა კალათა თავის ქალს მარიამს და უთხრა, წაიღე და ნილოსის მდინარის ნაპირას დასდეო. როცა მარიამმა დედის ბრძანება აღასრულა, ნილოსის მდინარეზე მობრძანდა მეფის გასათხოვარი ქალი საბანაოდ. აქ მას მოესმა ყმაწვილის ტირილი. ის მაშინვე მიხვდა, რომ ეს საწყალი ურიის ყმაწვილი იქნებაო და უბრძანა გამზრდელებს მოეტანათ კალათა. კალათაში მშვენიერი ყმაწვილი იწვა. მეფის ქალს შეებრალა იგი, წაიყვანა სასახლეში, იშვილა და მშვენივრად აღზარდა; სახელად დაარქვა მას მოსე, რაც ნიშნავს წყლიდან ამოღებულს.

მოსე გაიზარდა და კარგი განათლებაც მიიღო. როცა გაიგო თავისი შთამომავლობა და ურიების ტანჯვა. ძლიერ შეებრალა თავისი მოძმენი და უნდოდა როგორმე გამოეხსნა ისინი. ერთხელ მან დაინახა, რომ ეგვიპტელი ურიასა სცემდა, მიეშველა ურიას, მოკლა ჩხუბში ეგვიპტელი და ქვიშაში ჩაფლა. მაგრამ ეს ამბავი გაიგო მეფემ და მოსეს დაუპირეს დასჯა. მოსე არაბეთის ქვეყანაში გაიქცა; იქ მან ცოლი შეირთო და სიმამრთან ცხოვრობდა, მაგრამ თავისი მოძმენი არ დავიწყებია, სულ მათი შველის ფიქრში იყო და ღმერთს ევედრებოდა მათთვის.

ერთხელ მთაზე მოსემ დაინახა ჯაგი, რომელსაც ცეცხლი ეკიდებოდა, მაგრამ არ იწვოდა-კი; მას გაუკვირდა და მიუახლოვდა ჯაგს. იქიდან მოესმა ხმა ღვთისა, რომელიც უბრძანებდა, წასულიყო ეგვიპტეში და გამოეხსნა ებრალები. მოსე ჯერ უარზე იდგა, მაგრამ ღმერთმა მისცა მას ძალა სასწაულისა და თანაშემწედაც მისი ძმა არონი დაუნიშნა. მაშინ მოსე დაემორჩილა ღვთის ბრძანებას და წავიდა ეგვიპტეში.

პასექი და ებრაელების განთავისუფლება

ჰოსე წინასწარმეტყველი და არონი გამოეცხადნენ ეგვიპტის მეფეს და გადასცეს ღვთის ბრძანება, მაგრამ ფარაონმა დიდი უარი თქვა ხალხის განთავისუფლებაზე. მაშინ მოსემ გააგდო თავისი ჯოხი ხელიდან და ჯოხი გველად გადაიქცა. მერე მოჰკიდა კუდში ხელი და გველი ისევ ჯოხად იქცა. ჩაიყო ხელი უბეში და ხელი სულ მუწუკებით ეფინა! ხელმეორედ ჩაიყო და ისევ მოურჩა. ფარაონი მაინც ეარზე იდგა.

მაშინ ღმერთმა მოუვლინა ეგვიპტეს ათი სასჯელი: წყალი ეგვიპტეში სისხლად იქცა; სეტყვამ სულ ერთიანად გაანადგურა ყანები; ჭრიჭინამ საქონელი გასწყვიტა; სამი დღის განმავლობაში სიბნელემ მოიცვა მთელი ეგვიპტე და სხვანი. ფარაონს მაინც კიდევ ეძნელებოდა ებრაელების გაშვება, თუმცა ბევრჯერ დაპირდა მოსეს განთავისუფლება ხალხისა, მაგრამ ბოლოს მაინც უარი უთხრა და უბრძანა, აღარ გამოჩდეო ჩემთან მოსვლაო.

მაშინ ღმერთმა მოუვლინა ეგვიპტელებს უკანასკნელი საშინელი სასჯელი. ღვთის ბრძანებით მოსემ გამოუცხადა ებრაელებს, რომ ყველა სახლობას აერჩია დანიშნული დროსთვის თითო ერთი წლის ბატკანი, დაეკლა იგი. სისხლი კარებისათვის მოეცხო. თვითონ ბატკანი შეეწვა ისე, რომ ძვლები არ დაემტვრია და ეჭამათ მწვანილითა და ხაჭაპურით. ამასთანავე უნდა ჩაცმული და მომზადებული ყოფილიყვნენ სამგზაურად. ებრაელებმა ასრულეს მოსეს ბრძანება. დანიშნულ ღამეს ღმერთმა მოავლინა ანგელოზი და ამოსწყვიტა მთელ ეგვიპტეში ყველა პირველი შვილები. იმ სახლებს კი, სადაც კარებს სისხლი ჰქონდა მოცხებული, ანგელოზმა გვერდი აუარა. მაშინ კი შიშის ზარი დაეცა მთელ ეგვიპტეს; ყოველ სახლში მკვდარი იყო და ყველანი ტიროდნენ. საჩქაროდ დაიბარა ფარაონმა მოსე და არონი და უბრძანა, გაეყვანა ებრაელები ეგვიპტიდან. თვითონ ეგვიპტელებიც შეეშველებოდნენ ებრაელებს, ოღონდ-კი მალე წასულიყვნენ. ამგვარად მოსე წინასწარმეტყველმა გაათავისუფლა ებრაელები ეგვიპტელების ულლისაგან. ამ ამბის მოსაგონებლად ებრაელებმა დააწესეს ყოველწლიური დღესასწაული, რომელსაც დაარქვეს პასექი.

მეწამულ ზღვაზე გადასვლა

ებრაელები, როცა ეგვიპტიდან გამოვიდნენ, იარეს და მეწამულ ზღვას მიადგნენ. ამ დრომდის ფარაონმა დაივიწყა კიდევ ღვთისაგან მოვლენილი სასჯელი და ნაღვლობა დაიწყო, რად გაუშვი ებრაელე-

ბიო. მოინდომა კიდეც იმათი ლეკან დაბრუნება. იახლა ცხენოსანი ჯარი, ჩაჯდა ეტლში და დაედევნა ებრაელებს. როცა ებრაელებმა ფარაონი დაინახეს თავისი ჯარით, შეშინდნენ და უსაყვედურეს მოსეს, რად წამოგვიყვანე ეგვიპტიდანაო. მოსემ გაამხნევა ისინი და თითონაც შეეეფერა უფალს. უფალმა უბრძანა მოსეს, აიღე და შენი კვერთხი დაჭარ ზღვასაო. მოსემაც დაჭრა კვერთხი წყალს და ზღვა შუაზედ გაიყო. მაშინ ებრაელები ჩავიდნენ გაპობილ ზღვაში და მშვიდობით გავიდნენ მეორე მხარეს. ამ დროიდის ფარაონმაც მიაღწია ზღვის პირზე და გამოუდგა უკან თავისი ჯარით. მაგრამ, როგორც კი შუა ზღვამდის მივიდნენ, მოსე წინასწარმეტყველმა ხელახლა დაჭრა ზღვას კვერთხი ღვთის ბრძანებით და წყალი ისევ შეერთდა, ფარაონი და მისი ჯარი სულ ერთიანად დაიღუპა. ებრაელებმა, როცა ეს სასწაული ნახეს, ილოცეს და მადლობა შესწირეს უფალს.

ათი მცნების მიღება სინას მთაზე

ებრაელები შეწამულ ზღვაზე გასვლის შემდეგ სინას მთისკენ წავიდნენ. გზაზე ღმერთმა მრავალი სასწაული აღმოაჩინა: ჰაერში ლრუბლის სვეტი გამოჩნდა, რომელიც დღისით ჩრდილსა ჰფენდა მოგზაურებს და ღამით გზას უნათებდა; ზეცით ერთნაირი საზრდო სცვიოდა ყოველდღე, რომელსაც ხალხმა მანანა დაარქვა. როცა გზაზე წყალი შემოაკლდათ, მოსემ ღვთის ბრძანებით კვერთხი დაჭრა კლდეს და წყალი გამოადინა. ორმოცდამეათე დღეს ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ ებრაელებმა მიაღწიეს სინას მთას და იქ დაბინავდნენ. ამ მთაზე გამოეცხადა ღმერთი მოსე წინასწარმეტყველს და მისცა ათი მცნება, რომელიც ორი ქვის ფიცარზე იყო დაწერილი.

ამ დროს მოსემ სხვაც ბევრი კანონები მიიღო ღვთისგან, რომელიც მან ჩასწერა საღმრთო წერილის წიგნებში და გადასცა ებრაელებს. ეს წიგნები ახლა ჩვენცა გვწამს. ამგვარად გაჩნდა საღმრთო წერილი.

ღვთის ბრძანებით მოსე წინასწარმეტყველმა გააკეთა კარავი, რომელშიც ებრაელებს უნდა ელოცათ და მსხვერპლი შეეწირათ. მან დანიშნა აგრეთვე, ღვთის ბრძანებით, თავისი ძმა აარონი მღვდელთმთავრად, ხოლო მისი შვილები — მღვდლებად.

ორმოცი წლის მოგზაურობა ებრაელთა

სინას მთიდან ებრაელები გაემგზავრნენ ქანაანის ქვეყანაში. თუმცა ღმერთმა იმდენი წყალობა და სასწაული უჩვენა მათ, მაგრამ მაინც ისინი კმაყოფილი არ იყვნენ: ხშირად უჩიოდნენ მოსეს, რად წამოვიყვანე ეგვიპტიდანაო. მოსე სულგრძელობით ისმენდა იმათ უკმაყოფილებასა და ჩივილს, მაგრამ ღმერთმა ღირსეულად დასაჯა ურჩები. ღვთის ბრძანებით იმათ ორმოცი წელიწადი იხეტიალეს აღაბეთის უდაბნოში. მხოლოდ ორმოცი წლის შემდეგ მიაღწიეს აღთქმის ქვეყნის საზღვართან. ამიტომაც ბევრი მათგანი ვერ ეღირსა ამ ქვეყნის ნახვას. ამას გარდა, ერთხელ, როცა ებრაელებმა ჩივილი და ურჩობა არ მოიშალეს, ღმერთმა მოუვლინა მათ მრავალი შხამიანი გველი. ბრავალი ხალხი დაიხოცა მათი კბენისაგან. როცა მათ შეინანეს და სთხოვეს მოსეს, შეევედრე ჩვენთვის უფალსაო, ღმერთმა უბრძანა მოსეს, გააკეთე სპილენძის გველი და მაღლა ჯოხზე დაჰკიდეო. როცა მას ნაკბენი დაინახავს და ილოცავს, სიკვდილისაგან გადარჩებაო. მოსემ აღასრულა ღვთის ბრძანება და, მართლაც, ყველა ნაკბენი, ვინც კი სარწმუნოებით ჰხედავდა სპილენძის გველს, გადარჩა სიკვდილისაგან.

როცა მოსემ ხალხი აღთქმის ქვეყნის საზღვარზე მიიყვანა, მან მოაგონა მათ, რაც სიკეთე ღმერთმა უყო და ყველა მის მიერ მიცემული სჯული, თვითონ ავიდა მთაზე და იქ გარდაიცვალა. თავისი თანამდებობა მოსემ, ღვთის ბრძანებით, იესო ნავინს გადასცა. მოსე წინასწარმეტყველმა, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, პირველმა იწყო სალმრთო წერილის დაწერა. მან დაწერა სულ ხუთი სალმრთო წერილის წიგნი.

ებრაელების მისვლა აღთქმის ქვეყანაში და დაბინავება

მოსეს სიკვდილის შემდეგ იესო ნავინმა წაიყვანა ხალხი, ღვთის ბრძანებით, აღთქმის ქვეყანაში, მაგრამ სანამ აღთქმის ქვეყანაში შეიდოდნენ, იორდანეს მდინარეზე უნდა გასულიყვნენ. ღვთის ბრძანებით წინ მღვდლები წაუძღვნენ ხალხს აღთქმის კიდობანით და, როგორც კი ფეხი ჩადგეს წყალში, იორდანეს მდინარე შუაზე გაიყო და ებრაელები ისე გავიდნენ გაღმა. იორდანეზე გასვლის შემდეგ პირველი ქალაქი, რომელიც მათ უნდა აეღოთ, იერიქონის ქალაქი იყო. ამ ქალაქის ძალით აღება ძნელი იყო, რადგანაც მაგარი კედლებით იყო შემოზღუდული, მაგრამ, ღვთის ბრძანებით, ებრაელებმა ექვსი

ღლის განმავლობაში თითოჯერ შემოუარეს გარშემო ქალაქს, ხოლო მეშვიდე დღეს შვიდჯერ. როცა უკანასკნელად უვლიდნენ, ქალაქის კედლები დაიქცა. ებრაელები შევიდნენ ქალაქში, მცხოვრებლები ამოსწყვიტეს და თვით ქალაქი დასწვეს. ამის შემდეგ ებრაელებმა აიღეს მრავალი ქალაქი და, ღვთის შეწევნით, მთელი ქანაანის ქვეყანა დაიპყრეს, მერე გაინაწილეს ურთიერთშორის ეს ქვეყანა და იქ დაბინავდნენ.

როცა იესო ნავინი მოხუცდა და სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, შეკრიბა ხალხი და დაარიგა, რათა მტკიცედ დაეცვათ რჯული უფლისა. ხალხმაც პირობა დაუდო.

იესო ნავინის შემდეგ ებრაელების მთავრები იწოდებოდნენ მსაჯულებად. მათ შორის უმეტესად შესანიშნავნი იყვნენ გედეონი და სამსონ ძლიერი.

გედეონი

გავიდა ხანი; ებრაელებმა დაივიწყეს ჭეშმარიტი ღმერთი და დაუწყეს თაყვანისცემა კერპებს. ღმერთმა დასაჯა ისინი და ჩააგდო მტრების ხელში. როცა მტრებმა ძლიერ შეაწუხეს და საქმე გაუჭირდათ, კვლავ მოიგონეს ჭეშმარიტი ღმერთი და შეინანიეს თავიანთი ცოდვა. მაშინ ღმერთმა მოუვლინა მათ მხოლოდ გედეონი.

გედეონს გამოეცხადა უფალი, დანიშნა მსაჯულად და უბრძანა, ვაეთავისუფლებია ხალხი მტრებისაგან. თანაც სასწაულით დაარწმუნა, რომ იგი მისი მშველელი იქნებოდა. გედეონმა აასრულა ღვთის ბრძანება. ჯერ მან იმ კერპის სამსხვერპლო დააქცია, რომელსაც ებრაელები თაყვანსა სცემდნენ, მერე შეკრიბა ჯარი და გავიდა მტრებთან საბრძოლად. სულ ოცდათორმეტი ათასი ჯარისკაცი შეკრიბა, მაგრამ გედეონმა მარტო სამასი დარჩეული ვაჟკაცი გაიყვანა. თითოეულ მხედარს მისცა ხელში ქილა, რომლითაც ანთებული ჩირაღდანი ჰქონდათ დაფარული და თითო საყვირი. მიეპარა ბნელ ღამეში მტრებს და მოულოდნელად დაეცა თავზე. მხედრებმა, როცა მტრებს დაეცნენ, ერთბაშად გაანათეს და დასცეს საყვირი. მტრები ისე შეშინდნენ, რომ ერთმანეთს დაუწყეს ხოცვა და გაიქცნენ. გედეონი გამოუდგა უკან თავისი პატარა ჯარით და იორდანეს იქით გარეკა დანარჩენები მტერი.

ამ გამარჯვების შემდეგ ურიებს უნდოდათ გედეონი მეფედ აერჩიათ. მაგრამ გედეონმა უარი განაცხადა.

სამსონ ძლიერი

მსაჯულთა წიგნის ყველაზე უფრო შესანიშნავი მამაცობითა და მამულიშვილობით იყო სამსონ ძლიერი. სამსონის მშობლებს დიდხანს არ ჰყავდათ შვილი და აღთქმა მისცეს ღმერთს, თუ შვილი მოგვეცა, არც თმას გავკრეკთ და არც ღვინოს ვასმევთო. ღმერთმა შეასრულა მათი ვედრება და მისცა ვაჟი, რომელსაც დაარქვეს სამსონი. როცა სამსონი გაიზარდა, ძლიერ ღონიერი გამოდგა და მსაჯული გახდა.

ამ დროს ებრაელების მოუსვენარი მტერი ფილისტიმელები იყვნენ. მაგრამ, როცა სამსონი მსაჯულად გახდა, ვეღარაფერს აკლებდნენ. ერთხელ სამსონმა სამასი მელა დიჭირა, მიაკრა კუდებზე მოკიდებული ანთები, გაუშვა იმათ ყანებში და სულ ერთიანად გადაწვა. მეორედ, როცა ფილისტიმელები ურიებს თავს დაეცნენ, სამსონმა გამხმარი ვირის ყბით რამდენიმე ათასი მტერი გასწყვიტა. სამსონს ერთხელ ტყეში ლომი დაეცა, მაგრამ მან სტაცა ხელი ყბებში და ისე გახლიჩა.

ფილისტიმელებს ფიქრდათ როგორმე გაეგოთ, რაში ჰქონდა სამსონს ეგეთი ღონე. მათდა ბედად, სამსონს ფილისტიმელის ქალი შეეყვარდა და ცოლად შეირთო. ამ ბოროტმა ცოლმა დალუპა სამსონი. ფილისტიმელები შეეხვეწნენ მას, შეგვიტყე, რაში აქვს შენს ქმარს ძალაო. ცოლი არ მოეშვა სამსონს, ისიც გაუტყდა და უთხრა, თმაში მაქვს ძალაო. ერთხელ, როცა სამსონს დაეძინა, ცოლი მიეპარა და მოკვეცა თმები. სამსონს დაეკარგა ძალა. გახარებულმა ფილისტიმელებმა შეიპყრეს იგი, ორივე თვალები დასთხარეს და საპყრობილეში ჩაკეტეს.

გავიდა რამდენიმე ხანი. სამსონი საპყრობილეში იჯდა და იტანჯებოდა. მაგრამ თმა თანდათან ეზრდებოდა და ღონეც ეძლეოდა.

ერთხელ ფილისტიმელების დიდი დღესასწაული იყო. ისინი შეიკრიბნენ ერთს სასახლეში და გამართეს ლხინი. ლხინის დროს მოაგონდათ თავიანთი უწინდელი მტერი სამსონი. მოიყვანეს, სვეტებთან გააჩერეს და დაუწყეს ლანძღვა. გაჯავრებულმა სამსონმა მოავლო ერთბაშად სვეტებს ხელი და ისე ღონივრად შეარყია, რომ მთელი სასახლე დაინგრა და ყველა იქ მყოფი ამოწყდა.

მღვდელთმთავარი ილია და სამუელ წინასწარმეტყველი

უკანასკნელი მსაჯული ებრაელებისა იყო სამუელ. მის მშობლებს დიდხანს არ ჰყავდათ შვილი და ძლიერ ნაღვლობდნენ. ერთხელ სამუელის დედა ანნა ევედრებოდა ღმერთს და აღთქმა მისცა, თუ შვილს

ველარსე, შენ შემოგწირავო. ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება. და ბისცა ვაჟი, რომელსაც სამოელი დაარქვეს. როცა სამოელი წამოიზარდა, დედამ წაიყვანა და ჩააბარა აღსაზრდელად მაშინდელ მღვდელთმთავარს ილიას. სამოელმა ყმაწვილობიდან გამოიჩინა ნიჭი, თავმდაბლობა და კეთილი ზნე. თვითონ ილიას ჰყავდა ორი ვაჟი, რომლებიც თუმცა მღვდლები იყვნენ, მაგრამ ძლიერ ცუდად იქცეოდნენ. მამა იმათ ცუდ ყოფაქცევას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა და ამით ღმერთი გაარისხა.

ერთხელ სამოელს მოესმა ძილში ვიღაცას ხმა. მას ეგონა, ილია მეძახისო, ადგა და ეახლა. მაგრამ ილიამ ეთხრა, მე შენთვის არ დამიძახნიაო. სამოელმა დაიძინა და კვლავ მოესმა იგივე ხმა. ადგა და ხელახლა ილიასთან წავიდა. მაშინ ილია მიხვდა, უთუოდ უფლის წოდება უნდა იყოსო. მან დაარიგა სამოელი: თუ კიდევ მოგესმის ხმა, უპასუხე: „ბრძანე, უფალო, გისმენს მონა შენითქო!“ სამოელი დაწვა და კვლავ მოესმა ხმა უფლისა. ის ისე მოიქცა, როგორც ილიამ დაარიგა. უფალმა უბრძანა სამოელს: „განუცხადე ილიას, რომ მე მას დავსჯი მისი შვილების ცუდი ყოფაქცევისათვისაო“. მეორე დღეს სამოელმა გადასცა ილიას ღვთის ბრძანება. ამ ამბის შემდეგ ყველა მიხვდა, რომ სამოელი აირჩია უფალმა წინასწარმეტყველად.

სამოელის სიტყვები მალე ასრულდა. იმ დროს ფილისტიმელები ეომებოდნენ ებრაელებს და ძლიერ დაამარცხეს. მაშინ ებრაელებმა გადაწყვიტეს წაეღოთ ჯარში აღთქმის კიდობანი. კიდობანი წაიღეს ილიას შვილებმა, რადგანაც ისინი მღვდლები იყვნენ. მაგრამ ვერც კიდობანმა უშველა ებრაელებს. მოხდა სასტიკი ომი და კვლავ ფილისტიმელებმა გაიმარჯვეს. ილიას შვილებიც ორივე მოკლეს ომის დროს და კიდობანი წაიღეს. ეს სამწუხარო ამბავი რომ ილიამ გაიგო, საჯდომიდან გადმოვარდა, დაეცა და გარდაიცვალა.

მეფე საული

როცა სამოელი მოხუცდა, ხალხია მმართველობა მიანდო თავის შვილებს. სამოელის შვილები ცუდად ეპყრობოდნენ ხალხს და ამიტომ ებრაელებმა სთხოვეს სამოელს, აერჩია ვინმე მეფედ. ის ჯერ უარზე იდგა. მაგრამ შემდეგ, ღვთის ბრძანებით, აღასრულა მათი წადილი. იმ დროს ებრაელთა შორის ცხოვრობდა კისი. მას ჰყავდა ვაჟი საული. საული ძლიერ ახოვანი და ლამაზი ახალგაზრდა კაცი იყო. წინასწარმეტყველმა სამოელმა იგი აირჩია მეფედ და სცხო მას ზეთი.

სულ პირველად საული ძლიერ კარგად იქცეოდა და დაამარცხა შრავალი მტერი, მაგრამ შემდეგ გაარისხა უფალი იმითი, რომ ურჩობა დაიწყო. ერთხელ ომის წინ სამოელს საღმრთო უნდა შეეწირა ღვთისათვის, მაგრამ საულმა არ დაუცადა მას და თვითონ აღასრულა საღვრთო. მეორედ ღმერთმა უბრძანა მას სამოელის პირით, ერთი უსჯელო ხალხი გაეწყვიტა. საულმა არ აღასრულა ღვთის ბრძანება. ამიტომაც ღმერთი გაურისხდა მას და აღარ შველოდა. ამას გარდა, ღმერთმა უბრძანა სამოელს, საულის შემდეგ იესეს შვილი დავითი აერჩია ებრაელების მეფედ. სამოელმა აღასრულა ღვთის ბრძანება და სცხო ზეთი დავითს. მაგრამ ეს ამბავი ჯერ არავინ არ იცოდა.

დავითი ძლიერ შესანიშნავი ყმაწვილი კაცი იყო. როცა მან გოლიათი სძლია, საულმა ჯერ დაიახლოვა იგი და თან ჰყავდა. მაგრამ, რადგანაც ხალხს ძლიერ უყვარდა დავითი, საულმა ეშვი აიღო, დევნა დაუწყო დავითს და მოინდომა მისი მოკვლა. დავითი მოშორდა მას და მთებში იმალებოდა, სანამ საული ცოცხალი იყო.

ამ დროს ებრაელებს გამოუცხადეს ომი ფილისტიმელებმა. საულმა შეკრიბა ჯარი და გავიდა მტრებთან საომრად. რადგანაც საულს ღმერთი აღარ შველოდა, ომში ფილისტიმელებმა გაიმარჯვეს და ძლიერ დაამარცხეს ებრაელები. ამ ომში მოკლეს საულის სამი ვაჟი და საულიც სასიკვდილოდ დაჭრეს. საულს არ უნდოდა ცოცხალი ჩავარდნოდა მტრებს ხელში და თვითონ მოისპო თავისი ხელით სიცოცხლე.

გულკეთილმა დავითმა ბევრი იტირა, როცა საულის სიკვდილი შეიტყო.

მეფე დავითი

დავითი ჯერ ახალგაზრდა იყო, როცა სამოელმა იცი ღვთის ბრძანებით მომავალ მეფედ აარჩია და ზეთი სცხო. თავისი მამაცობა მან სიყმაწვილეში დაამტკიცა.

იმ დროს ებრაელებს ფილისტიმელები ებრძოდნენ. იმათ ერთი შესანიშნავი და უზარმაზარი კაცი ჰყავდათ, რომელსაც გოლიათს ეძახდნენ. როცა ბოპირდაპირე ჯარები დაბინავდნენ, გამოვიდა გოლიათი და უთხრა ებრაელებს, აბა, გამოიყვანეთ ვინმე ჩემთან საბრძოლოდ. თუ ის მომჯრიდა, ჩვენ დაგემორჩილებით, თუ მე ვსძლიო, თქვენ იყავით ჩვენი მონებიო. ვერავინ ვერ გაბედა მასთან შებმა. გოლიათი ყოველდღე გამოდიოდა ამაყად შუა ადგილზე, დასცინოდა ებრაელებს, იმათ ღმერთსაც და ითხოვდა მოწინააღმდეგეს. გაჭირდა

საქმე. მეფე საულმა აღუთქვა თავისი ქალის მითხოვება და გამდიდრება მას, ვინც გოლიათს შეებმოდა, მაგრამ მაინც ვერავინ ვერ გაბედა.

ესეს უფროსი ვაჟები იმ დროს ლაშქარში იყვნენ. მამამ გაგზავნა დავითი ამბავის შესატყობად და საგზალიც გაატანა. როცა დავითი ბანაკში მივიდა და შეიტყო გოლიათის ამბავი, გამოაცხადა, მე გავალ მასთან საბრძოლადაო. ებრაელებს ძლიერ გეხარდათ. დანიშნეს დრო. დავითმა აიღო შურდული, უბეში ქვები ჩაიდო, ახსენა ღმერთი და გამოვიდა. გამოვიდა გოლიათიც შეიარაღებული თავიდან ფეხებამდის. მას დიდი იმედი ჰქონდა თავისი ღონისა. მაგრამ დავითმა, ღვთის შეწევნით, მოარტყა შურდულით ქვა პირდაპირ შუბლში და პირქვე დასცა. მერე მივარდა, ამოგლიჯა ხმალი, მოსჭრა თავი და წამოიღო. ფილისტიმელები გაიქცნენ.

გავარდა ხალხში დავითის სახელი და ყველა მას აქებდა, ქალი და კაცი. მაგრამ თვითონ საული კი შურით აღივსო და დაუწყო მას ღევნა, მაგრამ დავითს ღმერთი იფარავდა. საულის სიკვდილის შემდეგ გამეფდა დავითი. იგი შესანიშნავი მეფე იყო. მრავალი დაიმორჩილა და ებრაელების სამეფო გააძლიერა. სატახტო ქალაქად მან აირჩია იერუსალიმი; გაამაგრა ეს ქალაქი და მშვენიერი სასახლე ააშენა. გააკეთა აგრეთვე მშვენიერი ახალი კარავი და იქ დაასვენა კიდობანი აღთქმისა.

თუმცა დავითი ღვთისმოყვარე მეფე იყო, მაგრამ ერთი დიდი ცოდვა იმანაც ჩაიდინა. მას მოეწონა ერთი ქმრიანი ქალი, ვირსავია; მისი ქმარი ჯარში გაგზავნა და იქ მოკლეს. როცა ვირსავია დაქვრივდა, დავითმა ის ცოლად აიყვანა. მაშინ გამოეცხადა მას ღვთის ბრძანებით წინასწარმეტყველი ნათანი და უთხრა: „ერთ ქალაქში ორი კაცი ცხოვრობდა; ერთი იყო ძლიერ მდიდარი, მეორე კი ღარიბი. ღარიბს ერთი ბატკნის მეტი არ გააჩნდა. როცა მდიდარს სტუმრები ეწვივნენ, მან წაართვა ღარიბს ის ერთი კრავი და მით გაუმასპინძლდა თავის სტუმრებსო“. მეფე განრისხდა და უთხრა წინასწარმეტყველს: „ვფიცავ ღმერთს. ის კაცი სიკვდილის ღირსიაო!“ მაშინ ნათანმა მოახსენა: „ეს კაცი სწორედ შენ ბრძანდები და კიდეც დაგსჯის ღმერთიო“. დავითი მიხვდა, რომ შესცოდა და კიდეც მოინანია თავისი ცოდვა. მაგრამ უფალმა იგი მაინც დასაჯა. მას ულალატა მისმა შვილმა, აბესალომმა. მოინდომა ტახტის წართმევა და ამიტომ გადაეპირა ხალხი. გაიმართა შვილსა და მამას შორის ომი. თუმცა და-

ვითმა გაიმარჯვა, მაგრამ აბესალომი ომში მოკლეს და ამ ამბავმა დავითი ძლიერ შეაწუხა.

როცა დავითი მოხუცდა, მან მეფედ დასვა თავისი ვაჟი სოლომონ ბრძენი. მეფე დავითმა დაწერა ერთი საღვრთო წერილის წიგნი, რომელსაც ჩვენ „დავითს“ ვეძახით.

მეფე სოლომონ ბრძენი

როცა სოლომონ ბრძენი გამეფდა, შეეევედრა ღმერთს, რომ არც სიმდიდრე მინდა და არც დიდებულობაო, ოღონდ-კი მომეცი გონება და სიბრძნე, რათა შევიძლო შენი ხალხის კარგად მოვლაო. ღმერთს მოეწონა ესეთი ვედრება მეფისა, გამოეცხადა ძილში და ალუთქვა როგორც სიბრძნე, ისე სიმდიდრე და დიდებულობაც. ახალმა მეფემ მალე დაამტკიცა თავისი სიბრძნე.

ერთხელ სოლომონ ბრძენთან მივიდა ორი დედაკაცი და თან მიიყვანეს ერთი ცოცხალი ყმაწვილი, რომელსაც ორივენი ჩემობდნენ. ეს ორი დედაკაცი ერთად ცხოვრობდა და თითოთანატოლი ყმაწვილი ჰყავდათ. ერთმა მათგანმა ძილში დაახრჩო თავისი შვილი. მერე, როცა გამოეღვიძა, ადგა, თავისი მკვდარი შვილი მეორე მძინარე დედაკაცს დაუდო წინ, ცოცხალი კი თითონ მოისვა. დილით ჩხუბი ატეხილიათ და მეფესთან წავიდნენ საჩივლელად.

ძნელი გასაგები იყო, რომელი იყო ნამდვილი დედა ცოცხალი ბავშვისა, რადგანაც მოწმე არავინ ჰყავდათ. მაგრამ სოლომონ ბრძენმა აი, როგორ გადასწყვიტა ეს ძნელი საქმე: „გასჩეხეთ შუახე“, ბრძანა მან, „ცოცხალი ყმაწვილი და ნახევარი ერთ დედაკაცს მიეცით და ნახევარი მეორესაო“. გაიგონა თუ არა ეს ბრძანება ყმაწვილის ნამდვილმა დედამ, ტირილი მორთო და შეეხვეწა მეფეს, ოღონდ ნუ გასჩეხავთ ბავშვს და მაგას ჰყავდესო. მეორე დედაკაცი კი გაბარებული იძახოდა „არა, გასჩეხეთ, ნურც მე მერგება და ნურც მაგასაო“. მაშინ ყველანი მიხვდნენ, ვინ იყო ნამდვილი დედა ყმაწვილისა. სოლომონის სიბრძნემ ყველა ძლიერ გააკვირვა.

სოლომონ ბრძენმა თავისი მეფობის დროს ისე აამაღლა და გააძლიერა თავისი სახელმწიფო, რომ გარეშე მტრები ვეღარ ბედავდნენ ებრაელებთან ბრძოლას. ამიტომ ხალხიც მოსვენებითა და ბედნიერად ცხოვრობდა. ამას გარდა, მან ააშენა იერუსალიმში მშვენიერი დიდი ტაძარი და, როცა ეს ტაძარი აკურთხეს, შეეევედრა ღმერთს, რომ ყოველი მლოცველის ვედრება მიეღო მას იმ ტაძარში. თავისი სასახლეც საკვირველად მორთო და შეამკო. ერთი სიტყვით, სოლომონ

ბრძენი ისეთი შესანიშნავი მეფე იყო ყველაფრით, რომ შორით ქვეყნიდან მოდიოდნენ ხელმწიფენი მის სანახავად და აქებდნენ.

სოლომონ ბრძენმა სამი საღმრთო წერილის წიგნი დაწერა, რომლებსაც ეხლა მართლმადიდებლების ეკლესიებში კითხულობენ.

ებრაელთა სამეფოს გაყოფა

სოლომონ ბრძენის გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟი როობამი წავიდა სიქემის ქალაქში, სადაც უნდა ტახტზე ასულიყო. აქვე შეიკრიბა ხალხი. ხალხს უნდოდა, რომ ახალ მეფეს გადასახადი შეემცირებინა და ჩვენც შენი ერთგული ვიქნებითო, შეუთვალეს. როობამმა, თავისი ახალი ვეზირების რჩევით, უარი შეუთვალა ხალხს და დაექადა კიდეც, მეტ გადასახადს მოგთხოვთო. ხალხმა რომ ეს გაიგო, აღარ ინდომა იგი მეფედ და იეროობამი აირჩია მეფედ. როობამს დაემორჩილა მხოლოდ ორი შთამომავლობა ებრაელთა. ამგვარად, ებრაელთა სამეფო გაიყო ორ ნაწილად. იმ დროიდან დაწყებული იმ სამეფოს, სადაც როობამი იყო მეფედ, ეწოდებოდა იუდეანთა სამეფო, ხოლო მეორე სამეფოს — ისრაელთა სამეფო.

შემდეგ ამისა ეს ორი სამეფო აღარ შეერთებულან და ამიტომ ებრაელების ბედი ძლიერ ცუდად დატრიალდა. ისინი არა თუ ერთად აღარ ებრძოდნენ გარეშე მტრებს, არამედ ხშირად ერთმანეთშიაც უკმაყოფილება ჰქონდათ. ამიტომ სულ თანდათან დასუსტდნენ და ბოლოს ორივე სახელმწიფო სრულიად დაეცა. ამას გარდა, რადგანაც მათ შორის ერთობა, ძმობა და სიყვარული მოისპო, ისინი ღმერთსაც ხშირად ივიწყებდნენ და კერპებსა სცემდნენ თაყვანს.

მაგრამ სულგრძელმა ღმერთმა მაინც არ მოიძულა თავისი ხალხი და ხშირად მოავლენდა მათ შორის ისეთ წმინდა ადამიანებს, რომლებიც ასწავლიდნენ ხალხს, სასწაულებს იქმოდნენ, აფრთხილებდნენ და წინდაწინ ეუბნებოდნენ, რაც მოხდებოდა ხოლმე. ასეთ წმიდა ხალხს ეძახდნენ წინასწარმეტყველებს. ბევრს არ მოსწონდათ წინასწარმეტყველების მხილება და დარიგება, ამიტომაც სდევნიდნენ მათ და ხანიკვდილოდაც არა ზოგავდნენ ხოლმე.

ილია წინასწარმეტყველი

მეფის აქაბის დროს ისრაელებმა სრულიად დაივიწყეს ჭეშმარიტი ღმერთი. თვითონ მეფემ უსჯულოს ქალი შეირთო ცოლად, მისი რჩევით ააშენა სამარიაში კერპების სამსხვერპლო და უბრძანა ხალხს, მათთვის ეცა თაყვანი. ღმერთმა მოავლინა მაშინ შესანიშნავი წინას-

წარმეტყველი ილია. ილიამ ბევრჯერ ამხილა აქაბი, მაგრამ აქაბი არა თუ არ მოიქცა, სიკვდილი დაუპირა წმიდა ილიას.

მაშინ ილიამ გამოუცხადა მეფეს და ხალხს, რომ სამ წელიწადს და ექვს თვეს არც წვიმა მოვა და არც ნამი იქნებაო. თვითონ კი იორდანეს უდაბნოში წავიდა და იქ ცხოვრობდა ერთ ნაკადულთან. საზრდოს მას, ღვთის ბრძანებით, ყორანი უზიდავდა. ილიას სიტყვა ასრულდა. საშინელი გვალვა გაჩნდა და ხალხი შიმშილით იხოცებოდა. ილია ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს. როცა ხალხს საქმე გაუჭირდა, მიიქცა ღვთისადმი და შენდობა ითხოვა. მაშინ ღმერთმა უბრძანა ილიას, დაბრუნებულიყო უკან. როცა ილია დაბრუნდა, აქაბმა დაიბარა იგი და უსაყვედურა ამდენი უბედურება. ბრალი ილიამ თვითონ მეფეს დასდო და ურჩია, რომ მსხვერპლი შეეწირათ როგორც კერპების ქურუმებს (მღვდლებს), ისე ილიას, და ვინი ღმერთიც მოავლენდა ზეცით ცეცხლს და მიიღებდა მსხვერპლს, იგი ეცნათ ჭეშმარიტ ღმერთად. მეფე დათანხმდა. მოამზადეს ორი სამსხვერპლო. ქურუმები მთელი დღე ეხვეწნენ თავიანთ კერპებს, მაგრამ ვერა გაეწყეს-რა. შემდეგ ილიამ ილოცა, ჩამოვარდა ზეციდან ცეცხლი და დასწვა მსხვერპლი. ხალხმა დაინახა თავისი თვალით, რომ ქურუმები ატყუებდნენ მათ და ამიტომ სულ ერთიანად ამოსწყვიტა ისინი. შემდეგ ამისა ილია შეევედრა ღმერთს და ღმერთმა მოავლინა ზეცით წვიმა. როცა აქაბის ცოლმა იეზაბელმა შეიტყო კერპების მღვდლების დახოცვა, გაჯავრდა და მოინდომა ილიას სიკვდილით დასჯა. მაგრამ ილია ქორივის მთაზე გაშორდა და იქ იმყოფებოდა დროებით, სანამ აქაბი და მისი ცოლი ღმერთმა არ დასაჯა სიკვდილით.

ილია დიდი წინასწარმეტყველი იყო და ამიტომ, როცა მოხუცდა, ღმერთმა გამოუცხადა, ხორციელად უნდა აგიტაცო ზეცასაო. ილიას ჰყავდა მოწაფე ელისე. ერთხელ ის და ილია უდაბნოში მიდიოდნენ. ამ დროს ზეციდან ჩამოეშვა ცეცხლის ეტლი ცეცხლისავე ცხენებით და ილია მაღლა აიტაცეს.

ამ დროს მადლი ღვთისა გადმოვიდა ელისეზე და წინასწარმეტყველად იგი გახდა*.

იონა წინასწარმეტყველი

ილიას და ელისეს შემდეგ შესანიშნავი წინასწარმეტყველი იყო იონა. იონას დროს ევფრატის მდინარის გაღმა ერთი დიდი სახელ-

*ჩვენს ხალხს დიდად მიაჩნია წმიდა ილია წინასწარმეტყველი და მის ხსენებას ვდღესასწაულობთ ოც იელისს. ამ დღესასწაულს ჩვენი ხალხი „ელიობას“ უწოდებს.

მწიფო იყო, რომელსაც ასირია ერქვა. იმ სამეფოს დედაქალაქის ნინევიას მცხოვრებლები ძლიერ ცოდვილნი იყვნენ. ღმერთი გამოეცხადა იონა წინასწარმეტყველს და უბრძანა, წადი ნინევიაში და გამოუცხადე ხალხს, რომ დაიღუპებიან თუ არ მოიქცნენო.

მაგრამ რადგანაც ნინეველები ებრაელების მტრები იყვნენ, იონას არ სურდა იმათი მოქცევა და ამიტომ ჩაჯდა გემში და სულ სხვა ქვეყანაში დააპირა წასვლა. მოგზაურობის დროს ატყდა საშინელი ღელვა. გემის უფროსმა იფიქრა, უთუოდ ვინმე დიდი ცოდვილი უნდა იყოს გემში, და წილი ჰყარა, რათა გაეგო, ვინ იყო ეს ცოდვილი. წილი ხვდა იონას. მაშინ იონამ აღიარა თვისი დანაშაული და უთხრა გემის უფროსს, ზღვაში გადამაგდეთო. როგორც-კი იონა ზღვაში გადააგდეს, ღელვა დაწყნარდა.

ზღვაში იონა, ღვთის ბრძანებით, ვეშაპმა ჩაყლაპა. ვეშაპის მუცელში იონა სამი დღე და სამი ღამე ცოცხალი იყო და ღმერთს ევედრებოდა. შემდეგ ვეშაპმა იონა, ღვთის განგებით, ნაპირზე გამოაგდო. იქ კვლავ გამოეცხადა უფალი და უბრძანა, ნინევიაში წადიო.

როცა იონა ნინევიაში მივიდა, ჩამოიარა ქალაქი და გამოუცხადა მცხოვრებლებს, რომ ორმოცი დღის შემდეგ თქვენი ქალაქი დაიღუპებაო. მცხოვრებლები შეშინდნენ და შეუდგნენ სინანულს. ღმერთმაც შეისმინა იმათი ვედრება და არ დაიღუპნენ. თითონ იონა ქალაქგარეთ გავიდა, იქ ცხოვრობდა მინდორში და ელოდა ნინევიის დაღუპვას. როცა დაინახა, რომ მისი სიტყვა არ გამართლდა, ძლიერ ეწყინა და ღმერთს სიკვდილი სთხოვა. ამ დროს იქ, სადაც ის ცხოვრობდა, ერთი დიდი მცენარე ამოვიდა, რომლის ჩრდილში იონამ თავი შეაფარა. მაგრამ ეს მცენარე მეორე დღესვე დაჭკნა. იონა ძლიერ დაღონდა და კიდევ მოისურვა სიკვდილი. მაშინ გამოეცხადა მას ღმერთი და უთხრა: „თუ კი შენ მცენარის გახმობა გეწყინა, რომელიც შენ არ დაგირგავს, მე როგორ არ უნდა მენანებოდეს ისეთი დიდი ქალაქის დაღუპვა, სადაც ასოცი ათასი ისეთი პატარა ყმაწვილებია, რომლებსაც არ შეუძლიათ მარჯვენა ხელი მარცხენისაგან გაარჩიონო“.

დანიელ წინასწარმეტყველი და მისი ამხანაგები

რადგანაც ებრაელებმა ჭეშმარიტი ღმერთის დავიწყება არ მოიშალეს, არ შეისმინეს არც ერთი წინასწარმეტყველის დარიგება და გაფრთხილება, ამიტომ ღმერთმა ძლიერ დასაჯა ისინი. მათ სამეფოზე

ვამოლაშქრა ბაბილონის ხელმწიფემ ნაბუქოდონოსორმა, სძლია ებრაელნი, დააქცია იერუსალიმის ქალაქი. მათი მშვენიერი ტაძარიც დასწვა და ხალხიც ზოგი ამოსწყვიტა და ზოგიც ტყვედ წაასხა ბაბილონში. ტყვეთა შორის, რასაკვირველია, ყმაწვილებიც მრავალნი იყვნენ. მათ შორის ერთი შესანიშნავი ყმაწვილი იყო, რომელსაც დანიელი ერქვა. ეს ყმაწვილი და სამი მისი ამხანაგი: ანანია, აზარია და მისაილი იზრდებოდნენ სხვა ყმაწვილებთან მეფის ბრძანებით, სასახლეში. მეფეს სურდა იმათ შეესწავლათ ბაბილონური ენა და მერე სამსახურში შესულიყვნენ. ყმაწვილებს სკოლაში კარგად ინახავდნენ და სასმელ-საჭმელს თვითონ სასახლიდან აძლევდნენ, მაგრამ, რადგანაც იმათ ზოგიერთ ისეთ საჭმელს აჭმევდნენ, რომლებიც ურიებს აკრძალული ჰქონდათ მოსეს კანონით. ამიტომ დანიელმა და სამმა მისმა ამხანაგმა სთხოვეს თავიანთ უფროსს, ნება მიეცა მათთვის აკრძალული საჭმელი არ მიეღოთ. უფროსმაც დართო ნება და ისინი პატარაობიდან მტკიცედ იცავდნენ თავიანთ სჯულს. ამიტომაც ლმერთი იყო მათი შემწე და მფარველი.

დანიელმა და მისმა ამხანაგებმა დიდი ნიჭი გამოიჩინეს სწავლაში და გამოცდის დროს, რომელსაც თვით მეფე დაესწრო; ყველა ამხანაგს აჯობეს. ამიტომ მეფემ უბოძა მათ კარგი ადგილები.

ერთხელ ნაბუქოდონოსორმა ნახა ერთი საკვირველი სიზმარი. დანიელის გარდა, ვერავინ ვერ აუხსნა ის სიზმარი. ამიტომ მეფეს სურდა დაენიშნა დანიელი მთავრად ბაბილონის ქვეყნებში. მაგრამ, დანიელის თხოვნით, მეფემ უფროსებად მისი ამხანაგები დანიშნა. თვითონ დანიელი კი ისევ სასახლეში დარჩა. გავიდა ხანი, ერთხელ მეფემ, თავისი ვეზირების რჩევით, დადგა ოქროს ახალი კერპი და უბრძანა ყველას, თაყვანი ეცითო. ანანიამ, აზარიამ და მისაილმა არ აღასრულეს მისი ბრძანება. მეფე განრისხდა და ბრძანა, ჩააგდეთ ისინი გახურებულ თონეში. მეფის ბრძანება აასრულეს. მაგრამ როცა ისინი თონეში ჩაყარეს, ღმერთმა მოავლინა ზეცით ანგელოზი, რომელმაც სასწაულით დაიცვა ისინი ალმურისაგან. ამ სასწაულმა ძლიერ გააკვირვა ურწმუნო მეფე. მაშინ მან სცნა ჭეშმარიტი ღმერთის ძალა და ბრძანება გამოსცა, რომ შემდეგ არავის გაებედნა შეურაცხყოფა ებრაელების ღმერთისა. მაგრამ ის მაინც თვითონ კერპებს სცემდა თაყვანს.

ერთხელ მან კიდევ ნახა საშინელი სიზმარი. ეს სიზმარიც დანიელმა აუხსნა მას და გამოუცხადა, რომ ღმერთი შენ გონებას წაგართმევსო. შვიდი წელიწადი გიჟი იქნები და მხეციევით იცხოვრებო. დანიელ

წინასწარმეტყველის სიტყვა ასრულდა. მეფე გაგიჟდა და, თუმცა მორჩა, მაგრამ მალე გარდაიცვალა.

მის შემდეგ მეფედ დადგა დარიოსი. დარიოსიც ძლიერ სწყალობდა დანიელს და უნდოდა ყველა მთავრების უფროსად დაენიშნა თავის სახელმწიფოში. მაგრამ ეს იწყინეს მთავრებმა და მოინდომეს დანიელის დაღუპვა. მათ აი რა მოახერხეს: მეფეს მოახსენეს, თუ გნებავთ შეიტყოთ, ვინ არის თქვენი ერთგული, ბრძანეთ, რომ ოცდაათი დღის განმავლობაში არავინ არ შეეეედროს არც ღმერთს და არც კაცს, თვინიერ მეფისაო. დანიელის მტრებმა იცოდნენ, რომ დანიელი დღეში სამჯერ ლოცულობდა და ვერ აღასრულებდა მეფის ბრძანებას. მეფემ, მართლაც, გამოსცა ესეთი ბრძანება. დანიელი ვერ გადუდგა ჭეშმარიტს ღმერთსა და ყოველდღე ლოცულობდა უწინდებურად. მისმა მტრებმა მაშინვე აცნობეს მეფეს და მოითხოვეს, რათა დანიელი ჩაეგდოთ ლომების ორმოში. მეფემაც ველარ გატეხა თავისი სიტყვა და დანიელი ლომებს გადაუგდეს. მაგრამ ღმერთმა დაიფარა თავისი წინასწარმეტყველი: დამშეულმა ლომებმა პირიც არ ახლეს მას.

როცა მეფემ ეს ამბავი გაიგო, ძლიერ გაუკვირდა. სცნო ჭეშმარიტი ღმერთის ძალა, თვითონ მიბრძანდა ლომების ორმოსთან, დანიელი გაათავისუფლა და ნაცვლად მ-სი მტრები ჩაჰყარა ლომების ორმოში. ამ სასწაულის შემდეგ კიდევ უფრო ამაღლდა დანიელი.

დანიელი ძლიერ ნაღვლობდა, რომ ებრაელები ტყვედ იყვნენ და განთავისუფლება არ ეღირსათ. სანუგეშოდ გამოეცხადა მას მთავარანგელოზი გაბრიელი და აუწყა, რომ ოთხასოთხმოცდაათი წლის შემდეგ განხორციელდება მაცხოვარი და იხსნის ადამიანებს ცოდვისაგანაო.

ებრაელების განთავისუფლება და ახალი ტაძრის აგება

დარიოსის შემდეგ ის ქვეყნები, სადაც ებრაელები ტყვედ იყვნენ წაყვანილნი, სპარსეთის ხელმწიფემ კიროსმა დაიპყრო. კიროსმა ნება მისცა ებრაელებს თავის ქვეყანაში დაბრუნებისა. ისინი სულ სამოცდაათი წელიწადი იყვნენ ტყვეობაში და დიდი ხანი ელოდნენ ამ ბედნიერებას. როცა ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ, მაშინვე შეუდგნენ ახალი ტაძრის შენებას იმავე ადგილას, სადაც დაქცეული ტაძარი იყო. ამ ტაძრის აშენებას ისინი ოცდაერთი წელიწადი მოუნდნენ. მეორე ტაძარი ისეთი დიდი და მშვენიერი არ იყო, როგორიც პირველი. ამიტომ ყველანი, ვისაც უწინდელი ტაძარი ახსოვდა, ძლიერ

ნაღვლობდნენ და ცრემლით იგონებენ მას. მაგრამ იმათ სანუკვეშოდ ახალი წინასწარმეტყველები ჰქადაგებდნენ: ახალი ტაძარი ძველზე უფრო დიდებული იმითი არისო, რომ აქ გამოცხადდება ქრისტე მაცხოვარი ქვეყნისაო.

სპარსეთის მეფემ ებრაელებს ნება მისცა, თავიანთ სჯულზე ეცხოვრათ და თავიანთი მთავარიც ჰყოლოდათ. ამიტომ, როგორც-კი დაბრუნდნენ ისინი თავიანთ ქვეყანაში, შეკრიბეს საღმრთო წერილის წიგნები, აღადგინეს ღვთისმსახურება და დღესასწაულები. ამ დროს იმათ ერთი შესანიშნავი მღვდელი ჰყავდათ, რომელსაც ეზდრა ერქვა.

ტაძრის გარდა ებრაელებმა იერუსალიმის ქალაქიც აღადგინეს და ვარს მაგარი კედელი შემოავლეს. ამ საქმეში დიდი სამსახური გაუწია ხალხს ნეემიამ.

უკანასკნელი წინასწარმეტყველები ებრაელებისა იყვნენ ზაქარია და მალაქია, რომლებიც წინასწარმეტყველობდნენ ქრისტეს მოსვლის მოახლოვებას.

სპარსეთის მეფეების ხელში ებრაელები ამგვარად კარგ მდგომარეობაში იყვნენ. მაგრამ, როცა მათი ქვეყანა ასირიელებმა დაიპყრეს, მაშინ ძლიერ ცუდი დრო დაუდგათ.

სოლომონია და მისი ვაჟები

სირიის მეფემ ანტიოქ ეპიფანემ მოიწადინა ყველა თავის ქვეშევრდომისაგან ერთი ხალხი შეედგინა. ამიტომ, რადგანაც თვითონ შთამომავლობით ბერძენი იყო და ყველაფერი ბერძნული მოსწონდა, გამოსცა ბრძანება, რომ ყველა ხალხს მიეღოთ ბერძნების სარწმუნოება, ენა, ზნე და ჩვეულება. ამგვარად, საბრალო ებრაელებს დაუპირეს წაერთმიათ მათთვის ყველაფერი, რაც სიცოცხლეზე უძვირფასესი იყო. თვითონ იერუსალიმის ტაძარში ზევსის კერპი დაასვენეს და უბრძანეს მათ, თაყვანი ეცითო. ვინც-კი წინააღმდეგობას იჩენდა, ყველას აწვალებდნენ. ბევრი ხალხი დაიღუპა, მაგრამ ებრაელები საკვირველი სამაცობით იტანდნენ ყოველგვარ ტანჯვას. აი, მაგალითები, რა რიგი მამაცობა გამოიჩინა ერთმა დედამ, რომელსაც სოლომონია ერქვა.

თვითონ მეფე ეპიფანს მოჰგვარეს ეს დედაკაცი თავისი შვიდი ვაჟით. მეფემ უბრძანა იმათ, გადასდგომოდნენ თავიანთ სჯულს და თაყვანი ეცათ ზევსის კერპისათვის. მაგრამ მათ უარი განაცხადეს. მაშინ დაუწყეს იმათ საშინლად წვალება. ექვს ძმას დედის თვალის

წინ სათითაოდ მოჰკვეთეს ხელ-ფეხი, მოსჭრეს ენა, ცოცხლად ტყავი გააძრეს და ბოლოს დასწვეს. არც ერთი მათგანი არ გადუდგა თავის სჯულს. დედაც არიგებდა და ამხნევებდა იმათ. დარჩა უმცროსი ძმა. მეფეს ეგონა დაყვავებით და მოფერებით შეაცდენდა იმას და აღუთქვა სიმდიდრე და დიდება, მაგრამ მაინც ვერ შეაცდინა. მაშინ მან ურჩია დედას, უთხარი შენ შვილს, აღასრულოს ჩემი ბრძანება, თუ გსურს მაგის ბედნიერებაო. სოლომონიამ, ნაცვლად ამისა, უთხრა თავის პატარა შვილს: ნუ გეშინია მაგ მტანჯველისა, მიეგებე სიკვდილს ისე, როგორც შენი ძმები, არ უღალატო შენს სჯულს და ღმერთი შენ მოგანიჭებს წამების გვირგვინს!" ჭაბუკი ბევრი სტანჯეს და აწვალეს. მაგრამ ვერას გზით ვერ შეარყიეს მისი რწმენება და ბოლოს ისიც აწამეს ყველას შემდეგ. დედაც დასწვეს ცეცხლში. ეს შესანიშნავი შვიდნი ძმანი იყვნენ ბევრით მაკაბელნი.

ამგვარი უსამართლობის გამო ხალხი გამოვიდა მოთმინებიდან და აღსდგა. ებრაელთა უფროსობა იკისრა ერთმა შესანიშნავმა მღვდელმა, მატათიამ. ებრაელები გავიდნენ უდაბნოდ, შეკრიბეს ჯარი და დაუწყეს მტერს გაჭიანურებული ბრძოლა, მაგრამ, საუბედუროდ, მატათია მალე გარდაიცვალა. ჯარის უფროსობა მან თავის შვილებს გადასცა, რომლებიც ისე ყოჩაღად მოიქცნენ, რომ ბოლოს, როგორც იქნა, სძლიეს მტრები, გაათავისუფლეს თავიანთი მამული და აღადგინეს ჭეშმარიტი ღვთისმსახურება.

მაგრამ ებრაელები დიდხანს არ დამტკბარან თავისუფლებით. ისინი დაიმორჩილეს რომაელებმა, რომელთაც დაუნიშნეს მთავრად ვიღაც ჰეროდე. ეს ის ჰეროდე იყო, რომლის დროსაც იესო ქრისტე დაიბადა.

ახალი აღთქმა

ღვთისმშობლობა და ტაძრად მიყვანა

როცა ადამი და ევა ღმერთმა დასაჯა და სამოთხიდან გამორეკა, წყევლად ის აღუთქვა, რომ მაცხოვარი დაიბადება და ის გიხსნით ცოდვისაგან. ბევრი ხანი გავიდა იმის შემდეგ და კაცობრიობა ყოველთვის მოუთმენლად მოელოდა იესო ქრისტეს. ბოლოს მოაღწია ამ სანატრელმა დრომ და დაიბადა ის ნეტარი ქალწული, რომლისგანაც იშვა მაცხოვარი.

იქ დროს ებრაელების ქვეყანაში ცხოვრობდნენ მოხუცებული ცოლ-ქმარი, იოაკიმე და ანნა. ისინი უშვილონი იყვნენ და ეევედრებოდნენ ღმერთს, შვილი გვაღირსეო. თან აღთქმაც მისცეს ღმერთს, რომ თუ გვეყოლება შვილი, შენ შემოგწირავთო. უფალმა შეისმინა მათი ვედრება და მისცა ასული, რომელსაც სახელად მარიამი დაარქვეს*.

როცა მარიამი სამი წლისა გახდა, მშობლებმა შემოსეს კარგად, აცვეს სანთლები და წაიყვანეს იერუსალიმის ტაძარში შესაწირავად, როგორც აღთქმა ჰქონდათ. მათ წინ მიეგება მღვდელმთავარი, აიყვანა ხელში მარიამი და, ღვთის ნებით, შეიყვანა საკურთხეველში, სადაც მღვდელმთავრის გარდა, არავის არ ჰქონდა უფლება შესულიყო. ამიტომ თვითონაც გაუკვირდა ეს ამბავი, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ამ პატარა ქალს უთუოდ რაიმე დიდი დანიშნულება უნდა ჰქონდესო.

შეწირული ქალები ცხოვრობდნენ ტაძართან საკუთარ სადგომში, სადაც ისინი იზრდებოდნენ და სწავლობდნენ. ამიტომ მარიამიც მშობლებმა, ტაძრად მიყვანის შემდეგ, იქ დასტოვეს**.

ხარებობა

(ლუკა I. 24—56)

მარიამი რომ გაიზარდა, მშობლები დაეხოცნენ და მაშინ ობლად დარჩა. მაგრამ თვით ღმერთი იყო მისი მფარველი. მან ჩუმად მისცა ღმერთს აღთქმა, არ გავთხოვდებიო. ეს ამბავი არ იცოდნენ მისმა ალმ-

---

* ღვთისმშობლობას ვდღესასწაულობთ 8 ენკენისთვეს.

** ტაძრად მიყვანას ვდღესასწაულობთ 21 ნოემბერს.

ზრდელებმა და ამიტომ, როცა წლოვანი შეიქმნა, მოინდომეს მისი გათხოვება. მაშინ მარიამმა გამოუცხადა მათ თავისი სურვილი და აღთქმა. ამიტომ მღვდლებმა აიყვანეს და ჩააბარეს ის ერთ მის ნათესავს, მოხუც იოსებს. რომელიც ხურო იყო და ნაზარეთში ცხოვრობდა.

ერთხელ როცა მარიამი ლოცულობდა, გამოეცხადა ხელმწიფე მთავარანგელოზი და ახარა: „გიხაროდეს, მიმადლებულო, უფალი შენთან არს! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის". ამგვარმა მოულოდნელმა მოკითხვამ შეაშინა მარიამი. მაგრამ მთავარანგელოზმა გაამხნევა იგი და უთხრა, შენ შობავ ძეს და უწოდებ იესოს, ანუ მაცხოვარსაო. ქალწულმა მიუგო: „ეს როგორ შეიძლება, როდესაც მამაკაცისა არა ვიცი-რაო". მთავარანგელოზმა უპასუხა: „სული წმიდა გადმოვა შენზედ და შენ შობ შვილს, რომელიც იქნება ძე ღვთისაო". მაშინ მარიამმა კრძალვით მიიღო ეს ხარება და თქვა: „მე ვარ მხევალი უფლისა და აღსრულდეს ნება მისიო". მთავარანგელოზი უხილავი იქმნა და მარიამს ჩაესახა ქრისტე*.

იოანე ნათლისმცემლის შობა
(ლუკა I. 5—26)

ექვსი თვის წინათ, სანამ გაბრიელ მთავარანგელოზი მარიამს ახარებდა ქრისტეს შობას, იოანე ნათლისმცემლის მამას, ზაქარიას, გამოეცხადა იგივე მთავარანგელოზი და ახარა იოანე წინამორბედის შობა.

იოანეს მამა, ზაქარია, იყო მღვდელი. მის ცოლს ელისაბედი ერქვა. ისინი ძლიერ მოხუცდნენ და შვილი არა ჰყავდათ. ერთხელ, როცა ზაქარია ტაძარში ღვთისმსახურებას ასრულებდა და საკურთხეველში შევიდა საკმეველად, მოულოდნელად გამოეცხადა მას გაბრიელ მთავარანგელოზი და უთხრა: „ვედრება შენი შეისმინა ღმერთმა: შენ მოგეცემა ძე და უწოდებ იოანესაო".

ზაქარიას გაუკვირდა და არ ერწმუნა, რადგანაც ის და მისი მეუღლე ძლიერ მოხუცებულნი იყვნენ. ამ ურწმუნოებისათვის მთავარანგელოზმა უთხრა, შენ იქნები მუნჯი, სანამ ჩემი სიტყვა არ აღსრულდებაო. როცა ზაქარია საკურთხეველიდან გამოვიდა და ხალხი უნდა ეკურთხა, ხმა ვერ ამოიღო. ხალხი მიხვდა, რომ უთუოდ რაღაც ჩვენება ნახაო.

მთავარანგელოზის სიტყვა ასრულდა — ზაქარიას და ელისაბედს მიეცათ ვაჟი. მერვე დღეს, შემდეგ ყმაწვილის შობისა, ზაქარიას სახ-

* ხარებობა არის 25 მარტს.

ლში შეიკრიბნენ ნათესავები წინადაცვეთაზე დასასწრებლად. წინადაცვეთის დროს ებრაელები სახელს არქმევდნენ ხოლმე ყმაწვილს. არ იცოდნენ, რა სახელი დაერქმიათ ახლადშობილი ყმაწვილისთვის. ზოგი რა სახელს არქმევდა და ზოგი რას. ბოლოს მიუტანეს ზაქარიას ფიცარი და ანიშნეს, დაეწერა რომელი სახელი სურდა დაერქმია შვილისათვის. ზაქარიამ დაწერა სახელი „იოანნე". ამის დაწერა და ენის ახსნა ერთი იყო. ამ ამბავმა ყველა გააკვირვა*.

ქრისტეს შობა

(მათე. 1. 18—25; ლუკა 2. 1—26)

ხარების დროს მთავარანგელოზმა აუწყა მარიამს, რომ შენი ნათესავი ელისაბედი უშვილო იყოო, მაგრამ ექვსი თვეა, რაც უკვე შვილი ჩაესახაო. ამიტომ მარიამი, ხარებობის შემდეგ, ელისაბედის სანახავად წავიდა და იქ სამ თვეს დარჩა. შემდეგ ისევ ნაზარეთში დაბრუნდა და იოსებთან ცხოვრობდა.

როცა ქრისტეს შობის დრო მოახლოვდა, მაშინ რომის კეისარმა ოკტავიმ, რომელსაც მაშინ ებრაელები ემორჩილებოდნენ, ბრძანება გამოსცა, რომ ყველა მისი ქვეშევრდომი წასულიყო იმ ადგილს, საიდანაც შთამომავლობით იყვნენ, და იქ ჩაწერილიყვნენ სიაში.

იოსები და მარიამი ამ მიზეზის გამო წავიდნენ ბეთლემის ქალაქში. როცა იქ მივიდნენ, სადგომი ვერ იშოვეს, რადგანაც ბევრი ხალხი შეკრებილიყო. ამიტომ ისინი ქალაქგარეთ გავიდნენ და ერთ გამოქვაბულ კლდეში დაბინავდნენ, რომელიც მწყემსებს ეკუთვნოდათ. მწყემსები იმ ღამეს მინდვრად იყვნენ, რადგანაც კარგი ამინდი იყო. იმ გამოქვაბულში დაიბადა იმ ღამეს მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. ღვთისმშობელმა გახვია იგი და ბაგაში მიაწვინა, რადგანაც სხვა ადგილი არა ჰქონდა.

როცა იესო ქრისტე დაიბადა, ზეციდან მწყემსებს ანგელოზების ეკლესია მოესმათ და შეშინდნენ. მაგრამ მათ ერთი ანგელოზი გამოეცხადათ და ახარა მაცხოვრის დაბადება. ისინი მაშინვე წავიდნენ გამოქვაბულში, ნახეს ქრისტე, ბაგაში მწოლარე და თაყვანი სცეს**.

---

* ნათლისცემლის დაბადებას ეუქმობთ ჩვენ 24 ივნისს.

** ქრისტეს შობას ვდღესასწაულობთ 25 ქრისტეშობისოვეს.

მირქმა ქრისტესი

(ლუკა 2. 22—39)

მეორმოცე დღეს, შემდეგ შობისა, მარიამმა და იოსებმა, ჩვეულებისამებრ ებრაელთა, მიიყვანეს იესო იერუსალიმის ტაძარში და თან მსხვერპლად ორი პატარა მტრედი მიიყვანეს. იმ დროს იერუსალიმში ცხოვრობდა ერთი მართალი მოხუცი სიმეონი. სიმეონს აღუთქვა ღმერთმა, არ მოკვდები, სანამ ქრისტეს შენი თვალით არ ნახავ. აი, ეს სიმეონი მიეგება ქრისტეს, როცა იგი ტაძარში მიიყვანეს და სული წმიდის შთაგონებით იცნა ის. სიმეონმა აიყვანა ხელში ქრისტე და უწოდა მას ნათელი, განმანათლებელი წარმართთა; თანაც მან შემდეგი ლოცვა წარმოსთქვა: „აწ განმიტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა, მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი, რომელი განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა". ამ ლოცვაში ის შეევედრა ღმერთს, ახლა კი დროა გარდავიცვალო, უფალო, რადგანაც ჩემი თვალით დავინახე მაცხოვარი, როგორც აღთქმული მქონდა.

მირქმის დროს ტაძარში დაესწრო აგრეთვე ერთი ღრმად მოხუცებული დედაკაცი ანნა, რომელმაც ადიდა იესო ქრისტე, გამოაცხადა, ეს ყმაწვილი მაცხოვარიაო და იწინასწარმეტყველა კიდეც მისი წამებაც*.

ურმა იესოს სიბრძნე

(ლუკა 2. 41—50)

ერთხელ, როცა იესო ქრისტე თორმეტი წლისა იყო, იოსები და მარიამი იერუსალიმის ტაძარში წავიდნენ სალოცავად და იესოც თან წაიყვანეს. იქ სამი დღე დარჩნენ, ილოცეს და მერე შინ დაბრუნება დააპირეს, მაგრამ დაბრუნების დროს შენიშნეს, რომ იესო იმათთან არ იყო. იფიქრეს, უთუოდ ნაცნობებს გაჰყვაო და წამოვიდნენ შინ; გზაზე ბევრი ეძიეს, იკითხეს, მაგრამ ვერ იპოვეს და ხელახლა უკან დაბრუნდნენ იერუსალიმში. როცა იქ მივიდნენ და ტაძარში შევიდნენ, ნახეს, რომ ქრისტე მღვდლებთან იჯდა და ღმერთზე ეგაასებოდა. თორმეტი წლის ქრისტეს გაკვირვებაში მოჰყავდა მღვდლები გონიე-

* მირქმის დღეს ეუქმობთ თებერვალს.

რი სიტყვებითა და პასუხით. ღვთისმშობელი მივიდა და უსაყვედურა: „შვილო! ეს რა ვაყავ! ამდენი ხანია შენ გეძებდითო“. ქრისტემ უპასუხა დედას: „რად მეძებდით, განა არ იცით, რომ მე იქ უნდა ვიმყოფებოდე, საღაც ზეციერ ჩემს მამაზე ბაასობენო?“ ამ პასუხით ვნა გამოსთქვა, რომ ის იყო ჭეშმარიტი ძე ღვთისა და მოვიდა ქვეყნად ხალხის სასწავლებლად და გამოსახსნელად. მაგრამ მაშინვე დაემორჩილა ქვეყნიერ დედას, ადგა და გამოჰყვა.

შემდეგ ამისა იესო ისევ ნაზარეთში ცხოვრობდა ღარიბი დურგლის ოსების სახლში ოცდაათ წლამდის, სანამ ნათლისღება არ მიიღო.

ნათლისღება

(მათე 3. 13—17)

როცა იოანე ნათლისმცემელი-აღიზარდა, შეუდგა თავისი დანიშნულების აღსრულებას: მივიდა უდაბნოში იორდანეს მდინარეზე, უქადაგებდა ხალხს იესო ქრისტეს მოსვლას და ურჩევდა მოენანიებინათ ცოდვა და ღირსეულად მიჰგებებოდნენ მას. მრავალი ისმენდა მის რჩევას. მიდიოდნენ მასთან და აღიარებდნენ ცოდვებს: ზოგიერთებს თვითონ იოანე ეგონათ მაცხოვარი, მაგრამ იგი არწმუნებდა, რომ მე არ ვარ ქრისტეო. და უჩვენებდა მისი მოახლოების ნიშნებს.

ამ დროს, მართლაც, მივიდა მასთან იესო ქრისტე, რომელიც მაშინ ოცდაათი წლისა იყო და უთხრა, მომნათლეო. იოანე ჯერ უარზე დადგა და უთხრა: „უფალო! მე თვითონ შენგან მეკუთვნის ნათლისღებაო“. მაგრამ ქრისტემ უპასუხა მას, რომ ეს ღვთის ნება არისო. იოანე დაემორჩილა, ქრისტე ჩაბრძანდა წყალში და იოანემ ნათელი სცხო. როცა ნათლისღება გათავდა და ქრისტე წყლიდან ამოვიდა, ცა გაიღო და სული წმიდა გადმოვიდა მასზე მტრედის სახედ. ამას გარდა ზეციდან მოისმა ხმა მამა ღმერთისა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, მაგისი ისმინეთო“*

ნათლისღებას შემდეგ იესო ქრისტე იორდანეს უდაბნოში დარჩა. იქ ორმოცი დღე იმარხულა და მერე ქადაგება დაიწყო.

---

* ნათლისღებას ეღესასწაულობთ 6 იანვარს.

პირველი სასწაული იესო ქრისტესი

(იოან. 2. 1 — 11)

იორდანეს უდაბნოდან ქრისტე დაბრუნდა გალილეაში და იწყო ხალხის სწავლება. აქ მან აირჩია პირველი მოწაფენი: ანდრია, პეტრე, ფილიპე, ნათანაილი და სხვ.

შემდეგ ამისა ერთხელ იესო ქრისტე, ღვთისმშობელი და ქრისტეს მოწაფენი დაჰპატიჟეს ჯანას ქალაქში, ქორწილში. ლხინის დროს მასპინძელს ღვინო დააკლდა და არ იცოდა, რა ექნა. როცა ეს ღვთისმშობელმა გაიგო, მივიდა და უთხრა ქრისტეს, მასპინძელს ღვინო აკლიაო. იესო ქრისტემ უპასუხა დედას, ჯერ არ მოსულა სასწაულის ქმნის დროო. მაგრამ მარიამმა იცოდა რომ ქრისტე უთუოდ უშველიდა გაჭირვებულს და ამიტომ ებრძანა მოსამსახურეებს: „რაც კი გიბრძანოთ, აღასრულეთო“.

და მართლაც, მაცხოვარმა უბრძანა მოსამსახურეებს ავსოთ წყლით ექვსი ჭურჭელი. მათ აასრულეს მისი ბრძანება. ყოვლისშემძლებელმა ქრისტემ აკურთხა წყალი და ღვინოდ აქცია. მერე უბრძანა მოსამსახურეებს, ამოიღეთ და სტუმრებს მიუტანეთო. როცა სტუმრებმა ღვინო დალიეს, გაკვირდნენ და თქვეს: „ჩვენმა მასპინძელმა ჯერ ცუდი ღვინო იხმარა და მერე კარგიო!“ მაგრამ როცა გაიგეს, საიდან გაჩნდა ეს ღვინო, მრავალნი ერწმუნენ ქრისტეს.

ეს იყო პირველი სასწაული იესო ქრისტესი.

მევაჭრეთა განდევნა ტაძრიდან

(იოან. 2. 13 — 25)

როცა ებრაელების პასექი დადგა, ქრისტე იერუსალიმში წაბრძანდა. ტაძარში რომ შევიდა, აი რა უწესოება ნახა: დამსხდარიყვნენ ვაჭრები და ზოგი ცხვრებსა ჰყიდდნენ მსხვერპლისთვის, ზოგი მტრედებს და ზოგიც ფულებს ახურდავებდნენ. ერთი სიტყვით, ტაძარი სავაჭრო ადგილად გაეხადათ.

მაცხოვარი დიდად განრისხდა და ვაჭრები გარეთ გამორეკა; ზარაფებსაც სტოლები დაუმხო და ფული დაუბნია, თანაც ეუბნებოდა განრისხებული ქრისტე ვაჭრებს: „რად გაგიხდიათ სახლი მამისა ჩემისა სავაჭრო ადგილადაო?“ ამ სიტყვებით ქრისტემ აცნობა ხალხს, რომ იგი იყო ძე ღვთისა. ვაჭრებმა ვერა ჰკადრეს იესოს, მაგრამ ებრაელების მღვდლებმა იწყინეს მისი მოქმედება, მივიდნენ და ჰკითხეს: „რა სასწაულით დაგვიმტკიცებ, რომ უფლება გაქვს აგრე მო-

იქცეო?“ მაცხოვარმა უპასუხა: რა კი სასწაულს ეძებთ, დააქციეთ ეს ტაძარი და მე მესამე დღეს აღვადგენო“.

ურიებს ძლიერ გაუკვირდათ და სთქვეს: „ჩვენ ორმოც წელიწადს ძლივს ავაშენეთ ეს ტაძარი და შენ როგორ შეგიძლია, სამ დღეს აღადგინო? უფლის სიტყვები იმას ნიშნავდა, რომ რადგანაც სასწაულს თხოულობთ, სასწაულიც ის იქნება, რომ მე თქვენ მომკლავთ და მესამე დღეს აღვდგებიო“. მაგრამ ურიები ვერ მიხვდნენ იესოს სიტყვას. მხოლოდ როცა ქრისტე მკვდრეთით აღსდგა მესამე დღეს, მაშინ გაახსენდათ მისი სიტყვები მოწაფეებს და მიხვდნენ.

განკურნება კარისკაცის ძისა

(იოან. 4. 45 — 54)

როცა ქრისტე ხელახლა კანას ქალაქში მივიდა, სადაც მან პირველი სასწაული ჰქმნა. მასთან კაპერნაუმიდან ერთი კარისკაცი მოვიდა, რომელსაც ვაჟი ჰყავდა სნეული. და შეევედრა, მიშველე, შვილი მყავს ავად. წამოდი და განმიკურნეო. ქრისტემ პასუხად ეს უთხრა: „სანამ სასწაულს არ ნახავთ, ხომ არ მერწმუნებითო?“

კარისკაცმა მიუგო: „უფალო! ჩქარა წამობრძანდი, სანამ მომიკვდებოდეს შვილიო“.

ქრისტემ უთხრა, „წადი, შენი შვილი უკვე განიკურნაო. მან დაიჯერა მაცხოვრის სიტყვა და გაეშურა შინისკენ. გზაზე მოსამსახურენი შეხვდნენ და ახარეს, შენი ვაჟი მორჩაო.

მან ჰკითხა: „რა დროს მორჩაო?“ მათ უპასუხეს, რა დროსაც განიკურნა სნეული. აღმოჩნდა, რომ ის სწორედ იმ დროს, მორჩენილიყო, როცა ქრისტემ უბრძანა მამას: „წადი, შენი ძე მორჩაო“.

ის კაცი შემდეგ ამისა მივიდა ქრისტესთან მთელი თავისი სახლობით, თაყვანი სცა და ერწმუნა.

განკურნება განრღვეულისა ცხოვართა საბანელთან

(იოან. 1 — 16)

იერუსალიმის მახლობლად ერთი შესანიშნავი საბანაო ადგილი იყო. წელიწადში ერთხელ ჩამოვიდოდა ზეციდან ანგელოზი და აამღვრევდა წყალს. ვინც კი მოასწრებდა პირველად დაბანას, რაც გინდა სნეული ყოფილიყო, განიკურნებოდა ხოლმე. ამიტომ აქ საღგომებში მრავალი ავადმყოფი იწვა და მოელოდნენ წყლის ამღვ-

რევას. სხვათა შორის იქ ერთი დავრდომილი ოცდათვრამეტი წელიწადი იმყოფებოდა.

ერთხელ, როცა ქრისტე იერუსალიმში ბრძანდებოდა, მივიდა იმ სასანელთან და ნახა ავადმყოფები. განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია ქრისტემ იმ დიდი ხნის დავრდომილს და ჰკითხა: „გინდა განიკურნო?“ საბრალომ უპასუხა: „ბარემ კი მინდა, მაგრამ პატრონი არავინ მყავს. რომ, როცა წყალი აიმღვრევა, ჩამიშოს შიგ. ყოველთვის სხვები მიმასწრებენ ხოლმე და მე ვარ ამდენი ხანი უპატრონოდ“.

ქრისტემ უბრძანა: „აღდეგ, აიღე შენი ლოგინი და წადიო“. დავრდომილი იმ წამსვე განიკურნა, ადგა და წავიდა. მაგრამ ის დღე შაბათი იყო და, როცა ურიებმა დაინახეს ის კაცი, რომ ლოგინი მიჰქონდა, უთხრეს: „დღეს შაბათია, რად ეზიდები ლოგინსაო?“ მან მიუგო: „ვინც განმკურნა, მანვე მიბრძანა, ლოგინი აიღე და წადიო“. „ვინ არის ის კაციო?“ ჰკითხეს ურიებმა. მან არ იცოდა, ვინ განკურნა იგი, რადგანაც ხალხი ბევრი იყო და ქრისტე ხალხში გაერია.

შემდეგ ქრისტემ ის კაცი ერთხელ ტაძარში ნახა და უთხრა: „ხომ მორჩი, გაფრთხილდი, ნუღარ სცოდავ, თორემ უარესი დაგეშართებაო“.

მცნებანი ნეტარებისანი

(ლუკა 6. 17 — 49)

ქრისტეს მრავალი მოწაფე ჰყავდა, მაგრამ მათგან ერთხელ მან თორმეტი აირჩია და უწოდა მოციქულებად. აი იმათი სახელები: პეტრე, ანდრია პირველწოდებული, იაკობი, იოანე, ფილიპე, ბართლომე, მათე, თომა, იაკობ ძე ალფესი, სვიმონი, იუდა ქრისტეს ძმად წოდებული, და იუდა ისკარიოტელი.

ერთხელ, როცა ქრისტეს გარს ეხვია ხალხი და მისი მოციქულები, ავიდა ერთ მაღლობ ადგილზე, აღაღო პირთ და წარმოსთქვა ცხრა მცნება ნეტარებისა:

1. ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

2. ნეტარ იყვნენ მგლოვარნი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის ცემულ იქმნენ.

3. ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა.

4. ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღნენ.

5. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნეს.

6. ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

7. ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდებოდნენ.

8. ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათ არს სასუფეველი ცათა.

9. ნეტარ იყვნენ თქვენ, რაჟამს გყვედრიდნენ და გდევნიდნენ და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა ზომარო სიცრუით ჩემთვის. გიხარეოდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი ფრიად არს ცათა შინა.

ნაინელი ქვრივის ვაჟის აღდგენა

(ლუკა 7. 14 — 17)

ნაინის ქალაქში ერთი ქვრივი დედაკაცი ცხოვრობდა. იმას ერთი ვაჟის მეტი არა გააჩნდა. მაგრამ ისიც ავად გაუხდა და, თუმცა ბევრი უეცია, ვერა უშველა-რა და მოკვდა. როცა მკვდარი დასაკარგავად მიჰქონდათ და ქალაქიდან გამოვიდნენ, სწორედ ამ დროს ქრისტეც მიუახლოვდა ქალაქს. ქრისტეს თან ახლდნენ თავისი მოწაფეები და ხალხიც ბევრი მისდევდა უკან. დედა გაწყარებული სტიროდა თავის საყვარელ შვილს.

მაცხოვარს შეებრალა. საწყალი დედა და უბრძანა, ნუ სტირიო. შემდეგ მიუახლოვდა იმათ, ვისაც ცხედარი მიჰქონდათ და უბრძანა, გაჩერდითო. იმათ აღასრულეს ბრძანება მისი. შემდეგ ყოვლის შემძლებელი ქრისტე შეეხო ხელით ცხედარს და უბრძანა მკვდარს: „ჭაბუკო! შენ გეტყვი, აღსდეგო“. ამ სიტყვის თქმა და მკვდრის გაცოცხლება ერთი იყო. საბრალო დედის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ამ ამბავმა ხალხი ისრე გააკვირვა, რომ შიშმა მოიცვა ყველანი: ღმერთს ადიდებდნენ და ამბობდნენ: „ღმერთმა მოგვხედა და დიდი წინასწარმეტყველი მოგვივლინაო“.

ეს ამბავი გავრცელდა ხალხში და შემდეგ სულ ქრისტეს საქმეებზე ლაპარაკობდნენ.

იგავი მთესველზე

(მათე 13. 1 — 23)

იესო ქრისტე ხშირად ელაპარაკებოდა ხალხს იგავით, რომ უფრო კარგად გადაეცა მისთვის თავისი მაღალი სწავლა.

ერთხელ, მაგალითად, როცა ის ზღვის პირად იმყოფებოდა და ბრავალი ხალხი შეიკრიბა, ჩაბრძანდა ნავში და იქიდან უთხრა მათ შემდეგი იგავი.

გამოვიდა მთესველი და როცა თესავდა, თესლი ზოგი გზაზე დაეყარდა და ფრინველებმა აკენკეს; ზოგი კლდიან ადგილზე დაეყარდა, სადაც საკმაო მიწა არ იყო, და, როგორც-კი ამოვიდა, მზემ გაახმო; ზოგი ეკლიან ადგილზე დაეცა და, როცა აღმოცენდა, ეკალმა დაჩრდილა და გამოახრჩო; ზოგიც კარგ ნაყოფიერ ადგილზე დაეყარდა და გამოიღო ნაყოფი, ზოგმა ერთი ასად, ზოგმა სამოცი და ზოგმაც ოცდაათი. ამ იგავს ქრისტემ დაუმატა: „ვისაც აქვს ყური სასმენლად, ისმინოსო“.

მთესველი არის თითონ ქრისტე, თესლი — სიტყვა ღვთისა, ადგილი — ადამიანი. გზა ნიშნავს ისეთ ადამიანს, რომელსაც ესმის ღვთის სიტყვა, მაგრამ მალე ივიწყებს; კლდოვანი ადგილი ნიშნავს ისეთ კაცს, რომელიც ისმენს და მიიღებს კიდეც ღვთის სიტყვას, მაგრამ, რადგანაც მჩატე ჭკუა აქვს, ნაყოფი არ მოაქვს; ეკლიანი ადგილი არის ისეთი ადამიანი, რომელიც ისმენს ღვთის სწავლას, მაგრამ სულ ქვეყნიერ ბედნიერებაზე ზრუნავს და სიტყვა ღვთისა კი ნაყოფიერ რჩება მის გონებაში. კარგი ნიადაგი ნიშნავს ისეთ ადამიანებს, რომლებიც ერთგულად ისმენენ ღვთის სიტყვას და ნაყოფიც მოაქვთ, მაგრამ ზოგს მეტი და ზოგსაც ნაკლები.

ღელვის დაწყნარება

(მათე 8. 23 — 27)

ერთ საღამოს იესო ქრისტე ჩაჯდა თავისი მოწაფეებით ნავში და გალილეის ტბის მეორე მხარეს წავიდა. მათთან სხვებიც მიდიოდნენ ნავებით. მოგზაურობის დროს ქრისტემ დაიძინა. ამ დროს ერთბაშად ამოვარდა ქარი და ისეთი საშინელი ღელვა მოხდა, რომ ნავები კინაღამ არ დაიღუპნენ. მოწაფეები ძლიერ შეშინდნენ, საჩქაროდ ქრისტე გააღვიძეს და უთხრეს: „მოძღვარო, გვიშველე, ვიღუპებითო“.

მაცხოვარმა უსაყვედურა: „რამ შეგაშინათ აგრე, თქვე მცირე მორწ-

მუნენოო". მერე უბრძანა ქარს და წყალს: „დაწყნარდითო". ღელვა მაშინვე მოისპო და სრული მყუდროება ჩამოვარდა.

ხალხს ძლიერ გაუკვირდა ეს ამბავი და ამბობდნენ: „ვინ არის ეგ, რომ ყველაფერი მის ბრძანებას ემორჩილება, ქარიცა და ზღვაცაო".

იაირის ასულის აღდგენა

(მათე 8. 18 — 26)

ერთხელ, როცა იესო ქრისტე ხალხს ასწავლიდა, მივიდა მასთან ერთი უფროსი, სახელდობრ. იაირი, დაიჩოქა, მოეხვია მუხლებზე და მოახსენა: „ქალი მიკვდება, მიშველე, წამობრძანდი, შეახე ხელი და მომირჩინეო". მაცხოვარმა შეიწყნარა მისი თხოვნა და წაჰყვა. ხალხიც სულ უკან გამოუდგა. როცა იაირის სახლს მიუახლოვდნენ, მას წინ კაცი მიეგება და მოახსენა: „ნუღარ აწუხებ უფალს, შენი ქალი გარდაიცვალაო".

საბრალო მამამ ტირილი მორთო, მაგრამ ქრისტემ უთხრა: „ნუ გეშინიან, შენ მხოლოდ გრწამდეს და შენს ქალს არა უშავს-რაო".

მივიდნენ იაირისას. იქ საშინელი ტირილი იყო. ქრისტემ უთხრა მოტირალთ: „რა გატირებთ? ქალი არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს". ხალხმა რომ ეს გაიგონა, გაუკვირდა და დაცინვა დაუწყეს.

მაშინ ის შებრძანდა სადაც მკვდარი ესვენა და ყველა კარში გამორეკა, მშობლებისა და სამი მოწაფის გარდა. შემდეგ მოჰკიდა ხელში ხელი მკვდარს და უბრძანა: „ქალწულო, შენ გიბრძანებ, აღსდეგო!" ქალი იმ წამსვე გაცოცხლდა, აღსდგა და სიარული დაიწყო. ქრისტემ ბრძანა, საჭმელი აჭამეთო.

ამ სასწაულმა ყველა გააკვირვა და ხალხში კიდევ უფრო გავრცელდა ქრისტეს სასწაულების ამბავი.

იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთა

(მათე 14. 1 — 12)

ებრაელების მთავარს ჰეროდეს ჰსურდა, რომ თავისი ძმის ფილიპეს ქვრივი შეერთო ცოლად, მაგრამ იოანე ნათლისმცემელი ამხილებდა მას და ეუბნებოდა, რომ რძლის ცოლად შერთვა ცოდვაო. ამიტომ ჰეროდემ შეიპყრო ის, საპყრობილეში ჩასვა და მოკვლასაც უპირებდა, მაგრამ ხალხის ეშინოდა, რადგანაც ხალხს იოანე დიდ წინასწარმეტყველად მიაჩნდა.

ერთხელ ჰეროდეს დღეობა იყო. მან დიდი ლხინი გამართა და

მთელი დიდკაცობა დაპატიჟა. როცა ქეიფში იყვნენ, შემოვიდა მისი ძმის ფილიპეს ქალი და მშვენივრად ითამაშა. ბიძამ მოუწონა თამაშობა და სტუმრებთან უთხრა: „რაც-კი გინდა, მთხოვე და აგისრულებო“. ქალმა არ იცოდა, რა ეთხოვა, გაიქცა და დედას დაეკითხა. დედამისს იოანეს ჯავრი სჭირდა და აი, რა უთხრა: „წადი, შვილო, და იოანეს თავი სთხოვე ბიძაშენსაო“. ქალი დაბრუნდა ჰეროდესთან და სთხოვა ნათლისმცემლის თავი.

ჰეროდე შეწუხდა, მაგრამ თავისი სიტყვა ველარ გასტეხა სტუმრებთან. გაგზავნა საპყრობილეში კაცი და უბრძანა. მოჰკვეთეთ იოანეს თავი და მოიტანეთო. ამგვარად მოჰკვეთეს იოანეს თავი და მიართვეს ჰეროდეს ლაკნით. ჰეროდემ აიღო და თავის ძმისწულს აჩუქა. იმანაც დედას წაუღო.

როცა ეს სამწუხარო ამბავი იოანე ნათლისმცემლის მოწაფეებმა შეიტყვეს, წავიდნენ, გამოსთხოვეს ჰეროდეს თავიანთი მოძღვარის გვამი, წაიღეს და დაასაფლავეს*.

ხუთიათასი კაცის ხუთი პურით გაძღომა

(მათე 14. 23)

იესო ქრისტე საღამომდის ასწავლიდა ერთხელ ხალხს უდაბნოში, სადაც არაფერი საზრდო არ იშოვებოდა. ხალხს პური მოშივდა. საღამოს დროს მოწაფეებმა მოახსენეს ქრისტეს, ხალხი დაითხოვე; რომ წავიდნენ სოფელში და საჭმელი იყიდონო. მაცხოვარმა უბრძანა მათ, თვითონ აქამეთ პური ხალხსაო. მოწაფეებს გაუკვირდათ და უთხრეს: „ვინ მოგვცა ჩვენ იმდენი პური, რომ ეს ოდენი ხალხი დავაკმაყოფილოთო“.

მაშინ მაცხოვარმა ჰკითხა მათ: „რამდენი პური გაქვთ?“. მისმა მოწაფემ ანდრიამ მოახსენა: „აქ ერთი პატარა ყმაწვილია და მარტო მას აქვს ხუთი ქერის პური და ორი თევზიო, მაგრამ ეს რას უზამს ამდენ ხალხსაო“. „მოიტანეთ აქაო“, — ბრძანა ქრისტემ.

როცა მიართვეს ქრისტეს ხუთი პური და ორი თევზი, მან აკურთხა ისინი და უბრძანა მოწაფეებს, დაურიგეთ ხალხსაო.

ხალხი დასხდა მინდორში. სულ ხუთი ათასი კაცი იყო, ყმაწვილებისა და დედაკაცების გარდა. მოწაფეებმა დაურიგეს პური ხალხს. ხალხი გაძღა; მოწაფეებმა დანარჩენი მოაგროვეს და კიდევ თორმეტი კალათა გაავსეს. ეს იყო სასწაული ქრისტესი.

---

* თავის კვეთობას იხსენიებს ეკლესია 29 მარიამობისთვეს.

ხალხს ძლიერ გაუკვირდა ეს სასწაული და მოინდომეს იესო ქრისტე მეფედ დაესვათ, მაგრამ იგი ისე მიიპალა ხალხში, რომ ვერ შენიშნეს.

ხეალზე სიარული ქრისტესი

(მათე 14. 23 — 34)

ძას შემდეგ, რაც ქრისტემ ხუთი ათასი კაცი ხუთი პურით გააძღო, თვითონ უდაბნოში დარჩა მარტო სალოცავად, მოწაფეებს უბრძანა, ნავში ჩასხედით და კაპერნაუმისკენ წადითო. ქრისტე დიდხანს ლოცულობდა უდაბნოში. გათენებისას წყალდაწყალ წავიდა ფეხით ნავ მხარისაკენ. სითაც მოციქულები გაისტუმრა. მოწაფეებს მოგზაურობის დროს უბედურება ეწიათ. ღამით ამოვარდა ქარი და საშინელი ღელვა ატყდა. მოწაფენი დიდ შიშში იყვნენ, რადგანაც ქრისტე მათთან არა ბრძანდებოდა. ამ დროს დაინახეს ვიღაც მომავალი ფეხით წყალზე. მათ მოჩვენება ეგონათ და ძლიერ შეეშინდათ. მაგრამ მაშინვე ხმა მოესმათ: „მე ვარ, ნურას გეშინიათო!" პეტრემ დაუძახა: „თუ მართლა შენა ხარ, უფალო, მიბრძანე მეც გეახლო შენთან წყალდაწყალო". „მოდი", — უბრძანა ქრისტემ.

პეტრე გადავიდა ნავიდან და უნდოდა წყალზე გაევლო, მაგრამ ზვირთებმა მოასწრეს, შეშინდა და კინაღამ დაიღუპა. „არიქა, უფალო, მიშველეო!" შესძახა ქრისტეს. იესო ქრისტე მივიდა მასთან, მოჰკიდა ხელში ხელი და უთხრა: „შე მცირედ მორწმუნე, ეჭვი რად შეგვიდა თავშიო!".

შემდეგ ორივენი მშვიდობით მივიდნენ ნავთან და ჩასხდნენ. ღელვა მაშინვე დაწყნარდა და მშვიდობით მიუახლოვდნენ ნაპირს. „ჭეშმარიტად ძე ხარ ღვთისაო", მოახსენეს ქრისტეს მოწაფეებმა და თაყვანი სცეს.

როცა იესო ქრისტე და მისი მოწაფეები კაპერნაუმში წავიდნენ და ხალხმა ნახა იგი მოსული, ძლიერ გაიკვირვა, რადგანაც იცოდნენ, რომ ის მოწაფეებთან არ წამოსულიყო და უთხრეს: „მოძღვარო, რანაირად მოხვედი!" ქრისტემ მიუგო: „ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ, არა მისთვის მეძებთ, რომ იხილოთ სასწაული, არამედ მისთვის, რომ სჭამოთ პური და გასძღეთ. იზრუნეთ არა მარტო ხორციელი საზრდოსთვის, არამედ სულიერი საზრდოსთვისაც, რომელსაც მოგანიჭებთ თქვენ ძე ღვთისაო".

ფერისცვალება

(მათე 17. 1 — 13)

იესო ქრისტეს უნდოდა თავისი მოწაფეებისათვის ეჩვენებია თავისი ღვთაებრივი დიდება. ამისთვის წაიყვანა მან ისინი და წავიდა თაბორის მთაზე. როცა მთის ძირთან მივიდა, სხვა მოწაფეები იქ დასტოვა და მარტო სამი მოწაფე — პეტრე, იაკობი და იოანე წაიყვანა თან და ავიდა მთის წვერზე. იქ იგი ცოტა მოშორდა მათ და დაიწყო ლოცვა. რადგანაც მოწაფეები დაღალულნი იყვნენ, ცოტა მიეძინათ. როცა თვალი აახილეს, საკვირველი სანახავი ნახეს: იესო ქრისტეს ფერი ეცვალა — პირის სახე მზესავით უბრწყინავდა და სამოსელიც თეთრი ჰქონდა, როგორც თოვლი. ამას გარდა მოსე და ილია წინასწარმეტყველები, რომლებიც ზეციდან გამოსცხადებოდნენ, გვერდით იმყოფებოდნენ და ელაპარაკებოდნენ ქრისტეს ტანჯვაზე, რომელიც მოელოდა მას იერუსალიმში ურიათაგან. პეტრე მოციქულმა სიხარულით უთხრა უფალს: „მოძღვარო! რა კარგია აქ ყოფნა. ვაკეთოთ აქ სამი კარავი: ერთი შენთვის, ერთი მოსესთვის და ერთიც ილიასთვის". მაგრამ ამ დროს მთა ღრუბელმა მოიცვა და მოისმა ზეცით მამა ღმერთის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, მაგისი ისმინეთო". მოწაფეები ისე შეშინდნენ, რომ პირქვე დაეცნენ. მაგრამ ქრისტე მიუახლოვდა მათ, შეახო ხელი და უთხრა: „აღსდექით, ნუ გეშინიათ". აიღეს თავი მაღლა და დაინახეს, რომ ქრისტე მარტო იდგა მათ წინ ჩვეულებრივი სახით. მაცხოვარმა უბრძანა მოწაფეებს, დრომდის არავის გაუმხილოთ ეს ამბავი*.

იგავი მოწყალე სამარიტელზე

(ლუკა 10. 25 — 37)

იესო ქრისტესთან მივიდა ერთხელ ერთი სჯულის მცოდნე კაცი და ჰკითხა: „რა უნდა ვქნა, რომ სასუფეველი დავიმკვიდროო?" იესო ქრისტემ უპასუხა: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და მოყვასი შენი, როგორც თავი თვისიო". მაგრამ სჯულის მეცნიერი ამით არ დაკმაყოფილდა და კიდევ ჰკითხა: „ვინ არის მოყვასი ჩემიო? მაშინ მაცხოვარმა პასუხად ეს იგავი უთხრა.

ერთხელ ერთი კაცი მიდიოდა იერუსალიმიდან იერიქონის ქალაქ-

---

* ფერისცვალებას. ვდღესასწაულობთ 6 მარიამობისთვეს.

შიო. გზაზე მას ავაზაკები დახვდნენ, გაძარცვეს, დაჭრეს და ისე დასტოვეს შარა გზაზე. იმ გზაზე გაიარა ერთმა ურიების მღვდელმა, დაინახა ის საბრალო კაცი, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია, აუარა გვერდი და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ გამოიარა ლევიტმა (ეკლესიის მოსამსახურეა) და ისიც ისე მოიქცა. მერე გამოიარა ერთმა სამარიტელმა, ნახა ის კაცი, შეებრალა, მივიდა, წყლული მობანა და შეუხვია, შესვა თავის ვირზე, მიიყვანა მახლობელ სასტუმროში და მოუარა. მეორე დილას სადგურის პატრონს ფული დაუტოვა და სთხოვა მოვლა მისთვის, თუ მეტს დახარჯავო, უთხრა, როცა დავბრუნდები, გიზღავო.

როცა ქრისტემ ეს იგავი გაათავა, ჰკითხა მწიგნობარს: „როგორ ფიქრობ, იმ სამ კაცთაგან რომელია მოყვასი იმ კაცისა, რომელიც ავაზაკებმა დაჭრესო?" „მე ასე ვფიქრობ", — მიუგო მწიგნობარმა, — „სამარიტელიო". „მაშ წადი და შენც ესე მოიქეციო", — უბრძანა მას მაცხოვარმა, ესე იგი, ყოველ კაცს უშველე და შეეწიე, ვინც უნდა იყოსო.

იგავი მდიდრისა და ლაზარეს შესახებ

(ლუკა 16. 19 — 31)

იესო ქრისტემ წარმოსთქვა შემდეგი იგავი: იყო ერთი მდიდარი კაცი, რომელიც მშვენივრად იმოსებოდა და ყოველ დღეს ქეიფსა და მხიარულებაში ატარებდა. მისი სასახლის კარებთან ცხოვრობდა ერთი საწყალი დავრდომილი კაცი ლაზარე, რომელიც მდიდრის ნასუფრალით იკვებებოდა. ეს კაცი უპატრონოდ ეგდო, ძაღლები მოდიოდნენ და ლოშნიდნენ საბრალოს წყლულს.

გავიდა ხანი. გარდაიცვალა გლახაკი ლაზარე და სული მისი აღიტაცეს ანგელოზებმა წიაღსა შინა აბრამისასა. მოკვდა მდიდარიც და დიდი ამბით დაასაფლავეს. როცა სული მისი იტანჯებოდა ჯოჯოხეთში, დაინახა მან შორით აბრაამი და მასთან გლახაკი ლაზარეც. ადგა და შეევედრა აბრაამს: „მამაო აბრაამ! შემიწყალე მე, გამოგზავნე ლაზარე, რათა დაასველოს თითის წვერი წყალში და გამიგრილოს ენა, რადგანაც ვიტანჯები ალმურშიო". აბრაამმა უთხრა: „შვილო, გაიხსენე, როგორ განცხრებოდი შენ დედამიწაზე და როგორ იტანჯებოდა ლაზარე. ნაცვლად ეს აქ სასუფეველშია, ხოლო შენ იტანჯები. ამას გარდა ჩვენ შორის დიდი უფსკრულია, ასე რომ გადმოსვლა შეუძლებელია". მაშინ მდიდარმა სთხოვა აბრაამს: „გევედრები, მამაო, მიავლინე მაინც ლაზარე იმ ქვეყნად, რომ გააგე-

ბინოს ყველაფერი ჩემს ცოცხალ ძმებს, რათა ისინიც ამ სატანჯველში არ ჩავარდნენ".

აბრაამმა მიუგო: „მათ აქვთ იქ სჯული უფლისა, აღასრულონ და არ წაწყვდებიანო". მდიდარმა მოახსენა: „ეს მართალია, ბაგრამ აქედან მისულს უფრო დაუჯერებენო". აბრაამმა უთხრა: „ვისაც საღმრთო წერილი არა სწამს, ის არც მკვდრეთით აღდგომილს დაუჯერებსო".

ბრმის განკურნება

(იოანე 9. 1 — 41)

ერთხელ, როცა იესო ქრისტე და მისი მოწაფეები გზაზე მიდიოდნენ, დანახეს შობიდგანვე ბრმა კაცი, რომელიც მოწყალებას ითხოვდა. ურიები ფიქრობდნენ, რომ ყოველი უბედურების მიზეზი, რომელიც-კი ეწევა ადამიანს, არის მისი მშობლების ცოდვა ანუ კიდევ თვითონ მისი. ამიტომ, როცა მოწაფეებმა ბრმა კაცი დანახეს, ჰკითხეს იესო ქრისტეს: „ვინ შესცოდა, თვითონ მაგ ბრმამ, თუ მაგის მშობლებმა, რომ ეგ კაცი ბრმად დაბადებულაო?" ქრისტემ უპასუხა, რომ არც ეგ არის დანაშაული და არც მაგისი მშობლებიო, არამედ იგი დაბადებულა ბრმად მისთვის, რომ გამოცხადდეს მაგაზე სასწაული უფლისაო. ესა სთქვა და აიღო მიწა, დააფურთხა, აქცია თიხად და სცხო ბრმას თვალებზე. მერე უბრძანა, წადი და სილოამის საბანელში იბანეო. ბრმამ აღასრულა მისი ბრძანება, სრულიად მორჩა და თვალებახელილი დაბრუნდა შინ.

ამ სასწაულით ქრისტემ ცხადად აჩვენა ხალხს, რომ ის იყო მბრძანებელი მიწისაცა და წყლისაც.

ის დღე, რა დღესაც ქრისტემ ბრმა განკურნა, შაბათი იყო. ურიები ძლიერ გაჯავრდნენ, რომ მან შაბათი გასტეხა და ამიტომ დაუწყეს დევნა, როგორც ბრმას, ისე თვით მაცხოვარს.

უმანკოვილების კურთხევა

(მარკოზი 10. 13 — 16)

ზეციერ მოძღვარს, იესო ქრისტეს, ძლიერ უყვარდა უმანკო ყმაწვილები და ყოველთვის დიდი მოფერებით ეპყრობოდა.

ერთხელ მშობლებმა მიიყვანეს მასთან ყმაწვილები, რათა ეკურთხა და დაელოცა ისინი. მაგრამ მისმა მოწაფეებმა იფიქრეს, ვაი თუ

შეაწუხონ ყმაწვილებმა ქრისტეო და ამიტომ არ მიუშვეს ისინი მასთან.

როცა ეს მაცხოვარმა გაიგო, გაუჯავრდა მოწაფეებს და უბრძანა, ნუ უკრძალავთ ყმაწვილებს ჩემთან მოსვლასაო. გარდა ამისა, მან უთხრა მოწაფეებს: „ვინც ისე უშანკო, უცოდველი და გულწრფელი არ იქნება, როგორც ყმაწვილი, ვერ ეღირსება სასუფეველში შესვლასაო". შემდეგ თვითონ მიუახლოვდა ყმაწვილებს, დაადო ხელი და აკურთხა.

მეორედ იესო ქრისტემ უთხრა თავის მოწაფეებს: „იმ კაცს, რომელიც პატარა ყმაწვილს შეაცდენს და ცუდ რამეს ასწავლის, ბევრად უჯობს, რომ კისერზე წისქვილის ქვა მოიბას და დიდ მორეში ჩაეკარდესო".

აი, რა ძნელ ცოდვად მიაჩნდა მაცხოვარს პატარების შეცდენა.

ლოცვა უფლისა

(ლუკა 11. 1 — 4)

ერთხელ, როცა იესო ქრისტე ლოცვას მორჩა, ერთმა მოწაფეთაგანმა სთხოვა: „უფალო! გვასწავლე ლოცვა, როგორც იოანე ნათლისმცემელმა ასწავლა თავის მოწაფეებსაო".

მაცხოვარმა აღასრულა მისი თხოვნა და ასწავლა მოწაფეებს ლოცვა, რომელსაც ჩვენ ამიტომ „საუფლო ლოცვას" ვეძახით: აი ეს ლოცვა:

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა!

1. წმინდა იყავნ სახელი შენი;
2. მოვედინ სუფევა შენი;
3. იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.
4. პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს.
5. და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა.
6. და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა.
7. არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება უკუნისამდე. ამინ.

იგავი გარეკვნილ შვილზე

(ლუკა 15. 11 — 12)

იესო ქრისტეს სურდა მაგალითით შთაეგონებინა ხალხისათვის, თუ რაოდენ სულგრძელი და ყოვლად მოწყალე არის ღმერთი და ამიტომ უთხრა მათ შემდეგი იგავი:

ერთს კაცს ორი ვაჟი ჰყავდა, სთქვა მან. უმცროსმა შვილმა აღარ ისურვა მამასთან ცხოვრება და უთხრა, მომეცი ჩემი ნაწილი ყველაფერი და გამიშვი ჩემთვისაო. მამამ აღასრულა უგნური შვილის სურვილი, მისცა თავისი ნაწილი ყველაფერი და გაუშვა. შვილი მოშორდა მამას და წავიდა სხვა ქვეყანაში. იქ მან ყველაფერი წაგო და გააბნია. როცა გალატაკდა და აღარა გააჩნდა რა, მეღორეს დადგა; ძლიერ ცუდად ცხოვრობდა და ღორების საზრდოთი იკვებებოდა. როცა ძლიერ გაუჭირდა საქმე, მაშინ გონებაში ჩავარდა და თქვა: „მამაჩემს მრავალი მოჯამაგირე ჰყავს, წავალ და შევეხვეწები: თუმცა განგარისხე და შვილობის ღირსი აღარ ვარ, მაგრამ იქნება შემინდოს და მოჯამაგირედ მაინც მიმიღოსო". ის, მართლაც, ასე მოიქცა. მამას ძლიერ გაუხარდა დაკარგული შვილის დაბრუნება, გადაეხვია, დაჰკოცნა, ახალი ტანისამოსით შემოსა და დიდი ლხინი გამართა.

ამ დროს მისი უფროსი ვაჟი შინ არ იყო და როცა საღამოს სახლში დაბრუნდა და შეიტყო მხიარულების მიზეზი, გაჯავრდა და შინ შესვლას აღარ აპირებდა. მაგრამ მამამისი გამოვიდა, მიეგება და უთხრა: „შვილო, შენ სულ ყოველთვის ჩემთან ხარ; ყველაფერი, რაც მე მაბადია, შენია და შენი — ჩემი. შენი ძმა კი — დაკარგული იყო და დაბრუნდა, მკვდარი იყო და ეხლა გაცოცხლდა. როგორ არა, გვმართებს სიხარულიო?"

ამ იგავით მაცხოვარმა ის გვასწავლა. რომ სულგრძელი ღმერთი ყოველ ცოდვილ ადამიანს სიხარულით მიიღებს და შეიწყნარებს, თუ კი ცოდვილი მიიქცევა მისდამი და ჩავარდება სინანულში.

იგავი მეზვერესა და ფარისეველზე

(ლუკა 18. 9 — 14)

ქრისტემ გამოხატა შემდეგი იგავით, როგორ უნდა ლოცულობდეს ჭეშმარიტი ქრისტიანი.

ერთხელ საყდარში შევიდა ორი კაცი სალოცავადაო, სთქვა მაც-

ხოვარმა. ერთი მათგანი იყო ფარისეველი და მეორე მეზვერე. ფარისეველი წარსდგა ყველაზე წინ და ამპარტავნებით ლოცულობდა ასე: „ვმადლობ, შენ უფალო, რომ მე ისეთი ცოდვილი არა ვარ, როგორც სხვები, გინდა აი ეს მეზვერეო. კვირაში ორ დღეს ვმარხულობ და, რასაც ვშოულობ, მეათედს ღმერთს ვწირავო". მეზვერე კი ყველაზე უკან იდგა მოშორებით და მაღლა ახედვასაც-კი ვერ ბედავდა: იცემდა მკერდზე ხელს და ასე ამბობდა: „ღმერთო! მილხინე მე ცოდვილსა ამასაო".

როცა ქრისტემ ეს იგავი წარმოსთქვა, ხალხს უთხრა, რომ მეზვერე გამოვიდა ტაძრიდან გამართლებული, ხოლო ამპარტავანმა ფარისეველმა კიდევ უფრო გაარისხა უფალიო. ამიტომაც, ბოლოს დასძინა მაცხოვარმა: „რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდესო".

სწავლა ქრისტესი შესახებ ხარკისა და უმთავრეს მცნებათა

(მათე 22. 15 — 46)

ქრისტეს მტრები ბევრს ცდილობდნენ, რაიმე მიზეზი ეპოვათ მისთვის და წარი მოედოთ, მაგრამ ვერას გახდნენ.

მაგალითად, ერთხელ როგორ გამოსცადეს. ურიები მაშინ რომაელების ხელში იყვნენ და რომის ხელმწიფეს ანუ კეისარს ხარკს აძლევდნენ. მაგრამ ხალხი-კი იმ აზრისა იყო, რომ, რადგანაც ჩვენ ღვთის ხალხი ვართ, რიგი არ არის ხარკს ვიხდიდეთო. ფარისეველებმა არჩიეს და გადასწყვიტეს, მოდი ეკითხოთ ქრისტეს და თუ სთქვა, რომ ნუ აძლევთ ხარკს კეისარსაო, მაშინ მთავრობის მოღალატე იქმნება; თუ არა და, ხალხი იწყენს და გადაემტერებაო. მართლაც, მიუგზავნეს კაცები და უთხრეს ცბიერებით: „მოძღვარო! ვიცით, რომ მართალი გიყვარს, ჭეშმარიტად ასწავებ და პირმოთნე არა ხარ. აწ გვითხარ ჩვენ, ვალდებული ვართ, ვაძლევდეთ ხარკს კეისარს, თუ არა?"

ქრისტემ, რასაკვირველია, გაიგო იმათი ორგულობა და უკეთურება და უპასუხა მათ: „რისთვის მცდით მე, თქვე ორგულნოო? მიჩვენეთ დრაჰკანი (ვერცხლის ფული იყო) იგი ხარკისაო". მიუტანეს და აჩვენეს დრაჰკანი. ქრისტემ გაშინჯა იგი და ჰკითხა ფარისეველებს: „ვისი სახეა ამ ფულზე ამოჭრილი და ან ზედ ვისი წარწერაა?" მათ უპასუხეს: „კეისრისაო".

მაშინ ქრისტემ უთხრა მათ: „მაშ მე რაღას მკითხავთ? მიეცით კეისარსა კეისარსა და ღვერთისა ღმერთსაო". ამ უბრალო, მაგრამ

ბრძნულმა პასუხმა ყველანი გააკვირვა. ფარისეველებმა დაანებეს ქრისტეს თავი და შერცხვენილნი მოშორდნენ.

მეორედ კიდევ მოვიდა ქრისტესთან ერთი სჯულის მოძღვარი გამოსაცდელად და ჰკითხა: „მოძღვარო! რომელი მცნება უფროსი არის სჯულსა შინაო?"

იესო ქრისტემ უპასუხა: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა". ესე არს დიდი და პირველი მცნებაო. და მეორე მსგავსი ამისი: „შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი თვისიო". ამ ორს მცნებაზეა დამოკიდებული ყოველი სჯული და წინასწარმეტყველებიო, დაუმატა უფალმა.

იგავი ქრისტესი ქანქართა* შესახებ
(მათე 25. 14—30)

უფალ იესო ქრისტეს უნდოდა აეხსნა ხალხისათვის, რომ მეორედ მოსვლის დროს ჯილდოს მიიღებს მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც კეთილად მოიხმარს ღვთისაგან მიცემულ ნიჭს და ძალას და კეთილ საყოფს გამოიღებს სიკეთილამდის. ამისთვის მან წარმოსთქვა შემდეგი იგავი:

უფალი ვინმე წავიდა უცხო ქვეყანაშიო, ბრძანა ქრისტემ. წასვლის დროს მოიხმო თავისი მონები და დაურიგა ქანქარები: ერთს მისცა ხუთი ქანქარი, მეორეს — ორი, ხოლო მესამეს — ერთი და უბრძანა. კეთილად მოიხმარეთ ეს ქანქარები. ასარგებლეთ ჩემს მოსვლამდის და, როცა დავბრუნდები, ანგარიში უნდა მომცეთო.

მონამ, რომელმაც ხუთი ქანქარი მიიღო, კეთილად მოიხმარა იგინი და ხუთიც სხვა მოიგო. მეორეც ისე მოიქცა და ორ ქანქარს ორიც სხვა შესძინა. ხოლო ის მონა, რომელმაც ერთი ქანქარი მიიღო, ადგა, გათხარა მიწა და იქ ჩაფლა თავისი ქანქარი.

გავიდა დრო და დაბრუნდა უფალი მათი; მოიხმო მონები და მოსთხოვა ანგარიში. წარმოსდგა იგი, ვინც ხუთი ქანქარი მიიღო, მიართვა მას სხვა ხუთი ქანქარი და უთხრა: „უფალო! ხუთი ქანქარი მიბოძე და აი ხუთიც სხვა შევიძინეო". უფალმა მოუწონა და უთხრა: „კარგი, ჩემო კეთილო და ერთგულო მონაო! მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ და აწ მრავალსა ზედა დაგადგინო შენაო. შეეედ სიხარულსა უფლისა შენისაო". მოვიდა იგი, რომელმაც ორი ქანქარი მიიღო და

* ქანქარი ვერცხლის ფული იყო.

მოახსენა: „უფალო! ორი ქანქარი მომეცი მე. აჰა, სხვა ორი ქანქარი შეკეთებულია“. მასაც დაუმადლა უფალმა და იგივე უთხრა, რაც პირველ მონას. მოვიდა ბოლოს იგიც. რომელსაც ერთი ქანქარი მიეღო და მოახსენა: „უფალო! ვიცოდი, რომ ფიცხი კაცი იყავი: იქა მკი, სადაც არ დაგითესია და ჰკრებავ იქ, სადაც არ გაგიბნევია. ამიტომაც შემეშინდა. წავედი და დავმალე შენგან მოცემული ქანქარი მიწაში და აი მიბრუნებული უკანვე შენი ქანქარიო“.

უფალი გაჯავრდა და უთხრა მას: „ბოროტო და ზარმაცო მონაო! თუკი იცოდი, რომ ფიცხელი კაცი ვიყავი, მით უფრო არ უნდა სცოდნოდა, რათა კეთილად მოგეხმარა მოცემული ქანქარი და მოგებით დაგებრუნებინა?“ მერმე ბრძანა უფალმა: „წაართვით მაგას ეს ერთი ქანქარიც და მიეცით მას, რომელსაც ათი ქანქარი აქვსო, ხოლო თვით ეს უკეთური და ზარმაცი მონა ჩააგდეთ ბნელ საპყრობილეში, სადაც ირის ტირილი და ღრჭენა-კბილთაო“.

ლაზარეს აღდგენა

(იოანნე 11. 17—57)

იესო ქრისტეს ჰყავდა ერთი მეგობარი, ლაზარე, რომელიც ძლიერ უყვარდა და ხშირადაც იმყოფებოდა ხოლმე მასთან. ერთხელ ლაზარე ძლიერ ავად გახდა და მოკვდა. ლაზარეს დებმა მართამ და მარიამმა მაშინვე გაუგზავნეს ქრისტეს კაცი და შეატყობინეს ლაზარეს სიკვდილი. ქრისტემ მაშინვე წაიყვანა თავისი მოწაფეები და წავიდა. ლაზარეს დები ტირილით მიეგებნენ მაცხოვარს და უთხრეს: „უფალო! თუ შენ აქ ყოფილიყავ, ჩვენი ძმა არ მოკვდებოდაო“. იესო ქრისტემ ანუგეშა და უთხრა: „თუ გრწამთ, აღდგებაო“.

შემდეგ ამისა მაცხოვარმა ინება, რათა ეჩვენებინათ მისთვის ლაზარეს საფლავი. დები წარუძღვნენ საჩვენებლად საფლავისა. ქრისტე ამგვარად საფლავზე წავიდა და ხალხიც თან წაჰყვა. როცა მივიდნენ, ქრისტემ ბრძანა აღება ქვისა, რომელიც ლაზარეს საფლავზე იდო. ერთმა ლაზარეს დამ მოახსენა, რომ, უფალო, ოთხი დღეა, რაც დავსაფლავეთო და ჰყარსო. ქრისტემ ააღებინა ქვა, მიუახლოვდა საფლავს, შეეკივლა მამა ღმერთს და უბრძანა მკვდარს: „ლაზარე! გამოდედ გარედ“. ლაზარე მაშინვე გაცოცხლდა, აღდგა და გამოვიდა საფლავიდან. მაგრამ ის შესუდრული იყო. ქრისტემ ბრძანა, მოეშორებინათ სუდარი.

ამ სასწაულმა, რასაკვირველია, ძლიერ გააკვირვა ყველანი, ვინც

იქ დაესწრნენ, და ბევრი მათგანი ერწმუნენ ქრისტეს. მაგრამ, როცა ეს ამბავი მისმა მტრებმა გაიგეს იერუსალიმში, მაშინვე შეიკრიბნენ სინედრიონის წევრები და ასე არჩიეს: „ეს კაცი ბევრ სასწაულსა შვრებაო და თუ არ მოვკალით, ყველანი მაგის მორწმუნენი გახდებიანო". თავმჯდომარედ სინედრიონში (უმაღლესი სამსჯავრო იყო) მღვდელმთავარი კაიაფა იყო. მან ასეთი რჩევა მისცა სამსჯავროს წევრებს: „მთელი ხალხის წარწყმედას ისა სჯობია, რომ ერთი კაცი მოკვდეს ერისათვისაო". სინედრიონის წევრებს მოეწონათ მისი რჩევა და გადაწყვიტეს იესო ქრისტეს სიკვდილი. შემდეგ ამისა გასცეს ბრძანება, რომ შეეპყრათ იგი, მაგრამ იესო ქრისტე უდაბნოში განეშორა.

ბზობა ანუ შებრძანება ქრისტესი იერუსალიმში
(მარკოზი 11. 1—11)

ერთხელ, როცა ებრაელების პასექი მოახლოვდა, იესო ქრისტე მივიდა ბეთანიაში. აქედან მან გაგზავნა ორი მოწაფე მახლობელ სოფელში და უთხრა: „იქ იპოვით დაბმულ ვირსა და კვიცსაო, ახსენით და მომგვარეთო; თუ პატრონმა რამე გითხრათ, უთხარით, რომ უფალი ითხოვსთქო". მოწაფეები წავიდნენ, მართლაც იპოვეს ვირი თავისი კვიცით, როგორც ქრისტემ აუნიშნა და მოჰგვარეს. მოწაფეებმა გადააფარეს სამოსელი კვიცსა, ქრისტე შესვეს ზედა და წავიდა იგი იერუსალიმში*.

როცა ხალხმა გაიგო, იესო ქრისტე მოდისო, მაშინვე სიხარულით მიეგება მას და დიდი პატივისცემით მიიღო: ზოგნი ტანისამოსს უფენდნენ გზაზედ და ზოგნი ხის ტოტებს. ამას გარდა ხალხი გალობდა: „ოსანა (ცხოვრება) ძესა დავითისასა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანა, როველი ხარ მაღალთა შინაო".

როცა ქრისტე ქალაქში შევიდა, ფარისეველებმა მოინდომეს მისი შეპყრობა, მაგრამ ხალხისა ეშინოდათ და ვეღარ გაბედეს. ხალხმა იცოდა, რომ ეს იყო ის, რომელმაც ოთხი დღის მკვდარი ლაზარე აღადგინა.

---

* ბზობას დღესასწაულობენ მართლმადიდებელნი ქრისტეანენი აღდგომის წინ ერთი კვირით. ეკლესიაში ამ დღესასწაულის ცისკარზე აკურთხებენ ბზას და ურიგებენ ქრისტიანებს. ამიტომ ამ დღესასწაულს ჩვენი ხალხი ბზობას ეძახის. ნაკურთხი ბზის ხელში დაჭერით ჩვენც, თითქო, იმათ ვბაძავთ, ვინც ქრისტეს ხის ტოტებს ეგებებდნენ გზაზედ, როცა ის იერუსალიმში მიდიოდა.

ქიცემა ქრისტესი იუდასაგან და სერობა

(იოანნე 23. 1—30)

იესო ქრისტეს მტრებმა მისი შეპყრობა ვერც ორშაბათს და ვერც სამშაბათს პასექის წინ ვერ გაბედეს. რადგანაც ხალხი მრავალი გარს ეხვია და მოწიწებით ისმენდა მის სწავლას. ამიტომ მათ გადაწყვიტეს მისი შეპყრობა პასექის შემდეგ, როცა ხალხი, მოსული იერუსალიმში პასექის გამო, წავიდოდა. მაგრამ დიდ ოთხშაბათს მივიდა მათთან თვით იესო ქრისტეს მოწაფეთაგანი იუდა ისკარიოტელი და აღუთქვა იესო ქრისტეს მიცემა ოცდაათ ვერცხლად (25 მან. და 80 კაპიკია); ისინი დათანხმდნენ და აღუთქვეს ეს სასყიდელი.

დიდ ხუთშაბათს იესო ქრისტემ იერუსალიმში აღასრულა თავისი მოწაფეებითურთ საიდუმლო სერობა. პირველად დაწყებისა სერობისა მან აიღო ტაშტი, წყალი, მოირტყა პირსახოცი და დაბანა ფეხი თავის მოწაფეებს. ამით მან უჩვენა მაგალითი, თუ როგორი თავმდაბლობა მართებს კაცს. შემდეგ დაჯდა. სერობის დროს იესომ გამოუცხადა თავის მოწაფეებს, რომ ერთი თქვენთაგანნი მიპირებს გაცემასაო. მოწაფეები ძლიერ გაკვირდნენ და შიშით დაუწყეს სათითაოდ კითხვა: „მე ხომ არა ვარო?“ უსირცხვო იუდამაც გაბედა აკრეთვე კითხვა. იესო ქრისტემ ამხილა იგი და უთხრა, რომ შენა ხარო. იუდა მაშინვე გამოვიდა კარში და წავიდა ურიების მღვდელმთავრებთან აღთქმული ფულის გამოსართმევად და მხედრების მოსაყვანად: მან იცოდა, სად გაატარებდა ღამეს იესო ქრისტე.

იესო ქრისტემ აიღო სერობაზე პური, აკურთხა, მერე გატეხა, მისცა თავის მოწაფეებს და უთხრა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი. თქვენთვის განტეხილი, მისატევებლად ცოდვათა“. მერე მოიღო სასმელი, მისცა მათ და რქვა: „სვით ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი, ახლისა აღთქმისა. თქვენთვის და მრავალთათვის ღათხეული (დაღვრილი), მისატევებლად ცოდვათა“. ამგვარად მაცხოვარმა დაუწესა საიდუმლო ზიარება.

შემდეგ ამისა მაცხოვარი გამოეთხოვა თავის საყვარელ მოწაფეებს და მოაგონა მათ უმთავრესი მცნება: „შეიყვარეთ ერთმანეთი, როგორც მე თქვენ შეგიყვარეთო“. მერე აღუთქვა მათ წარმოგზავნა ნეტარეშინის მცველის ანუ სული წმიდისა, რომელი მამისაგან გამოვალს, აღადგა და წავიდა თავისი მოწაფეებით გეთსამანიის ბაღში სალოცავად.

შეპყრობა ქრისტესი და განსჯა მისი

(მათე 26, 36, 27, 11—30)

როცა იესო ქრისტე სერობის შემდეგ გეთსამანიის ბაღში მივიდა, მოწაფეები ცოტა მოშორებით დაუტოვა, თვითონ კი შეავიდა შუა ბაღში, მოიყარა მუხლები, დაემხო მიწაზედ და იწყო ლოცვა. ის ევედრებოდა თავის ზეციერ მამა ღმერთს, რათა განეთავისუფლებინა მოახლოვებული საშინელი ტანჯვისაგან. მაგრამ თან ამასაც ამბობდა: „თუ არ შეიძლება, იყოს ნება შენიო“. მან სამგზის ილოცა ასე და, როცა ლოცვას მორჩა, თავის მოწაფეებთან დაბრუნდა და უთხრა: „აღსდექით, მოახლოვდა ჟამი ჩემი და ძე კაცისა მიეცემის ხელთა ცოდვილთასაო, მოიწია გამცემელი ჩემიო“.

გაათავა თუ არა ეს სიტყვები, იუდა მართლაც მოვიდა და თან მოიყვანა მრავალი ერი, აღჭურვილი მახვილებითა და კეტებით. გზაზე იუდას ერთათვის ისეთი ნიშანი მიეცა, რომ ვისაც მე ვაკოცო, ის არის ქრისტე და ის დაიჭირეთო. როცა მოვიდნენ, ის მართლაც, მივიდა მოძღვართან, მიესალმა და აკოცა. სულგრძელმა მაცხოვარმა მხოლოდ უსაყვედურა და უთხრა: „ამბორებით (კოცნით) გინდა მიმცეო?“ იუდასთან მოსულნი მიუახლოვდნენ და დაუწყეს ქრისტეს შეპყრობა. მოციქულმა პეტრემ იძრო მახვილი და მოსჭრა ყური მღვდელმთავრის მონას მალხოს. მაგრამ ქრისტემ უბრძანა ჩაეგო მახვილი ქარქაშში, აიღო მოჭრილი ყური, მიადო თავის ადგილზე და განკურნა იგი.

შეპყრობილი ქრისტე პირველად მიიყვანეს მღვდელმთავრის კაიაფას სადგომში. სადაც შეკრებილი იყო სინედრიონის რამდენიმე წევრი. მაცხოვრის მტრებმა ბევრი ცრუ მოწამე მოიყვანეს, მაგრამ მაინც ისეთი ბრალი ვერა დასდეს-რა, რომ სიკვდილით დასჯა გადაეწყვიტათ მისთვის. მას სდებდნენ მხოლოდ იმ ბრალს, რომ იგი უწოდებდა თავის თავს ძედ ღვთისად და მაცხოვრად. კაიაფამ ჰკითხა მას: „მართლა შენ ხარ ძე ღვთისაო?“ ქრისტემ მიუგო: „მე ვარო“. შემდეგ ამ პასუხისა ქრისტეს მსაჯულები ვანრისხდნენ ძლიერ და გადაწყვიტეს, რომ იგი ღირსი იყო სიკვდილისა. მაგრამ საქმის გათავებამდის, იმ ღამეს იესო ქრისტე იქ დაიჭირეს. კაიაფას ეზოში. სადაც იყვნენ მღვდელმთავრის მოსამსახურენი შეკრებილნი. რომელიმე მათგანი დასცინოდა და აწვალებდა იესო ქრისტეს: ზოგი ყურებს უწევდა და პირში აფურთხებდა, ზოგი აფარებდა ხელს თვალებზედ. სცემდა და ეუბნებოდა, აბა, გამოიცან, ვინ გცემაო და სხვ. მაგრამ ქრისტე სულგრძელად ითმენდა ყოველსავე შეურაცხყოფას.

როცა იუდამ დაინახა, რანაირად აწვალებდნენ მის მოძღვარს, სინ-

დისმა შეაწუხა საშინლად ივი, აიღო მიღებული ფული, უკანვე დაუბრუნა მღვდელმთავრებს და უთხრა მათ: „შევცოდე და უმანკო კაცი მოგყიდეთო". მაგრამ მათ არ გამოართვეს ფული. მაშინ იუდამ მიუბრუნა ის ფულები, წავიდა და თავი ჩამოიხრჩო.

დილით დიდ პარასკევს ხელახლა შეიკრიბნენ სინედრიონის წევრები და გადაწყვიტეს იესო ქრისტე პილატესთან წაეყვანათ. ურიები მაშინ რომაელების ხელქვეით იყვნენ და პილატე ებრაელების მთავარმართებელი იყო. როცა ქრისტე მასთან მიიყვანეს, პილატემ ჰკითხა მის მტრებს: „რა ბრალსა სდებთ ამ კაცსაო?" მათ უპასუხეს, რომ ეს თავის თავს უწოდებს ქრისტეს, მეფედ ურიათა და ხალხსა რყვნისო. პილატემ შეიხვნა ქრისტე ცალკე ოთახში და გამოჰკითხა ყველაფერი. მერე გამოვიდა და გამოუცხადა ხალხს, რომ მე ამ კაცში არაფერ დანაშაულობას არა ვპოებო, მაგრამ ურიები თავისას არ იშლიდნენ; პილატემ არ იცოდა რა ექნა.

ურიებს ჩვეულებად ჰქონდათ პასექის წინ ერთ სიკვდილით დასასჯელს გაათავისუფლებდნენ ხოლმე. პილატემ ჰკითხა მათ: „ვინ გინდათ გავათავისუფლო, ბარაბა (ავაზაკი იყო), თუ იესო ნაზარეველი?" ხალხმა, ქრისტეს მტრების შთავონებით, დაიყვირა: „ბარაბაო". პილატემ კიდევ ჰკითხა ხალხს: „იესოს რაღა ვუყოო?" ხალხმა უპასუხა: „ჯვარს აცვი ეგაო".

შემდეგ პილატემ იფიქრა, მოდი იესო ქრისტეს დავსჯი და იქნება მერე ხალხს შეებრალოს და გაათავისუფლოსო. ამიტომ მისი ბრძანებით დასაჯეს იესო ცემით. გარდა ამისა, ხალხმაც ბევრი შეურაცხყოფა მიაყენა: მაცხოვარს ჩააცვეს ძოწეული (მოკლე ტანისამოსი), დაადგეს თავზე ეკლის გვირგვინი, ხელში სკიპტრას ნაცვლად ჯოხი მისცეს, იჩოქებოდნენ მის წინაშე და დაცინვით ეუბნებოდნენ: „გიხაროდეს, მეუფეო ურიათაო".

როცა იესო ქრისტე ამგვარად სტანჯეს, პილატემ გამოიყვანა იგი, დაიყენა ხალხის წინ და უნდოდა გაეთავისუფლებინა, მაგრამ ხალხმა კვლავ დაიძახა: „ჯვარს აცვიო". პილატეს იმისი უფრო შეეშინდა, რომ ხალხმა უთხრა, თუ ქრისტე გაათავისუფლე, გეტყობა შენ კეისრის (რომის ხელმწიფის)ერთგული არა ყოფილხარო. ამიტომ მან აიღო წყალი, დაიბანა ხელი და გამოუცხადა ხალხს: „მე ბრალი არა მაქვს ამაგ მართლის სისხლშიო". ურიებმა მიუგეს: „სისხლი მაგისი იყოს ჩვენზედ და შვილთა ჩვენთა ზედაო". შემდეგ ამისა პილატემ მისცა მათ ქრისტე; იმათაც წაიყვანეს ის გოლგოთას მთაზე ჯვარზე საცმელად.

ჯვარცმა და წამება ქრისტესი

(მათე 27. 31—57)

შემდგომ სიკვდილით დასჯის გარდაწყვეტისა იესო ქრისტეს აჰკიდეს მხარზე დიდი ჯვარი და წაიყვანეს გოლგოთას ბთაზე. იქ აღმართეს სამი ჯვარი; შუაში იესო ქრისტე აცვეს ჯვარზე, ხოლო მარცხნითა და მარჯვნივ ორი ავაზაკი. იესო ქრისტეს ჯვარს ზემოთ მიაკრეს ფიცარი და დასწერეს: „იესო ნაზარეველი, მეფე ურიათაო". ეს ამბავი მოხდა დიდ პარასკევს.

როცა მაცხოვარი ჯვარს აცვეს, ის ისე სულგრძელი იყო, რომ თავისი მტანჯველებისათვის ასე ლოცულობდა! „მამაო! მიუტევე მათ, რამეთუ არ იციან, რასა შვრებიანო". ისინი კი ჯვარზედაც არ აძლევდნენ მოსვენებას. „თუკი მართლა ქრისტე ხარ, იხსენ თავი თვისიო; ჩამოდი ჯვარიდან და გირწმუნებთო". ერთმა მასთან ჯვარცმულმა ავაზაკმაც კი დაცინვით უთხრა: „თუ შენ ქრისტე ხარ, იხსენ თავი შენი და ჩვენც გვიხსენო". მაგრამ მეორე ავაზაკმა შეარცხვინა ის და ასე შეეედრა ქრისტეს:„მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სასუფეველსა შენსაო". მაცხოვარმა უპასუხა: „ჭეშმარიტად შენ დღესვე ჩემთან იქნები სასუფეველშიო".

იესო ქრისტეს სამოსელი გაიყვეს მხედრებმა, რომლებიც იქ იყვნენ მცველებად; იმის მოქსოვილ პერანგზე ანუ კვართზე წილი ჰყარეს.

თორმეტი საათი იყო დღისა და სიბნელემ მოიცვა ქვეყანა, ასე რომ ვარსკვლავები გამოჩნდნენ ცაზე. ურიები შეშინდნენ, დაცინვას თავი დაანებეს და მოშორდნენ ჯვარცმულს. ჯვართან დარჩნენ მწუხარე ღვთისმშობელი, მოციქული იოანნე და სხვა მცირე ნაცნობი დედაკაცები. ქრისტემ დაინახა ჯვარიდან მტირალი დედა თავისი, შეებრალა და ჩააბარა თავის საყვარელ მოწაფეს იოანე მახარობელს.

სამ საათზე წვალებულმა ქრისტემ დაიძახა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რისთვის დამიტოვებ მეო?" გაიარა რამდენიმე წამმა, ქრისტემ წარმოსთქვა: „მწყურსო". ერთმა მხედართაგანმა აიღო ღრუბელი, აღავსო ძმრით, ჩამოაცო ლერწამზე და მიუტანა პირთან. როცა მიიღო ძმარი იგი, იესომ სთქვა: „ესეცა წერილი ასრულებულ არსო!".

გავიდა ცოტაოდენი ხანი და მაცხოვარმა წარმოსთქვა ხმამაღლა: „მამაო! ხელთა შენთა შევავედრებ სულსა ჩემსაო". ესე სთქვა და განუტევა სული თვისი. ამ დროს მზე დაბნელდა, საშინელი მიწისძვრა მოხდა, მრავალი მკვდარი აღდგა საფლავიდან და თვითონ იერუსალიმის ტაძარში, კრეტსაბმელი განიპო.

ასე აღსრულდა მაცხოვარი ჩვენი, უფალი იესო ქრისტე, რომელმაც ჯვარცმა და ყოველი ტანჯვა მოითმინა ჩვენი გამოხსნისა და ცხოვრებისათვის.

გარდამოხსნა და დასაფლავება ქრისტესი

(მათე. 27, 27—65)

რადგანაც ურიებს არ უნდოდათ, რომ დღესასწაულის პასექის დროს ჯვარცმულები დარჩენილიყვნენ ჯვარზედ, ამიტომ სთხოვეს პილატეს ნება, წვიეები დაემტვრიათ მათთვის და გარდმოეხსნათ. პილატე თანახმა გახდა და გაგზავნა მხედრები. მივიდნენ, ნახეს, რომ ქრისტე მკვდარი იყო. ერთმა მხედარმა აიღო და ჰკრა მას გვერდში ლახვარი. გვერდიდამ გამოვიდა სისხლი და წყალი. ავაზაკები კი ცოცხალნი დახვდნენ და ამიტომ გაუტეხეს მათ წვიეები.

პარასკევს საღამოს პილატესთან მივიდა იოსებ არიმათიელი, რომელიც დაფარულად აღიარებდა ქრისტეს მაცხოვრად, რადგანაც ურიებისა ეშინოდა და მოწაფეც იყო მისი და სთხოვა მას ნება, ჩამოეღო ქრისტეს გვამი და დაესაფლავებია. პილატემ მისცა ნება; მაშინ მან და ნიკოდიმმა გარდამოხსნეს გვამი ქრისტესი, სცხეს ნელსაცხებელი, შესუდრეს და დაასაფლავეს ახალ გამოქვაბულში, რომელიც თვითონ იოსებს ეკუთვნოდა. საფლავის კარებზე მიაგორეს დიდი ლოდი.

შაბათ დილას მივიდნენ პილატესთან თვითონ მღვდელმთავარნი და ფარისევლები და სთხოვეს, რომ ქრისტეს საფლავზე მცველები დაეყენებია სამი დღის განმავლობაში, რადგანაც ქრისტემ იწინასწარმეტყველა, რომ მესამე დღეს აღსდგებიო; მიიღეს ნება, წავიდნენ, დაბეჭდეს ქრისტეს საფლავი და მცველებიც დააყენეს ზედ.

აღდგომა

(მათე. 28, 1—5)

დიდ შაბათ ღამეს, შემდეგ შუაღამისა, მცველებმა, რომლებიც ქრისტეს საფლავს ადგნენ, მოულოდნელად იგრძნეს მიწისძვრა და იმწამსვე დაინახეს ანგელოზი ელვარე სამოსელით, რომელმაც გადაგორა ლოდი საფლავის კარებიდან და დაჯდა მას ზედა. ქრისტე აღსდგა. შეშინებული მცველები ჯერ პირქვე დაეცნენ, მერე, როცა გონს მოვიდნენ, გაიქცნენ და უამბეს მღვდელმთავრებს ყოველივე, რაიცა მოხდა. მღვდელმთავრებმა დაქრთამეს მცველები და ასწავლეს ეთქვათ,

რომ, ვითომც, როდესაც მათ ეძინათ, იმ დროს მოვიდნენ ქრისტეს მოწაფეები და მოიპარეს გვამი მისი.

შაბათ ღამესვე, განთიადისას, იესო ქრისტეს ნაცნობი დედაკაცები: მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვ. მიდიოდნენ ქრისტეს საფლავზედ და მიჰქონდათ მირონი, რათა ეცხოთ გვამი მისი. გზაზე ისინი იმასა სწუხდნენ, ვინ გადაგვიგორებს ლოდსაო; მაგრამ, როცა მივიდნენ, ნახეს, რომ ლოდი გადაგორებული იყო და გვამი ქრისტესი არსად სჩანდა. მარიამ მაგდალინელი მაშინვე საჩქაროდ დაბრუნდა და უამბო ყველაფერი მოწაფეებს, სხვა დედაკაცები კი მიუახლოვდნენ საფლავს და დაინახეს ლოდზე მჯდომარე ანგელოზი, რომელმაც ახარა მათ ქრისტეს აღდგომა. მაგრამ, როგორც კი უკან დაბრუნდნენ, გზაზე მოულოდნელად შეხვდა მათ ქრისტე და უთხრა: „გიხაროდეს!“ ისინი შეშინდნენ და თაყვანი სცეს მას. მაცხოვარმა გაამხნევა და უთხრა: „ნუ გეშინიათ, წარეფდით და უთხარით მოწაფეთა ჩემთა“. ისინი სიჩქარით და სიხარულით მივიდნენ და უამბეს მოწაფეებს ყოველისფერი, რაც იხილეს, მაგრამ მოწაფეები არ ერწმუნენ.

შემდეგ აღდგომისა იესო ქრისტე ორმოც დღეს დარჩა ქვეყანაზე და ბევრჯერ გამოეცხადა თავის მოწაფეებს. მოწაფეები სრულიად დარწმუნდნენ, რომ სწორედ ალსდგა მოძღვარი მათი, იესო ქრისტე.

ამაღლება

(საქმე მოციქულთა 1, 4—12)

აღდგომის შემდეგ მეორმოცე დღეს იესო ქრისტე უკანასკნელად გამოეცხადა თავის მოწაფეებს, რომლებიც შეკრებილნი იყვნენ ერთ სახლში და უთხრა: „მე მოგივლენ თქვენ ნუგეშინის მცემელს ანუ სული წმიდასაო, რომელი მამისაგან გამოვალსო, ხოლო თქვენ იერუსალიმში დარჩით, სანამ არ გადმოვა თქვენზე მაღლით სული წმიდაო“. შემდეგ ამისა წაიყვანა ისინი და წავიდა ელეონის მთაზე. აქ გამოეთხოვა, აკურთხა და დაიწყო ამაღლება ზეცად.

მოწაფეები გაკვირვებული უყურებდნენ მის ამაღლებას ზეცად. როცა ქრისტე აღარ ჩანდა, გამოეცხადა მათ ანგელოზი და უთხრა: „რასა სდგეხართ და იცქირებით მაღლაო? ქრისტე, რომელიც ამაღლდა თქვენგან ზეცად, ისევ მოვა მეორედ მოსვლის დროსაო“. მოწაფეები სიხარულითა დიდითა დაბრუნდნენ იერუსალიმში, იქ ცხოვრობდნენ ერთად, ლოცულობდნენ და მოელოდნენ სული წმიდის გადმოსვლას*.

---

* ამაღლებას ვდღესასწაულობთ აღდგომის შემდეგ მეორმოცე დღეს.

სულიწმიდის მოფენა

(საქმე მოციქულთა 1, 12—26)

შემდეგ ქრისტეს ამაღლებისა მისი მოციქულები და სხვა მორწმუნეები ღვთისმშობლითურთ იყვნენ იერუსალიმში. ყოველ დღე იკრიბებოდნენ და ლოცულობდნენ. მეათე დღეს, დილით, როცა ისინი ყველანი ერთად იყვნენ შეკრებილნი, მოესმათ ოხვრა, თითქოს, დილის ქარისა. როცა მაღლა აიხედეს, თითოეულმა მათგანმა დაინახა თავის თავზედ ცეცხლის ენა. ისინი აღივსნენ სული წმიდით და იწყეს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი.

ეს დღე ებრაელების მეერგასის, ესე იგი სინას მთაზე ათი მცნების მიღების დღესასწაული იყო და ამიტომ იერუსალიმში ძლიერ ბევრი ხალხი იყო მოსული სალოცავად სხვადასხვა ქვეყნიდან. როცა ხალხმა შეიტყო, რაღაც საკვირველი ამბავიაო, შეიკრიბა მოწაფეების სადგომთან. მოციქულები გამოვიდნენ ბანზედ და დაიწყეს ლაპარაკი ხალხთან სხვადასხვა ენაზედ. ხალხს, რასაკვირველია, გაუკვირდა ეს ამბავი.

მაშინ წარმოსდგა წინ პეტრე მოციქული და უქადაგა ხალხს, რომ იესო ქრისტე, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით, აღსდგა მკვდრეთით, ამაღლდა ზეცად და მოგვიღვინა ჩვენ სულიწმიდაო. ამ სულიწმიდის ძალით ვლაპარაკობთ ჩვენ სხვადასხვა ენაზეო; სულიწმიდის გარდმოსვლა წინასწარმეტყველებისაგანაც ნაჩვენები იყო, უთხრა მან ხალხს. მისმა ქადაგებამ ისე იმოქმედა მსმენელებზე, რომ მათ ჰკითხეს პეტრეს რჩევა, რა უნდა ვქნათო? პეტრე მოციქულმა ურჩია, ეწამათ ქრისტე და მონათლულიყვნენ. და, მართლაც, იმ დღეს სამიათასი კაცი მოინათლა. მეორეს დღეს პეტრე მოციქულმა და იოანემ კიდევ ხუთიათას კაცამდის მოაქციეს. ამგვარად შედგა ქრისტიანობრივი ეკლესია ანუ საზოგადოება, რომელიც სულ თანდათან მრავლდებოდა*.

მარიამობა ანუ მიძინება ღვთისმშობლისა

იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ ღვთისმშობელმა იცოცხლა რამდენიმე ხანი ქრისტიანთა სანუგეშოდ. როცა მისი მიცვალების დრო მოახლოვდა, მაშინ გამოეცხადა მას გაბრიელ მთავარანგელოზი და გამოუცხადა მოახლოვება მიცვალების ჟამისა. ღვთისმშობელმა სიხარულით მიიღო ეს ხარება და შეუდგა მზადებას. მაგრამ გარდაცვალების წინ მან ისურვა ენახა ყველა მოწაფე, რომლებიც სხვადასხვა

* სულიწმიდის მოფენას ედღესასწაულობთ ჩვენ აღდგომის შემდეგ მეორმოცე დღეს, ამიტომაც ამ დღესასწაულს მეერგასის დღესაც ეძახიან.

უმაწვილების კურთხევა

ბაში ბარეგზიელ შვილზე



ივანი მეზვერეს და ფარისეველზე

ლაზარეს აღდგენა



ჯვარცმა და წამება ქრისტესი

ამაღლება



სულიწმიდის მოფენა

ქვეყანაში იყვნენ წასული საქადაგებლად და გამოთხოვებოდა. ღვთის განგებით, ყველა მოციქული, თომას გარეშე, დაბრუნდნენ იერუსალიმში და დაეყრენ ღვთისმშობლის ნეტარებით გარდაცვალებას. წმიდა და ნეტარი ბერიმ ქალწული გარდაიცვალა უტანჯველად: მან თითქოს მიძინა.

ღვთისმშობლის ვვამი გაასვენეს მოწაფეებმა გალობით გეთსამანიის ბაღში და იქ დაასაფლავეს გამოქვაბულ კლდეში. მესამე დღეს მისი გასვენების შემდეგ დაბრუნდა იერუსალიმში მოციქული თომაც. მისი თხოვნით მოციქულებმა გახსნეს საფლავი ღვთისმშობლისა, მაგრამ გვამი მისი აღარ იყო საფლავში. ისინი ძლიერ გაჰკვირდნენ, მაგრამ მათ გამოეცხადა ღვთისმშობელი ნათელმოსილი ანგელოზებით და აუწყა, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით.

ღვთისმშობლის მიძინებას ვდღესასწაულობთ ჩვენ 15 მარიამობისთვეს და ვეძახით ამ დღესასწაულს „მარიამობას". მარიამობის წინ ჩვენ ორ კვირას ვმარხულობთ.

პეტრეპავლობა

სულიწმიდის მოფენის შემდეგ ქრისტეს მოწაფეებმა ანუ მოციქულებმა ჯერ თვით იერუსალიმში და მის მახლობლად მდებარე ქვეყნებში დაიწყეს ქრისტეს სარწმუნოების ქადაგება. მერე მათ იწყეს სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა და ქადაგება. ქრისტეს, როგორც ვიცით, თორმეტი მოციქული ჰყავდა. მაგრამ მათ შორის სხვებზედ უფრო შესანიშნავნი არიან თავიანთი დიდი ღვაწლით ორი მოციქული: პეტრე და პავლე. მათ ბევრი იმგზავრეს და იქადაგეს სხვადასხვა ქვეყანაში და ბევრი კანსაცდელი გამოსცადეს. ბოლოს მათ მიაღწიეს რომის ქალაქში.

რომის ქალაქში მაშინ წარმართები ცხოვრობდნენ. პეტრემ და პავლემ ბევრი მოაქცია თავიანთი ქადაგებითა და სასწაულებით ქრისტიანებად. მაგრამ ქრისტიანობის გავრცელება არ ეამა რომის იმპერატორს და დაუწყო ქრისტიანებს დევნა. იმ დროს რომაელების ხელმწიფედ იყო ნერონი. ეს ხელმწიფე ბატარეული კაცი იყო და მის დროს ქრისტიანებს რომში საშინლად სდევნიდნენ და აწვალებდნენ: ზოგიერთ მათგანს შეახვევდნენ ხოლმე მხეცების ტყავში და ისე უსვევდნენ ძაღლებს; ზოგს ფისს ასხამდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ და სასეირნო ბაღლებს ანათებდნენ ღამით; ზოგს მხეცებს ჩაუგდებდნენ ხოლმე დასაგ-

ლეჯად და სხვ. ნერონის დროს ეწამნენ, სხვათა შორის, მოციქული პეტრე და პავლე. პეტრე მოციქული თავქვე აცვეს ჯვარზე, პავლეს კი თავი მოჰკვეთეს*.

ჯვართამაღლება

თუმცა ქრისტიანობის მტრები, ურიები და წარმართები, ქრისტიანებს საშინლად სდევნიდნენ და აწვალებდნენ, მაგრამ ქრისტიანობა მაინც სულ თანდათან ვრცელდებოდა რომის სახელმწიფოში. ბოლოს ქრისტიანების დევნას მოუღო ბოლო მხოლოდ იმპერატორმა დიდმა კონსტანტინემ მეოთხე საუკუნეში: მან თვითონაც მიიღო ქრისტეს სჯული, მოინათლა და გამოსცა ისეთი ბრძანება, რომ ყველა მის ქვეშევრდომებს თავისუფლად შეეძლოთ ქრისტეს სარწმუნოების აღიარება.

თვითონ კონსტანტინეს დედა, წმიდა ელენე, ძლიერ ღვთისმოყვარე დედაკაცი იყო და მოინდომა იმ ჯვარის პოვნა, რომელზედაც ქრისტე აცვეს. ამისათვის ის წაბრძანდა კონსტანტინოპოლიდან იერუსალიმის ქალაქში. იქ მან დიდხანს აძებნინა ჯვარი ქრისტესი და, ბევრი მეცადინეობის შემდეგ, იპოვეს სამი ჯვარი, მიწაში ჩაფლული. ერთი მათგანი ქრისტეს ჯვარი იყო, ორი ავაზაკებისა, რომლებიც მასთან იყვნენ ჯვარცმულნი. ეხლა უნდა შეეტყოთ როგორმე, რომელი იყო ქრისტეს ჯვარი. რადგანაც სხვა საშუალება არა იყო რა, შეეეედრნენ მაცხოვარს, რომ თვითონ აღმოეჩინა მას სასწაული. შემდეგ ამისა აიღეს და დაადეს გარდაცვალებულს ჯვრები სათითაოდ. როგორც კი მესამე ჯვარი მიუახლოვეს გარდაცვალებულს, ის იმწამსვე გაცოცხლდა.

ქრისტიანები სიხარულით მისცვივდნენ იმ ჯვარს და დაუწყეს მთხვევა, მაგრამ, რადგანაც ხალხი ძლიერ ბევრი იყო და ყველას არ შეეძლო ჯვართან მისვლა, ნახვა და მთხვევა, ამიტომ იერუსალიმის პატრიარქმა აიღო ჯვარი ცხოველი, აიტაცა მაღალს ადგილზე, იქ ასწია მაღლა (აღამაღლა) და აჩვენა ხალხს. როცა ქრისტიანებმა დაინახეს ჯვარი ცხოველი, დაიჩოქეს და თაყვანი სცეს. ამ მიზეზისა გამო ამ დღესასწაულს ეწოდება ამაღლება წმიდისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა, ანუ მოკლედ ჯვართამაღლება**.

---

* პეტრესა და პავლეს ხსენებას ანუ პეტრეპავლობას მართლმადიდებელი ქრისტიანები დღესასწაულობენ 29 ივნისს.

** ჯვართამაღლებას ვდღესასწაულობთ 14 სექტემბერს; ამასთანავე ამ დღეს ვმარხულობთ, რადგანაც ვიგონებთ ჩვენი ცოდვისათვის ჯვარცმულ ქრისტეს.

ქართველი
წმინდანები

წმიდა მოციქული ანდრია

ზეპირი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ სული წმიდის მოფენის შემდეგ ქრისტეს მოწაფეებმა და ყოვლად წმ. ღვთისმშობელმა გაიყვეს ქვეყნები საქადაგებლად. ღვთისმშობელს წილში საქართველო ჰხვდა. ამიტომ ჩვენს ქვეყანას ღვთისმშობლის წილხდომილ ქვეყანას უწოდებენ.

წმ. მარიამს სურდა ჩვენს ქვეყანაში წამოსვლა საქადაგებლად, მაგრამ რადგანაც მისი მძიმენების დროც მოახლოებული იყო, ამიტომ ქრისტეს ბრძანებით, რომელიც გამოეცხადა მას, ეს საქმე ანდრია მოციქულს მიანდო, რომელსაც პირველწოდებული ჰქვიან.

ანდრია მოციქული წამოვიდა საქართველოში და თან სიმონ კანანელი იახლა. მოციქულმა ანდრიამ შემოიარა ჭანეთი, ტრაპიზონი და კლარჯეთი, გადმოკიდა ახალციხეს და აწყურს გაჩერდა. პირველწოდებული მოციქული ყველგან ქრისტეს სარწმუნოებას ქადაგებდა და ნათელს სცემდა კერპთაყვანისმცემელ ქართველებს. აწყურიდან ისევ უკან დაბრუნდა წმ. ანდრია, გაიარა არტანი, კოდა, კლარჯეთი და იერუსალიმში წავიდა, რათა აღდგომის დღესასწაულს დასწრებოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ისევ დაბრუნდა ჩვენში წმ. მოციქული ანდრია, შემოვიდა ისევ კლარჯეთში, მოაგონა ყველას ქრისტეს სწავლა, გააფრთხილა, რათა არ ეღალატნათ ქრისტიანობისათვის და შემდეგ სამეგრელოში და აფხაზეთში წავიდა. ამ ქვეყნებში დიდი ნაყოფი მოიტანა მისმა ქადაგებამ: ხალხი ერთგულად ისმენდა ქრისტეს სწავლას და ინათლებოდა. აფხაზეთში წმ. მოციქულმა ახლად მოქცეული ხალხის ყურისმგდებლად დასტოვა სიმონ კანანელი*, თვითონ კი ჩერქეზეთში წავიდა საქადაგებლად, მაგრამ ჩერქეზეთში, როგორც ამბობენ, ისეთი ველური ხალხი დახვდა, რომ მოკვლა დაუპირეს მას. ამიტომ წმ. მოციქული გამოვიდა ამ ქვეყნიდან და სვანეთში წავიდა. სვანებმა უფრო თავაზიანად მიიღეს მოციქული და კიდეც იწამეს ქრისტეს მა-

* სიმონ კანანელი აქვე გარდაიცვალა და მის საფლავზე შემდეგ მშვენიერი ტაძარი ააგეს.

ცხოვარი. ანდრია მოციქულმა დაუნიშნა მათ მოძღვრები და თვითონ ოსეთში გადავიდა. ოსეთში რამდენიმე ხანი დარჩა. იქაც კარგი ნაყოფი მოიტანა მისმა ქადაგებამ. ოსეთიდან, როგორც ამბობენ, რუსეთისაკენ გაემგზავრა წმ. მოციქული საქადაგებლად. რუსეთში იგი იმ ადგილამდის მივიდა, სადაც ეხლა კიევის ქალაქია. იქ მან, თურმე, ერთ გორაზე ჯვარი ჩაასო მიწაში და იწინასწარმეტყველა ქრისტეს ნათელის გამობრწყინება ამ ქვეყანაში, რაც მართლა აღსრულდა მეათე საუკუნეში წმ. ვლადიმირის დროს. რუსეთიდან ანდრია მოციქული იერუსალიმში დაბრუნდა. ამგვარად პირველწოდებულმა ანდრიამ დასდო საფუძველი ქრისტიანობისა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ მაინც მის შემდეგ სამი საუკუნე მეტი გავიდა, სანამ ყველა ქართველი ქრისტეს სჯულს მიიღებდა. ამიტომ ქართველთა განმანათლებლად ითვლება წმ. მოციქულთა სწორი ნინო.

წმიდა ნინო, მოციქულთა სწორი

წმიდა ნინოს მამას ზაბულონი ერქვა. იგი პირველად კაბადოკიაში ცხოვრობდა და იმ ქვეყანაში დიდი მამულები ჰქონდა. ახალგაზრდობისას ის წავიდა რომის ქალაქში და იქ სამხედრო სამსახურში შევიდა. სამსახურში ძლიერ ისახელა თავი. როცა სამშობლოში დაბრუნდა, შეირთო ცოლად იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის და სუსანა და მიეცა ქალი, რომელსაც ნინო დაარქვა.

როდესაც ნინო თორმეტი წლისა იყო, მამამისი ბერად შედგა, დედაც — მონაზონად. პატარა ნინო ბიძამ, იერუსალიმის პატრიარქმა, მიაბარა გასაზრდელად ერთ ღვთისმოყვარე მოხუც დედაკაცს, რომელიც იერუსალიმში ქრისტეს საფლავს ემსახურებოდა. ამ ღვთისმოყვარე დედაკაცისაგან მან მიიღო სწავლა და ისიც გაიგო მისგან, რომ იესო ქრისტეს უკერავი პერანგი ანუ კვართი საქართველოში იყო წამოღებული.

წმიდა ნინო ძლიერ სწუხდა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ქრისტეს კვართი იყო, ისეთი ხალხი ცხოვრობდა, რომელსაც ქრისტე არ სწამდა. ამიტომ მოინდომა ქრისტეს კვართის პოვნა და ქართველების გაქრისტიანებაც. ამ აზრით ის ჯერ ქალაქ რომში წავიდა და მერე საქართველოში წამოვიდა. გზაზე მან დიდი შიში და წვალება გამოსცადა, მაგრამ ერთხელ ძილში გამოეცხადა მას ღვთისმშობელი, გააბნევა და მისცა ვაზის რქისაგან გაკეთებული ჯვარი. როცა წმ. ნინოს გამოეღვიძა, იმან მართლაც ეს ჯვარი თავის ხელში ნახა, ძლიერ გაე-

ზარდა და თავის თმაზედ გადაახვია. ეხლა კი დარწმუნდა, რომ ღმერთი მისი შემწე იყო. ადგა, წამოვიდა გამხნეებული და მოვიდა მაშინდელ ჩვენს დედაქალაქში მცხეთას თავისი ვაზის ჯვარით.

აქაური ქართველები მაშინ წარმართები იყვნენ და არმაზის კერპს სცემდნენ თაყვანს. მეფედ მაშინ ჩვენში მირიანი იყო. წმ. ნინოს მოსვლის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ქართველებს მცხეთაში არმაზ კერპის დღეობა ჰქონდათ. როცა დიდძალი ხალხი შეიკრიბა და თვით მეფეც მობრძანდა თავისი ამალით, ნინოს ლოცვის ძალით საშინელი ჭექა-ქუხილი გაჩნდა და კერპები სულ ერთიანად შემუსრა და პირქვე დასცა. შეშინებული ხალხი დაიშალა.

მცხეთაში ნინომ პირველად გაიცნო ქალი შროშანა, რომელიც მეფის მეუღლის ნანას პირფარეში ყოფილ იყო. მან სთხოვა ნინოს, ჩემთან დადექიო, მაგრამ ნინო არ დათანხმდა. ის შეეხიზნა მცხეთაში მირიან მეფის მებაღის ცოლს ანასტასიას. ეს დედაკაცი უშვილო იყო და ნინოს ვედრებით მიეცა შვილი. ამავე დროს წმ. ნინომ მოარჩინა თავისი ვაზის ჯვარით ერთი მძიმე ავადმყოფი. ამას გარდა სამი წლის განმავლობაში წმ. ნინომ თავისი ქველმოქმედებითა და ქადაგებით ბევრი ხალხი მოაქცია.

როცა ამ ამბავმა მირიან მეფის ყურამდის მიაღწია, მან აუკრძალა ნინოს ქრისტიანობის ქადაგება. მაშინ წმ. ნინომ აირჩია ერთი ადგილი იქ, სადაც ეხლა სამთავროს მონასტერი არის, გაიკეთა კარავი, დაგო შიგ ნაბადი, დაასვენა თავისი ჯვარი და გულმხურვალედ ევედრებოდა ღმერთს. აქ მოდიოდა მასთან ბლომად გაჭირვებული ხალხი და ნინოც ყველას შველოდა და თანაც უქადაგებდა ქრისტეს სჯულს. როცა ნინომ დაინახა ხალხის პატივისცემა და სიყვარული, უფრო გამხნევდა და უშიშრად დაიწყო ქადაგება. ეს ამბავი შეიტყო მეფემ, გაჯავრდა და დაუწყო წმ. ნინოს დევნა. მაგრამ იმ დროს დედოფალი ნანა ძლიერ ავად გახდა, ექიმებმა ვერა უშველეს რა და ამიტომ მიიწვიეს თვითონ ნინო. მან განკურნა ნომაკვდავი დედოფალი და გამოუცხადა, რომ მე კი არა, ქრისტეს ჯვარმა გიშველოთ. ამის შემდეგ დედოფალს ძლიერ შეუყვარდა წმ. ნინო, გახდა მისი მფარველი და სულითა და გულით ქრისტიანი. მეფემ არ მოიწონა დედოფლის ასეთი საქციელი და დიდებულთა რჩევით გადაწყვიტა ნინოც მოეკლათ, დედოფალიც და სხვებიც, ვინც კი ქრისტე იწამა.

ასეთ მდგომარეობაში რომ იყო, მეფემ მოინდომა თავის გასართობად სანადირო წასვლა. თან იახლა თავისი ამალა და გავიდა მცხეთიდან. ეს ნადირობა გახდა მიზეზად მისი მოქცევისა. ნადირობის

დროს დიდი უბედურება შეემთხვა. თხოტის ტყეში რომ შევიდა, უეცრად დღე საშინლად დაბნელდა და მეფე ძლიერ შეშინდა. ამ სიბნელეში მხლებლებიც დაკარგა და არ იცოდა რა ეკნა. ჩამოხდა ცხენიდან და შეევედრა თავის კერპს არმაზს, მაგრამ კერპი აბა რას უშველიდა. ამ დროს მოაგონდა ნინოს ღმერთი ქრისტე, დაიჩოქა და შეევედრა: „ღმერთო ნინოსაო! ოღონდ გამინათლე ეს სიბნელე, მშვიდობით დამაბრუნე და მაშინვე ვიწამებ შენს სახელს, თაყვანსა ვცემ შენს ჯვარს და შენს მიერ მოვლინებულ ნინოსაო".

ეკითხავა თუ არა მეფემ ლოცვა, ქვეყანას ერთბაშად ისევ სინათლე მოეფინა. გახარებულმა მეფემ მოძებნა მხლებლები, გამოუცხადა რაც მოხდა, დაანება თავი ნადირობას და მაშინვე დაბრუნდა მცხეთაში. მცხეთელები დიდის ამბით მიეგებნენ თავიანთ საყვარელ მეფეს და მიულოცეს, რომ მშვიდობით გადარჩა. მეფემ მიმართა ცხენდაცხენ წმ. ნინოს კარავს, ჩამოხდა ცხენიდან, მუხლი მოიყარა და თაყვანი სცა ნინოს ვაზის ჯვარს. მერე გამოუცხადა წმ. ქალწულს, მინდა მეც მოვინათლო და ჩემი ხალხიც მოვნათლოო. ხალხი გაკვირვებით უყურებდა ამ ამბავს.

შემდეგ ამისა მირიანმა მისწერა ნინოს რჩევით წერილი თავის მეგობარს, საბერძნეთის მაშინდელ იმპერატორს კონსტანტინეს, აცნობა თავისი სურვილი და სთხოვა, საჩქაროდ მღვდლები გამოეგზავნა. ნინომაც კონსტანტინეს დედას წმ. ელენეს აცნობა ეს სასიხარულო ამბავი. კონსტანტინესა და ელენესაც ძლიერ ეამათ ქართველების მოქცევა და საჩქაროდ გამოგზავნეს მცხეთაში ეპისკოპოსი ესტატე, ორი მღვდელი, სამი მთავარდიაკვანი და სხვა ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო ეკლესიისათვის. სანამ ისინი მოვიდოდნენ, წმ. ნინომ ხალხი საკმაოდ მოამზადა ქადაგებით. როცა მოვიდნენ, პირველად მოინათლნენ სასახლეში მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, მერე ეპისკოპოსმა და მღვდლებმა მონათლეს ხალხი, რომელიც დაბარებული იყო ყოველი მხრიდან, მტკვარში, ძველ ხიდთან. ეს სასიხარულო ამბავი მოხდა 328 წელს.

ამის შემდეგ წმ. ნინომ კიდევ დიდხანს იქადაგა საქართველოს სხვადასხვა მხარეში და მოაქცია ქრისტეს სჯულზე თითქმის ყველა ქართველი. მას, რასაკვირველია, ეპისკოპოსი ესტატე და ბერძენი მღვდლებიც შველოდნენ. რადგანაც წმ. ნინომ მონათლა ქართველები, ამიტომ მას უწოდებენ „ქართველთ განმანათლებელს". მეფე მირიანმა ბევრი საყდარი აშენა ხალხის სალოცავად. წმიდა მოციქულსწორი ნინო გარდაიცვალა სოფელ ბოდბეში 67 წლისა, 14 იანვარს, 333 წელს. წმიდა გვამი მისი, მისივე ანდერძის ძალით, დაასაფლავეს

ბოდბეში, სადაც ეხლაც ასვენია. ნინოს ვაზის ჯვარი ჯერ პირველად ბოდბეში იყო. მაგრამ შემდეგ სიონის სობოროში მოიტანეს და ეხლაც იქ ასვენია*.

წმიდა იოანე ზედაზნელი

მართალია, წმ. ნინომ მეოთხე საუკუნეში მოაქცია ქრისტეს სჯულზე ქართველები, მაგრამ, ცხადია, ხალხი მალე ვერ დაივიწყებდა ძველ სჯულს და უწინდელ ზნე-ჩვეულებას, როცა იგი კერპებსა სცემდა თაყვანს და მსხვერპლსა სწირავდა მათ. ამიტომ ჯერ კიდევ დიდი ხანი გავიდა, სანამ ქრისტიანობა სულ ყველგან გავრცელდებოდა და მტკიცედ მოიკიდებდა ფეხს ხალხში, მაგრამ ამ საქმეს ძლიერ შეუწყვეს ხელი იმ წმიდა მამებმა, რომლებიც მეექვსე საუკუნეში მოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში ასურეთიდან. რიცხვით ისინი სულ ცამეტნი იყვნენ, ხოლო მოძღვარი მათი და თავი იყო წმიდა იოანე.

ეს წმ. მამა დაიბადა სოფელში. სწავლა მიიღო ასურეთის დედაქალაქში. სწავლაში მან დიდი ნიჭი გამოიჩინა, ზედმიწევნით შეისწავლა ხალმთო წერილი და ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, რომ ბერად შედგა და უდაბნოში წავიდა საცხოვრებლად. აქ იგი დიდხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, გაითქვა სახელი კეთილი ცხოვრებითა და სასწაულებითაც. მაგრამ იქ იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ მან საჭიროდ დაინახა, მოშორებოდა იმ უდაბნოს. მან თან წაიყვანა ზოგიერთი დარჩეული თავისი მოწაფეები, აირჩია ერთი მივარდნილი ადგილი, ააშენა სენაკები და იქ იწყო მოღვაწეობა. აქ მას ერთხელ, როგორც მოგვითხრობენ, გამოეცხადა წმ. ღვთისმშობელი და უბრძანა, აერჩია თვისთა მოწაფეთა შორის თორმეტი ბერი და მათთან ერთად წასულიყო ივერიაში (საქართველოში), რათა დაემკვიდრებია ახლად მოქცეული ხალხი ქრისტეს სჯულზე.

წმ. იოანემ ამამოუცხადა ღვთისმშობლის ეს ბრძანება თავის მოწაფეებს. შემდეგ დიდი ხნის მარხულობისა და ლოცვისა, მან აირჩია თორმეტი მოწაფე. აი მათი სახელები: შიო, დავითი, ანტონი, იესე, იოსები, თადეოზი, სტეფანე, ისიდორე, მიხეილ, ფირრა, ზენონი და აბიბო. სხვა თავის მოწაფეებს, რომლებიც იქ დასტოვა, დაუნიშნა თავის ნაცვლად მოძღვრად ბერი ექვთიმე, დარიგება მისცა, თუ როგორ უნდა ეღვაწათ, გამოეთხოვა მათ და წამოვიდა საქართველოში.

---

*წმ. ნინოს ხსენებას ჩვენი ეკლესია აღასრულებს 14 იანვარს.

ძნელი და დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ ისინი მიუახლოვდნენ მაშინდელ ჩვენს დედაქალაქს მცხეთას. იმ დროს მცხეთაში კათოლიკოსად იყო ეკლავი. როცა მან გაიგო წმ. მამების მოახლოება, იახლა მთელი თავისი კრებული, მიეგება მათ წინ, მიესალმა და აკურთხა. იოანემ და მისმა მოწაფეებმა თაყვანი სცეს კათალიკოსს და მიიღეს ლოცვა-კურთხევა. შემდეგ კათალიკოსი დაბრუნდა მცხეთაში და სტუმრებიც თან მოიყვანა. მათი მოსვლა საქართველოში ძლიერ ეამა მაშინდელ ჩვენს მეფესაც.

ცოტა ხნის შემდეგ წმ. იოანემ წაიყვანა თავისი მოწაფეები და მოვლო ყველა ის ადგილები, სადაც-კი წმიდა ნინო ყოფილიყო. ისინი ყველგან უქადაგებდნენ ხალხს, არიგებდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ და ამგვარად ამყარებდნენ მათ შორის ქრისტეს სჯულსა და კეთილ ზნეს. როცა დაბრუნდნენ მცხეთაში, წმ. იოანემ აირჩია საცხოვრებლად ზ ა დ ე ნ ი ს მთა, სადაც ძველ დროში იდგა კერპი ზადენისა და კათალიკოსის ნება დართვით, იქ დაბინავდა ერთ გამოქვაბულში. მისი მოწაფეებიც იქვე, მის მახლობლად დადგნენ და ასე იწყეს მოღვაწეობა.

როცა განითქვა სახელი მათი და ხალხმა გაიგო წმ. იოანეს სასწაულები, იწყო სიარული და ლოცვა. ბევრი მათგანი სტოვებდა თავიანთ სახლ-კარს და ზადენის უდაბნოში რჩებოდნენ სიკვდილამდის. ამგვარად ზადენის მთა შეიქმნა განდეგილთა სამყოფი.

მაგრამ ერთს ღამეს წმ. იოანეს გამოეცხადა ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი და უბრძანა, რათა გაეგზავნა მას თავისი მოწაფეები სხვადასხვა მხარეს საქადაგებლად. მეორე დღეს მან შეკრიბა მოწაფეები, უამბო, რაც იხილა და გადასცა ღვთისმშობლის ბრძანება. ამასთანავე უბრძანა მათ მომზადებულიყვნენ წასასვლელად.

ძლერ საწყენად დაურჩათ მოწაფეებს საყვარელი მოძღვრის მოშორება, მაგრამ უარი ვერავინ გაბედა. წმ. იოანემ წარუდგინა ისინი კათალიკოსს და მოახსენა ყოველივე, რაც მას ღვთისმშობელმა უბრძანა. კათალიკოსს ეამა, აკურთხა ყველანი და გზა დაულოცა. იოანემ დაარიგა ისინი და ისე გაისტუმრა.

ზოგი მათგანი, სახელდობრ: დავითი, ანტონი, იოსები, სტეფანე, ზენონი და აბიბო გაემგზავრენ კახეთისაკენ, შიო, პიროსი, მიხეილი, თადეოზი. და ისიდორე წავიდნენ ქართლის ქვეყნებში. მეთორმეტე — ესე იმყოფებოდა იმ დროს მღვდელმთავრად ქალაქ წილკანში. მოხსენებული წმ. მამები ცალ-ცალკე დადიოდნენ არჩეულ ადგილებში, ასწავლიდნენ ხალხს და მოღვაწეობდნენ.

როცა მამა იოანემ გაისტუმრა თავისი მოწაფეები საქადაგებლად, თვითონ დაბრუნდა მცხეთიდან ზადენის მთაზე და იქ მოღვაწეობდა. მაგრამ ხშირად ნახულობდა თავის მოწაფეებს და ამხნევებდა ხოლმე. ხანგრძლივ მოღვაწეობის შემდეგ წმ. იოანემ იგრძნო სიკვდილის მოახლოება. მაშინ მან დაიბარა თავისი მოწაფეები, დარიგება მისცა მათ, აკურთხა და ისე განუტევა სული. მოწაფეებმა დიდი გლოვითა და მწუხარებით დაკრძალეს წმ. გვამი იმავე გამოქვაბულში, რომელშიც ცხოვრობდა იგი*.

წმ. იოანე ზედაზნელის გარდაცვალების შემდეგ მისი მოწაფეები კიდევ დიდხანს მოღვაწეობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. შემდეგ გარდაცვალებისა ამ წმ. მამებს ეწოდათ სახელი იმ ადგილებისა, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ. წმ. მამა დავითს უწოდეს, მაგალითად, გარეჯელი, შიოს — მღვიმელი, ანტონს — მარტყოფელი, იესეს — ალავერდელი, სტეფანეს — ხირსელი, ზენონს — იყალთოელი, თადეოზს — სტეფანწმინდელი, ისიდორეს — სამთავრელი, პიროსს — ბრეთელი და მიხეილს — ულუმბელი.

წმიდა მამა შიო მღვიმელი

შიო დაიბადა ასურეთის დედაქალაქ ანტიოქიაში. მისი მშობლები იყვნენ აზნაურთაგანი და ღვთისმოყვარე ადამიანები. მათ შიოს მეტი შვილი არა ჰყავდათ და, რადგან საშუალება ბევრი ჰქონდათ, მშვენივრად აღზარდეს იგი. თვითონ შიო ძლიერ ნიჭიერი და ბეჯითი ყმაწვილი იყო. მან კარგად შეისწავლა ასურული და ბერძნული ენები. მერე შეუდგა საღმრთო წერილის შესწავლას. ამასთანავე ის იყო თავმდაბალი, კეთილი და ღვთისმოყვარე.

იმ დროს, როცა შიო ოცი წლისა იყო, ანტიოქიაში გაითქვა სახელი წმ. იოანესი, რომელიც უდაბნოში მოღვაწეობდა და ხალხს იზიდავდა. შიო პირველად ჩუმად წავიდა იოანეს სანახავად. იოანემ სიხარულით მიიღო იგი, აკურთხა და აღუთქვა თავის მოწაფეთა შორის ჩარიცხვა, მაგრამ იმ პირობით, რომ შინ დაბრუნებულიყო და მშობლებისაგან ნება აეღო. შიო დაბრუნდა ოჯახში, მაგრამ მშობლებს არ გაუმხილა, სად იყო.

გავიდა რამდენიმე ხანი. ერთხელ მამამ გამოუცხადა შიოს, რომ მე და დედაშენი სულისათვის მოღვაწეობას უნდა შევუდგეთო და ამი-

* წმ. იოანე აღესრულა 557 წ. კათალიკოსის მაკარის დროს. წმ. იოანე ზედაზნელის ხსენება არის 7 მაისს.

ტომ მონასტერში გვინდა წასვლაო, ხოლო შენ ცოლშვილს მოეკიდე და მაჭულს ეპატრონეო. შიოს ძლიერ გაეხარდა და სიხარულით დათანხმდა. მაგრამ, როგორც-კი აღასრულეს შიოს მშობლებმა თავიანთი სურვილი, წავიდნენ მონასტერში. შიომ გაყიდა ყოველი საცხოვრებელი, გაუნაწილა გლახაკთა, ქვრივ-ობოლთა, მეუდაბნოეთა, გაათავისუფლა ყველა თავისი მონა და თვითონაც მამა იოანესთან წავიდა.

იოანეს ძლიერ ეამა მისი მისვლა, სიხარულით მიიღო მოწაფედ და ბერად აღკვეცა, რადგანაც თვითონ შიომ გამოაცხადა სურვილი. აქ ოცი წელიწადი დაჰყო შიომ მოღვაწეობაში და მორჩილებაში. შემდეგ, როცა ღვთისმშობლის ბრძანებით იოანემ თორმეტი მოწაფე აირჩია საქართველოში წამოსვლის წინ, შიოც ერთი ერთგულთაგანი იყო.

საქართველოში მოსვლის შემდეგ შიოც პირველად მამა იოანესთან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მაგრამ მერე სთხოვა თავის მოძღვარს, ნება მიეცა მისთვის მოშორებოდა, საკუთარი ადგილი აერჩია და იქ დაუფუძებულიყო. წმ. იოანემ ნება მისცა, აკურთხა და გაისტუმრა.

მამა შიო წავიდა ზადენის უდაბნოდან და მცხეთის მახლობლად, მტკვრის პირად კლდეთა შორის იპოვა მღვიმე, იქ დადგა და იწყო მოღვაწეობა. ის ხევი, სადაც შიო დაბინავდა, იმ დროს იყო მიუვალი, უწყლო და სავსე მხეცებითა და ქვეწარმავლებით. მაგრამ შიო არაფერს არ შეუშინდა. ენა ვერ გამოთქვამს, რამდენი ნაკლოვანება, მოთმინება და შიში გამოსცადა აქ მამა შიომ, მაგრამ ყველაფერი აიტანა და სძლია.

ერთხელ შიო მთელი ღამე ლოცულობდა და ითხოვდა ღვთისაგან შეწევნას ბოროტთა სულთა დასაძლევად. ცისკრის დროს მთელ ხევს მოულოდნელად საკვირველი რაღაც ნათელი მოეფინა და წმ. შიოს გამოეცხადა ღვთისმშობელი, რომელსაც თან ახლდა იოანე ნათლისმცემელიც. შეშინებული განდეგილი მოწიწებით დაეარდა მის წინაშე და ამავე დროს მოესმა ანგელოსთა გალობა. ყოვლად წმ. მარიამმა აკურთხა იგი, გააძხნევა და მისცა საზრდოდ რაიმე, მსგავსი თოვლისა. შემდეგ ამისა გაძხნევებული ბერი კიდევ უფრო გულმოდგინედ მოღვაწეობდა იმ საშინელ ხევში მარტო.

მაგრამ ერთხელ გავიდა ხევში სანადიროდ სპასპეტი ვინმე და ვეზირი მეფისა ევაგრე თავისი ამალით. ნადირობის დროს მან შენიშნა მტრედის მსგავსი ფრინველი, რომელმაც მოუტანა საზრდო ვიღაც ქვაბში დაყუდებულს. გაუკვირდა, მივიდა და ნახა, რომ პატარა ქვაბში მამა შიო ხელაპყრობილი ევედრებოდა ღმერთს. გაკვირვებულმა ევაგ-

რემ გამოკითხა მას ვინაობა. წმ. შიომ უამბო ყველაფერი და ისეთი გავლენა იქონია მასზე, ამ დიდებულმა კაცმა გამოაცალა სურვილი მისი მოწაფეობისა. შიომ აკურთხა და ნება დართო. ევაგრე სიხარულით დაბრუნდა შინ, მოაწყო ყოველი შინაური საქმეები, დაბრუნდა მამა შიოსთან, აღიკვეცა ბერად, დადგა მეორე გამოქვაბულში შიოს მახლობლად და მისი ხელმძღვანელობით დაიწყო მოღვაწეობა.

შემდეგ ამისა, როცა მახლობელი სოფლების მცხოვრებლებმა გაიგეს წმ. შიოს ამბავი, იწყეს უდაბნოში სიარული სალოცავად. ბევრმა მათგანმა ევაგრეს მიბაძეს და უდაბნოში იწყეს მოღვაწეობა. როცა მოიმატა ძმათა რიცხვმა, მაშინ, შიოს ბრძანებით, აღაშენეს ეკლესია იმ ადგილას, სადაც წმ. ღვთისმშობელი გამოეცხადა შიოს, მეუდაბნოეთა და მომსვლელთა სალოცავად.

იმ დროს ჩვენში მეფედ იყო ფარსმან მეექვსე. როცა მან გაიგო თავისი გამოჩენილი სპასპეტის ევაგრეს ბერად შედგომა, ძლიერ ეწყინა და თვითონ წაბრძანდა შიოს მლვიმის უდაბნოში, რათა დაეთანხმებია ევაგრე, დაენებებია თავი ბერობისათვის და ისევ უწინდელ ცხოვრებას დაბრუნებოდა. მაგრამ მან გადაჭრილი უარი მოახსენა მეფეს და თან უამბო საკვირველი ცხოვრება წმ. შიოსი. მაშინ მეფემ ისურვა მამა შიოს ნახვა. შიო კარებში მიეგება მეფეს მოწიწებით და ჯვარი გადასახა. მეფემ რაღაც ისეთი საკვირველი მადლი იხილა წმ. შიოს სახეზე, რომ მოიხადა გვირგვინი და დაიჩოქა მის წინაშე. მამა შიო შეძრწუნდა, მოწიწებით აკურთხა მეფე, მოკიდა ხელი, ააყენა და თავის ხელით დაადგა თავზე გვირგვინი. მეფის მხლებლებმაც თაყვანი სცეს მამა შიოს და მიიღეს მისგან კურთხევა. მათ შორის იყო ვინმე დიდებული, რომელსაც მარჯვენა თვალი ჰქონდა სრულიად დაზიანებული ისრისაგან. მან მოიყარა მუხლი წმ. შიოს წინ, შეახო თვალი მის ფეხს და მყისვე განიკურნა. ამ მოულოდნელმა სასწაულმა ყველანი გააკვირვა.

მეფე ფარსმანმა უბრძანა შიოს, ეთხოვნა რა მოწყალება სურდა უდაბნოსათვის, მაგრამ შიომ უპასუხა: „უფალო მეფე! გულნი ნეფეთანი ხელთა შინა ღვთისათა არიან, ვითარცა რა ჯერ გიჩნს, ჰყავ“. მაშინ მეფემ შესწირა შიოს უდაბნოს ოთხი დაბა და უბოთა ოცდათი ლიტრა ოქრო ეკლესიის ასაშენებლად. ამას გარდა შესწირა ოქროს ბარძიმ-ფეშხუმი, დიდის ოქროს ჯვარი და მშვენიერად შემკობილი მეფე ვახტანგის მიერ სახარება. შემდეგ ამისა მეფე დაბრუნდა მცხეთაში და ყველაფერი უამბო კათალიკოს მაკარს.

როცა დასრულეს ახალი ეკლესიის აშენება, მობრძანდა თვით მე-

ფე, კათალიკოსი ეპისკოპოსებისა და კრებულით, მოვიდა თვით წმ. იოანე ზედაზნელი და დიდის ამბით აკურთხეს ახლადაგებული ტაძარი. ნდოდათ მამა შიო მღვდელმონაზონად ეკურთხათ, მაგრამ მან უარი განაცხადა. შიო დარჩა ისევ განდეგილად და განაგრძო თავისი მოღვაწეობა.

შემდეგ ამისა ძმათა რიცხვმა შიოს უდაბნოში ისე იმატა, რომ ორი ათასამდის ავიდა და სახელი და დიდება წმ. შიოსი მთელ საქართველოში განითქვა. აუარებელი ხალხი დადიოდა უდაბნოში, რათა ეხილათ სასწაულმოქმედი განდეგილი და მიეღოთ მისგან კურთხევა და კურნება.

წმ. შიო მრავალ სასწაულებს შვრებოდა. ერთხელ თურმე ერთი მგელი შემოეჩვია უდაბნოს სახედრებს და ბევრი გაეფუჭა. როცა ეს ამბავი მაცა შიოს აცნობეს, ილოცა და ბრძანა, რათა მგელი იგი შემდეგ ამისა გამხდარიყო მწყემსად სახედართა. ბრძანება მისი მართლაც აღსრულდა და მგელი არათუ ხელს აღარ ახლებდა სახედრებს, პირიქით, მწყემსავდა და ერთგული ძაღლივით იქცეოდა.

როცა მამა შიო მოხუცდა, შეკრიბა ყველა თავისი მოწაფე, მისცა მათ წესი, დაუნიშნა წინამძღვრად ევაგრე, დაარიგა ისინი და თვითონ განშორდა ბნელ მღვიმეში ანუ ქვაბში, სადაც გაატარა დანარჩენი დღენი თვისნი მარხულობასა და ლოცვაში.

ბოლოს, იგრძნო რა მოახლოება სიკვდილისა, მიიღო წმ. საიდუმლო, აღაპყრნა ხელნი და წარმოსთქვა: „ჰოი, უფალო! ხელთა შენთა შევვედრებ სულსა ჩემსა“, და მართლაც, განუტევა წმ. სული თვისი ცხრა მაისს.

შემდეგ გარდაცვალებისა შეიკრიბნენ ყველა მისი მოწაფეები, მობრძანდა თვით კათალიკოსი და დიდი გლოვით დაკრძალეს წმ. გვამი მამა შიოსი იმ მღვიმეში, სადაც იგი მოღვაწეობდა, რადგანაც ესე იყო სურვილი მისი*.

წმიდა მამა დავითი გარეჯელი

მამა დავითი იყო წმ. იოანე ზედაზნელის მოწაფე და მასთან ერთად მოვიდა ჩვენს ქვეყანაში. მისი მშობლების შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს, მაგრამ ცხადია, ისეთ შესანიშნავ შვილს, როგორიც დავითი იყო, მშობლებიც უნდა ყოფილნი და ღვთისმოსავნი ჰყოლოდა. და-

* წმ. მამის შიოს დღეობა არის ცხრა მაისს და ყველიერის ხუთშაბათს.

ვითი სიყრმიდანვე მამა იოანესთან იმყოფებოდა უდაბნოში და მისგან ისწავლა მოღვაწეობა.

როცა საქართველოში მოსვლის შემდეგ წმ. იოანე ზედაზნილმა გაგზავნა თავისი მოწაფეები საქადაგებლად სხვადასხვა კუთხეებში, მამა დავითი პირველად დაემკვიდრა მთაწმინდაზე. აქ მან აირჩია ერთი გამოქვაბული, რომელიც ბუჩქიან ტყეში იპოვა. იქ მასთან იმყოფებოდა აგრეთვე მისი მოწაფე ლუკიანე, რომელიც მცხეთიდან წამოიყვანა.

ყოველ კვირას მამა დავითი ჩამოდიოდა თბილისში და იქ უქადაგებდა ცეცხლის თაყვანისმცემლებს, რომლებიც მაშინ ბლომად იყვნენ ამ ქალაქში. თავისი საკვირველი ქადაგებითა და სამაგალითო ცხოვრებით მიიზიდა ხალხი და მრავალი ცეცხლის თაყვანისმცემელი მოაქცია. ეს ეწყინათ მოგვებს და მოინდომეს მისი გაძევება თბილისიდან. შეიკრიბენ, ბევრი არჩიეს და ბოლოს აი, რა საძაგელი ცილი დასწამეს. მოისყიდეს როსკიპი დედაკაცი და მასთან მრუშობა დასწამეს მამა დავითს. ამით უნდოდათ მოგვებს მისი შერცხვენა და ხალხის თვალში დამცირება, რომელსაც იგი წმიდათ მიაჩნდა.

ერთ კვირა დღეს, როცა მამა დავითი თბილისის მოედანზე შეკრებილ ხალხს უქადაგებდა, მოვიდნენ მოგვები, თან ის დედაკაცი მოიყვანეს და საჯაროდ ბრალი დასდეს მამა დავითს. ის ძლიერ გაკვირდა, აღაპყრო თვალები მაღლა და უფლისაგან ითხოვა შველა. ამ დროს მოგვები და ცეცხლის თაყვანისმცემლები ყვიროდნენ და ითხოვდნენ მის დასჯას. განცვიფრებული ხალხი შეწუხდა და არ იცოდა, რა ექნა.

მაშინ წმ. დავითმა მიმართა ხალხს და წარმოსთქვა: „ძმანო და შვილნო ჩემნო! თვით ღმერთია მოწამე, რომ მე დამნაშავე არა ვარ, და უკეთუ ბრალმდებელნი ჩემნი მართალნი არიან, თვით უფალი გვიჩვენებს ამას!“ შემდეგ უბრძანა, წამოეყენებინათ წინ მეძავი იგი დედაკაცი. „დედაკაცო! რა მრუშობა ჩავიდინე მე შენთან?“ — ჰკითხა მამა დავითმა მას. უნამუსო დედაკაცმა დაბრალა მას თავისი სიმძიმე ანუ ორსულობა. მაშინ გაკვირვებული მამა დავითი შეეეედრა უფალს, რათა ეჩვენებინა ხალხისათვის სასწაული თვისი. მერე აიღო კვერთხი, რომელსაც თავში პატარა ჯვარი ჰქონდა, შეეხო დედაკაცის მუცელს და ხმამაღლა წარმოსთქვა:

„შენ ჩვილო! გიბრძანებ სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რათა გვაუწყო ჩვენ, თუ მე ვარ მამაშენი“.

ჩვილმა მყისვე ხმა ამოიღო დედის მუცლიდან და სხვაზე აჩვენა. მართლაც, აღმოჩნდა, რომ დამნაშავე იყო ვიღაც მშედელი. შერცხვე-

ნილმა მოგვებმა ხმა გაკმინდეს. აღელვებულმა ხალხმა დედაკაცი ქვით ჩაქოლა. წმ. დავითი ამშვიდებდა ხალხს, მაგრამ ვერ დაამშვიდა.

მამა დავითი, როცა თბილისში ჩამოდიოდა, იქ ეადაგებდა, სადაც უხლა ქაშვეთის ეკლესია არის აშენებული. რამდენიმე ხნის შემდეგ მამა დავითმა დასტოვა თბილისი, გაიყოლა თავისი მოწყალე ლუკიანე, აირჩია სადგომად გარეჯის უდაბნოში ერთი გამოქვაბული და იქ დაიწყო მოღვაწეობა. მაგრამ აქაც ბევრი გაჭირვება გამოსცადა მან, ცალკე სიცხე, უწყლობა და უსაზრდოობა აწუხებდა, ცალკე საშინელი ქვემძრომნი.

ერთხელ, როცა მამა დავითი და ლუკიანე ძლიერ შეწუხდნენ და დასუსტდნენ უსმელ-უჭმელობით, მოულოდნელად მოვიდა სამი ირემი თავიანთი ნუკრებით და გაჩერდნენ მათ სადგომთან. მამა დავითმა უბრძანა ლუკიანეს, აიღე პინაკი და მოწველეო. მანაც აღასრულა ბრძანება მისი, რძე ყველად აქციეს და მითი მოიკლეს შიმშილი. ეს იყო სასწაული და მამა დავითმა შესწირა უფალს მადლობა. შემდეგ ამისა ყოველდღე მოდიოდნენ ირმები, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა.

მაგრამ იმ გამოქვაბულის მახლობლად, სადაც მამა დავითი დაბინავდა, იყო ნაპრალი და მასში ქვაბი, სადაც მკვიდრობდა რაღაც ვეშაპის მსგავსი ცხოველი. ერთს საღამოს მოიკრნენ შეშინებული ირმები და ერთი ნუკრი აკლდათ. ეს ამბავი აცნობა ლუკიანემ მამა დავითს. ნუკრი თურმე იმ მხეცს მოეტაცნა. მამა დავითი შეეკედრა უფალს და ჯერ ლოცვა არ გაეთავებია, რომ საშინლად დაიქუხა, გავარდა მეხი და სულ ერთიანად დასწვა უცნაური მხეცი.

ერთხელ კახეთიდან შევიდნენ გარეჯის უდაბნოში მონადირენი და სადირობის დროს კლდის პირას დაინახეს ირმები. წავიდნენ იქით და ნახეს, რომ ირმებს ვიღაც ბერი სწველიდა. ძლიერ გაკვირდნენ, მაგრამ როცა დაინახეს გამოქვაბულში მლოცველი მამა დავითი, თაყვანი სცეს და კურთხევა აიღეს. მამა დავითმა აკურთხა ისინი და წასვლის დროს დაარიგა, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ. მონადირენი წავიდნენ და მთელ კახეთში გაავრცელეს მამა დავითის ამბავი. შემდეგ ამისა იწყეს სიარული გარეჯის უდაბნოში მლოცველებმა, რათა თავისი თვალით ენახათ წმ. დავითი და მიეღოთ მისგან კურთხევა. ზოგი მათგანი ეხვეწებოდა მამა დავითს, ნება მიეცა მათთვის დარჩენილიყვნენ იქ. იგი დათანხმდა, მაგრამ უბრძანა, მოეტანათ იარაღი და გამოეკვეთათ ქვაბები თავიანთ საცხოვრებლად. მათაც აღასრულეს მისი ბრძანება. ასე იწყეს ცხოვრება გარეჯის უდაბნოში განდეგილებმა, რომელთა რიცხვი თანდათან მატულობდა.

ერთხელ მამა დავითი ჩვეულებრივ დაჩოქილი ლოცულობდა. ამ დროს მოულოდნელად მოფრინდა შეშინებული კაკაბი და მის წინ ჩამოჯდა. ქორიც მახლობლად შეჯდა ხეზე. ცოტა ხნის შემდეგ მოიკრა ცხენოსანი მონადირე, რომელიც ფიქრობდა, გამოაცლიდა ქორს კლანჭებიდან დაჭერილ კაკაბს, მაგრამ, როცა დაინახა კაკაბი მლოცველის წინ და მახლობლად გაწბილებული ქორი, ძლიერ გაუკვირდა და ჰკითხა მამა დავითს: — „ვინ ხარ შენ და ან საიდან მოსულხარ აქ". მამა დავითმა წყნარად მიუგო: — „მე მონა ვარ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ვევედრები მოწყალებათა მისთა". შემდეგ ურჩია მას, დაენებებია თავი კაკაბისათვის.

მონადირე იყო უსჯულო ვინმე ბუბაქარი. გაჯავრებით უპასუხა დავითს: — „გიჯობს შენთვის ითხოვო სიცოცხლე და არა კაკაბისათვის".

მამა დავითმა ლმობიერად მიუგო: — „არავითარი უფლება არა აქვს არა თუ ჩემზე, არც ამ ფრინველზე, რომელმაც შეაფარა თავი ჩემს კალთაში. ნურც ფიქრობ შემაშინო, რადგან შემწე და მფარველი ჩემი არის თვით უფალი".

გაჯავრებულმა მონადირემ იშიშველა მახვილი და უნდოდა მოეკვეთა თავი წმ. მამისათვის, მაგრამ მარჯვენა მყისვე გაუშეშდა. შეკრთა, ჩამოხდა ცხენიდან, დაიჩოქა მის წინაშე და ცრემლით ევედრებოდა მიტევებასა და განკურნებას. მამა დავითს შეებრალა, აღაპყრო მან ხელები, შეევედრა უფალს და განკურნა იგი. მხედარს გაეხარდა, გაკვირდა და ევედრებოდა: — „მამაო, მყავს მე ძე დაკუტული, მრავალი ვუექიმე, მაგრამ არა ეშველა. გევედრები, იგიცა გამიკურნო. უკეთუ გნებავს, აქ მოგგვრი. უკეთუ მომირჩენ, მე და ჩემი ცოლშვილი ვიწამებთ ღმერთსა შენსა".

მამა დავითმა უპასუხა: „წარვედ, ძე შენი განკურნებულ არს".

მონადირე გახარებული წავიდა შინ. ძე მისი ხტომით მოეგება წინ. აღმოჩნდა, რომ სწორედ იმ დროს მორჩენილიყო, როცა მამა დავითი ეხედარს ელაპარაკებოდა. მან ყოველივე უამბო თავის სახლობასა და მეზობლებს. მეორე დილით ბუბაქარმა აკიდა სახედრებს ყოველგვარი სანოვაგე, წაიყვანა შვილები და გასწია მამა დავითთან. თაყვანი სცა მას და მადლობა მოახსენა. შემდეგ წარუდგინა მას შვილები და სთხოვა კურთხევა მათი. სანოვაგე მამა დავითმა ყოველივე ბერებს გადასცა. ბუბაქარმა აღასრულა თავისი აღთქმა და მთელი სახლობით მოინათლა.

რამდენიმე წლის შემდეგ მამა დავითმა დასტოვა გარეჯის უდაბნო-

ში უფროსად მოწაფე თავისი ლუკიანე და თვითონ იერუსალიმში წავიდა. იქ მან თაყვანი სცა ქრისტეს საფლავს, მოიარა სხვა წმიდა ადგილებიც და ისევ გარეჯის მონასტერში დაბრუნდა.

დროთა განმავლობაში გარეჯის უდაბნოში ძლიერ იმატა ძმათა რიცხვმა. ზოგი მათგანი ცხოვრობდა განდეგილად, ზოგიც ერთად, მონასტერში. წმ. დავითი იყო ყველას წინამძღვარი და დამრიგებელი. მას ძლიერ უხაროდა, რომ ასე გამრავლდნენ მის უდაბნოში მადიდებელნი ღვთისა.

მაგრამ მოახლოვდა მამა დავითის გარდაცვალების დროც. სიკვდილის წინ მან შეკრიბა თავისი მოწაფენი, დაარიგა, გააძხნევა და აკურთხა ისინი. შემდეგ მიიღო წმიდა საიდუმლო და ისე აღესრულა. მოწაფეებმა იგლოვეს საყვარელი მოძღვარი თვისი და დიდი მწუხარებით დაკრძალეს წმ. ცვამი მისი იქვე გარეჯის სავანეში. ეს ამბავი მოხდა 582 წ.*

წმიდა მამა ანტონ მარტყოფელი

წმ. იოანე ზედაზნელმა რომ თავისი მოწაფეები გაგზავნა საქადაგებლად, მამა ანტონი, როგორც ვიცით, კახეთში წავიდა. აქ მან მოვლო მრავალი ადგილი და უქადაგებდა ხალხს. მამა ანტონს თან ჰქონდა გულზე დაკიდებული ერთი აგური, რომელზედაც გამოხატული იყო ხელთუქმნელი სახე იესო ქრისტესი. ამ ხატის ძალით ის მრავალ სასწაულს შვრებოდა.

შემდეგ წმ. ანტონი დაბინავდა ლონოატის ხეობაში და იქ იწყო მოღვაწეობა. საზოგადოდ მამა ანტონს ძლიერ უყვარდა მარტოდ ყოფნა და ღვთის ვედრება. ამიტომაც მას „მარტომყოფელი", ანუ, მოკლედ, „მარტმყოფელი" უწოდეს. მაგრამ იგი ისე ბევრ ხალხს იხილავდა თავისი წმიდა ცხოვრებითა და სასწაულებით, რომ ხალხი არსად მოსვენებას არ აძლევდა. ზოგი მათგანი სრულებით არ შორდებოდა და მის მახლობლად დგებოდნენ. როცა ასეთ მსურველთა რიცხვმა ძლიერ იმატა, მამა ანტონმა აღაშენა მათთვის მონასტერი ალაზნის ველმით, თვითონ კი მოშორდა მათ, აირჩია ერთი მივარდნილი ადგილი იქ, სადაც ეხლა ახმეტა არის და იწყო მოღვაწეობა.

მაგრამ აქაც მალე მიაგნეს მას და იწყეს მასთან სიარული. ამიტომ მან ამ ადგილსაც დაანება თავი და აკრიანის მთა აირჩია საცხოვ-

* ხსენება და დღესასწაული მამა დავითისა არის ამაღლების შემდეგ პირველ ხუთშაბათს.

რებლად, რომელიც დაბურული იყო ტყით. აქ მან მთის მწვერვალზე თვითონ გამოქვაბა კლდე და დადგა მასში. დღე და ღამე მხურვალედ ლოცულობდა თავისი სასწაულმოქმედი ხატის წინ. პირველად იგი საზრდოობდა მცენარეული საჭმელით, მაგრამ შემდეგ ღვთის განგებამ სხვა საზრდო გაუჩინა: მასთან მოდიოდნენ, როგორც მამა დავითთან ირმები და თავისი რძით კვებავდნენ მას.

ერთხელ ამ სოფლის მამასახლისი, რომელსაც ნორიო ერქვა, თავისი მხლებლებით ნადირობდა. ანტონის ირმებმა ამ დღეს ძლიერ დაიგვიანეს და პოლოს მოირბინეს. ძლიერ შეშინებულნი იყვნენ და ერთიც დაჭრილი იყო. მამა ანტონი გაკვირდა, არ იცოდა თუ მახლობლად სოფელი იყო. ადგა, დაიკიდა გულზე თავისი ხატი და უკან გაჰყვა ირმებს, უნდოდა შეეტყო, რამ შეაშინა ისინი. წმ. ანტონი ერთბაშად შეხვდა მამასახლისს. უკანასკნელი ძლიერ გაკვირდა, როცა დაინახა მოხუცებული ბერი, რომელსაც გულზე ხატი ეკიდა და ისე იდგა გარეულ ირმებთა შორის, როგორც შინაურ პირუტყვებთან. დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ, რადგანაც მამა ანტონმა არ იცოდა ქართული ენა, შამასახლისი ვერას მიუხვდა. მას ანტონი საშინელ კაცი ეგონა და ამიტომ ანიშნა, მარჯვენა ხელს მოგკრიო, რომლითაც მამა ანტონი ანიშნებდა იმ მთას, სადაც ის ცხოვრობდა.

და მართლაც, მამასახლისმა უბრძანა მხლებლებს წაეყვანათ ანტონი სამეფოლოში და იქ მოეკრათ მისთვის ხელი. მეფემ გაახურა რკინა და უნდოდა შანთით მოეცილებია ხელი, მაგრამ ერთბაშად რკინაც გაუვარდა ხელიდან და თან ხელიც გაუშეშდა. მეფეული შეშინდა და ენა ჩაუვარდა, აღარ იცოდა რა ექნა, მაგრამ წმ. ანტონმა გადასახა ჯვარი, და განკურნა. ამ სასწაულმა ყველა გააკვირვა. ყველაფერი იმ წამსვე მამასახლისს აცნობეს. მან მოიხმო წმ. ანტონი და უთხრა: „მითხარი, რაც გსურს და აგისრულებო". მამა ანტონმა ანიშნა მიეცათ მისთვის ქვის მარილის ნატეხი. მათ მაშინვე მოუტანეს. ანტონი დაბრუნდა თავის გამოქვაბულში. მალე მისი ირმებიც დაბრუნდნენ, რომელთაც მისცა მარილი.

წმ. ანტონის სახელი მოეფინა მახლობელ სოფლებს და მასთან იწყო სიარული აუარებელმა ხალხმა. აქ კიდევ უფრო ბევრი რამ ნახეს საკვირველი. ბევრი გაიტაცა მისმა ნახვამ და ცხოვრებამ, ზოგიერთებმა მოინდომეს მისი მიბაძვა და იწყეს მის მახლობლად ცხოვრება მისი კურთხევითა და ნება დართვით. როცა მათმა რიცხვმა ძლიერ იმატა, მამა ანტონმა საჭიროდ დაინახა მონასტრის აშენება მათთვის. მონასტერი ააშენეს ტყიანი მთის მოედანზე, სადაც ეხლა მამა ანტონის მი-

ნასტერია. თვითონ ანტონმა ააშენა თავისთვის მთის მწვერვალზე ექვსი საჟენი სვეტი ანუ კოშკი, იქ დაეყუდა და მოღვაწეობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში. მხოლოდ ხანდახან ჩამოდიოდა მონასტერში ძმათა დასარიგებლად და ღვთის მსახურების აღსასრულებლად.

ბოლოს, როცა იგრძნო მოახლოვება სიკვდილისა, მოუწოდა თავის მოწაფეებს, დარიგება მისცა მათ და აკურთხა. გარდაცვალების დროს მამა ანტონი დაჩოქილი იყო მაცხოვრის ხატის წინაშე და ლოცულობდა.

გარდაცვალების შემდეგ მამა ანტონის პატიოსანი გვამი ჩამოასვენეს სვეტიდან მონასტერში და დიდის მოწიწებით დაკრძალეს ღვთისმშობლის ხატის წინაშე ტაძარში*.

წმიდა მონაზონ აბიბოს ნეკრესელი

იმ დროს, როცა იოანე ზედაზნელი და თორმეტი მისი მოწაფენი მოვიდნენ საქართველოში, ჩვენი ხალხი დიდ შევიწროებაში იყო სპარსელებისაგან, რომლებიც მაშინ ცეცხლთაყვანისმცემლები იყვნენ. ისინი ყოველგვარ სახსარს ხმაროობდნენ, რომ თავიანთი სარწმუნოება გაევრცელებინათ ჩვენში და ქრისტეს სჯული მოესპოთ.

ნეკრესის მღვდელმთავარს წმ. აბიბოს გული უკვდებოდა, როცა ხედავდა უსჯულოთა მტარვალობას და ქრისტიანების დევნას. იგი გაბედვით უქადაგებდა ქრისტიანებს, ამხნევებდა და არ ემორჩილებოდა სპარსელების ბრძანებას. სპარსელებს ბრაზი მოსდიოდათ და უნდოდათ მისი დაღუპვა, მაგრამ შემთხვევას უცდიდნენ, რომ საკმაო მიზეზი ეპოვნათ. ასეთი მიზეზი შალე იპოვეს.

ერთხელ, როცა დაინახა, რომ მოგვები ძალას ატანდნენ ხალხს თაყვანი ეცათ ანთებული ცეცხლისათვის, გაჯავრდა წმ. აბიბოს, ველარ მოითმინა, აიღო წყალი, დაასხა და ,,ააქრო ცეცხლი. მაშინ ეცნენ მას განრისხებული მოგვები, შეიპყრეს და ისე სცემეს, რომ ძლივს ცოცხალი გადაურჩათ. შემდეგ საპყრობილეში ჩასვეს, მაგრამ იქაც საშინლად სტანჯავდნენ.

როცა ეს ამბავი აცნობეს მაშინდელ სპარსეთის მთავარმართებელს ანუ შარზაპანს, რომელიც იმ დროს სოფელ რეხში იმყოფებოდა, განრისხდა და ბრძანა, შეკრული წარედგინათ მის წინაშე მღვდელმთავარი აბიბოს. როცა მიჰყავდათ, გზაზე სოფელ იალდოში წინ შემოეყარა მას

* წმ. ანტონ მარტყოფელის ხსენებას დღესასწაულობს ჩვენი ეკლესია ცხრამეტ იანვარს.

ანტიოქიიდან მოსული სიმონ მესვეტის კაცი და მიართვა წერილი, ევდოგია და კვერთხი. აბიბოსს ძლიერ ეამა და გამხნევდა. როცა მცხეთას მიუახლოვდნენ, აბიბოსმა სთხოვა მტარვალებს, წასულიყო და წმ. მამა შიო ენახა. მათ ნება დართეს. შიოს ძლიერ ეამა მისი ნახვა, მოიკითხეს ერთმანეთი და უფალს მადლობა შესწირეს. აბიბოსმა სთხოვა შიოს ელოცა მისთვის. ცოტა ხანს ერთად დარჩნენ, მერე აბიბოსი გამოეთხოვა მამა შიოს და უკანვე დაბრუნდა.

როცა წმ. აბიბოსი წარსდგა მარზაპანის წინაშე, მან მრისხანედ ჰკითხა: „რისთვის უარჰყავ ღმერთი ჩვენი და მოჰკალ იგი (დაქვრე)?“ მღვდელმთავარმა გაბედვით უპასუხა: „მე არავინ ვიცი ღმერთი, გარდა ერთი ღმერთისა, რომელმან შექმნა ქვეყანა. აწ გევედრები შენც, უარჰყო თაყვანისცემა ცეცხლისა და იწამო ჭეშმარიტი ღმერთი, რადგანაც წერილ არს: „უფალსა ღმერთსა შენსა თაყვანი ეც და მას მხოლოსა მსახურებდე“.

მარზაპანი უმეტეს განრისხდა და უთხრა: „მე გკითხავ, რისთვის მოჰკალ ღმერთი ჩვენი, ხოლო შენ პასუხის ნაცვლად მირჩევ ვიწამო ღმერთი შენი?!“ აბიბოსმა მიუგო: „მე ღმერთი კი არ მოვკალი, ცეცხლი დავაქრე, ცოტა წყალი დავასხი, რომელმაც სძლია იგი, მაშასადამე წყალი მასზედ ძლიერი ყოფილა. მიკვირს, რად არა გრცხვენიან და მას ღმერთად ჰხადითო“. რადგანაც იმ დროს იქ შეკრებილი იყვნენ მრავალნი ეპისკოპოსნი, მღვდელნი და ერისთავნი, ძლიერ შერცხვა მარზაპანს და მრისხანედ ბრძანა წამება მისი.

მაშინ მივარდნენ ჯალათნი წმ. მამას და დაუწყეს ჯოხებით ცემა, შემდეგ მრავალი სხვადასხვაგვარი ტანჯვა მიაყენეს და ბოლოს ქვით გაუტეხეს თავი. ასე ასრულდა ნეტარი მოწამე აბიბოს. მოკვლის შემდეგ წაათრიეს წმ. გვამი მისი, გაიტანეს ქალაქგარეთ და მცველები დაუყენეს, რადგანაც ეშინოდათ — ქრისტიანებს არ წაეღოთ. მათ უნდოდათ მხეცებსა და ფრინველებს შეეჭამათ მისი სხეული. დიდხანს უდარაჯეს, მაგრამ არც მხეცი და არც ფრინველი არ შეეხო წმ. მოწამის გვამს. როცა მოსწყინდათ დარაჯობა, თავი დაანებეს და წავიდნენ.

მხოლოდ შემდეგ ამისა მოვიდნენ ღამით რეხისის მღვდლები და ბერები, წამოიღეს წმ. აბიბოს გვამი და დიდის პატივით დაკრძალეს სამთავროს ტაძარში.*

---

* ხსენება წმ. მოწამის აბიბოსის არის თორმეტ ნოემბერს.

იოსებ ალავერდელი იყო მოწაფე იოანე ზედაზნელისა. მას წილად ხვდა მოღვაწეობა კახეთში. პირველად იგი, როგორც სხვები, დადიოდა და სხვადასხვა ადგილას ქადაგებდა, ბოლოს კი აირჩია ალავერდის უდაბნო ადგილი და იქ იწყო მოღვაწეობა. ეს ადგილი მაშინ ძლიერ ველური იყო. ამიტომ მან პირველად აქ მრავალი შიში, ნაკლულევანება და გაჭირვება გამოიარა. კაცმა არ იცის, რითი საზრდოობდა აქ იგი. ფიქრობენ, ისიც ირმების რძით ირჩენდა თავსო.

მამა იოსები პირველად სრულიად მარტო ცხოვრობდა ალავერდის უდაბნოში. მაგრამ ერთხელ, თურმე იქ ნადირობდა ერთი ვინმე დიდებული, რომელსაც ბევრი ყმა ახლდა თან. ნადირობის დროს იგი მოულოდნელად წააწყდა თავს მამა იოსებს და ძლიერ გაუკვირდა, რადგან არავის ეგონა, თუ იმ მიუვალ ადგილში ვინმე ცხოვრობდა. მამა იოსების ანგელოზებრივმა სახემ მოხიბლა მონადირე, მიუახლოვდა და თავმდაბლად ჰკითხა ვინაობა და მიზეზი იქ ყოფნისა. მამა იოსებმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო მას, აკურთხა და შემდეგ იწყო ქადაგება. ვიდხანს უქადაგებდა ქრისტეს სარწმუნოებას და ჩაუნერგა კიდეც გულში სიყვარული ღვთისა. ერთი სიტყვით მამა იოსების მადლიანმა სწავლამ ისე იმოქმედა მასზე, რომ მან აღუთქვა განდეგილს ტაძრის აშენება ალავერდის უდაბნოში. იოსებს ძლიერ გაეხარდა, რომ მისმა ქადაგებამ ასეთი ნაყოფი მოიტანა. დიდებულმა მონადირემ მართლა აღასრულა თავისი სიტყვა და ამგვარად დაიდო საფუძველი ალავერდის მონასტრისა.

შემდეგ ამისა მამა იოსები უფრო უშიშრად იღვწოდა ალავერდის უდაბნოში. როცა ხალხმა გაიგო მისი აქ ყოფნა, იწყო სიარული, რათა ეხილა საკვირველი მამა და მოესმინა მისი სწავლა. იოსებიც სარგებლობდა ამით. დაუცხრომლად უქადაგებდა მლოცველებს და აძლევდა ზნეობრივ დარიგებას. ასეთი შრომით მან სრულიად აღმოფხვრა იმ მხარეში ურწმუნოება და განამტკიცა ღვთისმსახურება. მისი სამაგალითო წმიდა ცხოვრება, განუსაზღვრელი სიყვარული და სასწაულები დიდ ხალხს იზიდავდა უდაბნოში. ბევრი მათგანი სამუდამოდ იქ რჩებოდა და მოღვაწეობდა. დროთა განმავლობაში რიცხვი მეუდაბნოეთა სულ თანდათან მატულობდა და ბოლოს დიდი კრებული შედგა. წმ. მამა იოსები იყო ამ კრებულის პირველი წინამძღვარი და მოძღვარიც.

მაგრამ მოაღწია მისმა აღსასრულმაც. დიდი ხნის შრომამ და მოღვაწეობამ ძლიერ გასტეხა და დააუძლურა იგი. იგრძნო რა მოახლოება

სიკვდილისა, მოემზადა, შეკრიბა თავისი მოწაფეები, დაუნიშნა მოძღვარი, დაარიგა ისინი და გამოეთხოვა. გარდაცვალების შემდეგ მოწაფეებმა და მახლობელი სოფლების მცხოვრებლებმა დიდი პატივით დაკრძალეს მისი პატიოსანი გვამი თვით ტაძარში. მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგაც მრავალი მლოცველი დადიოდა ალავერდის უდაბნოში მისი საფლავის თაყვანის საცემლად.

ᲒᲐᲛᲘᲓᲐ ᲠᲐᲯᲓᲔᲜᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐ

შეხუთე საუკუნეში საქართველოში მეფობდა სახელოვანი მეფე ვახტანგ გორგასალი. ამ მეფემ შეირთო სპარსეთის შაჰის ომიდას ასული ბალენდუხტი. ამ დედოფალს ჰყავდა ერთი ნათესავი და აღმზრდელი, რომელსაც ერქვა რაჟდენი. როცა მეფემ მეუღლე საქართველოში მოიყვანა, რაჟდენიც თან მოჰყვა.

მეფე ვახტანგმა პატივით მიიღო რაჟდენი, როგორც მეუღლის ნათესავი და საცხოვრებლად დიდი მამული უბოძა. რაჟდენი ძლიერ გონიერი, სათნო და თავმდაბალი კაცი იყო. პირველად იგი, რასაკვირველია, ცეცხლის თაყვანისმცემელი იყო, ვითარცა ყველა მაშინდელი სპარსელი. მაგრამ მის შემდეგ, რაც საქართველოში მოვიდა, თვალყურს ადევნებდა ქრისტიანების ცხოვრებას, მათ მოქმედებასა და მოთმენას და ძლიერ მოსწონდა კიდეც. ამიტომ მან ზედმიწევნით შეისწავლა ქრისტეს სარწმუნოება და მოინათლა. სასახლეში ყველას ეამა მისი მოქცევა და კიდევ უფრო შეიყვარეს. ქრისტიანობის მიღების შემდეგ კიდევ უფრო სათნო, კეთილი და ღვთისმოყვარე გახდა იგი. უწინდელი თავისი სარწმუნოება. რასაკვირველია, აღარ მოსწონდა და აძაგებდა კიდეც. თვით ვახტანგ გორგასალი, თუმცა სპარსეთის შაჰის სიძე იყო, მაგრამ მაინც თავის სამეფოში ძლიერ ავიწროებდა და დევნიდა ყველა ცეცხლის თაყვანისმცემ სპარსელსა და მათს მოგვებს. ეს ძლიერ ეწყინა სპარსეთის ახალ შაჰს პეროზს და დიდძალი ჯარით შემოესია საქართველოს. ვახტანგ გორგასალმა წინასწარ გაამაგრა ციხექალაქები და თვითონ მცხეთაში დადგა თავისი ჯარით.

მტრები დაბანაკდნენ მცხეთის მახლობლად და ამგვარად გაიმართა ხანგრძლივი ომი. ხუთი თვის განმავლობაში ხშირად გამოდიოდნენ ქართველი ვაჟკაცები ჯარით მცხეთიდან, მოულოდნელად დაესხმოდნენ ხოლმე მტერს თავს და ასე იბრძოდნენ. მაგრამ ხან ისინი იმარჯვებდნენ, ხან სპარსელები. ამ ომის დროს ძლიერ ისახელა თავი შამაცობით რაჟდენმა და ბევრჯერ დაამარცხა სპარსელები. რაჟდენის

ამბავი და ვინაობა რომ გაიგო პეროზმა, საშინლად ეწყინა და მოინდომა მისი ხელში ჩაგდება, რომ ჯავრი ამოეყარა, რადგანაც მან მამა-პაპის სჯულს უღალატა და თანაც ასეთ დღეს აყენებდა სპარსელ ჯარს.

ერთ დღეს რაჟდენმა გამოიყვანა თავისი პატარა ჯარი მცხეთიდან და უნდოდა მალულად დასცემოდა თავს სპარსელებს. მაგრამ სპარსელებმა წინადვე გაუგეს, შეუკრეს გზა, მოულოდნელად შემოერტყნენ ყოველი მხრიდან, სძლიეს, შეიპყრეს და შეკრული მიგვარეს თავიანთ მეფეს. პეროზს ძლიერ გაეხარდა, მაგრამ განგებ მხიარული სახე მიიღო, სალამი მისცა და ჰკითხა:

„რად შეცვალე მამა-პაპის სჯული და იწამე ურიათაგან წამებული ქრისტე?“

რაჟდენმა გაბედვით უპასუხა: „მართალი გახლავს, უარვყავი სჯული მამა-პაპათა, ალარა ვცემ თაყვანს მზესა და ცეცხლსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, რომელმა შექმნა ცა და ქვეყანა და ქრისტე მაცხოვარს, რომელიც განხორციელდა ჩვენთვის და უკვდავება მოგვანიჭა“.

უსჯულო პეროზი ძლიერ განრისხდა, მაგრამ თავი შეიკავა, ფიქრობდა, დაყვავებითა და პატივით მოიგებდა რაჟდენის გულს და ამიტომ უთხრა:

„რაჟდენ! თავი დაანებე ასეთ საუბარს, დამორჩილდი ჩვენს ბრძანებას და მეც მოწყალე ვიქნები შენი, შეგიყვარებ და დიდად დაგაჯილდოვებ. თუ არა და სასტიკად დაგტანჯავ და მოგკლავ“.

რაჟდენმა ღიმილით უპასუხა: „პატივი და ჯილდო შენი საწუთრონი არიან და ვითარცა სიზმარი გაქრებიან, რადგანაც ქვეყნიერი არიან, ხოლო სული ჩვენი უკვდავია და უკეთუ მოკვდე ქრისტესათვის, მეც უკვდავი ვიქნები და მასთან ვიდიდები. ეს არის განზრახვა ჩემი, ხოლო შენ რაც გნებავს, ის მიყავი“.

გაჯავრებულმა ყეინმა ბრძანა, სულ ცხვირ-პირში ეცემათ რაჟდენისათვის და მართლაც იმდენი სცემეს, რომ კბილები სულ ერთიანად ჩაამტვრიეს და სისხლით შეღებეს. მაგრამ წმ. რაჟდენმა მოთმინებით აიტანა ეს გვემა და თანაც ღმერთს მადლობას სწირავდა, რადგანაც ეღირსა მისთვის ტანჯვას. შემდეგ გაატიტვლეს წმ. მოწამე და ისე ათრევდნენ ქვიან ადგილზე და თანაც უწყალოდ სცემდნენ. როცა გული იჯერეს, შეუკრეს ხელ-ფეხი და ბნელ საპყრობილეში ჩასვეს.

წმ. რაჟდენი იქ კიდევ უფრო გულმოდგინედ ევედრებოდა უფალს, მიენიჭებია მისთვის ძალა მოთმინებისა ბოლომდის, რათა არ ეღალატ-

ნა ქრისტესთვის. სპარსელები საპყრობილეშიაც ბევრს ცდილობდნენ შეერყიათ როგორმე სარწმუნოება მისი, მაგრამ ვერას გახდნენ.

როცა დაინახეს ასე უსამართლოდ წვალება წმ. რაჟდენისა, მივიდნენ ყეენთან წარჩინებული ქართველები, აუხსნეს მას ყოველი სიკეთე მისი. თავდებობა იკისრეს და სთხოვეს ყაენთაგისუფლებია მოკლე ვადით, რათა წასულიყო იგი და ენახა თავისი საყვარელი ცოლ-შვილი. ნათესავები, მოკეთენი, ხოლო მერე, უკეთუ არ აღასრულებდა მის ბრძანებას, უკანვე უნდა დაბრუნებულიყო. მთავარმა აუსრულა მათ თხოვნა. გამოიყვანეს საპყრობილედან ტანჯული რაჟდენი და გაათავისუფლეს დროებით.

რაჟდენი პირველად მეფე ვახტანგთან მივიდა სანახავად. მეფე და დედოფალი სიხარულით მიეგებნენ მას, აკოცეს, ყოველივე გამოკითხეს და დიდად აქებს ესოდენ წამების ატანისათვის. მერე რაჟდენი წავიდა თავის ცოლ-შვილთან. მათაც ძლიერ ყაეხარდათ მისი ნახვა. აქ მან დაჰყო რამდენიმე დღე. როცა მისმა ცოლმა გაიგო, რომ რაჟდენი ისევ უკან უნდა დაბრუნებულიყო, შეუჩნდა და ეხვეწებოდა — ნუ წახვალ, ნუ დაგვაობლებო, აღასრულე მტარვალის ბრძანებაო. მაგრამ რაჟდენმა გულისწყრომით დატუქსა მეუღლე, უარყო ხვეწნა მისი, გამოეთხოვა ყველას და დაბრუნდა ყეენთან. პეროზს ეამა მისი დაბრუნება, ფიქრობდა, ეხლა მაინც აღასრულებს ჩემს ბრძანებასო და დაყვავებით ჰკითხა:

„როგორ ხარ, მამაცო რაჟდენ? რა გადასწყვიტე ამდენ ხანს? ნუთუ ვერ მიხვდი, რომ უმჯობესია შენთვის, დაუბრუნდე მამა-პაპის სჯულს და იკმარო სულგრძელობა ჩემი? ხომ ხედავ, რომ მეწყალები და არა მსურს სიკვდილი შენი!“

„ჰოი, მეფეო! განზრახვა ჩემი უცვლელია“, — მიუგო უფრო მხნედ რაჟდენმა, — „შეუძლებელია უარვყო ღმერთი ცხოველი და კვლავ მზე და ცეცხლი ვიწამო ღმერთად“.

ყეენი მაინც არ გაუჯავრდა და აღუთქვა ყოველგვარი პატივი და ჯილდო, მაგრამ ვერაფრით ვერ დაითანხმა. პირიქით, მამაცმა რაჟდენმა დაარწმუნა, რომ იგი მზად იყო, აეტანა ყოველივე სატანჯველი ქრისტესათვის.

მაშინ ყეენმა უბრძანა, კვლავ ეცემათ მისთვის და ეწამებინათ, სანამ არ აღასრულებდა მის ბრძანებას. ამის შემდეგ გაიყვანეს წმ. რაჟდენი და იწყეს მისი წამება. რა ტანჯვა არ სცადეს, მაგრამ არ იქნა, ვერაფრით ვერ ააღებინეს ხელი ქრისტეს სარწმუნოებაზე. ბოლოს, რო-

ცა ყოველი სახსარი გამოელიათ და იმედი დაკარგეს, გადაწყვიტეს ჯვარზე გაკვრა მისი, რაკი მას სწამდა ჯვარცმული ქრისტე.

ალმართეს ჯვარი, გააკრეს ზედ წმ. რაჟდენი, დააყენეს მოისრენი და უბრძანეს სროლა. მეისრეებმა დაუშინეს ისრები და სულ ერთიანად დაუგმირეს სხეული. რაჟდენმა ხმამაღლა წარმოსთქვა: „უფალო! ხელთა შენთა შევვედრებ სულსა ჩემსა“-ო და კიდეც განუტევა სული.

საღამოთი იქაურმა ქრისტიანებმა გამოიყვანეს მღვდელი, ჩამოხსნეს წმ. მოწამის გვამი, წაიღეს და ერთ დაფარულ ადგილას დაკრძალეს.

ამის შემდეგ ბევრი ხანი აღარ გასულა, რომ ყეენმა გამოგზავნა ვახტანგთან მოციქული და ზავი ითხოვა. ვახტანგ მეფე დასთანხმდა და ამგვარად ჩამოვარდა მშვიდობიანობა სპარსთა და ქართველთა შორის. სპარსეთის შაჰი თავის ქვეყანაში დაბრუნდა.

რამდენიმე წლის შემდეგ მეფე ვახტანგმა მოუწოდა სამღვდელოებას. წაბრძანდა სოფელ წრომს, სადაც წმ. რაჟდენის გვამი იყო დაკრძალული, ამოიღეს საფლავიდან, თაყვანი სცეს, წაასვენეს გალობით და ნიქოზის ტაძარში დაკრძალეს, რომელიც თვით ვახტანგ გორგასალმა ააშენა*.

ნაიდა მოწამე შუშანიკი

შუშანიკი იყო ასული სპასპეტის ვარდან მამიკონიანისა და მეუღლე ვარსქენ პიტიახშისა, რომელიც სანისა და ჰერეთის მთავარი იყო. პირველად ცოლ-ქმარი ბედნიერად ცხოვრობდა. ამ ბედნიერმა ცხოვრებამ კარგა ხანს გასტანა და მათ მიეცათ სამი ვაჟი და ერთი ქალი.

მაგრამ მათდა საუბედუროდ, ერთხელ ვარსქენი სპარსეთის ყეენმა ბერეზმა დაიბარა. ვარსქენიც ადგა და წავიდა სპარსეთში. ყეენმა იგი დიდი პატივით მიიღო და რამდენიმე ხნის შემდეგ შეგობრულად ურჩია განდგომოდა ქრისტეს და მათი სჯული მიეღო. სპარსელები მაშინ ცეცხლის თაყვანისმცემლები იყვნენ. ვარსქენს სურდა ესიამოვნებინა ყეენისათვის და ამიტომ აღასრულა მისი თხოვნა — უარყო ქრისტიანობა და მიიღო სპარსელების სჯული. მადლობის ნიშნად შაჰმა თავისი ალალი შერთო ცოლად. ვარსქენიც დაპირდა ყეენს, რომ როცა თავის სამთავროში დაბრუნდებოდა, მოაქცევდა სპარსელების სჯულზე შუშანიკსა და შვილებსაც. ამის შემდეგ გამოეთხოვა ყეენს და დიდად დაჯილდოებული წამოვიდა საქართველოში.

---

* ხსენება წმ. მოწამის რაჟდენისა არის სამ აგვისტოს.

როცა ჰერეთის საზღვარს მოუახლოვდა, კაცი გაგზავნა წინდაწინ და აცნობა მეუღლესა და თავად-აზნაურთა თავისი მოახლოება. უნდოდა წინ მიგებებოდნენ ისინი და პატივით მიეღოთ. მაგრამ, როცა გაგზავნილი კაცი მივიდა შუშანიკთან და აცნობა ქვრის მოახლეობა, დედოფალმა, თითქოს გულმა უგრძნო, ჰკითხა მას: „უკეთუ სულით ცოცხალ არს მეუღლე ჩემი, კეთილ იყოს მოკითხვა, ხოლო უკეთუ წარწყმენდილ არს, მოკითხვა შენი შენვე მიიქეცინ". მან ვერ გაბედა პასუხის მიცემა, მაგრამ რაკი შუშანიკი აფიცებდა მას და ისე ჰკითხავდა, ვეღარ დაუფარა და ყოველივე მართალი მოახსენა.

ვაიგო რა შუშანიკმა მეუღლის გაურჯულოება, ელდანაცემივით დავარდა დედამიწაზე, იწყო ხელის ცემა თავში და მოთქმა. მერე ადგა და სანამ ვარსქენი მოვიდოდა. მიატოვა სასახლე, წაიყვანა თან შვილები, წავიდა ეკლესიაში, მოიყარა მუხლი საკურთხევლის წინ და ასე ილოცა: „უფალო ღმერთო! შენ დაიცვენ ესენი განათლებულნი წმიდისა ემბაზისაგან მადლითა სულისათა, ყოველად ერთ სამწყსო ერთის მწყემსისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი". მწუხრის გათავების შემდეგ დაეყუდა იქვე ერთ პატარა სენაკში და მწარე ცრემლითა სტიროდა.

როცა ვარსქენი მოვიდა და ეს ამბავი გაიგო, გაგზავნა მეუღლესთან ეპისკოპოსი, თავისი ძმა ჯოჯიკი და მისი მეუღლე და დაავალა მათ, მოეყვანათ ნებით შუშანიკი, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით მოთრევას უქადდა.

შუშანიკი დიდხანს უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს, ბევრის მუდარებითა და რჩევით, დაითანხმეს: ადგა, აიღო ხელში სახარება და წავიდა შვილებით. ორი დღე მარტო იმყოფებოდა ცალკე ოთახში და არავის იკარებდა. მესამე დღეს ვარსქენმა ბრძანა, რომ სადილზე არავინ დასწრებოდა გარდა ჯოჯიკისა, მისი მეუღლისა და შუშანიკისა.

დასხდნენ სადილად. შუშანიკიც მართალია იჯდა სუფრასთან, მაგრამ ხელი არაფრისათვის არ უხლია. მისი რძალი, ჯოჯიკის მეუღლე, ძალას ატანდა, ღვინო მაინც დაელია ცოტა. რაკი აღარ მოეშვა, საბრალო შუშანიკი მოთმინებიდან გამოვიდა და ღვინით სავსე ჭიქა პირში მიალეწა რძალს. მაშინ გაბრაზებულმა ვარსქენმა ჯერ უშვერის სიტყვებით გალანძღა ცოლი, მერე მისდგა და ფეხით და მჯიღით იმდენი სცემა, რომ სულ ერთიანად დაალურჯა. მაგრამ ეგეც არ აკმარა: მოგლიჯა თავსახური და დიდხანს ათრევდა თმითა და სცემდა. ბოლოს ბრძანა, ბორკილი შეესხათ და საპყრობილეში ჩაესვათ. მცველებს უბრძანა, რომ არავინ შეეშვათ მასთან, არც ქალი და არც კაცი.

გავიდა რამდენიმე ხანი და ვარსქენი ბერძნებთან საომრად წავიდა. როცა დიდი მარხვა დადგა, წმ. შუშანიკი ეპისკოპოსის ნებართვით ერთ სენაკში დაბინავდა ეკლესიასთან და იქ მარხულობდა და ლოცულობდა. მაგრამ როცა ვარსქენი დაბრუნდა და ეს ამბავი მოახსენეს, ძლიერ განრისხდა, მივიდა თვითონ ეპისკოპოსთან, ბევრი ცუდი სიტყვა აკადრა და უბრძანა დაებრუნებინა მისთვის მეუღლე. შემდეგ ბრძანა, თრევითა და ცემით წაეყვანათ ნეტარი შუშანიკი სასაბლეში. აქ კიდევ ბევრი სცემეს მას, მერე შეუყარეს ბორკილი და საპყრობილეში ჩასვეს. როცა საპყრობილეში უპირებდნენ წაყვანას, აუარებელი ხალხი შეიკრიბა. ქალი და კაცი ტირილით მისდევდნენ და ეთხოვებოდნენ საყვარელსა და ღვთისმოყვარე დედოფალს. მაგრამ ვარსქენის ბრძანებით მხედრებმა გარეკეს შეკრებილი ხალხი. ციხეში მტარვალმა თავისი ხელით დაბეჭდა ჯაჭვი, რომელიც წმ. მოწამეს ქედზე დაადეს და თანაც მცველებს უბრძანა, რომ არავინ შეეშვათ მასთან.

ექვსი წლის განმავლობაში ციხეში იტანჯებოდა წმ. შუშანიკი, მაგრამ ძაინც დაუცხრომლად მარხულობდა და გულმოდგინედ ეევედრებოდა უფალს. ამ დროის განმავლობაში უსჯულო ვარსქენმა თავისი შვილები სპარსთა სჯულზე მოაქცია. ეს რომ საბრალო დედამ შეიტყო, კიდევ უფრო გამწვავდა მისი ტანჯვა-ვაება. ასეთ მდგომარეობაში და ტანჯვაში დედოფალი ძლიერ დასნეულდა, ფეხები სულ ერთიანად დაუსივდა, ისე რომ იარებში მატლები დაესია.

როცა წმ. მოწამე შუშანიკი ამგვარად იტანჯებოდა საპყრობილეში, მივიდა მასთან მისი მაზლი ჯოჯიკი თავისი ცოლ-შვილით და შენდობა ითხოვა მისგან. სულგრძელმა დედოფალმა ყოველივე შეუნდო. მასთან ხშირად მოდიოდნენ საპყრობილეში აგრეთვე კათალიკოსი სამოელ პირველი და ეპისკოპოსი იოანე და ნუგეშს სცემდნენ მას.

ექვსი წლის შემდეგ წმ. შუშანიკმა იგრძნო აღსასრულის მოახლოება. დაიბარა თავისი მოძღვარი, ეზიარა, შეავედრა სული თავის უფალს და ისე მიიცვალა. მაშინ მოვიდნენ ეპისკოპოსნი იოანე და აფოცი ყოველი კრებულითურთ, აუგეს წესი, გაასვენეს და დაკრძალეს თვით ეკლესიაში.

ეს ამბავი მოხდა 458 წელს, მაგრამ 578 წელს წმ. მოწამის შუშანიკის გვამი გადმოასვენა კირიონ კათალიკოსმა მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიაში, სადაც ეხლაც განისვენებს*.

* წმ. მოწამის შუშანიკის ხსენებას ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს 21-ს (?) ოქტომბერს. შუშანიკს წმიდათ ჰრაცხს აგრეთვე სომეხთა ეკლესია, რომელიც იმ დროს განდგომილი არ იყო მართლმადიდებლობისაგან და რადგანაც, როგორც ისინი ფიქრობენ, ვარსქენი და შუშანიკი შთამომაელობითაც ვითომც სომხები იყვნენ.

წმიდა მოწამე ევსტათი მცხეთელი

მეექვსე საუკუნეში საქართველოში მოვიდა სპარსეთიდან ერთი მოგვის შვილი, რომელსაც ერქვა ბრობანდაკ (გვირობანდაკ — ხ. ბ.). მცხეთაში იგი თავისი ხელობით ცხოვრობდა მყუდროდ და თვალყურს ადევნებდა ქრისტიანების ცხოვრებას. ხშირად საყდრებშიაც დაიარებოდა და ღვთისმსახურებას ისმენდა. როცა კარგად გაიცნო ქრისტიანების სარწმუნოება, ისე მოეწონა, რომ მონათვლის სურვილი გამოაცხადა. მონათვლის დროს სახელი შეუცვალეს და ევსტათი დაარქვეს. შემდეგ ამისა ევსტათიმ ქრისტიანის ქალზე დაიწერა ჯვარი და თავისთვის ცხოვრობდა მშვიდობიანად. იგი ძლიერ ერიდებოდა უწინდელ თავის ნაცნობ სპარსელებს და შესწყვიტა მათთან ყოველგვარი კავშირი.

ეს ძლიერ სწყინდათ სპარსელებს და ამიტომ წავიდნენ და დაებეზღეს მცხეთის ციხის თავთან, რომ მან უღალატა სპარსელების სჯულს და იწამა ქრისტეო. ციხის უფროსმა უსტამმა იმ წამსვე დაიბარა ევსტათი, გაუჯავრდა და ყველაფერი გამოკითხა. მან ყოველივე დაწვრილებით უამბო. ციხის თავი განრისხდა და უბრძანა: უკეთუ ნებით არ დაგიტოვებია ქრისტეს სჯული, დიდი ტანჯვა მოგელისო. მაგრამ ევსტათიმ მხნედ უპასუხა, რომ ქრისტესათვის მე ნებადა ვარ არა თუ ტანჯვა, სიკვდილიც კი ვიკისროო.

მაშინ უსტამმა, რადგანაც მას სიკვდილით დასჯის უფლება არ ჰქონდა, ქართლის მთავარმართებელს (მარზაპანს), არვანდ გუშნაპის გაუგზავნა თბილისში ევსტათი და ყოველივე მისწერა. მასთან ერთად შვიდიც სხვა გაგზავნა. როცა ისინი არვანდს მიჰგვარეს, მან გამოჰკითხა მათ: ვინა ხართ, ანუ რომელს სჯულს ალიარებთო. მათაც გამოუცხადეს თავიანთი ვინაობა და მოახსენეს, რომ პირველად ცეცხლის თაყვანისმცემლები ვიყავითო, მაგრამ შემდეგ, როცა ქრისტეს სჯული გავიცანით, მისი უპირატესობა დავინახეთ და იესო ქრისტე ვიწამეთო. ყველას მაგიერ მთავარს ევსტათი ელაპარაკებოდა. არვანდი ძლიერ გაჯავრდა და ბრძანა: ჯერ სცემეთ, მერე შებორკეთ და საპყრობილეში ჩასვითო. ამას ისიც დასძინა: უკეთუ ვინმე მათგანმა უარჰყოს ქრისტე, მე მოსწყვარეთ და დავაჯილდოებო. ორი მათგანი შეშინდა და უღალატეს ქრისტეს. ისინი იმწამსვე გაათავისუფლეს. სხვებს კი მოპარსეს თმა და წვერი, რაც მაშინ სპარსელებს სათაკილოდ მიაჩნდათ და ჩასვეს საპყრობილეში, სადაც მათ ექვსი თვე დაპყეს დიდ ტანჯვასა და ნაკლულევანებაში.

ექვსი თვის შემდეგ არვანდი ყეენმა სპარსეთში გაიწვია. როცა იგი

წასასვლელად ემზადებოდა. მივიდნენ მასთან ქართლის დიდებულები, კათალიკოსი სამოელი და მამასახლისი და სთხოვეს გაეთავისუფლებია მცხეთელი ქრისტიანები. მან პატივი სცა მათ და აღუსრულა თხოვნა. მაშინ გამოიყვანეს წმ. ევსტათი და მისი ამხანაგები და გაათავისუფლეს.

სამი წლის შემდეგ ახალი მთავარმართებელი ვეჟან ბუზიმილი (ბუზმარი. — ზ. ბ.) მოვიდა სპარსეთიდან. მისი მოსვლა რომ გაიგეს მცხეთელმა სპარსელებმა, მივიდნენ და ხელახლად უჩივლეს წმ. ევსტათის. მან მიიღო საჩივარი და დაიბარა ბრალდებული. ევსტათიმ იცოდა, რომ კვთილს არას უზამდნენ, რადგანაც მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ქრისტეს არ უღალატებდა და ამიტომ გამოეთხოვა თავის ცოლ-შვილს, ნათესავებსა და ნაცნობებს და ისე წავიდა. წასვლისას მან აღაპყრო ხელები ძელიცხოველის წინ და ასე ევედრებოდა უფალს: „უფალო, უფალო! უკეთუ ღირსი მყო მე სიკვდილსა სახელისა შენისათვის, ნუ შეაშმევ ხორცთა ჩემთა ძაღლთა და ფრინველთა, არამედ ბრძანე აქვე მოქცევად და დამარხვა მცხეთასა, სადაც ნათელი მიმიღიეს“.

როცა მიიყვანეს მთავარმართებელთან, ყველაფერი დაწვრილებით უამბო წმ. ევსტათიმ მას — ვინ იყო და ანუ როგორ გაქრისტიანდა. მთავარი ჯერ ლმობიერად მოეპყრა და ურჩია, დაენებებია თავი ქრისტეს სჯულისათვის, რათა არ დაეყარა ობლად თავისი ცოლ-შვილი, მაგრამ, რადგანაც ვერც რჩევითა და ვერც მუქარით ვერ ააღებინა ხელი ქრისტიანობაზე, ძლიერ განრისხდა და უბრძანა ჯალათებს, წაეყვანათ იგი საპყრობილეში, ღამით წარეკვეთათ თავი დაფარულად და სხეული მისი ქალაქგარეთ გადაეგდოთ მხეცთა და ფრინველთათვის, რათა ქრისტიანებს არ წაეღოთ და პატივი არ ეცათ.

ჯალათებმა აღასრულეს მმართებლის ბრძანება. სიკვდილის წინ წმ. ევსტათიმ სთხოვა ჯალათებს, ნება მიეცათ მისთვის, ელოცა ცოტა ხანს. მათ ნება დართეს. მაშინ მან მოიყარა მუხლი, აღაპყრო ხელები და ასე ლოცულობდა: „შენ იცი, უფალო ჩემო იესო ქრისტე, რამეთუ არა ვარჩიე შენსა არცა მამა, არცა დედა, არცა ძმანი, არცა ნათესავნი, გარნა შენ მხოლოდ, უფალო, შეგიყვარე და სახელისა შენისათვის თავი წარმეკვეთების დღეს. შემრაცხე მე სასუფეველსა შენსა, რომელი განუმზადე წმიდათა მათ მოწამეთა და კვლავ გევედრები, რათა გვამი ჩემი დაიმარხოს მცხეთასა, სადაც ნათელი ვიღე“. გაათავა ლოცვა თუ არა, ააყენეს ჯალათებმა, დასცეს მახვილი და წარკვეთეს თავი. ასე აღსრულდა წმ. მოწამე ევსტათი მცხეთელი 29 ივლისს, 589 წელს.

გვამი მისი ღამით გაიტანეს ქალაქგარეთ და იქ გადააგდეს. მაგრამ

იმავე ღამეს ფარულად მოვიდნენ ქრისტიანები, აიღეს პატიოსანი გვამი წმ. მოწამისა და წაასვენეს მცხეთას. აქ მიეცვა მას სამოელ კათალიკოსი თავისი კრებულით, აუარებელი ხალხი და დიდი პატივით დაკრძალეს თვით სვეტიცხოვლის ტაძარში, ტრაპეზის ქვეშ*.

წმიდა მოწამენი დავით და კონსტანტინე არგვეთელები

მეშვიდე საუკუნეში, ქრისტეს შობის შემდეგ, არაბეთში გამოჩნდა ერთი შესანიშნავი კაცი, რომელსაც მაჰმადი ერქვა. ეს კაცი იშვიათი ნიჭის ადამიანი იყო. როცა გაიზარდა, მან გამოაცხადა, რომ ღვთისაგან მოვლენილი წინასწარმეტყველი ვარო და უფრო მაღლა ვდგავარ, ვიდრე მოსე წინასწარმეტყველი და იესო ქრისტეო. არაბები, რომლებიც მაშინ კერპთაყვანისმცემლები იყვნენ, ერწმუნენ მას, მიიღეს მისი ახალი სჯული და ცეცხლითა და მახვილით შეუდგნენ მის გავრცელებას. და მართლაც, როგორც თვით მაჰმადის დროს, ისე კიდევ უფრო მის შემდეგ ეს ახალი სარწმუნოება მრავალ ქვეყანაში გავრცელდა. ამასთანავე თვით არაბებიც გაძლიერდნენ და მრავალი ქვეყანა დაიპყრეს, განსაკუთრებით აზიაში. ბოლოს ჯერი საქართველოზე მიდგა.

686 წელს ჩვენს ქვეყანას შემოესივნენ ისინი მურვანის წინამძღოლობით. საქართველო იმ დროს ისედაც დასუსტებული იყო და ამიტომ ძლიერ მტერს ვეღარ გაუმაგრდა. ჩვენი ქვეყანა მაშინ გაყოფილი იყო ორ სამეფოდ და ორთავეში ღვიძლი ძმები მეფობდნენ: ქართლში არჩილი, იმერეთში — მირი.

არაბებმა ჯერ ქართლი დაიპყრეს და ძლეული ქართლის მეფე თავის ძმასთან წავიდა. ქართლი რომ აიკლო, მურვანი ზემო იმერეთს შეესია. შეშინებული მეფენი სამეგრელოში გამაგრდნენ. სწორედ ამ დროს მთელ იმერეთში განთქმული იყო სახელი ორი ძმის, არგვეთელი ერისთავებისა. ერთს ერქვა დავითი, მეორეს — კონსტანტინე. დავითი და კონსტანტინე მამაცურად დახვდნენ თავიანთ პატარა, მაგრამ მამაცის ჯარით მურვანს, როცა იგი იმერეთში გადავიდა. მოხდა პირველი ომი და დავითმა და კონსტანტინემ მოწინავე ჯარი ძლიერ დაამარცხეს. მაგრამ, როცა ეს მურვანმა შეიტყო, საშინლად გაჯავრდა და მთელი თავისი ლაშქარით თავს დაეცა დავითსა და კონსტანტინეს პატარა ჯარს.

ძმები, რასაკვირველია, თავგამეტებით იბრძოდნენ, მაგრამ მაინც იძლიეს, ორივენი შეიპყრეს და მურვან-ყრუს მიჰგვარეს. მურვანს

---

* ხსენება წმ. მოწამე ევსტათისა არის 29 ივლისს.

ყრუდ მისთვის უწოდებდნენ, რომ იგი შეუბრალებელი კაცი იყო და არავის თხოვნას და ხვეწნას ყურს არ უგდებდა. მურვან-ყრუს ძლიერ ეაჭა მათი შეპყრობა. როცა მიჰგვარეს მას ისინი, ძლიერ მოეწონა მათი ტანადობა, მშვენიერება, მხნეობა და ვაჟკაცური შეხედულება. ორივენი ჯერ კიდევ ახალგაზრდები იყვნენ და ქერა სახე ჰქონდათ. მურვანს არ ემეტებოდა ისინი დასახოცად და სურდა თავის მხარეზე და სარწმუნოებაზე გადაებირებინა. ამიტომ უთხრა დავითს: „ჩემი ჯარების უფროსებისაგან შევიტყე, რომ შენ ყოფილხარ გულოვანი მხედარი და ჯარების საუკეთესო წინამძღოლი. მენანება შენი მოკვლა. მოდით, ორივე ძმებმა მიიღეთ მაჰმადის სჯული და მაშინ არას გავნებ და კიდეც დაგაჯილდოებ“.

ძმებმა მამაცურად უპასუხეს: „ჩვენ ისე აღზრდილნი არ გაბლავართ, რომ ქრისტეს სჯულს ვუღალატოთ და ჩვენი სჯული სხვა სჯულზე გავცვალოთ. მზადა ვართ ყოველივე სიმწარე ტანჯვისა ავიტანოთ და არ მივცეთ ხალხს მაგალითი სარწმუნოების ღალატისაო“.

მურვან-ყრუ განრისხდა და გასცა ბრძანება მწარედ დაეტანჯათ ისინი საპყრობილეში. მართლაც, ერთ კვირას არც წყალი ასმევდნენ და არც პურს აჭმევდნენ. მერე გამოიყვანეს და მიჰგვარეს ისევ მურვანს. მან ჰკითხა: „მიიღებთ მაჰმადის სჯულს თუ ისევ უარს ბედავთ?“

დავითმა და კონსტანტინემ ცადაჭრილი უარი მოახსენეს. მურვანი კიდევ უფრო გაჯავრდა და ბრძანა ჯერ დაეტანჯათ კიდევ ისინი და შემდეგ დაეხოცათ. მაშინ მტარვალებმა გახადეს ტანისამოსი ორივე ძმებს, თავდალმა დაჰკიდეს ფეხებით და იმოდენა სცემეს, რომ ტანი სრულიად დაულურჯეს. შემდეგ ჩამოხსნეს, მოაბეს ყელზე დიდრონი ქვები და მდინარე რიონში გადააგდეს იმ ადგილას, სადაც ეხლა ქუთაისის წითელი ხიდია გაკეთებული.

როგორც მოგვითხრობენ, იმავე ღამეს მათს წმ. გვამებს თავს დაადგა ნათელი ორი დიდი სვეტის სახით. როცა ეს ნათელი დაინახეს ქრისტიანებმა, მივიდნენ ღამით, იპოვეს დავითისა და კონსტანტინეს გვამები, ამოიღეს წყლიდან, წაასვენეს და დაასაფლავეს იქ, სადაც ეხლა აშენებულია მოწამეთის მონასტერი*. გავიდა ხანი და მეთერთმეტე საუკუნეში საქართველოს სახელოვანმა მეფემ ბაგრატ IV-ემ ააშენა მათ საფლავზე მონასტერი, ამოაღებინა მათი წმიდა გვამები, გაუკეთა ორთავეს ერთი კუბო, ჩაასვენა შიგ მათი უხრწნელი გვამები და

* ქუთაისიდან ხუთ ვერსზე, მდინარე წყალწითელას ნაპირზე, ტყეში.

�ასვენა ზეზე. იმათი გვამები დღესაც მოწამეთას მონასტერში განისვენებენ ერთ მშვენიერ კუბოში. იმათი დღესასწაული, რომელსაც ევროპეთში „მოწამეთობას“ უწოდებენ, ორ ოქტომბერს არის და ამ დღეს უთვალავი ხალხი იკრიბება იქ ყოველი მხრიდან.

წამიდა მოწამე არჩილ მეფე

დავით და კონსტანტინეს წამების შემდეგ გავიდა ორმოცდაათი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში არჩილ მეფის მეცადინეობით საქართველოს ხალხმა ცოტა შეისვენა და ფეხზე დადგა მტერან-ყრუს შემოსევის შემდეგ. მაგრამ, სამწუხაროდ, ორმოცდაათი წლის შემდეგ კვლავ შემოესივნენ ჩვენ ტანჯულ ქვეყანას არაბები ჰიჰიმ-ასიმის წინამძღოლობით.

მეფედ მაშინ იყო არჩილი, ძე სტეფანოზისა. ქვეყანა კვლავ შეირყა. მეფე და დიდებულნი შეშინდნენ — ეჭვი არ იყო, რომ არაბები კვლავ აიკლებდნენ ქვეყანას და ხალხსაც ამოსწყვეტდნენ. ამიტომ არჩილ მეფემ გადაწყვიტა შეეწირა თავისი თავი ხალხის დახსნისთვის. ადგა და წავიდა ურდოში არაბების მთავარ ასიმთან ერთგულების გამოსაცხადებლად.

ასიმს ძლიერ ეამა არჩილის მისვლა. მეტისმეტად მოეწონა იგი მოსულობითა და სილამაზით. დიდის პატივით მიიღო და თავაზიანად მოიკითხა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყო ლიქნობა და ურჩია მაჰმადის სჯული მიეღო. მეფემ, რასაკვირველია, გადაჭრილი უარი უთხრა. ასიმი ბევრი ეცადა, რა არ აღუთქვა არჩილს, მაგრამ ვერას გზით ვერ დაითანხმა. მაშინ განრისხდა და ბრძანა, შეეკრათ მეფე და საპყრობილეში ჩაესვათ. ასიმს ჯერ კიდევ არ უნდოდა მისი მოკვლა, რადგანაც იმედი ჰქონდა, რომ როგორმე მიიღებინებდა მაჰმადის სჯულს.

ღვთისმოყვარე მეფე არჩილი რომ საპყრობილეში იმყოფებოდა და გულმოდგინედ ევედრებოდა უფალს, რათა მიენიჭებია მისთვის ძალა მოთმინებისა და წამების ატანისა, ამ დროს წარსდგა ეშირის ასიმის წინაშე ერთი გარდაბნელი სომეხი, რომელსაც თავისი სჯული დაეტოვებია და მაჰმადი ეწამა და მოახსენა მას:

„ნუთუ არ იცით, მეფეო, ვინ არის ეს არჩილი? იგი არის ძე სტეფანოზისა, ნათესავი დიდისა მეფის ვახტანგისა. მაგან კარგად იცის, სად არის საქართველოს სასახლის განძი, რომელიც მაგისმა მამამ დამალა. ისიც კარგად იცის, თუ სად არის დამალული საბერძნეთის მე-

ფის ერეკლეს განძი. ამიტომ მაგას კარგად შეუძლიან გაცნობოს ყოველივე, უკეთუ გამოჰკითხავთ და ძალას დაატანთ".

ამ სიტყვებს თურმე ჯავრი სჭირებია არჩილ მეფის პაპის ადარნასესი, რომელსაც ოდესმე გაეთავისუფლებია სასჯელისაგან მისი ბიძის მკვლელები. ეხლა მოინდომა მან შურისძიება და უნდოდა ჯავრი შვილიშვილზე, არჩილზე ამოეყარა.

ასიმმაც დაუჯერა უნამუსო სიტყვებს, მოაყვანინა საპყრობილედან არჩილ მეფე და უთხრა: „მოვწონხარ ფრიად მშვენიერებით. გავიგე, რომ ყოფილხარ შთამომავალი დიდთა მეფეთა, ხოსროიანთა. არა მცბავს დაღუპვა შენი. აღასრულე ნება ჩემი, დაუტევე ურიათაგან ჯვარცმული ქრისტე და იწამე დიდი მაჰმადი. მაშინ მე უმეტეს აღვამაღლებ შენ, სამეფოს დაგიბრუნებ და მამაშეხისაგან დამალულ განძსაც შენ გიბოძებ, ხოლო მიჩვენე საგანძური მეფეთა საბერძნეთისათა".

არჩილ მეფე გაკვირდა და მოახსენა: „ვამაჩემს ჰქონდა საგანძური იმ ციხეში, რომელიც მურვან-ყრუმ დაიპყრო და რომელიც ეხლა ბერძნების ხელშია. ხოლო საბერძნეთის მეფის ერეკლეს დროს მე მცირეწლოვანი ვიყავი და ამიტომ მისი საგანძურისა არა ვიცი-რა. რაც შეეხება სჯულის გამოცვლას, დარწმუნდით, არა რაისთვის არ ვუღალატებ ქრისტეს ჩემსა და არ გავცვლი წარუვალ დიდებას მსწრაფლ წარმავალზე".

უსჯულო ასიმი საშინლად განრისხდა და უბრძანა, მოეკვეთათ მისთვის თავი. მაშინ გაიყვანეს მეფე არჩილი და მოჰკვეთეს თავი. ასე აღსრულდა წმ. არჩილი. ეს ამბავი მოხდა 20 მარტს. რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველებმა იპოვეს პატიოსანი გვამი წმ. მეფისა, წამოიღეს და დიდის ამბით დაკრძალეს კახეთში, ნოტკორის ეკლესიაში*.

წმიდა მოწამე აბო ტფილელი

742 წელს ბაბილონის მფლობელმა, არაბების ემირმა აბდილა-მუმლიმ გაიწვია ბაღდადის ქალაქში ქართლის ერისთავი ნერსე და იქ საპყრობილეში ჩასვა, სადაც მან სამი წელიწადი დაჰყო, მაგრამ სამი წლის შემდეგ აბდილა მოკვდა და ემირად მისი ძე, მაჰდი დაჯდა. ახალმა ემირმა გაათავისუფლა ნერსე და დაუბრუნა მას ერისთავობა.

როცა ნერსე ერისთავი სამშობლოში დაბრუნდა, მას თან მოჰყვა ერთი თვრამეტი წლის კეთილშობილი სწავლული არაბი, რომელსაც აბრამი, ანუ, შემოკლებით, აბო ერქვა. პირველად ივი ერისთავის ოჯახ-

* წმ. მოწამის არჩილ მეფის წამებას ჩვენი ეკლესია მოიხსენებს 20 მარტს.

ში ცხოვრობდა და მისი ერთგული ყმა იყო. მაგრამ, რადგანაც ის ცნობისმოყვარე ადამიანი იყო, მოსვლისთანავე შეუდგა ქართული ენის შესწავლას. ამას გარდა, იგი ისეთი კეთილი და სათნო კაცი იყო, რომ ყველას შეაყვარა თავი. როცა ქართული ენა კარგად შეისწავლა, შეუდგა ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო წერილის შესწავლას. მას უნდოდა ქრისტეს სარწმუნოება საფუძვლიანად გამოეკვლია და შეედარებია მაჰმადის სჯულთან. ამ გამოკვლევამ დაარწმუნა იგი ქრისტეს სჯულის უპირატესობაში და ამიტომ გადაწყვიტა გულში თავისი სჯულის უარყოფა და მონათვლა, მაგრამ არაბების ეშინოდა, რომლებიც მაშინ საქართველოში ბატონობდნენ და ამიტომ ვერ იცხადებდა თავის სურვილს.

გავიდა რამდენიმე ხანი და არაბთა ემირმა კვლავ დაუწყო დევნა ნერსე ერისთავს. იგი იძულებული იყო მიეტოვებინა ქართლი და დარიალის ხეობით ხაზარეთში წასულიყო. თავისი ცოლ-შვილი და ყოველივე სიმდიდრე აფხაზეთში გაგზავნა. ხაზარეთის მფლობელმა დიდი პატივით მიიღო ქართლის ერისთავი, მისცა მას ბინა და საზრდოც დაუნიშნა. ნერსეს თან ახლდა სამასამდის დარჩეული ვაჟკაცი, რომელთა შორის აბოც იმყოფებოდა. რადგანაც აბოს აქ არაბების შიში აღარა ჰქონდა, ამიტომ შეისრულა დიდი ხნის წადილი და მოინათლა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ნერსემ სთხოვა ხაზარეთის მთავარს, გაესტუმრებინა იგი აფხაზეთში. მან დიდი სიამოვნებით აღუსრულა თხოვნა. აფხაზეთის მთავარმა შესაფერი პატივით მიიღო ძვირფასი სტუმარი და მისი ამალა. როცა მთავარმა და აფხაზეთის ეპისკოპოსმა გაიგეს აბოს მონათვლა, ძლიერ ეამათ. აბო სულითა და გულით ნამდვილი ქრისტიანი იყო და ძლიერ უყვარდა მარხულობა და ლოცვა.

ნერსეს განდევნის შემდეგ ემირმა მის ნაცვლად ქართლის ერისთავად დანიშნა სტეფანოზი, ძე გურგენ ერისთავისა და დისწული თვით ნერსესი. ნერსეს ძლიერ ეამა ეს ამბავი. ეხლა მას შეეძლო უშიშრად ეცხოვრა ქართლში და ამიტომ აფხაზეთიდან დაბრუნდა თავისი ცოლ-შვილითა და ამალით.

აფხაზეთის მთავარმა ურჩია აბოს იქ დარჩენილიყო და უშიშრად ეცხოვრა, რადგანაც ქართლში ბევრი არაბი იყო, მაგრამ მან უარი შეახსენა და თბილისში წამოსვლა ამჯობინა. თბილისში აბო დაუფარავად აღიარებდა ქრისტეს სარწმუნოებას. თბილისელი არაბები, რომლებიც მას კარგად იცნობდნენ, დასცინოდნენ, აყვედრიდნენ და ზოგნი კიდევ ემუქრებოდნენ. მართლაც, ბევრი ხანი აღარ გასულა, რომ წავიდნენ მისი მტრები თბილისელ მსაჯულთან და მოახსენეს, რომ აქ

ერთი ეკლესიანებული არაბი არისო, რომელიც თვითონაც აშკარად აღიარებს ქრისტეს სჯულს და სხვებსაც უქადაგებსო. მსაჯულს ეწყინა და გადაწყვიტა აბოს შეპყრობა.

ეს რომ აბოს ნაცნობებმა გაიგეს, მაშინვე აცნობეს მას და ურჩიეს დამალულიყო, მაგრამ იგი სრულიად არ შეშინდა და უწინდებურად იქცეოდა. ბევრი ხანი არ გასულა, მოვიდნენ მსაჯულის კაცები, შეიპყრეს იგი და წარუდგინეს მას. მსაჯულმა ჯერ ვინაობა გამოკითხა და შემდეგ ჰრისხანედ უთხრა:

—„როგორ გაბედე რომ დაგინებებია თავი შენი სჯულისათვის და ქრისტე გიწამებია? უკეთუ ტანჯვა და სიკვდილი არ გინდა, ეხლავე დაანებე თავი ქრისტიანობას და შენს უწინდელს სჯულს დაუბრუნდი“.

აბომ გაბედვით უპასუხა:

— „მართალია, მე ბუნებით არაბი ვარ და სჯულითაც მუსლიმანი ვიყავი სანამ არ გავიგე უპირატესობა ქრისტეს სჯულისა. ეხლა-კი თაყვანსა ვცემ ქრისტე მაცხოვარს, რამეთუ ესე არს ღმერთი ჭეშმარიტი“.

ეჯავრებულმა მსაჯულმა უბრძანა გაეყარათ მისთვის ხელ-ფეხში ბორკილი და საპყრობილეში ჩაეგდოთ. აბოს კი უხაროდა და ღმერთს მადლობას უხდიდა, რომ ღირსი გახდა შეპყრობისა მისი სახელისათვის. საპყრობილეში აბო მარხულობდა და დაუცხრომლად ლოცულობდა ღღე და ღამე. ამას გარდა ყველაფერი, რაც კი რამ ჰქონდა, გააყიდვინა და დაურიგა ქრისტიანებს, რომლებიც მასთან ერთად იტანჯებოდნენ საპყრობილეში.

ამ დროს მოლები შედიოდნენ მასთან და დაყვავებით ურჩევდნენ, ხელი აეღო ქრისტიანობაზე, არ გაეწირა თავისი თავი, აშორებოდა ტანჯვასა და სიკვდილს, დაბრუნებოდა ისევ მამა-პაპის სჯულს და მიეღო ბედნიერება, მაგრამ აბო სრულიად ყურს არ უგდებდა მათ ქადაგებას და არც პასუხს აძლევდა, თითქოს ყრუ და მუნჯი ყოფილიყოს. ეხრა დღე გაატარა ნეტარმა აბომ საპყრობილეში ასეთ ყოფაში. უკანასკნელ დღეს, რადგანაც იცოდა, რომ დიდხანს აღარ აცოცხლებდნენ, გაბადა ტანისამოსი, გააყიდვინა და სანთელი და სამკეველი აყიდვინა. მერე გაგზავნა სანთლები თბილისის ეკლესიებში და სთხოვა მღვდლებს ელოცათ მისთვის. თვითონაც აიღო ორივე ხელებით ანთებული სანთლები და მთელი ღამე ისე ლოცულობდა. მეორე დღე ნათლისღების დღე იყო.

როცა გათენდა, მოითხოვა წმიდა საიდუმლო და ეზიარა. ამან მეტად გაამხნევა იგი და მზად იყო აეტანა მაცხოვრის გულისათ-

ვის ყოველგვარი სატანჯველი. შემდეგ ამისა გამოეთხოვა ყველა იქ მყოფ ქრისტიანს და თხოვა: „ვიმიხსენეთ ლოცვასა შინა, რამეთუ არღარა მიხილოთ მე საწუთროსა ამას სოფელსა“.

ამ დროს მართლაც შემოვიდნენ ჯალათები, დამოიყვანეს და წარუდგინეს მსაჯულს. გზაზე წმ. აბო იმეორებდა: „ვიმიხსენე შენ, უფალო, სასუფეველსა შენსა“.

მსაჯულმა ბევრი ურჩია აეღო ხელი ქრისტეს სჯულზე, მაგრამ აბომ გადაჭრილი უარი გამოუცხადა. ბოლოს მსაჯულმა ჰკითხა:

— „რაი ეგოდენი სიტკბოება გაქვს ქრისტესაგან, რომლისთვისაც საკვდილადცა არ გეწყალვის თავი შენი“.

წმიდა აბომ უპასუხა:

— „უკეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებისა მისისა, შენც გრწმენის ქრისტე და ნათელ იღე მიმართ და მაშინ-ღა ღირს იქმნე ცნობად სიტკბოებათა მისთა“.

მსაჯული ამ სიტყვებმა ისე გააბრაზა, რომ უბრძანა გაეყვანათ იგი და დაუყოვნებლივ თავი მოეკვეთათ. იმ წამსვე მივარდნენ ჯალათები და გამოიყვანეს. წმ. აბოს ძლივს მოასწრო პირჯვარის გადმოსახვა და ამ სიტყვების წარმოთქმა: „გმადლობ და გაკურთხებ შენ, სამებაო წმიდაო, რამეთუ ღირსმყოფ მე მიმთხვევად ღვაწლსა ამას წმიდათა მოწამეთა შენთასა“. გაათავა თუ არა ეს სიტყვები, კიდეც დასცხეს მას მახვილი და მოჰკვეთეს თავი. ასე აღსრულდა წმ. მოწამე აბო. ეს ამბავი მოხდა 790 წელს.

შემდეგ ამისა მსაჯულს შეასმინეს, რომ თუ არ დავწვით აბოს გვამი, ქრისტიანები წაიღებენ და თაყვანსა სცემენო. მსაჯულმა ნება დართო. შემდეგ ამისა აიღეს პატიოსანი გვამი წმ. აბოსი, დაუდეს ურემზე, გაიტანეს ქალაქგარეთ, დააყარეს შეშა და თივა, დაასხეს ნავთი, მოუკიდეს ცეცხლი და დასწვეს. დაშთენილი ძვლებიც შეკრიბეს, ჩაყარეს ცხვრის ტყავში, მოუკრეს მაგრად თავი და გადაიგდეს მტკვარში ავლაბრის ხიდთან. იქ, სადაც წმ. აბოს გვამი დასწვეს, დიდხანს დადიოდნენ ქართველები სალოცავად. ამბობენ, იმ ადგილს დიდხანს ღამით ნათელი ადგაო*.

წმიდა მოწამე კონსტანტინე მთავარი

მეცხრე საუკუნეში ქვემო ქართლი თბილისითურთ არაბების ხელში იყო. თვით თბილისში მთავარმართებელი ბუღა იყო, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ბაღდადის ემირის ჯაფარისაგან დაეპყრო მთელი

* წმ. მოწამის აბოს ხსენებას ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს 8 იანვარს.

ქართლი და გაევრცელებინა საქართველოში მაჰმადის სჯული. ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა და ბევრი ღალატობდა ქრისტეს სჯულს.

ამ განსაცდელის დროს ზემო ქართლში გამოჩნდა ერთი შესანიშნავი მთავარი, რომელსაც კონსტანტინე ერქვა. მისი ვაჟკაცობის სახელი განთქმული იყო მთელს საქართველოში.

კონსტანტინე იყო ძე ქართლის ერისთავისა. მამაცობის გარდა იგი შეკული იყო ყოველი სიკეთით: იყო კაცი განათლებული, ღვთისმოყვარე, თავმდაბალი, მღვდელთა და მონაზონთა პატივისმცემელი, ეკლესიათა და მონასტერთა შემწე, გლახაკთა მოწყალე და სტუმართმოყვარე. რადგანაც დიდი სურვილი ჰქონდა ენახა ქრისტეს საფლავი და თაყვანი ეცა, ამიტომ გაემგზავრა იერუსალიმში და იქ კარგა ხანს დარჩა. აქედან წავიდა და მოვლო ყველა წმიდა ადგილი პალესტინაში. აუარებელი მოწყალება გასცა და შემდეგ ისევ სამშობლოში დაბრუნდა. მაინც კიდევ იგი ყოველ წელიწადს გზავნიდა კაცს პალესტინაში და თან ატანდა შესაწირავს ეკლესიებისა, მონასტრებისა და გლახაკთათვის.

აი, ამ ღვთისმოყვარემ და მამაცმა კონსტანტინემ იკისრა ხალხის შეთაურობა იმ გაჭირვების დროს, რომელიც ზემოთ იყო მოხსენებული: შეკრიბა ჯარი, თავგამეტებით ებრძოდა მტერს და მრავალჯერაც დაამარცხა. მაგრამ ბოლოს ბედმა უღალატა. ერთს ომში სძლიეს იგი მტრებმა, გაუწყვიტეს ჯარი, შეიპყრეს თვითონ და წარუდგინეს ბულას. მას, რასაკვირველია, ძლიერ ეამა მამაცი კონსტანტინეს დამარცხება და შეპყრობა. ნახვის დროს ბევრი ცუდი სიტყვები აკადრა მას. უსაყვედურა: როგორ გაბედე ჩემი წინააღმდეგობაო და უბრძანა ჩაესვათ საპყრობილეში.

საპყრობილეში მოხუცებული გმირი გულმხურვალედ ლოცულობდა და ევედრებოდა უფალს. მიენიჭებინა მისთვის მადლი და ძალა, რათა აეტანა ყოველივე სატანჯველი. თან იგი წერილებს წერდა ყოველთა მეუდაბნოეთა და წინამძღვართა და სთხოვდა მათ, ელოცათ მისთვის.

ცოტა ხნის შემდეგ ბულამ გაგზავნა იგი შეკრული ბაღდადის ემარათან, ჯაფართან, რომელსაც ძლიერ გაეხარდა მისი ნახვა. თავაზიანად მოეკითხა და მეგობრულად უჩჩია, აღესრულებია ბრძანება მისი — აეღო ხელი ქრისტეს სარწმუნოებაზე და მიეღო ისლამი. ამასთანავე აღუთქვა მას დიდი ღირსება და პატივი. „და უკეთუ არ ისმინო ჩემი,— ეუბნება ჯაფარმა, — მოკვდე შენ პირითა მახვილისათა და ხორცნი შენნი მივსცენ საჭმელად ფრინველთა ცისათა“.

მამაცმა კონსტანტინემ მამაცურად უპასუხა მას: — „ვიცი, რომ უფლება გაქვს შენ მხოლოდ ჩემს სხეულზე და არა სულზე. ამიტომაც სრულიად არ მეშინია შენი, არამედ უმეტეს შეშინის მისი, ვისაც უფლება აქვს სულსა და ხორცსა ზედა და ძალუძს როგორც მოკვდინება, ისე სიცოცხლის მონიჭება. ამიტომაც სიხარულით მოვითმენ ყოველს სატანჯველს მისთვის, ვინაიდგან მხოლოდ იგი არს ჭეშმარიტი ძლიერი უფალი".

ჯაფარი საშინლად განრისხდა და უბრძანა, ჩაეყვათ კონსტანტინე საპყრობილეში. მერე შეუჩინა ორი სომხეთის ერისთავი, რომლებიც ტყვედ მოეყვანათ და რომლებსაც მაჰმადის სჯული ეწამათ. ისინი მიეფიდნენ კონსტანტინესთან და უთხრეს: „ხომ ხედავ, ჩვენც ქრისტიანები ვიყავით, მაგრამ ვერ შევძელით წინააღმდეგობა, უარვყავით ქრისტე და ამისთვის მივიღეთ ესოდენი პატივი და ჯილდო. გირჩევთ, შენც დაემორჩილო ემირის ბრძანებას, იწამო მაჰმადი და მაშინ იგი შენც ჩვენსავით აღგამაღლებს.

კონსტანტინემ მოისმინა მათი რჩევა და უპასუხა: „წადით და მოახსენეთ თქვენს ბატონს, ტყუილად ნუ ფიქრობს რომ მე ჩემს სჯულს უღალატო. მიყოს, რაც ნებავს. თქვენც ტყუილად ცდილობთ მაცდუნოთ და გინდათ მეც თქვენ მოგბაძოთ. გამშორდით და კელავ ნუღარ მოხვალთ".

ესა თქვა, აღაპყრო ხელნი და ხმამაღლა წარმოსთქვა: „უფალო ღვერთო ჩემო! შეიწირე მსხვერპლი ესე ჩემი და შეიეედრე სული ჩემი. რათა წილ-მხვდეს რჩეულთა შენთა თანა".

ერისთავები დაბრუნდნენ ჯაფართან და მოახსენეს, რაც ნახეს და რაც ესმათ მისგან. მაშინ ემირმა იმედი დაკარგა, გაგზავნა ჯალათები და უბრძანა მოეკვეთათ მისთვის თავი. როცა ისინი საპყრობილეში შევიდნენ, კონსტანტინე მუხლმოდრეკილი ხელაპყრობით ევედრებოდა უფალს. მტარვალებმა ლოცვის დასრულებაც არ დააცალეს, ააყენეს და გააგდებინეს თავი. მერე გვამი მისი მაღალ ძელზე დაჰკიდეს ხალხის დასანახად. ასე აღსრულდა წმ. მოწამე კონსტანტინე მთავარი. ეს ამბავი მოხდა 849 წელს, ათ ნოემბერს.

ვავიდა რამდენიმე წელიწადი და გვამი წმ. კონსტანტინესი ქართველებმა მოასვენეს საქართველოში და დიდის პატივით დაკრძალეს*.

---

* წმ. მოწამის კონსტანტინე მთავრის ხსენებას ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს 20 ეიორგობისთვეს.

მეცხრე საუკუნეში აღირბეჟანის (არაბეთის.— ზ. ბ.) ემირი ავშანი შემოესია ჯერ სომხეთს და შემდეგ, როცა სომხეთი აიკლო და დაიმორჩილა, გამოილაშქრა საქართველოზე, გაიარა ქართლი და შევიდა სამცხეში-ჯავახეთში ჯერ თმოგვის ციხეს მიადგა და, როცა იგი აიღო, მერე ყველის ციხის აღებაც მოინდომა, რომელიც მაშინ გურგენ ერისთავთა ერისთავს ეკუთვნოდა. ეს ციხე თუმცა ვამაგრებული იყო, მაგრამ შიგ ცოტა მცველები იყვნენ. მტრებმა დაებანაკეს კარვებში ციხის მახლობლად და მოინდომეს მისი დამორჩილება, მაგრამ ამ დროს მეციხოვნეთა შორის იმყოფებოდა დიდებული გობრონი, რომელიც თავგამეტებით იცავდა ყველისციხეს და დიდი მამაცობაც გამოიჩინა.

ოცდარვა დღე გაგრძელდა ბრძოლა და ყოველდღე ხან სპარსელები მიიტანდნენ იერიშს ციხეზე და ხანაც თვით მეციხოვნეები გამოუტეოდნენ მამაცი გობრონის მეთაურობით. მან მრავალჯერ გაიმარჯვა და ყველანი გააკვირვა თავისი იშვიათი მამაცობით, მაგრამ, რადგანაც ციხეში სულ ოცი კაცის მეტი არ იყო მცველად და დიდხანს გამაგრება შეუძლებელი იყო, ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ ძლიერ მტერს.

ავშანს ძლიერ ეამა ყველის ციხის აღება და კიდევ უფრო მამაცი გობრონის ხელში ჩაგდება, რადგანაც მისი ჯავრი სჭირდა. როცა გობრონი წარუდგინეს ავშანს, მან თითქოს მოწყალებით მიიღო იგი და უთხრა: „მეწყალვის მე სიკაბუკე შენი და ამიტომ, როგორც საყვარელ შვილს, ისე გირჩევ, დაუტევე სჯული შენი და აღიარე ჭეშმარიტი სარწმუნოება ჩვენი. მეც, უკეთუ ჩემს ბრძანებას აღასრულებ, გიბოძებ შენს მთავრობას, სასახლეს, მონებს, ძვირფასს იარაღს და იქმნები ვითარცა ერთი რჩეულთაგანი ჩემს წინაშე“.

მაგრამ მამაცმა გობრონმა შოახსენა:

—„გეეედრები, ხელმწიფეო, ნუ მაიძულებ, რათა დავუტევო ქრისტეს სჯული, რომელსა შინა აღმზარდეს მე მშობლებმა. ან-კი რა საჭიროა თქვენთვის ეს? შენს საბრძანებელში მრავალი ქრისტიანი ცხოვრობს. ნება მიბოძეთ, მეც ვიცხოვრო სჯულშეუცვლელად. ნაცვლად მეც ერთგული ყმა ვიქნები შენი. ამასთანავე დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც ვერავითარი ბედნიერება და ვერც ვერავითარი სატანჯველი ვერ მაიძულებს განვუდგე უფალსა ჩემსა იესო ქრისტესა“.

ავშანი გაჯავრდა და უბრძანა თავის მონებს, წაეყვანათ იგი და ჯერ ეჩვენებინათ დახოცილი ქართველები, რომლებიც შეუწყალებლად

იყვნენ დაჭრილნი, მერე ყოველი სიმდიდრე, რომელიც მას აღუთქვა ფიქრობდა, იქნება ან სიკვდილის შიშმა და ან ბედნიერების შეძენამ მოდრიკოს გული მისი. ბრძანება ემირისა აღასრულეს და როცა დაბრუნდნენ, ავშანმა კვლავ ჰკითხა: „რა აღირჩიე, გობრონ, ბედნიერება თუ ტანჯვა და სიკვდილი?“

მამაცმა გობრონმა უპასუხა: „მე თავიდანვე გადაჭრილი მოგახსენე, რომ ქრისტეს ღალატი არაფრის გულისათვის არ შემიძლია“.

ავშანმა უბრძანა თავის მონებს: „მაგას ჯერ როგორც ეტყობა არ უნახავს შიში სიკვდილისა. წაიყვანეთ და მის თვალწინ დახოცეთ ყველა შეპყრობილი ქრისტიანი და ცოტა მაგასაც ავნეთ“.

მონებმა კვლავ წაიყვანეს ნეტარი გობრონი, ჩაყენეს შეპყრობილ ქრისტიანებში, რომლებსაც დაუწყეს ჩეხვა ისე, რომ სისხლი ეჩქეფებოდა თვით გობრონს და დახოცილები მის წინ ლევდნენ ტანჯვანი სულს. როცა ამგვარად დახოცეს ყველა მასთან შეპყრობილი ქართველი, მაშინ მასაც შემოჰკრეს ორჯერ ქედზე მახვილი და დასჭრეს, სიკვდილით კი არ მოუკლავთ. წმიდა გობრონიმ მოიწმინდა ხელით სისხლი თვისი და გამოისახა შუბლზე სისხლის ჯვარი. შემდეგ მადლობა შესწირა უფალს, რომელმაც წამების ღირსი გახადა და თანაც ეკედრებოდა, მიენიჭებინა მისთვის ძალა, რათა ბოლომდის ეტვირთა ტანჯვა და ვერაფერს ვერ შეერყია სარწმუნოება მისი.

როცა იგი კვლავ მიჰგვარეს უსჯულო ემირს, ავშანმა უთხრა მას: „ხომ ნახე, რა ძნელია ტანჯვა და სიკვდილი! იცოდე, უკეთუ არ დაეშორჩილები ჩემს ბრძანებას, ვერას გზით ვერ დააღწევთ სიკვდილს. გიჯობს მიიღო ჩემი რჩევა. მე შენთვის სიკეთე მსურს. ნუ დაიღუპავ თავს. მე ვუბრძანებ ექიმს, განგკურნოს მაგ მცირე ჭრილობისაგან, ხოლო რაც პირველად აღგითქვი, ყოველივეს მტკიცედ აღგისრულებ“.

წმ. გობრონმა გადაჭრილი უარი უთხრა და ასე მოახსენა: „ჰქენ. რაც გნებავს. მე ქრისტიანი ვარ და არაფრისთვის უარს არა ვჰყოფ ჩემს მაცხოვარს იესო ქრისტეს“.

ავშანმა დაკარგა იმედი და მოთმინებაც, საშინლად განრისხდა და უბრძანა, მოეკვეთათ თავი. მისი ბრძანება იმ წამსვე აღასრულეს, მოჰკვეთეს თავი წმ. გობრონს და სხვა დახოცილებთან დააგდეს პატიოსანი გვამი მისი. ასე აღსრულდა წმიდა მოწამე გობრონი. ეს ამბავი მოხდა 920 წელს.

შემდეგ ავშანის ბრძანებით ამოთხარეს სამი დიდი საფლავი, შეკრიბეს ყველა დახოცილი ქრისტიანის გვამი, ჩაყარეს შიგ და დააყარეს

ნიჭა. მერე მცველები დააყენეს, რომ ქრისტიანი არავინ მიკარებოდა. იმ საფლავს. რომელშიაც წმ. გობრონის გვამი განისვენებდა, დიდხანს თურმე ღამით ნათელი ადგა*.

წმიდა მამა ილარიონ ქართველი

მამა ილარიონი იყო კახეთიდან, გვარად დონაური, ძე წარჩინებულთა და მდიდართა მშობელთა. რადგანაც იგი პირმშო შვილი იყო, ამიტომ მშობლებმა ღმერთს შესწირეს. როცა ექვსი წლისა გახდა, მამამ ერთ ბოხუცებულ მღვდელს მიაბარა აღსაზრდელად. ის მღვდელი ძლიერ ღვთისმოყვარე და ნასწავლი ადამიანი იყო და მშვენივრად აღზარდა თავისი იშვიათი მოწაფე.

პატარა ილარიონმა დიდი ნიჭი და ბეჯითობა გამოიჩინა: კარგად შეისწავლა ქართული ენა და საღმრთო წერილი. როცა მან სწავლა დაამთავრა. მამამისმა აღაშენა თვისი ხარჯით ერთი მონასტერი, შეკრიბა თექვსმეტამდის ბერი, თავისი პირმშო ვაჟიც ბერად აღკვეცა და წინამძღვრად შვილის აღმზრდელი მოძღვარი დააყენა. მონასტრის დაარსება და კურთხევა ილარიონის მამამ იდღესასწაულა და მრავალი ბოწყალება გასცა. მონასტერს თავისი საკუთარი ხარჯით ინახავდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ილარიონი გარეჯის უდაბნოში წავიდა, კლდეში ერთი პატარა ქვაბი აირჩია და იქ დადგა. აქ მან ათი წელიწადი გაატარა მარხულობაში, ლოცვაში და საღმრთო წერილის შესწავლაში. მალე გაითქვა სახელი მისი და მრავალნი მოდიოდნენ მის სანახავად და კურთხევის მისაღებად. ერთხელ მასთან მიბრძანდა, სხვათა შორის, მღვდელმთავარი ვინმე, სიყვარულით მოიკითხა და რა ნახა საკვირველი ცხოვრება მისი, სთხოვა მიეღო მისგან კურთხევა. ილარიონი დაემორჩილა მის ბრძანებას და ხელდასხმულ იქმნა პირველ დღეს დიაკვნად და მეორე დღეს მღვდელმონაზონად.

შემდეგ ამისა მამა ილარიონმა მოინდომა იერუსალიმში წასვლა, რათა თაყვანი ეცა ქრისტეს საფლავისათვის. თან იახლა ერთი თავისი მოწაფე და წავიდა ფეხით. მოგზაურობის დროს პალესტინაში მრავალი შიში და გაჭირვება გამოსცადა. პირველად მიაღწია მან თაბორის მთაზე, სადაც ქრისტემ ფერი იცვალა. აქედან იერუსალიმში მივიდა და თაყვანი სცა მაცხოვრის საფლავსა და სხვა წმიდა ადგილებს. მერე წავიდა წმ. საბას მონასტერში, სადაც დასტოვა თავისი მოწაფე, თვი-

* ხსენება წმ. მოწამის გობრონისა არის 17 ნოემბერს.

თონ კი მოვლო იორდანეს უდაბნო, იპოვნა ის გამოქვაბული, რომელშიაც ილია წინასწარმეტყველი იმალებოდა ერთხელ და იქ დაეყუდა. ამ გამოქვაბულში იღვაწა ჩვიდმეტი წელიწადი. მერე ღვთის ბრძანებით ისევ საქართველოში დაბრუნდა. მამა და ერთი ძმა მკვდარი დახვდა, ხოლო დედა და ერთი და კიდევ ცოცხლები იყვნენ, რომლებიც სიხარულით მიეგებნენ წმ. მამას. ოჯახში ცოტა ხანს დარჩა, დედა და დაც მონაზვნებად აღკვეცა, რადგანაც მათი სურვილიც იყო. მშობლების სიმდიდრე გლახაკებს დაურიგა და თვითონ ისევ გარეჯის უდაბნოში დაბრუნდა.

მაგრამ საცხოვრებლის გაყიდვამ და გლახაკებისათვის გაცემამ ძლიერ გააჯავრა მისი ბიძა, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ყველაფერი მას დარჩებოდა. ის იყო კაცი დიდებული და შეძლებული. შეკრიბა ყმები და უნდოდა გარეჯის უდაბნოს დასცემოდა, სადაც მამა ილარიონი ცხოვრობდა, აეკლო და დაეწვა იგი, მაგრამ იმავე ღამეს საშინელმა სენმა შეიპყრო მოულოდნელად. იგრძნო, რომ ეს ღვთისაგან მოკლენილი სასჯელი იყო, შეინანა, წავიდა მამა ილარიონთან, თაყვანი სცა და სთხოვა, განეკურნა იგი. წმ. მამამ მიუტევა, შეევედრა უფალს და მართლაც განკურნა. ამ სასწაულმა ისე ძლიერ იმოქმედა მასზედ, რომ დატოვა ყოველივე და ბერად შედგა. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაითქვა სახელი წმ. ილარიონისა.

ამ დროს ადგილობრივი ეპისკოპოსი გარდაიცვალა. ხალხმა მოინდომა მამა ილარიონის არჩევა მის ნაცვლად, მაგრამ რადგანაც იგი ჩვეულებრივ დიდებას ერიდებოდა, ამიტომ უარი განაცხადა, ადგა და კონსტანტინოპოლში წავიდა. იქიდანაც ულუმბოს (ოლიმპის) მთაზე ავიდა, აირჩია ერთი ჰატარა ეგუტერი და იქ დაიწყო მოღვაწეობა. აქაც მალე გაითქვა სახელი თავისი საკვირველი ცხოვრებითა და სასწაულებით. მრავალნი მიდიოდნენ მასთან და მოღვაწეობდნენ. ულუმბოს უდაბნოში მამა ილარიონმა ხუთი წელიწადი იღვაწა. მერე კონსტანტინოპოლში წავიდა, ქრისტეს ჯვარს თაყვანი სცა და შემდეგ ქალაქ რომში გაემგზავრა, რათა თაყვანი ეცა წმ. მოციქულთა — პეტრესა და პავლეს საფლავისათვის. რომში ორი წელი დარჩა და მერე უკან დაბრუნდა.

როცა თესალონიკის ქალაქს მიუახლოვდა, მოგზაურობის ღრმს ერთი დიდებული კაცის ეზოს ჭიშკართან დაისვენა. იმ დიდებულ კაცს დავრდომილი ძე ჰყავდა. სწორედ იმ დროს ის უძლური ყმაწვილი მოეყვანა გამდელს და იმ ადგილას ჰყავდა, სადაც წმ. ილარიონი დაჯდა დასასვენებლად. მამა ილარიონს შეებრალა ყმაწვილი, რომელ-

საც ცალი მხარე ერთიანად გაშეშებული ჰქონდა და უბრძანა გამდელს: „წადი, დედაშვილობას და დასალევი წყალი გამომიტანე“. გამდელმა უმაწვილი იქვე დასვა და თვითონ წყალის მოსატანად წავიდა. შაგრამ სანამ ის დაბრუნდებოდა, წმ. ილარიონი შეეეფერა უფალს, გადასახა ჯვარი ავადმყოფს და სრულიად განკურნა. მერე უბრძანა განკურნებულ უმაწვილს — წადი, დედა გეძახისო. უმაწვილი მხიარულად გაიქცა. ბერი ადგა სიჩქარით და თავის გზაზე წავიდა. გამდელს განკურნებული ბავშვი გზაზე შეხვდა და ძლიერ გაუკვირდა. როცა გაიგო მიზეზი, გავშურა წყლის მისართმევად, შაგრამ ბერი იქ ვეღარ ნახა. საჩქაროდ ქალბატონთან დაბრუნდა, მორჩენილი უმაწვილი შეჰგვარა და ყოველივე მოახსენა. ქალბატონმაც თავის მეუღლეს აცნობა საჩქაროდ ეს ამბავი. რომელმაც აფრინა ყოველის მხრით კაცები ბერის საპოვნელად. და მართლაც იპოვეს მამა ილარიონი და მიიყვანეს იმ დიდებულ კაცთან, რომელიც თურმე იმ ქალაქის მთავარი იყო. მთელი ოჯახი წინ მიეგება შამა ილარიონს, დიდი პატივით მიიღეს, თაყვანი სცეს და კურთხევა ითხოვეს. შემდეგ მთავარმა სთხოვა მას, ეშენა ქალაქის ეკლესიები და მონასტრები და სადაც მოეწონებოდა იქ დამდგარიყო. ბევრი ხვეწნის შემდეგ მამა ილარიონი დაეთანხმა, დაიარა ქალაქი, აირჩია ერთი პატარა ეკლესია იქაურ მონასტერში და იქ დაბინავდა. მან აქაც დიდად გაითქვა სახელი თავისი წმიდა ცხოვრებით, მოღვაწეობითა და სასწაულებით, მაგრამ სამი წლის შემდეგ იგრძნო მოახლოება სიკვდილისა, მოემზადა, იხმო დიდებული მთავარი, აკურთხა და ანდერძი დაუტოვა, რათა მოწყალე ყოფილიყო იმ მონასტრისა, სადაც იგი აღსრულდა.

მერე უბრძანა ერთ თავის მოწაფეს წირვა აღესრულებინა, მიიღო წმ. საიდუმლო და გამოეთხოვა ყველას. სამი დღის შემდეგ მშვიდობით განუტევა სული თვისი 19 ნოემბერს, 882 წელს.

როცა გაიგეს წმ. ილარიონის გარდაცვალება, მთელი ქალაქი შეიკრიბა, მობრძანდა იმ ქალაქის მღვდელმთავარი თავისი კრებულით, აუგო წესი და დიდი პატივით დაკრძალეს პატიოსანი გვამი მისი იმ ეგუტერში, რომელშიც იგი ცხოვრობდა*.

* მამა ილარიონის ხსენებას ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს 12 გიორგობისთვეს.

მამა იოანე მთაწმიდელი იყო შთამომავლობით წარჩინებულის კვარისა. მის მამას ღიღი ადგილი ეჭირა დავით კურაპალატის დროს, რომელიც იყო მთავარი დასავლეთის საქართველოისა და რომელიც გარდაიცვალა 1001 წელს. თვით იოანე იყო ახოვანი, მხნე, სახელგანთქმული მეომარი, ბრძენი და ღვთისმოყვარე.

მაგრამ ქრისტეს სიყვარულით მან მიატოვა ყოველი დიდება ამა ქვეყნისა, ცოლ-შვილი, ნათესავები და ჩუმად წავიდა მონასტერში. გამოუცხადა წინამძღვარს თავისი სურვილი და ბერად აღიკვეცა. როცა შეიტყვეს მისი იქ ყოფნა, ადგა, საბერძნეთში წავიდა და ულუმბოს უდაბნოში მივიდა. აქ რამდენიმე ხანს ჯორების მრმველად და უბრალო მრსამსახურედ იყო, რადგანაც მონასტრებში არავინ იცოდა მისი ვინაობა.

მაგრამ იმ დროს საბერძნეთის მეფემ, ზენონმა დასავლეთ საქართველოს კურაპალატობა დავითს მისცა და ერთგულების ნიშნად უფლის წულები და დიდებულთა შვილები მძევლებად მოსთხოვა. მათ შორის თვით იოანეს ვაჟი ეფთვიმეც გაგზავნეს კონსტანტინეპოლში. როცა ეს ამბავი იოანემ გაიგო, ძლიერ ეწყინა. ველარ დაფარა თავი, ადგა, წავიდა კონსტანტინოპოლში და გამოეცხადა საბერძნეთის მეფეს.

მეფე უწინაც იცნობდა იოანეს, როგორც საქართველოს გამოჩენილ მხედარს და ამიტომ პატივით მიიღო. იოანემ გამოსთხოვა მეფეს თავისი ძე ეფთვიმე და ისევ ულუმბოს უდაბნოში დაბრუნდა. რაკი გაიგეს შემდეგ ამისა მისი ვინაობა, დიდი პატივით ეპყრობოდნენ ბერები. ეს არა სურდა მამა იოანეს და ამიტომ წაიყვანა თავისი ვაჟი და მთაწმიდის უდაბნოში წავიდა, სადაც მაშინ წინამძღვრად ათანასე დიდი იყო. აქ ის ჩაირიცხა ძმათა შორის და ორი წელიწადი ბორჩილებაში გაატარა.

972 წელს საქართველოს სახელოვანი სპასალარი თორნიკე ერისთავი ბერად შედგა და რაკი გაეგონა, რომ იოანე, რომელიც წინათ მისი დიდი მეგობარი იყო, მთაწმიდის უდაბნოში იმყოფებოდა, ადგა და თვითონაც იქ წავიდა ორივეს ძლიერ ეამათ ერთმანეთის ნახვა. თორნიკემ უამბო მამა იოანეს ყოველივე საქართველოს მაშინდელი მდგომარეობის შესახებ. მამა იოანემ წარუდგინა იგი უდაბნოს წინამძღვარს. ათანასემ დიდი პატივით მიიღო თორნიკე. მისი მისვლა ყველა ქართველს ძლიერ ეამა, რადგანაც სახელი მისი განთქმული იყო ყველგან. შემდეგ თორნიკემ თვითონ იოანესაგან მიიღო კურთხევა მონაზონობისა და ერთად დაიწყეს მოღვაწეობა.

მაგრამ, რადგანაც მამა იოანე და თორნიკე ეჩიდებოდნენ კაცთაგან პატივს, ამიტომ წინამძღვარის ნებართვით მოშორდნენ მთაწმიდის მონასტერს და შვიდ ვერსზე ააშენეს მშვენიერი ეკლესია და სენაკები. იქ დადგნენ და იწყეს მოღვაწეობა.

ამის შემდეგ დიდი ხანი აღარ გასულა, რომ საბერძნეთის მეფეებს, ბასილსა და კონსტანტინეს ბარდა სკლიაროსი განუდგა და ძლიერ შეავიწროვა. ამისი გამო იმპერატორების დედამ თეოფანიამ მისწერა წერილი ერთი იოანეს, მეორე ათანასეს, მესამე თვითონ თორნიკეს და სთხოვა მათ რათა თორნიკე მისულიყო სასახლეში. თორნიკე უარზე იდგა, მაგრამ იოანესა და ათანასეს რჩევითა და თხოვნით ბოლოს დასთანხმდა და ეახლა საბერძნეთის დედოფალს. დედოფალმა დიდი პატივით მიიღო იგი და ბევრი ხვეწნის შემდეგ დაითანხმა წასულიყო დავით კურაპალატთან მოციქულად, მიერთმია მისთვის წერილი და ეთხოვნა მიშველება.

დავით კურაპალატს ძლიერ ეამა თორნიკეს ნახვა, შეიწყნარა დედოფლის თხოვნა, მაგრამ შემწე ჯარის უფროსად თვითონ თორნიკე დანიშნა. თორნიკე დიდ უარზე იდგა, მაგრამ რაკი აღარ მოეშვნენ, დასთანხმდა ბოლოს, გაიხადა ბერის ტანისამოსი და ისევ სარდლობა იკისრა.

თორნიკემ სძლია სკლიაროსი და სრულიად განდევნა. შემდეგ დიდად დაჯილდოვებული საბერძნეთის მთავრობისაგან ისევ მთაწმიდის უდაბნოში დაბრუნდა ურიცხვი განძით. დაბრუნების შემდეგ მან და მამა იოანემ განიზრახეს აეშენებინათ ქართველებისათვის საკუთარი მონასტერი და იქ ეცხოვრათ, რათა კიდევ არავის დაერღვია მათი მყუდროება. მათ აირჩიეს და შეიძინეს ზღვის მახლობლად მშვენიერი ადგილი და დიდი შრომით ააგეს ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის სახელზე მონასტერი, სადაც შემდეგ ამისა ისინი მოღვაწეობდნენ ერთად.

თორნიკეს გარდაცვალების შემდეგ იოანეს უნდოდა წასულიყო ძე თვისი, ეფთვიმე და რამდენიმე მოწაფე და წასულიყვნენ სინას მთაზე, ქართველების მონასტერში, მაგრამ საბერძნეთის მეფემ ნება არ დართო. ბევრი ხანი აღარ გასულა მერე, რომ წმ. იოანე ჩავარდა ლოვინად და დიდხანს ავადმყოფობდა. იგრძნო რა მოახლოვება სიკვდილისა, მოახდინა ყოველგვარი განკარგულება წერილობით მონასტრის წესწყობილებისა, დალოცა ძე თვისი ეფთვიმე, გამოეთხოვა ყველას და

განუტევა სული. პატიოსანი გვამი მისი ჯეროვანად შემოსა ეფთვიმემ და ნათლისმცემლის ეკლესიაში დაკრძალა დიდის პატივით.

ეს ამბავი მოხდა ივნისში 998 წელს.*

ᲓᲐᲘᲓᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲔᲤᲗᲕᲘᲛᲔ ᲛᲗᲐᲜᲐᲛᲘᲓᲔᲚᲘ

მამა ეფთვიმე იყო, როგორც ვიცით, ძე მამა იოანესი. პატარაობისას იგი მძევლად გაგზავნეს საბერძნეთში და იქიდან მამამ წაიყვანა მთაწმინდის უდაბნოში. პატარა ეფთვიმე საკვირველი ნიჭიერი და კეთილი ზნის ყმაწვილი იყო. მიიყვანა რა უდაბნოში, მამა იოანე შეუდგა მის აღზრდას. პირველად შეასწავლა მას ქართული ენა და მერე ბერძნული. ამას გარდა ეფთვიმემ ზედმიწევნით შეისწავლა ძველი და ახალი აღთქმა, საეკლესიო წიგნები და ყოველგვარი ღვთისმსახურება. მან შეისწავლა აგრეთვე ფილოსოფია, ისტორია და რიტორიკა. თვით მამა-მისი იოანე მოგვითხრობა, რომ პატარაობისას ეფთვიმე შეპყრობილი იყო მძაფრი სენით, მაგრამ მისივე ვედრებით, იგი განკურნა ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა.

როცა მამა იოანემ დაინახა, რომ ძე მისი, ეფთვიმე, ზედმიწევნით იყო განვითარებული, ადგა და ასე უბრძანა მას: „შვილო ჩემო! ქართველისა ქვეყანა დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლიან და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა, აწ იღვაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღვთისაგან“, ესე იგი, უბრძანა, შედგომოდა წიგნების გადათარგმნას ბერძნულიდან ქართულად.

ეფთვიმემ სიხარულით აღასრულა მამის ბრძანება და ისე ერთგულად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, რომ მან ყველა გააკვირვა თავისი დაუღალავი და შეუდარებელი შრომით. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ მისი ცხოვრების დამწერი: „რამეთუ ეგე ვითარი თარგმანი გარეშე მათ პირველთასა არღარა გამოჩენილ არს ენასა ჩვენსა და ვგონებ თუ არც გამოჩინებად არს და მრავალნი წიგნნი წარცნის წინაშე დავით კურაპალატისა“. და მართლაც, მამა ეფთვიმე დღე და ღამე შეუსვენებლად შრომობდა და იმდენი წიგნი გადმოთარგმნა, რომ ჩამოთვლაც კი ძნელია. აი, ზოგიერთი მის მიერ ნათარგმნი წიგნების სახელები:

1. თარგმანებაჲ იოანეს თავისა სახარებისა,
2. მისივე თარგმანები ფსალმუნთა,
3. სწავლანი წმ. მამისა ჩვენისა დიდისა ვასილისანი,

---

* წმ. იოანეს ხსენება არის 12 თიბათვეს.

4. წიგნი წმ. კლემაქსისა,
5. წიგნი წმ. მაკარისა,
6. მაქსიმეს სწავლანი (აღმსარებისა),
7. წიგნი წმ. ისაკისა (ასურისტანისა),
8. წიგნი წმ. დოროთეისა,
9. წამება და სწავლანი წმ. დიმიტრისანი (თესალონიკელისა),
10. ცხოვრება და წამება წმ. სტეფანე ახალისა,
11. ცხოვრება და წამება წმ. კლემენტო რომთა პაპისა,
12. ცხოვრება წმ. გრიგორი ღვთისმეტყველისა და თქმულებანი მისნი,
13. წამება წმ. კლიმი ანკვირელისა,
14. ცხოვრება წმ. დიდისა ბასილი კესარიელისა,
15. ცხოვრება წმ. ბავრატისი,
16. წამება წმ. აკეფსიმესი,
17. იოანე მახარობლის ხილვა და ხილვის ახსნა,
18. თარგმანი ანდრია კრიტელისა,
19. თქმული იოანე დამასკელისა ქრისტეს ორი ბუნებისათვის,
20. ცხოვრება ათანასე დიდისა ალექსანდრიელისა,
21. ცხოვრება წმ. მარიამ ეგვიპტელისა,
22. სვინაქსარი საწელიწადო უმცროსი,
23. მიმოსვლა და ქადაგება წმ. იოანე მახარობელისა,
24. სწავლანი წმ. კასიანესი,
25. წიგნი დიალოღონი,
26. ცხოვრება წმ. ნიკოლოზ საკვირველმომქმედისა,
27. წიგნი ღვთისმეტყველისა გრიგორისი,
28. ცხოვრება დიდისა ანტონისა,
29. ცხოვრება წმ. მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა და იოანე მახარობელისა,
30. შუა ღამენი ბერძულნი,
31. ლოცვანი ბერძულნი მამისანი და სხვ.

მამა ეფთვიმემ დაადგინა თავის უდაბნოში ყოველგვარი წესი ძმათა და მოსამსახურეთათვის, რომლის აღსრულებაც სავალდებულო იყო ყველასათვის, მაგრამ ზოგს არ მოეწონა სასტიკი კანონები და წინააღმდეგობასაც ბედავდა. ერთხელ, მაგალითად, უდაბნოს მებოსტნემ განიზრახა წმ. ეფთვიმეს მოკვლა, მაგრამ როცა ასწია მარჯვენა თვისი ჩასაკლავად, მყისვე გაუშეშდა. წმ. მამა შეეეედრა უფალს და ისე განკურნა იგი. მამა იოანეს სიკვდილის შემდეგ ეფთვიმე თოთხმეტი

წელიწადი იყო მონასტრის წინამძღვრად და დიდ შრომას იტანდა. წიგნების თარგმნისათვის ცოტა-ღა დრო რჩებოდა თავისუფალი. ამიტომ წინამძღვრობა გადასცა მამა გიორგი მთაწმიდელს, თვითონ კი სენაკში დაემკვიდრა და განაგრძო თავისი პატიოსანი შრომა.

ერთხელ მამა ეფთვიმე მონასტრის საქმეების გამო კონსტანტინოპოლში წავიდა მეფესთან. როცა იქიდან დაბრუნდა, გზაზე ცუდად გახედნილ ჯორზე შესვეს, რომელიც დაფრთხა, გადმოაგდო მოხუცებული ეფთვიმე და სასიკვდილოდ დააშავა. გარდაიცვალა 13 მაისს, 1028 წელს. ყველას ძლიერ ეწყინა ძვირფასი მამის დაკარგვა. პატიოსანი გვამი მისი მოასვენეს მონასტერში და დიდი გლოვით დაკრძალეს წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძარში*.

წმიდა მამა გიორგი მთაწმიდელი

გიორგი მთაწმიდელი იყო ნამდვილი ქართველი, ნათესაობით სამცხეელი და დაიბადა თრიალეთში. მის მშობლებს ერქვათ იაკობი და მარიამი. იაკობი მეფე გიორგის პირველი ერთგული ყმა იყო. ორივენი, ცოლიცა და ქმარიც, იყვნენ ღვთისმოსავი ადამიანები და ამიტომ თავიანთი პირველი ქალი თეკლე და მეორე ვაჟი გიორგი ღმერთს შესწირეს.

როცა სწავლის დრო მოვიდა, მამამ წაიყვანა გიორგი სამცხეს მონასტერში, შეავედრა ღვთისმშობელს და ჩააბარა ბერებს აღსაზრდელად. რამდენსამე წელს იქ სწავლობდა გიორგი. შემდეგ მამამ წაიყვანა ივი მაშინდელ განთქმულ ხახულის მონასტერში**, სადაც მოღვაწეობდნენ ორი მისი ბიძა, გიორგი და საბა. გიორგი განთქმული იყო ცოდნით და იწოდებოდა „მწერლად". იაკობმა ჩააბარა მათ აღსაზრდელად თავისი ვაჟი და თვითონ შინ დაბრუნდა.

ბიძებმა წარუდგინეს იგი მონასტრის წინამძღვარს და ჰერე შეუდგნენ მის აღზრდასა და სწავლებას. ამ მონასტერში გიორგი დიდხანს დარჩა და გულმოდგინედ სწავლობდა. მან ისეთი საკვირველი ნიჭი და ბეჯითობა გამოიჩინა, რომ ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა. მან აქ კარგად შეისწავლა საღმრთო წერილი და ყოველგვარი ღვთისმსახურება, საეკლესიო წიგნები ხომ თითქმის სულ ზეპირად შეისწავლა.

იმ დროს, როცა გიორგი ხახულის მონასტერში იმყოფებოდა, გიორგი „მწერალი" თრიალეთის ერისთავმა ფერის ჯოჯიკის ძემ და

* ხსენება 13 მაისს.

** ხახულის მონასტერი იყო ისპრის მდინარეზე, რომელიც ჭოროხს ერთვის.

მისმა მეუღლემ მოძღვრად მიიწვიეს თავის სასახლეში. რადგანაც ის ძლიერ მოხუცებული იყო, ამიტომ მან თანაშემწედ თავისი ძმისწული გიორგი წაიყვანა. ახალგაზრდა გიორგი ისე შეუყვარდა ორივე ცოლ-ქმარს, რომ შვილად აღიარეს იგი.

ამ დროს თრიალეთი ბერძნების ხელში იყო. საბერძნეთის მეფედ მაშინ იყო ვასილი. მან ფერისს რაღაც ღალატი შესწამა, დაიბარა თავისი ცოლ-შვილით კონსტანტინოპოლში და იქ თავი მოჰკვეთა. შემდეგ ამისა მეუღლე მისი თორმეტი წელიწადი დარჩა კონსტანტინოპოლში. აი, სწორედ ამ დროს ამ ღვთისმოყვარე დედაკაცმა თავისი მოძღვრის რჩევით მიაბარა ჭაბუკი გიორგი ერთ მეცნიერ ბერძენს ფილოსოფიისა და რიტორობის შესასწავლად. ამგვარად, გიორგი საბერძნეთში განვითარდა მეცნიერებაში და ყველა თავის ამხანაგებს აჯობა მეცადინეობით, ნიჭითა და გამჭრიახობით. ამას გარდა იმ დროს მან ზედმიწევნით შეისწავლა ბერძნული ენა. თორმეტი წლის შემდეგ ფერისის მეუღლე ისევ საქართველოში დაბრუნდა და გიორგიც თან მოიყვანა. შემდეგ ამისა გიორგი ისევ ხახულის მონასტერში წავიდა. ამ დროს ის ოცდახუთი წლის გახდა და ბერად აღიკვეცა.

ამის შემდეგ გიორგიმ განიზრახა განდეგილად ყოფნა და ამიტომ ადგა და დაფარულად იერუსალიმში წავიდა. რომ არავის ეცნო, თავისი სამოსელი გლახაკს მისცა, ხოლო მისი დაძონძილი ტანსაცმელი ღვითონ ჩაიცვა. გზაზე ბევრი გაჭირვება გამოსცადა. მავრამ ყველა აიტანა და ბოლოს შავ მთაზე მიაღწია უდაბნოში. იქაური ბერები გაიცნო და მერე მოინდომა მოძღვრის არჩევა. ერთ გამოქვაბულში იპოვა მან დაუუდებული ბერი და მას დაემოწაფა. ამ მოძღვრის ხელმძღვანელობით მან იქ სამი წელიწადი ილვაწა. მერე ადგა და იერუსალიმში წავიდა, მოვლო ყველა წმიდა ადგილი, სადაც იშვა, ცხოვრობდა და იწამა მაცხოვარი, თაყვანი სცა და შემდეგ ისევ თავის მოძღვართან დაბრუნდა.

რამდენიმე წლის შემდეგ მოძღვარმა ურჩია გიორგის, წასულიყო ბთაწმიდაზე ქართველთა მონასტერში და იქ განეგრძო ღვაწლი მამა ეფთვიმისა და დაესრულებია საეკლესიო წიგნების გადათარგმნა ბერძნულიდან ქართულად. გიორგიმაც აღასრულა თავისი მოძღვარის რჩევა და წავიდა მთაწმიდაზე. იქ ქართველი ბერები დიდი სიხარულით ძიებენ მამა გიორგის. შვიდი წელიწადი მორჩილებაში გაატარა მთაწმიდაზე გიორგიმ. შემდეგ მღვდელმონაზონობა მიიღო და მღვდელთა და მგალობელთა უფროსად იქნა არჩეული. ბოლოს მთელი უდაბნოს წინამძღვრად აირჩიეს და კვერთხი მწყემსობისა მიიღო. ამ დროიდან

იწყება უმეტესი მოღვაწეობა მამა გიორგი მთაწმიდელისა. სხვათა შორის მან შეკრიბა ცნობა და აღწერა ცხოვრება და მოღვაწეობა წმ. ეფთვიმესი და მამა იოანესი. მოამზადა დიდებული ლარნაკი ღვთისმშობლის ტაძარში, გადმოასვენა ნათლისმცემლის ტაძრიდან ნეშტი წმ. ეფთვიმესი და იოანესი და იქ დაკრძალა. მაგრამ უფრო დიდი ღვაწლი მამა გიორგი მთაწმიდელისა ის იყო, რომ ის გულმოდგინედ შეუდგა საღვთო წერილისა და სხვა წიგნების თარგმნას.

როცა ბაგრატ მეფემ, კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს, სცნა ასეთი ღვაწლი მამა გიორგისა, უნდოდა ებოძებინა მისთვის ჭყონდიდელობა და საქართველოში წამოეყვანა, მაგრამ, რადგან მამა გიორგი ერიდებოდა ქვეყნიურ დიდებას, ამიტომ უარი მოახსენა მეფეს.

წინამძღვრობა და მონასტრისათვის ზრუნვა ბევრ დროსა და შრომას თხოულობდა და მამა გიორგის ცოტა დრო რჩებოდა წიგნების გადმოთარგმნისათვის. ამიტომ წინამძღვრობას თავი დაანება და ისევ ძველი მთის უდაბნოში დადგა, სადაც თავისუფლად განაგრძო ეს პატიოსანი და სასარგებლო შრომა. საკმარისია მარტო სახელები ჩამოვთვალოთ მის მიერ ნათარგმნი სხვადასხვა წიგნებისა, რათა ცხადად დავინახოთ თუ რაოდენი იღვაწა მამა გიორგიმ ჩვენი ეკლესიისა და ხალხისათვის. აი, მათი სახელები:

1. დიდი სვინაქსარი,
2. საწელიწადო გამოკლებული,
3. ეპისტოლე პავლესი სრული,
4. პავლე. გამოკლებული საწელიწადო,
5. თვენი ათორმეტნიკე სრულად,
6. საწელიწადონი დღესასწაულისანი,
7. წიგნი ექვსთა დღეთა.- წმ. ვასილისა თქმული,
8. დავითნი,
9. დიდი პარაკლიტონი,
10. დიდი მარხვანი,
11. ხადიკი,
12. წიგნი დაბადებისა, იოანე ოქროპირისა თქმული,
13. წიგნი მეექვსის კრებისა,
14. წიგნი გრიგორი ნოსელისა და სხვ...

ღვთისმოყვარე მეფე ბაგრატი დიდი ხანია სთხოვდა მამა გიორგის რომ მოსულიყო საქართველოში და ეღვაწა. გიორგი ჯერ, როგორც მოვიხსენეთ, უარს ამბობდა, მაგრამ ბოლოს აღასრულა მეფისა და კათალიკოსის სურვილი და მოვიდა. მეფე მიეგება თავისი დიდებუ-

ლებით და დიდი პატივით მიიღო წმ. მამა. ხუთი წელიდაწი დარჩა საქართველოში მამა გიორგი. ამ დროს, მეფის ბრძანებით, მან გამოიკვლია მაშინდელი მდგომარეობა ჩვენი ეკლესიისა და სასულიერო წოდებისა და ყოველივე წესი დაამყარა. ამავე დროს მოეფინა ჩვენს ქონასტრებში და საეპისკოპოსოებში მის მიერ ნათარგმნი წიგნები.

ხუთი წლის შემდეგ მამა გიორგი ისევ მთაწმიდის უდაბნოში დაბრუნდა. მეფემ დააჯილდოვა და მადლობით გაისტუმრა. როცა წავიდა, თან მამა გიორგიმ ოთხმოცი ობოლი ყმაწვილი წაიყვანა აღსაზრდელად. მაკრამ გზაზე დიდი გაჭირვება ნახა და დასუსტდა. კონსტანტინოპოლში რომ მიაღწია, ავად გახდა და გზაში გარდაიცვალა. პატიოსანი გვამი მისი მიასვენეს მთაწმიდის უდაბნოში და დიდის მწუხარებითა და გოდებით დაკრძალეს 24 მაისს 1066 წელს*.

წიდა მეფე დავით III აღმაშენებელი

დავით აღმაშენებელი იყო საქართველოს მეფის გიორგის შვილი. ის სულ თექვსმეტი წლისა იყო, როცა ხალხის თხოვნით მამამ ტახტზე დასვა 1089 წელს.

დავითი ყოველის მხრით ფრიად შესანიშნავი ჭაბუკი იყო — გონებით, ძალით და სწავლითაც. მისი აღმზრდელი და მოძღვარი იყო შესანიშნავი ბერი არსენ იყალთოელი, რომელმაც მშვენიერად აღზარდა როგორც გონებით, ისე ზნეობით თავისი შესანიშნავი მოწაფე.

საქართველო საშინლად დაცემული იყო, როცა დავითი გამეფდა. მრავალი კუთხე, როგორც, მაგალითად სამცხე-ჯავახეთი და თვით ქალაქი თბილისიც მტრების ხელში იყო. უსჯულო მუსულმანები საშინლად ავიწროვებდნენ და აწვალებდნენ ხალხს. ბევრი ქალაქი, მონასტერი და ეკლესია დაანგრიეს და გაანადგურეს.

მაგრამ, ავიდა თუ არა დავითი ტახტზე, მაშინვე შეკრიბა ჯარი და მამაცურად დაუწყო მძვინვარე მტრებს დაუცხრომელი ბრძოლა. 1110 წელს მან თრიალეთის ომში სძლია სულთანი მუჰამედი და დაიბრუნა სამშვილდის ციხე. აქედან გადაიარა მთები, მივიდა სამხრეთ ჯავახეთში და განდევნა ჭოროხის ხეობაში ჩამოსახლებული თათრები. მერე შემობრუნდა ქართლშივე, გაათავისუფლა თბილისი, გადავლო ცივ-გომბორის მთა და მივიდა ჯარით ნუხის მაზრაში, სადაც თათრებს ისე მაგრად მოედგათ ფეხი, რომ ქართველობა მცირდებოდა და ქრის-

* ხსენება 27 თიბათვეს.

ტიანობაც ემხობოდა. 1117 წელს დავითმა დაამარცხა აქ მტერი, განდევნა იგი და გამგედ დანიშნა თავისი სახელოვანი მღვდელმთავარი ჭყონდიდელი. შემდეგ გამოუცხადა ომი გაჯის მბარეს მყოფ თათრებს. 1120 წელს მან სძლია განჯის ემირი და გაუწყვიტა ჯარი. ამ გაძარჯვების შემდეგ ის დიდი საშოვარით დაბრუნდა საქართველოში. მაგრამ დავით მეფისაგან შეეიწროებულ და ძლეულ მუსულმანთა მთავრებმა შიშართეს საჩივრით თათრების უმთავრეს ხონთქარს. ხონთქარი განრისხდა და აუარებელი ჯარი გამოგზავნა საქართველოს მეფის დასასჯელად. გმირი დავითი არ შეშინდა — მოამზადა თავისი ჯარი და დაუხვდა მტერს დიდგორში, ორ მთას შუა. გაიმართა სასტიკი ომი. გამარჯვება დავითს დარჩა. მტერი ზოგი ამოწყვიტა და ზოგიც უკუაქცია. ამ მოულოდნელმა ძლევამ კიდევ უფრო აღამაღლა დავით მეფე და თავზარი დასცა საქართველოს მტრებს.

შემდეგ ჭმისა მეფე დავითმა გამოუცხადა ომი თვით სპარსეთის შაჰს. გაიმართა საშინელი ბრძოლა ადირბეჟანში. ორივე მხარე გამწარებული იბრძოდა, მაგრამ ღმერთმა ხელი მოუმართა დავითს, სპარსელები დაამარცხა და გაწყვიტა. შემდეგ ამისა ყველა საქართველოს მტერი ისე შეშინდა, რომ ვერავინ ველარ უბედავდა ძლევამოსილ მეფეს ბრძოლას.

ამგვარად დაცემული საქართველო აღსდგა და აღორძინდა. ხალხმაც მოისვენა. დავითმა მიჰყო ხელი ეხლა შინაურ საქმეებს: დაიწყო მტრებისაგან და დიდი ხნის მიწისძვრისაგან დანგრეული ქალაქების, ციხეების, ეკლესიებისა და მონასტრების აღდგენა და განახლება. ახლებიც ბევრი ააშენა. ამასთანავე იგი იყო მფარველი და შემწე ქრისტიანებისა არა მარტო თავის სამეფოში, არამედ პალესტინაში და საბერძნეთშიაც. ამიტომ ქრისტიანები ადიდებდნენ უფალს, რომელმაც ასეთი ძლიერი, ბხნე და ღვთისმოყვარე მეფე მიანიჭა ქართველთა ქვეყანას.

რადგანაც დავით მეფე თვითონ განათლებული ადამიანი ბრძანდებოდა და საღმრთო წერილისა და სხვა წიგნების კითხვა ძლიერ უყვარდა, ამიტომ მას სურდა, რომ განათლებული ერი ჰყოლოდა. ამიტომ მან მრავალი სკოლა დააარსა საქართველოში. ამას გარდა იგი ყოველ წელიწადს გზავნიდა ქართველ ყმაწვილებს საბერძნეთში ენების შესასწავლად და მერე წიგნების სათარგმნელად.

ასეთი ღვაწლი დასდო მეფე დავითმა თავის სამეფოსა და ხალხს. ხალხმაც არ დაივიწყა და ჯეროვანადაც დააფასა ეს ღვაწლი და, რადგანაც იგი იყო აღმაშენებელი ქვეყნისა, მოშიში ღვთისა, გლახაკ-

თა, ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თანამსახური, ეკლესიათა და მონასტერთა მაშენებელი, სამღვდელოთა პატივისმცემელი, ამისათვის ხალხმა უწოდა იმას „აღმაშენებელი“, ხოლო ეკლესიამაც წმიდად შერაცხა.

დავით აღმაშენებელმა იმეფა სულ 33 წელიწადი და გარდაიცვალა იგი თბილისში 1126 წელს, 24 იანვარს. გვამი ამ შესანიშნავი მეფისა განისვენებს გელათის მონასტერში*.

ნაწილი მეოთხე ლუარსაბ მეფე

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში საქართველო დაბნაწილებული იყო. იმ დროს ქართლში მეფობდა ლუარსაბი, კახეთში — თეიმურაზი და იმერეთში — გიორგი მესამე. ყველა ეს მეფენი ერთსა და იმავე წელს (1605) გამეფდნენ და ამურადაც ცხოვრობდნენ.

მაგრამ მაშინ ჩვენი ქვეყნის მოსისხლე მტერი იყო სპარსეთის ყენი შაჰ-აბასი, რომელიც დიდ შზადებაში იყო და მხოლოდ უცდიდა შემთხვევას ელოდა, რომ საქართველოს შემოსეოდა. ასეთი შემთხვევაც მალე მიეცა.

ქართლის მეფე ლუარსაბს ჰყავდა ერთი გაპარული მოურავი გიორგი საყაძე. იგი ჯერ დიდი მეგობარი იყო თავის მეფისა და ერთგულად ემსახურებოდა სამშობლოს. მაგრამ ლუარსაბს მოეწონა მისი ცოლად შეირთო, რის გამოც გადაეტერნენ მას ქართლის თავადები და მოინდომეს მისი დაღუპვა. მაშინ გიორგი საყაძე გადავარდა და მივიდა ყენთან, რომ ამოეყარა თავისი მეფიანური მტრების ჯავრი. შაჰ-აბასს ძლიერ ეამა მისი მისვლა, კარგად მიიღო და რჩევაც დაუჯერა. წამოიყვანა უთვალავი ლაშქარი და წამოვიდა საქართველოზე. ეზის მაჩვენებელი და ბელადი თვით გიორგი საყაძე იყო.

ლუარსაბი და თეიმურაზი შეერთდნენ და მოემზადნენ საომრად, მაგრამ, რასაკვირველია, ვერ გაუძლეს მტერს, საშინლად დამარცხდნენ და ორთავენი იმერეთის მეფესთან გაიქცნენ. შაჰ-აბასმა საშინლად აოხრა ქართლ-კახეთი, ბევრი ხალხი გასწყვიტა და აქვე დაიბანაკა. მერე იმერეთის მეფეს გიორგის მოციქული გაუგზავნა და ბევრი საჩუქარი აღუთქვა, თუკი იგი ორივე მეფეს მისცემდა. მაგრამ გიორგი მესამე არ დათანხმდა, ნაცვლად კათალიკოსი მალაქია და პაატა ანბაშიძე გამოგზავნა აბასთან და სთხოვა პატიება.

* ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს დავით აღმაშენებლის ხსენებას 26 იანვარს.

შაჰ-აბასმა შეუთვალა, რომ ლუარსაბს არას ვერჩი და კიდეც დავასაჩუქრებ და სამეფოს დავუბრუნებო თუკი ჩემთან მოვაო. თეიმურაზი კი ჩემი მოსისხლე მტერია და იმას ვერ მივუტევებო. ლუარსაბს მართალი ეგონა, ურწმუნა ყველს და გამოეცხადა. შაჰ-აბასმა, თითქო პატიკით მიიღო იგი და მეგობრულად მოექცა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მან ქართლში ახალი მმართველი დანიშნა და ჯარებიც ჩააყენა. ლუარსაბი ჯერ ყარაიაში წაიყვანა, ვითომდა სანადიროდ და მერე იქედან თვით სპარსეთში.

იქ მან დაიწყო ცდუნება მისი და დაყვაკებით ეუბნებოდა: „უკეთუ ხელს აიღებ შენს სჯულზე და იწამებ შაჰმადს, დიდად პატივს გცემ, დაჯილდოვებულს გაგისტუმრებ შენს სამეფოში“.

მაგრამ ღვთისმოყვარე მეფემ უპასუხა: მთელი ქვეყანა რომ მიბოძოთ, მაინც ვერ აღვასრულებ შენს ბრძანებას. იადგანაც ქრისტეს სახელით ნათელი მიმიღია და მხოლოდ იგი მრწამსო.

მაშინ უსჯულო შაჰ-აბასის ბრძანებით შეუკრეს მეფეს ხელ-ფეხი და ისე ჩასვეს ციხეში. შვიდი წლის ვაჟბავლობაში იქ ჰყავდათ დატყვეებული, ყოველდღე შედიოდნენ მასთან ციხეში მოლები და უქადაგებდნენ შაჰმადის სჯულს, მაგრამ მეფე ლუარსაბი მტკიცედ იდგა თავის სარწმუნოებაზე, ეჩვეოდა მოთმინებას და საკვირველად უბრწყინდებოდა სახე. ყველას უკვირდა სიმხნეკე და მოთმინება მისი. მოლები მაინც არ ეშვებოდნენ და ასე უქადაგებდნენ: „ჰოი, მეფეო! შეიწყალე სიკვდილისაგან და ნუ ეურჩები ბრძანებასა შაჰისასა, დაუტევე სარწმუნოება შენი და იწამე დიდი მაჰმადი, თორემ მწარე ტანჯვა და სიკვდილი მოგელისო“. პასუხად ამისა ღვთისმოყვარე მეფე ეუბნებოდა მათ: „რაცა გნებავთ ყოფად ჩემდა ჰყავით და აღასრულეთ ბრძანება ყოვნისა“.

როცა ყოველივე ეს მოახსენეს შაჰ-აბასს, იგი დარწმუნდა, რომ ამაო იყო მისი მეცადინეობა, რომ ვერაფრით ვერ შეარყევდა ლუარსაბის სარწმუნოებას, სასიხარულად გაჯავრდა და გაგზავნა საპყრობილეში ჯალათები, რათა ეწამებინათ და მოეკლათ იგი.

მტარვალები მივიდნენ, გარედან მიადგნენ საპყრობილეს და ძალგბივით უღრჭენდნენ კბილებს. მეფე მიხვდა, რომ მოახლოვდა აღსასრული მისი და ეუთხრა ჯალათებს:

„ძაცალეთ, რათა ვილოცო უფლისა მიმართ და ღვთისა ჩემისა და მერე აღასრულეთ ბრძანებული მის უსჯულოისა“. წმ. ლუარსაბს თან ჰქონდა ხატი ყოველად წმიდა ღვთისმშობლისა. დაიჩოქა მის წინ და ასე ილოცა გულსხურვალედ: „ჰოი, დედოფალო ღვთისმშობელო! შენდამი

დამიცა სასოება ჩემი, შენა ხარ ნუგეშისმცემელი ჩემი, შენ მომეც შეწევნა წამებისა ჩემისა ამის და შენმართე წმიდათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა".

დასრულა თუ არა ლოცვა, შეიდნენ ჯალათები საპყრობილეში და შეუბრალებლად დაახრჩვეს ღვთისმმოსავი მეფე. მთელი ღამე იქ დასტოვეს სხეული მისი. როგორც მოგვითხრობენ, ღამით წმ. მოწამის გვამს დაადგა საკვირველი ნათელი. მეორე დღეს გამოიყვანეს საპყრობილიდგან და დამარხეს.

ეს ამბავი მოხდა 1622 წელს. მეფე ლუარსაბი იყო მაშინ სულ 35 წლისა*.

ნაწილი მოწამე ქეთევანი დედოფალი

1615 წელს სპარსეთის ყეენმა შაჰ-აბასმა, როგორც მოვიხსენეთ ლუარსაბ მეფის ცხოვრების აღწერაში, გამოილაშქრა საქართველოზე. თავისი ჯარებით ის პირველად დაბანაკდა განჯასთან და აქედან შემოუთვალა კახეთის მეფეს თეიმურაზს: ოსმალებთან საომრად მივდივარ და თუ ჩემი მეგობრობა გსურს და ღალატს არ მიპირებ, მძევლად შენი ვაჟი გამომიგზავნეო".

მეფე მიხვდა შაჰ-აბასის ცბიერებას და არ უნდოდა შვილის გაგზავნა, მაგრამ ხალხმა მოახსენა: უკეთუ შვილი არ გაუგზავნე, ქვეყანას ააოხრებსო და ამიტომ მეფე იძულებული შეიქმნა დაყაბულებულიყო. ადგა და თავისი უმცროსი ვაჟი ვაუგზავნა და თან თავისი დედა ქეთევანი გაატანა. ქეთევანი გამოცდილი დედოფალი იყო და წინადვე უთხრა შვილს თეიმურაზს, რომ ყეენი ამითი არ დაკმაყოფილდებაო, მაგრამ თეიმურაზი შეეეჭდრა დედას, წაჰყოლოდა იგი მეფის ვაჟს ყეენთან და ისიც დასთანხმდა.

როცა ისინი ყეენთან მივიდნენ, შაჰ-აბასი ძლიერ გაჯავრდა და თეიმურაზ მეფეს შეუთვალა: „შენი შვილის გამდელი ხომ არა ვარ, რომ უმცროსი ვაჟი გამოგიგზავნია. უკეთუ მართლა ჩემთან მეგობრობა გსურს, უფროსი ვაჟი გამომიგზავნეო".

დედოფალმა დაფარულად აცნობა შვილს, არ აღესრულებია ყეენის ბრძანება და მეფე თვითონაც კარგად გრძნობდა რაც მოელოდა მის საყვარელ შვილებსა და დედას, მაგრამ დიდებულთა რჩევით მან უფროსი ვაჟიც გაგზავნა ყეენთან. მაგრამ შეჩვენებული ყეენი არც ამით დაკმაყოფილდა. ეხლა მან შეუთვალა: „შენც უნდა მობრძანდეო".

* ხსენება წმ. მოწამის ლუარსაბ მეფისა არის 21 ივნისს.

ეხლა კი მიხვდნენ თავის შეცდომას, მაგრამ გვიანღა იყო. თეიმურაზ-მა, რასაკვირველია, არ აღასრულა ყეენის ბრძანება, არამედ მოიშ-ველია ქართლის მეფე ლუარსაბი და საომრად მზადებას შეუდგა.

განრისხებულმა შაჰ-აბასმა ქეთევან დედოფალი და მეფის ძენ-ლევან და ალექსანდრე შირაზის საპყრობილეში გაგზავნა და იქაურ-მთავარს უბრძანა, მკაცრად ჰყოლოდა ისინი დაპატიმრებული. თვი-თონაც აიყარა თავისი ჯარით და ქართლ-კახეთის ასაოხრებლად წა-მოვიდა, რაც კიდეც შეასრულა.

ქეთევან დედოფალი იყო ასული თავადის მუხრან-ბატონისა და მეუღლე კახეთის მეფის ალექსანდრე შესამის ძისა დავითისა. ალექ-სანდრე და დავითი ორთავენი ერთად ღალატით დახოცა შაჰ-აბასის შთაგონებით შეჩვენებულმა კონსტანტინემ, რომელიც ძე იყო თვით ალექსანდრე მეფისა და ძმა დავითისა. ამ კონსტანტინეს აღუთქვა ყეენმა კახეთის ტახტი. ამიტომ მან ქრისტიანობაზე ხელი აიღო და ყეენის ბრძანებით მამა და ძმა ღალატით მოკლა. შემდეგ ამ შეჩვენე-ბულმა მოინდომა თავისი რძლის, ქეთევანის ცოლად შერთვა, მაგრამ ქეთევანმა, რასაკვირველია, ზიზღით უარი გამოუცხადა. მაშინ გაბრა-ზებული კახელები შეიკრიბნენ, მოულონდელად თავს დაეცნენ კონ-სტანტინეს, დაამარცხეს და მოკლეს კიდეც. მეფედ თვით ქეთევანი დასვეს, რომელმაც შემდეგ ტახტი თავის შვილს თეიმურაზს გადასცა.

ქეთევან დედოფალი იყო შემკული ყოველგვარი სიკეთით. აი, რას მოგვითხრობს ამ ღვთისმოყვარე დედოფლის შესახებ მისი ცხოვრების დამწერი: „იყო იგი მცოდნე საღვთო წერილისა და სათნოებათა მომ-გები, ქალწული, მორცხვი, ბრძენი, კეთილგონიერი, ქალი ნარნარი და მხნე კეთილთა მოქმედებათადმი, ყმა მშვენიერი და უმშვენიერესი“.

შაჰ-აბასმა რომ ქართლ-კახეთი დაიპყრო და აოხრა, აქ თავისი მმართველები და ჯარი დასტოვა, თვითონ კი, როგორც ვიცით, წაიყ-ვანა ლუარსაბ მეფე და სპარსეთში წავიდა, სადაც ქეთევან დედოფა-ლი და ბატონიშვილები იმყოფებოდნენ საპყრობილეში.

თეიმურაზი ბევრი ეცადა, რა საშუალებას არ მიმართა, რომ როგორმე კახეთის ტახტი დაებრუნებინა, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს ადგა და 1619 წელს რუსეთის მეფეს სთხოვა შეწყობა და შაჰ-აბას-თან შუამდგომლობა. მაგრამ ყეენი კიდეც უფრო განარისხა მეფის ასეთმა მოქმედებამ და ამიტომ ჯავრი მან მის დედაზე და შვილებზე ამოიყარა.

პირველად მან ისე საშინლად აწამა საბრალო ბატონიშვილები, რომ

ალექსანდრემ ველარ აიტანა წვალება და ტანჯვის დროს სული დალია, ხოლო ლეკანი ჰკუაზე შეიშალა და ისიც მალე მოკვდა.

მტარვალ შაჰ-აბასს უნდოდა ქეთევან დედოფალი სამაგალითოდ ეწამებინა. ერთი რომ ათი წლის განმავლობაში იგი ციხეში ჰყავდა დატუსაღებული და იქ იტანჯებოდა. ერთადერთი სასოება მისი იყო ღვთის ვედრება. იგი ყოველ დღეს დაუცხრომლად და გულმხურვალედ ევედრებოდა ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს, მიეხიჭებინა მისთვის მადლი თვისი და ძალა მოთმინებისა, რათა შესძლებოდა წამების ატანა.

მტარვალები ყოველგვარ საშუალებას და სახსარს ხმარობდნენ, რომ შეერყიათ სარწმუნოება ღვთისმოყვარე დედოფლისა, მაგრამ ის მტკიცედ ალიარებდა ქრისტეს და უარყოფდა შაჰმადის სჯულს. როცა უკანასკნელად მოახსენეს ყეენს, რომ კახეთის დედოფალი მტკიცედ დგას თავის სჯულზე და ვერაფრით ვერ შეეცარყიეთ მისი სასოება ქრისტესადმი, მან გაგზავნა საპყრობილეში მტარვალები და უბრძანა საშინლად ეწამებიათ იგი. მონებმაც მტკიცედ აღასრულეს ბრძანება ყეენისა — გაატიტვლეს წმ. დედოფალი და ჯერ გახურებული ნარწეხებით დააგლიჯეს ძუძუები, მერე გახურებული ლურსმნებით დაჰკვალეს ყოველი მხრიდან ისე, რომ სხეული სულ ერთიანად დაუსკდა. შემდეგ მოიტანეს გახურებული ქვაბი და თავზე დაახურეს. ბოლოს კანასკნელად შანთი ჰკრეს გვერდში და განუტარეს მეორე მხარეზე. ასეთ სატანჯველში განუტევა სული წმ. მოწამე ქეთევან დედოფალმა. ეს ამბავი მოხდა 1624 წელს.

მაგრამ უსჯულო მტარვალებმა სიკვდილის შემდეგაც არ დაანებეს თავი, აიღეს წმ. გვამი მისი და წუმპეში გადააგდეს, მაგრამ ფრანგების პატრეარქმა წამოიღეს და თეიმურაზ მეფეს მიართვეს. მეფე თეიმურაზმა შეკრიბა ქართლ-კახეთის სამღვდელოება და დიდის პატივით დაკრძალა თავისი საყვარელი დედის გვამი ალავერდის ტაძარში*.

წმიდა მოწამენი — ბიძინა, შალვა და ელიზბარ

მას შემდეგ, რაც შაჰ-აბასი რამდენჯერმე შემოესია საქართველოს და ალოხრა ჩვენი ქვეყანა, განსაკუთრებით კახეთი სპარსელების საბუნაოდ გაბდა. მათ თავგასულობასა და მძლავრობას საზღვარი აღარ ჰქონდა.

---

* საქართველოს ეკლესია დღესასწაულობს წმ. ქეთევან დედოფლის ხსენებას 13 ენკენისთვეს.

1642 წელს გამეფდა სპარსეთში შაჰ-აბას მეორე, მცირედ წოდებული. ამ ყეენმა მოინდომა სრულიად აღმოეფხვრა ქრისტიანობა კახეთში და მაჰმადიანობა გაევრცელებინა. ამისთვის მან გამოგზავნა დიდი ლაშქარი და თან უბრძანა კახეთის მპყრობელს სელიმ-ხანს, მოესპო კახეთში ქრისტეს სჯული. სპარსელები, ოთხმოც ათას სულამდე, დაბანაკდნენ ამ ქვეყანაში, ააშენეს ციხეები და დაიწყეს ბატონობა. ისინი ანგრევდნენ ეკლესიებს, სდევნიდნენ და ხოცავდნენ ქრისტიანებს. რადგანაც წინააღმდეგობა შეუძლებელი იყო, ხალხი ილტვოდა მტარვალთაგან და იხიზნებოდა, ასე რომ, როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, „აღარა სადა იხსენებოდა სახელი ქრისტესი. თვინიერ მცირეთა ოდენ მთით კერძო თუშთა, ფშავთა და ხევსურთა შორის“. ერთი სიტყვით, მთელი ხალხი სასოწარკვეთილებას ეძლეოდა.

მაგრამ, სასიბარულოდ, ამ განსაცდელის დროს კახეთში გამოჩნდა ერთი შესანიშნავი თავადი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომელმაც იკისრა კახეთის განთავისუფლება. დიდს ფიქრისა და მოსაზრების შემდეგ იგი ჩუმად წავიდა თავის მოყვარეთან, ირაგვის ერისთავთან, ზალთან და გამოუცხადა თავისი განზრახვა. ზალმაც აღუთქვა დახმარება. შემდეგ ამისა მათ მოიწვიეს ქსნის ერისთავი ელიზბარ და მის მიერ ნაშვილები ახალგაზრდა შალვა ერისთავი და მათ გაანდეს თავიანთი საიდუმლო. ელიზბარს ძლიერ ეამა ეს ამბავი და მხურვალე მონაწილეობაც მიიღო, თუმცა-ღა დაფარულად. როცა მოემზადნენ, მოიწვიეს ფშავ-ხევსურები და შეურთდნენ. სელიმ-ხანი კი ამ დროს უზრუნველად ცხოვრობდა კახეთში და არავითარ საფრთხეს არ მოელოდა. ერთ ბნელ ღამეს ჩვენი გმირები მოულოდნელად დაეცნენ თავს სპარსელებს ბახტრიოსა და ალავერდში და სულ ერთიანად გაწყვიტეს. სელიმ-ხანმა ლეკეს მოსწერო გაქცევა, მიატოვა თავისი ცოლ-შვილი და სპარსეთში ვაეშურა. ამგვარად განთავისუფლდა კახეთი სპარსელების უღლისაგან. ეს ამბავი მოხდა 1659 წელს. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და დიდად ადიდებდნენ ბიძინას, ელიზბარსა და შალვას, ვითარცა მხსნელთა.

მაგრამ ლტოლვილმა სელიმ-ხანმა ყოველივე აცნობა ყეენს. შაჰ-აბასი საშინლად გაჯავრდა და უბრძანა ქართლის მეფეს ვახტანგს, შაჰნავაზად წოდებულს, შეეპყრა და წარედგინა მის წინაშე დამნაშავენი. ვახტანგ მეფემ აღასრულა ბრძანება მისი. რადგანაც უარი ვერ გაბედა, შეიპყრა ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ერისთავები და გაგზავნა ყეენთან.

ყველნს მეტისმეტად მოეწონა გმირები, არა სურდა მათი დახოცვა და ამიტომ გადაცა სელიმ-ხანს და ასე უბრძანა: „დიდად მეწყალიან ეკენი სიკეთისა და ახოვანებისა მათისათვის და არა მნებავს სიკვდილი მათი, რაჲთუ დიდად სახმარ არიან ეკენი ჴტერთა და წინაალმდეგთა ჩვენთა ზედა. აიძულე დატოვებად სჯულისა თვისისა. უკეთუ უარ-ჰყონ სარწმუნოება თვისი და იქმნენ მუსულმან, მაშინ ჩვენ-მიერ დიდთა პატივითა და ნიჭითა სიმრავლესა ღირს-იქმნენ, ხოლო უკეთუ ესე არა ჰყონ და ურჩ ექმენ ბრძანებასა ჩვენსა, მაშინ ჴწარითა სა-ტანჯველითა დასტანჯენ და მერე სიცოცხლე მოუსპენ“.

როცა ესენი სელიმ-ხანს მიჰგვარეს შეკრულნი, დიდად გაუხარდა, ცბიერებით მოიკითხა და განუმარტა ბრძანება ყველისა, თანაც ურჩევ-და უარეყოთ სჯული ქრისტესი და ეწამათ მაჰმადი. მაგრამ ჩვენს გმირებს წინადვე ჰქონდათ გადაწყვეტილი და პირობა შეკრული, არ ეღალატნათ ქრისტესათვის, რაც უნდა სატანჯველი მიეყენებინათ, ამიტომ უარი გამოუცხადეს. მოლაპარაკე იყო ბიძინა, ხოლო პირობა და ნება საერთაოესი ერთი იყო. ხანი ბევრი ეცადა, რა საშუალება არ იხმარა, მაგრამ არ იქმნა, სიტყვით ვერას გზით ვერ დაითანხმა ესენი. მაშინ სხვა სახსარს მიმართა: უბრძანა სამივენი შეკრული ეთრიათ მიწაზე და ეცემნათ მათთვის. ხანის ბრძანება აღასრულეს, მაგრამ ტანჯულები ერთმანეთს ამხნევებდნენ, ყველაფერს ითმენდნენ და თანაც უფალს ევედრებოდნენ. შემდეგ მტარვალმა უარესი ტანჯვა მო-იგონა. მისი ბრძანებით გაატიტვლეს წმ. მოწამენი, შეუკრეს ხელ-ფეხი, დაჰყარეს სიცხეში და დასტოვეს უპატრონოდ. აქ მათ ცალკე ტანჯულ-ეჭველობა აწუხებდათ, ცალკე პაპანაქება და ცალკეც ბუზები. ასე შეუბრალებლად რომ დასტანჯა იგი სელიმ-ხანმა, ერთხელ კიდევ ურჩია მათ, აეღოთ ხელი თავიანთ სჯულზე, თუ არა და უარეს სა-ტანჯველსა და სიკვდილს უქადდა მათ, მაგრამ არ იქმნა, ვერაფრით ვერ შეაშინა ესენი და ვერ შეარყია მათი სარწმუნოება. ბოლოს გან-რისხებულმა სელიმ-ხანმა განიზრახა თავი მოეკვეთნა ერისთავები-სათვის, რომ ამითი თავზარი დაეცა ბიძინა ჩოლოყაშვილისათვის. მაგრამ მამაცი ბიძინა არამც თუ შეშინდა ამ განსაცდელის დროს, არა-მედ ამხნევებდა ელიზბარსა და შალვას და ასე ეუბნებოდა: „არა რაი არს უტკბილეს ქრისტესათვის სიკვდილისაო“.

ელიზბარი და შალვა შეეკვედრა უფალს და ამხნედ მიეგებნენ სიკ-ვდილს.

შემდეგ ამისა სელიმმა ერთხელ კიდევ ურჩია ბიძინას, აეღო ხელი ქრისტიანობაზე და მიეღო ისლამი, მაგრამ მან გადაჭრილი უარი.

უთხრა. მაშინ გაბრაზებულმა ხანმა უბრძანა შეერცხვინათ და გაეკიცხათ ბიძინა ჩოლოყაშვილი. მართლაც, მოიტანეს დედაკაცის ჩადრი, წამოასხეს გმირ თავადს, ბერე შესვეს ვირზე, ატარებდნენ ქუჩა-ქუჩა, დასცინოდნენ და ლანძღავდნენ. მაგრამ ამითაც-რომ ვერას გახდნენ, მოიტანეს მახვილები და დაუწყეს ნაწილ-ნაწილად ასოების მოკვეთა: პირველად მოჰკვეთეს მარჯვენა ხელის თითები სათითაოდ, მერე მარცხენანი და შემდეგ ფეხის თითები.

გმირი ბიძინა დაუცხრომლად ევედრებოდა ღმერთს. თითების შემდეგ მტარვალებმა მოსჭრეს მას ხელები მაჯებამდის და აგრეთვე ფეხები კოჭებამდის. შემდეგ მოჰკვეთეს ორივე მკლავები იდაყვამდე და ორივე წვივები მუხლებამდე. მოკვეთილ ასოებს ათრევდნენ მიწაზე და შეურაცხყოფდნენ. როცა ყველა ასო მოჰკვეთეს და მარტო თავიღა დარჩა ტანზე, სული კიდევ ედგა და გული უცემდა, მაგრამ ერთმა ჯალათმა აიღო შუბი და გაუპო გულ-მკერდი. ასე იტანჯა და ასე აღესრულა გმირი ბიძინა ჩოლოყაშვილი. ეს ამბავი მოხდა 1661 წელს.

გვამები წმ. მოწამეთა და მათი მოკვეთილი ასოები უსჯულო მტარვალებმა გადააგდეს უპატრონოდ შინდორში ძაღლთა და მხეცთა შესაჭმელად. შიშისაგან ვერავინ ბედავდა მათ წაღებასა და დაკრძალვას. მაგრამ ღამით ჩუმად მოვიდნენ თურმე იქაური ხომხები, შეკრიბეს წამებულთა გვამები, წაიღეს და თავიანთ ეკლესიაში დამარხეს.

შემდეგ რამდენიმე წელთა შალვა ერისთავის მეუღლემ ქეთევანმა ვაგზავნა სარწმუნო კაცები სპარსეთში, რომლებმაც გამოიძიეს, იპოვნეს მოწამეთა საფლავი, ამოიღეს მათი გვამები და წამოასვენეს ქართლში. მაგრამ ვერცერთის თავი ვერ იპოვეს საფლავში. როცა მოასვენეს, წინ სამღვდელოება და აუარებელი ხალხი მიეგებნენ და დიდის პატიკით დაკრძალეს იკორთის მთავარანგელოზის ტაძარში, რომელიც გორის მახლობლად იმყოფებოდა*.

ნაწილი ვლადიმირი და რუსთა მოქცევა

მეათე საუკუნემდის რუსები წარმართები იყვნენ და ღმერთებად მიაჩნდათ მზე, ქუხილი, ქარი, დედამიწა და სხვ. უმთავრეს მათ კერპს უწოდებდნენ პერუნს. ეს კერპი გაკეთებული იყო ხისაგან, მაგრამ თავი ვერცხლისა ჰქონდა და ულვაშები ოქროსი. ხალხი მას ხშირად ყმაწვილებსაც სწირავდა მსხვერპლად ხოლმე. მაგრამ 980 წელს რუ-

* მათ ხსენებას ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს 18 ენკენისთვეს.

სეთის ტახტზე ავიდა დიდი მთავარი ვლადიმირი და მან მონათლა თავისი ხალხი.

რუსებს დიდი ხანია კავშირი ჰქონდათ ბერძნებთან და ამიტომ კარგად იცნობდნენ ქრისტიანებს. მაშინდელ რუსეთის სატახტო ქალაქში კიევში მეათე საუკუნემდისაც-კი აღიარებდნენ ზოგნი ქრისტეს სარწმუნოებას.

როცა გაიგეს გერმანელებმა, ბერძნებმა, თათრებმა და ებრაელებმა, რომ რუსის მთავარს ვლადიმირს ახალი სარწმუნოების შიღება სურსო, უგზავნიდნენ თავიანთ მოძღვრებს, თვითეული მათგანი აქებდა თავის სარწმუნოებას და ურჩევდა ვლადიმირს მიეღო იგი. მაგრამ ვლადიმირმა ამ საქმის გადასაწყვეტად შეკრიბა თავისი დიდებულები და რჩევა ასკითხა. მათი რჩევით, მთავარმა ამოირჩია ათი კაცი და გაგზავნა იმ ქვეყნებში, საიდანაც მოდიოდნენ მქადაგებლები, რომ გაეცნოთ კარგად სხვადასხვა სარწმუნოება და მოეხსენებინათ მისთვის. როცა დაბრუნდნენ ისინი, მოახსენეს მთავარს, რომ ყველაფერი ვერ შეედრება ბერძენთა ღვთისმსახურებას და სარწმუნოებასო. ამგვარად ვლადიმირმა გადაწყვიტა მართლმადიდებელი სარწმუნოების მიღება. მაგრამ მას სირცხვილად მიაჩნდა ეთხოვნა საბერძნეთის ხელმწიფისათვის სარწმუნოება და ამიტომ ჯერ ომი გამოუცხადა.

ვლადიმირმა წაიყვანა ლაშქარი და შემოადგა ქალაქ კორსუნს, რომელიც ეხლანდელი სევასტოპოლის მახლობლად იყო. ქალაქის აღებამდის აღთქმა მისცა ღმერთს, თუ გავიმარჯვე, მოვინათლებიო. ვლადიმირმა აიღო ქალაქი და შეუთვალა საბერძნეთის მეფეს, თუ შენი და ანნა არ მომათხოვე, კონსტანტინოპოლსაც იმ დღეს დავაყენებ, რაც კორსუნს დავმართეო.

საბერძნეთის იმპერატორმა შემოუთვალა. მე დიდი სიხარულით ავასრულებდი შენს თხოვნას, წარმართი რომ არ იყოო. მაშინ ვლადიმირმა განაცხადა მონათლის სურვილი და მოსთხოვა საბერძნეთის ხელმწიფეს მღვდლები. მანაც გამოგზავნა როგორც მღვდლები, ისე თავისი და ანნა. ამგვარად მოინათლა 988 წელში ვლადიმირი და დაწერა ჯვარი ანნაზედ.

ვლადიმირი რომ კიევში დაბრუნდა, გამოსცა ბრძანება, სულ ერთიანად შეეგზავნათ კერპები. ბრძანება მისი აღასრულეს. უმთავრესი კერპი პერუნი გამოაბეს ცხენის კუდზე. ჩაათრიეს დნეპრზე და წყალში გადაგდეს. მერე ბრძანა ვლადიმირმა ხალხი სულ ერთიანად მდინარეზე შეკრებილიყო. მთელი ქალაქი დნეპრის ნაპირებს მიაწყდა. დიდები წყალში ჩავიდნენ და პატარები ხელში ეჭირათ. მღვდლები ნა-

პირიდან წიგნებს კითხულობდნენ და ისე სცემდნენ ნათელს ხალხს. ამგვარად მოინათლა ხალხი.

შემდეგ ამისა მღვდლები დადიოდნენ ერთი ქალაქიდან მეორეში და ნათლავდნენ ხალხს. ამგვარად გაავრცელა წმიდა ვლადიმირმა ქრისტიანობა თავის საბრძანებელში. ამის გარდა მან რამდენიმე ეკლესია ააგო და მღვდლებსაც სარჩო დაუნიშნა.

წმიდა ვლადიმირი გარდაიცვალა 1015 წელს. იმ ღვაწლისათვის, რომელიც მან აღმოუჩინა თავის ხალხს, ეკლესიამ შერაცხა იგი წმიდად, ხოლო ისტორიამ უწოდა მას დიდი.

ქრისტიანობა რუსეთში კიდევ უფრო გავრცელდა და დამყარდა ვლადიმირის შვილის, ბრძენი იაროსლავის დროს მეთერთმეტე საუკუნეში.

იოანე ხედაზნელი

შიო მღვიმელი

ანტონ მარტოთმყოფელი

ნმ. რუდენი

ევსტათი ჩაცოელი



დავითი და კონსტანტინე

ალბილ მეფე

ᏕᎾ. ᏗᏅᏙ

კონსტანტინე ქართველი

ილარიონ ქართველი

გიორგი მთაწმინდელი

ფაქიი ალმაშენებელი

ლუარსაბი

ქეთევან დედოფალი

ლირსი მამა
დავით გარეჯელი

(ცხოვრებაᲘდა მოღვაწეობა დავით გარეჯელისა)

მამა დავით გარესჯელი

I

ღირსი მამა დავით გარესჯელი იყო ასურელი. ის აღიზარდა წმ. იოანე ზედაძნელის მიერ და შეიძინა მისგან საღვთო სწავლა-მოძღვრება, რომლისაგან ყოველ კაცს მიეცემა ზეციური სიკეთე, თუ კაცი საღვთო სწავლა-მოძღვრებას დაიმარხავს სიწმიდით, ღირსებით და შეუცვლელად. წმ. იოანე ზედაძნელიც ასურელი იყო. მას დავითს გარდა ყავდა სხვაც ბევრი მოწაფენი, აღზრდილნი და განმტკიცებულნი, როგორც დავითი, საღვთო სწავლა-მოძღვრებაში. ასურეთში მყოფობის დროს წმ. იოანემ მიიღო ბრძანება ღვთისაგან, რომ ის წასულიყო საქართველოში თორმეტი მოწაფითურთ ქრისტიანობის გასავრცელებლად. წმ. იოანე დაემორჩილა ღვთის ბრძანებას: თორმეტი მოწაფითურთ ასურეთიდგან ის წამოვიდა საქართველოში. ეს მოხდა ორასი წლის შემდგომ წმ. მოციქულთა-სწორის ნინა ქართველთ განმანათლებელის დროითგან, როცა საქართველოს ეკლესიას განაგებდა ევლავიოზ კათალიკოსი (პატრიარქი). როდესაც წმ. იოანე თავის მოწაფეებით მიუახლოვდა მცხეთას, რომელიც იმ დროს იყო საქართველოს სატახტო ქალაქი, ევლავიოზ კათოლიკოსს გამოეცხადა ჩვენებით ანგელოსი და უბრძანა მას: „აჰა, მოვალს, იოანე, ყოველად განთქმული მონა უფლისა თავის მოწაფეებით, რომელმან განანათლოს ყოველი ეს ქვეყანა, როგორც პირველად ნინამ; აწ აღსდეგ და მიეგებე მათ". ევლავიოზ დაემორჩილა ღვთის ბრძანებას და მიეგება მათ. როდესაც ისინი შეხვდენ, ევლავიოზ კათალიკოსმა ღვთის განგებით იცნო ისინი, გადაეხვია წმ. იოანეს და მოიკითხა იგი: „კეთილად მოხვედ მამაო წმიდაო". წმ. იოანემ კათოლიკოსს თაყვანი სცა და უთხრა: „წმიდაო მეუფეო! კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან ღირსმყო თაყვანისცემად სიწმიდისა შენისა". ეგრეთვე იოანეს მოწაფეებმაც მიიღეს ლოცვა-კურთხევა კათოლიკოსისაგან. მაშინ, წმ. იოანემ მიიღო ღვთისაგან ნიჭი ქართულად ლაპარაკისა, იმგვარად, როგორც სული წმიდის გადმოსვლის დროს ქრისტეს მოციქულებმა მიიღეს სხვა-და-სხვა ენაზედ ლაპარაკის ნიჭი (საქ. მოც. 2, 1—4). იქ მყოფნი და რომელთაც ესმა ეს უცხო სასწაული განკვირვებით და შიშით ადიდებდენ ღმერთს საკვირველებათა მოქმედს. წმ. მამებმა მოვლეს საქართველოს ქალაქე-

ბი და სოფლები, იქადაგეს სახარება და განამტკიცეს ქართველნი ქრისტიანობაში, მერე ამოირჩიეს საცხოვრებლად ზედაზენის მთა, იქ კანონიერად ცხოვრობდნენ და გაანტარებდნენ დროს მოღვაწეობაში, ლოცვაში და მარხულობაში; მორწმუნე ქართველნი მიდიოდნენ მათთან, მიჰყავდათ ურიცხვი სნეულნი, ეშმაკეულნი, ბრმანი, ყრუნი და ყველანი განიკურნებოდნენ წმ. მამების ლოცვით. რადგანაც ისინი იყვნენ კეთილმორწმუნენი და წმიდანი, ამიტომ ჰქონდათ მათ ღვთისაგან მიცემული კურნებათა მადლი, თანახმად იესო ქრისტეს ბრძანებისა (მარკ. 16, 17—18) და პავლე მოციქულის სიტყვებისა (1 კორ. 12, 9). ორი იოანეს მოწაფეთაგანი — აბიბოს და იესე კათალიკოსის მიერ ხელდასხმულ და დადგენილ იქმნენ ეპისკოპოსებად ნეკრესისა და წილკნისა; სხვები წმ. იოანემ გაგზავნა საქადაგებლად ქართლ-კახეთს; თვითონ კი იქვე განაგრძო მოღვაწეობა და გააშენა იქ მონასტერი ბედიანისა.

II

მამა დავითმა თავის სულიერ მოღვაწეობისთვის პირველად აირჩია თბილისის მახლობლად დასავლეთისაკენ მდებარე მთა, რომელსაც ღღეს მთაწმიდას ეძახიან და იქ ერთ პატარა გამოქვაბულ კლდეში დაუმკვიდრა თავის განუყრელ და ერთგულ მოწაფით ლუკიანეთურთ. ეს ადგილი მაშინ ქალაქს გარეშე იყო (მაშინდელი თბილისი მთაწმიდამდე არ იყო გაშენებული) და წარმოადგენდა მყუდრო და განმარტოებულ ადგილს, რის გამოც ამ ადგილმა მიიქცია ყურადღება მ. დავითისა, მით უმეტეს, რომ ეს ადგილი იყო იგეთ ქალაქის მახლობლად, რომელშიაც ბევრი მცხოვრებთაგანი კერპთთაყვანისმცემელნი იყვნენ: ბევრი მცხოვრებთაგანი ცეცხლს სცემდნენ თაყვანს და დავითს, როდესაც ქრისტიანობის გასავრცელებლად მოვლენილს საქართველოში, შეეძლო თავის ქადაგებით მათი მოქცევა. მ. დავითი ლუკიანეთურთ ყოველ კვირა დღეს ჩადიოდა თბილისს და ქადაგებდა ქრისტეს სწავლას. თავის ქადაგებით და წმ. ცხოვრებით ბევრი ცეცხლის თაყვანისმცემელი მოაქცია და ქრისტეს სარწმუნოება მიაღებინა. თბილისის მკვიდრნი — ქართველნი ქრისტიანენი დიდი პატივისცემით უყურებდენ მ. დავითს, მიიჩნდათ იგი წმიდანად — ღვთისგან მოვლენილ ანგელოზად და დიდი ყურადღებით ისმენდნენ მის ქადაგებას. მაგრამ მაგრამ დავითს მტერნიც მალე გაუჩნდნენ: ჟურენნი (ცეცხლის თაყვანისმცემელთა ბოძღვარნი) სულ სხვა თვალით უყურებდნენ მ. დავითის ქადაგებას. იცით შურდათ და ძლიერ სწყინდათ, რომ მამა დავითმა

ბევრი კერპთაყვანისმცემელი მოაქცია და მათ შორის პატიცი დიონ-
სახურა. ქურუმთ სურდათ, რომ როგორმე დავითი თბილისიდან გაე-
დევნათ და ცეცხლის თაყვანისცემა ისევ გაეძლიერებინათ; თავისი
ბოროტი განზრახვის აღსასრულებლად ქურუმებმა მიმართეს ცილის-
წამებას და საქმე ასე მოაგვარეს: იქ, სადაც ახლა ქაშვეთის წმ. გი-
ორგის ეკლესია არის, იმ დროს იყო დედათა მონასტერი. იმ მონას-
ტერში ხანდახან მ. დავითიც შედიოდა. ერთმა იქაურმა მონაზონთაგან-
მა დაარღვია ღვთაებრივ ქალწულობისა, ჩაეარდა ცოდვაში და დაორ-
სულდა. მშობიარობის დროს ის საშინლად დაიტანჯა და შვილი არ
ეყოლა; დავითის მტრებმა — ქურუმებმა, რომელნიც სხვათა შორის,
კიდეც მეთხაოობდნენ, უთხრეს მშობიარეს, რომ ის, თუ ბავშვის მამად
არ დასახელებს დავითს, არ მორჩება და უსათუოდ მოკვდებაო. მან
გაუგონა ქურუმებს და მამა დავითს ცილი დასწამა: ბავშვის მამად
ალიარა. ამის გამგონე მართალი დავითი, ცილის წამებით ძლიერ შე-
წუხებულ-გამწარებული, მთავრობის მიერ დაბარებული, მივიდა მშო-
ბიარის სახლში, შეაჩერდა ზეცას და ღმერთს ლოცულობდა, რომ
ღმერთი შეწეოდა მას და ამ ცილისწამებისაგან გამოეხსნა იგი. ცილის-
წამება მძიმე ცოდვაა და ამიტომ ყოველი ქრისტიანე უნდა ერიდოს
მას. (გამოს. 20, 16; გამოს. 22, 28; გამ. 23, 1; გამ. 34, 6; ლე-
ვიტ. 19, 16; ფსალ. 33, 3; ეკლ. 10, 20; ეფეს. 4, 31; კოლას.
3, 8; 1 პეტრ. 2, 1; 2 კორინ. 12, 20, ტიტ. 3, 2; იაკ. 4, 11; 1
პეტ. 3, 10; ფსალ. 14, 1—3). ქურუმებმა და ყველა კერპთაყვანის-
მცემლებმა შექმნეს ყვირილი და თხოულობდენ დავითის დასჯას.
მოსწმენე ხალხი კი გაბრაზებულ და თვითონ არ იცოდა, რა ექმნა.
მაშინ მ. დავითი წარსდგა წინ და უთხრა ხალხს: „ძმანო და შვილნო!
თვით ღმერთმან იცის, რომ მე ამ საქმის არა ვიცი რა და, თუ მართ-
სიტყვა მართალია, თვით ღმერთმან გამოაჩინოს ეს საქმე". ნეტარ
დავითის თხოვნით ის დედაკაცი დააყენეს დავითის წინ. დავითმა ხმა-
ღალლა უთხრა მას: „დედაკაცო! რა ბრალი ქვენ მე შენთანა"? და-
დედაკაცი კი ურცხვად და უშიშრად ხმამაღლა აბრალებდა დავითს თავის
ფეხმძიმობას. მაშინ, მ. დავითმა ილოცა ღმერთი: „უფალო ღმერთო
ჩემო! ღმერთო მართალთაო და არა უსჯულოთაო, ვიცი, რომ შენ
წინაშე არა რაა არს დაფარულ, გამოაჩინე ჭეშმარიტება საქმისა ამ-
ის"... თავის რკინის ჯოხი, რომლის თავზე პატარა ჯვარი იყო, შეაგდო
იმ დედაკაცის მუცელს და ჯერ კიდევ დაუბადებელ, მუცელში მყოფ-
ყმაწვილს ჰკითხა: „მე ვარ მამა შენი?" მუცლითგან გამოისმა ხმა
ყმაწვილისა: „არა, არა" და დაბადებული ვიღაც მჭედელი თავის მამად.
ამგვარად ღმერთმა ისმინა ლოცვა მის მართლისა და გამოაჩინა სა-

პარიოლე მისი. „ორასაცა ითხოვდეთ სარწმუნოებით, ბრძანებს უფალი, ეკადოს თქვენ“ (მათ. 21, 22; მარკ. 11, 24; იოან. 14, 13—14; იოან. 16, 23—24; იაკ. 1, 5—6; 1 იოან. 3, 22, 23). ეგეთის სასწაულის გამო გაკვირვდნენ და გაშტერდნენ ყოველნი იქ მყოფნი, ხალხიც და ქურუმიც და ხმა ველარ ამოიღეს. მაშინ იმ დედაკაცს უთხრა მ. დავითმა: „შენ ქვას შობ“. ხოლო შერცხვენილ ქურუმებმა დავითს ვერაფერი შეუხერხეს და ის დედაკაცი კი ჩაქოლეს ქვითა. იმ დედაკაცმა ჩაქოლვამდე მართლა შვა ქვა თუ არა, არ ვიცით, მაგრამ იმ ადგილს აღშენებულ წმ. გიორგის ეკლესიას კი დაერქვა სახელად და დღესაც უწოდებენ ქვაშვეთის (ანუ შეჩოჟლებით ქაშვეთის) წმ. გიორგის ეკლესიად.

III

ამ გარემოების გამო მ. დავითი ლუკიანეთურთ განშორდა პირველ თაკის სადგომ ბინას, გავიდა მდინარე მტკვარში და ცოტა დროებით დაბინავდა ნათლულის მაცლობლად მტკვრის პირას გამოქვაბულ კლდეში; ხოლო აქედგან წავიდა დავითი ლუკიანეთურთ აღმოსავლეთისაკენ, გაცილდა ყარაიაზის მინდვრებს და მივიდა ერთ კლდოვან ადგილს — უდაბნოში, რომელიც იყო განშორებული სოფელს და სოფლის შფოთს, უწყალო, მზისგან გადაშწვარი და მოკლებული ყოველსავე, რაც კაცის საზრდოდ გამოსადეგია. მამა დავითს ეს ადგილი მოეწონა საცხოვრებლად და უთხრა ლუკიანეს: „ძმაო ლუკიანე! ვხედავ, რომ ეს ადგილი კარგია და შფოთთაგან თავისუფალი, დავდგეთ აქ მარტოებით, ვეეკედროთ ღმერთს, ვიმარხულოთ, მღვიძარე ვიყვნეთ, დავითმინოთ ყოველივე ხორციელი ნაკლულევანება და გასაჭირი, ცოდვა მოკვნანიოთ და მოწყალემან ღმერთმან, იხილოს რა გულსწრდგინება ჩვენი მისსა მიმართ, მოგვაგოს ჩვენ ნაცვლად კეთილი, მოგვცეს ჩვენ საღვთო მადლი, ჩვენი უძლურების განმკურნებელი, მოგვცეს მოთმინება; ამ სოფლის შეიწრობა და გასაჭირი მალე წარმავალია, ერთი წუთისაა, ხოლო შვება და დიდება ღირსთა და მოღვაწეთა საუკუნოა“. ლუკიანემ მიუგო: „ღმერთშეჩოსილო მამაო! სიტყვა შენი ჭეშმარიტია და საღვთო წერილშიც სწერია, რომ ღმერთი მიაგებს ყოველ კაცს საქმეთაებრ მათთა, რაც კი იმოქმედონ ამ წუთისოფელში კეთილი, ანუ ბოროტი“ (რომაელ. 2, 6; 1 პეტრ. 1, 17; იობ. 34, 24—25; იერ. 32, 17—19), მაგრამ ამ უდაბნოში დიდ იწროებაა ეხედავ: ეს ადგილი მოკლებულია ყოველ საჭირო საზრდოს და

ოვით წყალსაც და ჩვენ კაცნი ვართ, მეშინის, რომ ვერ შეეძლოთ ზოთმეენა ამ უდაბნოს ჭირთა და იწროებათა". ამ სიტყვებზედ მ. დავითმა მიუგო: ძმაო ლუკიანე! ამისთვის ნუ ზრუნავ: ღმერთმან, რომელმან უდაბნოში ებრაელებს საზრდელად მანანა უწვიმა (გამოს. 16, 4—35), კლდისაგან გამოადინა წყარო (გამოს. 17, 6; რეგ. 9, 15; ფსალ. 77, 15—16; ფსალ. 104, 41; ფსალ. 113, 8; ისაია 48, 21), კარმელის მთაზე ილია ყორნისა მიერ გამოზარდნა (3 მეფეთ, 17, 2—6), ჩვენცა გამოგვზარდნეს საზრდელითა მით, რომელიცა ინებოს მოწყალებითა მისითა, ვინაიდგან ბრძანებულ არს ჩვენდა: ნუ ზრუნავთ ხვალისათვის (მათ. 6, 34), რამეთუ იგი თავადი აღალებს ხელსა თვისსა და განაძღებს ყოველსა ცხოველსა ნებისაებრ თვისისა (ფსალ 13, 27—28); მან ჩვენც მოგვცეს საზრდელი, ჩვენთა სხეულთა უძლურების განმაქარვებელი. ახლა, ძმაო, გამხნევდი და განძლიერდი, სხვებთან ჩვენც გამოგვზრდის ღმერთი". ამ სიტყვებით გამხნევებულმა ლუკიანემ უთხრა დავითს: „პატიოსანო მამაო! როგორც ბრძანე, ეგრე ეყოთ, ხოლო ღმერთმან, რომლის იმედი გვაქვს, იზრუნოს ჩვენი ცხოვრებისათვის". ამგვარად იმათ გადაწყვიტეს იმ უდაბნოში მოღვაწეობა, დაიარეს უდაბნო, პოვეს პატარა გამოქვაბული კლდე და იქ შეიფარეს თავი სიცხისა და წვიმისაგან. იქ დაბინავდენ და ატარებდენ დროს ლოცვაში და მარხულობაში და საზრდოობდენ სხვადასხვა ბალახებით და მათი ძირებით.

IV

ამ უდაბნოში სიცხისაგან ბალახი მალე გადახმა და ლუკიანემ მწუხარებით შეჩივლა დავითს: „აწ წვიდაო მამაო! რალა იყოს ნუგეშისმცემელი ჩვენი და რით ვისაზრდოოთ თავი; ბალახნი განხმენ და ჩვენთვის უხმარ იქმნენ". დავითმა, იხილა, რა ეგრე მწუხარებით მოლაპარაკე ლუკიანე, უთხრა მას: „ძმაო ლუკიანე! რად დაგიდევს იმედი ბალახზედ და ქვეყნიურ მცენარეზედ? თუ არ იცი, რომ ყოველივე ქვეყნიური ნივთი ცვალებადია და წარმავალი, ყოველივე თავის დროზე აღორძინდება და მყოფობს და თავის დროზე განიხრწნება, როგორც დაუდგრომელი და წარმავალი და მხოლოდ სული უცვლელად ქმნილი ღვთისა მიერ სამარადისოდ დაადგრების მიღებად ნაცვალგებათა; თუ არ გაგიგონიათ საღმრთო წერილის სიტყვები: მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენნი (ლუკ. 21, 19), რისთვის იქმენ ეგრე ძლიერ სულმოკლე? ნუ თუ არ იცი, რომ ქრისტეს მცნებისთვის უკე-

ღე მოკვდეთ შინშილით, ანუ წყურვილით. ხორციელი სიკვდილის მაგივრად მივიღოთ საუკუნო სულიერი ცხოვრება; რას სწუხხარ ბალახთა და მცენარეთათვის, ესენი პირუტყვთა საზრდოთ არს მოცემული, ჩვენ კი ვართ სიტყვიერნი და კაცთათვის შემსგავსებულითა საზრდელითა ვკვებარდნეს ჭეშმარიტმან ყოველთამან" (მეორე სჯულ. 10, 18).

სიტყვების კათალიკოსთანავე ღვთის განგებით მოვიდა მათთან ხანი ირმები თავიანთ ნეკერებიანად და გაჩერდნენ, როგორც ცხვარნი. დავითმა უთხრა ლუკიანეს: „მოიღე, ძმაო, პინაკი (ჯამი) და მოწველე ეს ირმები, ღვთისაგან მოვლინებულნი ჩვენდა გამოსაზრდელად. ამ უცხო ხანახავით გაკვირვებული ლუკიანე ადგა, მოწველა ირმები და დადგა პინაკი რძით. დავითმა გადასახა ჯვარი და რძე შედედდა ახალ ყველად: აიღეს ეს ყველი. სჭამეს საკმაოდ და მერე წამოსთქვეს: „სჭამონ დავრდომილთა და განძღენ და აქებდენ უფალსა, მომცემელსა ყოველთა კეთილთასა და ნუგეშისმცემელსა ყოველთა მოშიშთა და მადიდებელთა მისთასა". ამის შემდგომ ლუკიანემ უთხრა დავითს: „პატიოსანო ძმაო! ჭეშმარიტად საკვირველ არს ღმერთი და კურთხეულ არს სახელი წმიდა მისი, რომელმან შენი ლოცვით მტკიცე და შეურყეველ ჰყო გული ჩემი და თვით სული და გონება ჩემი ბნელისაგან გამოიყვანა ნათლად, შიმშილისაგან რომ განილიოს ხორცი ჩემი და წყურვილით მოაკლდეს სული ჩემი, აღარ ვზრუნავიდე ამა მოკვდავთა და დაუდგრომელთა ხორცთათვის და არცა ვდრტვინვიდე მე საზრდელთათვის, როგორც ურჩი და ურწმუნო ისრაილი (ამოს. 16, 2—3), არამედ სრულიად დაგემორჩილო და მოხარული ვიმედოვნებ სულით, რომ შენი მადლით მივემთხვიო ზეციერ სასუფეველს". წმ. დავითი ამ სიტყვებზე გამხიარულდა და უთხრა ლუკიანეს: „კეთილი, ძმაო ლუკიანე, კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან განამტკიცა გული შენი და განანათლა სული და გონება შენი მის შიერითა ნათლითა". იმათ განაკრძეს მოღვაწეობა თავის ბინაზე — გამოქვაბულ კლდეში, მუდამ აღაკლენდენ ლოცვას ღვთის წინაშე და იყვენ მღვიძარენ; ირმები კი ყოველდღე მოდიოდნენ მათთან ცხოსაზრდელად მათდა, გარდა ოთხშაბათ-პარასკევისა, როცა ეს მოღვაწენი არაფერს არ სჭამდნენ.

V

იმათ ბინას ქვემოთ იყო გამოქვაბული კლდე, რომელშიაც დამკვიდრებული იყო ვეშაპი დიდი და საზარელი: მას ჰქონდა დიდი აგზნებული თვალები, დიდრონი რქები და კაგრის მსგავსი ბალანი. ჩვეუ-

ლებისამებრ ერთ დღეს დავითთან მოდიოდნენ ირმები თავიანთ ნუკრებით. იმათ ამოევლოთ იქ, სადაც ვეშაპი ბუდობდა და ვეშაპს მათთვის ერთი ნუკრი მოეტაცნა. ირმებმა მოირბინეს ლუკიანესთან აღშფოთებულებმა და შეშინებულებმა. ლუკიანემ ეს გარემოება მოახსენა დავითს და დაუმატა, რომ ერთი ნუკრი აკლიათო. დავითმა აიღო თავისი ჯოხი, რომელზედაც იყო ჯვარი, წავიდა იქითკენ, საიდანაც ირმები ამოვიდნენ და იქით-აქეთ იხედებოდა, უნდოდა გაეგო: ვინ შეაშფოთა ირმები და მოსტაცა მათ ნუკრი; ამ დროს დაინახა მან საზარელი ვეშაპი, თუმცა გაუკვირდა მისი სიდიდე, მაგრამ არაფრად ჩააგდო: ღვთის იმედი ჰქონდა და სწამდა, რომ დაიმორჩილებდა მას (მარკ. 16, 18; ფსალ. 90, 13). ამიტომ მრისხანედ დაუძახა მას: „ბოროტო თავო! რად ავნე ჩემ ირმებს და შეჭამე ნუკრი მათი, გამოდი მაქედგან და წადი უდაბურს ადგილს; ეს უდაბნო კი უნდა იქმნეს ქალაქად მოღვაწეთა ღვთისათა, და უკეთუ არ გამოხვიდე, ამ ჯოხზე გაკეთებულ ქრისტეს ჯვარით განვაპო მეცელი შენი და ზიგცე შენ საზრდოდ ნატლთა“. ვეშაპი შეიპყრო შიშმა, დაემორჩილა დავითს, გამოვიდა და წავიდა იქიდგან, მაგრამ ღვთის ვანგებით გზაზე ვეშაპს დაეცა მეხი და მისგან დაკვესებულ ცეცხლმან დასწვა იგი. მსგავსად ამისა, როგორც ძველ აღთქმაში დაწვა უფლისაგან მოვლენილ ცეცხლმან ღვთის წინააღმდეგნი ისრაელნი (რიცხ. 11, 1—3; რიცხ. 16, 35).

VI

ამის შემდგომ გავიდა რამოდენიმე დრო და იმ უდაბნოში, სადაც მოღვაწეობდა მაშა დავითი ლუკიანეთურთ, კაცეთითკენ მოვიდენ მონადირენი, რადგანაც იქ იყო ბევრი ნადირი: ირემი, გარეული თხა და სხვა. მონადირეებმა შეხედეს დავითის ირმებს. რომელნიც ვიწრო კლდისკენ მიდიოდენ და გამოუდგნენ. მათ იფიქრეს: ვიწრო კლდეში ადვილად ჰოვკლავთ ირმებს და ხელთ ვიგდებთო. ირმები ჩვეულებისამებრ მოვიდენ დავითთან და ლუკიანემ დაუწყო მათ წველა. ამ დროს მონადირეებმაც მოაღწიეს და, რომ დაინახეს ირმები ცხვრებივით გაჩერებულნი და ლუკიანე მწველელი მათი, ძლიერ გაკვირდნენ. თაყვანი სცეს ბერს და სთქვეს: „ბოი, წმიდაო ღმერთო! რა არს უცხო ესე საკვირველი, რომელსა ვხედავთ, რომ ეს ირმები — გარეულნი ნადირნი, ისე სიმშვიდით მდგომარე არიან. როგორც შინ ბაზდილნი ცხვარნი“. ბერმა სიმშვიდით მიუგო მონადირეებს: „რათ გიკვირთ დიდებულება ღვთისა, რომელი ყოველ დაბადებულს ზრდის“. (ფსალ.

103. 11—29). ჩვენც უძლურთა ამათ გვზარდის ამა ნადირთაგან, რა-შეთუ ჩვენ ყოველი მოველით ღვთისგან თავის დროზე საზრდელის მოკემას. ხოლო თქვენ, ძმანო ჩემნო, სხვა სანადიროს მიმართეთ და წადით. რადგანც ეს ირმები უფალს ჩვენდა სანუგეშოდ მოუცია". ის მონადირენი ქრისტიანი იყვნენ და სთხოვეს მამა დავითს, რომ მიეღო ისინი უდაბნოში და ესწავლებია მათთვის მეცნიერება და სჯული. მათ თხოვნაზე დავითმა უთხრა: „ნუ, შვილო და ძმანო! ნუ იქმთ ამას, ეს ადგილი, როგორც ხედავთ, კაცთათვის საცხოვრებელად ძლიერ ფიცხია. უმჯობესია წადით თქვენს ქვეყანას და ემსახურეთ ღმერთს, ბოროტებას ერიდეთ, გლახაკთა და უღონოთა შეეწეოდეთ და მათ ნაკლულევანებას ალავსებდეთ; იცოდეთ, რომ, ვინც გლახაკს მოწყალებას აძლევს, ის ღმერთს აკასხებს". (იგავ. 19, 17) ამ სიტყვებით მამა დავითმა განუმარტა მონადირეებს, რომ ღვთის მსახურება და სულის ცხოვნება შეიძლება სოფელშიაც — თავის სახლში, უკეთუ კაცი განიშორებს ანუ არ იქმს ბოროტებას, კეთილად იცხოვრებს; იქმნება ღვთის მორწმუნე და ღვთის მოშიში, ღვთის მაკეთებელი და გლახაკთა და გაჭირვებულთა შემწე და მოწყალე. მონადირენი დაემორჩილნენ დარიგებას, წავიდნენ თავთავიანთ სახლებში და ყოველივე, რაც ნახეს და გაიგონეს მამა დავითისაგან, უამბეს იმ ქვეყნის მცხოვრებთ. ბევრი ღვთის მოშიშნი, ამ ამბის გამგონენი, მიდიოდნენ მ. დავითთან, ზოგი ლოცვა-კურთხევის მისაღებად და ზოგი კი ეეკერებოდა მას, რომ დავითმა მიიღოს ისინი ღვთის სამსახურებლად უდაბნოში. დავითმა უთხრა მათ: „ეს ადგილი მძიმე სამყოფია, მოკლებულია ყოველ საზრდოს და ვშიშობ, რომ ვერ შეძლოთ ამ უდაბნოს იწროების მოთმენა." ამ სიტყვებზე იმათ აღუთქვეს ყოველივე იწროების მოთმენა ქრისტეს სარწმუნოებისთვის. მაშინ დავითმა უბრძანა, რომ მათ დაეტოვებიათ ყოველივე სოფლიური ზრუნვა, მოსულიყვნენ უდაბნოში, მოეტანათ რკინები და ამოეკვეთათ კლდე წვიმის წყლის მოსაგროვებლად და ეკრეთვე გამოეკვეთათ კლდე თავიანთ ბინებად. იმათ ყოველივე ბრძანება დავითისა აღასრულეს და იწყეს მოღვაწეობა დავითთან უდაბნოში. დავითის წმიდა ცხოვრება, მოღვაწეობა და სასწაულთ-მოქმედება შეიტყეს არა მარტო მახლობელ სოფლებში, არამედ შორეულ სოფლებშიაც და ყოველდღე ემატებოდა მოღვაწეთა რიცხვი და ამავარად გაშენდა ეს უდაბნო, რომელსაც დაერქვა სახელად დავით გარესჯის უდაბნო.

ეს უდაბნო ანუ მონასტერი უფრო გადიდდა სანატრელის დოდოს მოსვლის შემდგომ. დოდო იყო ყოველივე სათნოებით შემკული ბერი. წინათ ის ცხოვრობდა აღმოსავლეთისკენ. გაიგო თუ არა მამა დავითის წმიდა ცხოვრება, მოვიდა მასთან და გარესჯის უდაბნოში იწყო დავითთან ერთად მოღვაწეობა. დავითმა, იხილა რა მისი სარწმუნოების სიმტკიცე, უთხრა მას, რომ ის ასულიყო იმ მთის წვეროზე, გაეშენებია სენაკები და აეყვანა იქ ძმანი-მოღვაწენი. დოდომ აღასრულა დავითის ბრძანება: ავიდა მთაზე, ამოკვეთა კლდე წყლის შესაგროვებლად, კლდეშივე გამოკვეთა მრავალი ქვაბი ძმათა — მოღვაწეთა საცხოვრებელად და იქ აღიყვანა ძმანი, ხოლო დავით დარჩა იქვე. ხანდახან ისიც ადიოდა მთაზე ძმათა სანახავად, სხვა დროს კი გადიოდა მარტო კლდის ნაპრალებში და იქ ზეცას ხელ აპყრობილი მხურვალე ცრემლით ევედრებოდა ღმერთს. ერთ დღეს იდგა ის ერთ კლდის ძირას და ჩვეულებისაებრ ხელაპყრობილი ლოცულობდა. ამ დროს მის ფეხებთან დაეცა კაკაბი, რომელიც ქორს გამოქცეოდა; მის მახლობლად ქორიც დაჯდა. იმ უდაბნოში ამოსულიყო სანადიროთ ქორიანათ ერთი კერპთაყვანისმცემელი, ქორი კაკაბისთვის მოეტოვებია და ცხენით მოირბინა იქ. სადაც დავითი ლოცულობდა და კაკაბი დაეცა. ვგონა ქორმა კაკაბი შეიპყრო და უნდოდა ქორისთვის ნანადირევი გამოერთმია. როდესაც ახლოს მივიდა, დაინახა კაცი ლოცვად მდგომარე. კაკაბი მის ფეხებთან მდებარე და ქორიც იქვე ახლო მჯდომარე. ძლიერ გაკვირდა და განცვიფრებით დაუძახა მამა დავითს: «ვინ ხარ შენ, კაცო?! საიდგან მოსულხარ და დამკვიდრებულხარ აქა"? მამა დავითმა მიუგო: «მე მონა ვარ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ვევედრები მას ცოდვების მოტევებას». მონადირემ კიდევ ჰკითხა: «ვინა არს აქა მზრდელი შენი და ნუგეშინისმცემელი»? დავითმა მიუგო: «რომელსა მე ვესავ. რომლის იმედი მე მაქვს და თაყვანს ვსცემ. იგი არს მზრდელი ჩემი; ხოლო შენ დატოვე ფრინველი ესე, რომელიც ჩემთან მოვიდა და სხვანან წადი სანადიროთ». ამაყად ცხენზე მჯდომარემ უთხრა დავითს. «ჰოი, საწყალობელო ბერო! მე შენი მოკვლა მინდა და შენ ფრინველის გაშვებას მეუბნები; ჯერ შენ უნდა შენი სიცოცხლე გეთხოვა ჩემთვის». ღმერთი იფარავს ყოველ თავისს ქმნილებას და მეტადრე ღვთის მოშიშს და მორწმუნე კაცს (ფსალ. 35, 7: იობ. 10, 12; მათ. 10, 6—7; ლუკ. 11, 18) და ამიტომ დავითს ღვთის იმედი ქონდა. რომ ღმერთი დაიფარავდა მას ამაყი მონადირის ხელისაგან და დამშვიდებით უთხრა მას: «შენ არა გაქვს

არც ჩემი მოკვლის და არც ჩემი გაშვების უფლება და არა თუ ჩემი, ამ ფრინველის მოკვლის უფლებაც არა გაქვს, ღმერთი ჩემი შემწე არს და ის დამიფარავს მე შენის მუქარისაგან». ამის გამგონე ამპარტავანმა მონადირემ ამოიღო მახვილი და უნდოდა მოეკლა მამა დავითი. მაგრამ ღვთის ჯანგებით ჰაერში აღმართული ხელი, რომელშიაც მახვილი ეჭირა დავითის დასაკრავად, გაუშეშდა და ვეღარ მოხარა. ნაშინ გაიგო მან ძლიერება ღვთისა, ჩამოხდა ცხენითგან, დაეცა პირქვე დავითს წინ და თხოვდა მას ცრემლით შეცოდების პატიებას და თავის განკურნებას. დავითს მასზედ გული შეტკივდა და ევედრა ღმერთს მის განკურნებას: «უფალო, იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, სახიერო და კაცთ მოყვარეო. რომელმან შეიწყნარე მვედრებელი შენი, რომელსაც ხელი გამხმარი ქონდა და განკურნე იგი (მათ. 12. 10—13; მარკ. 3. 1—5; ლუკ. 6. 5—10). ეგრეთვე, მეუფეო, განკურნე ხელი ამ საწყალობელ კერპთთაყვანისმცემლისა, რომელმან ამაყობით აღიღო მარჯვენა თავისი ჩემზედა — უღირსისა ამის მონისა შენისა, რომ გულს ხმა ყოს და გიცნოს შენ ღმერთი მხოლო მოქმედი საკვირველებათა». ამ ლოცვის შემდგომ დავითმა შეახო თავისი ხელი მონადირის ხელს და განეკურნა მონადირეს ხელი, მსგავსად იმისა როგორც იერობუამ მეფეს, რომელსაც უნდოდა დაჭერა ღვთისაგან მოვლენებულ წინასწარმეტყველისა, შეახმა ხელი და მერმე იმავე წინასწარმეტყველის ლოცვით განეკურნა მას ხელი (3 მეფეთ. 13, 4—6). მონადირე ძლიერ გაკვირდა და მადლობა შესწირა ღმერთს; მერმე ტირილით სთხოვა დავითს, რომ მას განეკურნებია მისი შვილი, რომელიც ყავდა მას ხელფეხგამხმარი. მონადირემ უთხრა დავითს: «ნერწავს. უკეთუ ევედრო შენ უფალსა შენსა მისთვის, გისმენს უფალი და უკეთუ განიკურნოს იგი, უმეტეს იდიდოს სახიერება უფლისა, მე და ყოველმან ნათესავმან ჩემმან მივიღოთ ნათლისღება, ვაქებდეთ და ვადიდებდეთ მას და ვიყოთ მსახურ სიწმიდისა მისისა». როგორც იესო ქრისტემ უთხრა მეფის კარის კაცს: წადი ძე შენი განკურნებულ არსო და განიკურნა ძე მისი (იოან. 4, 46—54), ეგრეთვე მამა დავითმა უთხრა: «წადი შინ და პოვო ძე შენი განკურნებული». ბუბაქარ (მონადირეს ბუბაქარ ერქვა) წავიდა სიხარულით და მართლა განკურნებული დახვდა ძე თვისი, რომელიც დიდი სიხარულით და ხტომით გამოეგება მამას. წინეთ კი მას ხელით აყენებდნენ და დაყავდათ. ბუბაქარ გადმოხტა ცხენიდან, მადლობა შესწირა ღმერთს და თავის ცოლშვილს უამბო ყოველივე გარემოება. ყველა მისი ნათესავნი დიდი სიხარულით აადიდებდნენ ღმერთს საკვირველებათა მოქმედს.

მეორე დღეს ადრე ბუბაქარმა დატვირთა სახედრები პურით და მწვანილით, წაიყვანა განკურნებული ძე თვისი და მოსამსახურენი და წავიდა მ. დავითთან უდაბნოში; მივიდა და მიართვა მას პური და მწვანილი, მიუყვანა ძე თავისი და მადლობა შესწირა ღმერთს და დავითს, მონასა უფლისასა. დავითმა ბუბაქარ, მისი შვილი და მოსამსახურეები ლოცვა-კურთხევით მოიკითხა, მერე შეკრიბა ძმანი — მოღვაწენი, ყველას განუყო ბუბაქარის მოტანილი პური და მწვანილი და ისადილეს, ხოლო ბუბაქარს ჰკითხა: რა უნდა რომ სთხოვოს მას? ბუბაქარმა სთხოვა მონათვლა თვისი და თავის ნათესაობის. მ. დავითმა გაატანა მათ მღვდელი, რომელმაც მონათლა ბუბაქარ და სახლეულობა მისი. შემდგომ ამისა ბუბაქარ კიდევ მოვიდა დავითთან, მოიყვანა მუშები, გამოაკვეთინა კლდე და გააკეთა ეკლესია სალოცავად მოღვაწეთა.

VIII

შემდგომად ამისა გავიდა რამოდენიმე დრო და მამა დავითმა მოინდომა ქალაქ იერუსალიმს გამგზავრება წმ. ადგილების თაყვანისსაცემლად და მოსალოცავად. თავისი აზრი განუცხადა თავის მოწაფეს ლუკიანეს და უთხრა, რომ ის დარჩენილიყო უდაბნოში წინამძღვრად მოღვაწეთა — ძმათა. ლუკიანე, ამ სიტყვების გამგონე, ძლიერ დაღონდა, შეწუხდა და უთხრა მ. დავითს: «წმიდაო მამაო! ჩემი სიკეკდილის დღემდე ვერ განგშორდები შენ და მეც შენთან უნდა წამოვიდე". მამა დავითმა მიუგო: „ძმაო! რად იტყვი ღვთის წინააღმდეგ სიტყვას, თუ ჩვენ ორნივენი წავედით. ჩვენი შრომა ცუდად ჩაივლის: ღვთის სადიდებლად ჩემგან შეკრებილნი ძმანი ხელმეორედ გაიბნევიან დაბებში და სოფლებში და ისინი, როგორც მწყემსთაგან მიტოვებული სამწყსო, მიიტაცნეს და წარწყმიდეს მგელმან სულიერმან. დადექი, აქ ძმაო, მე კი წავალ და კერძოობით შენთვის და აქ დარჩენილთათვის ვევედრო ღმერთსა და ნუ დამაბრუნებ, ძმაო, რადგანც ძლიერ მსურს წასვლა და წმ. ადგილების თაყვანისცემა, სადაც ცათა მყოფელი ღმერთი ჩვენთვის კაციქმნა და კაცთათანა იქცეოდა". ამ სიტყვების გამგონე ლუკიანე თანახმა გაუხდა იქ დარჩენაზე, ხოლო მ. დავითი წავიდა იერუსალიმს და თან წაიყვანა რამოდენიმე მოღვაწეთაგანი. როდესაც მიუახლოვდნენ იერუსალიმს და დაინახეს იგი, მამა დავითი დავარდა პირქვე მიწაზე და ცრემლით მადლობდა ღმერთს, რომელმანც ღირსჰყო იგი ხილვად ამ წმ. ადგილისა. იერუსალიმში შესვლა აღარ ინება. თანამოგზაურნი მისნი ეხვეწე-

ბოდნენ მას, რომ ის მათთან ერთად შესულიყო იერუსალიმს, მაგრამ დავითმა ჩათვალა თავისი თავი უღირსად და უთხრა მათ: „ძმანო! თქვენ წადით და ლოცვა ყავთ ჩემ ცოდვილისათვის, მე კი ვერ გავ-ბედავ სიარულს ჩემის ცოდვილი ფეხით იმ წმიდა ადგილებზედ, რომელთა ზედა ვლეს უბიწოთა და ღმერთკაცებრივთა ფერხთა შე-ბოძმედისა ჩემისათა; საკმაოა ჩემთვის მადლი ესე, რომ ღირს ვიქმენ ჩემი უღირსი თვალით ამ წმ. ადგილების ხილვად“. თანამოგზაურები გამოეთხოვენ დავითს, დატოვეს იგი და წავიდენ. ხოლო მშვიდმა დავითმა დიდხანს ცრემლით და მუხლმოდრეკით ილოცა იქ ღმერთი, შერე იმ ადგილითგან აიღო სამი ქვა, როგორც თვით ქრისტეს საფ-ლავისგან გამოკვეთილი სარწმუნოებით, ჩასდო მალაკში (მალაკი პატარა კალათის მსგავსად მოწნული ჭურჭელია), წამოიღო ისინი და დაბრუნდა გარესჯას. იმ ღამეს იერუსალიმის პატრიარქს ელიას გა-მოეცხადა ჩვენებით ანგელოსი უფლისა და უბრძანა მას: „იერუსალი-მამდე მოვიდა საკუთარი მონა ჩემი დავით და სარწმუნოებითა მისი-თა წაიღო მადლი იერუსალიმისა; ხოლო შენ გაადევნე ფეხმალნი კაცნი, რომ დაეწიონ მას, ის არის შემოსილი დაბებკული სამოსლით და თან აქვს ძველი მალაკი, რომელშიაც უწყვია სამი ქვა, და უთხარ მათ, რომ ორი ქვა გამოართვან და მოიტანონ იერუსალიმშივე და ერთი ქვა მისცენ მას და უთხრან ეგრეთ: ამას გიბრძანებს შენ უფალი: შენი სარწმუნოებისათვის მიგიღია შენ მადლი ქალაქისაგან ჩემისა წმინდისა იერუსალიმისა, ხოლო მე მნებავს, რომ ორი ნაწილი უკანვე დაგაბ-რუნო იერუსალიმამდე და მესამედი იგი მომიცია შენთვის წაღებად უდაბნოსა შენსა, წადი მშვიდობით, წმიდა ყავ იგი შენი მისვლით და იქ განისვენო შენ“. ამ ჩვენების გამო პატრიარქი ძლიერ გაკვირდა და ყოველივე აღასრულა ისე, როგორც უბრძანა მას უფალმან. პატ-რიარქის გაგზავნილი კაცები დაეწიენ მ. დავითს. იცვნეს იგი და ყო-ველივე უამბეს, ორი ქვა გამოართვეს და ერთი მისცეს მ. დავითს. მამა დავითი ძლიერ გაკვირდა ამ შემთხვევის გამო, დავარდა პირქვე მიწაზე, ცრემლით ასველებდა დედამიწას და ადიდებდა ყოვლად წმ. სამებას: „დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, მამაო უშობელო, მიზეზო ყოველთა კეთილთა; დიდება შენდა ქრისტე ღმერთო ჩვენო, მხოლოდ შობილო ძეო, მხოლოსა მამისაო; დიდება შენდა, სულო წმიდაო, მამისაგან გამოსულო და ძისათანა დიდებულო; სამებაო წმიდაო ერთ-არსებაო. ღმერთო ყოველთაო, რომელმან ღირს იჩინე ჩემზედაცა ცოდვილსა ამას და უღირსსა მონასა შენსა, მომხედენ სახიერებისა შენისათვის და არა უგულებელს მყავ მვედრებელი შენი პოვნად შენ

მიერისა წყალობისა". დიდების შეწირვის შემდგომ მამა დავითი დაბრუნდა გარესჯას და რამოდენიმე დროების შემდგომ მოვიდა თავის უდაბნოში და მოიტანა ქვა მადლისა. ძმანი — მოღვაწენი დიდი სიხარულით მიეგებენ თავის სულიერ მწყემსს და ადიდებდნენ ღმერთს, რომ კიდევ დაუბრუნდა მათ მწყემსი თვისი. ცოტა დრო კიდევ გავიდა და მოვიდნენ იერუსალიმითგან ის მოღვაწენიც, რომელნიც წავიდნენ დავითთან ერთად იერუსალიმს და უამბეს ძმათა ყოველივე, რაც კი ნახეს და გაიგონეს იერუსალიმში. ამ ამბავის გამგონენი ყოველ დღე და ყოველ მხრითგან მოდიოდნენ უდაბნოში და ეს უდაბნო ძლიერ გადიდდა.

IX

მამა დავითს ძმათა — მოღვაწეთა შეკრება და უდაბნოს გადიდება ძლიერ უხაროდა. ზოგი მოღვაწეთაგანი ერთად ცხოვრობდნენ და ზოგი კი განმარტოებით მოღვაწეობდა კლდის ნაპრალებში. მ. დავითი ხანდახან მიდიოდა განმარტოებულებთან, განამხნევებდა და განამტკიცებდა მათ. ერთ დღეს მამა დავითი მივიდა ერთ ამისთანა მოღვაწესთან, მოიკითხა იგი და უთხრა: „როგორა ხარ, ძმაო?" მან მიუგო: „კარგად ვარ, წმინდაო მამაო, შენი ლოცვით. მაგრამ წყალი, რომელიც აქ ჩამოწვეთს კლდეზე, ნაღველივით მწარეა და მხალიც მისგან მორწყული მწარეა და როდესაც ვსვამ ამ წყალს, ან ვჭამ მხალს სიმწარისა გამო დიდად შევწუხდები ხოლმე, მაგრამ ვეტყვი ჩემს თავს, რომ ჯოჯოხეთის სიმწარე უფრო ძნელია და უმჯობესია დავითმინო წუთისოფლის სიმწარე და მით მოვიპოვო ზეციერი საუკუნო სიტკბოება". ეს სიტყვები დავითს ძლიერ ეამა და უთხრა მას: „ნუ მწუხარე ხარ, ძმაო, არამედ ვეევდროთ უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს და როგორც მერრას დაატკბო წყალნი მწარენი (გამოს. 15, 23—25), ეგრეთვე დაატკბოს ეს წყალიც". აღმოავსეს ჭურჭელი იმ მწარე წყლით, ილოცეს ღმერთი და მართლაც გატკბა წყალი იგი და როცა განმარტოებულმა გასინჯა მისი ვემო, მას ძლიერ გაუკვირდა და ღმერთს მადლობა და დიდება შესწირა.

X

ამის ძემდგომ გავიდა რამოდენიმე დრო და ღვთის განგებით დავითმა გაიგო თავისი გარდაცვალების მოახლოება; შეკრიბა ყველა იმ უდაბნოში მყოფნი ძმანი, უკანასკნელად გადასცა მათ მამობრივი

სწავლა და ვამოეთხოვა მათ შემდეგი სიტყვებით: „ძმანო ჩემნო და შვილნო სულიერნო! მე განვალ ამ ქვეყანისაგან და მიწადვე მივიქცევი, რაცა განწესებულია კაცთათვის, ხოლო თქვენ ნუ შეძრწუნდებით და ნუცა აღშფოთდებით, არამედ უფრო განმტკიცდით და განძლიერდით, სცანთ ამაოება ამ წუთისოფლისა, ყოველნი წარმავალნი ვართ ამ წუთისოფლითგან, ხოლო სული უკვდავია და გვეგულებიან მიღება კეთილისა ანუ ბოროტისა, რომელიც ვიმოქმედეთ ამქვეყნიურ ცხოვრებაში. ამისთვის დაუცხრომელად დღე და ღამე ევედრებოდეთ ღმერთსა, რომ მოგცესთ ძალა წინააღუდგეთ უხილავთა ბატერთა ჩვენთა, რომელნიც მეცადინობენ ჩვენ დაბრკოლებას, ცოტა ხანს დაითმინეთ მცირე ესე სატკივარი და საუკუნოდ იხარებდით, რამეთუ წერილ არს: „მოთმინებითა თქვენითა მოიპოვოთ სულნი თქვენნი“ (ლუკ. 21, 19). ამის შემდგომ უბრძანა მღვდელს შეწირვა უსისხლო ბსხვერპლისა — აწირვინა, წირვაზედ ეზიარა უხრწნელთა და უკვდავთა ქრისტეს საიდუმლოთა, წმიდასა ხორცსა და პატიოსანსა სისხლსა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, მადლობა შესწირა ღმერთს და განუტევა სული. ძმათა კრებულმა იტირა და იგლოვა მწყემსი თვისი და თვითოეული მათგანი ემთხვია მის პატიოსანს გვამს. ამ დროს იქ მყოფმა ერთმა ძმათაგანმა, რომელიც სიყმაწვილითგან ბრმა იყო, დავითის სხეულის მთხვევის დროს მიიღო კურნება — მას აღეხილნა თვალნი თვისნი და ამის მნახველნი აქებდნენ და ადიდებდნენ ღმერთს, რომელმან სიკვდილის შემდეგაც ადიდა მსახური თვისი.

ᲒᲖᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ

„ᲮᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ ᲐᲠᲡ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲚᲗᲘᲡ
ᲨᲔᲬᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲚᲘᲠᲘᲡ“ (ტიმ. 4, 9).
„ᲛᲝᲜᲐᲒᲘᲫᲐᲕ ᲘᲧᲕᲜᲔᲗ ᲛᲐᲗᲓᲐ“ (ებრ. 4, 12).

წინასიტყვაობა

დღეს, ღვთის მადლით, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც უფრო ჯეროვანი ყურადღება არის მიქცეული ხალხში სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლის გავრცელებაზე, ვიდრე წინათ იყო. ბევრი საეკლესიო-სამრევლო სკოლები დააარსეს და, იმედია, კიდევ ბევრს დააარსებენ. უმთავრესი მიზანი ამ სკოლებისა არის გავრცელება ხალხში წერა-კითხვასთან ერთად საღვთო სკულისა — სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლისა. ამ მიზნის მისაღწევადვე იმართებიან ეკლესიებში ღვთის მსახურების შემდგომ სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის საუბრები. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად, ჩემის აზრით, არ კმარა მარტო ის, რომ ბავშვებმა გაიზეპირონ საღვთო სკულის სახელმძღვანელოები, ან ხალხმა მოისმინოს საუბრები. მათთან ერთად საჭიროა, იკითხონ სარწმუნეობრივი და ზნეობრივი შინაარსის წიგნები. თუ შესაძლოთ დაინახვენ მასწავლებელნი, გაკვეთილების დროსაც კლასში და თუ მაშინ დრო ნებას არ მისცემს მათ, შინ მაინც აუცილებელ საჭიროდ მიმაჩნია, რომ ეგეთი წიგნები იკითხონ ბავშვებმა და დიდებმაც, ვინც კი, რასაკვირველია, კითხვა იცის და განვითარდნენ ზნეობრივად. რუსულ ენაზე ეგეთი წიგნები ბევრიც არის და ბევრსაც სწერენ, ქართულ ენაზე კი ამგვარი წიგნები შედარებით რუსულთან უფრო ნაკლებად არიან. ამ გარემოების მიმხედველმა, მეც განვიზრახე ჩემი მხრით შემეტანა წვლილი ზნეობრივ განათლების საუნჯეში, შევადგინე და გამოვეცი ეს პატარა სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის წიგნი, რომელიც, იმედი მაქვს, მცირეოდენ სარგებლობას მაინც მოუტანს მკითხველს და, თუ მკითხველი მიბაძავს წიგნში მოყვანილ წმინდანების მაგალითებს და მათ ცხოვრებას, დააყენებს მას ცხოვრების კეთილ გზაზე, რის გამოც წიგნს ვუწოდე სახელად „**გზა ცხოვრებისა**". როგორც დაინახავს მკითხველი, ამ წიგნში არიან მოყვანილნი მაგალითნი წმიდანების ცხოვრებიდან, ზოგიერთა წმიდანების მოკლე ცხოვრება და მათი თქმულებანი, ანუ აზრნი ზნეობრივ სწავლაზე. თითოეული მოთხრობის ბოლოს საღვთო წერილიდან მოვიყვანე მოთხრობის შესაფერი და მისი აზრის დამამტკიცებელი ადგილები — ტექსტები. წიგნში რაც ნაკლულევანება აღმოჩნდება, ვეცდები, მეორედ

გამოცემის დროს გავასწორო, თუ საჭირო იქმნა მეორე გამოცემა. ამ წიგნში მოთავსებული მოთხრობანი უმეტეს ნაწილად არიან რუსულიდან ნათარგმნი. წიგნები, რომელთაგანაც ვთარგმნე ამ წიგნში მოთავსებული მოთხრობანი, არიან: „Училище благочестія", „Христоматія для назидательного чтения" г. Невскаго. „Русскій паломникъ за 1891 г." და სხვ. ხოლო ტექსტები ამოვკრიბე და მივუმატე მოთხრობებს ძველი და ახალი აღთქმის საღვთო წერილის წიგნებიდან (დაბადებიდან). წმ. გიორგის ცხოვრება. და ორიოდე სხვა მოთხრობა გადმოკეთებული მაქვს „საქართველოს სამოთხედან".

დეკანოზი ნესტორ უუბანეიშვილი

§ 1.

ახალგაზდა კეთილისმყოფელი

წმინდა კლიმი ანკვირიელი, რომლის მამა წარმართი იყო და დედა, ქრისტიანი, სიყმაწვილეში დაობლდა. ის იშვილა ერთმა კეთილშობილმა, მადლიანმა ქალმა, კლიმის დედის მეგობარმა — სოფიომ. მან თვისი მაგალითით და ხელმძღვანელობით აღზარდა ახალგაზდა ქრისტიანი კლიმი ღვთის მოშიშებაში. იმ დროს გალატაში, სადაც კლიმი ცხოვრობდა, გაჩნდა ისეთი შიმშილობა, რომ მცხოვრებნი, უმეტესად ურწმუნონი, რომელთაც საზრდო არ გააჩნდათ, თვისს შვილებს სტოვებდნენ ღვთისანაბარად, უპატრონოდ. რას შერებოდა მაშინ წმიდა ჭაბუკი? სოფიოს ნებართვით ის აგროვებდა თავის ტოლ ყმაწვილებს, რომელნიც გზა-შარაზე შიმშილით მისუსტებულნი ღრიალებდნენ; ასაზრდოებდა მათ, ასწავლიდა წერა-კითხვას და ქრისტეს სარწმუნოებას და თავის ქველმოქმედებას აგვირგვინებდა მათი მონათვლით. ამგვარად სოფიოს სახლი მათთვის სასტუმროც იყო და სასწავლებელიც, ხოლო სოფიო დედაზე უმჯობესი, რადგანაც ის ახალგაზრდა კეთილისმყოფელის დახმარებით ღარიბ ყმაწვილებს უბრუნებდა დროებით სიცოცხლეს და უმზადებდა საუკუნო ცხოვრებას.

ღმერთი „მამა არს ობოლთა და მსაჯული ქვრივთა“ (ფსალ. 67, 5). „მონაგებსა შინა ობოლთასა ნუ შეხვალ. რამეთუ მხსნელი მათი უფალი ძლიერ არს“ (იგავ. 23, 11). „ობოლსა და ქვრივსა არა მძლავრობდეთ“, იტყვის უფალი (იერ. 7. 6; ზაქ. 7. 10); „უფალმან დაიცვნის მწირნი, ობოლი და ქვრივი შეიწყნაროს“ (ფსალ. 145, 9,).

§ 2.

ლოცვის ძალა

ერთხელ მელიტინაში მეტისმეტი გვალვა იყო, რის ვამო დიდ შიმშილობას მოელოდნენ. ხალხის წუხილი დღითი-დღე მატულობდა. ბოლოს ყველანი მივიდნენ ეპისკოპოსთან — ღირს აკაკისთან, რომ ის შეევედრებოდა ღმერთს, რათა მოევლინა მათთვის მოწყალება თვისი.

ღვდელთმთავარმა შეკრიბა ხალხი, რომლის შორის შიმშილობამ იჩინა თავი; წავიდა წმიდა მთავარ მოწამის ევსტატეს სახელზე აგებულ ეკლესიაში, რომელიც ქალაქს გარეთ იდგა და ეეედრებოდა ქრისტესთვის წამებულს, რომ მას ლოცვაში მონაწილეობა მიეღო და მათთან ერთად ღვთისაგან გამოეთხოვა წვიმა. აქ, ეკლესიის მახლობლად გამოარჩია საუკეთესო ადგილი, დაადგმევინა ტრაპეზი, აღაპყრო ცრემლმორეულნი თვალნი ზეცას და მინდორში გადუხურავად დაიწყო წირვა. მას ჰქონდა იმედი ღვთის მოწყალებისა და ამიტომ ღვინო არ განაზავა წყლით, არამედ გონება თვისი მიაპყრო ღმერთს და მხურვალედ ეეედრებოდა მას, რომ ზეციდან წვიმით განეზავებია წმიდა ბარძიმი და თანაც გაელბო გამხმარი მიწა. ეს ლოცვა ღვთის წინაშე ისეთი ძლიერი იყო, რომ დაუყოვნებლივ მოვიდა ძლიერი წვიმა; ღვინო განაზავა წყლით, მიწა განაძღო წვიმით და ხალხის გული აღავსო სიხარულით.

„ფრიად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა შეწევნად. ილია კაცივე იყო მსგავსი ჩვენი, და ლოცვა ილოცა არა წვიმად, და არა სწვიმა ქვეყანასა ზედა სამ წელ და ექვს თვე. და კვალად ილოცა: და ცამან მოსცა წვიმა და ქვეყანამ აღმოაცენა ნაყოფი თვისი“. (იაკ. 5, 16—18).

§ 2.

ბეშმარიტი მშრომელი

ერთ უდაბნოში ცხოვრობდა ბერი — ღირსი მოსე. წინათ ეს იყო, ავაზაკი, მაგრამ მოიქცა კეთილ გზაზე და შეიქმნა საყვარელი მონა ღვთისა. თვისი კეთილ მსახურებით ისეთი დიდება მოიპოვა, რომ მასთან მიდიოდნენ მოღვაწეობის შესასწავლად არა თუ ახალგაზდა ბერები, არამედ მოხუცებულნიც. აი ერთი მაგალითი მისი შრომისა: ბერად შედგომის შემდეგ ეს მხნე და ჯულადი მოღვაწე ყოველ ღამეს გამოდიოდა სენაკიდან, ჩამოუვლიდა ყველა ბერების სენაკებს და, თუ ნახავდა წყლის ჭურჭელს გარეთ, ყველას წყალს მოუტანდა, რადგანაც წყალი იმ უდაბნოზე მოშორებით იყო და მოხუცებულ ბერებს თავისთვის წყლის მოტანა ორ შეეძლოთ. ამგვარად, წმიდა მოსე ღმერთსაც ლოცულობდა, თვისი შრომით თავს ისაზრდოებდა და სხვებსაც ეწეოდა. ქრისტიანენო! თქვენც უნდა შეეწეოდეთ თქვენს მოძმეს იმდენად მაინც, რამდენადაც თქვენი ცხოვრების გარემოებანებას გაძლევდეთ. „მშრომელთა მათდა ჯერ არს შეწყნარება უძლურთა

მათ“ (საქ. მოც. 20, 35). „მპარავი იგი ნუღარა იპარავნ, არამედ უფროს-და შვრებოდნენ და იქმოდენ კეთილსა თვისითა ხელითა, რათა აქვნდეს მიცემად ვის იგი უხმდეს (ესაჭიროებოდეს)“. (ეფეს. 4, 28).

§ 4.

შრომა და ლოცვა

ერთხელ ანტონი დიდი მიეცა მოწყინებას და ცუდ გულის თქმას, მაგრამ თვისი მდგომარეობის ჩქარა შეეშინდა და შეევედრა ღმერთს: „უფალო! მე მინდა ვცხონდე, მაგრამ არ ვიცი. რამ გამიტაცა; მიჩვენე საშვალება, რომ წინა აღუდგე ამ ბოროტ გულის თქმას. მასწავლე რა მაცხოვნებს“. ცოტა ხნის შემდეგ წმიდა ანტონი გამოვიდა სენაკიდგან და დაინახა უცნობი კაცი, რომელიც იჯდა და გოდორს წნავდა, შემდგომ ადგა და ილოცა; მერმე კიდევ დაჯდა და თავის საქმეს შეუდგა, შემდგომ, კიდევ ადგა და დაიწყო ლოცვა... ეს იყო ღვთისაგან მოვლენილი ანგელოსი ანტონის გასაფრთხილებლად და გასასწორებლად. ანგელოსმა უთხრა ანტონს, რომელიც უყურებდა მის შრომას და ლოცვას: „ეგრე მოიქეცი და ცხონდები“. ღირსი ანტონი, ამ სიტყვების გამგონი, აღიფსო სიხარულით და იმედით; იმ დროიდგან ისე იქცეოდა, როგორიც მაგალითი ანგელოსმა უჩვენა მას. კაცო! რა წოდებისაც იყო, რა მდგომარეობაშიც იყო, ილოცე მუდამ შენი სულის საცხოვნებლად და იშრომე შენდა და სხვათა სასარგებლოდ. ლოცვა და შრომა საზიაროდ ერთი მეორეს აძლიერებენ: ლოცვა იძლევა ძალას შრომის ასატანად, რომლისათვისაც ყოველი კაცი იშვების; ხოლო შრომა გაფანტავს მავნე და ბოროტ გულის თქმას, ცუდაობის წარმონაშობს, განუმზადებს გულს და გონებას სალოცავად განკრძალულ მყუდროებას და მომეტებულ ყურადღებას. ისინი ერთი მეორეს ეხმარებიან, თითქოს ასვენებენ და ნეტარ არს ის კაცი, რომლის გულში ეს წესი არ დაირღვევა.

„ითხოვდეთ და მოგეცეს თქვენ; ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკდით და განგეღოს თქვენ“. (მათ 7, 7; ლუკ. 11, 9). „ამან გლახაკმან ხმა ჰყო და უფალმან ისმინა მისი, და ყოველთა ჭირთა მისთაგან იხსნა იგი. დაიბანაკებს ანგელოსი უფლისა გარემოს მოშიშთა მისთა, დაიხსნეს იგინი“ (ფსალ. 33, 6—7).

§ Ე.

მოწყალება მოწყალებისაგან

ღირს ზინონს, წმინდა ვასილი დიდის მოწაფეს, რომელიც ორმოცდ წელიწადს ღვთივ საამურად ატარებდა დროს მარხულობაში. პირველად არავისგან არაფრის მიღება არ სურდა, რის გამოც გულ-უხვობის მოყვარენი, რომელთაც უკან მიჰქონდათ თავიანთი საჩუქარნი, გულითადი ძწუხარებით ბრუნდებოდნენ მისგან. იმავე დროს ზინონთან მიდიოდნენ ღარიბნი და ამ დიდებულ ბერს თხოვდნენ მოწყალებას. მაგრამ რადგანაც ზინონს არაფერი ჰქონდა, რომ მათთვის მიეცა, ისინიც ბრუნდებოდნენ მისგან მწუხარენი. — „რას მივყო ხელი? რა ექმნა?“ ბოლოს თავისს თავს უთხრა ბერმა: „მწუხარებით მიდიან ჩემგან ისინიც, ვისაც საჩუქარს უკანვე ვატან და ისინიც, ვისაც ჩემგან უნდა მიიღოს რაიმე. მოვიქცევი ამგვარად: თუ ვინმემ მოიტანა რაიმე, გამოვართმევ, თუ ვინმე მთხოვს რამეს, მივსცემ. აღასრულა რა ესე, წმ. ზინონი თვითონაც მოსვენებით იყო და სხვებიც დაამშვიდა.

„რომელი გთხოვდეს შენ, მიეც, და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარე მიიქცევი“. (მათ. 5, 42). „მოწყალებანი და სარწმუნოებანი ნუ მოგაკლდებიან შენ, ხოლო შეიბეჭ ოგინი ყელსა ზედა შენსა, დაწერენ ისინი ფიცარსა ზედა გულისა შენისასა და ჰპოო მადლი“ (იგავ. 3, 3).

§ Ბ.

სულგრძელობა წინაალმდეგ შეურაცხებისა

ბერი ვინმე კვიროს, დაბალ წოდებისაგან და ფრიად მშვიდი, არ მოწონდათ ამხანაგ ბერებს. ხშირად მოხდება, რომ ხიმშვიდისათვის, ან სხვა რომელიმე კარგი თვისებისათვის ბოლოს შეიყვარებენ მას, ვინც წინეთ არ უყვარდათ, მაგრამ კვიროსის ბედი ეგეთი არ იყო: რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი უფრო შეიძულეს ის ბერებმა, არა თუ უფროსები, უმცროსებიც — მორჩილნიც უკადრისს კადრებდნენ და ხშირად სადილიდანაც გაგდებდნენ. ამ ყოფაში იყო ის თხუთმეტი წელიწადი. ამ უდაბნოში შემთხვევით მოვიდა იოანე კლემექსი. იოანემ ნახა, რომ მშვიდი კვიროს, სუფრიდგან განდევნილი, ხშირად მშიერი წვებოდა დასაძინებლად და ჰკითხა მას: „მითხარ, რას ნიშნავს, რომ ეგეთ შეურაცხებას გაყენებენ?“ — „დამერწმუნე ქრისტეს მიერ საყვარელო სტუმარო, მიუგო მშვიდმა ბერმა, ძმანი სიბოროტით არ შექცევიან მე ეგრე, ისინი მცდიან მე, ღირსეულად ვატარებ ანგელო-

ხებრივ სახეს. თუ არა? როცა შამოველ ამ უდაბნოში მე მესმა, რომ განდეგილი უნდა გამოიცდებოდეს ოცდა ათი წელიწადი და მე მხოლოდ ჯერ ნახევარი დრო გამიტარებია".

ქრისტიანო! აი, სამაგალითო საქციელი იმათ წინააღმდეგ, რომელნიც „შეურაცხყოფას მოგვაყენებენ. უწყინარ კვიროსს არ სურდა პურისძიება. არამედ მდევნელთა შეურაცხყოფას უცქეროდა ის კარგის მხრით. მათი საქციელი მიაჩნდა ჭკუის სასწავლებლად მაშინ, როდესაც ისინი იყვნენ უჭკუონი; იფარავდა იმათ პატიოსნებას, როდესაც ისინი თავისს თავს თვითონ აუპატიოსნებდენ, დიდ ბედნიერებად სთვლიდა მას, რასაც სხვები ჩათვლიდენ თავისთვის სრულ უბედურებად.

„გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მწყევართა თქვენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა" (მათ. 5, 44). „აკურთხევდით მდევართა თქვენთა, აკურთხევდით და ნუ სწყევთ" (რომ. 12. 14). „ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტის წილ, ნუცა გინებასა გინებისა წილ, არამედ წინა აღმდგომსა აკურთხევდით... რათა კურთხევა დაიმკვიდროთ" (1 პეტ. 3, 9).

§ 7.

გლახაკთა მოწყალეს ღმერთი აჯილად უზღავს

წმიდა ტიხონი, რომელიც შემდგომ შეიქმნა ემათუნტელ ეპისკოპოსად და მართლმადიდებლობის დიდ შემწედ. სიყმაწვილეში ყიდდა პურს, რადგანაც მამა მისი მეპურე იყო. კეთილმსახური ჭაბუკი გულშემატკივარი იყო: ის გლახებს ხშირად უფულოდ აძლევდა პურს, რის გამო გაჯავრებულმა მამამ ერთხელ ის სასტიკად დასაჯა. მაშინ წმიდა ტიხონმა უთხრა მამას: „ჩემო მშობელო! შენ ტყუილად ცხარობ. მე შენ პურს ღმერთს ვაძლევ ვალად და მაქვს მისგან ხელწერილი საღვთო წერილის წიგნებში, სადაც სახელდობ თქმულია: „რომელი სწყალობს გლახაკსა, აუასხებს ღმერთსა" (იგავ. 19, 17); თუ არ გჯერა, ჩაეხედოთ ბიბლიაში: იქ დაინახავ, როგორ უბრუნებს ღმერთი მავასხებელს თავისს ვალს". რაკი ეს უთხრა, მან მოკიდა ხელი მამას და წაიყვანა ბიბლიისაკენ. გააღეს ბიბლის კარები და ნახეს, რომ ის სავსეა წმიდა და საუკეთესო ხორბლით, თუმცა წინათ მასში თითქმის არა იყო რა. მამა გაკვირდა და შეშინდა; ის დაეცა მიწაზე, მადლობა შესწირა ღმერთს და მერე არ უშლიდა შვილს თავის ნებაზე მოწყალების გაცემას.

„განაბნია და მისცა გლახაკთა და სიმართლე მისი ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე, რქა მისი ამაღლდეს დიდებითა" (ფსალ. 111. 9; 2 კორინ. 9, 9).

„რომელი მისცემს გლახაკსა, არა მოაკლდეს, და რომელი მიაქცევ-
დეს თვალსა თვისსა, ნაკლულევანებასა შინა იყოს მრავალსა“ (იგავ-
28, 27).

§ 8.

ეკვი ხარწმუნოების საქმეში

ერთმა ათი წლის ყმაწვილმა, როცა წირვას ისმენდა, გაიგონა ქადა-
გების დროს ბერისაგან, რომ მოწყალებას, რომელსაც ჩვენ მათხოვარს
ვაძლევთ, ვაძლევთ მას კი არა, არამედ თვით ქრისტეს. ეს ყმაწვილი
ბერის სიტყვების სინამდვილეზე ეჭვში შევიდა და, როცა შინ დაბრუნ-
და, ფიქრობდა: „მე ვიცი, რომ ქრისტე ზის ზეცას მარჯვენით მამისა
და როგორ შეუძლია მიიღოს, მაგალითად, პურის ნატეხი, რომელსაც
მათხოვარს ვაძლევ“. ამ ფიქრის დროს მან დაინახა გლახა, რომელიც
თხოულობდა სამოწყალოს ქრისტეს გულისათვის, და გლახის თავს
ზემოთ დაინახა ქრისტე მაცხოვრის სახე. ყმაწვილი შეშინდა... უცბად
იქვე მდგომ სახლიდგან ვიღაცამ გამოუტანა მათხოვარს პური
და როგორც კი გაუწოდა ხელი, რომ მისცეს მას, მაცხოვარმა განიპყ-
რო მარჯვენა, რათა მიიღოს მისგან პური და გადასცეს მათხოვარს
და ამის შემდგომ სამოწყალოს გამცემი ჯვარის სახით აკურთხა. მაშინ
წინ დაუხედავი ბავშვი ერწმუნა ღვთის სიტყვას და იმ დროიდან შეიქმ-
ნა ის მთელ სტამბოლში პირველი კეთილისმყოფელი გლახაკთა.

„არა განსცადო, არამედ ერწმუნო“, სთქვა მაცხოვარმა. თვითოეუ-
ლი სიტყვა სახარებისა ჩამდენათ წმიდაა, რომ უმალეს წარხდეს ცა
და ქვეყანა, ვიდრე აღიხოცოს ზეციურ სწავლისაგან ერთი რაიმე
ხაზი.

„ვისწრაფოთ უკვე შესვლად განსასვენებელსა მას, რათა არა მასვე
სახესა ურწმუნოებისასა ვინმე შთავარდეს, რამეთუ ცხოველ არს
სიტყვა ღვთისა და ძლიერ, და უმკვეთლეს უფროს ყოვლისა მახვი-
ლისა ორპირისა“. (ებრ. 4, 11).

§ 9.

ბეშვარიანი აზრი, თუ რობორ უნდა გვესაოდეს ხორციელი ოკვდინება

ერთხელ მამა ისაკმა დაინახა, რომ ღირსი პიმენი ფეხებზე წყალს
ისხამდა და უთხრა მას: „სხვები უფრო ფიცხლად ეპყრობიან თავისს
თავს და მოაკვდინებენ სხეულსა თვისსა“. — „ჩვენ სხეულის მოკვდი-

ნება კი არ გვისწავლია, არამედ ვისწავლეთ მოკვდინება ცუდთა გულის თქმათა და ენებათა“,—უპასუხა წმიდა პიმენმა. „შვილო! რათა არა გძლევდეს შენ გულის თქმა“ (იგავ. 6, 25). „არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა... (გამოს. 20, 17; მეორ. სჯ. 5, 21), „ნუ გული გითქვამნ ოქროსა და ვეცხლსა მათსა, ნუ მოიღებ თავისა შენისა“ (მეორ. სჯ. 7, 25). „არა არს კაცი მართალი ქვეყანასა ზედა, რომელმან ქმნეს კეთილი და არა ცოდოს“ (ეკკლ. 7, 21).

§ 10.

საყოველთაო ხიხუსტე

ერთმა ქრისტიანემ შეჩივლა ღირს პიმენს, რომ მას შეაშფოთებენ ცუდი გულის თქმანი და დიდ განსაცდელს უქადიან მის სულს, რომელსაც უნდა ცხონდეს. წმიდა პიმენმა მოკიდა მას ხელი, დააყენა გაშლილ ადგილზე და უბრძანა მას: „გაიხსენ უბე და დაიჭირე ქარი“.— „მე ამის ქმნა არ შემიძლია“, უთხრა ქრისტიანემ. „თუ ამის ქმნა არ შეგიძლია, მიუგო წმიდა პიმენმა, მაშ არ შეგიძლია დაშლა იმისიც, რომ არ შეგაშფოთონ გულის თქმათა, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ წინა აღვუდგეთ მათ“.

„ნუ უკვე სუფევნ ცოდვა მოკვდავთა მაგათ ხორცთა თქვენთა, მორჩილებად მისა გულის თქმათა შინა მისთა (რომ. 6, 12). „განიშორეთ თქვენგან პირველისა მისებრ სლვისა თქვენისა ძველი იგი კაცი განხრწნილი გულის თქმისა მისებრ საცდურისა“ (ეფეს. 4, 22). „მოაკვდინენით უკვე ასონი თქვენი ქვეყანასა ზედა: სიძვა, არა წმიდება, ენება, გულის თქმა ბოროტი და ანგარება, რომელ არს კერპთ-მსახურება“, (კოლას. 3, 5). „ვინ იქადოს წმიდა ყოფა გულისა: ანუ ვინ იკადროს თქმა წმიდა ყოფა თავისა ცოდვისაგან“ (იგავ. 20, 9).

§ 11.

საშვალება უბრძანებლად გააკეთებინო ხიშვა რაიმე

ერთმა ბერმა ჰკითხა ღირს პიმენს: „უნდა უბრძანო ძმათა, რომელნიც ჩემთან ცხოვრობენ, საქმის გაკეთება?“.— „არა! მიუგო პიმენმა. უმჯობესია შენ თვითონ გააკეთო. თუ სურთ შენთან ცხოვრება, რომ დაინახვენ მაგალითს, თვითონაც გააკეთებენ!“ „იმათ თვითონ სურთ, რომ მე, როგორც უფროსმა, უბრძანო მათ“, უპასუხა ბერმა.— „არ

ვირჩევ. უთხრა პიმენმა. იყავ მათთვის მაგალითი და არა კანონმდებელი! მაშინ ყველაფერი სინამდვილით იქმნება აღსრულებული და რაც უნდა მძიმე შრომა იყოს, საყვედურს ვერ გაიგონებ".

„რომელსა უნებს თქვენ შორის წინა ყოფა, იყოს იგი თქვენდა მონა" (მათ. 20, 27).

„მობაძავ ჩემდა იქმენით, ძმანო, და ხედევდით, რომელნი იგი ესრეთ ვლენან, ვითარცა ესე ვართ ჩვენ სახე თქვენდა", (ფილიპ. 3. 19).

ზნეობრივი სწავლა ღირსი კიმენისა:

ნუ გაამყლავნებ სხვის ცოდვას.

კითხვა: თუ ვხედავ ძმის შეცოდებას, უნდა დავფარო ისა?

მიგება: თუ დაფარავ ძმის შეცოდებას და არ გაამყლავნებ, ღმერთიც დაფარავს შენ შეცოდებას.

ნუ ერწმუნები უცბად, როცა გესმის ვინმეზედ ცუდი რამე

ბერი: მამაო! შეშფოთებულ ვარ და მინდა აქედან წავიდე.

წმიდა პიმენ: რისთვის ხარ ეგრე?

ბერი: მესმის სასირცხვო სიტყვები ერთ აქ მცხოვრებ ბერზე და შეცდომაში შევდივარ.

წმ. პიმენ: შენ სიმართლე არ გაგიგონია.

ბერი: მე ეს მითხრა სარწმუნო კაცმა.

წმ. პიმენ: სარწმუნო კაცმა?! არა, თუ ის ეგეთი იყო, არ უნდა განეცხადებია ის, რაც ნახა; ნუ ერწმუნები მას. სანამ შენი თვალით არ დაინახო, ვინაიდან ღმერთიც არ დაერწმუნა, გაიგონა რა გოდება სოდომისა, სანამ თვითონ არ იხილა თავის თვალით: გოდება, რქვა უფალმან, სოდომისა და გომორისა გამრავლდა და ცოდვანი მათნი ფრიად დიდნი არიან: მივიდე უკვე და ვიხილო, უკეთუ გოდებისამებრ არიან.

ბერი: ახ! თვით მეც ვნახე მისი შეცოდებანი ჩემი თვალით.

წმ. პიმენმა აიღო იატაკიდან ჩხირი და ჰკითხა ბერს: „ეს რა არის?"

ბერი: ეს ჩხირია.

წმ. პიმენმა აიხედა ჭერისაკენ, უჩვენა დვიროზე და ჰკითხა: ეს რაღა არის?.

ბერი: ეს დვირო არის.

წმ. პიმენ: დაიმარხე შენ გულში, რომ შენი ცოდვები, დვარო არს, ხოლო შენი ძმის ცოდვები ჩხირი.

„ნუ გინიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ, რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხევდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქვენ“ (მათ. 7, 1—2).

§ 12.

სინანულზე

ბერი: მე ჩავარდი მძიმე ცოდვაში და მინდა სამ წელიწადს ვიყო სინანულში. ეს დრო საკმაო არის იმისთვის, რომ განვიწმიდო ცოდვებისაგან?

წმ. პიმენ: ბევრია.

ბერი: მაშ ნება მომეცი, მამაო, ერთ წელიწადს ვიყო სინანულში.

წმ. პიმენ: ბევრია.

ბერი: მაშ საკმაოა ორმოცი დღე სინანულისათვის?

წმ. პიმენ: ბევრია. მე ასე ვფიქრობ, თუ კაცი შეინანებს ყოვლითა გულითა და მტკიცედ გადაწყვეტს, რომ ცოდვას არ დაუბრუნდება, არ განიმეორებს, ღმერთი სამი დღის სინანულსაც მიიღებს და შეიწყნარებს.

„უსჯულოება ჩემი მე უთხრა და ვზრუნვიდე მე ცოდვისა ჩემისათვის“ (ფსალ. 37. 18).

ცუდი გულისთქმის განზორებაზე

კითხვა: როგორ შეიძლება, კაცმან თავი თვისი დაიფაროს ცუდი გულისთქმისაგან?

მიგება: როცა ქვაბი ცეცხლზე დგას და დუღს, მაშინ ბუზი და ვერც სხვა მწერი ვერ გაბედავს მის მიკარებას; ხოლო როცა გაცივდება, მაშინ ბუზიც და სხვა მწერიც დააჯდება მას; ეგრეთვეა კაცი: როცა ის სულიერ საქმეს მიაპყრობს თავისს გონებას, კაცთა ნათესავის მტერი (ეშმაკი) ვერ გაბედავს მის მიკარებას; ხოლო ვინც ცხოვრობს დაუდევრათ და ატარებს დროს ზარმაცობაში, მას დასცემს იგი სრულიად უშრომელად.

„სიუბუკისა მას გულის თქმათა ელეტოდე, შეუდექ სიმართლესა, ბარწმუნოებასა, სიყვარულსა მშვიდობასა“ (2 ტიმ. 2, 22). „სამოძღვრე-

ბელად ჩვენდა, რათა უარ ვყოთ უღმერთოება, და სოფლისა გულის თქმა, სიწმიდით და სიმართლით და ღვთისმსახურებით ვსცხოვნდებოდეთ ამს სოფელსა“ (ტიტ. 2, 12).

§ 13.

ნავალ მარხულობაზე

ერთხელ მამა სილოვანი და მისი მოწაფე ზაქარია მივიდნენ ერთ უდაბნოში ძმათა სანახავად. იქ მთელი დღე და ღამე დარჩნენ და კარგა პატივცემულ იყვნენ. წამოსვლისას იმათ კიდევ მიართვეს საჭმელი: სჭამეს და დაბრუნდენ თავისს უდაბნოში. გზაში ზაქარიამ დაინახა წყარო და წყლის დალევა მოინდომა, მაგრამ სილოვანმა უთხრა მას: „დღეს მარხვაა“. — „აკი ვსჭამეთ დღეს, მამაო“, უპასუხა ზაქარიამ. „ის იყო სტუმართმოყვარეობის სადილი, უთხრა სილოვანმა, ხოლო ჩვენ, შვილო, უნდა შევინახოთ ჩვენი მარხვა; ჩვენ რომ პატივდებაში არ შიგვეღო ძმათა სტუმართმოყვარეობა, ორნაირად შევცოდებდით: ვაწყენინებდით ჩვენ მახლობელს და ყველას წინაშე საყვირს დაუკრავდით, რომ სილოვანი და ზაქარია მარხვის შემნახველნი არიანო... ამის შემდგომ, შვილო ჩემო, იმარხულე ფარულად“. „რა ჟამს იმარხვიდე... არ ეჩვენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად, და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულსა, მოგაგოს შენ ცხადად“. (მათ. 6, 17—18). „წმიდა ჰყავთ მარხვა“ (იოველ. 1, 14, 2, 15).

§ 14.

გაიოზდა თავისა თვისისა

მეოთხე საუკუნეში ცხოვრობდა ღირსი მამა ზინონი. ერთხელ პალესტინაში მოგზაურობის დროს დალალულობის გამო ბოსტნის მახლობლად ჩამოჯდა დასასვენებლად და ორიოდე ლუკმა პურის საჭმელად. ბოსტანში დაინახა კიტრი და ერთი კიტრის მოწყვეტა განიზრახა: „ეს დიდი ცოდვა არ არისო“, იფიქრა მან, მაგრამ უცბად შეცვალა ეს აზრი და სთქვა: „მტაცებელნი სასჯელში მიეცემიან; მაშ, ზინონ, გამოიცადე თავი თვისი, შეგიძლია აიტანო წვალება, თუ არა?“ ეს სთქვა და ზინონი მზეზე — სიცხეში გაჩერდა და დაჰყო ხუთი დღე, ბოლოს იგრძნო რა, რომ სიცხისაგან მას ძალა სრულიად გამოელია და დაიქანცა, დაუდგინა თავის თავს განაჩენი: „ზინონს არ შეუძლია

აიტანოს სასჯელი, მაშასადამე თვისი გაძღომისათვის არ უნდა იტაცებდეს სხვის საკუთრებას".

„არა იპარო" (გამოს. 20, 15). „არა საკვირველ არს, უკეთუ ვინ დაეპყრას პარვასა. რამეთუ იპარავნ, რათა განიძღონ სული თვისი შმიერი, ხოლო უკეთუ შეპყრობილ იქმნეს, შვიდ წილად იზღვიოს და ყოველი მონაგები თვისი მისცეს და იხსნას თავი თვისი" (იგავ. 6, 30—31).

§ 15.

მხილებული მტაცებელი

ერთმა კეთილმსახურმა მემამულემ ღირს ბენედიკტეს ორი პატარა კასრი ღვინო გაუგზავნა. მოსამსახურემ, რომელსაც ღვინო გაატანა, ერთი კასრი ღვინო მოიპარა და გზაზე ბუჩქებში დამალა, მეორე კი მიართვა ღირს ბენედიკტეს. გონებით შორსმხედველმა ბენედიკტემ შეიტყო ეს და მოსაკითხის მიღებისთანავე მოსამსახურეს დარიგება მისცა მასზედ, თუ როგორ ერთგულად უნდა იყოს ბატონთან და ბოლოს უთხრა: „შვილო! წადი მშვიდობით და უთხარ შენ ბატონს: მე როცა ჩემ ცოდვების მიტევებაზე ვილოცავ, მაშინ ეგრეთვე ვილოცავ მის კარგად მყოფობაზე და ცოდვათა მიტევებაზე, მაგრამ გასწოვდეს: შენ არ დალიო ის ღვინო, რომელიც გზაში დამალე, არამედ ის სრულიად გადაღვარე, შენ დაინახავ, იმაში რაც არის". მონას შერცხვა, ხმა ვერ ამოიღო, თავი დაუკრა და წავიდა... როცა მივიდა იქ, სადაც მოპარული ღვინო ჰქონდა დამალული, გამოიტანა ბუჩქებიდგან კასრი და, თუმცა დასცინა ღვთის კაცის ბრძანებას, გულის შესაჯერებლად გადმოაფერდა კასრი და გადმოასხა ღვინო. მაგრამ რა ნახა? ღვინოსთან გადმოსცურდა საშინელი გველი. შეშინებული მონა პირქვე დაეცა და ცრემლებმორეული მადლობდა ღმერთს და ღვთის კაცს, რომ ის დაიხსნა სასტიკ სიკვდილისაგან.

„ყოველი მპარავი უფლისაგან შურის ძიებულ იქმნეს" (ზაქ. 5, 3). „ვითარცა სირცხვილი მპარავისა, ოდეს შეიპყრას, ეგრეთ სირცხვილეულ იქმნენ ძენი ისრაილისანი" (იერ. 2, 26).

§ 16.

შრომისმოყვარეობაზე

სინას მთაზე, ერთი მონაზონის წინამძღვართან, სახელდობ სილოვანესთან ერთხელ მივიდა ერთი ბერი ლოცვა-კურთხევის მისაღებად და რომ დაინახა, იმ მონასტრის ბერები შრომობდნენ, უთხრა მათ: „ნუ შრომობთ დამღუპველ საჭმელისათვის, მარიამმა კეთილი ნაწილი გამოირჩია". ამის გამგონე წინამძღვარმა უბრძანა ეკონომოსს: „სტუმარს მიეცი ცალკე ოთახი და იქ დატოვე". ეკონომოსმა აღასრულა წინამძღვრის ბრძანება. ცოტა ხანს მერმე ბერები დასხდნენ სადილათ, სტუმარი ბერი კი ფანჯრიდგან უცქეროდა მათ და მიპატიჟებას ელოდა, მაგრამ ბერებმა სადილი გაათავეს და მას ხმაც არ გასცეს. როცა კარგად მოშივდა, სტუმარი მივიდა წინამძღვართან და ჰკითხა: „დღეს ბერებმა თუ სჭამეს რამეო?" — სჭამეს, მიუგო წინამძღვარმა. „მე რათ არ შემატყობინეს"? ჰკითხა მოსულმა ბერმა. — „შენ კაცი ხარ სულიერი და არ დაგჭირდება საჭმელი, უთხრა წინამძღვარმა, ჩვენ კი ხორცში მყოფნი ვართ და გვინდა ჭამა და აი რატომ ვშრომობთ; შენ გამოირჩიე კეთილი ნაწილი: იკითხე წიგნები და ისაზრდოვე სულიერი საზრდელით". სტუმარს შერცხვა თავისი მოსაზრებით წარმოთქმულ სიტყვებისა, დავარდა მიწაზე, თაყვანი სცა წინამძღვარს და შენდობა მოსთხოვა, წინამძღვარმა ააყენა ის და უთხრა: „ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო! რა მხრითაც გინდა შეხედე, მაგრამ შრომა ყოველთვის სასარგებლოა; მარიამმაც თავისი დის მართას გამო დაიმსახურა მაცხოვრისაგან ქება". უქმად ყოფნა ხშირად იქმნება ბიწიერების მიზეზი, ვინაიდგან კაცი უქმად მყოფი, მიეცემა ცუდ გულისთქმას და ცუდ საქმეებს, რომელნიც დღუპავენ მას.

ყოველი კაცი ვალდებულია იშრომოს, კაცისგან მოითხოვებოდა შრომა ცოდვაში ჩავარდნამდის (შექ. 2, 15) და ცოდვაში ჩავარდნის შემდგომაც (შექ. 3,19, 23, 5, 29). შრომა საჭიროა კაცისათვის თავისი და სხვისი საჭიროების დასაკმაყოფილებლად (საქ. მოც. 20, 34—35; 1 თესალ. 2, 9; 4, 11; 2 თესალ. 3, 8; ეფეს. 4, 28); შრომა მიანიჭებს კაცს კმაყოფილებას: „მოქმედი თვისისა ქვეყანისა გასძღეს პურითა, ხოლო მდევარი ამაოებისა, უდებებისა ანუ სიზარმაცისა აღივსოს ზიგლახაკითა" (იგავ. 12, 11, 28, 19), „მუშაკმან ქვეყანისამან აღამაღლოს მჭელეული თვისი" (ზირაქ. 20, 28). შრომა მიანიჭებს კაცს კე-

თილ მდგომარეობას, ბედნიერებას, მშვიდობას, ოჯახში სიხარულს და მოსვენებას (იგავ. 31, 10—24; ეკკლ. 5, 18); მშრომელი კაცი დაიმაჯურებს პატივისცემას (იგავ. 12, 24; 22, 29). შრომისმოყვარეობის მაგალითს ალუწერს სოლომონ ბრძენი ზარმაცს შემდგომი სახით: „მიეედ ჭინჭველის მიმართ, ში. ზარმაცო და ბაძევდ მხილველი გზათა მისთა, და იქმენ უბრძენეს მისა. რამეთუ... განიმზადის ამან მკასა შინა საზრდელი...: ანუ მოეედ ფუტკრისა მიმართ და ეისწავე ვითარი მოქმედი არს, ხოლო მოქმედებას რაჟდენ პატიოსანსა ჰყოფს, რომლისა ნაშრომსა მეფენი და გლახაკნი სიცოცხლედ დასდებენ“ (იგავ. 6.6—8). ეგრეთვე შრომისმოყვარეობის მაგალითი აქვს გამობატული სოლომონ ბრძენს კეთილ მსახურ დედაკაცის მოქმედებაში (იგავ. 31, 10—31). ხოლო ზარმაცობა შეამთხვევს კაცს ყოველ უბედურებას: სიღარიბეს, შიმშილს, აოხრებას, დაქცევას, მონებას, უქმმეტყველებას, განკილვა-განკიცხვას, ცუდ გულის თქმას და ყოველივე ბოროტებას. სოლომონ ბრძენი ეტყვის ზარმაცს: „ში მცონარო! ვიდრემდე სწევხარ, ხოლო ოდეს ძილისაგან ალდგე. მცირედ უკვე გეძინოს, ხოლო მცირედ სჯდე, ხოლო მცირედ გრულდის, ხოლო მცირედ დაისხენ ხელნი მკერდსა. ხოლო მერმეღა მოიწიოს შენდა, ვითარცა ბოროტი მოგზაური, სიგლახაკე“ (იგავ. 6, 9—11). „ყოველმან მოძილემან (ზარმაცმძინარამ) შეიმოსოს დაბებკული“ (იგავ. 23, 21).

ზარმაცი იტყვის: „მცირედ მრულის, ხოლო მცირედ მძინავს და მცირედ ვიკრებ ხელთა მკერდსა“. სოლომონ ბრძენი ეტყვის: „ხოლო უკეთუ ესე ჰყო, მოვიდეს წინა მომავალი სიგლახაკე შენი და ნაკლულევანება შენი“ (იგავ. 24, 23), „რომელიც მისდევდეს სიზარმაცეს, აღივსოს სიგლახაკითა“ (იგავ. 28, 19). „ყოველრებასა მცონარი არა ერცხვინის, ეგრეთვე იფქლისა მკასა შინა შესესხებელი“ (იგავ. 20, 4).

§ 17.

ხულიერი და ხორციელი შრომა

ერთხელ ძმანი — მოღვაწენი მივიდნენ ღირს ალათონთან და ჰკითხეს მას: „რა უფრო ყურადღების ღირსია: ხორციელი შრომა თუ სულიერი?“ ბერმა მიუგო: „კაცი წააგავს ხეს, ხორციელ შრომას მოაქვს ფოთოლი, სულიერს კი ნაყოფი და ამიტომ საღვთო წერილი გვარწმუნებს, რომ „ყოველმან ხემან, რომელმან არ გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას“ (მათ. 3, 10): ამიდან სჩანს, რომ უფრო ყურადღება უნდა მიექცეს ნაყოფს, ესე იგი სულიერ სა-

ქვეს, მაგრამ ხისთვის საჭიროა ფოთოლიც, რომ მისმა ჩრდილმა დაიფაროს ნაყოფი მომეტებულ სიცხისაგან. ეს კიდეე ცოტაა: ფოთლები ამშვენებენ ხეს, უჩრდილებენ და აგრილებენ მგზავრებს. წმიდა ბერმა სრულიად მართალი სთქვა: დიდად ბედნიერია და კმაყოფილია ის კაცი, რომელიც სულიერადაც მოღვაწეობს და ხორციელადაც არ რჩება უქმად. სულიერი მოღვაწეობით მოიპოვებს რა იგი სულს, შეუძლია სხვასაც გადასცეს მაცხოვნებელი რჩევა. ხოლო ხორციელი მოღვაწეობით მოიპოვებს რა თავისთვის სარჩო-საცხოვრებელს, შეუძლია კეთილი უყოს და დაეხმაროს გაჭირვებულ კაცსაც. გარდა ამისა ვისაც შრომა უყვარს, მის გულს ვერ შეიპყრობენ ცუდი გულის თქმანი. ამგვარად ყოველ კაცისთვის საჭიროა შეამკოს თავი თვისი ფოთოლითაც და ნაყოფითაც; წინააღმდეგ შემთხვევაში კაცს ექნება დიდი ნაკლულევანება.

„მოიხსენეთ ძმანო შრომანი ჩვენნი და რუდუნებანი, რამეთუ ღამე და დღე ვიქმოდით, რათა არავის დაუმძიმოთ თქვენგანსა და ესრეთ ვქადაგეთ თქვენდა მიმართ სახარება იგი ღვთისა“ (1 თესალ. 2, 9; 2 თესალ. 38).

§ 18.

მუშარიტი მეუდაბნოე

ღირს არსენს, რომელიც მღვდელ-მონაზვნად იყო შეიმდგარი, რომის ქალაქში ყავდა მდიდარი ნათესავი. სიკვდილის დროს მდიდარმა ნათესავმა არსენს დაუტოვა ანდერძით აურაცხელი სიმდიდრე. არსენმა მიიღო თუ არა ანდერძი, წაიკითხა და, რაკი შინაარსი ვაიგო, მოინდომა ანდერძის დახევა. მაგრამ ანდერძის მომტანი მოსამსახურე დაეკიდა მის წინ მიწაზე და შეევედრა, რომ წას არ დაეხია ანდერძი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად მოეპყრობოდნენ მას. მაშინ ღირსმა არსენმა უკანვე დაუბრუნა წას ანდერძი და უთხრა: „მე ამ ქვეყნისათვის იმაზედ ადრე მოვკვდი. გასაკვირველია, როგორ თუ ის, ახლახან მომკვდარი, მხდის მე მკვდარს, სიმდიდრის მეტკვიდრედ. — მიეცი, ჩემო კარგო, ეს ქალალდი უკანვე იმას, ვინც მოგიტანა შენ“. აი დიდი მაგალითი მეუდაბნოებისა. ვინც შესწირა თავი თვისი ღვთის სამსახურს და შედგა ბერად, ის არ საჭიროებს სიმდიდრეს.

პავლე მოციქული იტყვის: „ვერცხლისა და ოქროისა და სამოსლისა არა ვისი გულმან მითქვა“ (საქ. მოც. 20, 33). „ვერცხლის უყვა-

რულ იყვენით, სახითა კმა — ვეყავენ, რომელი იგი გაქვნდეს, რამეთუ თავადმან (ქრისტემ) სთქვა: არ დაგიტეეო, არცა დაგაგდო შენ" (ებრ. 13, 5).

§ 19.

ღმერთი ისმენს მართლის ლოცვას

იმ დღეს, როცა წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელი მოვიდა მცხეთას ქართველების კერპების დღეობა იყო. დღეობაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდგან დიდძალი ხალხი იყო შეკრებილი. ქალაქ მცხეთიდგან დაიძრა აუარებელი ხალხი, მეფე მირიანიც და ნანაც გამოვიდნენ სახლიდგან და დიდის ამბით წავიდნენ კერპთაყვანისსაცემლად. წმიდა ნინომ გამოიკითხა, სად მიდიან მეფე, დედოფალი და ხალხი და რაკი გაიგო, კერპთაყვანისსაცემლად მიდიანო, თვითონაც გაჰყვა მათ. მეფე და ხალხი ავიდა არმაზის მთაზედ, სადაც ქართველთა საალოცავი კერპები იყვნენ აღმართულნი.

ყველანი დიდი შიშით მიდიოდნენ კერპებთან, ლოცვილობდნენ და თაყვანსა სცემდნენ მათ. წმიდა ნინომ ნახა რა ყოველივე ესე, ძლიერ შეწუხდა, იწყო ტირილი და აღაპყრო თვალნი ზეცად და მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს, რომ კერპები შეემუსრა, მტერად და ნაცრად ექცია და ქართველნი სიბნელისა და უმეცრებისაგან გამოეყვანა. ღმერთმან შეისმინა ლოცვა წმ. ნინოსი: ამოვარდა ძლიერი ქარი, ატყდა შექა-ქუხილი, დაიწყო ძლიერი წვიმა და შემინებული ხალხი გაიფანტა; წვიმას მოჰყვა ქვის მსგავსი სეტყვა (კოხი) და კერპები სრულიად შეაპუსრა. მტერად და ნაცრად აქცია და ქარმა მიმოფანტა. ამგვარად შეისმინა ღმერთმა ლოცვა წმიდა ნინოსი, რომელიც ღვთის განგებით მოვლინებულ იყო საქართველოში კაპადოკიიდგან ქრისტიანობის გასავრცელებლად. მან კიდევ იქადაგა საქართველოში. მოაქცია ქართველი და განანათლა იგინი ქრისტეს სწავლით და ჭეშმარიტ სარწმუნოებით. „შორს განშორებულ არს ღმერთი არა წმიდათაგან, ხოლო ლოცვანი მართალთანი ისმინოს" (იგავ. 15, 29).

§ 20.

ღმერთი ისმენს სარწმუნოებით ნარმოთქმულ ლოცვას

ერთ ბაღში ვენახს სხლავდნენ: ხმელ რტოებს (რქას) აცლიდნენ და ლობეს გადაღმა ყრიდნენ. წმიდა ტიბონმა შეკრიბა ისინი, თავისს ბოსტანში ჩარგო და სარწმუნოებით სთხოვა ღმერთს, რომ გადმოეცლინა

მისი ვენახისათვის ოთხნაირი მოწყალება: პირველი, რომ ვაზის ხმელ ნასხლავს ვაეხარნა. ფესვები მოემაგრებია და აღზრდილიყვნენ; მეორე, რომ ვენახი ყოფილიყო სავსე და მშვენიერი; მესამე, რომ ყურძენი ყოფილიყო ტკბილი და შემრგე; მეოთხე, რომ მისი მტევნები ს

§ 21.

მოჩვენება მონუალების მიმღებლებზედ

ერთი ვინმე განდგომილი, რომელმანც სიყმაწვილეშივე დასტოვა ყოველივე ქვეყნიური სიამოვნება, ცხოვრობდა ვიწრო სენაკში, ატარებდა დროს ღვთის ვედოვნა-დიდებაში და მოაკვდინებდა თავისს სხეულს მარხულობით და ლაშის თევით. ეგეთი ანგელოსებრივი ცხოვრებისათვის ის ზეციური ხილვის ღირსი გახდა. ერთ დღეს მონასტერში მოვიდა ქალაქის უფროსი, რომ დაეჭიგებინა სამოწყალო ბერებისათვის. მან თითოეულ ბერს თითო ვერცხლი მისცა, ხოლო განდგომილს მიუტანა ოქრო, დადგა მისი სენაკის სარკმელთან და გულმოდგინედ სთხოვდა მას, ეს მცირედი საჩუქარი მიეღო. ეს განდგომილი დღეში საჭმელ-სასმელად მხოლოდ ხმელ პურის თითო ნაჭერს და თითო ჭიქა წყალს ხმარობდა. მას თავისს დღეში აო მიეღო არც ოქრო და არც ვერცხლი. მაგრამ ეგეთ კეთილის მყოფელს და კეთილშობილი კაცის თხოვნის შერცხვა და მიიღო ოქრო... იმ ღამეს მან წაიკითხა ჩვეულებრივი ლოცვები და დაწვა დასაძინებლად. უეცრად ძილში მოეჩვენა მას, რომ ის იმ მონასტრის ბერებთან ერთად სდგას ერთ დიდ მინდორში, რომელიც დაფარულია ხშირ ეკალ-მაყვალით და ერთი ჭაბუკი (ანგელოსის მსგავსი) ბერებს ძალდატანებით ათიბვინებდა ეკალ-მაყვალს. მერმე მივიდა ჭაბუკი განდგომილთან და უთხრა: „სთიბე ეკალ-მაყვალი!“ ოოცა ის უარს დაადგა, ჭაბუკმა მრისხანეთ დაუყვირა: „ტყუილად დგომის მიზეზი არა გაქვს. გუშინ შენ სხვა ბერებთან ერთად გაქირავდი და მასთან შენ ოქრო მიიღე და სხვებმა ვეცხლი. შენ, როგორც მეტის მიმღები, სხვებზე მეტი უნდა იშრომო. ეს ეკალ-მაყვალი არის საქმენი იმისნი, ვინც გუშინ შენ მოწყალება მოგცა... იშრომე ოფლითა შენითა.“ ამ სიტყვებზე გაეღვიძა განდგომილს. მან მოიაზრა თავისი სიზმარი და თავზარი დაეცა, რომ თავისს ცოდვებს ეკალ-მაყვალთან ერთად უნდა აღმოფხვრას სხვისი ეკალ-მაყვალიც.

თქვენ, რომელნიც მოწყალებით სცხოვრებთ, ამ ჩვენებისაგან, რომლის ხილვის ღირსი გახადა ზეციურმა მსაჯულმა მართალი კაცი, სცანით მოვალეობა თქვენი: ილოცეთ კეთილის მყოფელთა ცოდვების მოტევებაზედ. ხოლო თქვენ, რომელნიც აძლევთ საზრდოს და სამოსელს სიგლახაკით და უძლურებით ტანჯულ კაცობრიობას, გაიორკეცეთ მოწყალებანი: ვინაიდგან მოწყალეობით და სარწმუნოებით განიწმინდებიან ცოდვანი.

„ყოველსა, რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა მიეღოს მისგან, და რომელსა მიეცა ფრიად უმეტესი მოხადონ მას“ (ლუკ. 12, 48).

§ 22.

პოლიკარპეს რჩევა მოწყალების გაცემაზედ

ერთ ღვთის მოყვარე თავადმა, რომელსაც ღირსი პაისის სახელის დიდი რიდი ჰქონდა, (თუმცა პირადად კი ვერ იცნობდა მას), მოინდომა ყოველგვარი სიუხვე ეჩვენებინა მისთვის: ამიტომ მან წაიღო დიდძალი ოქრო და ვერცხლი და წავიდა იმ უდაბნოში, სადაც ღირსი პაისი ილვწოდა. ამ დროს პაისი მიდიოდა სხვა ბერთან და თავადს გზაზედ შეხვდა. თავადმა ჰკითხა მას: „სად ცხოვრებს პაისი?“ — რად გინდა პაისი? — ჰკითხა წმ. მეუდაბნოემ. „მე მიმაქვს მასთან ოქრო და ვერცხლი, მიუგო თავადმა, რომ ღვთის კაცს თვითონც ქონდეს ყოველივე მისთვის საჭირო და სხვა ბერებსაც გაუნაწილოს.“ პაისმა აღაპყრო ხელი ზეცას და მადლობა შესწირა ღმერთს, რომ ამაო წუთისოფელში კიდევ მოიპოვებიან იგეთნი კაცნი, რომელთაც არ დავიწყებიათ მონანი უფლისანი; მერმე მიუბრუნდა სამოწყალოს მომტანს და უთხრა: ქრისტეს მოყვარეო და კაცთ შემწყალებელო! ღვთის სახელით გარწმუნებ შენ, რომ ბერებს ოქრო და ვერცხლი არ უნდა; შენ შეგიძლია ჩქარა იპოვო პაისი, მაგრამ არც ის და არც სხვა ბერები შენგან არაფერს არ მიიღებენ; ეგრე შეუწუხებლად მიიქეცი სოფლად: აქ უფალმა აკურთხა საჩუქარი შენი, იქ კი განაპყრო ხელი თვისი, რათა მიიღოს იგი. იქ ბევრს იპოვნი გლახაკს, სნეულს და აოხრებულს, ქვრივს და ობოლს, იზრუნე მათთვის, გაათბე, აჭამე, ჩააცვი მათ და მიიღებ ჯამაგიეროს უფლისაგან. გულუხვი თავადი, რომელმაც არც კი იცოდა, თუ ის იყო პაისი, მიყვა მის რჩევას. დაბრუნდა ქალაქში და ყოველივე დაურიგა ღარიბ მოქალაქეებს და იმ გაჭირვებულებს, რომელნიც იპოვა ქალაქის გარშემო.

„უწყოდეთ, რამეთუ რაჲცა ვინ ქმნეს კაცად კაცადმა კეთილი, იგიცა მოიღოს უფლისა მიერ, გინა თუ მონამან, გინა თუ აზნაურმან“ (ეფეს. 6, 8).

„მდიდართა მათ ამას სოფელსა ამ(ცენ; რათა არა მაღლოობდენ, არცა ესვიდენ სიმდიდრეს მას უჩინოსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, რომელმან მოგცის ჩვენ ყოველივე საშვებელად, კეთილსა საქმედ, განმდიდრებად საქმეთა შინა კეთილთა, უხვად მიმცემელ იყვნედ“ (1, ტიმ. 6, 18—19).

§ 28.

სამეფო სადილი

იყო ერთი მართალი და წმიდა კაცი — ფილარეტი. ერთხელ მან უთხრა თავისს ცოლს თეოზბას: „გავაკეთოთ შესანიშნავი სადილი, მე მინდა დავპატიჟო მეფე და მეფის კარის კაცნი სადილად. თეოზბამ ყოველი ღონის ძიება იხმარა, რომ რაც შეიძლებოდა საუკეთესო სადილი მოემზადებინა. როცა ყოველივე მზათ იყო ფილარეტმა უბრძანა თავის შვილს ითანნეს, რომელიც წარჩინებული და დაჯილდოებული სამსახურის კაცი იყო, და თავის შვილიშვილებს, რომ წარჩინებულ სტუმრებს სუფრაზედ თვითონ ემსახურონ; ხოლო თავის თავზედ სთქვა, რომ ის მიდის მეფის დასაპატიჟებლად; მაგრამ მისი სახლობა ძლიერ გაკვირდა, როცა ფილარეტი შინ დაბრუნებული დაინახა: მას მოყვებოდნენ მთხოვნელნი, ბრმანი, კოჭლნი, დაუძლურებულნი, რომელთა რიცხვი ორასამდე იყო. — „აბა მეფე თავის კარის კაცებით მოგვეახლების, სთქვა მან, მზათა გაქვთ ყოველივე?“ მაშინ მისმა სახლობამ გაიგო, რომ მეფედ უწოდებდა თვით იესო ქრისტეს და მის კარის კაცებად მთხოვნელებს; რომელთა ლოცვას აქვს დიდი ძალა წინაშე ღვთისა და მორჩილებით აღასრულა მისმა სახლობამ ყოველივე, რაც ფილარეტმა უბრძანა მას. წმ. ფილარეტმა ნასადილევს თითეულ მათგანს თითო ოქრო აჩუქა და გაისტუმრა.

როცა ჩვენ ვასმევთ მწყურვალეს, ვასმევთ თვით ქრისტეს; როცა ვაჭმევთ მშიერს, ვაჭმევთ ქრისტეს; როცა შევმოსავთ შიშველს, შევმოსავთ თვით ქრისტეს; როცა მოუსვენებთ უცხოს, მოუსვენებთ თვით ქრისტეს; როცა ენახავთ და ვანუგეშებთ საპყრობილეში მყოფთ, ვანუგეშებთ თვით ქრისტეს. ქრისტიანენო! ეგეთი დიდი ნუგეშია კეთილის ყოფა ღარიბთა.

„ცილის მწამებელი გლახაკისა განარისხებს შემოქმედსა მისსა, ხოლო რომელი პატივს სცემს მას, სწყალობს გლახაკსა“ (იგავ. 14, 31). „რომელი სწყალობს გლახაკსა, ავასხებს ღმერთსა, ხოლო მიცემისაებრ მიმისა, მიეგოს მას“ (იგავ. 19, 17.) „ნეტარ არს, რომელმან გულის ხმა ყოს გლახაკისა და დავრდომილისა, და დღესა ბოროტსა იხსნას იგი უფალმან. უფალმან დაიცვას იგი და აცხოვნოს იგი, და სანატრელ ყოს იგი ქვეყანასა ზედა და არა მისცეს იგი ხელთ მტერთა მისთა“ (ფსალ. 40, 1—3).

§ ২৫

განუწყვეტელი ლოცვა

ერთხელ ენატელ ბერთან — ლუკიანესთან მივიდნენ ბერები, რომელნიც იწოდებოდნენ ევხაიტებად და იყვნენ მწვალებელნი: ისინი ყოველივე ქველის საქმეს უარყოფდნენ და სრულ უპირატესობას აწყობდნენ მარტო ლოცვას. ლუკიანემ ჰკითხა მათ: „რას ხელსაქმობთ?“ — „ჩვენ არ ვხელსაქმობთ, — მიუგეს იმათ, — მოციქულის მცნების თანახმად განუწყვეტელად ვლოცულობთ“ „სჭამთ თუ არა?“ ჰკითხა ლუკიანემ. „ვსჭამთ,“ მიუგეს იმათ. „მაშ, როცა სჭამთ, მაშინ თქვენთვის კინ ლოცულობს? შეჰკითხა ლუკიანემ, გარდა ამისა გძინავთ თუ არა?“ — როგორ შეიძლება უძილობა, უთხრეს ევხაიტებმა. „მაშ, როცა გძინავთ, მაშინ თქვენთვის ვინ ლოცულობს?“ კიდევ შეეკითხა ლუკიანე. მოსულებმა ვერაფერი უპასუხეს. მაშინ ღირსმა ლუკიანემ უთხრა მათ: „მომიტევეთ ჩემი გულწრფელობა: თქვენ თავის თავს ეწინააღმდეგებით. მე თქვენ დაგიმტკიცებთ, რომ კიდეც ვხელსაქმობ და კიდეც ვლოცულობ განუწყვეტლად. მაგალითად: ვწნავ ჭილისაგან კალათებს და ვკითხულობ: „მიწყალე მე ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა... ლოცვა არ არის ესა?“ — „ოასაკვირველია“. მიუგეს ევხაიტებმა. „ამგვარად, ვატარებ რა მთელ დღეს შრომაში და ლოცვაში, განაგრძო ლუკიანემ, მე მუშაობით ვშოულობ რამდენიმე ფულს. იმ ფულების ნახევარს ვაძლევ გლახაკთა, ხოლო მეორე ნახევარს ვხმარობ ჩემ საჭიროებისათვის. როცა ვჭამ, ან მძინავს, მაშინ ჩემთვის ლოცულობენ მოწყალების მიმღებნი; ხომ ხედავთ, რომ მე ღვთის შემწეობით ვასრულებ მოციქულთა კანონს და ვლოცულობ განუწყვეტლად“.

„ყოვლითა ლოცვითა და ვედრებითა ილოცევდით ყოველსა ჟამსა სულითა“. (ეფეს. 6, 18). „მოუკლებელად ილოცევდით“ (1 თესალ. 5, 17). „კეთილმსახური და მოშიში უფლისა ყოველითურთ სახლეულით თვისით იქმოდა ქველის საქმესა მრავალსა ერსა შორის და ევედრებოდა ღმერთსა მარადის“ (საქ. მოც. 10, 2). „იღვიძებდით უკვე ყოველსა ჟამსა და ევედრებოდეთ ღმერთსა“ (ლუკ. 21, 36) „მოიძიეთ უფალი და განძლიერდით და ეძიებდით პირსა მისსა მარადის“ (1 ნეშთ. 16, 11; ფსალ. 104, 4).

§ 26.

მფარველობა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა

ბერძენთა იმპერატორის ლეონ ბრძენის მეფობის დროს მეხუთე საუკუნეში პირველ ოქტომბერს დიდებულ ვლახერის ეკლესიაში, რომელიც იყო აშენებული სტამბოლში ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის სახელზედ, სრულდებოდა ღამის თევით ლოცვა. ტაძარი სავსე იყო მლოცველებით, რომელთა შორის იყო ანდრია სალოსი. ღამის შეოთხე საათზე ანდრია სალოსმა აღაპყრო თვალნი თვისნი ზეცას და დაინახა, რომ ვითომც ტაძარს აღარ ქონდა თაღები და გუმბათი და შეხედა ზეციურ ღედოფალს — ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს. ანათებდა რა როგორც მზე, ის იდგა ჰაერში და მის გარშემო იდგნენ წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მღვდელმთავარნი, მოწამენი და ყველა ზეციურნი ძალნი და ფარავდა რა თვისი წმიდა ომფორით ქრისტიანებს, ევედრებოდა მათთვის ძესა თვისსა და ღმერთსა ჩვენსა. წმ. ანდრიამ ჰკითხა იქვე მდგომ თავისს მოწაფეს — ნეტარ ეპიფანეს: „ხედავ ძმაო, ქვეყნის შვა მდგომელს?" — „ვხედავ, წმიდაო მამაო, და შეძრეწენებულ ვარ". — მიუგო მან. იმ დროიდგან დადგენილ არს დღესასწაული ღვთისმშობლის მფარველობისა, რომ ქრისტიანებმა, რომელთაც უნდა აბსოლედეთ ეს სასწაული, იცოდნენ ვისდამი უნდა მივიქცეთ გაჭირვების დროს და ვის უნდა შევსწიროთ მსხვერპლი სამადლობელი, როცა გასაჭირისაგან გავთავისუფლდებით.

„და სთქვა მარიამ: ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღვთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა. რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თვისისასა; რამეთუ აჰა ესე რა ამიერიდგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი რამეთუ ჰყო ჩემთანა დიდებული ძლიერმან, და წმიდა არს სახელი მისი. და წყალობა მისი ნათესავითი ნათესავადმდე, მოშიშთა მისთა ზედა" (ლუკ. I. 46—50);

§ 27.

კაცთა საქმეზე

ერთი ვინმე ბერი იჯდა თავისს სენაკში და გაიგონა ზეციდგან ხმა: „მოდი, მე შენ გაჩვენებ კაცთა საქმეს." ბერი გამოვიდა გარეთ და ანგელოსმა, რომელიც მას განოეცხადა, აჩვენა მას ერთი კაცი. ამ კაცს მოეჭრა შეშა, შეეკრა ტვირთი და უნდოდა მხარზედ აეღვა, მაგრამ ვერ ასწია. ნაცვლად იმისა, რომ შეშისათვის მოეკლო, მან კიდევ უმ-

რაველესი მოკრა, ტვირთს მიუმატა, კიდევ უნდოდა აწევა, მაგრამ ვერ შესძლო. ეს განმეორა მან ბევრჯერ. ბერმა გაიარა რაოდენიმე გზა და ანგელოზმა კიდევ უჩვენა მას მეორე კაცი, რომელიც ჭასთან იდგა, წყალს იღებდა და ასხამდა ფუტურო ჭურჭელში, რომლისაგან წყალი ისევ ჭაში ჩადიოდა. ბერს ესენი გაუკვირდა და გზა განაგრძო; უეცრად დაინახა ეკლესია და ორი ვიღაც კაცი, რომელნიც ცხენებზედ ისხდნენ, ხელში დიერე ეჭირათ კარების სიგანეზე და ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ ეკლესიაში შეეტანათ, მაგრამ ვინაიდგან ძელი კარების სიგანეზე უგრძესი იყო და ძელის თავით მობრუნება და სიმოკლით შეტანა მათ არ უნდოდათ, იმათი მაცადინობა ამაო იყო.

განმარტება. შეშის მჭრელი კაცი ნიშნავს ისეთ კაცს, რომელიც ცოდვებში ცხოვრობს და, სინანულის მაგიერ, მუდამ ამრავლებს ცოდვას. წყლის ამომღებელი ნიშნავს ისეთ კაცს, რომელიც ბევრ კეთილ საქმეს შვრება, მაგრამ ცოდვებს არ სტოვებს და ამის გამო არა აქვს ნაწილი რჩეულთა თანა ღვთისათა; ხოლო ორი კაცი, რომელთაც დვირე მიეჭონდათ, ნიშნავს ისეთ კაცებს, რომელნიც კეთილმოქმედნი არიან, მაგრამ ამპარტავანნი და სიამპარტავნე უშლის მათ სასუფეველში შესვლას.

„ეჰა შვილთა განდგომილთა, ამას იტყვის უფალი, ყავთ განზრახვა არა ჩემ მიერ, და ზავნი არა სულისა მიერ ჩემისა, შეძინებად ცოდვანი ცოდვათა ზედა“ (ისაია. 30, 1). „მცოდველთა ეწიოს ბოროტი, ხოლო მართალთა ეწიოს კეთილი“ (იგავ. 13, 22). „ყოველმან, რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (ლუკ. 14, 11).

§ 28.

მიცვალებულთა მოხსენების სარგებლობაზე

ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი დაატყვევეს კუნძულ კიპრზე, წაიყვანეს სპარსეთში და იქ ციხეში შესვეს; მშობლებმა პირველად არ იცოდნენ სად იყო მათი შვილი; ბოლოს გაიგონეს, რომ ის მოკვდაო და დაიწყეს მისი სულის მოხსენება შობას, აღდგომას და სული წმიდის მოფენის დღეს. ოთხი წლის შემდგომ ჭაბუკი გაიქცა ტყვეობიდან და მივიდა მშობლებთან. ალტაცებაში მოსული მშობელნი გადაეხვივნენ შვილს და ბევრი სიხარულის ცრემლი დაღვარეს და მერე უთხრეს მას: „ჩვენ გავიგონეთ, საყვარელო შვილო, რომ ვითომ შენ მოკვდი და ვეკედრებოდით ღმერთს შენი სულის განსვენებაზე“. — რომელ თვეში

და რომელ დღეს ყოფდით იმა მოხსენებას" — ჰკითხა შვილმა, და როცა გაიგონა მათგან მოხსენების დრო, განკვირვებით წარმოსთქვა: „აბ! საყვარელნო მშობელნო! ამის გამო რამდენი სიკეთე მიყავით მე... ყოველ ამ დღეებში მოდიოდა ჩემთან ვილაც თეთრად ჩაცმული, შემხსნიდა ბორკილს და გამომიშვებდა საპყრობილედან. ისე კი რომ მისი დანახვა არავის შეეძლო, ხოლო მეორე დღეს მე ისევ საპყრობილეში და ბორკილებში აღმოვჩნდებოდი".

ქრისტიანენო! ევედრეთ ღმერთს გარდაცვალებულთა თქვენთა ნათესავთათვის, ევედრეთ ყოველთა გარდაცვალებულთა ქრისტიანეთათვის რადგანაც ამის გამო სული მიიღებს ნუგეშინის ცემას.

„და ჰყო კაცთაგან შეკრებულთა მორთულობანი, ვითარცა ორი ათასი დრაქმა ვერცხლისა, წარგზავნა იერუსალიმსა შინა შეწირვად ცოდვისათვის მკვდართა მსხვერპლისა" (2 მაკაბ. 12, 43).

„ფრიად დიდად სარგებელ ექნების სულთა, რომელთა თვისცა შეიწირვის ლოცვა ქამსა მას შინა, ოდესცა წინა მდებარებს წმიდა და საშინელი მსხვერპლი" (ცირ. იერუსალ. სწავ. 5 თავ. 9).

§ 29.

ნამიჯა ირანნი კლემეკსის თაყვანებანი

ქრისტიანე არის ის, ვინც, რამდენათაც კაცისათვის შესაძლოა, ბაძავს ქრისტეს საქმით, სიტყვით და გულისთქმით.

• •
•

თუ დიდხანს ლოცულობ და ნაყოფს ვერ ხედავ, ნუ იტყვი — მე არ შემიძენია რაო, ამიტომ რომ თვით ლოცვად დგომა არის შეძენა, რადგანაც ღმერთს ესაუბრები და სულიერად მასთან იყოფები და ეს ყველა სიკეთეზე უაღრესია.

• •
•

სარწმუნოება მიიღებს იმასაც კი, რისიც იმედი არა გაქვს, როგორც ეს გვაჩვენა კეთილგონიერი ავაზაკის მაგალითმა ჯვარზე.

§ ჟი.

ნაიდა ეფრემ ასურელის მოძღვრებიდან

• სოლომონ ბრძენი სწერს: „შვილო სიბრძნესა ჩემსა ერჩდე, ხოლო ჩემთა მომართ სიტყვათა წინა უპყრენ ყურნი შენნი“ (იგავ. 5, 1).

• ღმერთო! ასწავლე მას, ვისაც უყვარს სწავლა; და კეთილ მასწავლებელს დიდ ეწოდოს სასუფეველსა შენსა (მათ. 5, 19).

• ვისაც უყვარს სწავლა, მასში განდიდდეს სიბრძნე; ხოლო ვისაც. უყვარს უქმად ყოფა, მისთვის შეუძლებელია წარმატება.

• მოიპოვე ბეჯითობა, ეს დიდი საუნჯე სიბრძნისა; და განეშორე სიზაზუმაცეს, ყოველ უბედურების შესაკრებელს.

• ბეჯითად იკითხე საღვთო წერილი, ამიტომ რომ ამით ისწავლი სიბრძნეს; განეშორე გაუმაძღრობას, რომ არ გაფლანგო ყოველივე, რაც შეგიძენია.

• ღვთის მოყვარენი გყვანდეს მეგობრად შენდა, ხოლო ვისაც უყვარს მთვრალობა, მასთან გზადაც ნუ გაიარ.

• აღირჩიე შენთვის შიში ღვთისა — დასაბამი ყოველი სიბრძნისა, და პატივ ეც მშობელთა შენთა, იმიტომ რომ მათი ლოცვა დაგიფარავს შენ.

• ზომით შეიძინე შენთვის ოქრო, ხოლო სწავლა — უზომოდ; როცა გამრავლდეს მწუხარება, ის (სწავლა) იქმნება შენთვის განსვენება. და სიტკბოებაც.

• თუ გაქვს ოქრო და ვერცხლი, ნუ აღიმაღლებ თავსა შენსა და ნუ გამედიდურდები, არამედ ყოველთა გზათა შენთა ხვიდოდე სიბრძნით.

• მშვიდი იყავ შენ სიყმაწვილეში, რომ მოხუცებულობის დროს ამაღლდე; დაინერგე შენ გულში კეთილნი ჩვეულებანი, რომ ცხოვრება შენი იყოს აღსავსილი სიხარულით.

• ეს ისწავლე და საქმითაც ალასრულე, მოსწავლეო, რომ გაამხიარულო და გაახარო შენი მშობელნი და მასწავლებელნი.

• როცა ზიხარ მოხუცებულთან, ნუ იქმნები სიტყვა ჩქარი, არამედ ჩუმად იყავ, სანამ არ გკითხონ რამე, ხოლო მაშინ მიუგე წყნარად,

• სიტყვა შენი ბრძნულად განაწყვე, რომ მსმენელთა მოგიწონონ. ადიდე მშობლები შენი და ილოცე შენ მასწავლებელთათვის.

• ყოველ საქმეს მიუჩინე განწესებული დრო, რომ ყოველივე თავის რიგზე დაცულ იყოს: სმა-ჭამა, ლაპარაკი, ლოცვა და წიგნის კითხვა.

* მოუმზადე შენ სულს კეთილ საქმეთაგან საგზალი, სანამ ჯერ კიდევ გაქვს დრო და შეძლება, რომ ამ სოფლიდან განსვლის შემდგომ არ გაგიჭირდეს იქ.

* მოარიდე ენა შენი წყევას, ავად ხსენებას, ძაგებას; ნაცვლად ამისა ბაგენი შენნი გალობდენ ტკბილ ქებითი საგალობელს.

* ჭაბუკო! დაიცევ სიჭაბუკე შენი, რომ არ შეიქმნეს იგი დასაწველ ცეცხლითა, და ფიქრად გქონდეს დრო უძლურებისა და მოხუცებულობისა, რომელნიც შენს უკან მოიჩქარიან.

* „კეთილ არს სიბრძნე უფროს ჭურჭელთა ბროლისათა" (ეკკლ. 9, 18), სწავლა უმჯობეს არს სიმდიდრეზე. პატარა, მაგრამ ბრძენი ჭაბუკი უმჯობესია მოხუცებულ, მაგრამ სულელ მეფეზე.

* ჭაბუკო! ეძიე შენთვის სწავლა და იყავ კეთილ განწყობილ გზათა შენთა, რომ ამ წუთისოფელშიც შეიქმნე სახელოვანი და მომავალშიაც დაიმკვიდრო სასუფეველი.

* პატივ ეც უფროსთა შენთა, გიყვარდეს კეთილად მოქცევა მოხუცებულთათანა, იჯექ ფერხთათანა მათთა, მოისმინე და დაისწავლე სიტყვანი მათნი.

* სწავლა ახალი სინათლეა და ნათელ ყოფს თვალთა. ჭაბუკო! შეიყვარე იგი, რომ შეიქმნე შენ განათლებული და რომ გაქებდენ შენ შსმენელნი.

* სწავლა შესწავს გვირგვინს და დაადგამს თავზედ მას, ვისაც უყვარს იგი; ამიტომ რომ სანაგვედგან აღამაღლებს და დასვამს სამეფო ტახტზე.

* წიგნები იყვნენ შენდა საზრდოდ და განსძღე საამო საზრდელითა. ისინი იყვნენ შენდა ლოგინად და დაიძინო მშვიდობიანი ძილითა.

* ნუ დაიჭერ ამხანაგობას ბოროტებთან; ნუ გექმნება დამოკიდებულება ცრუთათანა. ნუ ედავები წინააღმდეგთა; ნუ შეებრძოლები შეუპოვართა; ნუ იქმნები მეტად ურცხვი, რომ არ შეგიძაგონ შენ ნაცნობთა.

* მიიღე რჩევა ბრძენთა, აღასრულე ბრძანება მშობელთა შენთა, ნუ დაიფიცებ და ნუც ტყუილს იტყვი იმ კაცზე, რომელმანც შეგცოდა შენ.

* თუ გყავს მეგობარი ნუ დაშურავ მისთვის ვეცხლსა შენსა; კეთილი უყავ მახლობელთა შენთა, როგორც შენ თავს, რომ გლოცავდენ შენ.

* მართალ იყოს სიტყვა შენი და იყოს სიტყვა შენი: „ჰე, ჰე და არა, არა," რომ ყველანი გერწმუნონ შენ.

• ჰეშმარიტ იყოს სიტყვა შენი, რომ ყველას უყვარდე შენ, რომ შორებელნიც და მახლობელნიც ლოცვილობდენ შენ სიცოცხლეზე.

• შენიანსაც და უცხოსაც კეთილი უყავ, რავდენადაც შეგეძლოს, კეთილსაც და ბოროტსაც კეთილი სიტყვა უთხარ.

• გქონდეს იმედი უფლისა, დაიცევ გზა მისი, ხვიდოდე ყოველთა-ებრ მცნებათა მისთა, მაგრამ ნუ მიანდობ იმედსა შენსა კაცსა, ამიტომ რომ ის უეცრად დასჭკნების; თითქო არც კი იყო იგი.

• მტკიცე მოიმედე იყავ ღვთისა, ამიტომ რომ ღვთის მოიმედენი ნეტარ არიან აქაც და მოსავალ ცხოვრებაშიაც.

• ქვეყანა წარვალს, როგორც დაწერილია (1 იოან. 2, 17), ხოლო სამართალი უტყუარია, როგორც განწესებულია.

• ჰაბუკო! გახსოვდეს ეს, რომ არ შესცოდო და თუ შეცოდე, სინანული დააჩქარე.

• მიაჩვიე ბაგენი შენნი ღვთის დიდებას და ენა შენი საუცხოვო ქებითი საგალობლის წარმოთქმას, მაგრამ ნურაოდეს ნუ დაიფიცებ და ნუც ტყუილს იტყვი, ამიტომ რომ ეს ახარებს სატანას.

• შესწირე ღმერთს მადლობა, ლოცვა, მღვიძარება და მარხულობა და ენა შენი წარმოსთქვამდეს ხმა ტკბილ ქებითი საგალობელს.

• დაიმარხე დიდ-მარხვა, განუყავ პური შენი მშიერთა, ილოცე შვიდ გზის დღეთა შინა, როგორც გასწავლა შენ ძემან იესესმან (ფს, 164).

• უმჯობეს არს მოიპოვო კეთილი თავისუფლება, ვინემ ყოველივე სიმდიდრე, ამიტომ რომ მთელ ქვეყანაზე არა რაჲ არს უმალლეს და უწარჩინებულესი კეთილი თავისუფლებისა.

• მოსწავლე! ეს ისწავლე, ფრთხილ იყავ სიტყვაში, რომელთაც შენ წარმოსთქვამ, შეიყვარე კეთილი, რომ სული შენი განსძღეს ნეტარებით.

• სასტიკი ყურადღება მიაქციე სიტყვებს, რომელნიც წარმოითქმიან ბაგეთაგან შენთა; და რასაც კი აკეთებ ამ ქვეყანას, მოიქეც როგორც ბრძენი.

• დაუფიქრდი ამ ქვეყანაში შენ შამოსვლას და ამ ქვეყნიდგან განსვლას, ამიტომ რომ არა რაჲსაგან შექმნილ ხარ შენ, კაცო, და უცბად თითქო არარად იქცევი.

• დაფიქრდი, რომ შენზე წინ ბევრნი დიდებულნი და ძლიერნი შეფენი იყვნენ; და აი, ესინი გაქრენ, ხოლო როგორც ისინი გაქრენ, ისე გაქრები შენც.

* შეისმინე სიტყვა შეგონებისა, თუ ცოდვილი ხარ; და თუ მართალი ხარ, გაუფრთხილდი, ნუ იქ უსამართლობას.

* საშინელ არს, ძმანო, როცა გვესმის განკითხვა, განეშოროს ყოველი კაცი ცოდვას, და ნუ გაობამს თავისს თავს ქვეყნიურ მახეში, რომ არ დაიმკვიდროს მან ცეცხლის ალში ტანჯვა.

* დღე ყოველ გიკვირდეს დიდება-უფლისა შენისა, დაუცხრობელად დიდების მეტყველებდე და აქებდე მას, ამიტომ რომ მთელი ქვეყანაც რომ შეიძინო, ვერ გიხსნის ის შენ სიკვდილისაგან.

* განგვაძლიეროს ჩვენ ყოვლად წმიდა სამებამან, რომ ყოველთვის ვასრულებდეთ მის ნებას და მან გამოგვიხსნას ჩვენ განკითხვისაგან, რომელიც მოელის მოქმედთა უსჯულოებისათა".

§ 81.

ნიმი უნდა მოვიხმაროთ ბოლოდ ბაღლოგელთა სასარგებლოდ

ღირსმა მაკარი ეგვიპტელმა მიიღო ღვთისაგან იგეთი მადლი, რომ შის კითხვაზედ პასუხს აძლევდა მკვდარიც, თუ ამას მოითხოვდა სარწმუნოების სარგებლობა, ან უდანაშაულოდ ტანჯულთა ბედნიერება. აი, მაგალითი: ერთ სოფელში მოხდა მკვლელობა, ბრალს სდებდენ სრულიად მართალ კაცს; ამ საწყალ კაცს გაედევნენ დასაჭერად, ის ძლიერ შეშინდა, მიირბინა ღირსი მაკარის სენაკთან და იქ დაიმალა. ვერც ცრემლებმა, ვერც ფიცმა ვერ დაარწმუნეს მართლმსაჯულების მაძიებელნი, რომ ის არ იყო დამნაშავე. შეგროვილი ხალხი ერთხმად უწოდებდა მას კაცის მკვლელად, წმინდა მაკარი ამ ხმაურობაზედ გამოვიდა გარეთ და, რომ შეიტყო საქმის გარემოება, იკითხა: „სად არი დამარხული მოკლული?" მას ასწავლეს ადგილი და ის შევიდა საფლავთან, მოიდრიკა მუხლნი და აღავლინა ზეცას მხურვალე ლოცვა და მერე შეგროვილ ხალხს უთხრა: „ახლა უფალი გამოგვიცხადებს, თუ ამ კაცმა ჩაიდინა მკვლელობა. მერმე ხმამაღლა დაუძახა მოკლულს სახელი. მკვდარმა ხმა მოსცა საფლავიდან. „ქრისტეს სარწმუნოებით გიბრძანებ შენ",-უთხრა მაკარიმ, „ამ კაცმა, რომელსაც ხალხი ბრალსა სდებს, მოგკლა შენ, თუ არა?" — „ეგ არ არის ჩემი მკვლელი",—ხმამაღლა უპასუხა მკვდარმა მიწიდან. ხალხი განცვიფრდა და თავზარდაცემული პირქვე მიწაზედ დაეცა. მერე წმიდა მაკარის მოეხვევინენ მუხლზე და თხოვეს, რომ ეკითხა მას მკვდრისთვის, ვინ მოკლა იგი, მაგრამ მაკარიმ უპასუხა მათ: „მაგას ვერ ვიტვირთავ, ჩემთვის საკმაოა, რომ დავიხსნა უდანაშაულო კა-

ცა ბიღალთისაგან. ხოლო დამნაშავეს სამართალში მიცემა ჩემი საქმე არ არის".

ქრისტიანნო! ჩვენ არ გვაქვს სასწაულთ მოქმედების ძალა და ეს ჩვენც ეო გვეშირვება, ვაგრამ გვაქვს ჭკუა-გონება, რომლის შემწეობით გავარჩევთ კეთილს ბოროტისაგან; გვაქვს სხვადასხვა ნიჭიერება, რომლის გამო ჩვენ მახლობელს შეუძლია მიიღოს სარგებლობა, ანუ ვნება. იმის მიხედვით, თუ როგორ მოვიხმართ მას. მიიღეთ მაგალითი წმიდა მაკარისა, მადლი ღვთისა მოიხმარა უდანაშაულო კაცის გამოსახსნელად; ვაგრამ არ მოიხმარო იგივე მადლი დასაღუპავად დანაშაულისაც კი.

„ეაცად კაცადმან, ვითარცა მიიღო მადლი, ეგრეთვე ურთიერთარს ამაახურებდით მას, ვითარცა კეთილნი მწენი მრავალფერისა მის ნიჭისა ღვთისანი" (1 პეტ. 4, 10). „ნუ უგულებელს ჰყოფ, რომელი ეგე არს შეხთახა მადლი, რომელი მოგეცა შენ ღვთისაგან" (1 ტიმ. 4, 14).

§ 82.

მოკცეული შურის ვაკიეგელი

ერთი ბერი, რომელიც ძლიერ გააჯავრა მეორე ბერმა, მივიდა მოხუცებულ მეუდაბნოესთან და ყოველივე უამბო. მას რაც შეემთხვა ბოლოს გაჯავრებით უთხრა: „მე უსათუოდ მის ჯავრს ამოვიყრი, შურს ვიძიებ მისგან". მეუდაბნოემ ბევრი ილაპარაკა, ბევრი ლაპარაკი, რომ შურისძიება ღვთისთვის მიენდო. მაგრამ გაჯავრებული ბერი ყურს არ უგდებდა და მუდამ იმეორებდა: „არ შემიძლია მოვისვენო, სანამ შეურაცხყოფისთვის მას შეურაცხყოფას არ მივაყენებ".

გამოიტირა მოხუცმა ბერის ცდომილება, ცოტა ხანს გაჩუმდა და ბერე უთხრა: „ლოცვის დროა, შევწიროთ, ძმაო. ღმერთს მსხვერპლი". ბერი ადგა და მოხუცმა წარმოსთქვა შემდგომი: „უფალო ღმერთო ჩვენო! ჩვენ შენი იმედი არა გვაქვს, ნუ ზრუნავ, ჩვენთვის ნუ მიაგებ შურს. ჩვენ თვითონ ყოველივეს დავიწყებთ და გავათავებთ". გაიგონა რა ესე, ბერს თავზარი დაეცა და დავარდა მოხუცის თებერ ქვეშ. — „არ მინდა ჩხუბი ჩემ ძმასთან. ცრემლებმორეული ამბობდა ის. არ მინდა "შური ვიძიო მისგან". მერე მიიქცა ღვთისადმი და წარმოსთქვა: ერთ ერს შურის მგებელი უსამართლოებისა! მომიტევე შეცოდებანი ჩემნი". მოხუცმა განრისხარა ბერის სიბრაზეულისა გამო და უთხრა მას: „დარწმუნებული იყავ, შვილო ჩემო,

ვინც დაითმენს წყენას, უშრომლად ცხონდება, წინააღმდეგ ამისა ურისხდება ძმასა თვისსა, ის ღუპავს ყოველივე თავისს მოქმედებას და ემონება ეშმაკს.

ქრისტიანენო! შურის ძიება იმ შეურაცხებისათვის, რომელთაც შეგამთხვევენ თქვენ მახლობელნი, მიანდვეთ უფალს; ის მიაგებს ყველას საქმეთაებრ მათთა; ხოლო თქვენი საქმეა — მიუტეოთ შეურაცხშყოფელს.

„ნუ იტყვი: რომლითა სახითა მიყო მე, უყოფ მას, და მივაგებ მას, რომლითა შემაჭირვა მე" (ოავ. 24, 29). „ნუ ვინ ბოროტსა ბოროტისა წინ მიაგებთ... ნუ თავით თვისით შურს ეძიებთ... ჩემი-არს შურის გება და მე მივაგო, იტყვის უფალი" (რომ. 12, 17 — 19). „გიყვარდეთ მტერნი თქვენი და აკურთხევდით მწევართა თქვენთა, და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა" (მათ. 5, 44).

§ 22.

დასჯილი ბოროტი

კიევის ლავრაში ცხოვრობდა სხვათა შორის ორი ბერი—მღვდელ-მონაზონი ტიტე და დიაკონი ევარგი. რაოდენიმე წელიწადს ისინი ისე მეგობრულად ცხოვრობდნენ, რომ სხვა ბერებს უკვირდათ მათი ერთობა... მაგრამ კაცთა ნათესაობის მტერი ძველ დროიდგან სთესს ღვარძლს იფქლთა შორის! მან დათესა მათ შორის მტრობა, რისხვით და სიძულვილით ისე დააბრამავა ისინი, რომ ზიზღით უყურებდნენ ერთი მეორეს. ღვთის მსახურების დროს ერთი რომ საცეცხლურით აკმევდა ეკლესიაში, მეორე განზე მიდგებოდა, რომ საკმეველის სუნი არ ეგრძნო და თუ ეს ხანდახან თავისს ადგილზედ დარჩებოდა. პირველი რაც შეიძლებოდა შორს გაუვლიდა; მათ შორის სიძულვილმა დიდხანს გასტანა; და ისინი შეურიგებლად ბედავდნენ ღვთისადმი უსისხლო მსხვერპლის შეწირვას. ბევრი ურჩიეს მათ სხვა ბერებმა, რომ მათ დაეტოვებინათ შური, მტრობა და ეცხოვრათ მშვიდობიანად და თანხმობით, მაგრამ ყოველმა რჩევამ ამაოდ ჩაიარა. ერთხელ მღვდელ-მონაზონი ტიტე მძიმე ავად გახდა. მან გადასწყვიტა სიცოცხლის იმედი, დაიწყო ტირილი თავისს შეცოდების გამო და შეუთვალა თავისს მტერს შერიგება. ევარგიმ არც კი ბოისმინა შენთვალი და დაუწყო მას საშინლად წყევა. სხვა ბერებს ამის გამო გული სტკიოდათ და ძალით მიიყვანეს ევარგი მომაკვდავ-

თან. ტიტემ დაინახა თუ არა თვისი მტერი, სხვების დახმარებით ადგა ლოგინიდგან, დავარდა მის წინ და ცრემლით თხოვდა შეცოდების მოტევებას. მაგრამ ევარგი იგეთი შეუბრალებელი იყო, რომ ზურგი შეაქცია მას და მრისხანედ წამოიძახა: „არც აქ და არც მომავალ ცხოვრებაში არ მინდა მაგის შერიგება.“ ის გამოუსხლტა ბერებს ხელში და მიწაზედ დაეცა.

ბერებს უნდოდა აყენება მისი, მაგრამ, როგორ განცვიფრდნენ, როცა ნახეს, რომ ის მკვდარია და ისე გაშეშებულიყო, რომ თითქო რამოდენიმე ხნით წინ მომკვდარაო. იმათი განცვიფრება გაორკეცდა, როდესაც დაინახეს, რომ ტიტე იმავე დროს სრულიად განკურნებული წარმოსდგა ლოგინიდან და თითქო ავად არაოდეს არ ყოფილიყო. ამგვარ არაჩვეულებრივ შემთხვევისაგან თავზარდაცემული ბერები გარეშემოეხვივნენ ტიტეს და ერთი მეორეს ეკითხებოდა: „რას ნიშნავს ეს?“ ტიტემ უთხრა მათ: „როცა მძიმედ ავად ვიყავ, სანამ მე ცოდვილი გულძვირად ვიყავ ჩემ ძმასთან, ვხედავდი: ჩემგან გაბრუნდენ ანგელოსნი და ტიროდენ ჩემს სულის დაღუპვაზე, ხოლო ბოროტნი სულნი ხარობდნენ — აი, მიზეზი, ყველაზე უფრო რისთვის მოვინდომე შერიგება მისი; როცა ის აქ მოიყვანეს და მე თავი დაუკარ და მან წყევა დამიწყო, მაშინ დავინახე: ერთ მრისხანე ანგელოსმა დასცა მას ცეცხლის ალის ლახვარი და საცოდავი მიწაზედ მკვდრად დაეცა. იმავე ანგელოსმა მომკიდა მე ხელი და ამაყენა ცხედრისაგან სნეულებისა.

ბერებმა იტირეს ევარგის სასტიკი სიკვდილი და იმ დროიდგან უფრო ყურადღებით იყვნენ, რომ არავის ერთმანეთში გულძვირობა არ ჰქონოდათ. გულში ძვირის ჩანერგვა არის საშინელი ბიწიერება და იმდენადვე საძაგელ არს ღვთის წინაშე, რამდენათაც მავნებელი საზოგადოებაში. ქრისტიანენო! კაცი შექმნილ არს ხატად და მსგავსად ღვთისა. რა უპირატესობაა! მაგრამ დარწმუნდით, რომ გულში ძვირის ჩამტანს არ აქვს ხატება და მსგავსება ღვთისა: ის უფრო მხეცს წაგავს, ვინემ კაცს.

„უკეთუ მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქვენცა მამამან თქვენმან ზეცათამან. ხოლო უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან მოგიტევნეს თქვენ შეცოდებანი თქვენნი“ (მათ. 6, 14 — 15).

„უკეთუ მხიარულ ვიქმენ დაცემისათვის მტერთა ჩემთასა და

რქვა გულმან ჩემმან: ყოთილ, რათა ისმინოს უკვე ყურმან ჩემმან წყევა ჩემი" (იობ. 31, 29).

ყოველსა, რომელსა სძულდეს ძმა თვისი, იგი კაცის მკვლელი არს" (I თოან. 3, 15).

§ 24.

არ უნდა ეთხოვოთ ღმერთს თვით მკვლელობა

ერთმა კერპთაყვანისმცემელმა შეაძულა ქრისტიანს ეკლესია და დაითანხმა კერპთაყვანისცემაზე. პავლე მოციქულის მოწაფე წმ. კარპეზი, რომლის სამწყსოში ეს მოხდა, ყოველთვის ამისთანა შემთხვევაში მომლოცველი იყო და, როგორც წესია, განდგომილის მოქცევას ცდილობდა შეგონებით, ხოლო მაცდურს ძლევდა თვისი სათნოებით. მაგრამ ამ ერთხელ ღვთის კაცს მეტად ეწყინა და ლოცვის დროს მუდამ თხოვდა ღმერთს, რომ ზეციდგან ჩამოვარდნილიყო ცეცხლი და დაეწვა ულმერთონი. შუა ღამეზე უცბად შეიძრა ხის დარბაზი და შუა განიყო. წმ. კარპეზმა ახედა ზეცას, დაინახა ცა განღებული, იესო ტახტზე მჯდომარე და ანგელოსნი იესოს გარშემო მდგომარენი... ღვთის დიდებით განცვიფრებულმა მოციქულმა თვალები ძირს დააშტერა და დაინახა, რომ ცოტა მოშორებით მიწა გახეთქილა და გამოჩენილა ღრმა უფსკრული; უფსკრულის პირზე დგანან მისი შემაწუხებელნი — მაცდური და განდგომილი, ისინი თავზარდაცემულნი თრთოდნენ და უხილავი ძალისაგან ელდა დაცემულნი, ბზად იყვნენ ჩაცვივნულიყვნენ უფსკრულში, სადაც ალში-გლინავდა და კბილებს აღრაჭუნებდა უშველებელი და საშიშარი გველი. წმიდა კარპეზმა იგრძნო კმაყოფილება და იმდენად არ უცქეროდა ცას და იესოს, რამდენადაც ყურადღებას აქცევდა ორი ცოდვილის დაღუპვას, ელოდა მათ დასჯას და მასზედ ლოცულობდა. მაგრამ აჰა — იესო ადგა ტახტისაგან დიდებისა თვისისა, გამოეშურა ქვემოდ და მოადგა უფსკრულს; მან განიპყრო დასაღუპავებისაკენ შემწეობის ხელი და ანგელოსებმა განაშორეს ისინი უფსკრულს. მაშინ იესომ უთხრა წმ. კარპეზს: „თუ გინდა, მე მაწვალე: მე მზათ ვარ კაცთა ცხოვნებისათვის ხელმეორეთ ჯვარს ვეცქ; ჩემთვის საამოა წვალება, მხოლოდ კაცთა კი შეიძულეს ცოდვანი თვისნი; რისთვის გინდა შენ ძმათა დაღუპვა? მომბაძე მე და ნუ გინდა სიკვდილი ცოდვილთა, არამედ მოქცევა და ცხოვნება მისი. ნუთუ ვერ ხედავ, სად სჯობია ცხოვრება: ამ საზარელ გველთან, თუ

ღმერთთან და კაცთმოყვარე ანგელოსთან; გინდოდეს სხვისთვის ის, რაც შენთვის გინდა".

ეს საღვთო მოთხრობა გვასწავლის ჩვენ, რომ ცოდვილთათვის ჩვენ უნდა გვინდოდეს სინანული და არა სასჯელი და სიკვდილი და უნდა ვევედროთ ღმერთს არა იმაზედ, რომ ისინი დაღუპოს, არამედ თვისი მადლით მოაქციოს იგინი და შეიწყალოს.

„ცოდვა ჩემი გაუწყე შენ. და უსჯულობა ჩემი არა დავფარე შენგან, ვსთქუ აუარო ბრალი ჩემი უფალსა და შენ მომიტევე მე უღთოება გულისა ჩემისა" (ფსალ. 31, 5). „შენ, უფალო ღმერთო ჩემო, შემწყნარებელ ხარ და მოწყალე სულგრძელ და დიდად მოწყალე". (ფსალ. 85. 15).

§ 95.

დასჯილი ფიცის გაგებელი

ერთი ვინმე კიეველი დიდებული კაცი — იოანნე შედგა ბერად. მას ყავდა მცირეწლოვანი შვილი ზაქარია. როცა იოანნემ იგრძნო სიკვდილის მოახლოება, თავისი შვილი შეავედრა ზეცას, გამოითხოვა ღვთისაგან მფარველობა მისი და ჩააბარა ის ამხანაგ ბერს სერგის, რომელიც წინათ თითონაც კიეველი დიდებული იყო და იოანესთან ერთად შედგა ბერად. იოანემ მიაბარა სერგის ათასი ვერცხლი და ასი ოქრო და სთხოვა მას, რომ ეს ფული შვილისთვის გადაეცა, როცა ის წამოიზრდებოდა. ამ განკარგულების მერე იოანე მოკვდა. როცა ზაქარია თვრამეტი წლის შეიქმნა, მოსთხოვა სერგის ... მიბარებული ფული. მაგრამ ბერული ძაძა და მოღვაწეობა ... ყოველთვის ვერ იფარავენ გულს მაცდურ ეშმაკი-... შეუდგინა, შეიქმნა ანგარების მოყვარების მონად; ის გაკ... თითეის არ იცოდა, რა ფულს სთხოვდა მას ზაქარია. როცა ... რომ ზაქარია არ ეშვებოდა, თვალთმაქცურად იწყინა და უთხრა მას: „მაგა შენმა მთელი ქონება ღმერთს მისცა, მას მოსთხოვე, თოლემ მე რას მოხოვ?! განა მე ვარ დაბნაშავე, რომ იოანე ... ... უმეტესად უმეკეო იყო, რომ ვლახებს ამდიდრებდა და ერთადერთი ... ...

ყო: რამდენად ღვთის წინაღმდეგია სული მისი! ზაქარიას დარჩა უკანასკნელი საშუალება, რომ ბერს ღვთის წინაშე ფიცით დაემტკიცებია თვისი უდანაშაულობა.

უი! ბიწიერებას აქვს ისეთი დამღუპველი თვისება, რომ კაცს თუ ერთხელ ფეხი წაუცდა, მეორეთაც წაიბორძიკებს. წუთი სოფლის მოყვარე მეუდაბნოემ წაიყვანა მოწმეებად სხვა ბერები და ზაქარიასთან ერთად შევიდა ეკლესიაში, სადაც წინეთ იოანესთან ერთად აღიკვეცა ბერად და იქ სასწაულმოქმედ ღვთისმშობლის ხატის წინ დაიფიცა, რომ ზაქარიას მამას მისთვის, არა თუ ათასი ვერცხლი და ასი ოქრო არ მიეცეს. არამედ არც ერთი გროში. ფიცის მერმე ღვთისმშობლის ხატის მთხეევა უნდოდა, მაგრამ უხილავმა ძალამ გააჩერა ის, წინ ფეხი ვერ წადგა და სრულიად ათრთოლდა. დაინახა რა, თუ რამდენად საშიშია მართლმსაჯულება ღვთისა, დაიყვირა: „ღირსნო მამანო ანტონი და თეოდოსი! ეეედრეთ ღვთისმშობელს, რომ არ მიმცეს მე დასაღუპველად მომაკვდინებელ ანგელოსს. ხოლო შენ, შვილო ჩემო მოიმის და მეგობრისაო, წაიღე შენი ოქრო და ვერცხლი და შემინდევ მე ცოდვილსა". ბერები განცვიფრდნენ, წავიდნენ სერგის სენაკში და ადიდებდნენ ღმერთს, რომელმანც ქმნა ეგეთი სასწაული.

„არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა", სთქვა უფალმა მოსეს მიერ. ქრისტიანენო! გეშინოდესთ თქმა სიტყვისა: „ღმერთმანი", „ქრისტეა მოწამე!", მაშინაც კი, როცა მართალი ხარ. საკმარისია სთქვა: ჰე, ჰე და არა, არა. უმეტესად დაგიფაროს თქვენ ღმერთმან უბრალო ფიცის ჩვეულებისაგან. იტყვის უფალი იესო ქრისტე: „არა ფიცევად ყოვლადვე... არამედ იყავნ სიტყვა თქვენი: ჰე, ჰე და არა, არა" (მათ. 5, 34, 37). „სულმან უკეთუ ცოდოს... და ეტყუოს მოყვასსა. ტაცებისათვის... და ფუცნა ნაცილად... და იყოს რაჟამს ცოდა და ბრალი ქმნა და მისცა მონატაცები იგი, რომელ მოსტაცა" (ლევ. 6, 2 — 4). „ყოველი ცრუ ფიცი უფლისაგან შურის ძიებულ იქმნების (ზაქ. 5, 3).

§ 80.

მკვდარი, საეკლესიო კანონის დამცველი

ერთ სავანეში მრავალი წელიწადი ცხოვრობდა, ლოცულობდა, და შრომობდა ერთი ბერი. მას ყავდა ერთი ძოწაფე — მორჩილი. ბერი სულით ძლიერი და სულიერ მოღვაწეობაში დაუღალავი იყო. მისი მორჩილი კი დასუსტდა. მას უდაბნო მძიმე ეჩვენა და გაიპარა

ქალაქ ალექსანდრიაში, მაგრამ აქ მას მწარე ხვედრი შოელოდა: ის დაიჭირეს კერპთაყვანისმცემლებმა და ქრისტეს სარწმუნოებისთვის მოკლეს. ეგრე იდიდა ახალი მოწამე. ქრისტიანებმა მისი სხეული დიდი პატივისცემით ჩაასვენეს კუბოში და ტაძარში დაასვენეს. როცა ტაძარში წირვა დაიწყეს და მორწუნეთა წირვის დაწყების წინ გაისმა ხმა მაღლად: „რაოდენი კათაკმეველნი ხართ, განვედით", ყველა მლოცველები აუწერელ განცვიფრებამ შეიპყრო: დაინახეს, რომ კუბო ნაწილებით თავისს თავად ტაძრიდგან გავიდა და სტოვაში (ნართექში) გაჩერდა; წირვა გათავდა, კუბო ისევ თავისს თავად ტაძარში შემოვიდა და იქვე დაიდგა, სადაც წინეთ იდგა. ყოველ წირვაზე განმეორდა ეს სასწაული. ალექსანდრიელნი ქრისტეანენი განცვიფრებაში მოდიოდნენ და გამოეძიებოდნენ ამ კაცის ცხოვრებას და ბოლოს შეიტყვეს მიზეზი არა ჩვეულებრივი სასწაულისა, თავისს ნებით და ჩუმად რომ დატოვა მან სიცოცხლეში უდაბნო, მით დაარღვია აღთქმა მორჩილებისა და არ დაიცვა უპირველესი სათნოება მორჩილებისა. ამისთვის ბერმა — მასწავლებელმა დასაჯა ურჩი მოწაფე წყევა-კრულებით და არ განუხსნია ის ქრისტესთვის წამებულ სიკვდილის შემდგომაც, ამიტომ წმიდა მოწამე ყოველ წირვის დროს ტაძრიდან გადიოდა სტოვაში, სადაც იდგნენ კათაკმეველნი და სინანულში მყოფნი ცოდვილნი. ეს ამბავი გაიგო ბერმა — მასწავლებელმაც. ალექსანდრიელნი ქრისტიანენი მივიდნენ მასთან და სთხოვეს მას, განეხსნა იგი, ესე იგი შეცოდება შეენდო. მან განხსნა იგი — შეცოდება შეუნდო და მერმე ამ წმინდანის ნაწილი განისვენებდა ტაძარში.

„უკეთუ ვიეთნიმე მიუტევეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ და უკეთუ ვიეთნიმე შეიპყრათ, შეპყრობილ იყვნენ". (იოან. 20, 23), რაოდენი შეკრათ ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა, და რაოდენი განხსნათ ქვეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა" (მათ. 18, 18). „რომელი განხსნა ქვეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა" (მათ. 16, 19).

§ 87.

ლოცვა მტერთა ბედნიერებაზე

წმიდა ქალწული ფავსტა, ასული კეთილშობილთა და მორწმუნე მშობელთა, ცამეტი წლის იყო, როცა ქრისტეს სარწმუნოებისთვის მისცეს ხელში საწვალებლად ეკლესიაში; მაგრამ მისმა უბრალოებამ, მოთმინებამ და სიმშვიდემ ისე იმოქმედეს კერპთაყვანისმცემ-

ლის მხეცურ გულზე, რომ მან სცნა რა ძალა ღვთისა, შეიბრალა ფავსტა და მიანიჭა მას თავისუფლება, რის გამო თვითონ მიიღო მოწამის გვირგვინი. ამის შემდგომ იმპერატორმა მაქსიმიანემ მეორე მოხელეს უბრძანა ფავსტა საშინლად ეწვალებინა. მაშინაც რა ქმნა ღვთისაგან განძლიერებულმა ქალწულმა? ნუთუ მან სთხოვა დასჯა თავისს მტანჯველისა? არა. მხოლოდ მან წარმოსთქვა: „გმადლობ შენ, იესო ტკბილო, გულთა მხილველო, რომ მე შენი წმინდა სახელის აღვიარების ღირსი გამხადე. კიდევ გევედრები შენ, შეიყვარე ჩემი მწვალებელი მაქსიმე, განანათლე იგი სარწმუნოებითა და განამტკიცე შიშსა შინა შენსა“. თუმცა მტანჯველი მეტად ყრუდ ისმენდა მის უბრალოების ხმას, ყურადღებას არ აქცევდა სასწაულებს, რომლებითაც ღმერთმა ადიდა სარწმუნოებისათვის ტანჯულნი, მაგრამ წმინდა ფავსტას ანგელოსებრივმა სურვილმა თავზარი დასცა და მოალბო მისი ქვა გული: — უმანკო ქალწულის შემწეო და მფარველო! წამოიძახა მან. — გადმოავლინე ჩემ უღირსებაზედ მადლი შენი; მიმიღე მონად შენდა; ჭეშმარიტად შენ მარტო ხარ უფალი და ღმერთი ძალთა! იმ წამშივე გაიხსნა ცა, — ანგელოსთა და წმიდათა შორის გამოცხადდა ძე ღვთისა, მაკურთხეველი ახლად მოქცეულის მაქსიმესა. ზეციური ხილვით აღტაცებაში მოსულმა მოხელემ ირწმუნა ქრისტე და ფავსტას და ევილასთან ერთად მოინათლა სისხლითა თვისითა (ყველანი ესენი მოკლეს ქრისტეს სარწმუნოებისათვის).

ქრისტიანენო, სცანით ამით, თუ რა დიდი ძალა აქვს ბოროტის მოქმედთა ბედნიერებაზე ლოცვას.

„გიყვარდეთ მტერნი თქვენნი, და აკურთხევდით მწყევართა თქვენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გაძლავრობენ თქვენ და გდევნიდენ თქვენ“ (მათ. 5, 44; ლუკ. 6. 28).

§ 68.

ღმერთი მიიღებს ლოცვას ვინაობის მიუხედავად

ერთხელ კუნძულ კიპრზე ისეთი ხანგრძლივი გვალვა წარდგა, რომ ბალახი და ნაყოფი სრულიად გადახმა. ის ქვეყანა მოელოდა საშინელ შიმშილობას. იქაურ ეპისკოპოსმა შეკრიბა ხალხი და დიდი მოწიწებით შეევედრა ღმერთს — პარაკლისი გადიხადა, რომ მოეევლინა უფალს კეთილ-შეზავებული პაერი, გალობის დროს მას მო-

ესმა: ზეციური ხმა: „მიდი ქალაქის კარებთან და ნახე, ვინც პირველად ქალაქში შემოვიდეს, მას თხოვე, რომ ილოცოს ღმერთი, ძის ლოცვას შეისმენს უფალი“. ეპისკოპოსი დილის ლოცვის შემდეგომ კრებულით მივიდა ქალაქის კარებთან და დაჯდა. უეცრად შემოვიდა ვილაც მოხუცი ეფიოპი, რომელსაც მხარზე ერთი ტვირთი შეშა გაედო და გასასყიდლად ქალაქში მიქონდა. ეპისკოპოსი ადგა და გაიჩერა იგი. მოხუცმა ტვირთი მოშორებით დაადგა, მღვდელმთავარს თაყვანი სცა და ლოცვა-კურთხევა მოსთხოვა; მაგრამ მღვდელმთავარმა თვითონ მას სცა თაყვანი და უთხრა: „მოხუცო! ღვთის სახელით გთხოვ შენ: ეეედრე უფალს, რომ თავის ერს მოწყალება მოანიჭოს და ქვეყანაზედ წვიმა მოავლინოს“. შეშის მჭრელი მოხუცი გაკვირდა და არ იცოდა, რა პასუხი მიეცა; მაგრამ, როცა ეგეთივე თხოვნა გაიგონა კრებულისაგანც, სთქვა: „მე ცოდვილი ვარ, როგორ უნდა ვეეედრო უფალს ერისთვის?“ მღვდელთმთავარი დაჟინებით სთხოვდა; და როგორც კი მოხუცმა, ღვთის სახელით ლოცვისადმი იძულებულმა, მოიდრიკა მუხლნი და აღაპყრო ხელნი ზეცას, მამინვე მოიღრუბლა და ღაპაღუპით წვიმა დაიწყო. ლოცვის შემდგომ ეპისკოპოსმა უთხრა მოხუცს: „მახლობელთა სიყვარულის და საზოგადო სარგებლობისთვის, გვითხარ ჩვენ, როგორ ატარებ შენ ცხოვრებას, რომ ჩვენც შენი მაგალითის მიმღებთა, შეგვეძლოს ეგრე ცხოვრება.“ — შემინდევ მე, უფალო! მიუგო მშვიდმა მოხუცმა. მე კაცი ვარ ცოდვილი, ვშობილვარ მისთვის, რომ ვიცხოვრო ამაოებაში, ყოველ ღამე გამოვდივარ ქალაქიდგან, ერთ ტვირთ შეშას ჰოვსჭრი, გავყიდი და ამ შრომით ვშოვობ დღიურ ლუკმას: არ მყვანან ნათესავნი, არა მაქვს სახლი და ვიძინებ ეკლესიასთან; როცა ცუდი ამინდია მთელი დღე, და ხან ორი დღეც, არა ვჭამ. შრომის მერე, რაც დრო მრჩება, ვატარებ ლოცვით“. მიიღეს რა სულიერთვის სარგებლობა, ეპისკოპოსმა და კრებულმა ადიდეს ღმერთი და მოხუცს უთხრეს: „შენ დაამტკიცე შენზედ ჭეშმარიტება წერილისა, რომელიც იტყვის: „მსხვერპლ ვარ მე ქვეყანასა ზედა“. მერე ეპისკოპოსმა წაიყვანა ის თავისს სახლში, მისცა თავისუფალი ბინა და, სანამ არ გარდაიცვალა, ასაზრდოებდა მას. ეს მოხუცი იყოს გულის ხმის მყოფელად ჩვენდა, რათა არ განვსაჯოთ კაცის კეთილმოქმედება მისი გარეგანი შეხედულობით და მისი ტანისამოსით. „თვალნი უფლისანი მართალთა ზედა, და ყურნი მისნი ლოცვასა ზედა მათსა..... ხმობდეს მართალნი და უფალმან ისმინა მათი“ (ფსალ. 33, 16—18; 1 პეტრ; 3, 12). „ფრიად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა შეწევნად“ (იაკ. 5, 16).

§ 80.

ლოცვა სიკვდილის საათის განშორებაზედ

ღირსი ევპრაქსია ისე შეშინდა და დასუსტდა, როცა გაიგო ღვთის მიერ შთაგონებით თვისი სიკვდილის საათის მოახლოვება, რომ უგრძნობლად დაეცა მიწაზედ, როგორც უსულო. ქრისტიანენო! ნუ დასწამებთ მას სულმოკლეობას, არამედ გაიგეთ მიზეზი ამ დიდი მწუხარებისა. როცა უფლის მოღვაწე გონებაზე მოვიდა, მაშინ წარმოსთქვა ცრემლშერეული ლოცვა შემდეგ სიტყვებში: „მეუფეო და ღმერთო ჩემო! რისთვის მომიძულე მე ობოლი და ცოდვილი? აი დრო, როდესაც მე მომეტებულად უნდა ვიშრომო მახლობელთათვის და წინ აღუდგე სულის მებრძოლ მტერს; შენ კი სიკვდილს მიგზავნი მე. შემიწყალე მე, უფალო! განაგრძე სიცოცხლე ჩემი თუნდ ერთ წელიწადს, რომ შევიძლო ჩემი ცოდვების მონანიება და შესრულება სამსახურისა, რომლისათვისაც შენი განგებით მოვლინებულ ვარ მე ამ პატარა, მაგრამ შენ მიერ შეყვარებულ საზოგადოებაში. ოხ! მე არა მაქვს საქმენი კეთილნი და არ შემიძლია მივიღო ჯილდო, მაოთალთათვის განმზადებული“. აი, რისთვის შეეშინდა სიკვდილის წმიდა ევპრაქსიას. სახელოვანი მშობლების ასულს, იმპერატორის თეოდოსი დიდის გაზრდილს, რომელიც ათი წლის იყო, როცა მიიღო მონაზვნობა და ოც წელზე მეტი დრო სამაგალითოდ განატარა წმიდად უდაბნოში მოღვაწეობით, ლოცვით, მარხულობით და მორჩილებით. ქრისტიანენო! ჩვენ არ ვიცით, როდის მოგვივა სიკვდილის დრო, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ სიკვდილი არ აგვმორდება. ჩვენ კი, უთუოდ ვისურვებდით, არ გვენახა სიკვდილი მთელ განუზომელ საუკუნოების განმავლობაში. რისთვის? ნუთუ იმიტომ, რომ მშობლებს ჩვენგან კიდევ არ მიუღიათ მოხუცებულობაში ნუგეში? ანუ არ აღგვიზრდია შვილნი ღვთის შიშში? ანუ კიდევ რამოდენიმე ღარიბთ მაცხოვრის მინიჭებულ უფლებით არ მიუღიათ ჩვენგან შემწეობა? ანუ საშობლოს კიდევ არ მიუღია ჩვენგან რაიმე შემწეობა? ოხ! ამაებს, როგორც უცხო საქმეებს, საჭიროდაც არა ვრაცხთ; ხოლო რაც შეეხება ცოდვებს, იმათი გახსენებაც არ გვსურს. ჩვენ არ გვსურს სიკვდილი მარტო იმისთვის, რომ გვინდა ცხოვრება, და ცხოვრება გვინდა იმისთვის, რომ ჩვენი გემოვნება გაეცვითოთ ქვეყნიურ აურაცხელ კმაყოფილებით და მით შევიკრიბოთ გადამეტებული რისხვა ღვთისა, მაგრამ თვითოეული ჩვენგანი რომ ისურვებდეს სიკვდილის განშორებას ღირსი ევპრაქსიას გრძნობებით, მაშინ ოჯახებიც, საზოგადოებანიც და თვით სახელმწიფონიც იქნებოდ-

ნენ ას წილ უბედნიერესნი და ჩვენც ქვეყნიურ სასჯელს გავცვლიდით საუკუნო განსვენებაზე.

„სალომიერ (ავად) იქმნა მეფე ეზეკია სიკვდილამდე და შეეიდა შისა ისაია წინასწარმეტყველი... და რქვა მას: ესრეთ იტყვის უფალი... რამეთუ მოკვდები შენ და არა იქმნები ცოცხალ და მიიქცია ეზეკია პირი თვისი კედლისაკენ და ევედრა უფალსა ტირილითა, და განკურნა იგი უფალმან“ (ისაია 38, 2—3; 4 მეფ. 20, 1—6).

„მიწყალე მე, უფალო, რამეთუ უძლურ ვარ, განმკურნე მე, უფალო, რამეთუ შეშიძრეულ-ნენ ძვალნი ჩემნი“ (ფსალ. 6, 2).

§ 40.

მთავრობისადმი მორჩილება

საბერძნეთის მეფემ ვალენტიმ, რომელიც იყო არიოსის სწავლის მიმდევარი, მიუსაჯა სამოსატელ ეპისკოპოსს ევსევის მდინარის ისტრის გაღმა განძევება. განაჩენის აღსრულებაში მოსაყვანად მეფემ გაგზავნა კაცი სამოსატს. მეფის კაცმა იცოდა, რომ ევსევი მის სამწყოსს ძლიერ უყვარდა და თუ გაიგებდა მეფის ბრძანებას, აჯანყდებოდა. ამის გამო მან არ იცოდა, როგორ აღესრულებია მეფის ბრძანება. ეს გაიგო წმიდა ევსევიმ, სალამოს მოიხმო მეფის გაგზავნილი კაცი, მიეალერსა მას და უთხრა: „გაჩუმდი და არავის ამცნო შენი აქ მოსვლის მიზეზი, თორემ ხალხი აჯანყდება და მოგკლავს შენ და მე არ მინდა შევიქმნე შენი სიკვდილის მიზეზი.“ მერმე მან შეასრულა სალამოს ლოცვა და, როცა დაღამდა, ერთ თავისს ერთგულ მოსამსახურეს გაუმეღლავნა ეს საიდუმლო. პირველ მიძინების დროს აღსდგა ის საწოლიდგან და გამოვიდა სახლიდგან თავისი ერთგული მოგზაურით, რომელსაც მიაქონდა მისი ბალიში და წიგნები, მთელი სიმდიდრე, რომელიც წაიღო თავისთან წმიდანმა. როდესაც მიაღწია მდინარე ევფრატთან, რომელიც ქალაქის კედელს ახლო ჩაუდიოდა, მან მისცა თავი თვისი მეფის გამოგზავნილ კაცს ხელში და, ჩაჯდა რა ნავში, გაემგზავრა ქალაქ ზევგმას. როცა ეს სამოსატელებმა გაიგეს, მათ თავზარი დაეცათ, ყველა აღელდა, ყველა ატირდა, ყველა კითხულობდა: საითკენ წარემართა წმიდა ევსევი და როცა გაიგეს, რომ ის პირველად ქალაქ ზევგმას მივა, ჩასხდნენ ნავებში და სიჩქარით გაედევნენ მღვდელთმთავარს. ისინი დაეწიენ მას იქ, სადაც ფიქრობდნენ; ტირილი და გოდება მათი შორიდგან მოისმოდა. რამდენი ხვეწნა და ვედრება შამოეხარჯათ მათ, რომ დაებრუნებიათ უკან თვისი მწყემსი და მასწავლებელი.

რა საშვალება არ იხმარეს: მოეხვიენენ ფეხებზე, ალტობდნენ ცრემლით მის ფეხებს, ეუბნებოდნენ, რომ საშუალო მისი ჩაუვარდება ხელში ვიშმე მტაცებელ მგელს — არიოსთაგანს; მაგრამ წმიდა ევსევი ეუბნებოდა მხოლოდ ამ სიტყვებს: „ყოველნი ხელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენით, რამეთუ არა არს ხელმწიფება გარნა ღვთისაგან; და რომელნი იგი არიან ხელმწიფებანი, ღვთისა მიერ განწესებულ არიან. ამიერიდგან, რომელი ადგებოდეს ხელმწიფებასა ღმრთისა ბრძანებასა ადგების, ხოლო რომელი იგი ადგებოდიან თავისა თვისისა სასჯელი მიიღონ“ (რომ. 13, 1—2). „ეგრე, შვილნო ჩემნო, დაუმატა ამ სიტყვებს ევსევიმ, არ შეშიძლია მე, ქვეშევრდომს, წინა აღუდგე მეფის ბრძანებას; ეგრეთვე თქვენც, როგორც ქვეშევრდომნი, იქნებით უბედურნი აქაც და მომავალ ცხოვრებაშიაც, თუ ურჩი იქნებით მეფის ნებისა. მე პირველი ამ შემთხვევაში მზათა ვარ, ბრალი დაგდვა თქვენ.“

ხალხმა დაინახა რა თვისი მღვდელთმთავრის შეურყეველობა, მიუძღვნა მას საგზლად ზოგმა ოქრო, ზოგმა ტანისამოსი და ზოგმაც მონანი. მაგრამ წმიდა კაცს წიგნის და უბრალო ტანისამოსს გარდა არაფერი უნდოდა. მხოლოდ მათ პატივსაცემლად წაიღო მან უბრალო რამ ნივთები, და გაახსენა მათ, რომ მტკიცედ იდგნენ მართლმადიდებელ-ქრისტიანობაზე, ილოცა მათთვის, აკურთხა ისინი და განაგრძო მისთვის დანიშნული გზა.

„მოახსენებდ მათ მთავრობათა და ხელმწიფებათა დამორჩილებად“ (ტიტ. 3, 1).

§ 42.

ღირსი ბასარი ეპისკოპოზი მოძღვრებიდან

როგორც არ შეიძლება ხედვა თვალითა უსინათლოდ, ანუ ლაპარაკი უენოდ, ანუ სმენა უყურადოდ, ანუ სვლა უფეხოდ, ანუ მუშაობა უხელოდ, ეგრეთვე იესო ქრისტეს უმისოდ არ შეიძლება ცხოვნება, ანუ ზეციურ სასუფეველში შესვლა.

სული უძვირფასესია ყველა ქმნილებაზე, აშიტომ რომ მხოლოდ კაცი შექმნილ არს ხატად და მსგავსად ღვთისა. შეხედე, როგორ უსაზომონი არიან ცა და ქვეყანა, რა ძვირფასი ქმნილებანი არიან მათზე და რა დიდ მშვენიერნი არიან მათნი კეთილებანი! მაგრამ კაცი

ყველა ამაზე უძვირფასესია, ამიტომ რომ მას მხოლოსა წყალობა უყო უფალმან (ვაპაკუთრებით), თუმცა ზღვის ვეშაპნი, მთანი და მხეცნი, შეხედულობით, კაცზე უდიდესნი არიან. ამიტომ განიხილე შენი დიდება, რა ძვირფასი ხარ შენ; ანგელოსებზე მაღლა დაგაყენა შენ ღმერთმა, როცა თვით ძე ღვთისა მოივლინა ქვეყანად, იქმნა შენი შუამდგომელი და შენი გამომხსნელი.

•
• •

კაცი, მარხულობს ის თუ ფხიზლობს, თუ ლოცვილობს, ანუ თუ რამე კეთილ საქმეს იქმს, ყოველივეს უფალს უნდა აწერდეს და ეგრე უნდა იტყოდეს: „უკეთუ ღმერთი არ შემწეოდა და არ განვეძლიერებიე, მე ვერ შევძელო არც მარხულობა, არც ლოცვა და არცა რა სხვა კეთილის ქმნა. ღმერთი ხედავს შენ კეთილ განზრახვას, ვინაიდგან შენ მიერ ქმნილ სიკეთეს მას აწერ, თვითონაც მოგანიჭებს შენ თავის საკუთარ სიკეთეს სულიერს, ღვთაებრივს, ზეციურს. სახელდობრ სული წმიდის ნიჭს, სიხარულს და მხიარულებას.

§ 42.

ვერცხლისმოყვარე მონაზონი როგორ უპიქმნა ხელგაშლილობის მოყვარედ?

ქალწული მონონია, რომელიც სიყმაწვილეშივე შეედგა მონაზენად, შეხედულობით იყო მშვიდი და კეთილმსახური. მაგრამ საქმით კი კერპთთაყვანისმცემელი იყო, ვინაიდგან ის აგროვებდა სიმდიდრეს და არაოდეს არ აძლევდა სამოწყალოს. მას ყავდა ძმისწული ქალი გულით საყვარელი, ფიქრობდა მხოლოდ იმაზედ, რომ რაც შეიძლებოდა, ის რიგიან კაცისათვის მიეთხოვებინა და დაივიწყა თვისი ზეციური სახიძო. გლახაკთა მოწყალე წმიდა მაკარიმ, რომელიც გულითადი მწუხარებით უცქეროდა ამ გზადაბნეულ მონაზონს, განიზრახა ღვთისადმი მისი მოქცევა, რაჲცა შეასრულა შან შემდგომი სახით: ის სიყმაწვილეში ძვირფასი თვლების გამთლელი იყო და მონონიას მიერ ცნობილი. ადგანაც მონონია საუცხოო ნივთების მოყვარული იყო, ერთ დღეს წმიდა მაკარი მივიდა მასთან და უთხრა: „ერთი ვინმე ყიდის ორ ძვირფას თვალს — ზურმუხტს და იაგუნდს, მე ვერ ვიცი მისი საკუთრებაა ისინი თუ ნაპარევი აქვს. მაგრამ გარწმუნებ შენ, რომ იქმნებიან საუცხოო სამკაულნი შენი ძმისწულისათვის; უაქარი იმათ იაფად

აძლევს — ასე ხუთას ოქროდ. „მონონიას ისე გაუხარდა, კაცი ენით ვერ გამოთქვამს და სთხოვა წმიდა მაკარის, რომ ეგეთი საუცხოო რაშე ხელიდგან არ გაეშვა და, რადგანაც თვითონ არ უნდოდა მონასტრიდგან გასულიყო, იმ წამშივე ჩააბარა მას ფული. კეთილმსახურმა მღვდელმა მიიღო ოქრო, წავიდა და რამოდენიმე დღე არ ეჩვენა მას. მონაზონს კი მასთან კაცის გაგზავნის რცხვენოდა, ვინაიდგან წმიდა მაკარი იყო კაცი ყველასაგან პატივცემული და საზოგადო რწმუნებადამსახურებული, ბოლოს მონონია შეხვდა მას ეკლესიაში და ჰკითხა: „იყიდე თუ არა თვლები?“ — „ისინი მე სახლში მაქვს, მიუგო მართალმა. ხომ არ გსურს ჩემსას მოხვიდე და გაშინჯო ისინი? თუ მოგეწონება წაიღე და თუ არა, ისევ ოქრო დაიბრუნე“. მონონია სიხარულით წაუვა მას.

„რა გსურს, პირველად ნახო, — იაგუნდი, თუ ზურმუხტი? ჰკითხა ძას „წმიდა მაკარიმ. როცა შინ მიიყვანა.“ — „რომელიც თქვენ გნებავდეს, — უპასუხა მონონიამ. მაკარიმ შეიყვანა ის ერთ ოთახში, მაგრამ რა დაინახა იქ მონონიამ? მამაკაცნი გლახაკნი, კოჭლნი, ბრმანი, განრღვეულნი, რომელნიც ისხდნენ სადილად და ლოცავდნენ მონონიას სახელს... დაანახვა ისინი და უთხრა მას მაკარიმ: „აი შენი იაგუნდი.“ ძერმე მეორე ოთახში შეუძღვა. განცვიფრებული მონაზონი მდუმარედ შეყვა მას და დაინახა დედაკაცნი გაჭირვებულნი, ზოგი მოხუცებულობით, ზოგი ავადმყოფობით, რომელნიც ეგრეთვე სადილობდნენ და ღმერთს სთხოვდნენ მონონიას დღეგრძელობას. მაკარიმ აჩვენა ისინი და უთხრა: „აი, შენი ზურმუხტი, როგორ ფიქრობ შენ, არის რაიმე უძვირფასესი ამ თვლებზე? თუ გსურს წაიღე ისინი, თუ არ გსურს დაბიტოვე მე და შენი ფულები შენვე წაიღე“. მონონიამ არ იცოდა რა პასუხი მიეცა და სირცხვილით გაელვებულ მონაზონმა ხმაამოუღებლად დასტოვა იგი. როცა მარტო დარჩა, მონონია დაფიქრდა, წარმოიდგინა მთელი თავისი ცხოვრება და ერთი კეთილი საქმე ვერ გაიხსენა; ისე შეწუხდა, რომ მწუხარების გამო ძლიერ ავად გახდა, გონებაში ეხატებოდა მას ხან სიბნელე გარეკნელისა, ხან ცეცხლი დაუშრეტელი; ხოლო უცხო ვინმე მამაკაცი დიდებით გაბრწყინებული უჩვენებდა ყოველივე ამას და ეუბნებოდა მას; „აი, საშინელებანი, რომელთაგან შეუძლია შენი ხსნა იმ იაგუნდს და ზურმუხტს, რომელიც იყიდა შენთვის წმიდა მაკარიმ. ამით შეშინებული მონონია თითქო ძილისაგან წამოვარდა და იგრძნო უკეთ ყოფნა. იმ დროიდგან მონონია პატივს ცემდა მაკარის, როგორც თავის მფარველ ანგელოზს, გამოიცვალა ცხოვრების სახე და შეიქმნა უხვი მზრდელი ღარიბთა.

ეშვარიტად ის უიდულოპს ძვირფას იაგუნდს, ძვირფას ზურმუხტს, ვინც ასაზრდოებს ღარიბებს, ვინაიდან ამ თვლებით შეიძლება ზეციური სასუფეველის მოპოვება.

„იყვენით თქვენ მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი (ღმერთი) მოწყალე არს“ (ლუკ. 6, 36). „შეიმოსეთ უკვე, ვითარცა რჩეულთა ღვთისათა... მოწყალება, შეწყნარება, სიტკბოება, სიმდაბლე, სიმშვიდე, სულგრძელობა“ (კოლ. 3, 12).

§ 48.

ოჯახური სათნოება ღვთისთვის მეტად საამოა

ერთხელ ღირსი მაკარი ეგვიპტელი მომეტებულ გულსმოდგინედ ლოცულობდა. ამ დროს ზეციდან მოესმა ხმა: „შენ ჯერ კიდევ ვერ მიემზგავსე ორ დედაკაცს, რომელნიც ცხოვრობენ მახლობელ ქალაქში. მაკარის გაუკვირდა ეს სიტყვები და მოინდომა მათი ცხოვრების გაგება. ბერი წავიდა ქალაქში, მოძებნა სახლი, რომელშიაც ცხოვრობდა ის ორი დედაკაცი და კარებზე დაარაკუნა. კარები გაიღო და გამოეგება მას დედაკაცი და სიხარულით შეიყვანა ის ოთახში, სადაც მიეგება მას მეორე დედაკაცი. მაშინ მაკარიმ უთხრა მათ: „მხოლოდ თქვენი გულისთვის ყოფილიყო მე ჩემს თავზე დიდი შრომა, მე მოვედი შორეულ უდაბნოდგან, რომ შევიტყო თქვენი საქმენი, დაუფარავად აღიარეთ ყოველივე ჩემ წინაშე“. დედაკაცებმა ქალწულებრივი მორცხვობით მიუგეს: „კაცო ღვთისაო! განა შეიძლება რაიმე ღვთის სათნო საქმე მოეთხოვოს იმათ, ვინც მუდამ დროს ოჯახის მზრუნველობაში არის გართული და უნდა აღასრულოს მეუღლის მოვალეობა?“ მაგრამ წმიდა მაკარი დაჟინებით თხოვდა, რომ განეცხადონ მას, როგორ ატარებენ ისინი თავიანთ ცხოვრებას. მაშინ შადლიანმა დედაკაცებმა თავმდაბლად უთხრეს მას: „ჩვენ ორნი რძლები ვართ, მეუღლენი ღვიძლი ძმებისა; თხუთმეტი წელიწადია ერთად ვცხოვრობთ და ამდენ ხანს ერთი საწყენი სიტყვა არ გაგვიგონია ერთიმეორესაგან; შვილები არა გვყავს და თუ უფალმა მოგვანიჭა ისინი, პირველი ჩვენი ზრუნვა იქნება ღვთის ცოდნება, რომ ღმერთი შეგვეწიოს ჩვენ აღვზარდოთ ისინი მორწმუნენი და კეთილ-მოქმედნი; მოსამსახურეებს ვეპყრობით თავაზიანად, ბევრჯერ მოვინდომეთ მონაზვნად შედგომა, მაგრამ მეუღლეებისაგან ნებართვა ვერ გამოვითხოვეთ, ვგრძნობთ რა ჩვენდამი მათ სიყვარულს, ჩვენ გადავწყვიტეთ მათთან დარჩენა მათდა სანუკვეშოდ; ხოლო ჩვენი ცხოვრება ცოტათი მაინც რომ მიემზგავ-

სოს წმიდა მეუდაბნოე დედათა ცხოვრებას, გულში გადავწყვიტეთ: ვერიდოთ ჭორებს და ყოველივე ცუდ უბრალო საუბრებს, უფრო ხშირად ვიმყოფებოდეთ შინ და უვლიდეთ ოჯახს".

მოისმინა რა ესე, მაკარიმ სთქვა: „ჭეშმარიტად ღმერთი მას კი არ უცქერს, ქალწულია ვინმე, თუ შეუღვლილი, ბერია თუ ერი, არამედ ეძებს მხოლოდ გულით კეთილი საქმეების მიმდევარს და კეთილ საქმეების ეგეთ მიმდევარს უფალი შეიწყნარებს, მოხედავს მას და მოუვლენს სული წმიდას, რომელიც ამოქმედებს და მართავს ცხოვრებას თითოეული კაცისას, რომელსაც კი უნდა ცხოვნება". ეს მაგალითი, ძმანო, ქრისტიანენო, ცხადად გვიჩვენებს ჩვენ, რომ ცხოვნება შეუძლია ყოველ ქრისტიანეს, ბერი არის ის, თუ ერი, შეუღვლილი არის თუ ქალწული, მხოლოდ კაცს უნდა ქონდეს გული კეთილი, ჭეშმარიტი სარწმუნოება და ასრულებდეს კეთილ საქმეებს.

„რომელმან პოოს ცოლი კეთილი, უპოვნიეს მადლი, ხოლო მიუღებიეს სიწყნარე უფლისა მიერ" (იგავ. 18, 22). „დედაკაცსა კეთილისა სანატრელ არს ქმარი, და რიცხვი დღეთა მისთა მრჩობლ კეცდედაკაცი კეთილი ახარებს ქმარსა თვისსა და წელთა მისთა აღავსებს შშვიდობითა. დედაკაცი კეთილი ნაწილი კეთილისა, წილსა შინა მოშიშსა უფლისასა მიეცეს" (ზირაქ. 26, 1—3).

§ 44.

კაცის ცხოვრებაზე და ხიკვდილზე

რომელიმე სახელმწიფოში მოქალაქეებს ჰქონდათ ძველთაგან ჩვეულება, ამოერჩიათ თავის მეფედ უცხო ქვეყნის კაცი, რომელმანც არ იცოდა მათი კანონები და ზნე-ჩვეულება; მას მისცემდნენ სრულს, შემოუსაზღვრელ უფლებას სახელმწიფოში, მაგრამ მხოლოდ ერთი წლის ვადით, რა კი ერთი წელიწადი გავიდოდა, ისინი მოულოდნელად შეიპყრობდნენ მას, გაძარცვავდნენ სამეფო შესამოსს და წყევა-კრულვით და გინებით ჩამოატარებდნენ მთელ ქალაქს და ბოლოს გაგზავნიდნენ უდაბურ კუნძულზე, სადაც შიშველი და შშიერ-მწყურვალი განდევნილი მეფე განუტევებდა სულს. ერთხელ გამეფდა იმ სამეფოში უცხო ქვეყნელი ვინმე, კაცი გონიერი, რომელიც მომეტებულად ზრუნავდა მომავალ ცხოვრებაზე, ვინემ აწმყოზე. ის ისე კი არ იქცეოდა, როგორც წინანდელნი მეფენი, რომელნიც მარტო სმა-ჭამა-მხიარულებაში ატარებდნენ დროს. ის უფრო ცდილობდა ეშოვნა ბრძენი მრჩეველი და მასთან ერთგული მეგობარი,

რომელსაც უნდა ეცხოვრებინა მისთვის იმ ქვეყნის კანონები და ქვეშევრდომთა ზნე-ჩვეულება. როცა მან გაიგო თავისი ქვეშევრდომების საზარელი ჩვეულება, რომლის ძალით მას ერთი წლის შემდგომ მოელოდა განკიცხვა და ვანდევნა სამეფოსაგან, მას შიშის ზარი დაეცა, მაგრამ, რადგანაც გონიერი იყო, მალე მოვიდა გონზე. მან შეკრიბა ყველა ბაზინებიდან ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი თვლები, საზრდო მოიმზადა და ყველა ესენი თავისი ერთგული მოსამსახურეების ხელით გაგზავნა ჩუმად იმ კუნძულზე, სადაც მას გააძევებდნენ ერთი წლის მერე. წელიწადი მალე გავიდა, მოქალაქეები წინ აღუდგენ მას და ისე მოეპყრენ, როგორც სხვა მეფეებს. მაგრამ რაკი მას მომზადებული ქონდა ყოველივე, რაც კი მისთვის საჭირო იყო, ის უნაყოფო და წინად უდაბნო კუნძული შეიქმნა მისთვის ორა საშიშ და სატანჯველ ადგილად, არამედ განსასვენებელ და სასიხარულო ადგილად.

აი მნიშვნელობა ამ იგავისა: სამეფო ნიშნავს ამ წუთი სოფელს, მოქალაქენი — ცუდ, დამღუპველ გულის თქმათა, რომელნიც ატკბობენ რა ამ წუთისოფლის ცხოვრებას, ავიწყებენ კაცს მომავალ საუკუნო ცხოვრებას; წინანდელნი მეფენი ნიშვნენ ცოდვილებს, რომელნიც ცხოვრობენ უზრუნველად და უსჯულოდ და რომელთაც უეცრად ეწვევათ სიკვდილი და წავლენ საუკუნო სატანჯველში; კეთილგონიერი მეფე ნიშნავს მართალ კაცს, რომელიც მართლმსაჯულ ღმერთთან წინდაწინვე აგზავნის კეთილ საქმეებს, კეთილ ცხოვრებას; ეს კეთილი ცხოვრება და კეთილნი საქმენი შუამდგომლობენ მისთვის წინაშე ღვთისა და ამგვარად მართალი კაცი წინდაწინვე იმზადებს ზეციურ საუნჯეს, რომელიც არ დაეკარგვის მას. ბრძენი მრჩეველი და ერთგული მეგობარი არის ჩვენი ჭკუა-გონება, რომელიც არჩევს კეთილს ბოროტისაგან, სასარგებლოს უსარგებლოსაგან; ერთგულნი მოსამსახურენი ნიშვნენ ჩვენ ნებას, რომელიც უარყოფს მას, რაც აძაგა გონებამ და ირჩევს მას, რაც ამაკე გონებამ მოიწონა.

ჩვენც მივბაძოთ იმ კეთილ გონიერ მეფეს, ანუ იმ მართალ კაცს, რომელიც მომავალ ცხოვრებაზე უმეტესად ზრუნავს, რომელიც კეთილ ცხოვრებით და კეთილ საქმეებით იმზადებს ზეციურ საუნჯეს და დავიპყრობთ ზეციურ სასუფეველს.

„ნუ იუნჯებთ თქვენ საუნჯეთა ჩვენჯანაა ზედა... იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა... ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ" (მათ. 6, 19—20—33).

§ 48.

მოწყალების გაცემა ჩვენ ცხოვნებას დიდ ფარფატებას აძლევს

ერთ აფრიკელ თავადს ყავდა მოერავი, სახელად ერქვა მოურავს პეტრე. მის მოვალეობას შეადგენდა თავადის სასმელ-საჭმელის მომზადება. ის მოურაობის დროს ძლიერ გამდიდრდა, მაგრამ მეტისმეტი ძუნწი და გულცივი კაცი იყო. არ ახსოვდა მას, რომ როდისმე რაიმე სამოწყალო მიეცა ღარიბისათვის; მოსალოდნელი იყო, რომ ეკვეთი გულქვა კაცი საუკუნოდ დაღუპულიყო, მაგრამ მრავალ მოწყალე ღმერთმა დააყენა ის სინანულის გზაზე შემდეგი სახით: ერთხელ, როცა ის სასახლეში აგზავნიდა გამომცხვარ პურებს, დაინახა მან მის წინ ღარიბი — მოწყალების მთხოვნელი. პეტრემ მრისხანედ შეუყვირა ღარიბს, მაგრამ ის მაინც არ მოშორდა და სთხოვდა სამოწყალოს ქრისტეს გულისათვის. პეტრე მეტად გაჯავრდა: მიიხედ-მოიხედა, უნდოდა ქვა აეღო და ესროლა მისთვის; ქვა ვეღარ იპოვნა და გაბრაზებულმა აიღო ერთი პური და სახეში ესროლა მთხოვნელს. მთხოვნელმა აიღო პური და ლოცვით გაუდგა გზას. მერმე კაკიდა ორი დღე და პეტრე ძლიერ ავად შეიქმნა. ავადმყოფობის დროს ჩვენება ნახა: ის რომელიღაც სასამართლოშია, მის წინ დგას სასწორი, რომელზედაც ერთი მხრით რაღაც შავშავნი, საშიშარნი არსებანი ალაგებენ მის ცოდვებს და მეორე მხრით ანგელოსები დგანან დაღონებულნი. ცოდვა სძლევს სასწორს. შავნი არსებანი იცინიან, ტაშს უკრავენ, ანგელოსები კი დაღონებით ეუბნებიან ერთიმეორეს: „ჩვენ რა დავდოთ სასწორზე, არა არის რა, გარდა ერთი პურისა, რომელიც პეტრემ ესროლა მთხოვნელს“. მერმე პეტრეს ეს მოწყალება დასდვეს სასწორზედ და ცოტათი შეანძრია ცოდვებით აღვსილი სასწორის ჯამი. მაშინ ანგელოსებმა უთხრეს პეტრეს: „წადი, უბადრუკო პეტრე და ამ პურს კიდევ მიუმატე რამდენიმე პური, რომ ჩვენმა მოქიშპეებმა არ მოგვტაცონ შენი თავი და არ ჩაგაგდონ საუკუნო ცეცხლსა გეენისასა“. მერმე პეტრე გამოერკვა, გონს მოვიდა და სცნო, რომ ეს არ იყო უბრალო მოჩვენება, არამედ ეს იყო ჭეშმარიტება. ეს იყო მისთვის ზეგარდმო შთაგონება მოწყალების გაცემაზე, იმიტომ რომ მან დაინახა ყველა თავისი ცოდვები, რაც კი ექმნა მას სიყრმიდგან. მაშინ პეტრე დავარდა პირქვე, იწყო ცრემლით ლოცვა და სინანული, აღთქმა მისცა ღმერთს, რომ ის შეიქმნება უხვად მიმცემი გლახაკთა. აღთქმა თვისი მან აღასრულა: შეიქმნა სამოწყალოს უხვი გამცემი და, როცა სცნო მან ჩვენებით, რომ სამოწყალოს, რომელსაც გლახებს ურიგებს, აკა-

სხ'ებს ღმერთს. მაშინ მან გაიყიდა ყოველივე თვისი ქონება და გლახებს დაურიგა. ,ამკვარად გულქვა, ძუნწი და უწყალო პეტრე შეიქმნა მეტად მოწყალე გლახაკთა და შერაცხილ იქმნა იგი წმიდათა შორის. აი, ეგეთი დიდი მნიშვნელობა აქვს სამოწყალოს გაცემას.

„ოდეს ყოფდე შენ სახმარსა, ჰხადე გლახაკთა, უმეცართა, მკელოპელთა და ბრმათა და ნეტარ იყო, რამეთუ არა რა აქვს, რამცა მოგაგოს შენ, და მოგეგოს შენ აღდგომასა მას მართალთასა". (ლუკ. 14, 13—14).

§ 16.

მასზედ თუ რამდენად ძნელი მოსაკცევია ვერცხლისმოყვარე

ალექსანდრიის პატრიარქის იოანე მოწყალის დროს ცხოვრობდა სხვათა შორის ერთი ეპისკოპოსი, სახელდობრ ტროილი. ის იყო მეტად ვერცხლისმოყვარე და ძუნწი. იოანე მოწყალემ იცოდა მისი ამბავი და ცდილობდა მის მოქცევას. ერთხელ პატრიარქ იოანემ მიიწვია ტროილი ღარიბთა საავადმყოფოში, რომ ენახათ გაჭირვებულნი ავადმყოფნი. იოანემ იცოდა, რომ ტროილს თან ჰქონდა ფულები და უთხრა მას: „მეუფეო! აი ახლა არის კარგი დრო და შემთხვევა მისცე სამოწყალო ამ უძლურთა და გაჭირვებულთა და ანუგეშო ძმანი შენნი". ტროილმა, შიშისა ,ვამო, რომ პატრიარქმა არ შენიშნოს მისი სიძუნწე, დაურიგა გაჭირვებულ ავადმყოფთ სამოწყალო და სულ დაბარჯა მათზე ოცდაათი ოქრო, მაგრამ შინ რომ დაბრუნდა, დაენახა მან, ეს კეთილი საქმე და იგრძნო ისეთი მწუხარება, რომ მწუხარებისაგან ავად გახდა და ,ლოგინში ჩაწვა. რამდენიმე ხნის შემდეგ პატრიარქმა იოანემ მიიწვია ტროილი სადილზე, მაგრამ ტროილმა ავადმყოფობის მიზეზისა გამო უარი შეუთვალა. იოანე მიხვდა, რის გამო შეიქმნა ტროილი ავად, წაიღო ოცდაათი ოქრო, მივიდა მასთან საბანავად და უთხრა: „მე მოგიტანე შენ ფულები, რომელნიც შენ ჩემი თხოვნით საავადმყოფოში უძლურთ დაურიგე, წაიღე ეს ფულები და შენი ხელით დასწერე, რომ უფლისაგან მექმნეს მე ის ჯილდო, რაც შენ გერგებოდა". ,ამის გამგონე ტროილი სირცხვილით უნდა დამწვარიყო, მაგრამ ვერცხლისმოყვარეობამ სძლია! ტროილმა რომ ოქრო დაინახა, გული აუძგერდა და დაუყოვნებლივ დასწერა: „მოწყალეო ღმერთო! მიეც სასყიდელი უფალსა ჩემსა იოანეს, ალექსანდრიის პატრიარქს, იმ ოქროთათვის, რომელნიც მე ცოდვილმა ტროილმა დავარიგე საავადმყოფოში, ვინაიდგან მან ჩემი დამიბრუნა მე". ტრო-

ილი ფულების მიღებისთანავე წამოდგა, თითქო არაოდეს არ ყოფილიყოს ავად და წაყვა პატრიარქს სადილად. იოანე გაუმასპინძლდა მას და გულში ლოცვილობდა, რომ ღმერთს განეკურნა ტროილი ეგეთ საშინელ ვერცხლისმოყვარეობისაგან. ღმერთმან შეისმინა ვედრება მისი. მეორე ღამეს ტროილმა ნახა სიზმარში დიდ-მშვენიერი, ენით გამოუთქმელი მოწყობილი სახლი, რომელსაც კარებზე ოქროს ასოებით ეწერა: „სამყოფელი და საუკუნო განსასვენებელი სავანე ტროილე ეპისკოპოსისა". სიხარულით ძილში ტროილეს გული შეუთამაშდა, ბაგრამ უეცრად გაჩნდა ვინმე კეთილ სახიერი კაცი და მრისხანედ უთხრა იქ მყოფ მოსამსახურეებს: „ცისა და ქვეყნის უფალმა მიბრძანა მე ტროილეს სახელის წარხოცვა და მის მაგიერ დაწერა ალექსანდრიელ პატრიარქის იოანეს სახელისა. მან ტროილესაგან იყიდა ეს სახლი ოცდაათ ოქროდ და ამგვარად შესცვალეთ ეს წარწერა". ტროილემ შიშისა და მწუხარებისაგან დაიყვირა და გაბოლოვიძა. ახლა სცნო მან ფარი ზეციურ საუკუნო სამყოფელისა, დაიწყო ტირილი და სინანული მასზედ, თუ რად იყო ის ეგეთი ვერცხლისმოყვარე; გათენებისთანავე წავიდა ნეტარ იოანესთან, გაუცხადა ჩვენება, ფიცით აღთქმა დასდო, რომ ის გასწორდება და კიდეც აღასრულა თვისი აღთქმა: იმ დროიდგან ის შეიქმნა უხვი მოწყალე ყველასათვის. ყოველმა უწყალო და ძუნწმა მდიდარმა უნდა მიბაძოს იოანე მოწყალეს და ტროილის მოქცევას და მოიპოვებს ის საუკუნო სავანეს.

„უწყოდენ, რამეთუ რომელმან მოაქციოს ცოდვილი ჯოისაგან საცდურისა მისისა, იხსნას სული თვისი სიკვდილისაგან და დაფაროს სიმრავლე ცოდვათა" (იაკ. 5, 20).

§ 47.

საჩუქრის კეთილად ხოხმარება

ერთხელ იოანე მოწყალესთან ლოცვა-კურთხევის მისაღებად მივიდა ერთი დიდებული მდიდარი კაცი. მან დაინახა, რომ იოანეს საბანი ძველია. ის მივიდა შინ და პატრიარქს ახალი ფარჩის საბანი ძვირფასი იყო, ოცდათექვსმეტ ოქროდ ღირდა. გაუგზავნა. საბანი ძვირფასი იყო, ოცდათექვსმეტ ოქროდ ღირდა. ღვთის კაცმა მიიღო ეს საჩუქარი და იმ ღამეს ეს ძვირფასი საბანი დაიხურა, მაგრამ გამოღვიძებისთანავე ამაზე სინანული დაიწყო... ვაი შენ, ჩემო ცოდვილო თავო, ამბობდა ის, რომ გძინავს ამ რბილ საბანში და ქრისტეს ძმანი გლახაკნი იყინებიან. ოხ! რამდენი გლახებია, რომელთაც არა აქვთ რა, რომ სიშიშვლე თვისი დაიფარონ! რამდენი

უცნობია და მოაულნი, რომელთაც გზა-შარაში სძინაუთ და ცოცი ეო ი საატიკად უპერავს მათ, შენ კი, ჩვენო თავო, გაქვს მშვენიერი სახლები, ეყაკს მოაპსახურეები. ვაქვს საჭმელ-საოპლები და კიდევ იფიქრე ნახად და ნებიერად ძილი ამ რბილს აბრეშუმის საბანში... კეშინოდეა რომ, რაკი ამ ქვეყანას იკეშე ყოველი სიამოვნება, საიქიოს არ მიიღო მხოლოდ მწუხარება. არა! მეორე ღამეს ნუ დაიხურავ ამ მდიდრულ საბანს! დეე, მისი ფასით დაიხურონ რამოდენიმე ღარიბთა". წმიდა იოანემ ამ კვარ ფიქრებში ვაატარა ღამე, დილას კი დაუყოვნებლივ გაგზავნა ნაჩუქარი საბანი ბაზარში გასასყიდლად. შემთხვევით იქ მივიდა ის დიდებული კაცი, რომელმაც იოანეს საბანი აჩუქა. მან დაინახა ის საბანი, იყიდა იგი და მეორედ გაუგზავნა იოანეს და გულმოდგინედ სთხოვა, რომ მას ესარგებლა იმით. ღვთის კაცმა მიიღო, მადლობა შეუთვალა და კიდევ ბრძანა მისი გაყიდვა. დიდებული კიდევ შეხვდა, იყიდა და გაუგზავნა იოანეს. იოანემ მესამედ გაყიდვინა საბანი. დიდებულმა მესამედ იყიდა და კიდევ იოანეს გაუგზავნა. ბოლოს იოანე გაკვირდა მდიდრის სიუხვით და შეუთვალა მას: „ვნახო, ჩვენგან ვის უწინ მოწყინდება: მე რომელმანც გადაგწყვიტე ვაყიდვა, თუ შენ, რომელმაც გადასწყვიტე იყიდო და ყოველთვის მე მიგზავნო"; თვითონ კი განაგრძო ეს სამადლო ვაჭრობა. ამ კვარად იოანემ მდიდრის მისდამი გულმტკივნეულობა მოიხმარა გაჭირვებულთა საბარგებლოდ და უნებურად გახადა ის კეთილისმყოფელად.

ნუ ამშვენებ შენ სხეულს დიდმშვენიერი და აზიზი ტანისამოსით, ქრისტიანული სამოსელი არის სულიერი სამოსელი; სული უნდა დავამშვენოთ და არა სხეული, რადგანაც სულის სიმშვენიერე არის ხატება ღვთისა, რომლის მსგავსად შექმნილ არს კაცი. წინააღმდეგ ამისა, რას გვასწავლის ჩვენ სხეულის მედიდურობა? სხვისი ქონების წარტაცებას და თვისი ქონების გაფანტვას, მახლობლის წყენა-დაჩაგვრას და მოწყალების გაცემაზე ხელის აღებას. სხეულის მედიდურობა გაუმაძღარია: მას ყველაფერი უნდა; თუ ცუდი სახლი აქვს, უნდა აიშენოს ახალი; თუ ცუდი ტანისამოსი აქვს, უნდა შეიკეროს უკეთესი; თუ აქვს თავის გემოზე გამზადებული სასმელ-საჭმელი, უნდა იშოვოს უგემრიელესი. განსაჯეთ: ექნება დრო, ექნება მოცალება და შეძლება, რომ გაჭირვებულ კაცობრიობაზე იფიქროს?!

„სულსა თვისსა კეთილ ჰყოფს კაცი მოწყალე, ხოლო წარწყმედს ხორცსა თვისსა უწყალო", (იგავ. 11, 17).

§ 18.

ღვაწლით შემოსილი, საკვირველთ მოქმედი მთავარმოწამე წმიდა გიორგი

წმიდა გიორგი იყო კაბადუკიელი, ბიძაშვილი წმ. ნინა ქართველთ ეანწალათლებლისა, წარჩინებული პატიოსან-ბით, ბრწყინვალე სიმდიდრით და შემკობილი საღვთო სიბრძნით. ის იყო ქრისტიანე მბრძოლების შვილი, აღზრდილი კეთილ მსახურებაში და ღვთის მოშიშებაში. იყო ჯარების უფროსად, თვისი სიმხნით ცნობილი დეოკლიტიანე მეფისაგან. როცა დეოკლიტიანემ გამოსცა სასტიკი ბრძანება ქრისტიანების წინააღმდეგ და ქრისტიანებს სასტიკად დაუწყეს წვალება „მაშინ გამობრწყინდა ვითარცა ვარსკვლავი ბრწყინვალე ღამესა ბნელსა მარგალიტი იგი პატიოსანი და მხნე მხედარი ქრისტესი“ მთავარ მოწამე წმიდა გიორგი, „რათა უჩინო ჰყოს ბნელი იგი უღვთოებისა და განაქარვოს საცდური კერპთ თაყვანის ცემისა“ და თვისი ქადაგებით განამტკიცოს ქრისტიანენი. ის არ შეუშინდა მრავალგვარ სატანჯველს ქრისტეანეთათვის განმზადებულს და წარმოსთქვა: „ჰი, გიორგი, რასა სდგეხარ? აჰა! ესე რა სდგა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელმანცა ჩვენთვის ჯვარცმა მოითმინა, ღაღადებს და იტყვის, ვითარმედ: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდნეს ხორცნი თქვენნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოკვლად“, მოიხსენე, გიორგი, სწავლა იგი სახარებისა და უტყუელი იგი აღთქმა მეუფისა შენისა, რომელსა იტყვის, ვითარმედ: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“, ნუ აღირჩევ გიორგი საწუთოსა ამას ცხოვრებასა, რომელი ვითარცა აჩრდილი წარვალს, ეფროს საუკუნოსა მის და უხრწნელისა ცხოვრებისა, ნუცა ამაოსა ამის სოფლისა დიდებასა, რომელიცა ვითარცა ყვავილი ველისა წარვალს. ჰცირედ მოითმინე და ანგელოსთათანა იხარებდე“. ამ სიტყვებით გული გაამტკიცნა, ქრისტეს სარწმუნოებისათვის მან უარჰყო წუთისოფლის დიდება, დასტოვა სამსახური, გაყიდა ყოველივე თვისი ქონება და გლახაკთ დაურიგა, გაიძრო ბრწყინვალე შესამოსი. ზეიმოსა უბრალოდ, წარსდგა მეფის და მსაჯულების წინ როცა მათ ჰკითხეთ მსჯელობა ქრისტიანების ამოწყვეტის თაობაზე და თავმაღლ და უშიშრად უთხრა მათ: „მე ქრისტიანე ვარ მეფეო, ამისთვის მიხდომილ ვარ ღმერთსა ჭეშმარიტსა და მეუფესა ზეცათასა ქრისტესა. ვდგეგვარ თქვენ წინაშე და მიკვირს თქვენი ეგვეთი შეცდომილება, რომ თქვენ კერპებს სცემთ თაყვანს და ვერ სცნობთ ჭეშმარიტ ღმერთს, რომელმან შექმნა ყოველივე: ცა და ქვეყანა, რომელმან დაგბადნა

ოქვენ და მოვცა მეფობა; ნუ სცდებით მეფეო, მთავარნო და მსაჯულნო. ჩვენ ქრისტიანეთა კვრწამს ერთი ღმერთი მამა და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა და ერთი სული წმინდა ღმერთი, რომელი ყოველსავე აღავსებს მადლითა თკისითა, აამება სრული, სწორი ღვთაებითა და მეუფებითა; ხოლო მსახურება ეგე თქვენი ჭეშმარიტად გასკიცხვის ღირსია, იმიტომ რომ ტყუილია და ბღალარ და არ არის ჭეშმარიტება". მაშინ შესედა მას მაგნეტიოსმა. მეფის ერთგულ მევობარმა და ჰკითხა: „ვინ ხარ შენ, ანუ ოა გეწოდების, რომ ამდენს ბედავ. მიუგო წმიდა გიორგიმ და უთხრა: „პირველად ჩემი სახელი არს ქრისტიანე და კაცთა შორის მეწოდების გიორგი". დეოკლიტიანემ უთხრა მას: „მე გიცნობ შენ, როგორც მხნეს და სიბრძნით შემკულს, ახლა დატოვე ქრისტიანობა და შესწირე მსხვერპლი ღმერთთა ჩვენთა (კერპებს), რომ ბოროტად არ მოკვდე, არაშედ სიმდიდრე ფრიადი მოგანიჭო შენ და იხარებდე მეგობართა შენთა თანა". — უმჯობეს არს, მეფეო, შენ ისმინო ჩემი, უთხრა წმიდა გიორგიმ, და სცნა ჭეშმარიტი ღმერთი, რომ გახდე ზეციური სასუფეველის ღირსი; ეს ხელმწიფება შენი საწუთოა, ხოლო ზეციური სუფევა საუკუნო და განუქარვებელი, მე კი ვერც სიმდიდრე შენი, რომელსაც აღმითქვამ, ვერც წვალება და სიკვდილი, რომლითაც მემუქრები, ვერ შემარყევენ და ვერ შეძრავენ ჩემ სარწმუნოებას. დიდება და პატივი შენი შენთანვე იყოს, ხოლო სიმდიდრე მორჩილთა შენთა მიეც, ხოლო ჩემდა იყავნ ქრისტე ღმერთი ყოველთა, რომელმან მომცეს მე დიდება და ძლევა წარუვალი, რომ დავსთრგუნო ეშმაკი და მსახურნი მისნი და გვირგვინი ცხოვრებისა დავიდგა". მაშინ განრისხდა მეფე და ბრძანა წამება მისი.

§ 19.

წამება წმიდა გიორგისა

I

პირველად უსჯულო მეფე დეოკლიტიანემ ბრძანა წმიდა გიორგის დაკიდება და ლახვრით განგმირეა, რომ ნაწლევნი მისნი გადმოცვივდნენ მიწაზე, მაგრამ როცა უგმირეს, ლახვრის წვერი მოიღუნა და არ გაჭრა, მხოლოდ ერთი ცვარი სისხლი გადმოექცა; გიორგიმ მადლობა შესწირა ღმერთს, რომ ლახვარმა არ იმოქმედა.

დეოკლიტიანე უფრო განრისხდა და ბრძანა ბორკილით შეკვრა ფერხთა მისთა, შეყვანა საპყრობილეში, წაქცევა მისი და გულზე მძიმე ლოდის დადება. როცა აღასრულეს ესე, გიორგიმ სთქვა:

„გმადლობ შენ, უფალო ღმერთო, რომ ღირს მყავ მე მკერდსა ჩემსა ქვისა ამის მძიმისა ტვირთად, რათა შეუძვრელად დამტკიცნეს გულსა ჩემსა სარწმუნოება შენი“.

ამ წვალებით რომ ვერას გახდნენ, მიაკრეს იგი ურმის თვალივით გაკეთებულ ბორბალს ლურსმნებ შემოჭედილს, დაატრიალეს ბორბალი და სხეული მისი ნაკეთ-ნაკეთად დაუჭრეს; დეოკლიტიანე და მისი მხლენი განშორდენ, დასტოვეს მოწამე და დაუყენეს მცველნი. დღის მეათე საათზე ზეცას შეიქმნა ბგერა — ოხვრა და ძოიამა ხმა: „მხნე იყავ, გიორგი, და განძლიერდი, რამეთუ მრავალთა რწმენეს შენ მიერ ჩემდა მომართ“. მცველებმა გაიგონეს ეს ხმა, შეშიშდნენ და გაიქცნენ. ზეციდგან ჩამოვიდა ანგელოსი უფლისა, გამოიხსნა სატანჯველისგან, განკურნა და უთხრა: „გიხაროდეს, გიორგი, მშვიდობა შენდა, განძლიერდი და გრწმენინ განძაძლიერებელი შენი ქრისტე“. მოწამე ქრისტესი აღსდგა, იხარებდა, ადიდებდა და მადლობდა ღმერთსა. მერმე მივიდა მეფესთან, რომელიც თვისი მეგობრებითერთ მსხვერპლს სწირავდა კერპს და უთხრა მათ; „მიცანთ მე და გრწმენინ ღმერთი, რომელსა მე ვქადაგებ, რომელმან მიხსნა მე ხელთაგან თქვენთა, აწ ნუ სცდებით, ნუ სწირავთ მსხვერპლს კერპებს და ნუ წარსწყმედთ თავთა თქვენთა საუკუნოდ“. მეფემ შეხედა და ჰკითხა: „ვინ ხარ შენ?“ წმიდა გიორგიმ მიუგო: „მე ვარ გიორგი, რომელიც შენი ბრძანებით ნაწილ-ნაწილად დამჭრეს, მაგრამ ღმერთმა ჩემმა მიხსნა მე სიკვდილისაგან“. მეფემ ბრძანა დაჭერა მისი და სთქვა: „ნუ თუ იგი არს და გვეცინის ჩვენ“. მაგნეტიოსმა მიუგო: „არა, მხოლოდ, ცისი მსგავსი არს. მაშინ მეფემ კიდევ კითხა: „ვინ ხარ შენ?“ წმიდა გიორგიმ ხმამაღლა უთხრა „მე ვარ მონა ქრისტესი, ნუ სცდებით, გაიგეთ, რომ ქრისტე არს ჭეშმარიტი ღმერთი და მას ძალუძს მკვდართაცა აღდგინებად“. მაშინ ბევრი ერწმუნა ქრისტეს და მათ მიიღეს მოწამებრივი სიკვდილი. მაშინ ერწმუნა ევრეთვე დედოფალი ალექსანდრა.

მეფე უფრო განრისხდა და ბრძანა წმ. გიორგის ჩასმა საკირეში და მცველების დაყენება. წმ. გიორგი იყო გახურვებულ საკირეში სამ ღღეს, მერმე გაგზავნა მეფემ მხედრები რომ ამოეღოთ საკირიდგან წმ. გიორგის დამწვარი ძვლები და დაემარხათ. როცა მხედრები მივიდნენ საკირესთან, იქ შეიკრიბა ურიცხვი ხალხი, გააღეს საკირის კარები და დაინახეს, რომ წმ. გიორგი უვნებლად ცოცხალ არს, ანგელოსი უფლისა გადმოვიდა ზეცით. და განაქარვა სიმხურვალე საკირისა და დაიფარა იგი დაწვისაგან. იქ მყოფ ურიცხვმა ხალხმა ერთხმად

დაიკარგა: „დიდ არს ღმერთი ქრისტიანეთა“; იქვე მოვიდა დედოფალი ალექსანდრა და ხმამაღლა წარმოსთქვა: „დიდ არს ღმერთი ქრისტიანეთა და არა არს სხვა ღმერთი მისა გარეშე. რომელი იხსნის მონათა მისთა ყოველისაგან ჭირისა“. ბევრი ერწმუნა მაშინ ქრისტეს და მიიღეს ქრისტიანობა. მეფე კიდევ უფრო განრისხდა, მიაყვანინა წმ. გიორგი და ჰკითხა მას: „ვინ არს, რომელმან განგაცოცხლა შენ“. წმ. გიორგიმ უთხრა მას: „რომ გაიგო, მაინც არ ერწმენები, მაგრამ მე მაინც გეტყვი: იესო ქრისტემან, ძემან ღვთისამან დაბადა მე ყოველთაგან სატანჯველთა და იგი იხსნის ეშმაკის მახისაგან ყველას, ვინც კი შეეკედლება მას“.

II

ამის შემდგომ მეფის ბრძანებით ჩააცვეს მას გახურებული რკინის ფეხსაცმელი შიგნიდგან ლურსმნებით მოჭედილი და გაატარეს. წმიდა გიორგი ცრემლით ევედრა ღმერთს, რომ მას დაეფარა იგი და მიეცა მისთვის მოთმინება, რომ არ ეთქვა მის მტერს: „მძლე ვექმენ ცას“. ოცა დაასრულა ლოცვა, ზეციდგან მოესმა ხმა: „ნუ გეშინინ, გიორგი, რამეთუ მე შენთანა ვარ“, და მაშინვე განიკურნა ხორცნი მისნი.

გაშმაგებული მეფე მაინც არ ერწმუნა, ბრძანა იმ ღამეს საპყრობილეში შეეყვანათ, მეორე დღეს მეფემ მოუწოდა და უთხრა: „ეგებამ არ დამემორჩილები და წინააღმდეგები და გრძნეულებით განაქარვებ სატანჯველთა, აწ მაინც დამემორჩილე და შესწირე მსხვერპლი კერპებს“. წმ. გიორგიმ უთხრა: „მე ღვთის ძალით ვითმენ ყოველ სატანჯველს და ცოცხალ ვდგევარ წინაშე შენსა და, ღვთის შეწევნით, მზათ ვარ კიდევ დავითმინო სატანჯველი თქვენგან, ხოლო მე მიკვირს უმეცრება და სიცოფე თქვენი, რომ უსულო კერპებს მსახურებთ“.

ამის გამგონე მეფემ ბრძანა გვემა მისი ძროხის ძარღვითა, ეგ სატანჯველიც დაითმინა წმ. გიორგიმ. მერმე მეფემ და მაგნეტიოსმა კიდევ ურჩიეს, რომ მას შეეწირა კერპებისთვის მსხვერპლი. მაშინ წმ. ბოწკაზე გიორგიმ უთხრა მათ: „მე ჩემ ჭეშმარიტ ღმერთს შევსწირავ მსხვერპლსა ქებისასა, რომელმან მიხსნა მე ხელთაგან თქვენთა და დიდებითა ზეცისათა მადიდოს მე“.

§ 60.

წმიდა გიორგის სასწაულნი

ძროხის ძარღვით გვემის შემდგომ მაგნენტიოსმა სთხოვა მეფეს, გაეხსნათ იგი. როცა წმ. გიორგი ვახსნეს, მაგნენტიოსმა უთხრა მას: „თუ გინდა, რომ ვირწმუნოთ ღმერთი შენი, გვიჩვენე ჩვენ სასწაული და აღადგინე ერთი მკვდართა ამათგანი, რომელნი არიან სამარესა ამას ჩვენ წინაშე". წმ. გიორგიმ მიუგო: „ღმერთს, რომელმან ყოველივე არა არსისაგან არსად მოიყვანა, ძალუძს აღდგინება მკვდრისა. ეს ჩვენთვის ცხადია, ხოლო თქვენ ეშმაკის საცდურით შეპყრობილნი, ვიცი, მაინც არ ერწმუნებით, მკვდარიც რომ აღსდგეს; მაგრამ აქ მდგომ ერისთვის ვყო ესე ღვთის იმედით და თქვენ წინაშე ვევედრო რომ მომმადლოს მე სასწაული ესე". მერმე მოიდრიკნა მუხლნი და დიდხანს ილოცა. ლოცვა რომ დაასრულა იმ ადგილზე, შეიქმნა ძვრა დიდი, განეღო სამარის კარი და აღსდგა ერთი მკვდართაგანი, მოვიდა წმ. გიორგისთან, დავარდა მის წინ და ევედრებოდა: „მონაო ღვთისა მაღლისაო, ღირს მყავ მე ქრისტეს მიერსა ბეჭედსა და ცხოვრებასა". წმ. გიორგიმ მიუგო: „უკეთუ გრწმენეს ქრისტე, რომელი განაცხოველებს მკვდარსა, სცხოვნდე შენ". მან მიუგო: „მრწამს ღმერთი ცხოველი და მხოლოდ შობილი ძე მისი იესო ქრისტე, რომელმან ლოცვითა შენითა აღმადგინა მე მკვდრეთით". მეფემ იხილა ესე და ძლიერ გაკვირდა და ჰკითხა მკვდრეთით აღდგომილს: „გეითხარ შენ როდის მოკვდი და რა იყავ პირველ სიკვდილისა?" მან უთხრა: „მე ქრისტეს განხორციელებამდე მოვკვდი, ვიყავ კერპთა მღვდელი და ვიტანჯებოდი ამდენი წელი ცეცხლითა უშრეტითა". ამ სასწაულის მნახველნი ბევრნი ერწმუნენ და ადიდებდნენ ქრისტესა; მეფე კი უმეტესად აღივსო სიბრძნითა და გულისწყრომითა; წმ. გიორგის სასწაული მიეწერა გრძნეულებას და საპყრობილეში შეაყვანინა.

საპყრობილეში წმ. გიორგისთან მრავალნი მიდიოდნენ, მცველებს ფულს აძლევდნენ, რომ შეეშვათ ისინი გიორგისთან, სწავლობდნენ მისგან სარწმუნოებას, მიყავდათ სნეულნი და წმ. გიორგი კურნავდა მათ.

იმ დროს იყო ვინმე მიწის მუშა კაცი, რომელსაც ერქვა ღელიკერი; მიწის ხვნის დროს მას უეცრად მოუკვდა ერთი ხარი. მივიდა ის გიორგისთან საპყრობილეში და შეეევედრა, რომ მას გაეცოცხლებინა ხარი. „უკეთუ გრწამს ღმერთი ჩემი, უთხრა წმ. გიორგიმ, გაცოცხლდეს ხარი შენი". — მრწამს, რამეთუ არა არს სხვა ღმერთი,

გარდა ქრისტიანეთა ღმერთისა. უთხრა ღვლიკერიმ. წმ. გიორგიმ უთხრა: „წადი და ხარი შენი ცოცხალი პოვო". წავიდა. ნახა. ხარი მართლა გაცოცხლებული. მობრუნდა ღვლიკერი საპყრობილეში და ხმამაღლა დაიწყო დიდება ქრისტესი. მაშინ მხედრებმა შეიპყრეს იგი, წარუდგინეს მეფეს და ყოველივე უამბეს. მეფე გარისხდა და ბრძანა ნაკუწ-ნაკუწად მისი დაჭრა და მოკვლა. როცა ჭრიდენ მას, ის ლოცვილობდა და იტყოდა: „ღმერთო ჭეშმარიტო! რომელმან შეჰქმენ ყოველი დაბადებული, ნუ შეურაცხმყოფ მე, რამეთუ მრწმენა შენდა მომართ მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისა, მაგრამ მეშინის, რომ არა ვარ მონათლული. მინდოდა მოვნათლულიყავ და ვერ მოვასწარ და თუ გენებოს, ვცხონდე, უფალო, ევედრები. რათა სისხლი წამებისა ჩემისა შემირაცხო მე ნათლისღებად". მაშინ მოესმა მას ხმა ზეცით: „ნაცვლად ნათლისღებისა შეგირაცხავ დაღვრასა სისხლისა შენისასა. მოვედ ღვლიკერი სიხარულით ჩემთან" და ესრეთ მახვილით აღესრულა. ამის შემდგომ მეფეს უთხრეს, რომ წმ. გიორგისთან საპყრობილეში მიდიან მრავალნი, ის ასწავლის მათ ქრისტეს სარწმუნოებას და ვახკურნებს სნეულთა მათთა.

მაშინ მეფემ ბრძანა მოყვანა მისი. სანამ მოიყვანდნენ მაგნეტიოსმა მოახსენა მეფეს, რომ მლიქვნელობით ტკბილად მიიღო იგი. მეფე ეგრე მოიქცა და სთხოვა გიორგის, რომ კერპებს მსხვერპლი შესწიროს. გიორგის უნდოდა, ცხადად დაემტკიცებია მეფისთვის, რომ კერპები არ არიან ღმერთნი და არა ვითარი ძლიერება მათ არ აქვთ. ამიტომ სთხოვა, წაეყვანათ ის კერპთა ტაძარში. მეფეს ეგონა გიორგი მსხვერპლს შესწირავდა კერპებს და ძლიერ გახარებული გაუვა და შეაკრებინა ყველა კერპთ-მსახურნი იმ ქალაქისანი. როცა შევიდა წმ. გიორგი ბომონში, დადგა ის უმთავრესი კერპის წინ და უთხრა: „შენ ხარ ღმერთი და მსახურება შენი ჯერ არს?" კერპში დამკვიდრებულმა ეშმაკმა მოსცა ხმა: „არა ვარ მე ღმერთი. ნუ იყოფინ, არამედ ერთ არს ღმერთი ჭეშმარიტი და მხოლოდ შობილი ძე მისი იესო ქრისტე, რომელმან დაბადა ყოველი". წმ. გიორგიმ ამხილა გარშემო მყოფნი კერპთაყვანისმცემლები და მერმე სთქვა: „უკეთუ არა ხართ ღმერთნი, რისთვის აცდუნებთ კაცთა, ან როგორ ბედავთ აქ ყოფნას, როცა მე აქ ვარ". გამოისახა ვიორგიმ ჯვარის სახე და ეშმაკნი ღიდი გოდებით გავიდნენ იქიდგან, ხოლო კერპნი დაეცნენ და დაიმტვრენ. მაშინ ქურუმებმა შეიპყრეს წმ. გიორგი და სთხოვდნენ მეფეს მის მოკვლას, რადგანც მან შემუსრნა ღმერთნი მათნი.

§ 51.

წმ. გიორგის ცხოვრების უკანასკნელნი ღღენი

კერპების შემუსვრის მერე, მეფე ძლიერ განრისხდა და უთხრა წმ. გიორგის: „ბოროტო თავო და ყოვლითა საცდურითა და გრძნებით სავსეო! აკი აღმოთქვი მსხვერპლის შეწირვა ღმერთთა ჩემთა. წმ. გიორგიმ მიუგო: „ბრმაო, უგნურო და ურცხვინო! ვერა ხედავ, რომ კერპნი არიან უსულონი, მათში ბუდობენ ეშმაკნი და აცდუნებენ კაცთა ურწმუნოთა". ამის გაგონებაზე დედოფალი ალექსანდრა ღაღადებდა და იტყოდა: „ღმერთო უძლეველისა შენისა გიორგისაო, მილხინე მე ცოდვილსა ამას და ნუ მოიხსენებ შეცოდებასა ჩემსა, რომელსა ვიქმოდი აქამომდე უმეცრებით". ამ სიტყვებს დედოფალი ცრემლით წარმოთქვამდა და ამის გამო ბევრმა ირწმუნა ქრისტარიტი ღმერთი. მაშინ მეფე უმეტესად განრისხდა და დასდო უკანასკნელი განჩინება, რომ წმ. გიორგი და დედოფალიც ალექსანდრა გაეყვანათ ქალაქს გარეთ და იქ თავნი მათნი წარეკვეთათ. გზაზე დედოფალი სიხარულით მიყვებოდა მხედრებს გიორგისთან ერთად და ლოცვილობდა თვალების ზეცას აღპყრობით. გზაზედ დაჯდა სანატრელი იგი და შეავედრა სული თვისი უფალს და მშვიდობით აღესრულა. ხოლო გიორგი მიიყვანეს მხედრებმა წამების ადგილს. გიორგიმ უთხრა მხედრებს: „მცირე მაცადეთ, ძმანო, რომ ვილოცო". მხედრებმა აცალეს. მაშინ წმ. გიორგიმ აღაპყრო თვალნი და ხელნი ზეცას და სთქვა: „უფალო ღმერთო ჩემო, რომელი ხარ შემოქმედი ყოველთა საუკუნეთა, რომლისა ეგე დიდება გამოუთქმელ არს და სუფევა დაუსრულებელ, შენ, უფალო, ისმინე ჩემი, რომელმან მომმადლე მე ღვაწლი წამებისა, და ტანჯვათა შინა მოთმინება, აწცა სახიერო შეიწყნარე სული ჩემი და იხსენ ეშმაკთა მათგან განმკითხველთა, რომელნი არიან ჰაერთა შინა, და სათნოთა შენთათანა შემრაცხე, შეუნდეე წარმართთა ამათ, რაოდენიცა ძვირი ჰყვეს ჩემდა მომართ, და ნეტარნი მოხანი, რომელნიც შენი სახელისათვის ეწამნეს, განანათლე, რამეთუ ყოველთა კაცთა განებავს ცხოვრება და მეცნიერებასა ქრისტარიტებისა მოსვლა; გარდმოუვლინე, უფალო, შეწევნა მავედრებელთა შენთა და მიეც მათ შიში შენი. მოხედენ, უფალო, სიმდაბლესა ჩემსა და მომადლე თხოვნა ესე, რომელსა ვითხოვ შენგან... მოეც მადლი ძვალთა ჩემთა, რათა ყოველი, რომელი იხილვიდეს და სარწმუნოებით შეეთხვეოდეს, მიაქვნდეს მას მადლი, კურთხევა და შენდობა ცოდვათა და უკეთუ ვინმე ჩვენებასა იხილვიდეს, ანუ სდგეს სასჯელსა ‘მ[illegible]

საშინელსა და მოიხსენონ სიმდაბლე ესე ჩემი, განათავისუფლე იგი ყოველისა ჭირისა და განსაცდელისაგან; რა ჟამს მოაღრუბლო ცა სეტყვისათვის ქვეყანისა და მოიხსენონ მუნ მდგომარეთა წამება ესე ჩემი, იყაკნ განმათავისუფლებელ ყოვლის ჭირისა და განსაცდელისაგან, და ნუ მივალნ მას ადგილსა ჰაერი მავნებელი, არამედ ცვარი მშვიდობისა ექმნეს მათ საკურნებლად. უფალო ღმერთო, მოეც მადლი, რომელნი ახსენებდნენ წამებასა ღვაწლისა ჩემისასა, მიუტევეთ შეცოდებანი მათნი და განკურნენ სალმობანი მათნი, ვითარცა სახიერმან და კაცთ მოყვარემან ღმერთმან, რომელი იკითხვიდეს, გინა ისმეხდეს წამებასა ჩემსა". როცა დაასრულა ლოცვა, გამოეცხადა მას უფალი ღრუბლით გამო და რქვა: „მოვედ, მონაო ჩემო სარწმუნოო, და შეკედ სასუფეველსა მამისა ჩემისასა... ყოველი, რომელი იყოს ჭირსა შინა და სასჯელსა, ანუ წყალთა შინა და საეშმაკოთა საოცართა და განსაცდელთა მრავალ სახეთა, ურვათა მსოფლიოსთა და მოიხსენონ სახელი შენი, ვიხსნა იგინი ყოველისა ჭირისა და განსაცდელისაგან". ამ სიტყვების შემდგომ წმ. გიორგიმ უთხრა მხედრებს: „მოვედით შვილნო და აღასრულეთ ბრძანებული თქვენდა".

მხედრებმა მოჰკვეთეს მას წმიდა თავი და ესრეთ სრულ იქმნა წამება მისი (303 წ.).

„რომელმან მოვწყვიდნეს თქვენ, ჰგონებდეს, ვითარმედ მსხვერპლი შესწირა ღმრთისა" (იოან. 16, 2).

§ 52.

მთავარ ეპისკოპოსი წმ. ნიკოლაოზ მირონ ლიკიისა

წმ. ნიკოლაოზ დაიბადა ლიკიის ქალაქ პატარში. მისი მშობლები თეოფანე და ნონნა იყვნენ კეთილშობილნი, მდიდარნი და კეთილმსახურნი. ყმაწვილობითვანვე ეწოდა მას მადლი ღვთისა. როცა წამოიზარდა, მან გამოიჩინა მიდრეკილება მეტისმეტი მოთმინებისადმი და განმარტოებული ცხოვრებისადმი. ის იყო მეტად მშვიდი, წყნარი და ღვთის მოშიში; უყვარდა ტაძარში ყოფა, ლოცვა და სალმრთო წერილის კითხვა. მას ყავდა ბიძა—პატარის ეპისკოპოსი ნიკოლაოზი, რომელმანც აკურთხა იგი მღვდლად და როცა თვითონ პალესტინაში წავიდა წმიდა ადგილების თაყვანისსაცემლად, მიანდო წმ. ნიკოლაოზს ეპარქიის მართვა. ამ დროს მას მოუკვდა მშობლები და დარჩა დიდძალი სიმდიდრე, რომელიც მან დაურიგა ღარიბთა და გაჭირვებულთა. მისი მოწყალების საქმე აურაცხელია. მათ შორის შესანიშნავია შემ-

დგომი: ქალაქ პატარში იყო ერთი მდიდარი კაცი, რომელმაც უბედური შემთხვევის გამო სრულიად დაკარგა თვისი სიმდიდრე და დიდ სიღარიბეში ჩავარდა. მას ყავდა სამი გაუთხოვარი ქალი. მამამ არ იცოდა რით ეპატრონებია მათთვის, ან თავისთვის რა ნუგეში მიეცა და ძლიერ ცუდი აზრები მოდიოდა მას; მაგრამ წმ. ნიკოლაოზმა იხსნა ის გაჭირვებისაგან: ღამე ჩუმად მივიდა ნიკოლაოზი იმ კაცის სახლთან და ერთი ქისა ოქრო შეუგდო ქოხში. მეორე დღეს, როცა კაცმა ოქრო ნახა, ის ძლიერ გაკვირდა, მაგრამ ვერ გაიგო, ვინ უყო წყალობა. ამ ფულებით მან გაათხოვა უფროსი ქალი. მერმე წმ. ნიკოლაოზმა კიდევ შეუგდო მეორე ქისა ოქრო, კაცმა კიდევ ვერ გაიგო, ვინაა ეგეთი ღვთის კაცი. მეორე ქალი გაათხოვა და იფიქრა: იქნება მესამეთაც მოვიდეს უცნობი მოწყალეო და დარაჯი დაუწყო, უნდოდა შეეტყო, ვინ იყო. მართლაც, ყველას რომ დაეძინა, მივიდა წმ. ნიკოლაოზ და მესამე ქისა ოქრო შეუგდო. კაცი გაედევნა და, როცა დაეწია, იცნო წმ. ნიკოლაოზი, დავარდა მის წინ, თაყვანი სცა და დიდი მადლობა შესწირა. წმ. ნიკოლაოზს არ უნდოდა, რომ მისი კოწყალება სხვას გაეგო და უთხრა მას, რომ არავისთვის არ ეთქვა ეს ამბავი. როცა ბიძამისი დაბრუნდა პალესტინითგან, წმ. ნიკოლაოზ თვითონ წავიდა იქ წმიდა ადგილების თაყვანის საცემლად ზღვით. გზაზე მან დააცხრო გრიგალი ქარი და ზღვის ღელვა და აღადგინა მეხომალდე, რომელიც ანძითგან გადმოვარდა და მოკვდა. წმ. ნიკოლაოზმა პალესტინაში დაიარა ყველა წმიდა ადგილები და თაყვანი სცა მათ. იქ დარჩა კარგა ხანს და მერმე დაბრუნდა საშობლოში, და ღვთის განგებით, დადგენილ იქმნა ლიკიის მთავარ ეპისკოპოსად. იქ მან გამოიჩინა დიდი მოღვაწეობა ყოველ კეთილ საქმეში და იყო მაგალითი თვისი სამწყსოსთვის: თვითონ იცვამდა უბრალო ტანსაცმელს, ჭამდა დღეში ერთხელ, საღამოობით. მისი სახლის კარები ყველასათვის ყოველთვის ღია იყო: იღებდა ყველას სიხარულით და სიყვარულით. ის იყო მამა ობოლთა, მზრდელი მშიერთა, მწუხარეთა ნუგეშინის მცემელი, სნეულთა მკურნალი, შიშველთა სამოსელი, შემწე შეუწევნელთა. წმ. ნიკოლაოზის დროს სასტიკად დევნიდნენ ქრისტიანებს იმპერატორნი დეოკლიტიანე და მაქსიმილიანე. ის უშიშრად ამხნევებდა ქრისტიანებს და განამტკიცებდა ქრისტეს სარწმუნეობას. ამისთვის ის შესვეს საპყრობილეში, მაგრამ იქაც ამხნევებდა და ანუგეშებდა ქრისტიანებს. როცა კონსტანტინე დიდი გამეფდა, მან განთავისუფლა წმ. ნიკოლაოზი და დიდი პატივით დაუბრუნა თვისი ადგილი. წმ. ნიკოლაოზი დაესწრო არიოსის წინააღმდეგ მომხდარ პირველ მსოფლიო

კრებას და, რომ გაივონა არიოსისაგან გმობა ღვთისა, გაარტყა მას ყბაში. კრებამ ეს უწესოებად ჩასთვალა და ჩამოართვეს მას მღვდელმთავრის ღირსება, მაგრამ ზოგიერთმა წმიდა მამებმა დაინახეს, რომ წმიდა ნიკოლაოზს თვით ქრისტემ მისცა სახარება და ყოველად წმიდა ღვთისმშობელმა მხარზე დაადო მას ომფორი — სამღვდელმთავრო მხარზედ სატარებელი შესამოსი და წმ. ნიკოლაოზს ისევ დაუბრუნეს მთავარეპისკოპოსობის ღირსება და მიიჩნიეს ის ღვთის დიდ სათნო ყოფელად. წმ. ნიკოლაოზი მიიცვალა ღრმა მოხუცებულობაში, 6 დეკემბერს, მეოთხე საუკუნის ნახევარში. მის წმ. ნაწილებს მიენიჭა მკურნალობის ძალა. ლიკიის მღვდელთმთავარმა დიდძალი ხალხის თანდასწრებით დაასაფლავა ის მირონ ქალაქის საკრებულო ტაძარში. 1587 წ. 9 მაისს წმ. ნაწილნი მისნი იქმნენ გადატანილ მირონ ქალაქიდგან ქალაქ ბარს იტალიაში.

„რაჟამს ყოფდე ქველს საქმესა, ნუ სცნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდეს მარჯვენე შენი; რათა იყოს ქველის საქმე შენი ფარულად, და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (მათ. 6, 3—4).

§ 58.

მღვდელთმთავარი წმ. ვასილი დიდი

ვასილი დიდი დაიბადა კესარია კაბადუკიაში 330 წ. ის სწავლობდა კესარიაში, კონსტანტინეპოლში და ათინაში. სწავლის გათავების შემდეგომ მან თვისი დის წმ. მაკრინას რჩევით დაიწყო მეცადინეობა საღვთო წერილის წიგნების კითხვით. ბოლოს აღმოირჩია მან განმარტოებული ცხოვრება და მოღვაწეობა. ამ განზრახვით დაიარა სხვადასხვა უდაბნოები და შეისწავლა მონაზონთ ცხოვრება. მასთან შეგროვდა ბევრი მოღვაწე. მან დააფუძნა მონასტრები, შეადგინა მეუდაბნოეთათვის კანონი. წმ. ვასილმა დატოვა უდაბნო კესარიის მთავარ ეპისკოპოსის ევსევის თხოვნით დასახმარებლად მწვალებელთ არიოსის ცრუ სწავლის წინააღმდეგ. ევსევის შემდგომ კესარიის მთავარეპისკოპოსად აღირჩიეს ვასილი დიდი 370 წ. ვასილი დიდი მხურვალედ იცავდა მართლმადიდებლობას და ეწინააღმდეგებოდა არიოსის ცრუ სწავლას და ეგრეთვე დიდად ზრუნავდა ღარიბებზე. წმ. ვასილის დროს იყო იმპერატორად ეალენტი, რომელსაც არიოსის ცრუ სწავლა სწამდა და ამ ცრუ სწავლის გავრცელება მან მიანდო მთავარმართებელს მოდესტს. წმ. ვასილი ეწინააღმდეგებოდა მოდესტს, რის

გამო მოდესტი დაემუქრა ვასილს, რომ მას აუწერენ ქონებას და სხვა ქვეყანას გაგზავნიან პატიმრად და კიდეც მოკლავენ. მღვდელთმთავარმან გულგრილად უთხრა: „ის არ კარგავს ქონებას, ვისაც არა აქვს რა, გარდა ამა ძაძისა და ცოტა წიგნებისა, რომელნიც შეადგენენ მთელ ჩემ სიმდიდრეს; სხვა ქვეყანას გაგზავნა მე არ მაშინებს, იმიტომ რომ ყოველი ქვეყანა ღვთისაა; წვალება რაღას მიქმს მე? სიკვდილიც ჩემთვის სიკეთეა, იმიტომ რომ ის მალე მიმიყვანს მე ღმერთთან, რომლისათვისაც მე ვცხოვრობ". მთავარი მეტად გაჯავრდა და კიდეც გააკვირვა ამ სიტყვებმა და უთხრა ვასილს: „მოდესტთან ჯერ არავის ულაპარაკნია ეგრე თამამად". ვასილმა უპასუხა: „ალბათ შენ ჯერ არ გქონია საქმე ეპისკოპოსთან, თორემ ამასვე გაიგონებდი". მოდესტმა ყოველივე მოახსენა იმპერატორს, იმპერატორმა იგრძნო ღრმა პატივისცემა წმ. ვასილისადმი და ბრძანა თავი დაენებებინათ მისთვის. ვასილი დიდი გარდაიცვალა 379 წ. მან გარდა სამონასტრო კანონებისა დაგვიტოვა თავისი შესანიშნავი ქადაგებანი და შეადგინა წირვა, რომელსაც ხმარობს მართლმადიდებელი ეკლესია.

„და ღაცა თუ გევნებოდეს სიმართლისათვის, ნეტარ ხართ. ხოლო შიშისა მის მათისაგან ნუ გეშინინ, ნუცა შესძრწუნდებით" (1 პეტ. 3, 14).

§ ნ.

წმ. ვასილი დიდის თქმულებათაგან

* ვისაც შეუძლია სიმშვიდე, მას შეუძლია მიბაძოს იესო ქრისტეს.
* შური არის მწუხარება მახლობელთა ბედნიერებაზე.
* ვერცხლისმოყვარე კაცი არის თვით უსამართლო. მას არაფერი არ მოუტანია ამ ქვეყნად და იმდენს ზრუნავს ქვეყნიურ საუნჯეზე, რომ თითქო ყველაფრის წაღება შეეძლოს ამ ქვეყნიდგან.
* შეძენის სურვილი ხშირად მოაყრუებს მშობლიურ ბუნებით ხმას, აღძრავს შფოთს ძმათა შორის, აღავსებს უდაბნოს მკვლელობითა, ზღვებს ავაზაკებითა, განამრავლებს ცილისმწამებელთა ქალაქებში.
* როგორც პურის მარცვალი, მიწაში დათესილი, მოუტანს სარგებლობას დამთესველს, აგრეთვე პური, რომელსაც წინა დაუგებ მშიერს, შემდგომში მოიტანს ას წილ შეტ სარგებლობას.
* ჯოჯოხეთი არ იტყვის: კმა არს ჩემდა" (იგავ. 30, 16) და ანგარების მოყვარე არაოდეს არ ამბობს: „კმარა."
* თქვენ გაქვთ მინდვრები, ტყეები, საძოვრები, ბაღები, გუბეები,

ხეივნები და კიდიც რა? ხოლო ერთი პატარა ნაკვეთი მიწისა სიგანით ორი ნაბიჯი და სიგრძით ექვსი ნაბიჯი იქმნება თქვენი საცხოვრებელი და ერთი ლოდი საკმაოა თქვენდა მცველად.

§ 66

68. ვასილი დიდის ჟამადგეგითგან: „ყურადღება მიაქციე თავისს თავს."

ყურადღება მიაქციე თავის თავს, ესე იგი, ყურადღება მიაქციე იმას კი არა, რაც შენია და რაც შენ მახლობლად არის, არამედ მარტო თავისს თავს; ვინაიდან სხვა ვართ ჩვენ თვითონ და სხვა არის, რაც ჩვენ გვეკუთვნის, და სხვა არის, რაც ჩვენ მახლობლად არის. სული და გონება — ეს ჩვენა ვართ, ვინაიდან შევქმნილვართ ხატად შემოქმედი-

სხეული და ის მიერ მოპოვებულნი გრძნობანი — ეს ჩვენია. ხოლო ჩვენ მახლობლად — ქონება, ხელოვნება და ცხოვრების სხვა საჭიროებანი. ამიტომ რას ნიშნავს ეს სიტყვა? სხეულს კი ნუ აქცევ ყურადღებას, სხეულის სიკეთეს კი ნუ გამოეკიდები მთელი ძალ-ღონით, ესე იგი, ჯანმრთელობას, სილამაზეს, განცხრომას, კმაყოფილებას და დღეგრძელობას; პატივს კი ნუ სცემ ფულს, დიდებას, მფლობელობას, მას კი ნუ მიიჩნევ დიდად, რაც გემსახურება დროებითი ცხოვრებისათვის და მასზე ზრუნვის გამო ნუ იქმნები დაუდევარი უაღრეს შენ ცხოვრებაში, არამედ ყურადღება მიაქციე თავისს თავს, ე. ი. შენს სულს. ის შეამკე, მასზედ იზრუნე, რომ შენი ყურადღებით უკუაქციო ყოველივე უწმიდურება, რომელიც შეეთვისება მას ბიწიერებით; განწმიდო იგი ყოველ ცოდვა-აუგისაგან; შეამკო და განანათლო იგი ყოველ კეთილ მოქმედებითი მშვენიერებით. გამოიცადე თავი თვისი, ვინ ხარ შენ; იცან შენი ბუნება, შეიგნე, რომ სხეული შენი მომაკვდავია, ხოლო სული უკვდავი, რომ ცხოვრება ჩვენი ორნაირია: ერთი, შესაბამი სხეულისა, მალე წარმავალი; მეორე კი შესაფერი სულისა, არა მექონი სამზღვრისა. ამიტომ ყურადღება მიაქციე თავისს თავს, ნუ შეაჩერდები მომაკვდავს, როგორც საუკუნოს და ნუ უგულებელყოფ საუკუნოს, როგორც წარმავალს. ნუ ზრუნავ სხეულზე, იმიტომ რომ წარმავალს, იზრუნე სულზე, უკვდავ არსებაზე. ყოვლის ღონისძიებით ეცადე ყურადღება მიაქციო თავისს თავს, რომ იცოდე სარგებლობის მოტანა ერთისა და მეორესთვისაც: სხეულისთვის — საზრდელი, სამოსელი; ხოლო სულისთვის კეთილ მსახურების კანონი, შესაფერი განათლება, კეთილმოქმედებაში ვარჯიში, გულის თქმათა გასწორება, რათა არ გაასუქო შენი სხეული. არ ეცადო ხორცის გასქელებას, მაგრამ

რადგანაც ხორცთა გული უთქვამს სულისათვის და სულსა ხორცთათვის და ესენი მხდომ არიან ურთიერთარს, რათა არა რა იგი გინდეს და მას ყოფდეთ“ (გალ. 5. 17). ფრთხილად იყავ, რომ სხეულზე ზრუნვით შენ არ დაუთმო დიდი უფლება უდარეს. როგორც სასწორზედ აწოხის დროს თუ დაამძიმებ სასწორის ერთ ჯამს, უსათუოდ მეორე შეიქმნება მსუბუქი; ეგრეთ მოუვა სულს და ხორცს: ნამეტანობა ერთისა შეიქმს მეორის მოკლებასა. როცა სხეული კეთილ მდგომარეობაშია და დამძიმებულია სიმსუქნით, მაშინ გონება აუცილებლად სუსტია და არა საკმაო ჩვეულებრივი მისი მოქმედებისათვის. ხოლო როცა სული კეთილად ვანგებულია და კეთილზე ფიქრით ამაღლებულია მის შესაფერ დიდებამდის, მაშინ ამის შედეგი იქმნება სხეულთა ძალის დაკნობა.

ყურადღება მიაქციე თავის თავს: იყავ ფხიზელი, ჭკვიანი, დაიცავ აწმყო, იზრუნე მომავალზე. უზრუნველობით ნუ გაუშვებ ხელიდან მას, რაც კი გაქვს, ხოლო ჯერ კიდევ რაც არ გაქვს და, შეიძლება, არც გექმნეს, ნუ განიზრახავ მით სიამოვნებას, თითქო ის შენ ხელთ იყოს.

გულმოდგინედ ეცადე მიანებო თავი სხვისი ბოროტების თვალიერებას; ნუ განიზრახავ სხვისი უძლურების განხილვას, არამედ თავისს თავს მიაქციე ყურადღება, ესე იგი, სულიერი თვალი მიაპყარ საკუთარ თავის თავის გამოკვლევას, ვინაიდან მრავალნი, სიტყვისაებრ უფლისა „გრძნობენ ბეწვს, რომელიც არის თავის მოძმის თვალში, ხოლო დვირეს, რომელიც არის მათ თვალში, ვერა ხედვენ“ (მათ. 7, 3).

ამიტომ ნუ მოიშლი თავის თავის გამოკვლევას: ნამდვილი მცნების თანახმად ატარებ ცხოვრებას თუ არა; მაგრამ ნუ უცქერი გარეშე, რომ უპოვო ვინმეს ნაკლულევანება და განკიცხო იგი, მსგავსად იმ უწყალო და ქედმაღალ (ამპარტავან) ფარისეველისა, რომელიც იდგა ლოცვად და თავი მართლად გამოყვანდა, ხოლო მეზვერეს ამცირებდა. წინააღმდეგ ამისა ნუ მოიშლი თავის თავის განკითხვას: ხომ არ შეგიცოდებია რაიმე გულის თქმით, ენით, საქმით? და თუ აღმოჩნდა, რომ შენ სიცოცხლეში ბევრი შეგიცოდებია (და აღმოჩნდება უსათუოდ, იმიტომ რომ შენ კაცი ხარ), წარმოსთქვი მეზვერის სიტყვები: „ღმერთო მილხინე მე ცოდვილსა ამას“ (ლუკ. 18, 13).....

§ 50.
მღვდელთმთავარი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი

გრიგოლ ღვთისმეტყველი დაიბადა 328 წ.; პირველად მისმა კეთილმსახურმა მშობლებმა ჩაუნერგეს მას გულში ჭეშმარიტი სარწმუნოება. მერმე ის სწავლობდა კესარიაში, ალექსანდრიაში და ათინაში,

სადაც ის დაუმეგობრდა ვასილ დიდს. სწავლის გათავების შემდგომ ის დაბრუნდა მშობლებთან ნაზიანზში, სადაც იყო ეპისკოპოსად მამა მისი გრიგოლ. წმ. გრიგოლ მაშის თხოვნით ეკურთხა მღვდლად, მერმე მაშას უნდოდა დაედგინა ძე თვისი ეპისკოპოსად, მაგრამ ის წავიდა უდაბნოში და იქ ვასილ დიდთან დაჰყო რამდენიმე დრო; შემდგომ მამის თხოვნით ისევ დაბრუნდა ნაზიანზს, მიიღო ეპისკოპოსობა და განამტკიცებდა მართლმადიდებლობას და ეწინააღმდეგებოდა არიოსის სწავლის მომხრეებს. მერმე მიიწვიეს კონსტანტინეპოლში მართლმადიდებელ სარწმუნოების აღსადგენად. იმპერატორმა თეოდოსიმ აღიარჩია ის კონსტანტინეპოლის მთავარ ეპისკოპოსად და კონსტანტინეპოლის მსოფლიო კრებამ დაამტკიცა ის, მაგრამ ზოგიერთ მღვდელთმთავრებმა არ მოიწონეს ეს არჩევა და დამტკიცება. მაშინ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველმა უარყო კონსტანტინეპოლის კათედრა და უთხრა მათ, ვისაც არ უნდოდა მისი დაყენება: „ქრისტეს სამწყსოს მწყემსნო! სირცხვილია თქვენთვის, სხვებს ასწავლით მშვიდობას და სიყვარულს და ერთმანეთში აღადგენთ შფოთს. გევედრები თქვენ წინაშე წმიდისა ერთ არსისა სამებისა: აღადგინეთ ურთიერთ შორის მშვიდობა და სიყვარული და თანახმად განაგეთ საქმენი ეკლესიისანი. თუ მე ვარ მიზეზი თქვენი უთანხმოებისა, მე არა ვარ იონა წინასწარმეტყველის უმჯობესი, ჩამაგდეთ მე ზღვაში და დააცხრეთ თქვენ შორის ბარიშხალი მტრობისა; თუმცა მე არა ვარ დამნაშავე, მაგრამ მზათა ვარ დავითმინო ყოველივე, რაც თქვენ გსურს, მხოლოდ შერიგდით და იყავით ერთი აზრისანი.“ ამ სიტყვების ყველას შერცხვა და ბევრი ცრემლითაც გაიღვარა. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველმა დატოვა კონსტანტინეპოლი, წავიდა სამშობლოში და დაიწყო განმარტოებული ცხოვრება. ის გარდაიცვალა 390 წელსა.

„უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთა თვის“ (იოან. 15, 13).

„ნუ ვინ თვისისა ხოლო ეძიებენ, არამედ მოყვასისცა თვითოეული... რამეთუ არა ვეძიებ თავისა ჩემისა უმჯობესსა, არამედ მრავალთასა, რათა სცხონდენ“ (I კორ. 10, 24... 33; ფილ. 2, 4).

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თქმულებიდან

* რაკი შეურაცხება აღაგზნებს შენ გულს, გაიხსენე ქრისტე და მისი წვალებანი, გულის ხმა ჰყავ, რომ შენ მიერ დათმენილნი სრულიად არად ჩასაგდებია ქრისტეს წვალებასთან შედარებით, და მაშინ დააქრობ შენ მწუხარებას.

• ცოდვილნი თუმცა ცოცხლობენ, მკვდარნი არიან, ხოლო მართალნი, თუმცა კვდებიან, ცოცხალ არიან. ხშირად მართალნი ვარდებიან უღვთოთა ხელში, არა დიდებად უღვთოთა, არამედ გამოსაცდელად მართალთა.

• ოქრო იგეთივე შემპყრობია კაცისა, როგორც მახე ფრინველისა.

§ 67.

ძლვდელთმთავარი წმ. იოანე ოქროპირი

წმ. იოანე დაიბადა 353 წ. ანტიოქიაში კეთილშობილ და ბედიერ მშობლებისაგან. ის აღიზარდა ძლიერ სწავლულ მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ოთხი წელიწადი მან გაატარა ანტიოქიის მახლობელ უდაბნოში. ორი წელიწადი ცხოვრობდა განმარტოებით გამოქვაბულ კლდეში. დიდი მოღვაწეობის გამო ის დაავადმყოფდა და დაბრუნდა ანტიოქიაში, სადაც პირველად ხელდასხმულ იქმნა დიაკოვად, მერმე დიაკვნად, ხუთი წლის შემდგომ მღვდლად და თორმეტ წელიწადს ის უქადაგებდა ანტიოქიელებს. მშვენიერი და საამო ქადაგებისთვის ერთმა ქალმა უწოდა მას „ოქროს პირი“ და შემდგომ დაარქვეს მას ოქროპირი. მწვალებელნი თვლიდნენ მას თავიანთთვის ღვთის რისხვად. და ავრცელებდნენ მასზედ სხვა და სხვა ცილის წამებას. ორმოცდა ოთხი წლის იყო იოანე ოქროპირი, როცა იმპერატორის არკადის სურვილით დადგენილ იქმნა ის კონსტანტინეპოლის მთავარ ეპისკოპოსად. კონსტანტინეპოლში მან ბევრი იშრომა მართლმადიდებელი სარწმუნოების აღსადგენელად და ებრძოდა ის არიოსის მომხრეთა. ამის გამო ბევრი მტერი აუტყდა მას, მათ შორის ბევრი ვნება და შეწუხება მიაყენა მას ევდოქსიამ იმპერატორის არკადის მეუღლემ და ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსმა თეოფილემ: მტრების მოხერხებით ის გადაიყენეს და გაგზავნეს დასაპატიმრებლად, მაგრამ ძლიერმა მიწისძვრამ, რომელიც მოხდა მაშინ კონსტანტინეპოლში, შეაშინა მტრები. იოანეს მომხრე ხალხი შემოეხვია იმპერატორის სასახლეს და ყვიროდნენ, რომ იოანე დაებრუნებიათ კონსტანტინეპოლში. იოანე მართლაც დაბრუნეს კონსტანტინეპოლში, სადაც დიდი ამბით და სიხარულით მიეგება მას თვისი სამწყსო.. მაგრამ ევდოქსიამ თვისი სიძულვილი წმ. იოანესადმი კიდევ მალე გამოიჩინა. სოფიის ტაძრის წინ — მოედანზე დადგეს ვერცხლის ანდრიატი (ევდოქსიას სახე ვერცხლისაგან გამოგანდაკებული) და ხალხი ღვთის მსახურების დროს ყვიროდა, თამაშობდა, ცეკვავდა და იმღეროდა; წმ. იოანე აღივსო გულისწყრომით და

ეკლესიაში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც იმპერატრიცა ევდოქსიას აებილებდა. ევდოქსია განრისხდა და კიდევ შეკრიბა იოანეს მტრები. მაშინ წმიდა იოანე ოქროპირმა წარმოსთქვა ქადაგება, რომელიც დაიწყო შემდგომი სიტყვებით: „აჰა, ეროდიადა კიდევ ბორგავს — გაშმაგებულ არს, კიდევ ცეკვავს, კიდევ თხოულობს იოანეს თავს.“ ევდოქსია ძლიერ ვანრისხდა და მასი მოხერხებით გაგზავნეს იოანე კუკუზში დასაპატიმრებლად. საკუთარ ძლიერ ნაღვლობდა და ამბობდა: „იოანეს ბაგის დადუმებას უმჯობესი იყო სრულიად მზე დაბნელებულიყო.“ იქიდგან წმ. იოანე წერილებით ამხნევებდა მართლმადიდებელთა და ამიტომ ის გაგზავნეს უფრო შორს — შავი ზღვის ნაპირას, სადაც მან კელარ მიაღწია ბევრი წვალების და ავადმყოფობის გამო და გარდაიცვალა გზაზე ქალაქ კომანახში 407 წ. მტრებმა ბოლოს იგრძნეს თავიანთი შეცდომა და წმ. იოანეს ნაწილნი დიდი პატივით გარდაიტანეს კონსტანტინეპოლში. მან დაგვიტოვა ბევრი ძვირფასი ქადაგება და წესი წირვისა, რომელიც იწოდება იოანე ოქროპირის წირვად.

§ 58.

წმ. იოანე ოქროპირის თქმულებიდგან

* მთელი უბედურება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შენ დაეცი, არამედ იმაში, რომ დაცემის შემდგომ არ სდგები; იმაში კი არა, რომ შეცოდე, არამედ იმაში, რომ ცოდვას არ განეშორები.

* სახარებისებური სიღარიბე მდგომარეობს არა სიმდიდრის მოკლებაში, არამედ სიმდიდრისადმი მიდრეკილების უარყოფაში. შეიძლება, ძლიერ ღარიბი იყოს კაცი, მაგრამ იმავე დროს ძლიერ მდიდარი სიმდიდრისადმი წყურვილით და ვისწრაფებით, და წინააღმდეგ ამისა, შეიძლება, კაცს ქონდეს ყოველივე ქვეყნიური სიკეთე, მაგრამ არ ქონდეს არავითარი გულით მიზიდულება სიმდიდრისაკენ. არა მდიდარნი, არამედ სიმდიდრის მსახურნი განიკითხებიან, დაისჯებიან.

* ურწმუნო კაცი მსგავსია უსაქმო ხომალდისა, რომელიც ზღვის ღელვას იქით-აქეთ მიმოაქვს. ღუზა საჭიროა ხომალდისათვის ქარიშხალის დროს: სარწმუნოება საჭიროა კაცისათვის გაჭირვების დროს. ღუზა იმედია ხომალდისათვის ზღვაზე: სარწმუნოება — ღუზა არის კაცისათვის ქვეყანაზედ. — რა დიდი სიკეთეა სარწმუნოება? ის გვიხსნის ჩვენ მაშინაც კი, როცა ჩვენ ჩავარდებით უგზო-უკვლო მდგომარეობაში, როცა ჩვენ მოგველის სიკვდილი, როცა ჩვენა მდგომარეობა სასოწარკვეთილია.

* შეუძლებელია, სრულიად შეუძლებელი, რომ მოწყალების უმისოდ მიაღწიო თუნდ სამოთხის კარამდის; მოწყალების უმისოდ ლოცვაც უნაყოფოა.

* უმარხულობა ნიშნავს პირუტყვთა მიმსგავსებას, პირუტყვთა არ იციან მარხვა. არ შეიძლება, რომ ცეცხლი წყალში დაინთოს, არ შეიძლება სინანული უმარხულოდ.

* ხელი ღარიბთა არის ქრისტეს საუნჯე, რასაც მისცემ მთხოვნელს, მას ქრისტე მიიღებს.

* მიუტევე ცოდვა შემცოდეს, რომ შენც მიიღო მიტევება ცოდვათა უფლისაგან.

* წმიდანის პატივისცემას შეადგენს მისდამი მიბაძვა.

* კარგია სხეულის სიმრთელე, მაგრამ უკეთესია სულის სიმრთელე და მით უკეთესია, რამდენადაც სული უაღრესია სხეულზე.

* ოქრო განიწმიდება ცეცხლით, ხოლო სული განსაცდელით და მწუხარებით. განსაცდელი ბოროტება კი არაა, სიკეთეა. ის კარგს შეიქმს უკეთესად. ეს არის ქურა ოქროს განსაწმედი, ეს არის წისქვილი მაგარი მარცვლების დამფქველი, ეს არის ცეცხლი ეკალ-მაყვალის დამწველი, რომ გაანოყიეროს და განამზადოს მიწა კეთილი თესლის მისაღებად.

* ვისაც ღვთის წინაშე თავი წმიდად მიაჩნია, ის არა წმიდაა, თუნდაც ყოველ კაცზე უწმიდესი იყვეს; წინააღმდეგ ამისა ვინც თავისს თავს ყოველ კაცზე უკანასკნელად სთვლის ის შეიქმნება მართალი.

* ვინც ეჩინობს, რომ მას ბევრი კეთილი უქმნია და არ ფიქრობს, რომ ის ყველაზე უკანასკნელია, ის ვერავითარ სარგებლობას ვერ მიიღებს ვერც ერთ თავისს კეთილ საქმეებისაგან.

* ეშმაკი შურით უცქერის კაცს და სხვა ეშმაკს. კი არა; ხოლო შენ, კაცო, შურით უცქერი კაცს, წინააღუდგები შენ თავისს ტომს და ერთგვარს, რასაც ეშმაკიც არ შვრება! როგორი შენდობა ვექმნება შენ. როგორი განმართლება?!

* როგორც ზღვა არაოდეს არ შეიძლება უზვირთოდ, ეგრეთვე ვერცხლის მოყვარე კაცის გული არაოდეს არ შეიძლება იყოს უმწუხაროდ, უზრუნველად, უშიშრად და უშფოთველად.

* ჩვენ მეტად დავალებული ვართ სულიერ მწყემსთაგან, ვინემ ხორციელ მშობელთაგან, იმიტომ რომ ესენი გვშობენ ჩვენ ქვეყნისათვის და ქვეყანასთან ცხოვრებისათვის, ხოლო ისინი ზეცისათვის და საუკუნო ცხოვრებისათვის ღმერთთან.

* „ვერვის ხელემწიფების ორთა უფალთა მონებად" (მათ. 6,24).

ამიტომ რომ ისინი გვიბრძანებენ ერთი მეორის წინააღმდეგს. ქრისტე გვიბრძანებს: შეიბრალე ღარიბი; მამონა კი ვეუბნება: წაართვი ისიც, რაც მას აქვს. ქრისტე გვიბრძანებს: მიეცი გლახაკთა ქონება შენი; მამონა კი გვეუბნება: გამოართვი ეგეც, რაც მათ აქვთ.

• ნაბრძანები გვაქვს, მტრად ვიყოთ მხოლოდ ეშმაკთან: მას ნურაოდეს ნუ შეურიგდები.

• როგორ შეიძლება იმედი ცხონებისა, როცა ჩვენ დღე ყოველ დაწყლულებულ ვიქმნებით (ცოდვისაგან) და წამალს არავითარს არ ვხმარობთ (სინანულში არ შევდივართ).

საღვთო წერილის კითხვა არის თვით საიმედო მცველი და მფარველი ცოდვებისაგან, ხოლო უცოდინარობა წერილისა არის საშიშარი ციცაბი და ღრმა უფსკრული. დიდი დასაკლისია ცხოვნების საქმეში საღვთო სჯულის უვიცობა.

• ვინც ითმენს ავადმყოფობას და მადლობს ღმერთს, ის მოწამებრივ გვირგვინს იწნავს.

§ 50.

წმ. სპირიდონ საკვირველმოქმედი, ეპისკოპოსი ბრიმინთვიტელისა

I.

წმიდა სპირიდონი დაიბადა კუნძულ კიპრზე მესამე საუკუნეში, უბრალო, მაგრამ კეთილმსახურ მშობლებისაგან და სიყმაწვილეში თვისი მამის ცხვრებს მწყსიდა. მოწიფულობაში ცოლი შეირთო და შვილებიც ყავდა. ატარებდა რა ცხოვრებას შრომაში და სასოფლო მეურნეობაში, წმ. სპირიდონი მუდამ შემკული იყო სიმშვიდით, წყნარი ხასიათით და წმიდა ცხოვრებით. ცოლი ადრე მოუკვდა და ის კიდევ უფრო ერთგულად შეუდგა ღვთისმსახურებას და მადლიანი ცხოვრებით ისე განითქვა მისი სახელი, რომ ის, მიუხედავად იმისა, რომ გლეხთაგანი იყო და მასთან მცირე ნასწავლი, გახდა ღირსი ეპისკოპოსობის ხარისხისა. მაგრამ მან ამ დიდი ხარისხის მიღების შემდეგაც არ დაგდო უბრალო სოფლიური ცხოვრების ჩვეულებანი: თავისს ხელით შრომობდა. მიწას სოფლელებთან ერთად ამუშავებდა, თავისს ცხვრებს მწყსიდა, თან ყოველ გაჭირვებულს ეწეოდა და ასწავლიდა ყველას, რომ სარწმუნოება და კეთილნი საქმენი არიან გზა ცხოვრებისა.

წმ. სპირიდონის მტკიცე სარწმუნოება მის ცხოვრებაში ბევრჯერ თვალსაჩინო შეიქმნა: 325 წ. წმ. სპირიდონმა სხვა მღვდელმთავრებთან ერთად მიიღო მონაწილეობა პირველ მსოფლიო კრებაში, რომელიც იმპერატორის კონსტანტინე დიდის ბრძანებით შედგა ნიკეაში სამხილებლად არიოსის უკეთური სწავლისა იესო ქრისტეზე. არიოსის მომხრეთაგან კრებაზე დაესწრნენ ბევრნი ნასწავლნი წარმართთაგანიც, რომელთა შორის ერთი განსაკუთრებით შესანიშნავი იყო ენამკვეერობით და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა გაეწბილებინა კეთილმსახურნი დამცველნი მართლმადიდებელი სწავლისა. წმიდა სპირიდონმა გამოითხოვა კრებისაგან ნება, რომ ის ამ სწავლულს შებაასებოდა. მან უთხრა სწავლულს: „ერთი არს ღმერთი, რომელმან შეჰქმნა ცა და ქვეყანა, შეჰქმნა კაცი და ყოველივე ხილული და უხილავი სიტყვითა და სულითა წმიდითა. ეს სიტყვა ჩვენ მიგვაჩნია ძედ ღვთისა და ღმერთად და გვრწამს, რომ ძე ღვთისა კაცთა ნათესაობის სიყვარულისა გამო განხორციელდა ქალწულისაგან, ცხოვრობდა კაცთა თანა, ეწვალა, მოკვდა ჩვენი გამოხსნისათვის, აღსდგა მკვდრეთით და მიანიჭა ცხოვრება და აღდგომა მთელ ქვეყანას, რომ ის მეორედ მოვა განსჯად ცხოველთა და მკვდართა და მიანიჭებს ყოველ კაცს საქმეთაებრ მათთა; კიდეე გვრწამს, რომ ის თანაარსია მამა ღმერთისა და თანასწორია თვისი ძლიერებითა და დიდებითა. ყოველივე ესე მიღებული გვაქვს და გვრწამს გამოუძიებლად, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ სურვილზე და არც შენ გაბედო ამა საიდუმლოს გამოცდა, ვინაიდგან ის შენ გონებაზე უმაღლესია და დიდად აღემატება ყოველივე კაცობრივ სწავლას. განა ასე არ წარმოგიდგება შენ ყოველივე ესე?“ სწავლული ისე გააშტერა ამ უბრალო სიტყვებმა, რომ ვერაფერი წინააღმდეგი ვერა სთქვა. ყოველივე ესე სიმართლედ ჩასთვალა და ერწმუნა ქრისტეს. მერმე სწავლული მიუბრუნდა იქ მყოფთ თავისს მეგობრებს და მოწაფეებს და უთხრა: „დღემდის შემეძლო ყოველ დავის დროს შეპასუხნა ჩემ მოწინააღმდეგესათვის, მაგრამ როდესაც ამ მოხუცის პირისაგან სიტყვების მაგიერ რაღაც ძალა გამოდის, მაშინ სიტყვა არაფერს არ ნიშნავს ამ ძალის წინააღმდეგ, ვინაიდან კაცს არ შეუძლია წინააღუდგეს ღმერთს. თუ რომელიმე თქვენგანს შეგიძლიათ გაიგოთ ყოველივე ესე, როგორც მე გავიგე, ირწმუნეთ ქრისტე და ჩემთან ერთად შეუდექით მოხუცს, რომლის ბაგით ლაპარაკობს ღმერთი.“

იმავე მსოფლიო კრების დროს, როცა დიდი ცილობა შეექმნა წმ. მამებს არიოსის მომხრეებთან, წმ. სპირიდონმა მოინდომა რა

თკალდათვალ დაემტკიცებია, რომ ყოვლად წმიდა სამება არის ერთი ღმერთი, აღლო აგური და მოუპირა ხელი, აგურიდან ცეცხლი მაღლა წავიდა. წყალი ძირს და მიწა ხელში დარჩა. მღვდელთმთავარმა უჩვენა რა ესე ოავისს მოწინააღმდეგეთ, უთხრა მათ. „შეხედეთ, აგური ერთია და მასში სამი სტიქიონია — ცეცხლი. წყალი და მიწა, აგრეთვე სამება სამ პიროვანია და ერთი ღმერთი".

III.

კრებიდან შინ დაბრუნების შემდგომ წმ. სპირიდონს მოუკვდა ასული — ირინა. მისი დასაფლავების შემდგომ მივიდა მასთან ერთი ქალი და შესტირა მას, რომ მან ირინას მიაბარა შესანახად ოქროს სამკაული და, რადგანაც ირინა ჩქარა გარდაიცვალა, ვერ მოასწრო მისი გამორთვევა და არ იცის ახლა სად არის ის სამკაული. წმ. სპირიდონმა თავის სახლში ბევრი ეძება სამკაული, მაგრამ ვერ იპოვა და რადგანაც ის ქალი ძლიერ სწუხდა და სტიროდა მისთვის ძვირფასი ნივთის დაკარგვას, წმ. სპირიდონი თავისი შინაურებითურთ მივიდა ქალიშვილის საფლავთან და, როგორც ცოცხალს, დაუძახა: „ასულო ირინა! სად არის ოქროს სამკაული, რომელიც მობარებული გქონდა შესანახავად." მკვდარმა ხმა მოსცა საფლავიდან და ასწავლა, სადაც ქონდა დამალული. მერე დაუძახა ასულს: „აწ კი ეძინოს, ჩემო ასულო, ქრისტეს მეორეთ მოსვლამდი და მკვდრების აღდგომამდი".

ამის შემდგომ იმპერატორი კონსტანცი, კონსტანტინე დიდის შვილი, მძიმე ავად შეიქმნა. როცა მკურნალებმა ვერა უშველეს რა, მაშინ იმპერატორი მიიქცა ღვთისადმი მხურვალე ლოცვით და შეეეედრა სენისაგან განკურნებას. ღამე ძილის დროს გამოეცხადა მას ანგელოსი ეპისკოპოსებითურთ და აჩვენა მათ შორის ორი ეპისკოპოსი, რომელთაც შეუძლიათ მისი განკურნება. გაიღვიძა მეფემ, დაფიქრდა, მაგრამ ვერ წარმოიდგინა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ის ეპისკოპოსნი, რომელნიც აჩვენა მას ანგელოსმა. დიდ ხანს იყო მეფე დაფიქრებული. ბოლოს მან შეკრიბა მახლობელნი ეპისკოპოსნი, მაგრამ მათ შორის არ აღმოჩნდენ ისინი; მერე დაიბარა უფრო შორეული ეპისკოპოსნი, და არც მათ შორის იყვნენ ჩვენების დროს ნახულნი ეპისკოპოსნი. მაშინ მეფემ ბრძანა შეეკრიბათ მის სამეფოში მყოფნი დანარჩენი ეპისკოპოსნი. მეფის ბრძანება მიუვიდა ნეტარ სპირიდონსაც, ტრიმიფუნტის ეპისკოპოსს, რომელმაც ღვთის განცხადებით იცოდა მეფის ამბავი: წმ. სპირიდონი თავის მოწაფით ტრიფილეთი, რომელიც მასთან ერ-

თად გამოეცხადა მეფეს ჩვენების დროს, გაემგზავრა და, როცა ანტიოქიაში მივიდა, პირდაპირ სასახლეში შეევიდა და მეფეს გამოეცხადა. როგორც კი დაინახა მეფემ სპირიდონი, მაშინვე იცნო, ადგა ლოგინიდან, მიეგება წმიდანს და თაყვანი სცა, მერე ცრემლით შეევედრა, რომ ელოცა მისთვის და განეკურნა სენისაგან. მღვდელთმთავარმა ხელი შეახო მეფის თავს და იმავე დროს მეფე სრულიად განიკურნა და მერე წმ. სპირიდონი დაბრუნდა შინ.

აქ მასთან მოვიდა ერთი დედაკაცი, რომელსაც ეჭირა ხელში თვისი მკვდარი შვილი. მან არ იცოდა ბერძნულად ლაპარაკი და მკვდარი წმიდანს ფეხებთან დაუსვენა. თვითონ გაჩერდა და ტიროდა. დედაკაცის ცრემლებიდან ჩანდა, რომ ის ევედრებოდა მას მკვდარი შვილის აღდგინებას. მღვდელთმთავარმა სიმშვიდისა გამო თვისისა, პირველად უარი უთხრა შემწეობაზე საწყალ დედაკაცს, რადგანაც ერიდებოდა ხალხის ქება-დიდებას, მაგრამ მერე ცრემლით შეწუხებულმა მღვდელთმთავარმა ჰკითხა თავისს დიაკონს არტემიდორს, რა ვქმნაო. „სხვა რა უნდა ინებო, უთხრა მან, თუ არ გამოითხოვო ქრისტე — ცხოვრების მოვცემლისაგან შემწეობა? მან მრავალგზის აღასრულა ვედრება შენი; თუ კი შენ განკურნე მეფე, ნუთუ უარს უყოფ ღარიბ-გაჭირვებულს? ამ სიტყვების გამო მღვდელთმთავარს სიბრალულის ცრემლები მოერია, დაიჩოქა და მხურვალე ვედრება აღავლინა. უფალთან, რომელმაც შეისმინა მისი და დაუბრუნა სიცოცხლე ყმაწვილს. დედას ისე გაუხარდა, რომ ნამეტანი სიხარულისაგან თვითონ გარდაიცვალა. მაშინ მღვდელთმთავარმა იმავე დიაკონის რჩევით ხელახლა აღავლინა უმხურვალესი ვედრება უფალთან, მერე მიიქცა მკვდარისადმი და უთხრა: „აღსდეგ და დადექ ფეხზე.“ დედაკაცი აღსდგა, თითქო გაიღვიძაო და აიყვანა ძე თვისი ხელში. ემსახურებოდა რა წმიდა გულით ზეციურ მამას, წმ. სპირიდონი იჩენდა მეტისმეტ სიყვარულს მახლობელთადმი და თითოეულ მათგანს ეწეოდა ყოველ უბედურების და გაჭირვების დროს.

IV.

ერთხელ კუნძულ კიპრზე, სადაც ცხოვრობდა წმ. სპირიდონი, დიდი გვალვის გამო გაჩნდა შიმშილობა, რომელმაც ბევრი დაღუპა. ამამობრიულად გულშემატკივარი მღვდელთმთავარი მიიქცა მხურვალე ლოცვით ღვთისადმი და ევედრა მოწყალე ღმერთს ამ უბედურების დაცხრომაზე. უფალმა შეისმინა ლოცვა მართლისა და მოუვლინა ქვე-

ყანას წვიმა, რომელიც მოდიოდა იმ დრომდი, სანამ ლოცვით წმ. სპირიდონმა არ შეაჩერა. წვიმით გამაძღარმა მიწამ უხვად გამოიღო ნაყოფი: ყანებიც კარგი კეთდა, ბაღებიც და ვენახებიც. მაგრამ გავიდა რამდენიმე წელიწადი და კაცთა ცოდვებისა გამო ღმერთი განრისხდა და კუნძულზე კიდევ ვაჩნდა შიმშილობა. ეს უბედურება ესიამოვნათ მდიდართ — პურის მოვაჭრეებს და, ისარგებლეს რა მცხოვრებთა გაჭირვებით, დაუწყეს პურს მომეტებულ ფასებში ყიდვა. ერთმა მათგანმა, რომელიც მეტად შეეპყრა ვერცხლისმოყვარეობას, იყიდა სხვადასხვა ადგილს პური და მანამ არ უნდოდა გაყიდვა, სანამ პური ძლიერ არ გაძვირდებოდა, რომ ბევრი მოეგო. შიმშილობა მართლადაც დღითიდღე მატულობდა და შეიქმნა მომეტებული სიძვირე. მაშინ მდიდარმა გახსნა თვისნი საუნჯენი და მეტად ძვირად დაუწყო პურს გაყიდვა. ამ დროს მივიდა მასთან ერთი ღარიბი და ცრემლით ევედრებოდა შეებრალებინა ის და მიეცა ცოტა ფქვილი, რომ შიმშილს არ გაეწყვიტა მისი ცოლშვილი. გულქვა და ვერცხლისმოყვარე მდიდარი არ მოლბა ღარიბის ცრემლებით და უთხრა მას: „წადი, ფული მოიტანე და მოგცემ, რაც გინდა". შიმშილით ღონემიხდილი, ის მივიდა წმ. სპირიდონთან და ცრემლით უამბო ყოველივე. „ნუ სტირი, უთხრა მას მღვდელთმთავარმა, წადი შინ და დილას შენი სახლი პურით აღივსება და ნახავ, რომ მდიდარი გეხვეწებოდეს პურის უფასოდ წაღებას." მართლაც ეგრე მოხდა. როგორც კი შეღამდა, ღვთის განგებით, ისეთი ძლიერი წვიმა მოვიდა, რომ დააქცია მდიდარის საუნჯენი და წყალმა სულ ერთიანად გაიტაცა მისი მოგროვილი პური, შეშინდა უწყალო ვაჭარი და ყველას დახმარებას თხოვდა. ღარიბებმა რომ დაინახეს გზაშარაზე მოფანტული ხორბალი, დაუწყეს გროვება და აღივსეს სახლნი თვისნი. ასე მოიქცა ის ღარიბიც, რომელიც წინა დღით თხოვდა მდიდარს შემწეობას და ბლომად იშოვა პური; მდიდარმა რომ დაინახა ის, უთხრა: „რამდენიც გინდა, უფულოდ წაიღეო".

იმ შიმშილობის დროს იმავე მდიდართან მივიდა ერთი მიწის მუშა წმ. სპირიდონის ნაცნობი და თხოვა მას სესხად ცოტაოდენი ხორბალი და აღუთქვა: მკის დროს სარგებლით გიზღაო. მდიდარი ამ ღარიბსაც გულქვად მოეპყრო, სრულიად მისი ვულმოდგინე ხვეწნა არ შეისმინა და უთხრა, რომ უფულოდ ერთ მარცვალსაც არ მისცემს. ეგეთი უწყალო სიტყვების გამგონე წავიდა წმ. სპირიდონთან და ყოველივე უამბო. მღვდელთმთავარმა ანუგეშა ის და გაუშვა შინ. მეორე დილას თვითონ მივიდა ამ გლეხთან, მიუტანა ცოტაოდენი ოქრო და უთხრა: წაიღე ეს მდიდარ ვაჭართან, მიეცი მას გირაოდ და პური

სესხად გამოართვი; მოსაგლის შემდგომ დაიხსენი ეს ოქრო და ისევ მომიტანე. ღარიბმა ეს ოქრო მიურბენინა მდიდარს. მას ძლიერ იამა ოქროს დანახვა, დაიტოვა ოქრო გირაოდ და მისცა პური.

შიმშილობა გათავდა, მიწამ მოსცა უხვად ნაყოფი. მაშინ მიწის მუშამ სარგებლით გადაუხადა მდიდარს სესხი და გირაო მადლობით დაუბრუნა წმ. სპირიდონს. მან გამოართვა ოქრო და წაიყვანა ის კაცი ვენახში. მღვდელთმთავარმა ეს ოქრო დასდო ვენახის ღობესთან, აღიხილნა ზეცას და დაიწყო ლოცვა: „უფალო იესო ქრისტე! როგორც ოდესმე შენ მოსეს კვერთხი ეგვიპტის მეფის თვალწინ გველად აქციე, ეგრეთვე ამ ოქროსაც, შენ მიერ გველისაგან ქცეულს, უბრძანე ახლა, რომ ხელახლად გველად იქცეს, რომ გაიგოს ამ კაცმა ის, თუ შენ რამდენად ზრუნავ ჩვენზე და თვით საქმით ისწავლოს, რომ ღმერთს შეუძლია ქმნას ყოველივე, რაც კი სურს." ჯერ კიდევ არ დაესრულებინა მღვდელთმთავარს ეს ლოცვა, ოქრო გადაიქცა გველად, გაცოცხლდა და შეძვრა თავის სოროში. რაკი ეს დაინახა, მიწის მუშა შიშისაგან აცახცახდა, უღირსად ჩასთვალა თავი ეგეთი სასწაულისა და ღვთის ქებადიდებით დაბრუნდა შინ.

V.

შურის გამო ბოროტმა კაცებმა მღვდელთმთავრის ერთ მეგობარს, რომელიც იყო კაცი კეთილმოქმედი, ცილი დასწამეს და საპყრობილეში შეაგდეს; შემდგომ მსაჯულმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. როგორც კი გაიგო წმ. სპირიდონმა თვისი უდანაშაულო მეგობრის უბედურება, მაშინვე გაეშურა მის გამოსახსნელად. გზაში შეხვდა მას მოდიდებული მდინარე, რომელშიაც კაცს არ შეეძლო გასვლა, მაგრამ მან ვერ შეაჩერა მღვდელთმთავარი, რომელიც კეთილ საქმისათვის მიეჩქარებოდა. მას ღრმად სწამდა, რომ ღმერთი ყოვლად ძლიერია, ამიტომ ის მსგავსად ისუ ნავესი, რომელმაც ერთხელ განჰყო იორდანე, მიუბრუნდა მდინარეს და ღვთის სახელით უბრძანა გაჩერება, რომ მას შეძლებოდა მასში გასვლა და მოესწრო გამოხსნა უდანაშაულოდ დასჯილისა. წყალი მართლაც დაემორჩილა მის სიტყვებს, მდინარე შეჩერდა, გამოჩნდა მშრალი ფსკერი და თვითონაც და მასთან მყოფნიც მეორე ნაპირას გავიდნენ. მღვდელთმთავრის თანამოგზაურნი დაწინაურდნენ და მსაჯულს უამბეს ეს სასწაული. მსაჯულმა მაშინვე გააათავისუფლა შეპყრობილი და მისცა იგი მღვდელთმთავარს. ეგეთი გულმოწყალე იყო წმ. სპირიდონი მახლობელისადმი გაჭირვების და

ბრუხარების დროს, მაგრამ არანაკლებ ძვირფასი იყო მისთვის ისიც, ვინც რაღაც ცოდვაში და ცუდ საქმეში ჩავარდებოდა. სულით და გულით აწუხდა ეკეთ კაცზე და ცდილობდა მის მოქცევას ან სიმშვიდით, ან მუქარით და ან სასჯელით.

მიუხედავად იმისა, რომ ის ეპისკოპოსი იყო, მას ყავდა ცხვრის ერთი ჯოგი და თვითონ ადევნებდა თვალყურს. ერთხელ მღვდელთმთავრის ფარეხში შეიპარნენ ქურდები, მოიპარეს რამდენიმე ცხვარი და უნდოდათ წასვლა, მაგრამ ღმერთმა, რომელიც იფარავდა თავიანი სათნოებელის მცირე ქონებას, შეკრა ქურდები უხილავი საკვრელით ისე მაგრად, რომ იმათ ფეხის გადგმაც ვერ შეიძლეს და დილამდე დარჩნენ ფარეხში. დილას მოვიდა მღვდელთმთავარი ცხვრებთან და დაინახა ქურდები ხელფეხშეკრულნი. შეიწყალა ისინი, თვისი ლოცვით გაუხსნა მათ საკვრელნი, ერთი ვერძი აჩუქა მათ, მამობრივი დარიგება მისცა, რომ მათ მოეპოვებიათ თვისი საზრდო შრომით და არა ქურდობით და გაუშვა ისინი.

ერთხელ მივიდა წმ. სპირიდონთან ერთი კაცი და სთხოვა ასი თხა მიეყიდა მისთვის. მღვდელთმთავარმა უთხრა მას, რომ ჯერ გარიგებისამებრ გადმოეთვალა მათი ფასი და მერმე წაეყვანა ნაყიდი თხები. მან გადმოუთვალა 99 თხის ფასი, ერთის დააკლო; იფიქრა, მღვდელთმთავარი ამას არ დაუკვირდებაო. როცა ისინი ფარეხში იყვნენ მღვდელთმთავარმა უთხრა მას წაყვანა იმდენი თხისა, რამდენის ფასიც მან გადმოთვალა; ვაჭარმა გამოარჩია ასი თხა და გადმოდენა ფარეხიდან. ერთი თხა, რომელმაც თითქო იცოდა, რომ ის არ იყო ნაყიდი, ჰაშინვე უკან დაბრუნდა. ვაჭარმა ხელმეორედ გამოდენა, მაგრამ თხა ისევ უკან დაბრუნდა ეგრეთვე მოიქცა მესამედაც. მერმე ვაჭარმა გაისა ის მხარზედ და წაიყვანა, მაგრამ თხამ შორთო პეტელი, ფეხების ქნევა და რქით რჩოლა, ასე რომ ყველას უკვირდა ეს ამბავი. მღვდელთმთავარი მიხვდა ამის მიზეზს და ჩუმად ჰკითხა მას: „ალბად დაგიმალავს შენ მისი ფასი და ის მისთვის გისხლტება შენ ხელიდან და მირბის ფარეხში.“ ამ სიტყვებით შერცხვენილი ვაჭარი გამოტყდა და შენდობა სთხოვა. ხოლო შემდგომ, რა კი მისცა თხის ფასი, თხა თავისთავად გაუვა მას შინ.

VI.

ერთი ვაჭარი ჩვეულებრივ სესხულობდა ხოლმე ფულს წმ. სპირიდონისაგან აღებმიცემობისათვის და საჭიროების შემდგომ უბრუნებდა მღვდელთმთავარს ფულს. ის უბრძანებდა ხოლმე ვაჭარს რომ

ფული ჩაეწყო იმ ყუთში, რომლისაგანაც საჭიროების დროს იღებდა; თვითონ ყურადღებას არ აქცევდა: ნამდვილად გადუხადა ვალი თუ არა. ამ ვაჭარს ხშირად მიქონდა მისგან ფული და სანამ პატიოსნად იხდიდა ვალს, მისი ვაჭრობის საქმეც კარგად მიდიოდა. ერთხელ შეაცდინა ვაჭარი ოქროს ტრფიალებამ, ვალი არ გადუხადა მღვდელთმთავარს და უთხრა კი, რომ ვალი დავაბრუნე და ოქრო თავისს ადგილზე დავაწყვეო. რა შეემთხვა მას? მოპარულმა ოქრომ არა თუ სარგებლობა მისცა ვაჭარს, არამედ სრულიად უკუღმა დატრიალდა მისი საქმე და სიგლახაკემდე მიაღწია. უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ვაჭარი კიდევ მივიდა მღვდელთმთავართან და ფული ესესხა. მან უარი არ უთხრა; უბრძანა, წადი და ამოიღე ყუთიდანაო. ვაჭარი მივიდა ყუთთან, მაგრამ შიგ ვერაფერი პოვა და ხელცარიელი დაბრუნდა მღვდელმთავართან. „ეშმარიტად გეტყვი შენ, უთხრა მას მღვდელთმთავარმა, შენს მეტი ყუთთან არავინ მისულა, თუ წინათ დააბრუნე ოქრო, ახლაც შეგეძლო წაღება.“ ვაჭარს შერცხვა, მოეხვია მღვდელთმთავარს მუხლზე და შენდობა სთხოვა. მან შეუნდო და დაარიგა, რომ სხვისი რაიმე არ მიეთვისებია და არ შეელახა თვისი სვინდისი პირფერობით და სიცრუით, ვინაიდან უკანონოდ მოპოვებული მოგება საეშვოა და არა ნამდვილი.

ერთხელ წმ. სპირიდონი შევიდა ერთი სოფლის ეკლესიაში და რადგანაც დაღლილი იყო, იქაურ დიაკონს უბრძანა მოკლეთ წაეკითხა ლოცვა. დიაკონმა დაიწყო კითხვა, მაგრამ ძლიერ ნელა და მედიდურად — თვისი მაღალი ხმით. მღვდელთმთავარმა მედიდურობა ვერ მოითმინა და რისხვით უთხრა დიაკონს: „გაჩუმდი“, და უეცრად დიაკონმა არა თუ ხმა დაკარგა, არამედ სრულიად ენა ჩაუვარდა. ეს ამბავი მთელ იმ სოფელს მოეფინა, დიდძალი ხალხი შეგროვდა ამ სასწაულის სანახავად და ყველა შიშმა და განცვიფრებამ შეიპყრო. ბევრი თხოვნის შემდგომ მღვდელთმთავარმა აპატია და დაუბრუნა მეტყველების ნიჭი. მაგრამ დიაკონს წინანდელი ხმა აღარ ჰქონდა, რომ მას არ ეამპარტავნებია.

წმ. სპირიდონი შეუცვლელად ასრულებდა ეკლესიურ კანონებს და არ შეეძლო მოეთმინა, თუ ვინმე შეცვლიდა საღვთო წერილის თუნდ ერთ სიტყვასაც. ერთხელ საეკლესიო საჭიროების გამო შეიკრიბნენ ერთად კიპრის ყველა ეპისკოპოსნი, რომელთა შორის იყვნენ წმ. სპირიდონი და ენამჭევრი ეპისკოპოსი ტრიფილლე. ეპისკოპოსებმა თხოვეს ტრიფილლეს, რომ მას ეკლესიაში ხალხისთვის ქადაგება ეთქვა. ტრიფილლე დაეთანხმა მათ და დაიწყო ქადაგება; მაგრამ როცა მან

წარმოთქვა მარკოზის სახარებიდან სიტყვები, თქმული ქრისტეს მიერ განრღვეულისადმი: „აღსდეგ, აღიღე ცხედარი შენი“, მან ცხედრის მაგიერ იხმარა „საწოლი“. მაშინ წმ. სპირიდონი წამოდგა, მიუბრუნდა ტრიფილლეს და უთხრა: „ნუთუ შენ უკეთესი ხარ მასზედ, ვინც სთქვა „ცხედარი“. რათ გრცხვენია მისი სიტყვების წარმოთქმა?“ და მერე გამოვიდა ეკლესიიდან: ამით გააგებინა ტრიფილლეს, რომ ენამეტეკლოობით არ უნდა მედიდურობდეს.

VII.

წმ. სპირიდონის დიდებული საქმეების ამბავი განითქვა არა თუ მის სამშობლოში, არამედ შორეულ ქვეყნებშიაც. ერთხელ ალექსანდრიის პატრიარქმა მოუწოდა ყველა მის ხელქვეით მყოფ ეპისკოპოსებს, რომ შეერთებული ლოცვით შეემუსრათ წარმართთა კერპები, რომელნიც იქ ბლომად იყვნენ. ეპისკოპოსების გულმოდგინე ლოცვა ღმერთმა შეისმინა: გარდა უმთავრესი კერპისა, სხვა კერპები ყველა შეიმუსრნენ. პატრიარქი დიდ ხანს ევედრა ღმერთს ამ კერპის შემუსვრასაც. ღამე ლოცვის დროს მან ნახა ჩვენება: ღმერთმა უბრძანა მას: ნუ სწუხხარ, კუნძულ კიპრზე გაგზავნე კაცი და მოაყვანინე წმ. სპირიდონი, რომლის ლოცვით ეს კერპიც შეიმუსრება. პატრიარქმა დაუყონებლივ მისწერა წმიდანს წერილი, აუწყა მას ჩვენება და გულმოდგინედ თხოვა მოსვლა ალექსანდრიაში. წმ. სპირიდონმა აღასრულა თხოვნა: ჩაჯდა ხომალდში და გაემგზავრა ალექსანდრიაში; მისი მისვლისთანავე კერპი თავისთავად შეიმუსრა. პატრიარქს და ეპისკოპოსებს ძლიერ გაუხარდათ და დიდი პატივისცემით მიიღეს ის.

წმ. სპირიდონი თავისი კეთილმოქმედებისა გამო ისე აღამაღლა ღმერთმა, რომ ის თუმცა ქვეყანაზედ ცხოვრობდა, მაგრამ ანგელოსებთანაც ჰქონდა განწყობილება: ერთხელ წმ. სპირიდონი მწუხრის დროს შევიდა ეკლესიაში; ისე მოხდა რომ მაშინ ეკლესიაში ეკლესიის დარაჯის მეტი არავინ იყო, აანთებინა დარაჯს სანთლები, დადგა საკურთხეველის პირდაპირ და დაიწყო მწუხრის ლოცვა. მერმე დიაკონიც მოვიდა და შეიმოსა მღვდელთმთავრის მოსახმარებლად. როცა მღვდელთმთავარმა წარმოსთქვა: „მშვიდობა ყოველთა“, ამ სიტყვებზე პასუხი უეცრად მოისმა ზეციურ მგალობელთაგან — ანგელოსთაგან. რომელთაც ალობით წარმოსთქვეს: „დისულისაცა შენისათანა“. ეს ხმა ისეთი მწყობრი და საამო იყო, რომ ყოველ კაცთა გალობას აღემატებოდა. დიაკონს, რომელიც „მშვიდობიანს“ ამბობდა, ესმოდა,

რომ მშვიდობიანის თითოეულ მუხლზედ ანგელოსნი გალობდნენ: „უფალო შეგვიწყალენ“. ეს საკვირველი გალობა ეკლესიის გარეთ შორს ისმოდა და მოიზიდა აუარებელი ხალხი, რომელსაც იმდენათ უფრო ესმოდა გალობა, რამდენადაც ეკლესიას უახლოვდებოდა და აღტაცებაში მოდიოდა. როცა ხალხი ეკლესიაში შეეიდა, გალობა აღარ ისმოდა; ხოლო ეკლესიაში, იმათ გასაოცრად, არავინ არ იყო გარდა მღვდელთმთავრისა, დიაკვნისა და დარაჯისა.

ეგეთი საკვირველი იყო ცხოვრება წმ. სპირიდონ ტვრიმინთიტელ ეპისკოპოსისა. სიყმაწვილიდგან მოხუცებულობამდი ის მუდამ იმას ცდილობდა, რომ ღვთისათვის ესიამოვნებინა. ღვთის მადლის შემწეობით მან ყველა შემთხვევაში შესძლო ყოფილიყო ერთგული მონა ზეციურ მეფისა და ერთგული აღმასრულებელი ქრისტიანობრივი მოვალეობისა. მას ვერ აბრკოლებდა ვერც უბრალო გვარიშვილობა, ვერც მცირე განათლება, ვერც სოფლის მეურნეობა და შინაური საქმეები, ვერც უმაღლესი ხარისხი ეპისკოპოსობისა. მუდამ უყვარდა მახლობელი, კეთილს უყოფდა მათ და იყო ღვთის მასიამოვნებელი, ამიტომ ღმერთმა სიცოცხლეშივე მიანიჭა მას ნიჭი სასწაულთმოქმედებისა, ხოლო სიკვდილის შემდგომ სასუფეველი ცათა.

ღვთის შეწევნით მან გაიგო სიკვდილის მოახლოვება, განუცხადა მასთან მყოფთ და უთხრა მათ მოძღვრება ღვთის და მახლობლის სიყვარულზე. მერმე ილოცა, შეავედრა თვისი მართალი სული უფალს და განისვენა. ტვრიმინთიტის მცხოვრებლებმა დიდი პატივისცემით დაასაფლავეს ის მოციქულთა ეკლესიაში. ღმერთმა წმ. სპირიდონის სხეულსაც მიანიჭა სასწაულთმოქმედების ძალა. მისი შრომა, ლოცვა, კეთილი საქმეები, ღვთის და მახლობელთ სიყვარული ჩვენთვის დიდი მაგალითია: „მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქვენნი, რომელნი გეტყოდეს თქვენ სიტყვათა ღმრთისათა; და ხედვიდით გამოსელასა მის ცხოვრებისა მათისასა, და მაძევედით სარწმუნოებასა მათსა“ (ებრ. 13, 7).

§ 60.

ზეგარდამო განსანავლელი

წმ. რომანოზ, რომელიც ცხოვრობდა იუსტინიანე პირველის დროს, იყო სტამბოლში დიდებულ სოფიის (ღვთის სიბრძნის) ტაძარში საეკლესიო მოსამსახურედ. მაგრამ ეს ღვთის მოსიამოვნე, რავდენადაც კეთილმოქმედი იყო, იმდენად უსწავლელი. მიუხედავად ამისა ექვთიმე პატრიარქმა მღვიძარებისთვის და მორჩილებისთვის იმდენად შეიყვარა

ის, რომ მას იმდენ ნაწილს აძლევდა, რამდენსაც მგალობელთა გუნდის თითოეულ წევრს. ეს გარემოება შეიქმნა შურის და განაბოროტების მიზეზად. ყველანი ყველრებით ამბობდნენ: „როგორ არ რცხვენია პატრიარქს, რომ ბრიყვს ჩვენ თანასწორად ხდის. ხოლო რომანოზს მეტად ურცხვად აყენებდნენ შეურაცხყოფას. მაგრამ ხშირად მოხდება, რომ „სულელნი ივი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რათა არცხვინოს ბრძენთა“ (1 კორ. 1, 27). ქრისტეს შობის წინ დღეა, საღამოს ლოცვაზე, როცა თვითონ ხელმწიფე იყო ტაძარში და წმ. რომანოზ ჩვეულებისამებრ სანთლებს ანთებდა, მგალობლები ხელის წაკერით და გინებით ეუბნებოდენ მას: „შენ იღებ ჩვენოდენ ნაწილს, მიდი ამბიონთან და ჩვენსავით იგალობე ღვთის საქებელი გალობა“ (მაშინ იყო ჩვეულება ერთ მგალობელს ამბიონთან უნდა ეგალობა კონდაკი). მთელი ხალხის წინაშე ეგეთი შერცხვენის გამო მან ვერ მოიკავა ცრემლები და ღვთის მსახურების გათავების შემდგომ, როცა ყველანი გავიდნენ ეკლესიიდგან, დაეცა ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატის წინ და გოდებით შეევედრა მას. შინ როცა დაბრუნდა, მწუხარებისა გამო უვახშმოთ დაწვა და დაიძინა. უეცრად გამოეცხადა მას ღვთისმშობელი, ნუგეში ყოველთა მწუხარეთა, მას მარჯვენე ხელში ეჭირა შეხვეული ქაღალდი და ხმადაბლა უთხრა რომანოზს: „აღაღე ბაგენი და შეჭამე ესე. რომანოზმა გადაყლაპა ქაღალდი და გამოეღვიძა. ქალწული უხილავ იქმნა. რომანოზმა კი იგრძნო თავისს გულში გამოუთქმელი სიხარული და გონებაში მოულოდნელი სხივი ცოდნისა და სიბრძნისა, დაეცა მიწაზე და მადლობა შესწირა ზეციურ მასწავლებელს. აღტაცებით წავიდა ის ღამის თევით ლოცვაზე. როცა კონდაკის გალობის დრო იყო, ღვთის მიერ განსწავლული რომანოზი მივიდა ამბიონთან და ხმა ტკბილად იგალობა თავისივე შედგენილი საგალობელი: „დღეს ქალწული უზესთაესს შობს...“ ყველა განცვიფრებაში მოიყვანა ეგეთ სასწაულებრივმა უეცრებამ და დიდის ყურადღებით ისმენდნენ გალობას. ლოცვის შემდეგ პატრიარქმა ჰკითხა მას: „საიდგან არს სიბრძნე ესე?“ ადიდებდა რა ღვთისმშობელს, წმ. მგალობელმა უამბო ჩვენება. შერცხვენილნი მგალობლები სინანულში შევიდნენ იმის გამო, რაც რომანოზს შეურაცხყოფა მიაყენეს. მერე პატრიარქმა აკურთხა ის დიაკვნად და ბაგეთაგან მისთა, როგორც მდინარე გამოდიოდა სიბრძნე. ისინი, რომელნიც წინათ დასცინოდნენ მის უმეცრებას, ეხლა მის მოწაფედ განდომას ბედნიერებად სთვლიდნენ. საყვარელნო ბავშვებო! თუ გინდათ, რომ განანათლოთ გონება თქვენი ჭეშმარიტი ცოდნით, ითხოვეთ ზეციური შემწეობა: „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ.“ თუ

თქვენი ლოცვა მიემსგავსება რომანოზ ტკბილად მგალობელის ლოცვას, მაშინ ნათელი უფლისა ღვთისა იქმნება თქვენ ზედა და საქმეთა სულთა თქვენთასა წარმართავს. თუ ზეციურ ძალთა შემწეობას არ გამოიითხოვთ და მხოლოდ ჩვენ ძალას მივენდობით — უსარგებლოა; ხოლო სხვა ქვეყნის განმანათლებელთა დანდობა საშიშოა: იმათ შეუძლიათ და კიდეც ცდილობენ, მოგცენ თქვენ (და ხშირადაც გაძლევენ თქვენ) პურის მაგიერ ქვას და თევზის მაგიერ გველს; ამიტომ სხვა სარწმუნოების კაცთაგან (კათოლიკეთა, ლუტრანგთა და არა ქრისტიანეთაგან) საღვთო სჯულის სწავლა არ უნდა მიიღოთ.

„რომელსა დღესა გახადოდე შენ, მსთვად შეგესემინ ჩემი, რამეთუ განაძლიერე სული ჩემი ძალითა შენითა“ (ფს. 137, 3). „რქვა უფალმან მოსეს: „ვინ მოსცა პირი კაცსა... ანუ არა მე უფალმან ღმერთმან... მე აღვაღო პირი შენი და გასწაო შენ, რასა იგი იტყოდე“ (გამოს. 4, 11, 12).

§ 61.

სამსონ უცხოთ შემწუხარებელი

წმ. სამსონ რომაელი სიყმაწვილითგანვე სწავლობდა ექიმობას გაჭირვებულთა დასახმარებლად. მშობლების სიკვდილის შემდეგ ის დაესახლა სტამბოლში და სრულიად შესწირა თავი ექიმობაში ვარჯიშობას; მაგრამ მოუღალავ ექიმს უფრო ამშვენებდა მადლი უფლისა, რომელიც ყოველთვის წარმატებით აგვირგვინებდა მის წმიდა შრომას, რის გამო ღვთის კაცმა ისეთი სახელი მოიპოვა, რომ პატრიარქმა მის უნებურად აკურთხა ის მღვდლად. ამ დროს ბერძენთ მეფე იუსტინიანე მძიმე ავად გახდა და, რადგანც თავისს ექიმთაგან ეერავითარი შველა ვერ მიიღო, ის მიიქცა ღვთისადმი, რომელიც არის ერთადერთი უკვდავების წყარო. მხურვალე ლოცვის შემდეგ მან ნახა ძილში ჩვენება, რომ მხოლოდ სამსონს შეუძლია იხსნას ის ავადმყოფობისაგან. გვიან და გაჭირვებით იპოვეს მადლიანი მკურნალი. გახარებულმა იუსტინიანემ არაჩვეულებრივი ალერსით მიიღო ის, რის გამო წმ. სამსონმა მშვიდათ უპასუხა: „ყოვლად მოწყალეო ხელმწიფეო! მე გლახაკი და ცოდვილი ვარ, თვითონ ვთხოვ ქრისტეს განკურნებას ჩემი ცოდვებისაგან, მაგრამ სარწმუნოება შენი მოიზიდავს მეფეთა მეფის მოწყალებას. მას შეუძლია ქმნას ყოველივე, რაც ვნებოს“. ამის შემდეგ ღვთის კაცმა ზეციური მკურნალის მა-

ლით სრულიად აღადგინა იუსტინიანე — ეს დიდი ხნის მწუხარე ავადმყოფი ლოგინიდან.

მადლიერ ხელმწიფეს რამდენადაც თვისი განკურნება უხაროდა, იმდენადვე ის, რომ მის სატახტო ქალაქში ცხოვრობდა ეგეთი ღვთის სათნო კაცი. მან უბოძა მას ძვირფასი საჩუქრები, მაგრამ წმინდა სამსონმა არაფერი არ მიიღო. „უკეთუ კეთილ ინებებ მოწყალება მიყო მე, უთხრა მან. მე გთხოვ შენ ერთ საქმეს: ღვთის სადიდებლად და შენ საცხოვნებლად უბრძანე, ჩემი ქოხის მახლობლად აღაშენონ სასტუმრო, რომელშიაც მე, სანამ ცოცხალ ვიქნები, შემეძლოს მიღება ავადმყოფთა და უცხოთა და ძალისაებრ ჩემისა მოვასვენო ისინი; ამ საშვალებით შენთვისაც საუკუნო მისაგებელს მოიპოვებ ღვთისაგან და ჩემ მოხუცებულებასაც ანუგეშებ.“ იუსტინიანემ დიდი სიამოვნებით აღასრულა ღვთის კაცის თხოვნა, აღაშენა უცხოთა თავშესაფარი და საავადმყოფო და დაუნიშნა მას დიდი შემოსავალი. აი აქ დაუღალავი ექიმი მღვდელი წმ. სამსონ ღრმა მოხუცებულობამდისინ მეცადინობდა მახლობელთა ხორციელ და სულიერ კეთილდღეობისათვის.

სამსონს სიკვდილით არ დაობლებულა ეს ღვთის საამო სახლი (გლახაკთა თავშესაფარი), უკეთუ ზედამხედველი ამ სახლისა გამოიჩენდა დაუდეკრობას, ანუ სიძუნწეს ღარიბთადმი, მაშინ სამსონი გამოეცხადებოდა მას და ეტყოდა, რომ ის გასწორებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში უქადდა მას დაღუპვას. ერთხელ სტამბოლში ისეთი მძვინვარე ცეცხლი გაჩნდა, რომ ვერასგზით ვერ ჩააქრეს. ცეცხლი გადადიოდა გლახაკთა თავშესაფარისკენ. მაშინ დაინახეს წმ. სამსონ იმ სახლის სახურავზედ: ის დადიოდა სახლის გალავანის გარშემო და უბრძანებდა ცეცხლს ჩაქრობას. ამ დროს მოულოდნელად შეიქმნა ჭუხილი, ღრუბლები შეიკუმშა, მოვიდა ძლიერი წვიმა და ცეცხლი ჩააქრო.

„უძლურ თუ ვინმე არს თქვენ შორის; მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა და ილოცონ მასზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისათა, და ლოცვამან სარწმუნოებისამან, აცხოვნოს სნეული იგი, და აღადგინოს იგი უფალმან, და ღაცათუ ცოდვა რაჲმე ექმნეს, მიეტეოს მას“. (იაკ. 5. 14 — 15).

§ 62.

შემრიბეველი

ერთი კეთილმსახური ბერი მივიდა უცხო უდაბნოში მოკლე დროებით; იქ მან ვერ იშოვა საკუთარი სენაკი და არ იცოდა, სად დამდგარიყო. იმ დროს ერთ იქაურ ბერს ჰქონდა ცარიელი ქოხი და ათხოვა სტუმარ ბერს. პირველად ისინი ძმური სიყვარულით ეპყრობოდნენ ერთი მეორეს, მაგრამ მათი სიყვარული მალე დაირღვა. მახლობელ მცხოვრებლებმა გაიგეს, რომ სტუმარი ბერის მოძღვრება ძლიერ საყურადღებოა და ყველანი მასთან მიდიოდნენ და მიჰქონდათ მასთან ვისაც რა შეეძლო. მასპინძელ ბერმა შეიშურვა მისი დიდება და თავისთავად სთქვა: „მე აქ დიდი ხანია ვცხოვრობ, ვლოცულობ, ვმარხულობ და აქამომდე ჩემთან არავინ არ მოსულა, ხოლო ეს რამოდენიმე დღეა, რაც აქ არის და მასთან ლოცვა-კურთხევის მისაღებად ყველანი მოდიან“; მერე დაუწყო ყვედრება და ბოროტად ხსენება ბერს. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ნამეტან გულჯავრმორეულმა გაგზავნა თვისი მოწაფე სტუმართან და შეუთვალა, რომ ის გამოვიდეს სენაკიდან და, სადაც უნდა წავიდეს. კეთილმოქმედ მოწაფემ, როცა სტუმართან მივიდა, ნაცვლად იმისა, რომ გამოუცხადოს მოძღვრის ნება, თაყვანი სცა და უთხრა მას: „მოძღვარმა მიბრძანა, გავიგო, როგორ მშვიდობით ხარ?“ ბერმა მიუგო: „უთხარი შენ მოძღვარს, რომ ცოტა ავად ვარ და ილოცოს ჩემთვის“. მოწაფე დაბრუნდა მოძღვართან და უთხრა: „ბერმა იშოვნა სხვა სენაკი და მალე დაგიცლის შენ ქოხს.“ გავიდა რამოდენიმე დრო და ბერმა კიდევ გაგზავნა თავისი მოწაფე და შეუთვალა სტუმარს, რომ თუ ის ნებით არ წავა, თვითონ მივა მასთან და ჯოხის ცემით გამოაგდებს მას. მაგრამ აი რა უთხრა მოწაფემ სტუმარს: „მოძღვარმა, რაკი გაიგო შენი ავადმყოფობა, კიდევ გამომაგზავნა შენდა სანახავად“ სტუმარმა ბერმა მიუგო: „უთხარი შენ მოძღვარს, რომ მე მისი ლოცვით განვიკურნე. მოწაფე დაბრუნდა მოძღვართან და უთხრა: „ერთი კვირის ვადა გთხოვა და მერე წავაო“.

ერთი კვირაც გავიდა, ბერი მოთმინებიდან გამოვიდა, აიღო ჯოხი ხელში და გასწია სტუმრის განსაძევებლად. მაშინ მოწაფემ გაასწრო, მივიდა სტუმართან და უთხრა, რომ მისი მოძღვარი მოდის მასთან ვახშამზედ დასაპატიჟებლად. ეს რომ გაიგონა, სტუმარი ბერი გამოეგება მასპინძელ ბერს, თაყვანი სცა მას და უთხრა: „მე მოვდივარ შენთან, ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო, შენ ნუ ირჯები ჩემ-

ოვის". ამ სიტყვებმა მასპინძელი ბერი გააკვირვა, გააგდო მან ჯოხი, მიეგება და ეამბორა მას, მერე წაიყვანა თავის სენაკში და გაუმასპინძლდა, რითაც ღმერთმა შეაძლებინა. როცა სტუმარი გააცილა, ბერმა ჰკითხა თავის მოწაფეს: „ეუბნებოდი შენ სტუმარს ჩემ ნაბრძანებს?" — არა, მიუგო მოწაფემ. ბერს ეს ძლიერ გაუხარდა და, მიხვდა რა, რომ მისი სიძულვილი იყო ეშმაკის მანქანებით, დავარდა მოწაფის წინ და უთხრა: „დღეიდან შენ იქნები ჩემი შამა და მე შენი მოწაფე, ვინაიდან მხოლოდ შენმა საქციელმა იხსნა სულნი ჩვენ ორთავენისა". აი, სამოძღვრებელი მაგალითი იმათთვის, რომელთაც უყვართ სახლიდგან-სახლად ამბის გადატან-გადმოტანა! ქრისტიანენო! თუ დაინახოთ ორი ურთიერშორის მოჩხუბარი, იხმარეთ ყოველი ღონისძიება, რომ შეარიგოთ ისინი. ამ მაცხოვნებელი საქმით თქვენ გამოიხსნით დაღუპვისაგან გზადაბნეულთა და თვით თქვენ კეთილ საქმეებს შესძენთ უმთავრეს სიკეთეს.

„მშვიდობით იყვენით ურთიერთ არს" (მარკ. 9, 50).

ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ" (მათ. 5, 9).

§ 69.

მზობელთა ლოცვის ძალა

ღირსმა ლუკა ელადელმა ყმაწვილობიდან შეიყვარა მონაზონებრივი მოღვაწეობა, დედის დაუკითხავად წავიდა და ათინის ერთ მონასტერში შედგა მორჩილად. დედა მისმა ეფროსინემ თუმცა იცოდა შვილის ზნეკეთილობა და ფიქრად მოდიოდა მისი წმიდა მოქმედება, მაგრამ რადგანაც ქვრივი იყო, მას არ შეეძლო გადაეტანა შვილის მოშორება და წამდაუწუმ ღმერთს შესჩიოდა: „უფალო! შენ ხარ მიწავე ჩემის ქვრივობისა და მასთან შეერთებულ ყოველივე მწუხარებისა; ნუ დამივიწყებ მე ბოლომდინ, ნუ წამართმევ მე ცხოვრების ერთადერთ სიხარულს — საყვარელ შვილს: ოხ! მე არ მიმიცია მისთვის არავითარი მიზეზი ჩემი დატოვებისა... უფალო! შენ იცი ჩემი საქციელი მასთან; მე არ ვუშლიდი მას შენი მცნების თანახმად ცხოვრებას; მე ვიყავ მისი დედა, არა თუ მარტო ხორციელი, არამედ სულიერიც; მინდოდა მენახა ის სათნოებით უნაკლულო, უფალო! ნუ უგულებელს ჰყოფ ცრემლთა ჩემთა, დამიბრუნე მე შვილი, რადგა ვადიდო სახელი შენი წმიდა". ეგრე ლოცულობდა დაობლებული დედა და უფალმა შეისმინა ლოცვა მისი. ერთხელ იმ უდაბნოს წინამძღვარს, რომელშიაც მოღვაწეობდა წმიდა

ლუკა, მოეჩვენა ძილში მტირალი დედა. — „მე საწყალ ქვრივს, ეგრე უწყალოდ რისთვის მჩაგრავ, გოდებით უთხრა მან წინამძღვარს, რისთვის წამართვი მე მხოლოდშობილი ძე, ჩემი მოხუცებულობის ნუგეში? ეს ერთადერთი სინათლე ჩემი თვალისა და იგიც არა ჩემთანა! დამიბრუნე მე შვილი, თორემ არ მოვიშლი შენზედ საჩივარს ღმერთთან". შეშინებულ წინამძღვარს გაეღვიძა, დიდ ხანს ფიქრობდა ის ძილში ნახულზე და ბოლოს უბრალო მოჩვენებად ჩასთვალა; მაგრამ მეორე ღამეს იგივე იხილა, მესამე ღამესაც მოესმა იგივე გოდება მწუხარე დედისა. მაშინ სცნა მან, რომ ეს არ იყო მაცდური სულის მოქმედება, არამედ ღვთისგან მოვლენილი განცხადება; დიდ ხანს აზროვნებდა თითოეულ ბერზე ცალ-ცალკე და, რადგანაც წმ. ლუკა მას და მოელ ძმათა კრებას ყოველთვის უფარავდა თავისს კინაობას და მამულს, ბოლოს დარწმუნდა, რომ სიზმარი მას შეეხებოდა. მეორე დღეს, ღვთის მსახურების და საღილის შემდგომ, მან მოუწოდა ლუკას და მრისხანედ უთხრა: „როგორ გაბედე შენ ჩვენი მოტყუება, რომ გვარწმუნებდი, რომ მშობლები არა მყვანანო? როგორ გაბედე ჩვენთან ცხოვრება, გქონდა რა შენ გულში ცბიერება? იცი, ვინ არის სიცრუის მთავარი? წადი ჩვენგან, წადი თვით ათინის სამზღვართაგან და დაბრუნდი შენ მშობელ დედასთან; აგერ მესამე ღამეა, ის მაყვედრებს და მაშფოთებს მე, ვაი შენ, თუ მე არ გამიგონე!" თავზარდაცემული ლუკა იდგა უძრავად, თვალნი მოიწუხნა და ერთი სიტყვის თქმაც ვერ გაბედა: ის სტიროდა და არ უნდოდა თავი დაენებებინა წმ. კრებულისათვის. მაშინ წინამძღვარს შეეწყალა ის და დამშვიდებით უთხრა: „შვილო ჩემო! ეხლა უსათუოდ დაბრუნდი დედაშენთან; შემდგომ კი თვით უფალი შეგეწევა შენ კეთილ განზრახვაში. გამიგონე: მე ვხედავ, რომ დედაშენის ლოცვას დიდი ძალა აქვს ღვთის წინაშე და შეუძლია გააუქმოს ყოველი შენი ლოცვა; წადი მშვიდობით და გახსოვდეს, რომ მშობელთა ლოცვა-კურთხევის მიუღებლად არაფერს არ უნდა მიჰყო ხელი". მოისმინა რა ყოველივე ესე, წმ. ლუკამ მდუმარედ დაუკრა თავი წინამძღვარს, გამოეთხოვა ძმათა კრებულს და შეუდგა თავისს გზას.

ვის შეუძლია აღწეროს განკვირვება და სიხარული ეფროსინესი? ის მივარდა შვილს გადასახვევად; მაგრამ უცბად გაჩერდა, აღაპყრო ხელნი და თვალნი ზეცას და ღმერთს მადლობა შესწირა: — „გაკურთხევ შენ, უფალო, სთქვა მან; რომ შეისმინე ლოცვისა ჩემისა", და მერე გადაეხვია და გადაკოცნა თავისი შვილი.

წმ. ლუკამ გაატარა დედასთან ოთხი თვე, მაგრამ რაკი სულით და გულით მიისწრაფოდა ღვთისაკენ და მდუმარე ცხოვრებისაკენ, დაუწყო დედას თხოვნა, რომ მიეცა მას ნება უდაბნოში განშორებისა. ღვთის მოშიშმა ეფროსინემ აკურთხა იგი, რადგანაც იცოდა მან, რომ ღმერთს უფრო პატივი უნდა სცე და გიყვარდეს იგი მშობლებზე უმეტესად. მისი ლოცვა მართალ ლუკასთვის იყო მეორე წინამძღოლი ცხონების გზაზე.

„ესმა უფალსა და შემიწყალა მე და უფალი იქმნა შემწე ჩემდა. მოაქციე გლოვა ჩემი სიხარულად ჩემდა, განხეთქე ძაძა ჩემი და გარე შემარტყ მე სიხარული“ (ფსალ. 29, 10 — 11). „ბრძენ იყავ შვილო, რათა ახარო გულსა შენსა და მიაქციე შენგან საყვედრელნი სიტყვანი“. (იგავ. 27, 11). „ისმინე შვილო მშობლისა მამისა შენისა, და ნუ შეურაცხყოფ ოდეს დაბერდეს დედა შენი“ (იგავ. 23, 32).

§ 64.

უდიდესი მსხვერპლი

პოლონელი ეპისკოპოსი წმ. პავლინი იმდენად მოწყალე იყო, რომ მთელი თავისი ქონება მისცა თავისს მემამულეთა ღარიბებს ვანდალებისაგან ტყვეთა გამოსახსნელად. ბოლოს, როცა მას არ დარჩენია არა თუ ფული, არც ტანისამოსი, რომლის გაყიდვა შეძლებოდა, მასთან მივიდა ერთი ღარიბი ქვრივი დედაკაცი და შემწეობა სთხოვა, რომ გამოეხსნა ერთადერთი შვილი თვისი. ღვთის მონამ, პავლინმა სულ ერთიანად გაჩხრიკა თავისი სახლი და, რაკი ერთი გროშიც ვერ იპოვა, უთხრა გულამოსკვნით მტირალ დედას: „ჩემ თავს გარდა არაფერი არა მაქვს, ამიტომ წამიყვანე მე და როგორც მონა შენი — მიმეც შვილის მაგიერ...“ ქვრივმა იფიქრა რომ მღვდელთმთავარი დამცინისო და შინ წასვლა დააპირა; მაგრამ წმ. პავლინმა გააჩერა. დაარწმუნა, რომ ნამდვილ მართალს ეუბნებოდა და დაბეჯითებით უმეორებდა, რომ ის შვილის მაგიერ მიეცა. აქ ჩვეულებრივი ადამიანი გაკვირდება და წმიდა კაცის საქციელს ჩათვლის არაკეთილგონიერად; იტყვის, თუ მაშინ არ შეეძლო პავლინს ერთი ყმაწვილის გამოყიდვა, სხვა დროს შეიძლებდა რამოდენიმე კაცის მონებითგან განთავისუფლებას. მაგრამ ვინც ამას იფიქრებს, წაიკითხოს მაცხოვრის სიტყვები: „უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთათვის“ (იოან. 15, 13). გარდა

ამისა დაინახოს, თუ რამდენად ნაყოფიერი იყო შედეგი ეგრეთ გაბედულ საქციელისა. წმ. პავლინი და ქვრივი დედაკაცი ფარულად გავიდნენ ქალაქიდან და მივიდნენ ვანდალებთან. ქვრივი ვანდალებს მეფის რიკსის სიძის წინ დაეცა და ევედრებოდა მას, რომ მონა წაეყვანა შვილის მაგიერ. დიდ ხანს არ დათანხმდა გულქვა ბატონი, დიდ ხანს არა სცა პატივი დედის ცრემლებს, მაგრამ როცა გაიგონა, რომ პავლინი დახელოვნებული მებაღე არისო, მიიღო მოხუცი ჭაბუკის მაგიერ. ქვრივი შვილიანად დაბრუნდა სამშობლოში, პავლინმა კი დაიწყო შრომა ბატონის ბაღში და მიიღო ბრძანება, რომ მას ყოველდღე პურის ჭამის დროს მიეტანა სტოლზე სხვადასხვა მწვანილი და ნაყოფი. ბატონი, რადგანაც ბაღის დიდი მოყვარული იყო, ხშირად მიდიოდა პავლინთან, ყოველთვის რამდენიმე ხანს ლაპარაკობდა მასთან, სცნა მისი ჭკუა და სიბრძნე და ბოლოს ისე შეიყვარა ის, რომ გრძნობდა საჭიროებას ყოველდღე ენახა იგი. ერთხელ წმ. პავლინმა თავის ბატონს უთხრა საიდუმლოდ: „მალე შეგხვდება შენ ჩინებული გარემოება: მეფე რიკსი უეცრად მოკვდება, თვალყური გეჭიროს, სატახტო ქალაქს არ მოშორდე, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა ვინმე ხელთ იგდებს უფლებას და სამეფო გვირგვინს". ეგეთ უცხო წინასწარმეტყველებით განკვირვებული მთავარი ერწმუნებოდა კიდეც და არც ერწმუნებოდა მართლის სიტყვებს; მაგრამ რადგანაც მეფეს ძლიერ უყვარდა, იმ საათშივე წავიდა მასთან და უთხრა ყოველივე, რაც გაიგონა თავისს მებაღისაგან. — „მე თვითონ მსურს, ვნახო ის კაცი, უთხრა მეფემ, უბრძანე მას ჩემს სტოლზე მოიტანოს მწვანილი და ხილი". როგორც კი პავლინი, თანახმად ბრძანებისა შევიდა სასახლეში, რიკსი ათრთოლდა... მერმე, როცა გონზე მოვიდა, მოუწოდა სიძეს და უთხრა მას: მისი სიტყვები მართალია, წუხელის მე ვნახე სიზმარი: ვითომ ჩემ წარჩინებულ კარისკაცთ რჩევა ჰქონდათ და ეს კაცი იყო თავმჯდომარედ მათდა: რამდენიმე ხანს ილაპარაკეს და მერე დაადგინეს განაჩენი, რათა წამართვან მე სამეფო; ამის გამო ჰკითხე მას, ვინ არის და საიდგან არის? მე არ ვფიქრობ, რომ ეს მოხუცი უბრალო კაცი იყოს". მაშინ მეფის სიძემ გაიყვანა წმ. პავლინი განზე, დაადაფიცა ღმერთი, რომ მას თავისთავზედ ეთქვა ყოველივე სიმართლე. ის არაფრისთვის არ გამოააშკარავებდა თავის ვინაობას, მაგრამ რადგანაც ღმერთი დააფიცა, სთქვა, რომ ის არის ეპისკოპოსი. რიკს და მის სიძეს თავზარი დაეცათ; „მომიტევე მე, ღვთის კაცო! უთხრა მას დიდებულმა, რომ მე უცნობლობისა გამო გატვირთვინე შენ

მონის შრომა". — „მითხოვე მე, რაც გნებავს, განაგრძო მეფემ, და დაბრუნდი შენს ქვეყანას დიდი საჩუქრით". — „ერთსა გთხოვ შენ, თავმდაბლად უპასუხა წმ. პავლინმა, გაუშვი ტყვეები, წამოყვანილნი ჩემი სამშობლოს ყველა კუთხიდან, ეს იქმნება უდიდესი საჩუქარი, რომელიც შეგიძლია რომ მისაგზლო". მაშინვე ყოველგან გაგზავნეს მეფის წერილობითი ბრძანება, ყველა ტყვეები შეკრიბეს ერთ ადგილს და მისცეს წმ. პავლინს. მერე მართალი პავლინი დიდი პატივით დაბრუნდა სამშობლოში და დაუბრუნა მყუდროება და სიხარული მამათა და დედათა, მეუღლეთა და ჩვილთა, ნათესავთა და შეგობართა.

თვით უფალი იფარავს იმის სიცოცხლეს და თავისუფლებას, ვინც მახლობელის ცხოვრების და თავისუფლების დასახსნელად სწირავს თავის სიცოცხლეს და თავისუფლებას.

„ისწავეთ კეთილისა ქმნა... იხსენით მიმძლავრებული, უსაჯეთ ობოლსა და განამართლეთ ქვრივი". (ისაია 1, 17). „მსახურება წმიდა და შეუგინებელ ღვთისა მიერ და მამისა ესე არს: მიხედვა ობოლთა და ქვრივთა ჭირსა შინა მათსა" (იაკ. 1, 27). „ამით ვსცნათ სიყვარული მისი (ქრისტესი), რამეთუ მან სული თვისი ჩვენთვის დასდვა, და ჩვენცა თანა გვაძს ძმათათვის სულთა ჩვენთა დადება" (1 იოან. 3, 16).

§ 06.

ღვთისმორწმუნეს და მოიმედეს ღმერთი არ დააგდებს

როცა მამა დავით ვარეჯელი თავისი მოწაფით ლუკიანეთი მივიდა პირველად გარეჯის უდაბნოში, ის ადგილი მოეწონა საცხოვრებლად და უთხრა ლუკიანეს: „ძმაო ლუკიანე! ვხედავ, რომ ეს ადგილი კარგია და შფოთთაგან თავისუფალი, სოფელს განშორებული და მყუდრო, დავდგეთ აქ მარტოებით, ვეევედროთ ღმერთს, ვიმარხულოთ, მღვიძარე ვიყვნეთ, დავითმინოთ ყოველივე ხორციელი ნაკლულევანება და გასაჭირი, ცოდვა მოვინანიოთ და მოწყალემან ღმერთმან მოგვაგოს ჩვენ ნაცვლად კეთილი, მოგვცეს ჩვენ საღვთო მადლი, ჩვენი უძლურების განმკურნებელი, მოგვცეს მოთმინება, — ამ სოფლის შეიწროება და გასაჭირი მალე წარმავალია, ხოლო შვება და დიდება ღირსთა და მოღვაწეთა საუკუნოა". ლუკიანემ მიუგო: „ღმერთ შემოსილო მამაო! სიტყვა შენი ჭეშმარიტია და საღვთო წერილშიც სწერია, რომ ღმერთი მიაგებს ყოველ კაცს საქმეთაებრ მათთა, მაგრამ ამ უდაბნოში დიდ იწროებას ვხედავ: ეს ადგილი მოკლებუ-

ლია ყოველ საჭირო საზრდოს და თვით წყალსაც კი, ხოლო ჩვენ კაცნი ვართ, მე'მინის, რომ ვერ შეეძლო მოთმენა ამ უდაბნოს ჭირთა და იწროებათა". ამ სიტყვებზე მამა დავითმა მიუგო: „ძმაო ლუკიანე! ამისათვის ნუ ზრუნავ: ღმერთმან, რომელმაც უდაბნოში ებრაელებს საზრდელად მანანა უწვიმა, კლდისაგან წყარო აღინა, კარმელის მთაზე ილია ყორნისა მიერ ასაზრდოვა, მან ჩვენც მოგვცეს საზრდელი, გამხნევდი და განძლიერდი, სხვებთან ჩვენც გვასაზრდოებს ღმერთი". ამ სიტყვებით გამხნევებულმა ლუკიანემ უთხრა დავითს: „პატიოსანო მამაო! როგორც ბრძანე, ეგრე ვყოთ, ხოლო ღმერთმან, რომლის იმედი გვაქვს, იზრუნოს ჩვენი ცხოვრებისათვის." ამგვარად იმათ გადაწყვიტეს იმ უდაბნოში მოღვაწეობა, დაიარეს უდაბნო, პოვეს ჰატარა გამოქვაბული კლდე. და იქ შეიფარეს თავი. იქ დაბინავდნენ და ატარებდნენ დროს ლოცვით და მარხულობით და საზრდოობდნენ სხვადასხვა ბალახებით და მათი ძირებით.

ამ უდაბნოში სიცხისაგან ბალახი მალე გადახმა და ლუკიანემ მწუხარებით შეჩივლა დავითს: „აწ წმინდაო მამაო! რაღა იყოს ნუგეშინის მცემელი ჩვენი და რით ვისაზრდოვოთ თავი, ბალახნი განხმენ და ჩვენთვის უხმარ იქმნენ." — „ძმაო ლუკიანე! უთხრა დავითმა, — რად დაგიდევს იმედი ბალახზედ და ქვეყნიურ მცენარეზედ, თუ არ იცი, რომ ყოველივე ქვეყნიური ნივთი ცვალებადია და მალე წარმავალი, ყოველივე თავის დროზე აღორძინდება და მყოფობს და თავის დროზე განიხრწნება, როგორც დაუდგრომელი და წარმავალი და მხოლოდ სული ღვთისა მიერ უკვდავათ ქმნილი სამარადისოდ დაადგრების მიღებად ნაცვალ გებათა, თუ არ გაგიგონია საღვთო წერილის სიტყვები: მოთმინებითა შენითა მოიპოვეთ სულნი თქვენნი; რისთვის იქმენ ეგრე სულ მოკლე? ნუთუ არ იცი, რომ ქრისტეს მცნებისთვის უკეთუ მოვკვდეთ შიმშილით ანუ წყურვილით, ხორციელი სიკვდილის მაგიერ მივიღოთ საუკუნო სულიერი ცხოვრება: რას სწუხარ ბალახთა და მცენარეთათვის; ესენი პირუტყვთა საზრდოდ არიან მოცემულნი, ჩვენ კი სიტყვიერნი ვართ და კაცთათვის შემსგავსებულითა საზრდელითა გვზარდეს ყოველთა მზრდელმან."

ამ სიტყვების გათავებისთანავე ღვთის განგებით მოვიდა მათთან სამი ირემი ნუკრებითურთ და გაჩერდნენ, როგორც ცხვარნი. დავითმა უთხრა ლუკიანეს: „მოიღე, ძმაო, ჯამი და მოწველე ირმები, ღვთისაგან მოვლინებულნი ჩვენდა გამოსაზრდელად". ამ უცხო სანახავით გაკვირვებული ლუკიანე ადგა, მოწველა ირმები და დადგა ჯამი რძით. დავითმა გადასახა ჯვარი და რძე შედედდა ყველად. აი-

ღეს ეს ყველი და სჭამეს საკმაოდ; მერე წარმოსთქვეს: „სჭამონ დავრდომილთა და განძღენ, და აქებდენ უფალსა, მომცემელსა ყოველთა კეთილთასა და ნუგეშინის მცემელსა ყოველთა მოშიშთა და მადიდებელთა მისთასა“. ამის შემდგომ ლუკიანემ უთხრა დავითს: „ჰატიოსანო მამაო! ჭეშმარიტად საკვირველ არს ღმერთი და კურთხეულ არს სახელი მისი, რომელმაც შენი ლოცვით მტკიცე და შეურყეველ ჰყო გული ჩემი, და სული და გონება ჩემი ბნელისაგან გამოიყვანა ნათლად, შიმშილისაგან რომ განილიოს ხორცი ჩემი და წყურვილით მოაკლდეს სული ჩემი, აღარ ვზრუნვიდე ამა მოკვდავთა და დაუდგრომელთა ხორცთათვის და არცა ვდრტვინვიდე მე საზრდელთათვის, არამედ სრულიად დაგემორჩილო და ვიმედოვნებ სულით, რომ შენი მადლით მივემთხვიო ზეციურ სასუფეველს“.

ქრისტიანენო! მორწმუნეს და ღვთის მოიმედე კაცს ღმერთი ყოველთვის ფწევა. ზრუნავს მასზედ და არაოდეს არ დააგდებს მას უმწეოდ.

„თვალნი უფლისანი მოშიშთა მისთა ზედა, და რომელნი ესვენ წყალობასა მისსა, ხსნად სიკვდილისაგან სულთა მათთა და გამოზრდად მათდა სიყმილსა“ (ფს. 32, 18 — 19).

§ 06.

წმ. ტიხონის, ზორონეჟის ეპისკოპოსის ქმნილებიდან

ხედავ ცას, რა საუცხოვო, მაღალი და განიერია. სხვადასხვა ვარსკვლავებით მოჭედილი; მზეს და მთვარეს, რომელნიც ანათებენ მთელ ცის ქვეშეთს, ღრუბლებს, ჰაერში იქით-აქეთ მოსიარულეთ, წვიმის მომყვანთ და ჩვენი ყანების დამრწყულებელთ. შენი გრძნობა და გონება წარმოგიდგენს ქვეყანას თვისი სავსებით, ხეხილით, მწვანილით, პირუტყვით, მხეცებით, ზღვებით, ტბებით, მდინარეებით, წყაროებით და სხვა მშვენიერებით. ხილულიდგან გონებით გადადი უხილავზე (წარმოიდგინე უხილავი), ქვეყნის შექმნიდგან შემოქმედი და ეს შემთხვევა იყოს შენდა საკვირველ: 1) ყოვლის შემძლებლობა ღვთისა ჩვენისა, რომელმანც ყოველივე ესე არა რაჲსაგან ერთი სიტყვით შექმნა (შექ. 1); 2) სიბრძნე მისი, რომელმანც ეგრე ბრძნულად შექმნა; 3) მოწყალება მისი, რომელმანც ყოველივე ესე ჩვენთვის შექმნა. ეგრე ვინც წარმოიდგენს ქმნილებისაგან შემოქმედის ძლიერებას, სიბრძნეს და მოწყალებას, დავითთან

ერთად სულიერი სიხარულით უნდა წარმოსთქვას: „ვითარ განსდიდენ საქმენი შენნი უფალო და ყოველივე სიბრძნით ქმენ“. (ფს. 103, 24.).

*
* *

ხედავ, რომ ერთი ქმნილება მეორეს ეხმარება: უმაღლესი ქმნილება უმდაბლესს, მზე — ჰაერს და ქვეყანას ანათებს და ათბობს; ღრუბელნი ჰაერს და ქვეყანას რწყავენ; ჰაერი სასუნთქად ცხოველებს ემსახურება; დედამიწა გვაძლევს საზრდოს ჩვენ და ცხოველებს; ყოველივე ესე გვასწავლის ჩვენ, რომ უმეტესად ჩვენ, როგორც გონიერი ქმნილება, უნდა ვეხმარებოდეთ ერთიმეორეს — მდიდარი ღარიბს, გონიერი უჭკუოს, კარგად მყოფი ავადმყოფს, თავისუფალი დატყვევებულს, ძლიერი შეურაცხყოფილს, უფლების მექონი უმწეოს. საიდან არის ეს სიტყვები: „მე მას რას დავეძებ“. ეს სიტყვები ქრისტიანეთა საზღვრიდან უნდა იქმნენ განდევნილნი.

ხედავ დილით მზეს ბრწყინვალედ ამომავალს და ყველას გამამხიარულებელს. წარმოიდგინე, რა დიდ სიხარულს გრძნობენ სულნი, რომელთაც ქრისტე, ძე ღვთისა, საუკუნე მზე სიმართლისა გაანათლებს. ამ შემთხვევამ გასწავლოს შენ გულმოდგინედ ლოცვა მისდამი, რომ შენ გულშიც გამობრწყინდეს კეთილ საამო ნათელი მისი მადლისა.

*
* *

ხედავ ფრინველს, რომელიც ზის, იქით-აქეთ იხედება და შიშობს, რომ არავინ დაიჭიროს იგი და ან არ მოკლან. ეს მაგალითი გასწავლის შენ, რომ მსგავსად იმისა გაუფრთხილდე ამ ქვეყანაში ეშმაკის საფრთხეს და მის ისრებს. ისარნი ამ ჩვენი მტერისა არიან: ამპარტავნობა, შური, ვერცხლისმოყვარეობა, ანგარება, ძვირი, არა წმიდები და სხვა. ამა ისართა გვესვრის იგი ჩვენ და სწყლავს გაუფრთხილებელთა.

* *
*

ხედავ, რომ სანთელი იწვის და მერე სულ დაიწვება. ეს მაგალითი გასწავლის შენ, რომ ჩვენი ცხოვრებაც, სანამ ცოცხალ-ვართ, რო-

გორც სანთელი იწვის, და მერე ჩაქრება, და უნდა გვახსოვდეს აღსასრულის დღე, რომელიც არ ვიცით, როდის გვეწვევა, ამიტომ ყოველთვის უნდა მოველოდეთ მას.

•
• •

ხედავ ხის მოჭრილ რტოს გამხმარს, რომელიც არაფრად ვარგა, გარნა მხოლოდ დასაწველად. გულის ხმა ჰყავ აქედგან, რომ ეგრეა ყოველი კაცი, ვინც ქრისტესაგან, რომელიც არის ვენახი ჭეშმარიტი, თვისი დაუდევრობით და ბოროტი ცხოვრებით მოეკვეთება, არა თუ რაამე ნაყოფს გამოიღებს, არამედ „განვარდეს გარე, ვითარცა ნასხლევი, და განხმეს, და შეკრიბონ იგი, და ცეცხლსა დაასხან, და დაიწვას“ (იოან. 15, 6), როგორც თვითონ ის გვასწავლის. ეს გასწავლის შენ, მტკიცედ გქონდეს სარწმუნოება და სიყვარული მისი, განეშორო ყოველ ცოდვას და მხოლოდ ქრისტეს მიეკერძო, სიმშვიდით და მოთმინებით შეუდგე მას.

•
• •

ხედავ. რომ თესლი ჩათესილი მიწაში მოკვდება (დალპება) და მერე აღმოცენდება მიწისაგან. ეს მაგალითი ცხადად გაჩვენებს შენ, რომ ეგრეა სხეული ჩვენი, თუმცა ის მოკვდება და დაეფვლის, მაგრამ ღვთის ძალით თავის დროზე გაცოცხლდება და შეიმოსს უკვდავებას. რაზედაც მოციქული ეგრე ქადაგებს: „ეგრეცა აღდგომა მკვდართა, დაეთესვის ხრწნილებით და აღსდგების უხრწნელებით; დაეთესვის გინებით და აღსდგების დიდებით; დაეთესვის უძლურებით და აღსდგების ძლიერებით; დაეთესვის ხორცი მშვინვიერი და აღსდგების ხორცი სულიერი“ (1 კორ. 15, 42—44). ეგრე სდეგი და განამტკიცე სარწმუნოება, მოელოდე მკვდართა აღდგომას და მომავალ საუკუნე ცხოვრებას.

§ 67.

ჩვეულება გულზედ წმიდა ჯვარის ტარებისა

ძველად, ქრისტეს განხორციელებამდი, თავზედ კერპთთაყვანისცემის დროს ჯვარი მიაჩნდა ყველას თავზარდამცემ და საზიზღარ საგნად. ის იყო სამარცხვინო სასჯელის იარაღი: ჯვარზე გააკ-

რავდნენ ხოლმე მძიმე დამნაშავეებს და მონებს და ეს სასჯელი ითვლებოდა უსასტიკეს და თვით საშარცხვინო სასჯელად: „წყეულ არს უფლისა მიერ ყოველი, რომელი დამოეკიდოს ძელსა“ (მეორ. სჯულ. 21, 23), ამბობდა ძველი აღთქმის სჯული ჯვარცმულთ შესახებ. მერე იყო იმ დრომდი, სანამ ჯვარი შეიქმნებოდა მაცხოვრის წვალების და სიკვდილის იარაღად. მხოლოდშობილი ძე ღვთისა, რომელიც მოვიდა ხოფლად, რომ თავს იდვას ცოდვანი მთელი კაცობრიობისა, კაცთა სიყვარულისა გამო მივიდა უკიდურეს თავის დამდაბლებამდე. მან. რომელიც არის საუკუნო სიტყვა, ბრწყინვალება დიდებისა მამისა და მეორე პირი ყოვლად წმიდა სამებისა, „თავი თვისი დაიმდაბლა, სახე მონისა მიიღო“ (ფილიპ. 2, 7); გარდა ამისა ის მოკვდა თვით საკუთარ სიკვდილით: „დაიმდაბლა თავი თვისი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკვდილამდე და სიკვდილითა მით ჯვარისათა“ (ფილიპ. 2, 8). და იმ დროიდგან ჯვარის მნიშვნელობა შეიცვალა ჯვარცმულ ქრისტეს მორწმუნეთა თვალში; ჯვარზე თვისი სიკვდილით ღვთაებრივ გამომსნელმა მოუპოვა კაცობრიობას მშვიდობა, განმართლება, ცხოველმყოფელნი ნიჭნი და ერთობა სულისა წმიდისა. ჯვარზედ შესრულდა ხსნა კაცისა, პირველ საუკუნეთა რჩევა აღსრულდა და დიდება ღვთისა აღმობრწყინდა ქვეყანაზედ. და იმ დროიდგან ჯვარისაგან გამოუბრწყინდა მადლი ღვთისა და ცხოველს მყოფელი ღვთაებრივი ძალა ცოდვისაგან მომაკვდავ კაცობრიობას. და აი, წინანდელი სამარცხვინო სასჯელის იარაღი, საზიზღარი და თავზარდამცემი საგანი შეიქმნა ქრისტიანეთათვის უღრმეს კრძალულების და პატივსაცემ საგნად, როგორც მთელი კაცობრიობის გამოხსნის იარაღი. აი, წმიდა მოციქული პავლე რისთვის იმჩნევს წმ. ჯვარს დიდ პატივდებაში. ის მიაჩნია უმაღლეს დიდებად და ქებად ქრისტიანეთათვის: „ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯვარითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა“ (გალატ. 6, 19). ეს უაღრესი მნიშვნელობა ქრისტეს ჯვარისა სძევს საფუძველად გულზედ ჯვარის ტარების კეთილ-მსახურებითი ქრისტიანულ ჩვეულებისა. ჯვარი ესე მუდამ უნდა გაგვახსენებდეს ჩვენ ჯვარცმულ მაცხოვარს, რომელმანც იტვირთა მთელი ქვეყნის ცოდვა; უნდა გაგვახსენოს ჩვენ ის, ვისაც უნდა ვეკუთვნოდეთ ხორცით და სულით: უნდა გაგვახსენოს ჩვენი მოვალეობა: ვატაროთ ჩვენ გულში ქრისტე და ფანახმად მისი ნებისა უნდა დავაყენოთ მთელი ჩვენი ცხოვრება და მოქმედება. ჯვარი, რომელიც ქრისტიანს ჰკიდია გულზე, ქრისტიანს დიდად იცავს და იფარავს მანქანებისაგან ეშმაკისა, რომელიც თრთის ამ მისთვის საშიშარ იარაღისაგან,

რომელმანც დაამხო მისი უფლება ქვეყანაზედ. სიყმაწვილეშივე მონათვლის დროს მიიღებს ქრისტიანე ამ ჯვარს, რომელიც იმ დროიდგან შეიქმნება მისი განუყრელი თანამოგზაური, მანუგეშებელი მწუხარების დროს და მფარველი განსაცდელის დროს. მოვა დაბოლოს საშინელი საათი სიკვდილისა, ჩაქრება ჩვენი სიცოცხლის ლამპარი, მიგვატოვებენ ჩვენ მეგობარნი და ნათესავნი, მაგრამ არ დაგვტოვებს წმ. ჯვარი და, როგორც ერთგული თანამოგზაური, ჩაგვყვება ჩვენ ცივ სამარეში.

ქრისტიანული ჩვეულება გულზე წმ. ჯვარის ტარებისა დაიწყო ქრისტიანეთა პირველ საუკუნეებში. წმ. მოწამის ორესტის ცხოვრებაში მოთხრობილია შემდგომი: წმ. ორესტი მსახურებდა სამხედრო სამსახურში; ერთხელ მხედართმთავარმა ლისიმ მოსთხოვა ორესტს, რომ მას გამოეჩინა სიმარჯვე ისრის სროლაში. ხელის ძლიერი მოძრაობის გამო წმ. ჯვარი, რომელიც მას გულზედ ეკიდა, გარეთ გამოუჩნდა და ამგვარად გაიგეს, რომ ორესტი ქრისტიანე იყო. დაინახა თუ არა ჯვარი, კერპთაყვანისმცემელმა ლისიმ ჰკითხა წმ. ორესტს: „ნუ თუ შენც იმათგანი ხარ, რომელთაც წილი უძევთ ჯვარცმულთან?“ წმ. მოწამემ მტკიცედ უპასუხა: „მონა ვარ ჯვარცმულისა მეუფისა ჩემისა და ამ მის ნიშანს ვატარებ განსადევნელად ყოველ ბოროტებისა, ჩემდამი მოწევნულისა“... და დაითმინა წვალება ქრისტეს სახელისათვის. წმ. მთავარმოწამე პროკოპი, რომელიც ეწამა პალესტინის კესარიაში მეოთხე საუკუნის დასაწყისში, ატარებდა გულზე ოქროსა და ვერცხლისაგან გაკეთებულ ჯვარს. როგორიც იხილა მან ცაში ღამე სირიის ანტიოქიაში მოგზაურობის დროს. წმ. გრიგოლ ნისელი თავის დის, ღირსი მაკრინას გარდაცვალების შესახებ (+379 წ.) სხვათა შორის მოგვითხრობს, რომ განსვენებულს კისერზედ უნახეს დაკიდებული რკინის ჯვარი და ისეთივე ბეჭედი, რომელზედაც იყო გამოსახული ჯვარი. ყოველივე ესე გვაჩვენებს, რომ ჩვეულება გულზედ წმ. ჯვარის ტარებისა იყო ძლიერ გავრცელებული ქრისტიანობის პირველ საუკუნეებშივე. გულსაკიდი ჯვარი იყო ჩვეულებრივი ნიშანი იმისა, რომ ვინც ჯვარს ატარებდა, ის ეკუთვნოდა ჯვარცმულ ქრისტეს მიმყოლ საზოგადოებას. გარდა ამ გარეგანი მნიშვნელობისა, ჯვარს, რომელსაც ატარებდა და ახლაც ატარებს ქრისტიანე, აქვს ის მნიშვნელობა, რომ ჯვარი იფარავს მას, ვინც მას ატარებს, ეშმაკის ყოველ მანქანებისაგან და ბოროტებისაგან, თუ კი ქრისტიანს მუდამ ახსოვს ქრისტე ჯვარცმული და გულში მუდამ მას ატარებს და ასრულებს მის სწავლას.

§ 08.

ლოცვა შეუფერებელი ღვთის დიდებისა

ერთხელ ერთი ღვთის მავედრებელი და თვისი შრომით თავისს მსაზრდოებელი ბერი მივიდა სოფლად თავისი ხელით გაკეთებული ნივთების გასაყიდად. როდესაც ბერს უნდოდა მონასტერში დაბრუნება, მაშინ მას შეხვდა ერთი უცხო კაცი, რომელსაც მიყვებოდნენ გლახაკნი და უცხონი. მან ბერიც მიიპატიჟა ვახშმად. მეორე დღეს პატივისცემით ნასიამოვნები ბერი გამოეთხოვა კეთილ მასპინძელს და წავიდა მონასტერში. გზაზე მან გამოიკითხა და გაიგო, რომ ის კეთილი კაცი არის ქვის მტეხელი, სახელად ევლოგი. ევლოგი მთელი დღე ქვას ამტვრევდა, მუშაობდა უსმელ-უჭმელად და საღამოს, მიიღებდა თუ არა დღიურ ქირას, წამოიყვანდა თავისს სახლში ყველას, ვინც კი ღარიბ-გაჭირვებული შეხვდებოდა გზაზე და მთელ იმ დღის მონაგებით მათ ვახშამს გაუკეთებდა და გაუმასპინძლდებოდა, ხოლო ნამცეცებს, რომელნიც სუფრაზე დასცვივოდნენ, მეზობლის ძაღლებს გადაუყრიდა. ევლოგის ამდენად ჰქონდა იმედი ზეციურ განგებისა, რომელიც ასაზრდოებს ყოველ სულდგმულს. გულკეთილ ბერს უკვირდა ევლოგის სიკეთე — სიქველე და ფიქრობდა: ღარიბი ევლოგი დღე ყოველ ასაზრდოებს ამოდენ გლახაკს, რას იქმოდა ევლოგი მდიდარი? ახ! ის იქმნებოდა მშიერთა გამომზრდელი, შიშველთა სამოსელი! ამ ფიქრების მერე ბერმა დაიწყო ღვთის ვედრება. ის ეევედრებოდა ღმერთს ევლოგის გამდიდრებას. ლოცვას შეუერთა ბერმა მარხულობა და ისე მისუსტდა, რომ ძლივს ითქვამდა სულს. ბოლოს ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა, და ბერმა ეგეთი ჩვენება ნახა: ვითომ ის არის ქრისტეს აღდგომის ეკლესიაში, დაინახა უცხო ვინმე წმიდა ჰაბუკი ქვაზე მჯდომარე, მის მახლობლად იდგა ევლოგი. მერე ჰაბუკმა უთხრა ბერს: „თუ დადგები ევლოგის თავდებად, გავამდიდრებ მას.“ — მე ვიქმნე მის მაგიერ პასუხისმგებელი, მიუგო ბერმა და დაინახა, რომ ევლოგის ოქროებს უყრიდნენ უბეში. ამ დროს ბერს გაეღვიძა და ღმერთს მადლობა შესწირა, რომ მან შეისმინა ვედრება მისი. ამასობაში ევლოგი ჩვეულებრივად ცხოვრობდა; მაგრამ ერთ დილას, როცა სამუშაოდ გამოვიდა, დაჰკრა ქვაზე წალკატი და იგრძნო, რომ იმ ქვის ქვეშ ცარიელი ადგილი უნდა იყოს. დაჰკრა მეორეჯერ და გამოჩნდა ხვრელი, დაჰკრა მესამედ და იქიდან ოქროები გადმოცვივდა. ევლოგის თავბრუ დაესხა და არ იცოდა რა ექმნა საუნჯისათვის. იმ დღეს არა თუ გლახა არ მიუპატიჟნია, არამედ თვითონაც არ

უჭამია საჭმელი. მეორე დღეს მან იყიდა ცხენები, ვითომდა ქვის საზიდავად. მოზიდა შინ ოქრო და მარტო ივახშმა. ევლოგი დიდ ხანს იყო უსიამოვნო ფიქრებში გართული. არ იცოდა რა ექმნა. ბოლოს იკითხა ხომალდი და სტამბოლს გაემგზავრა: იქ დაასაჩუქრა მეფის ყველა დიდებულნი და თვითონაც მეფის კარის კაცობა იშოვნა. იყიდა დიდი მშვენიერი სახლი და დაიწყო ცხოვრება ისე, როგორც წინათ უყაირათოდ — დაუზოგველად, მაგრამ გლახებს და უცხოს კი არ პატიჟებდა, როგორც წინათ, არამედ დღე ყოველ პატიჟებდა მეფესთან დაახლოებულ პირთ.

ბერმა, რომელმანც ევლოგისთვის გამოსთხოვა ღმერთს სიმდიდრე, ამაზედ არაფერი არ იცოდა. მაგრამ ორი წლის შემდგომ სიზმარში კიდევ იხილა ნათელმოსილი ჭაბუკი და იფიქრა: სადღა არის ევლოგი? მერე ბერმა დაინახა, რომ ვინმე ბოროტი სახის მექონი აძევებს ევლოგის ჭაბუკისაგან. ბერმა გაიღვიძა, ამოიოხრა და თავისთვის წარმოსთქვა: „ვაი! დაეღუპე მე სული ჩემი!“ მერმე ტანს ჩაიცვა და წავიდა იმ სოფელში, სადაც წინათ ევლოგი ცხოვრობდა. მან დიდხანს იცადა, ეგონა: ღარიბთა მზრდელი მოვა და მიმიპატიჟებსო. მაგრამ ამაოდ! ბოლოს როცა მოთმინებიდან გამოვიდა. ჰკითხა ჯან ერთ მოხუცებულ დედაკაცს: „არის აქ ვინმე უცხოთა ჭიმღები?“ — არა! ბიუგო მან მძიმე ამოოხვრით; იყო ჩვენში ქვის მტეხელი, რომელსაც ყველაზე უფრო უყვარდა უცხოთ მიღება, მაგრამ ღმერთმა დაინახა რა საქმენი მისნი, მისცა მას მადლი თვისი და ახლა ის სტამბოლშია მეფის კარისკაცად.“ ეს რომ გაიგონა, ბერმა თავისთვის სთქვა: „მე მკვლელობა ჩავიდინე!“ და წავიდა სტამბოლს. იქ კითხვა-კითხვით მიაგნო ევლოგის სასახლეს, დაჯდა კარებში და ელოდა მის გამოსვლას... ბოლოს გამოჩნდა ევლოგი მედიდური სახით, ამპარტავნულად მომავალი, მეალერსეთა გუნდით და მონათა ხლებით. — „შემიწყალე ბე. შეევედრა ბერი, მე მინდა რამე გითხრა შენ“... ევლოგიმ ზედაც არ შეხედა ბერს და მონებმა ხელის კვრით გააგდეს ის. უბედურმა თავდებმა სხვა გზით დაიწინაურა, კიდევ შიხვდა ევლოგის და კიდევ შეევედრა მას, მაგრამ სცემეს მას და განაშორეს ევლოგის. ამ სახით ბერი ოთხი კვირა თოვლ-წვიმა-ქარიშხალში იჯდა ევლოგის სახლის კარებში და ვერ იხილეთა დრო, რომ მოლაპარაკებოდა მას. ბოლოს ბერმა ევლოგის მოქცევის იმედი დაკარგა, დავარდა მიწაზე და ევედრა ღმერთს, რომ ის გაეთავისუფლებია თავდებობითგან; მაგრამ ზეციურმა მსაჯულმა ჩვენებით აუწყა მას, რომ უგნური ლოცვა და უგნური თავდებობა არ არიან მიტევების ღირსნი. უბედური, გონებადაკარგული ბერი ჩაჯდა ხომალდში, რომ წასულიყო ალექსანდრიაში

და თვით ამ დროს მიეცა ისეთ სულმოკლეობას და სასოწარკვეთილებას, რომ თითქო მკვდარიაო. ამ დროს მას მიეძინა და ბევრი შემაწუხებელი სიზმრების შემდგომ გაიგონა ხმა: „წადი შენს სენაკში! მე დავუბრუნებ ევლოგის პირველსავე ცხოვრებას; მაგრამ შენ, სუსტო ადამიანო, ნუ აღავლენ ღმერთთან ლოცვას მისი დიდების შეუფერებელს.“ სამი თვის შემდგომ ბერმა გაიგო, რომ მეფე იუსტინიანე მოკვდა, რომ მისმა მემკვიდრემ დაუწყო ღევნა ყველა წინათ მყოფთ დიდებულთ, რომ ორი მათგანი მოკლეს და რომ ევლოგი გაიქცა, თუმცა მეფემ დიდი საჩუქარი დაუნიშნა მას, ვინც მის თავს ზოუტანდა. ბერი კიდევ წავიდა იმ სოფელში, სადაც წინათ ევლოგი ცხოვრობდა. მას ძლიერ გაუხარდა, როცა მზის ჩასვლისას დაინახა ევლოგი მუშაობიდან დაბრუნებული და მათხოვრებით გარშემოხვეული. ბერს უნდოდა მივარდნილიყო და მოხვეოდა მას, მაგრამ ევლოგიმ დაასწრო, მივარდა ბერს, დაუწყო ხელებზე კოცნა და მერე მიიპატიჟა ის ვახშმად. ვახშმის დროს ბერმა და ევლოგიმ აუხსნეს ერთი მეორეს საქმის გარემოება. მერე ქვის მტეხელმა უამბო ბერს ყოველივე: თუ როგორ დაბრუნდა ის სამშობლოში, როგორ გამოეგებნენ მას ყველანი მისი სოფლის მცხოვრებნი და მიულოცეს მას მეფის კარისკაცობა და, რადგანაც მას ეშინოდა თავის გამოაშკარავება, როგორ არწმუნებდა მათ, რომ ის წავიდა იერუსალიმში ქრისტეს საფლავის თაყვანისსაცემლად. „მე ხელახლა ავიღე, განაგრძო ევლოგიმ, ჩემი იარაღი და წავედი პირდაპირ იმ ქვასთან, სადაც ოქრო ვიპოვე. მე ეფიქრობდი, რომ კიდევ ვიპოვიდი ოქროებს, ბევრი ვამტვრიე ქვები, ბევრი სხვადასხვა ქვები ვთალე, მაგრამ ვერაფერი ვერ ვიპოვე. ბოლოს გამოვედი ცდომილებისაგან და, მადლობა ღმერთს, დავივიწყე დამღუპველი ხარისხი დიდკაცობისა“.

ილოცე უფალი ღმერთი, რომ მოგიტეოს შენ ცოდვანი და დაგიფაროს მოულოდნელი შემთხვევით ცოდვაში ჩავარდნისაგან; „მაგრამ ლოცვაში არ სთხოვო არც სიმდიდრე, არც უფლება და არც სხვა რამ ამქვარი. ვინაიდან ღმერთი ყოვლის მცოდნეა. მან უწყის, რა არის ჩვენთვის სასარგებლო და რა არის მავნებელი; ღმერთი მოწყალეა: ის გვაძლევს მას, რაც საჭიროა. ევლოგის მაგალითი გვიჩვენებს, თუ რამდენად დამღუპველია ხანდახან ლარიბის გამდიდრება.

„ითხოვთ და ვერ მიიღებთ, რამეთუ პოროტად ითხოვთ, რათა გულის თქჳთა შინა თქჳენთა განილინეთ“ (იაკ. 4. 3). „ნუ ისწრაფი პირითა შენითა, და გული შენი რათა არა სწრაფობდეს გამოღებად სიტყვასა წინაშე პირსა ღვთისასა, რამეთუ ღმერთი ცათა შინა მაღლა

და შენ ქვეყანასა ზედა დაბლა, ამისთვის რათა იყვნეს სიტყვანნი შენნი მცირენ (ეკკლ. 5. 1). „წინაშე თვალთა ღვთისათა არიან გზანი კაცისა, ხოლო ყოველსა სრბასა მისსა ხედავს“ (იგავ. 5. 21).

§ 60.

ღვთის სიტყვის სიმართლე არ დაირღვევა მჯადაგებელის ცოდვით

წირვის დროს ერთი სოფლის ეკლესიაში მღვდელი მშვენიერად ქადაგებდა და ასწავლიდა ხალხს, რომ ჩხუბი და განხეთქილება არ უნდა იყადროს კაცმა, რომ ჩხუბი ყოველ კაცს ავნებს და ღმერთს განარისხებს; ასწავლიდა აგრეთვე, თუ რა საზიზღარია სიმთვრალე და ხვანი. ყველა გულმოდგინედ და ჭოწიწებით ისმენდა მღვდელის მშვენიერ ქადაგებას, ღვთის სიტყვებზე დამყარებულს. მსმენელთა შორის აღმოჩნდა ერთი კაცი, რომელმაც თავის გულში სთქვა: „დახე, დახე, რას ამბობს მღვდელი, თვითონ კი ასრულებ. მღვდელო, რასაც ქადაგებ? შენც რომ კარგად გიყვარს დალევა?“ წირვა გათავდა. ხალხი გამოვიდა ეკლესიიდან და ყველანი შინისაკენ გაემგზავრნენ. წავიდა შინ ის სოფლელიც, რომელიც არ დარჩა კმაყოფილი თავისი მღვდელის ქადაგებით. გზაზე მას შეხვდა ერთი მოხუცებული კაცი და სთხოვა მას, რომ გაეცილებინა ის მახლობელ ქალაქამდის, რადგანაც გზაზე ტყე იყო და ტყეში მარტო გავლა ვითომც მას აშინებდა და აღუთქვა მას სასყიდელი. სოფლელი დათანხმდა და გაყვა. ერთი საათი იარეს და მერე შევიდნენ ტყეში. აქ სოფლელს უეცრად მოწყურდა, გაჩერდა და მგზავრს უთხრა: „მე ამას იქით წასვლა არ შემიძლია და ეხლავე დავეცემი, რადგანაც ძლიერ მომწყურდა. მოხუცმა გულმტკივნეულად შეხედა მას და უთხრა: „ცოტა მოითმინე! და, აი, ათიოდე ნაბიჯის მერე შეგხვდება მშვენიერი წმიდა და ცივი წყარო და იქ მეც შენთან ერთად დაველევ წყალს“. სოფლელმა მიუგო: „ბატონო! რას მიბრძანებ? ამ ტყეში წყარო კი არა გუბეც არსად მოიპოვება. ეს ტყე ხანგრძლივობიდან დაცლილი მაქვს, რა წყაროს ამბობ შენ?“ მოხუცმა მრისხანედ უთხრა სოფლელს: „გაჩუმდი, ჯიუტო, და ნუ მედავები; უმჯობესია, წამოდი და თვითონ შეხედე: აი, წყარო!“ ამ სიტყვებთან ერთად მოხუცმა წაავლო ხელი სოფლელს და მიიყვანა წმიდა, ყინულივით ცივ წყაროსთან, რომელიც მოჩხრიალებდა ტყეში და შორს მიექანებოდა. მწყურვალე სოფლელი დაეწაფა წყალს, მოიკლა წყურვილი და წამოიძახა: „მე თითქო ხელახლად დავიბადე, რა საუცხოო და გემრიელი წყალია, ეს წმიდა სამოთხის მდინარეა“. მერე იმათ

განაგრძეს გზა, გაყვნენ წყაროს პირს და რამოდენიმე მანძილი გაიარეს; წყარო თანდათან დიდდებოდა და პატარა ჩქარ მდინარედ გახდა. სოფლელი კვირობდა, საიდან გამოჩნდა ეს წყარო, როდესაც წინაზედ ამ ტყეში სრულიად წყალი არ იყოო. უეცრად სოფლელმა შენიშნა, რომ ამ მდინარეს ლენტივით გაკვრია ლორწო და ყლარტი, ქვემოთ წყალი თითქო ალარ მიდიოდა, ბალახ-ბულახით დაფარულ წყალს მწვირე მოკიდებოდა, ჩაყვითლებულ ჩამწვანებულიყო, თითქო დამპალიყო, ლორწო და ყლარტი სულ ერთიანად მოდებოდა, მხოლოდ იქა-აქ მოჩანდა წმიდა წყალი. ქვემოთ კი ისევ წმიდა მდინარედ გადიოდა, წყალი მზის სხივებზედ ციმციმებდა და შორს-შორს, თვალთმიუწვდომელ სივრცეში იმალებოდა.

„ოხ!“ ამოოხვრით წამოიძახა სოფლელმა, რომელიც ზიზღით დაჰყურებდა ამ ჩაყვითლებულ-ჩამწვანებულ ლორწოიან ჭაობს. „შეხედე, შეხედე, ბატონო, წამოიძახა მან, როგორი ჭაობი არის ჩვენ წინ! მხოლოდ იმის წარმოდგენაც კი, რომ მე ამის წყალი დაგლიე, საშინელი და საზარელია ჩემთვის.“

— „ნუ თუ ის წყალი, რომელიც შენ იქ, ამის მოშორებით დალიე, იყო ეგრე ცუდი?“ ჰკითხა მას მგზავრმა. „ოჰ! არა! მიუგო სოფლელმა, ის იყო წმიდა, შაქრით შეზავებულს გვანდა; მე ჩემ დღეში ეგეთი გემრიელი წყალი არ დამილევია. მაგრამ უბრალო წარმოდგენაც კი მაშინებს და მეზიზღება, რომ ის წყალი ამ ჭაობის ნაწილია.

„ხედავ, ჩემო შვილო, როცა შენ გწყურიდა. მგზავრობის და სიცხის გამო ისე დაქანცული იყავ, რომ მოძრაობა ძლიეს. შეგეძლო მაშინ ამ წყაროს გადამდინარ კერცხლივით წმინდა წყალმა მოგაბრუნა შენ, დაგიბრუნა ძალა და სიცოცხლე. აი ახლა შენ დაიხსოვნე შემდგომი ჩემი სიტყვები: არ არის ქვეყანაზე ისეთი წიგნი, რომელშიაც არ იყოს ბევრი თუ ცოტა ბეჭედითი შეცდომები, არც არის ქვეყანაზე ისეთი კაცი, რომელიც არ იყოს რაღამეში შეცოდებული. მღვდელიც კაცია, და შენ ნუ გამოიძიებ: როგორი არის ის და რა ცოდვები აქვს მას. გახსოვდეს ერთი: ის არის შენი მღვდელი, რომ მას თავისი ცოდნისა გამო მიცემული აქვს უფლება იყვეს მნათობად მთელი სოფლისა. ამის გამო მას ფრიად ბევრი მოეთხოვება: ის უნდა იყოს განბრძნილი სწავლითა და ქრისტეს სარწმუნოებითა, მხოლოდ მას აძევს ვალად ცოდვათათვის პასუხის გება და დაღუპულ სულთათვის თავის სიტყვიერთა ცხოვართათა ყოველი ცოდვა მას მოეკითხება... მაგრამ ის არის ნათელი სოფლისა, ხოლო ნათელი ბნელსა შინა ნათობს და ბნელი მას ვერ ჩააქრობს... და შენ პატივი უნდა სცე მას;

მით პატივს სცემ მასში კაცს და თავის თავს. არის ცოდვა, რომელსაც სხვა კაცს ვერც კი შეამჩევ, ხოლო მღვდლისთვის ეს ცოდვა დიდი დანაშაულობაა; ყველა თითით დაუწყებს მასზედ ჩვენებას. მაგრამ შენ გახსოვდეს, რომ ის ყველაფრისთვის, რაც თავის ცხოვრებაში გადახდომია — კეთილი თუ ბოროტი — პასუხს უგებს ღმერთს და შემოქმედს — გამჩენს ვისას და შენსას. ამიტომ თუ შენ დაინახო მასში რაღაც ბოროტება შემაცდენელი, როგორც ამ წმინდა წყაროს შერევია ლორწო. შენ მაინც ისმინე მისი სწავლა-დარიგება და ის სწავლა-დარიგება იქმნება შენთვის ისეთი ტკბილი და სასიამოვნო, როგორც ტკბილად მოგეჩვენა შენ ამ წყაროს წყალი, როცა შენ გწყუროდა და სვამდი მას. ვინაიდან ნაკურთხი მართლმადიდებელი მღვდელი არის ცხოველი წყარო ღვთის სიტყვისა"...

რაკი დაათავა ეს სიტყვები, მოხუცი უხილავ იქმნა, თითქო ღრუბელს მიეფარაო. ის არ იყო მოხუცი, — ის იყო ანგელოსი უფლისა, რომელსაც ესმოდა, თუ როგორ უსაყვედურა ამ სოფლელმა თვით ეკლესიაში ღვთის სიტყვის მქადაგებელს.

„ბაგენი მღვდელისანი დაიცვენ მეცნიერებასა და სჯული გამოიძიონ პირისაგან მისისა, რამეთუ ანგელოსი უფლისა ყოვლისა მპყრობელისა არს" (მალაქ. 2, 7). „დაემორჩილენით წინამძღვართა თქვენთა და ერჩდით მათ: რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქვენთათვის, ვითარცა იგი სიტყვა მისცენ, რათა სიხარულით ამას ყოფდენ..." (ებრ. 13, 17).

„რომელნი კეთილად სძღოდიან ხუცესნი ორის ნაწილისა პატივისა ღირს იყვნედ. უფროს ხოლო რომელნი შვრებოდენ სიტყვითა და მოძღვრებითა. რამეთუ იტყვის წიგნი: ხარსა მეკალოესა არა დაუკრა პირი; და, ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა" (1 ტიმ. 5, 17—18).

შინაარსი

შესავალი 3
საღმრთო ისტორია 13
საღმრთო რჯულის სწავლებაზე ჩვენს პირველ-დაწყებით სკოლებში 15
საღმრთო რჯულის სწავლება ჩვეხებურ სკოლებში 19
ძველი აღთქმა 22
ქვეყნის გაჩენა 22
ადამი და ევა 22
ადამ და ევას შეცოდება და მათი დასჯა 23
კაინი და აბელი 24
წარღვნა 24
ნოეს შვილები 25
ბაბილონის გოდოლი 26
აბრაამი 26
სამი მგზავრის გამოცხადება აბრაამთან 27
სოდომისა და გომორის დასჯა 28
ისაკის მსხვერპლად შეწირვა 28
ისაკის დაქორწინება 29
ისაკის შვილები 29
იაკობის სიზმარი და ლაბანთან ყოფნა 30
იოსების გაყიდვა 31
იოსების ამაღლება ეგვიპტეში 31
იოსების ძმების მისვლა ეგვიპტეში და იაკობის გადასახლება 32
შვილების კურთხევა იაკობის მიერ 33
იობი 34
მოსე წინასწარმეტყველი 35
პასექი და ებრაელების განთავისუფლება 36
მეწამულ ზღვაზე გადასვლა 36
ათი მცნების მიღება სინას მთაზე 37
ორმოცი წლის მოგზაურობა ებრაელთა 38
ებრაელების მისვლა აღთქმის ქვეყანაში და დაბინავება 38
გედეონი 39
სამსონ ძლიერი 40
მღვდელთმთავარი ილია და სამოელ წინასწარმეტყველი 40
მეფე საული 41
მეფე დავითი 42
მეფე სოლომონ ბრძენი 44
ებრაელთა სამეფოს გაყოფა 45
ილია წინასწარმეტყველი 45
იონა წინასწარმეტყველი 46
დანიელ წინასწარმეტყველი და მისი ამხანაგები 47
ებრაელების განთავისუფლება და ახალი ტაძრის აგება 49
სოლომონია და მისი ვაჟები 50
ახალი აღთქმა 52
ღვთისმშობლობა და ტაძრად მიყვანა 52
ხარებობა 52
იონა ნათლისმცემლის შობა 53
ქრისტეს შობა 54
მირქმა ქრისტესი 55
ყრმა იესოს სიბრძნე 55
ნათლისღება 56
პირველი სასწაული იესო ქრისტესი 57
მევაჭრეთა განდევნა ტაძრიდან 57
განკურნება კარისკაცის ძისა 58
განკურნება განრღვეულისა ცხოვართა საბანელთან 58

მცნებანი ნეტარებისანი 59
ნაინელი ქერეკის ვაჟის აღდგენა 60
იგავი მთესველზე 61
ღელვის დაწყნარება 61
იაირის ასულის აღდგენა 62
იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთა 62
ხუთიათასი კაცის ხუთი პურით გაძღომა 63
წყალზე სიარული ქრისტესი 64
ფერისცვალება 65
იგავი ბორწყალე სამარიტელზე 65
იგავი მდიდრისა და ლაზარეს შესახებ 66
ბრბის განკურნება 67
ყმაწვილების კურთხევა 67
ლოცვა უფლისა 68
იგავი გადუვსილ შვილზე 69
იგავი მეზვერესა და ფარისეველზე 69
სწავლა ქრისტესი შესახებ ხარკისა და უმთავრეს მცნებათა 70
იგავი ქრისტესი ქანქართა შესახებ 71
ლაზარეს აღდგენა 72
ბზობა ანუ შებრძანება ქრისტესი იერუსალიმში 73
მიეცემა ქრისტესი იუდასაგან და სერობა 74
შეპყრობა ქრისტესი და განსჯა მისი 75
ჯვარცმა და წამება ქრისტესი 77
გარდამოხსნა და დასაფლავება ქრისტესი 78
აღდგომა 78
ამაღლება 79
სულიწმიდის მოფენა 80
მარიამობა ანუ მიძინება ღვთისმშობლისა 80
პეტრეპავლობა 81
ჯვართამაღლება 82

ქართველი წმინდანები 83

წმიდა მოციქული ანდრია 85
წმიდა ნინო, მოციქულთა სწორი 86
წმიდა იოანე ზედაზნელი 89
წმიდა მამა შიო მღვიმელი 91
წმიდა მამა დავითი გარეჯელი 94
წმიდა მამა ანტონ მარტყოფელი 98
წმიდა მოწამე აბიბოს ნეკრესელი 100
წმიდა მამა იოსებ (აბბა) ალავერდელი 102
წმიდა რაჟდენი, პირველი მოწამე საქართველოს ეკლესიისა 103
წმიდა მოწამე შუშანიკი 106
წმიდა მოწამე ევსტათი მცხეთელი 109
წმიდა მოწამენი ძავით და კონსტანტინე არგვეთელები 111
წმიდა მოწამე არჩილ მეფე 113
წმიდა მოწამე აბო ტფილელი 114
წმიდა მოწამე კონსტანტინე მთავარი 117
წმიდა მოწამე გობრონი (მიხეილი) 120
წმიდა მამა ილარიონ ქართველი 122
წმიდა მამა იოანე მთაწმიდელი 125
წმიდა მამა ეფთვიმე მთაწმიდელი 127
წმიდა მამა გიორგი მთაწმიდელი 129
წმიდა მეფე დავით III აღმაშენებელი 132
წმიდა მოწამე ლუარსაბ მეფე 134
წმიდა მოწამე ქეთევან დედოფალი 136
წმიდა მოწამენი — ბიძინა, შალვა და ელიზბარ 138

წმიდა ვლადიმერ და რუსთა მოქცევა 141
ღირსი მამა დავით გარესჯელი 145
მამა დავით გარესჯელი 147

გზა ცხოვრებისა 161

წინასიტყვაობა — დეკანოზი ნესტორ უუბანეიშვილი 163
ახალგაზრდა კეთილისმყოფელი 165
ლოცვის ძალა 165
ჭეშმარიტი შშრომელი 166
შრომა და ლოცვა 167
მოწყალება მოწყალებისაგან 168
სულგრძელება წინააღმდეგ შეურაცხებისა 168
გლახაკთა მოწყალეს ღმერთი ას წილად უზღავს 169
იესვი სარწმუნოების საქმეში 170
ჭეშმარიტი აზრი, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ხორციელი მოკვდინება 170
საყოველთაო სისუსტე 171
საშველება უბრძანებლად გაკეთებინო სხვას რაიმე 171
ზნეობრივი სწავლა ღირსი პიმენისა: 172
ნუ ერნმუნები უცბად, როცა გესმის ვინმეზედ ცუდი რამე 172
სინანულზე 173
ცუდი გულისთქმის განშორებაზე 173
სწავლა მარხულობაზე 174
გამოცდა თავისა თვისისა 174
მხილებული მტაცებელი 175
შრომისმოყვარეობაზე 176
სულიერი და ხორციელი შრომა 177
ჭეშმარიტი მეუდაბნოე 178
ღმერთი ისმენს მართლის ლოცვას 179
ღმერთი ისმენს სარწმუნოებით წარმოთქმულ ლოცვას 179
მოჩვენება მოწყალების მიმღებლებზედ 181
გონივრული რჩევა მოწყალების გაცემაზედ 182
სამეფო სადილი 183
განუწყვეტელი ლოცვა 184
მფარველობა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა 185
ქალთა საქმეზე 185
მიცვალებულთა მოხსენების სარგებლობაზე 186
წმიდა იოანნე კლიმეკსის თქმულებანი 187
წმიდა ეფრემ ასურელის მოძღვრებიდან 188
ნიკი უნდა მოვისმაროთ მხოლოდ მახლობელთა სასარგებლოდ 191
მოქცეული შურის მაძიებელი 192
დასჯილი მოძულე 193
არ უნდა სთხოვო ღმერთს თვით მძვინვარე უსჯულოს დაღუპვა 195
დასჯილი ფიცის განტეხი 196
მკვდარი, საეკლესიო კანონის დამცველი 197
ლოცვა მტერთა ბედნიერებაზე 198
ღმერთი მიიღებს ლოცვას ვინაობის მიუხედავად 199
ლოცვა სიკვდილის საათის განშორებაზედ 201
მთავრობისადმი მორჩილება 202
ღირსი მაკარი ეგვიპტელის მოძღვრებიდან 203
ვერცხლისმოყვარე მონაზონი როგორ შეიქმნა ხელგაშლილობის მოყვარედ? 204
ოჯახური სათნოება ღვთისთვის მეტად საამოა 206
კაცის ცხოვრებაზე და სიკვდილზე 207
მოწყალების გაცემა ჩვენ ცხოვნებას დიდ წარმატებას აძლევს 209
მასზედ თუ რამდენად ძნელი მოსაქცევია ვერცხლისმოყვარე 210

საჩუქრის კეთილად მოხმარება	211
ღვაწლით შემოსილი, საკვირველთ მოქმედი მთავარმოწამე	213
წმიდა გიორგი	213
წამება წმიდა გიორგისა	214
წმიდა გიორგის სასწაულნი	217
წმ. გიორგის ეხოვრების უკანასკნელნი დღენი	219
მთავარ ეპისკოპოსი წმ. ნიკოლაოზ მიროს ლიკიისა	220
მღვდელთმთავარი წმ. ვასილი დიდი	222
წმ. ვასილი დიდის თქმულებათაგან	223
წმ. ვასილი დიდის ქადაგებითგან: „ყურადღება ნიაქციე თავისს თავს".	224
მღვდელთმთავარი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი	225
წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თქმულებიდან	226
მღვდელთმთავარი წმ. იოანე ოქროპირი	227
წმ. იოანე ოქროპირის თქმულებიდან	228
წმ. სპირიდონ საკვირველმოქმედი, ეპისკოპოსი ტრიმითვიტელისა	230
ზეგარდამო განსწავლული	239
საძმონ უცხოთ შემწყნარებელი	241
წამრიგებელი	243
მშობელთა ლოცვის ძალა	244
უდიდესი მსხვერპლი	246
ღვთისმორწმუნეს და მოიმედეს ღმერთი არ დააგდებს	248
წმ. ტიხონის, ვორონეჟის ეპისკოპოსის ქმნილებიდან	250
ჩვეულება გულზედ წმიდა ჯვარის ტარებისა	252
ლოცვა შეუფერებელი ღვთის დიდებისა	255
ღვთის სიტყვის სიმართლე არ დაირღვევა მქადაგებელის ცოდვით	258

Георгий Иоселиани

ИСТОРИЯ БОГОСЛОВИЯ

СВЯТЫЕ ГРУЗИИ

Нестор Кубанеишвили

ДОСТОЧТИМЫЙ ОТЕЦ ДАВИД ИЗ ГАРЕДЖИ

ЖИЗНЕННЫЙ ПУТЬ

(На грузинском языке)

რედაქტორი მ. ძიმისტარიშვილი, სამხატვრო რედაქტორი ნ. ლაფაჩი, ტექნიკური რედაქტორი რ. გოგიშვილი, უფროსი კორექტორი დ. ხურციძე, ლ. კობახიძე, კორექტორი ლ. შვანეირაძე.

სბ. № 4721 Учебное издание

გადაეცა ასაწყობად 17.08.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.05.91. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ვენა. ბეჭდვა მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 16,5+2,5 ჩასაკრავი. სალებავგატარება 19. სააღრ.-საგამომც. თაბახი 13,21+1,82 ჩასაკრავი. ტირაჟი 50 000 შეკვ. № 56.

[redacted]

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, გ. ჩუბინაშვილის. ქ. 50.

Издательство «Ганатлеба», ул. Г. Чубинашвили 50.

1991

საქართველოს რესპუბლიკის
ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутаисское полиграфическое производственное объединение

Департамента по печати Республики Грузия

г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.